ვახტანგ აბაშმაძე

# ილია ჭავჭავაძე— სახელმწიფოს და სამართლის პრობლემები

რედაქტორი — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მ. გაფრინდაშვილი

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1987

83.3 Гр. 1
ა 135

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობა და მათი არსი, სახელმწიფოსა და სამართლის ფორმები, ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის პროექტი და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის, სამართლის ნორმის რეალიზაცია, სამართალი და იურიდიული პასუხისმგებლობა და ა. შ.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს მკითხველებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიის საკითხებით.

რეცენზენტები: იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. მეტრეველი;
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ვ. ფარქოსაძე;
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ო. ჟორდანია.

1201000000
А ——————— 272 — 87
М — 602 (08) — 87

© გამომცემლობა „განათლება“, 1987

## წინასიტყვაობა

სკკპ XXVII ყრილობაზე, რომელმაც ხანგრძლივი დროისათვის განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის მატერიალური და სულიერი ცხოვრების შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებები, საგანგებოდ აღინიშნა, რომ აუცილებელია „უფრო აქტიურად წარვმართოთ მუშაობა, რათა შევინარჩუნოთ და ვამრავლოთ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, დავიცვათ სამამულო და მსოფლიო ისტორიისა და კულტურის ძეგლები“[1]. საბჭოთა სახელმწიფო და კომუნისტური პარტია ყველა სიკეთეს და, მათ შორის, კულტურულ მემკვიდრეობას წარმატებით იყენებს, რათა „ყოველ საბჭოთა ადამიანს ახასიათებდეს სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების გამაერთიანებელი მეგობრობისა და ძმობის გრძნობები, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის მაღალი კულტურა, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის, ეროვნული შეზღუდულობისა და ეროვნული ეგოიზმის გამოვლინების, იმ ზნე-ჩვეულებების შეუწყნარებლობა, რომლებიც ხელს უშლიან ცხოვრების კომუნისტურ განახლებას“[2].

ამ სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად წინამდებარე ნაშრომში, როგორც ილია ჭავჭავაძის მდიდარი სულიერი მემკვიდრეობის, ასევე ლიტერატურაში გამოთქმული მრავალი ერთიერთდაპირისპირებული შეხედულების ანალიზის საფუძველზე, შესწავლილია ქართველი სამოციანელების ბელადის პოლიტიკური და სამართლებრივი მსოფლმხედველობა. ავტორის მიერ ილიას სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მოძღვრებების ზოგიერთი საკითხის ახლებური გააზრება მიზნად ისახავს ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში დიდი მწერლისა და მოაზროვნის სრულყოფილად წარმოჩენას, რადგან, როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, მეცნიერული კვლევისას „ჭეშმარიტებას ვერ იპოვი დეკლარაციებსა და მითითებებში, იგი იბადება მეცნიერულ კამათსა და პაექრობაში“[3].

---

1 სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი. თბილისი, 1986. გვ. 15.

2 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა (ახალი რედაქცია). თბილისი. 1986, გვ. 81.

3 მ. ს. გ ო რ ბ ა ჩ ო ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე, თბილისი, 1986, გვ. 145.

სახელმწიფო და სამართალი საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრებით განპირობებული ზედნაშენის უმთავრესი შემადგენელი ნაწილებია, რომლებიც უდიდეს ზეგავლენას ახდენს ადამიანთა სულიერ და მატერიალურ ცხოვრებაზე. კლასობრივ საზოგადოებაში, რომლის არსებობა ასეული საუკუნეებით განისაზღვრება, სახელმწიფო და სამართალი საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულატორი და წარმმართველია, ამიტომაც პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები თავის გამოხატულებას პოულობენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, მათ შორის, მხატვრულ და პუბლიცისტურ ლიტერატურაშიც, რომელთა ყველა პერსონაჟი და მოვლენა დაკავშირებულია სახელმწიფოებრივ ხელისუფლებასა და სამართლის ნორმებთან. მწერლის, პოეტის და სხვათა მიერ ჩამოყალიბებულ შეხედულებებში უპირატესი ადგილი უკავია მოქმედ პერსონაჟთა შორის დამოკიდებულებასთან ერთად მათ ურთიერთობას სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ მოვლენებთან. ამიტომაც მხატვრული შეხედულებები და მათი შესაბამისი დაწესებულებები, როგორც ზედნაშენის შემადგენელი ნაწილები, სხვა ზედნაშენურ კატეგორიებთან ერთად აქტიურად ზემოქმედებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. სწორედ ამის გამო მხატვრულ შემოქმედებებში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი იდეები განსაკუთრებულ მეცნიერულ ინტერესს იწვევს. ამ ინტერესს აძლიერებს ისიც, რომ ძალიან ხშირად მხატვრული შეხედულებები ხელს უწყობენ სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი დაწესებულებების გარდაქმნას მწერალი-მოაზროვნის მიერ თავის ნაწარმოებებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვით. მეცნიერების იმ დარგს, რომელიც სწავლობს ცალკეულ მოაზროვნეთა ნაშრომებში გადმოცემულ პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებებს, ეწოდება სახელმწიფოსა და სამართლის ფილოსოფია (პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია), რომელმაც საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ფართო გავრცელება ჰპოვა.

გამოჩენილ მოაზროვნეთა ნაშრომებში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და იურიდიული სამყარო, მართალია, რეალური სინამდვილისაგან წარმოსდგება, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება და, უმრავლეს შემთხვევაში, კიდევაც უპირისპირდება მას. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ცალკეულ მოაზროვნეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალი რეალური სინამდვილის კრიტიკული გადამუშავების შედეგია და იგი წარმოდგენას გვაძლევს მომავალ, უფრო სრულყოფილ და არსებულთან შედარებით პროგრესულ საზოგადოებაზე. საბოლოო ჯამში კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შემუშავებული სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების პროექტები ემსახურება საზოგადოების განუხრელ

პროგრესს და ისტორიაში გამოჩენილ ადამიანთა როლი ამ მხრივაც განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. არსებითად საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნების ეს პროექტები ყალიბდება მოცემულ ეპოქებში ჩამოყალიბებული და გაბატონებული შეხედულებებისაგან განსხვავებული წარმოდგენებისა და იდეების საფუძველზე. ანტიკურ სამყაროსა და ფეოდალიზმის ეპოქებში სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ციცერონის, კამპანელას, მორის, მელიეს, მაბლის, მორელის, ვოლტერის, მონტესკიეს, რუსოს, სენ-სიმონის, ფურიეს, ოუენის, ბაბეფის და სხვათა მიერ შემუშავებული იდეალური სახელმწიფოს პროექტები თავისთავად არსებული საზოგადოების პოლიტიკური და სამართლებრივი ორგანიზაციის კრიტიკაა და მის საფუძველზე ზემოაღნიშნული მოაზროვნეები აყალიბებენ მათი წარმოდგენით ყველაზე სრულყოფილი საზოგადოების შექმნის გეგმებს.

ამ გაგებით ი. ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის პროექტები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მისი მეცნიერულობითა და დასაბუთებით. ი. ჭავჭავაძის მიერ მხატვრული შეხედულებების ფორმით ჩამოყალიბებული პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები, როგორც ზედნაშენის შემადგენელი ნაწილები, აქტიურ ზეგავლენას ახდენდა არა მარტო XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. არამედ იგი დღესაც აქტიურად ეხმაურება თანამედროვეობას. ეს მოძღვრებები გაბატონებული პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულია და ზოგჯერ აშკარადაც ეწინააღმდეგება მას. მოთხრობაში „სარჩობელაზედ" ი. ჭავჭავაძეს მხატვრული შეხედულების სახით გადმოცემული აქვს სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონის საფუძველზე ჩამოყალიბებული ოფიციალური, გაბატონებული წარმოდგენების საწინააღმდეგო სამართლებრივი მოსაზრება, კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ის, ვინც მოიპარავს სხვის ნივთს, ქურდია და იგი, როგორც დამნაშავე, უნდა დაისაჯოს. ი. ჭავჭავაძე მხატვრული შეხედულების ფორმით აყალიბებს სრულიად საწინააღმდეგო სამართლებრივ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იმ პირზე უფრო მეტი დამნაშავე, ვინც იპარავს სხვის ნივთს, ის საზოგადოებაა, რომელშიც ცხოვრების პირობები ისეთია, რომ ადამიანს ხელმრუდობის გარეშე არ შეუძლია იცხოვროს. რა თქმა უნდა, ეს შეხედულება აშკარად ეწინააღმდეგება კანონმდებლობის აზრს და სასამართლო პრაქტიკაში არ ყოფილა შემთხვევა ქურდობის, როგორც დანაშაულისათვის, სასჯელის შეფარდებისას ამ მოსაზრებით ეხელმძღვანელოს სამართლის შემფარდებელს, მაგრამ უდავოა, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონმდებლობის აზრისაგან ი. ჭავჭავაძის მიერ მხატვრული შეხედულების ფორმით ჩამოყალიბებული განსხვავებული მო-

საზრება უაღრესად პროგრესულია და იგი დადებით ზეგავლენას ახდენს არა მარტო საზოგადოებაზე, არამედ მოქმედი კანონმდებლობის განიოთარებაზეც, მართალია, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ნორმების საფუძველზე ჩამოყალიბებული პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების ქმედითობა იმითაა განპირობებული, რომ კანონით დადგენილი სახელმწიფო ბრძანებების შესრულებასა და საკალდებულობას უზრუნველყოფს თვითონ სახელმწიფო მისთვის დამახასიათებელი იძულებითი საშუალებებით, ხოლო მხატვრულ შეხედულებებში ჩამოყალიბებული სამართლებრივი წარმოდგენების საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალიზაცია სახელმწიფოს იძულებით არაა უზრუნველყოფილი, მაგრამ ამ უკანასკნელის რეალიზაცია და სამართლის ნორმებთან შედარებით ზოგჯერ მისი უფრო აქტიური ზემოქმედება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მის დამაჯერებლობასა და პროგრესულობაში უნდა ვეძებოთ. ამის ნათელი მაგალითია ევროპაში შუა საუკუნეებში გავრცელებული, მაგრამ უკვე შემდგომში დრომოჭმული და სახელმწიფოს მიერ დასაგმობად გამოცხადებული ცრურაინდობის წინააღმდეგ დადგენილი აკრძალვების უძლურება.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში, როცა სამეფო ხელისუფლება, როგორც ცენტრალური პოლიტიკური დაწესებულება სუსტი იყო და მხოლოდ ნომინალურად არსებობდა, ფართოდ გავრცელდა რაინდობის ინსტიტუტი. შუა საუკუნეების სამართლის ძეგლები ზუსტად განსაზღვრავენ რაინდობის ინსტიტუტის ყველა ძირითად მხარეს, კერძოდ, რაინდობის ცნებას, რაინდად გახდომასა და კურთხევას, რაინდულ წესებსა და ღირსებას, რაინდობის მითვისებასა და რაინდობის ჩამორთმევას და ა. შ. არსებული წესების თანახმად, რაინდი ვალდებული იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ინტერესების გარდა დაეცვა ქვრივ-ობოლნი გაჭირვებაში, არ შეესრულებინა უკეთური სამსახური, მიეღო ორთაბრძოლა უდანაშაულოთა გადასარჩენად, ღვთისა და ადამიანის მიმართ მოქცეულიყო უმწიკვლოდ და ა. შ.[1]

ფეოდალური დაქუცმაცებულობისას ქვეყანაში ერთიანი მართლწესრიგის დასამყარებლად რაინდობის ინსტიტუტმა დიდი როლი შეასრულა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ფეოდალური დაქუცმაცებულობა აღმოიფხვრა, ქვეყნის ცენტრალიზაციის შედეგად სამეფო ხელისუფლებამ შექმნა მუდმივი არმია და იგი ისე გაძლიერდა, რომ ქვეყანაში მართლწესრიგის დამყარება საკუთარ მონოპოლიურ უფლებად გამოაცხადა, რაინდობის ინსტიტუტმა დაკარგა მნიშვნელობა, ამიტომაც სამეფო ხელისუფლება ძლიერი ცენტრალიზებული ძალაუფლებით იბრძვის რაინ-

[1] შუა საუკუნეების სამართალი, ტ. 11, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დ ო ლ ი ძ ე მ, თბილისი, 1962, გვ. 426.

დობის გასაუქმებლად და ევროპაში ფართოდ გავრცელებულ ამ მოვლენას უკვე ცრურაინდობად აცხადებს. სამეფო ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ რაინდობა მტკიცე ჩვეულებას ემყარება და მისი ერთბაშად აღმოფხვრა შეუძლებელია, ამიტომ იგი თანდათანობით ზღუდავს რაინდობის ინსტიტუტთან დაკავშირებულ ცალკეულ მოვლენებს, კანონით კრძალავს ორთაბრძოლას, სდევნის რაინდად კურთხევის ცერემონიულ წესებს და ა. შ. მაგრამ რაინდობის ჩვეულება, როგორც ყველა ადათ-წესი, იმდენად გამძლე და მტკიცე აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს მიერ მრავალგზის მიღებულმა კანონებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათი შესრულება უზრუნველყოფილი იყო პოლიტიკური იძულებით, ქმედითი შედეგები ვერ გამოიღო, რაინდობის აღმოფხვრა სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებით შეუძლებელი აღმოჩნდა, თუმცა რაინდობის ინსტიტუტის არსებობისათვის ცენტრალიზებული სახელმწიფოების მიერ მუდმივი არმიების შექმნის შემდეგ საფუძველი უკვე აღარ არსებობდა.

ასეთ ვითარებაში, XVII საუკუნის დასაწყისში, გამოქვეყნდა გენიალური „დონ კიხოტი", რომელშიც სერვანტესის მიერ ჩამოყალიბებულმა მხატვრულმა შეხედულებებმა სახელმწიფოს მიერ საგანგებო კანონებით მრავალგზის უშედეგოდ აკრძალული დრომოჭმული რაინდობის აღმოფხვრის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა. სახელმწიფოს მიერ დადგენილ კანონებში ჩამოყალიბებულ აზრზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა მხატვრული შეხედულებების ფორმით მწერლის მიერ გადმოცემული მოსაზრებები საზოგადოებრივი ცხოვრების დრომოჭმული ინსტიტუტების აღმოსაფხვრელად.

ამრიგად, მართალია სახელმწიფოს მიერ დადგენილ კანონებში გადმოცემული მოსაზრებების ქმედითი ძალა ამ კანონების შესრულების სავალდებულობით განისაზღვრება, მაგრამ ზოგჯერ მწერლის მიერ მხატვრული შეხედულებების ფორმით ჩამოყალიბებული დებულებანი საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული მხარეების რეგულირების უფრო ეფექტური საშუალებაა, მიუხედავად იმისა, რომ მხატვრულ შეხედულებებში ჩამოყალიბებული წარმოდგენებისა და სენტენციების შესრულება სრულებითაც არაა უზრუნველყოფილი პოლიტიკური იძულებით. სწორედ ამაში გამოიხატება მხატვრული შეხედულების, როგორც ზედნაშენის განსაკუთრებული შემადგენელი ნაწილის სოციალური ღირებულება და მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ალბათ ამით უნდა აიხსნას ის დიდი ინტერესი და გამოხმაურება, რაც მოჰყვა ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასასრულს გამოქვეყნებულ ნაშრომებს, რომლებიც მიძღვნილია შექსპირის, გოეთეს, შილერის და სხვათა მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში გადმოცემული პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებებისადმი.

ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში ცალკეულ მოაზროვნეთა ნაშრომების მიხედვით სახელმწიფოსა და სამართლის ფილოსოფიის პრობლემების კვლევას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. მეცნიერული კვლევის ამ დარგს საფუძველი ჩაუყარა ი. ჯავახიშვილმა და მნიშვნელოვანი გამოკვლევებიც დაგვიტოვა და, რაც მთავარია, განსაზღვრა კვლევის უმთავრესი მიმართულებები და პრობლემები[1]. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის შესწავლას მიუძღვნეს თავიანთი მაღალმეცნიერული ნაშრომები საზოგადოებრივი მეცნიერების ცნობილმა წარმომადგენლებმა[2]. უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფოსა და სამართლის ფილოსოფიაში სწავლულ-იურისტთა მიერ საყურადღებო ნაშრომები გამოქვეყნდა[3], მაგრამ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. სისტემატურ გამოკვლევას მოითხოვს, რაც მომავლის საქმეა.

წინამდებარე გამოკვლევა მიზნად ისახავს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ი. ჭავჭავაძის ნაშრომებში დამუშავებული მოძღვრებების სისტემატურ და სრულ შესწავლას. სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ი. ჭავჭავაძის მოძღვრებებზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ იგი მეცნიერებაში უმთავრესად ცნობილია, როგორც პოეტი-მწერალი, რომლის ნაწარმოებებში ჩამოყალიბებული მხატვრული შეხედულებები, როგორც ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების უკვდავი შემადგენელი ნაწილები, აქტიურ ზემოქმედე-

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945; მისივე, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ქუთაისი, 1919; მისივე, ქართული სამართლის ისტორია. წიგნი II, ნაკვეთი პირველი, ტფილისი, 1928; მისივე, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1929.

[2] ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, იდეური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, თბილისი. 1963; ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი, 1973; გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1966; ჰ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1950; დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ქართული კრიტიკული რეალიზმი (აღმოცენება და დამკვიდრება, ტ. II, თბილისი. 1967; ვ. გ ა გ ო ძ ე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, თბილისი, 1962; მ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, ტ. I, თბილისი, 1959; მისივე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბილისი, 1976; ვ. დ ო ნ ა ძ ე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბილისი, 1970; ჰ. რ ა ტ ი ა ნ ი, ი. ჭავჭავაძე, მოღვაწეობა, აზროვნება. თბილისი, 1960; ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1951; მისივე, საქართველოს ისტორიის პრობლემები და თერგდალეულნი, თბილისი, 1972; ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბილისი, 1962 და ა. შ.

[3] ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, თბილისი, 1981; მისივე, სულხან-საბა ორბელიანის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 1959; ვ. ა ბ ა შ მ ა ძ ე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 1969; ვ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოზე და სამართალზე, თბილისი, 1977; მისივე, აკაკი წერეთლის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 1980; ვ. ფ ე ვ ნ ი ა, სამართლიანობისა და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პრობლემები, თბილისი, 1978 (რუსულ ენაზე) და ა. შ.

ბას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვან პრობლემებზე, ემყარება ღრმა მეცნიერულ საწყისებს და ყოველთვის განმტკიცებულია თავისი დროის მეცნიერული მიღწევებით.

კაცობრიობის ისტორიაში ცნობილი ყველა მწერალი და პოეტი, როგორც მოაზროვნე, საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბებისას სარგებლობს თავისი ეპოქის მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნით, მაგრამ მწერალი-პოეტი რომ თვითონ იყოს თავისი დროის მეცნიერების განვითარების დონეზე, მეტიც, მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში აღრმავებდეს და ანვითარებდეს მეცნიერების ამა თუ იმ დარგს ახალ-ახალი მიღწევებით, იგი მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ შ. რუსთაველის შემდეგ ქართული ლიტერატურის კლასიკოსებიდან ი. ჭავჭავაძის ნააზრევი ყველაზე მეტად ემყარება მეცნიერულ საფუძვლებს, მეტიც, იგი ემსახურება მეცნიერების ცალკეული დარგების განვითარებასაც. დასტურდება, რომ მეცნიერული აზრის ისტორიიდან ბევრი რამ, რაც შუა საუკუნეების საქართველოში ცნობილი იყო შ. რუსთაველისათვის (ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ანტიკური სამყაროს მეცნიერული მიღწევები, შუა საუკუნეების კულტურა). სამწუხაროდ, ჩვენთვის მთელი სისრულით დღეისათვის ჯერჯერობით უცნობია, რითაც აიხსნება შ. რუსთაველის მსოფლმხედველობის შეფასებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა. ასევე, ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებები ცხადყოფენ, რომ მისი ავტორი შესანიშნავად იცნობს წარსული საუკუნეებისა და, განსაკუთრებით, XVIII—XIX სს. მეცნიერულ აზრს, კერძოდ, ი. ჭავჭავაძის თეორიული მსჯელობების მეცნიერულობაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მის თხზულებებში მითითებული და გამოყენებული მოაზროვნეების ნაშრომები. როცა ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ამ თავისებურებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა მარტო მხატვრული შეხედულებების მეცნიერულობა, არამედ ისიც, რომ ი. ჭავჭავაძეს არსებულ დონესთან შედარებით განვითარებული აქვს მეცნიერული აზრი სხვადასხვა დარგების მიხედვით. ამ მხრივ საგანგებოდ გვინდა შევეხოთ ი. ჭავჭავაძეს, როგორც მოაზროვნესა და სწავლულ იურისტს, რომელმაც დიდი წელილი შეიტანა XIX ს. იურიდიული მეცნიერების განვითარებისა და, საერთოდ, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის მრავალი სადავო საკითხის გადაჭრაში.

ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძე იურიდიულ მეცნიერებას დაეუფლა პეტერბურგის უნივერსიტეტში გამოჩენილი სწავლული-იურისტების ხელმძღვანელობით. იურიდიული მეცნიერების აქტუალური საკითხების გადაწყვეტას მიუძღვნა ი. ჭავჭავაძემ ფილოსოფიურ-პოლიტიკური და სამართლებრივი ტრაქტატები „ცხოვრება და კანონი“, „ერი და ისტორია“, „ავლაბრელების საქმე“, „გლეხთა მამულების ვალში გაყიდვა“,

„სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხებზე“, „წოდებათა თანასწორობა“, „სამართალი და ზღვევა“, „უკანონოდ შობილთა უფლება“, „ხიზნების საქმე“, „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა“, „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“, „სანოტარო დებულების 168 მუხლი და მისი შეფარდება თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ“ და ა. შ. ზემოაღნიშნული ნაშრომები წარმოდგენას გვაძლევენ ი. ჭავჭავაძეზე, როგორც დიდ მოაზროვნე სწავლულ-იურისტზე, რომლის მოძღვრებები სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ფილოსოფიის საკითხებზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ მაღალკვალიფიციური იურიდიული მსჯელობებითა და სამართლის მეცნიერების შესანიშნავი ცოდნით, სამართლის ნორმაში გადმოცემული კანონმდებლის ნების ზედმიწევნით ზუსტი გაგებითა და საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი სამართლის ეფექტური მისადაგების უზადო ოსტატობით, იურიდიული ინსტიტუტების არსის ღრმა გაგებითა და მაღალი სამართლებრივი კულტურით, საკუთარი პოლიტიკური იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში იურიდიული მეცნიერების მიღწევების მოხერხებული გამოყენებით.

არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმასაც, რომ იურიდიული მეცნიერების პრობლემები ხორცშესხმულია ი. ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებებში. ამ მხრივ ი. ჭავჭავაძის დიდ წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ შ. რუსთაველი, რომლის „ვეფხისტყაოსანის“ სიუჟეტური ეპიზოდები განვითარებულია მრავალი ფილოსოფიური და პოლიტიკურ-სამართლებრივ სენტენციის მიხედვით. ი. ჭავჭავაძის მხატვრული ნაწარმოებების გმირები მოქმედებენ ისეთ საზოგადოებაში, სადაც ადამიანთა ურთიერთობებს არეგულირებს სახელმწიფო და სამართალი, ამიტომაც ამ ნაწარმოებების ყველა სიუჟეტურ ეპიზოდში აშკარად ჩანს მისი ავტორის შეხედულებანი სახელმწიფოზე და სამართალზე. ჩვეულებრივად სახელმწიფო და სამართალი ისეთი დაწესებულებებია, რომლებიც წოდებებთან, კლასებთან, კლასობრივ ბრძოლასთან არის დაკავშირებული. სახელმწიფო და სამართალი საბოლოო ჯამში კლასობრივი ბატონობის ორგანოა. ი. ჭავჭავაძის ყველა ნაწარმოებიდან ჩანს, რომ საზოგადოებაში არსებობენ მდიდრები და ღარიბები, რომ მდიდრების ბატონობას, მათ თვითნებობასა და ძალადობას ღარიბთა მიმართ ზურგს უმაგრებს მოხელეები, სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი დაწესებულებანი, მაგრამ ი. ჭავჭავაძე გმობს საზოგადოებაში მდიდრების ღარიბებზე ბატონობას; იბრძვის ისეთი საზოგადოებისათვის, რომელშიც არ იქნება კლასობრივი ბატონობა და სახელმწიფო და სამართალი ერთნაირად დაიცავს მთელი საზოგადოების ინტერესებს. ამით უნდა აიხსნას, რომ ი. ჭავჭავაძე არც ერთი კლასის პარტიას არ ეკუთვნოდა, დაუშვებლად მიიჩნევდა საზოგადოებაში რომელიმე კლა-

სის ბატონობას, იგი გამოდიოდა ერის სახელით და აქტიურად იბრძოდა მთელი ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან გასათავისუფლებლად, საყოველთაო სიკეთისა და ბედნიერებისათვის. მის პოლიტიკურ იდეალს შეადგენდა ისეთი საზოგადოება, რომელშიც არ იქნება მდიდარი და ღარიბი და აქედან წარმომდგარი კლასობრივი ბრძოლა, ყველა პირობა იარსებებს მძლავრი საზოგადოებრივი პროგრესისათვის. ამრიგად, სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ი. ჭავჭავაძის ბრძოლა გულისხმობს არა მარტო ბატონყმობისა და მისი ნაშთების მოსპობას, არამედ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველგვარი ექსპლუატაციის ლიკვიდაციას. ამ მიზნის მიღწევას ი. ჭავჭავაძე უკავშირებდა ხალხის ფართო მასების, მისი ყველა ფენის აღზრდას და განათლებას უმაღლესი სიკეთისა და სათნოების მიხედვით. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ პრინციპებზე აღზრდილი და გათვითცნობიერებული ხალხის ერთსულოვან ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის, გრანდიოზულ და დიად რევოლუციას შედეგად მოჰყვება უდიდესი ბედნიერება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღმოიფხვრება ტირანია, ძალადობა და სოციალური ჩაგვრა, რომელიც შეუთავსებელია ადამიანთა ბუნებით უფლებებთან. აღსანიშნავია, რომ ი. ჭავჭავაძე ზემოაღნიშნული სოციალურ-პოლიტიკური იდეალის განხორციელებას მიიჩნევდა XIX საუკუნის მიერ XX საუკუნისათვის ნაანდერძევ უმთავრეს ამოცანად და სწამდა. რომ არა ერთი რომელიმე კლასის რევოლუციური ბრძოლა, არამედ მეცნიერებას და ცოდნას დაუფლებული მთელი ერის დიადი რევოლუცია უზრუნველყოფს საზოგადოებრივ პროგრესს, ადამიანთა შორის სიმდიდრის მეტ-ნაკლებად განაწილებისა და კლასობრივი ბატონობის მოსპობას. აქედან ცხადია, რომ ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა ბურჟუაზიულ განმანათლებლობასთან ერთად რევოლუციურ დემოკრატიზმს ემყარება.

სოციალური ჩაგვრის მოსპობასთან ერთად ი. ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ეროვნული ჩაგვრის აღმოფხვრა. დიდი და ძლიერი ერების მიერ პატარა და სუსტი ერების ჩაგვრა შეუთავსებელია ბუნებით სამართალთან, რომლის მიხედვით ყველა ადამიანი თავისუფალი და თანასწორია. ი. ჭავჭავაძე ყურადღებით სწავლობს ევროპის ქვეყნებში დაწყებულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობასა და მის მიზნებს, ერთა თვითგამორკვევისა და მათი პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხებს, იბრძვის მილიტარიზმისა და გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ. ი. ჭავჭავაძის მიერ შემუშავებულ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ პროგრამაში უმთავრესი ადგილი უკავია ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრის მოსპობას. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თერგდალეულთა ლიდერმა ი. ჭავჭავაძემ საფუძველი ჩაუყარა ქართველი ხალხის ეროვ-

ნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს. ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიაში ი. ჭავჭავაძემ 1832 წლის შეთქმულებისაგან განსხვავებით პირველმა დააფუძნა მეცნიერულ საწყისებზე რუსეთის სახელმწიფოში ქართველთა ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციის რეალური პროგრამა, რომლის ძირითადი მოთხოვნაა რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების შემდეგ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა ავტონომიის ფორმით.

რუსეთის სახელმწიფოში გაერთიანებული ხალხების ნორმალური ცხოვრების აუცილებელ წანამძღვრად ი. ჭავჭავაძეს მიაჩნდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობა, რასაც შესწირა მან მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე. ი. ჭავჭავაძემ საოცარი წინასწარმეტყველებით განკვრიტა კაცობრიობის განვითარების მომავალი იდეალები და შედეგები, რაც იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიაში წარმოადგენდა ახალსა და დიადს და რითაც იგი ძალიან ახლოს დგას თანამედროვეობასთან. ი. ჭავჭავაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამ თავისებურების გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის შეფასებისას, რადგან, როგორც ცნობილია, „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“[1]. ი. ჭავჭავაძე, როგორც ერის მესაიდუმლე და წინამძღოლი მუდამ ქართველ ხალხთანაა და მისი მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ყოველთვის ერის უშრეტი სულიერი წყაროა: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!... მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული. შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა, ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული“[2]. მართლაც, ჭირსა და ლხინში ქართველი კაცი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საჭირბოროტო კითხვაზე პასუხს მუდამ პოულობს ი. ჭავჭავაძის უკვდავ ნააზრევში.

ი. ჭავჭავაძის მოძღვრებებს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ საფუძვლად უდევს თავისი დროისათვის მოწინავე, მაგრამ არსებითად მარქსამდელი მატერიალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც განმანათლებლობისა და რევოლუციურ-დემოკრატიზმის პოლიტიკურ რწმენას ემყარება. ი. ჭავჭავაძის სიდიადე იმაშია, რომ XIX საუკუნის მემამულურ-ბურჟუაზიულ რუსეთში მან შესძლო ასულიყო ისეთ სიმაღ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 217.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 1, გვ. 135.

ლეზე, რომ თავისი დროის უდიდეს მოაზროვნეებს გაუტოლდა. ი. ჭავ-ჭავაძის, როგორც თავისი დროის გამოჩენილი მოაზროვნის, რევოლუ-ციონერ-დემოკრატისა და დიდი განმანათლებლის მსოფლმხედველობა ემსახურებოდა ხალხთა საყოველთაო კეთილდღეობასა და ბედნიერებას, მთელი საზოგადოების განუხრელ პროგრესს. საზოგადოებრივი ცხოვ-რების გარდაქმნის მის მიერ შემუშავებული პროგრამა, კერძოდ, სოცია-ლური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობა, ხალხის ფართო მასების განათ-ლება და შეგნებულობის ამაღლება, თვითმმართველობის საფუძველზე რუსეთის სახელმწიფოში ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობა ავტონომიის ფორმით, კაცობრიობის მუდმივი პროგრესი და ა. შ., ცხადყოფს, რომ ი. ჭავჭავაძე იყო ჰუმანისტ-განმანათლებელი, რომელიც კაცობრიობის უკეთეს მომავალს მთელი ერის სულიერი ცხოვრების ამაღლებაში ხედავდა. ამ მხრივ ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედ-ველობა უკავშირდება რუს განმანათლებლებს, რომელთაც ახასიათებ-დათ „მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმართველობისა, თავისუფ-ლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა და საერთოდ რუსეთის ყო-ველმხრივი ევროპეიზაციისა"[1].

მაგრამ ი. ჭავჭავაძე რუს განმანათლებლებს შორს გასცდა, კერძოდ, განმანათლებლებისაგან განსხვავებით იგი თავისი პოლიტიკური იდე-ალის განხორციელებას მარტო ხალხის ფართო მასების განათლებისა და ცოდნის ამაღლებას კი არ უკავშირებდა, არამედ XIX საუკუნის რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ზეგავლენით იგი საზოგადოების შემ-დგომ პროგრესს დიად სახალხო რევოლუციაში ხედავდა, თუმცა რე-ვოლუცია მას გაგებული ჰქონდა არა როგორც ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი ერის, ხალხის, როგორც მშვიდობიან, ასევე შეიარაღე-ბულ ბრძოლად საერთო ინტერესების განსახორციელებლად კაცობრი-ობის უკეთესი მომავლისათვის. ი. ჭავჭავაძე იქიდან გამოდიოდა, რომ ყველა კლასი ერთნაირადაა დაინტერესებული საზოგადოებრივი პროგ-რესით და ბუნებრივია, რომ თავისი დროის განმანათლებლური და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები განსაზღვრავს მის მოწინავე მსოფლმხედველობას, რომლის ერთ-ერთ ძირითად ნაწილს შეადგენს სა-ხელმწიფოს და სამართლის შესახებ მოძღვრებები.

ჭავჭავაძე მის მიერ შემუშავებულ პოლიტიკურ და სამართლებ-რივ მოძღვრებებს სისტემატურად სრულყოფდა საზოგადოების მატე-რიალური და სულიერი ცხოვრების შესაბამისად და რაც მთავარია, აქ-ტიურად იბრძოდა მათ განსახორციელებლად მეფის თვითმპყრობელო-ბის რეაქციული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში. ი. ჭავჭავაძის, რო-გორც დიდი განმანათლებლისა და რევოლუციონერ-დემოკრატის ეს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 626.

ბრძოლა ძირითადად მიმართული იყო მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა მის დამხობას და მშრომელი ხალხის ინტერესების შესაბამისი ახალი, ექსპლუატაციისაგან თავისუფალი საზოგადოებისა და მისი პოლიტიკური ბუნებით განსაზღვრული სახელმწიფოს შექმნას. ამ საერთო მიზანთან ერთად, პირველ რიგში, მის პოლიტიკურ ინტერესებს შეადგენს ქართველი ხალხი და საქართველო, სადაც კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის არ არსებობის გამო შექმნილია რუსეთისა და დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებული სოციალური პირობები. მისი აზრით, ქართველი ხალხის სოციალური მთლიანობა განაპირობებს მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური და ეროვნული ინტერესების ერთიანობასაც, კერძოდ, ყველა ქართველი ერთნაირადაა დაინტერესებული საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენითა და სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნებით.

რუსეთის თვითმპყრობელობის მძიმე და რეაქციული რეჟიმის პირობებში ილია ჭავჭავაძეს ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის შესახებ მის მიერ შემუშავებული მოძღვრებების გადმოცემა უხდებოდა „ენის კვნეტით“ და ამ მოძღვრებების საფუძველზე შედგენილი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლას იგი დიდი სიფრთხილით აწარმოებდა. მაგრამ როგორც კი შეიქმნა ქვეყანაში ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაცია, მისი ბრძოლა ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის აშკარა და გაბედული გახდა. მრისხანე 1905 წლის რევოლუციამ გამოაფხიზლა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ნათლად და სრულად ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკური იდეალი და აქტიურად დაიწყო ბრძოლა მისი რეალიზაციისათვის. ი. ჭავჭავაძის აზრით 1905 წლის რევოლუციით გამოწვეული მეფის თვითმპყრობელობის კრიზისი გამოყენებული უნდა იქნეს მთელ ქვეყანაში და კერძოდ, საქართველოში დიდი სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნულ-პოლიტიკური გარდაქმნებისათვის: „დღეანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერ არს“[1]. ამ მიზნით ილია აქტიურად იბრძვის 1905 წლის რევოლუციით დაშინებული მეფის თვითმპყრობელობის მიერ შექმნილ სახელმწიფო სათათბიროში და აგრეთვე სახელმწიფო საბჭოში, როგორც მისი აქტიური წევრი. აქ ი. ჭავჭავაძე მოითხოვს მთელ რუსეთში აგრარული რეფორმისა და სხვა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებას, რუსეთის პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად ასაბუთებს სიკვდილით დასჯის აკრძალვას, იბრძვის გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ფართო ავტონომიის საფუძველზე და ა. შ.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 280.

მეფის თვითმპყრობელობის რეაქციული სოციალურ-პოლიტიკური სისტემისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატების კრიტიკული გამოსვლების გამო იგი აღფრთოვანებას ვერ მალავს. სახელმწიფო სათათბიროში ერთ-ერთი დეპუტატის გამოსვლის შემდეგ ცარიზმის ულმობელი კრიტიკით აღფრთოვანებულ ილიას უთქვამს: „მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა... ნეტავ რა გუნებაზე არიან მინისტრები? ძლიერი მათრახია, ურყევ საფუძველზე აშენებული. ღირსშესანიშნავი აქ ის არის, რომ ნაბოკოვი მინისტრის შვილია. იცის მინისტრების სუსტი მხარე"[1]. მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ი. ჭავჭავაძე მკვეთრად ემიჯნება მემარჯვენე რეაქციონერებს და უკავშირდება რუსეთის პროგრესულ ძალებს, რომელთა შორის იგი დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობს.

1905—1907 წლებში ილიას აშკარა და გაბედული ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბევრ ქართველ მოღვაწეს აშინებდა. ცნობილია, რომ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მის მიერ შედგენილი მოხსენების წაკითხვას სახელმწიფო საბჭოში, როგორც ანტიცარისტულ მოქმედებას, ზოგიერთები ილიას არ ურჩევდნენ: „სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოს, რა თქმა უნდა, მაგრამ ერთი რამ არ მომწონს. რატომ მაინც და მაინც შენ, ქართველმა უნდა იკისრო სახელმწიფო საბჭოში ეს მოხსენების წაკითხვა? იქ რუსები განა ცოტაა? პროფესორები, მეცნიერები... რატომ ისინი არ იკისრებენ?! დარწმუნებული ვარ ასეთი დაუფიქრებლობით მთელ საქართველოს საქმეს ვაფუჭებთ... ისევ რუსებმა წაიკითხონ"[2].

ილია არაფრად აგდებდა ამ გაფრთხილებას, პირიქით, სამოცდაათი წლის მოხუცი ახალგაზრდული გამბედაობით აგრძელებდა ბრძოლას: „ერიჰაა... საიდან სადაო. ამით რა უნდა წახდეს, მაგის ნუ გეშინია. ჩემს აზრს და გადაწყვეტილებას არ გადავთქვამ"[3]. თავისი დროისათვის რევოლუციურად მიაჩნდათ აგრეთვე ილიას თანამედროვეებს მისი ბრძოლა სახელმწიფო სათათბიროში და სახელმწიფო საბჭოში გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის ფართო ავტონომიის უფლებით აღდგენისათვის, რადგან იგი ძირს უთხრიდა რუსეთის იმპერიის მთლიანობას. ილიას თანამებრძოლი, ცნობილი სამოციანელი ნ. ნიკოლაძეც კი სახელმწიფო სათათბიროში და სახელმწიფო საბჭოში ფართო ავტონომიის უფლებით გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ილიას ბრძოლას საშიშ მოქმედებად თვლიდა და ურჩევდა ილიას ხელი აეღო ამ განზრახვაზე. ნ. ნიკოლაძეს ილიასათვის უთქვამს: „მე ბევრს საბჭოს წევრს ველაპარაკე და ვიცნობ კარგად, რაც არიანო

---

[1] ლერნ. „განათლება", 1908. № 3—4, გვ. 115—116.
[2] იქვე, გვ. 111.
[3] იქვე.

და არავინ არ დაგიჭერს იქ მხარსაო, და მაგ გამოსვლით საქართველოს მარტო ზიანს მიაყენებო, **ეგ მეტის მეტი გაბედული მოთხოვნაა**, როგორ უნდა გაუბედოთ რუს ხელმწიფესაო"[1]. ილიამ ამჯერადაც ყურად არ იღო ეს გაფრთხილება, პირიქით, უფრო მეტი აქტივობით შეუდგა ბრძოლას ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

მეფის თვითმპყრობელობის მიერ შექმნილ დაწესებულებაში მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობა, საქართველოსათვის ფართო ავტონომიის მოთხოვნა, რაც რუსეთის იმპერიის მთლიანობას არღვევდა და ამ საკითხზე ქართველ სოციალ-დემოკრატებთან დაახლოება, რუსეთის განაპირა მხარეების პროგრესულ ძალებთან კავშირის დამყარება, რეაქციული კანონმდებლობის წინააღმდეგ გაბედული გამოსელები და ა. შ., მხედველობიდან არ გამოპარვია ცარიზმის ერთგულ დამქაშებს. ილიას წინაშე საშინელი საფრთხე აღიმართა, რასაც ყველაზე კარგად თვითონ ილია გრძნობდა, რომელსაც უთქვამს: „ჰორიზონტი შავად იღრუბლება და ახლო მომავალი არას მპირდება. ჩემნი დღენი კარგს არას მოესწრება"[2].

ბრძოლებით დაღლილ-დაქანცულმა ილიამ ასალ-ახალი ძალების მოსაკრებად და დასასვენებლად მშობლიურ საქართველოში ჩამოსვლა გადაწყვიტა იმ იმედით, რომ აქ ვერ მისწვდებოდა მტარვალთა ხელი. გამომგზავრებისას ილიას უთქვამს: „მე არავინ არას მიზამს საქართველოში. შიშით განა აქ უფრო არ უნდა მეშინოდეს?"[3]. მაგრამ მტრები ემზადებოდნენ ილიასთან საბოლოოდ ანგარიშის გასასწორებლად, მისი დღეები დათვლილი იყო. საქართველოს უკეთესი მომავლისათვის თავდადებული მებრძოლი ილია ჭავჭავაძე ვერაგულად მოკლეს მშობლიურ ქვეყანაში.

ისტორიული მოვლენები მეორდება. ოცდაოთხი საუკუნის წინათ 70 წელს მიღწეული ანტიკურობის პოპულარული მოაზროვნე სოკრატე, რომელმაც მეცნიერებას ადამიანთა კეთილდღეობის მიღწევის ამოცანები დაუსახა, რისთვისაც დაუღალავად იბრძვის შემდგომი თაობების აზრი და ფიქრი, ვერაგულად გამოასალმეს წუთისოფელს თანამემამულეებმა, მაგრამ მოგვიანებით მშობლიური ხალხი მკაცრად გაუსწორდა ბრალმდებლებს, ხოლო თვით მას კი ძეგლი დაუდგეს და მისი სწავლება ფართოდ გავრცელდა. 70 წელს მიღწეული ქართველი ხალხის სულიერი მამა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მშობლიური ქვეყნის შემდგომი განვითარების დიდი პროგრამა დასახა, სწორედ თანამემამულეებმა მოკლეს ვერაგულად, მაგრამ მოგვიანებით იგივე მშობლიური ხალხი სას-

---

[1] ჟურნ. „ცისკარი", 1981, № 7, გვ. 122.
[2] ჟურნ. „განათლება", 1908, № 3—4, გვ. 121.
[3] იქვე, გვ. 135.

ტიკად გაუსწორდა მკვლელებს, თვითონ ილიას კი მარადიული ძეგლი დაუდგეს და მისი სწავლება ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ილიას შემოქმედებით მემკვიდრეობაში ქართველ კაცს ყოველთვის შეუძლია იპოვოს პასუხი ერის საჭირბოროტო კითხვებზე. ჩვენი ინტერესის საგანს შეადგენს დიდი ქართველი მოაზროვნის მიერ ეროვნული სინამდვილის მიხედვით შემუშავებული სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი მოძღვრებები.

დასასრულ მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომს ხელნაწერში გაეცნენ პროფესორები დევი სტურუა, ვლადიმერ მერკვილაძე, გრიგოლ მარგიანი, ავთანდილ იოსელიანი, ოთარ ჟორდანია, ივანე სურგულაძე, ვალერიან მეტრეველი, მიხეილ კეკელია და ვალერიან ფარქოსაძე. დიდი მუშაობა ჩაატარა წიგნის რედაქტორმა პროფესორმა მიხეილ გაფრინდაშვილმა. ნაშრომის ხელნაწერზე მის მიერ აკად. ლ. გორგილაძის რედაქტორობით გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში, მითითებული შენიშვნები (იხ. მ. გაფრინდაშვილი, „ეროვნული და კლასობრივი ილია ჭავჭავაძის განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ-სოციალისტურ მსოფლმხედველობაში“, თბ., „მეცნიერება“, 1987, გვ. 117—118) წინამდებარე წიგნში გათვალისწინებულია.

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია გულწრფელი მადლობა გადავუხადო ზემოაღნიშნულ მეცნიერებს საყურადღებო შენიშვნებისათვის.

# თავი I. ი. ჭავჭავაძის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ

## § 1. პირველყოფილი საზოგადოების რღვევა, ჭერძო საკუთრების, კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა

ი. ჭავჭავაძეს სახელმწიფო წარმოდგენილი აქვს ისეთ დაწესებულებად, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოებაში ადამიანთა მდგომარეობას და მათ საქმიანობას წარმართავს გარკვეული მიზნის მისაღწევად. მაგრამ სახელმწიფო არ არის მარადიული მოვლენა, იგი გაჩნდა საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე. ისტორიულ ცხოვრებაში სახელმწიფოს გაჩენა შეიძლება წარმატებით იქნას გამოკვლეული, რადგან როგორც წესი, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენები საერთოდ შეცნობადია. ამ მოვლენებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსა და სამართალს, რომელთა წარმოშობა თანამედროვეთაგან არავის არ ახსოვს, მაგრამ „მჭრელი და გამომძიებელი გონება ადამიანისა თავგამოდებული იბრძვის შეიტყოს სასურველი, გაიგოს, ახსნას უტყუარად და შეუცდომლად... ამისთანა სფერო საცოდნელისა, თუ საცნაურისა, ყველა მეცნიერებაში არის და, სხვათა შორის ისტორიაშიც. ისტორიაში ეგ სფერა პირველყოფილი, პირველდაწყებითი მდგომარეობაა თვითეულისა ერისა და აქედამ მთელი კაცობრიობისაც. ეს მდგომარეობა იმ ხანას ეკუთვნის, რომელიც ისტორიის წინადყოფილს დროს ეძახიან, ესე იგი იმ დროს, რომლის ხსოვნა არა აქვს ისტორიას, და მოუსვენარი, ცოდნის ხარბი გონება ადამიანისა კი სცდილობს, რაც ისტორიას არ დაუხსომებია, იგი თვითონ გვიამბოს, გვაცოდნინოს"[1].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით ისტორიული მოვლენების შესწავლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს აწმყოს მომავალში განვითარების განსაზღვრისათვის. ისტორიული მოვლენები მეორდებიან, წარსულის გაკვეთილებზე დაკვირვებით სავსებით შეიძლება გარკვეული იქნას თანამედროვე ცხოვრების მოვლენათა განვითარების კანონზომიერებანი: „ისტორია სხვა რაა, თუ არ გამორკვევა, თუ არ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან"[2]. წარსული, აწმყო და მომავალი საზოგადოებრივი ცხოვ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 27—28.
[2] იქვე, გვ. 35.

რების სამი სხვადასხვა საფეხურია, მაგრამ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების არსი შეუძლებელია წარმოდგენილი იქნეს მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის გარეშე. ხალხი, ერი, სახელმწიფო შეუძლებელია ურყევი, მტკიცე და ძლიერი იყოს, თუ მათი განვითარების განსაზღვრისას წარსულის გაკვეთილებზე აწმყოს მოვლენები არ გავითვალისწინეთ: „დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოვლის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან — მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო — მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა, ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეოროდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია. ამიტომაც არის ნათქვამი ერთის ბრძნისაგან, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მერმისისაო"[1].

ი. ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ რადგან ბუნებისა და საზოგადოების მოვლენები შეცნობადია, შეიძლება შესწავლილ იქნას ისეთი მოვლენებიც, რომელთა შესახებ ცალკეულ ხალხში მის შესახებ წარსულიდან არავითარ ცნობებს არ მიუღწევია, თუკი შეირჩევა მეცნიერული კვლევის ყველაზე მოწინავე მეთოდი. ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების კვლევის ერთ-ერთ ჭეშმარიტ მეთოდად ი. ჭავჭავაძე მიიჩნევს ახალი დროის ინგლისური მატერიალიზმისა და საერთოდ, ცდისეული მეცნიერებების ფუძემდებლისა და შუა საუკუნეების სქოლასტიკისა და ღვთისმეტყველების წინააღმდეგ გაბედული მებრძოლის ფრენსის ბეკონის (1561—1626 წწ.) მიერ შემუშავებულ ისტორიულ — შედარებით, ინდუქტიურ მეთოდს[2], რომლის მიხედვითაც შემეცნების პროცესი უნდა ემყარებოდეს ცალკეული მოვლენებისა და საგნების ანალიზს, ამ მოვლენებსა და საგნებს შორის არსებულ მიზეზობრივ კავშირს, დიდი რაოდენობის ფაქტების შეგროვებასა და მათ ურთიერთშედარებას. მოგვიანებით, ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, როგორც ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებისა და საგნების შესწავლის მეცნიერული ხერხების ერთობლიობა, ასე თუ ისე სრული სახით ჩამოაყალიბა ჯონ სტიუარტ მილმა (1806—1873 წწ.) და მან შემდგომი განვითარება ჰპოვა მეცნიერების სხვადასხვა დარგებში ტეილორის, ეიჰგოფის, ფრიმანისა და სხვათა ნაშრომებში. როგორც ირკვევა, ი. ჭავჭავაძე პირველწყაროებით იცნობს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ფუძემდებელთა მოძღვრებას და მას შესანიშნავად იყენებს მოწინააღმდეგეების მიმართ პოლემიკაში. თავის ნაშრომში — „აი ისტორია" — ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს ცნობილ ქართველ ხალხოსანს ი. ჯაბადარს, რომელიც რევოლუციური

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 200.
[2] ვ. გ ა გ ო ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, გვ. 73.

საქმიანობისათვის მეფის მთავრობამ სხვებთან ერთად 1877 წელს გაასამართლა და ციმბირში გადაასახლა ათი წლით. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ი. ჯაბადარმა 1889 წელს გაზ. „Северный Вестник"-ში გამოაქვეყნა სტატია — „წერილები საქართველოს შესახებ", რომელშიც შეურაცხყოფილია ქართველი ერი, მისი წარსული და აწმყო. ამასთან ერთად, ი. ჯაბადარი ამტკიცებდა, რომ ქართული ისტორიოგრაფია არ იცნობს კვლევის ისტორიულ-შედარებით მეთოდს და ამ თვალსაზრისით საქართველოს ისტორია ჯერჯერობით არავის არ გამოუკვლევიაო. ი. ჭავჭავაძე, რომელიც, როგორც ჩანს, შესანიშნავად იცნობდა მეცნიერული კვლევისას ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მოთხოვნებს, ცხადყოფს, რომ ავტორი სტატიისა — „წერილები საქართველოს შესახებ" — თვითონ ვერ ერკვევა ისტორიულ-შედარებითი მეთოდის არსში. ი. ჭავჭავაძე წერს: „ძალიან ვწუხვართ, რომ კარგა ხანს თავი უნდა დავანებოთ ავტორსა და შეეუდგეთ იმის ახსნას, თუ რის მომასწავებელია „შედარებითი მეთოდი" და რასა ნიშნავს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ, გავიგოთ, — რის არცოდნა უკიჟინებია ავტორს ჩვენის ლიტერატურისათვის. ესე იგი, რა მოუთხოვნია ჩვენგან, რომ იგივე მოვსთხოვოთ თითონ მას, რადგანაც — როგორც ეტყობა — იგი ამ მეთოდისათვის თავგამოდებულია და თავგადადებული. რა თქმა უნდა, ვრცლად ამის ახსნას ვერ გამოვუდგებით, რადგანაც ამისთვის არც დროა და არც ადგილი პატარა გაზეთში. ამის ახსნას ჯონ სტუარტ მილლმა რამდენიმე დაბეჭდილი თაბახი მოანდომა თავის სახელოვან თხზულებაში, რომელსაც „სისტემა ლოღიკისა" ჰქვიან"[1].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით მეცნიერული კვლევის ისტორიულ-შედარებითი მეთოდი იმ უტყუარ ფაქტს ემყარება, რომ „ყოველს ერს დედამიწის ზურგზედ თითქმის ერთნაირი გზა გამოუელია სარჯულო ფილოსოფიისა, და ამ ფილოსოფიას ერთნაირი, ერთგვარი ჩვეულება მოჰყოლია, ბოლოს წესად და რიგად გადაქცეული"[2]. საზოგადოების განვითარების კანონები ერთნაირად მოქმედებს ყველა ხალხში, რაც საშუალებას იძლევა ცალკეულ ხალხთა ისტორიული ცხოვრების მოვლენების ურთიერთშედარების საფუძველზე განვსაზღვროთ და გავარკვიოთ საკვლევი მოვლენების არსი და ამ მოვლენათა ადგილი კაცობრიობის ისტორიაში. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით ისტორიულ-შედარებითი მეთოდის საფუძველს წარმოადგენს ის, რაც სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაში საერთოა. შექმნილი და ჩამოყალიბებული საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონების მოქმედების საფუძველზე, რომელსაც უნდა დავეუფლოთ. სხვათა შორის, ამ ზოგადი კანონების არსებობა განაპირობებს თვითონ მეცნიერებას. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ ზოგადი კა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 21—22.
[2] იქვე, გვ. 125.

ნონები ყველგან, ყველა ქვეყანაში ერთნაირად მოქმედებს და ასე რომ არ იყოს „თითონ მეცნიერებაც, რომელიც სხვა არა არის რა, გარდა მისი, რომ კრებაა ზოგადის კანონებისა, ფუჭი სიტყვა იქნებოდა"[1]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ამ ზოგადი კანონების შესაბამისად ყველა ხალხს გაელილი აქვს ერთი და იგივე ისტორია, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ზოგმა ხალხმა სწრაფად განვლო განსაზღვრული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილება, ზოგმა კი — შედარებით ნელა და დიდხანს მოუნდა უფრო მაღალ წყობილებაზე გადასვლას. მაგრამ ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის ისტორიის გაუბრალოებიდან წარმომდგარი საფრთხეც, კერძოდ, ის, რომ თუ საზოგადოების განვითარების ამ ზოგად კანონზომიერებას ფეტიშად ვაქცევთ, შეიძლება ყველა ხალხის ისტორიული განვითარება ერთმანეთთან მთლიანად გაიგივებული იქნეს. ამ გაგებით, ი. ჭავჭავაძე ისტორიული მეცნიერების შესწავლის ამოცანათა განსაზღვრისას იმდროინდელ მკვლევარებზე მაღლა დგას და მის მოძღვრებაში დაძლეულია როგორც ნეოკანტიანელების, ასევე ორგანული თეორიისა და სოციალური დარვინიზმის წარმომადგენელთა მოძღვრებების შეზღუდულობა.

წინააღმდეგ ბურჟუაზიულ მეცნიერთა ზემოაღნიშნული მოსაზრებებისა, ი. ჭავჭავაძე, რა თქმა უნდა, ცნობს და აღიარებს სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაში ზოგადისა და საერთოს მნიშვნელობას, როგორც საზოგადოების განვითარების საერთო კანონზომიერების გამოვლინებას, მაგრამ იგი ასევე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ინდივიდუალურსა და განსაკუთრებულს, რასაც ადგილი აქვს ცალკეულ ხალხთა ცხოვრებაში. ი. ჭავჭავაძე თავის მოსაზრებას ისტორიის შესწავლის ამოცანების შესახებ შემდეგნაირად აყალიბებს: „კაცმა გონება უნდა მიაქციოს ადგილობრივს ვითარებას, რადგანაც ყოველს საგანს... თავის ადგილზეა აქვს თავისი სათავე, თავისი ძირი და თავისი გზა მსვლელობისა და განვითარებისა, მაგრამ ძალიან შესცდება ის, ვინც მარტო ამას დაჯერდება და აქედან გამოიყვანს თავის დასკვნას. ბევრი, ძალიან ბევრიც. იმისთანა ნაშთია საზოგადოებრივის თუ ეკონომიკურის წყობისა, რომელიც თუმცა არსებობს, მაგრამ მსვლელობის კვალი კი წაშლილი აქვს ჟამთა მდინარეობისაგან და ამის გამო მისი ვერც თავი გაიგება, ვერც ბოლო, თუ მარტო ადგილობრივს ვითარებას შეაჩერდება კაცი. ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა იგივე საგანი გამოძიოს სხვა ქვეყნებშიაც, სხვა ქვეყნების ისტორიაც მოიშველიოს. იტყვიან სხვა ქვეყნები რაში გამოგვადგებიან. ჩვენ სხვანი ვართ, ისინი სხვანი. იტყვიან, მაგრამ მთქმელნი ამაში ძალიან შესცდებიან"[2].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით ისტორიულ-შედარებითი კვლევის მეთოდი ერთ-ერთი საშუალებაა წარსული კულტურის ისტორიის გაგებისა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 56.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 118.

თვის და, პირველ ყოვლისა, ეს ითქმის კაცობრიობის პრეისტორიულ კულტურაზე, რადგანაც მისი ხასიათისა და ბუნების შესასწავლად დღეისათვის მეცნიერებას საკმაო წყაროები და მასალები აღარ გააჩნია. ამ მეთოდის მოხერხებული გამოყენების შედეგად იგი ცდილობს აღადგინოს კაცობრიობის განვითარების მთლიანი სურათი უძველეესი დროიდან დღემდე. უმთავრესად, ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების მაგალითზე. ი. ჯავჯავაძის ზემოაღნიშნული ნაშრომი — „აი ისტორია“ — მართალია, პოლემიკური ხასიათისაა და იგი მიმართულია ი. ჯაბადარის მიერ ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის დამახინჯებათა წინააღმდეგ, მაგრამ მასში ავტორი გადმოსცემს კაცობრიობის ისტორიის ისეთ ზოგად საკითხებს, როგორიცაა საზოგადოების განვითარების ეტაპები და მათი ცვლის კანონზომიერებანი, პირველყოფილი საზოგადოების დამახასიათებელი თავისებურებანი და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ი. ჯავჯავაძის ნაშრომს — „აი ისტორია“ — მეცნიერული ხასიათი აქვს და იგი ემყარება ფ. ბეკონის, ჯ. სტიუარტ მილის, სპენსერის, სმიტის, ლებოკის, ტეილორის, კარიერის, ვებერის, ლენორმანის, სეისის, რაულონსონის, ტალბოტის, ჰინკსის, კლაპორტის, შრადერის, უსლარის, ტიზენჰაუზენის, ბროკის, ვირხოვის და სხვათა ნაშრომებს, რომლებიც როგორც ჩანს, ი. ჯავჯავაძეს საფუძვლიანად დაუმუშავებია და შემოქმედებითად გამოუყენებია ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გასარკვევად.

ი. ჯავჯავაძე მიუთითებს, რომ კაცობრიობის პრეისტორიის პრობლემების შესწავლა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მეცნიერებამ შესძლო საზოგადოების უხსოვარი დროის სოციალური ურთიერთობების განმსაზღვრელი მოვლენების გამოკვლევა: „თუ ისტორიის წინად-ყოფილ დროს ავიღებთ, ცხრა კლიტით დაკეტილი სალაროა და გასაღები ზღვაშია გადაგდებული. ადამიანის გონებამ მაინც იპოვა ეს გასაღები და ამ სალაროს კარი გაგვიღო ცოტად თუ ბევრად“[1]. ი. ჯავჯავაძის მტკიცებით, ადამიანთა უძველესი ისტორიის „გასაღებს“ ანუ წყაროებს წარმოადგენენ ზღაპრული თქმულებანი და მითები, სამარხებსა და აკლდამებში დაცული ნივთები, ენა, სიტყვიერება, ეთნოლოგია და ა. შ. ჩვენამდე მოღწეული ეს უძველესი წყაროები საშუალებას გვაძლევს ფარდა ავხადოთ ერთი შეხედვით ძნელად შესაცნობ ადამიანთა პირველყოფილ მდგომარეობას, რომლის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობის ბევრი სადავო საკითხის გადასაჭრელად: „რამოდენაც ზედმიწევნით გამოვიკვლევთ ენას, მითოლოგიას, ზნე-ჩვეულებას, სარწმუნოებას, არქეოლოგიურსა და ეთნოლოგიურს ნაშთსა და კვალსა, იმოდენად ძლიერ

[1] ი. ჯ ა ვ ჯ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 29.

ვრწმუნდებით, რომ აზრი დღევანდელის ველურის კაცისა იმ მდგომარეობაშია, როგორც პირველდაწყებითი სიდიდე შემდეგისა. ამავე დროს დავინახავთ, რომ განათლებულის კაცის ჭკუას დღესაც საკმაოდ აჩნევია კვალი, ნიშანი იმ წინანდელის მდგომარეობისა, რომლის მიხედვით ველური კაცი წარმოადგენს სულ უმცირესს და განათლებული კაცი — სულ უდიდესს პროგრესსა"[1].

ამ წყაროების ანალიზისა და აგრეთვე კაცობრიობის განვითარების საფეხურების შესახებ არსებული ლიტერატურის შესწავლის შედეგად, ი. ჭავჭავაძე აკეთებს დასკვნას, რომ კაცობრიობამ უძველესი დროიდან დღემდე განვლო შემდეგი სამი პერიოდი: პირველი — ველურობა, მეორე — ბარბაროსობა, მესამე — ცივილიზაცია.

ველურობა განეკუთვნება პირველყოფილი საზოგადოების ადრინდელ პერიოდს, რომლის დროსაც ადამიანები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოყოფილი ცხოველთა სამყაროდან და სამყაროში არსებული მოვლენების შესახებ თითქმის არავითარი წარმოდგენა არ გააჩნდათ. ადამიანები ველურობის პერიოდში სრულიად გაუნათლებელნი და უმეცარნი იყვნენ, მათ არ გააჩნდათ „ცოდნა, გონებრივი და ზნეობრივი აღმატებულობა"[2] და ა. შ., ამიტომ ი. ჭავჭავაძის აზრით, „ველური კაცი წარმოადგენს სულ უმცირესს".

რაც შეეხება ბარბაროსობას, იგი, მართალია, ველურობასთან შედარებით კაცობრიობის მიერ ცივილიზაციის გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ განვითარების ამ ეტაპზე ადამიანებისათვის ჯერ კიდევ სრულიად უცნობია თანამედროვე საზოგადოების „შინაური მოწყობილობა". უპირისპირებს რა თანამედროვე ცივილიზებული ერების განვითარებულ საზოგადოებრივ წყობილებას ველურობისა და ბარბაროსობის ეპოქის ადამიანების პრიმიტიულ ცხოვრებას, ი. ჭავჭავაძე წერს: „იმ ერს, რომლის შინაური მოწყობილობა ამისთანა ვითარებას წარმოადგენს, ვერ შეეწამება ბარბაროსობა და ველურობა იმოდენად მაინც, რომ ამით გამოხსნას ნასკვი იმისთანა აეზნეობისა, რომელიც კაცს ავაზაკადა ჰქმნის"[3].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ველურობასთან და ბარბაროსობასთან შედარებით კაცობრიობის არსებობის უფრო მაღალი საფეხური ანუ ცივილიზაციაც განეკუთვნება უძველეს დროს, „რომელიც ისტორიას არ დაუხსომებია, ან თვალი არ შეუსწვრია"[4]. ი. ჭავჭავაძე ცდილობს განსაზღვროს ველურობისა და ბარბაროსობისაგან განსხვავებული ეპოქა, რომელიც ცივილიზაციის სახელწოდებითაა ცნობილი. მისი მტკი-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 29—30.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 119.
3 ი ქ ვ ე, გვ. 203.
4 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 28.

ცეპით საზოგადოებაში „სოციალური ძალ-ღონის“ მაქსიმალური გამოვლენის პირობებში „ცოდნა, გონებრივი და ზნეობრივი აღმატებულობა, მრეწველობის სიმდიდრის მეტნაკლებობა, რწმუნება იმ საგნების მიმართ, რომელიც ადამიანისათვის უდიდესად მისაჩნევია, მმართველობა, წესწყობილება ოჯახებური, საზოგადოებური, სამოქალაქო, კანონები, ჩვეულებანი, ზნე-ხასიათი და სხვა ამისთანა სულ ერთად და ერთს დროს ზომქმედნი, ჰქმნიან იმას, რასაც რომელისამე დროის მდგომარეობას ერისას, თუ კაცობრიობისას, ეძახიან, ანუ ცივილიზაციას თავისის მეტნაკლებობით“[1].

ი. ჭავჭავაძე იმ უძველესი პერიოდებიდან, რომელიც ცნობილია ბარბაროსობისა და ცივილიზაციის სახელწოდებით, უპირველეს ყოვლისა ცალკე საფეხურად გამოყოფს პირველყოფილ-თემურ (პირველდაწყებით, პირველქამურ, პირველყოფილ. წინადყოფილ) დროს, ვინაობას, ხანას, რომლის ბატონობის ეპოქაში საზოგადოების განვითარების სხვა ეტაპებისაგან განსხვავებული წყობილება იყო ჩამოყალიბებული. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ კაცობრიობის არსებობის ისტორიაში ცნობილია ისეთი პერიოდები, რომელთა დასახასიათებლად ჩვენამდე საკმაო წყაროები არა გვაქვს და მეცნიერება მის შესასწავლად „ვერავითარს გარეგანს საბუთს ვერ ჰპოულობს დასაბჯენად და ფეხის მოსაკიდებლად... ისტორიაში ეგ სფერა პირველყოფილი, პირველდაწყებითი მდგომარეობაა თვითოეულის ერისა და აქედამ მთელის კაცობრიობისაც. ეს მდგომარეობა იმ ხანას ეკუთვნის, რომელსაც ისტორიის წინადყოფილს დროს ეძახიან, ესე იგი იმ დროს, რომლის ხსოვნა არა აქვს ისტორიასა“[2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ველურობის პერიოდში, ი. ჭავჭავაძის აზრით, ადამიანი იმყოფებოდა განცალკევებულ, იზოლირებულ მდგომარეობაში, ამ პერიოდში ადამიანი სუსტი და უძლურია, მას არ შეუძლია უშიშარი ცხოვრება, რადგან იზოლირებული მდგომარეობა ნიშნავს ყველას ომს ყველას წინააღმდეგ. მაგრამ ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელია ერთად ცხოვრებისაკენ მიდრეკილება, რის გამო იგი ცდილობს თავი დააღწიოს ველურობას და ერთმანეთთან კავშირის დამყარების საფუძველზე გაერთიანდეს საზოგადოებად.

არაორგანიზებულად არსებული იზოლირებული ადამიანების ყოფაში გარდატეხა შეაქვს მიწათმოქმედებას, რომელიც საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ჩნდება.

ორგანიზებულ საზოგადოებად ადამიანთა გაერთიანების პირველი ფორმა ი. ჭავჭავაძის აზრით, ე. წ. პირველყოფილ-თემური წყობილებაა, რომლის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდა საზოგადოებრივი

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 28—29.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 27—28.

(თემური) საკუთრება წარმოების საშუალებებზე და იარაღებზე[1]. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საკუთრება საერთოდ ორგვარია: პირველი, საზოგადოებრივი საკუთრება, რომელსაც ადამიანთა პირველყოფილ მდგომარეობაში თემური ხასიათი ჰქონდა, და მეორე, კერძო ანუ, როგორც ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს „კერძოობრივი" საკუთრება. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, პირველყამურ საზოგადოებაში ყველგან, დედამიწის ყველა კუთხეში გაბატონებულს წარმოადგენდა საზოგადოებრივი ანუ თემური საკუთრება, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობს: „თვითეულს თემის კაცის სახლობას წილადხდომილი მიწა სჭერია დროებით. დროგამოშვებით, ეგრე გაწილადებულს მიწებს ისევ თემი დაიბრუნებდა ხოლმე და ხელახლად დაუყოფდა წილისყრით თემის კაცებს, რომ თვითეულს ავი და კარგი თავის რიგზედ შეხვედროდა. თანასწორობა მიწის მფლობელობაში ამ სახით დამკვიდრებული იყო, მეტნაკლებობის ჩამოვარდნას გზა შეღობილი ჰქონდა"[2].

პირველყოფილ საზოგადოებაში სხვა სახის საკუთრების არსებობის შესახებ ი. ჭავჭავაძის ნაშრომებში ბუნდოვანი ცნობები მოგვეპოვება, მაგრამ ერთი კი რამ ცხადია, კერძოდ. ის. რომ ი. ჭავჭავაძის აზრით, პირველყოფილ საზოგადოებაში საკუთრების სხვა ფორმებიც არსებობდა, მაგრამ საკუთრების ამ ფორმებს შორის გაბატონებული და პირველყოფილი საზოგადოების გვაროვნული წყობილების საფუძველი და განმსაზღვრელი იყო საზოგადოებრივი, კოლექტიური საკუთრება თემური საკუთრების სახით: „პირველყოფილ დროს, როცა თავდაპირველ დაეწყვნენ კაცთა საზოგადოებანი, ზოგადს ელემენტა საკუთრებისას, თუ არ განსაკუთრებით, გადაჭარბებით მაინც, მეტი და უპირატესი ადგილი ეჭირა კაცთა ცხოვრებაში"[3]. საზოგადოებრივი, კოლექტიური საკუთრება ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საკუთრების ყველაზე იდეალური ფორმაა, იგი უზრუნველყოფს საზოგადოების ბედნიერ ცხოვრებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თემური საკუთრების დროს, ჯერ ერთი, საზოგადოების არც ერთი წევრი არ რჩება მიწის ნაკვეთის გარეშე და ყველანი ერთნაირადაა დაინტერესებული მიწის დამუშავებითა და მოვლა-პატრონობით. გარდა ამისა, კოლექტიური (თემური) საკუთრების უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ მისი ბატონობის დროს პერიოდულად თემი ახდენს მიწების ხელახლა გადანაწილებას, იმ მიზნით, რომ თემის თითოეულ წევრს ნაყოფიერი და უნაყოფო მიწები ერთნაირად და თავის რიგზე შეხვდეს. ამგვარად, საზოგადოებრივი საკუთრების ბატონობისას ადამიანთა პირველყოფილ ეპოქაში უზრუნველყოფილი იყო თემის წევრთა შორის თანასწორობა მიწის მფლობელობაში.

---

[1] ე. გ ა ბ ა ს ი ა ძ ე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, გვ. 285.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 120
[3] ი ბ ე ე, გვ. 142.

ყოველ საზოგადოებაში. მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, ისეთი წესრიგი უნდა იყოს, რომ „მიწა, ეგ მუქთი, ბუნებისაგან მონიჭებული კუთვნილება ყოველის ადამიანისა, შეძლებისამებრ თანასწორად მორგებულ ჰქონდეს ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა“[1]. მაგრამ ი. ჭავჭავაძის აზრით, პირველდაწყებით ეპოქაში მიწის საზოგადოებრივი საკუთრების ბატონობის უპირატესობა ყველაზე მეტად ის იყო, რომ „მიწის მშრომელი და მიწისმფლობელი ერთი და იგივე კაცი იყო“, ე. ი. მიწა მხოლოდ იმას ეკუთვნოდა, ვინც მას ამუშავებდა, თემი არ აძლევდა მიწას იმას, ვინც მას პირადად არ ამუშავებდა და ამდენად, პირველყოფილ საზოგადოებაში გამორიცხული იყო მუქთახორა მიწისმესაკუთრეთა კლასის წარმოშობა.

პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკური წყობილების თავისებურებები, ი. ჭავჭავაძის აზრით, განაპირობებდა ამ ეპოქის საზოგადოების სულიერ ცხოვრებას, კერძოდ, მის საზოგადოებრივ ხელისუფლებას, წარმოდგენებს და შეხედულებებს. პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანები ერთობლივად ებრძოდნენ ბუნებას საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად და კოლექტიური საკუთრების ბატონობის პირობებში ყველა თანაბრად ინაწილებდა სახალხო დოვლათს. პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკური წყობილების ამ თავისებურებებმა განაპირობა ის, რომ ყველა საზოგადოებრივი საქმე ადამიანთა ერთობლივი ნებით წყდებოდა და არ არსებობდა განსხვავება ამ ნებას შორის იმის გამო, რომ ყველას ცხოვრების პირობები ერთნაირი ჰქონდა. პირველყოფილ ადამიანთა ეს ერთნებაობა საშუალებას იძლეოდა ყველა საზოგადოებრივი თანამდებობა მხოლოდ არჩევნების გზით ყოფილიყო დაკავებული: „ადამიანი თვით ისტორიის პირველ ხანებში, ესე იგი ჯერ მაშინ, როცა სწავლისა და მეცნიერების სიოც არ მიჰკარებოდა და ფეხიც არ დაედგა ცივილიზაციის გზაზედ და ყოველმხრივ მოუმზადებელი იყო, ჯერ მაშინ მეთქი — მოსამართლეს, თუ არ არჩევანით, სხვაფრივ არ განაწესებდა“[2].

ი. ჭავჭავაძის აზრით, პირველყოფილი საზოგადოებისათვის დამახასიათებელმა მოვლენებმა, მისმა ეკონომიკურმა და სოციალურმა წყობილებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა კაცობრიობის ისტორიულ ცხოვრებაზე. თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების ცხოვრებაში გვხვდება ბევრი ისეთი მოვლენა, რომელთა ახსნა მხოლოდ ადამიანთა ამ შორეული წარსულის ეკონომიკური და საზოგადოებრივი წყობილების თავისებურებებით შეიძლება. ჩვენ კარგად ვხედავთ, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, რომ „განათლებულის კაცის ჭკუას დღესაც საკმაოდ აჩ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 174.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 83.

ნეეია კვალი, ნიშანი... წინანდელის მდგომარეობისა"[1]. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანთა „პირველქამური მდგომარეობა" ყველა ხალხის ისტორიისათვის არის დამახასიათებელი, რომ ყველა ხალხმა ერთნაირად განვლო პირველყოფილი ეპოქა, პირველყოფილ-გვაროვნული წყობილება განსაზღვრავდა ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებასაც მისი განვითარების ადრინდელ საფეხურზე. მაგალითად, პირველყოფილ საზოგადოებაში ქართველთა ტომების ოჯახის ფორმაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ქართულში არსებული გამოთქმა „ცოლის თხოვა", რომელიც ახლაც გამოიყენება, როგორც ჩანს, ამ გამოთქმაში შემორჩენილია წარმოდგენა პირველყოფილ საზოგადოებაში არსებული ოჯახის იმ ფორმისა, როცა ადამიანებს საერთო ცოლები ჰყავდათ: „ქალის „გათხოვება" ან „მითხოვება" განა არას გვეუბნება, რომ უწინდელ ქართველის ცოლის შერთვაში „თხოვებას" რაღაც ადგილი სჭერია. განა ეს სიტყვა არ ასურათებს პირველყოფილ ქართველს ცოლქმრობის შესახებ"[2]. ასევე, წარსული ცხოვრების თავისებურებათა შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სიტყვები: „წყალობა", „მიწყალე", „მოწყალება", „მიცვალებული", „მიცვალება" და ა. შ. სიტყვა „წყალობა" და მისგან წარმომდგარი სხვა სიტყვები იმას გვაუწყებს, რომ „პირველანდელი ბინა ქართველისა ისეთი მშრალი ქვეყანა ყოფილა, რომ „წყალობა" ნატვრისა და ვედრების საგნად გახდომია. ტიგროსისა და ევფრატის დაღმა აღარ ვიტყვით, მარტო არმენია ავიღოთ, საცა წინათ ბინადრებული ქართველი და საცა დღესაც „წყალობა" მართლა დიდი ღვთის წყალობაა, იმიტომ რომ მიწა მდიდარია, ხოლო უწყლოდ-კი არა მოჰყავს-რა"[3]. იგივე შეიძლება ითქვას სიტყვა „მიცვალებისა" და „მიცვალებულის" შესახებ. რაც, როგორც ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, „მოკვდომასა და მკვდარს ჰნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარცრაებას, არამედ „გარდაცვლას", სხვა სახედ გადასვლას. ნეთუ ამაში გონების ხელმოსაჭიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ. თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან"[4].

ი. ჭავჭავაძე იკვლევს პირველყოფილ საზოგადოებაში გავრცელებული რელიგიური წარმოდგენების საფუძვლებს და იმ სარწმუნოებას (რჯულს), რომელიც განსაზღვრავდა ამ ეპოქის ადამიანთა სულიერ ცხოვრებას. ემყარება რა კარიერის, ლენორმანის, სპენსერის და სხვათა ნაშრომებს, იგი მიუთითებს, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში გაბატონებული სარწმუნოების თაობაზე მეცნიერებაში არსებული სხვადასხვა მოსაზრებების მიუხედავად მაინც იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ,

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 4. გვ. 29.
2 ი ქ ე ე, გვ. 91—92.
3 ი ქ ე ე, გვ. 91.
4 ი ქ ე ე.

რომ პირველდაწყებითი რჯულის საფუძველს ყველგან ზეცის თაყვანისცემა წარმოადგენდა. ამ სარწმუნოების არსი ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, „ერთ ღმერთობას მოასწავებდა, არა იმისთანას, რომ ეპირისპიროს მრავალ-ღმერთობას, რადგანაც მრავალ-ღმერთობის აზრიც არ იყო ჯერ იმ ხანაში. ამ პირველყოფილ ერთ-ღმერთობას... მოჰყვა მრავალ-ღმერთობა, სახელდობრ, თაყვანისცემა მნათობთა — მზისა, მთვარისა და ვარსკვლავებისა“[1]. ერთღმერთობიდან მრავალღმერთობამდე ადამიანთა შეგნების განვითარებას საუკუნეები დასჭირდა, მაგრამ სარწმუნოების განვითარების იმ პერიოდებისათვის საერთო ისაა, რომ „ამ ორ ხანაში ადამიანს წარმოდგენილი აქვს ღვთაება განყენებულად; აქ ღვთაება იდეაა, აზრია, და მას არავითარს ნივთიერს სახეს არ აძლევს ადამიანი არც გამოხატვით, არც გამოქანდაკებით“[2]. სარწმუნოების განვითარების მესამე პერიოდს წარმოადგენს კერპთმსახურება, როცა „ადამიანი ცალკე გამოარკვევს ხილულ ბუნებისაგან უხილავ, ხორცუსხმელს ღმერთებს ხილულად და ხორცსხმულად გარდაჰქმნის სალოცავად. კერპები, რომელნიც წარმოადგენენ უხილავთა ღმერთთა — ან გამოხატულობით, ან გამოქანდაკებით, ახალს ხანას მოასწავებენ სარწმუნოების განვითარებისას და წარმატებისას და ძალიან წინ წასულია, პირველდაწყებით ბუნების რჯულს რომ შეედაროს“[3].

ი. ჭავჭავაძე თავისი ეპოქის დროინდელი მეცნიერების განვითარების დონის მიხედვით იკვლევს ქართველთა ტომებში სარწმუნოების განვითარების თავისებურებებს და მიუთითებს, რომ ძველი წელთაღრიცხვის „მეცხრე საუკუნედამ თითქმის მეხუთე საუკუნემდე-კი დღეს მეცნიერებას ხელთა აქვს უტყუარი საბუთი იმისი, რომ ამ ხანაში ქართველების სარწმუნოება. კერპთმსახურება ყოფილა“[4]. ემყარება რა ფრ. ლენორმანის გამოკვლევებს, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ უძველესი ქართველთა ტომები თავიანთი სარწმუნოების განვითარების ამ პერიოდში თაყვანს სცემდნენ ერთ უზენაეს სამეულს, რომლის უპირველეს ღმერთს ქალდი ანუ ქალდისი ეწოდებოდა. დანარჩენ ორ ღმერთს, თუ ასურულად წავიკითხავთ მათ სახელს, ეწოდებოდა „Bin“ და „Samas“, რომელთაგან პირველი განასახიერებდა ატმოსფეროს, ეთერს, ბრწყინვალე ცას, ხოლო მეორე კი — მზესა და მთვარეს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ჩვენამდე მოღწეული წყაროები, რომლებიც კარგადაა გამოკვლეული მეცნიერთა მიერ, ცხადყოფენ, რომ ამ ღმერთებს ქართველთა ტომებში კერპების სახე ჰქონდათ.

ქართველთა შორის სარწმუნოების განვითარების სხვადასხვა პერი-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 108.
[2] ი ქ ვ ე. გვ. 108—109.
[3] ი ქ ვ ე. გვ. 109.
[4] ი ქ ვ ე.

ოდების დახასიათებისას ი. ჭავჭავაძე ცდილობს გაარკვიოს ღმერთების „სამეულობის“ (ტრიადის) მნიშვნელობა და თავისებურებანი. იგი მიუთითებს, რომ კაცობრიობის ისტორია კარგად იცნობს შემთხვევებს, როცა სხვადასხვა ხალხებს, ზოგან მიბაძვით, ზოგან კი დამოუკიდებლად, საკუთარი სარწმუნოების ღმერთები კლასიფიცირებული ჰყავთ უფროსობისა და ცროსობის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებად. ასე იყო მაგალითად, ძველ ბაბილონში, ძველ ეგვიპტეში, ასურეთში და ა. შ. უძველეს ქართველ ტომებშიც, ალბათ ზემოაღნიშნული ქვეყნების ზეგავლენით, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, გავრცელებული იყო ღმერთების სამეულობა სწორედ ასურელთა ძლიერების ეპოქაში და „შესანიშნავი ამ სამეულ ღმერთების გამო ის არის, რომ ქართველებს არამც თუ ასურელთა ეპოქაში, მერეც, მცხეთის გაძლიერების დროს, ეს სამეულობა არ დაუკარგავთ. ამას ამტკიცებს ჩვენი „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ფარნავაზის დროსაც სამეულს ღმერთებს გვისახელებს: „არმაზს, გაიმს და გაცის“[1]. ამ სამი ღმერთის გარდა, ქართველთა ტომები, ი. ჭავჭავაძის აზრით, იცნობდნენ სხვა ღმერთებსაც.

ზემოაღნიშნულ სამ ღმერთს შორის ყველაზე მთავარი ღმერთი ყოფილა არმაზი, მაგრამ ჩვენთვის ისტორიას არ შემოუნახავს ცნობა თუ რას განასახიერებდა თითოეული ღმერთი. ი. ჭავჭავაძე წერს: „სამწუხაროდ ჩვენდა, არავითარი საბუთი ჯერ არ აღმოჩენილა, რომ შესაძლო ყოფილიყო გამოგვეცნა, — თვითოეული ღმერთი ამ პანთეონისა რის მომასწავებელი არიან და რა აზრს, იდეას უწინდელის ქართველისას წარმოადგენენ“[2].

ეხება რა ქართველთა ტომებში სარწმუნოების გავრცელების ცალკეულ მხარეებს, ი. ჭავჭავაძე კარიერის, სპენსერის, ლებოკის, და სხვათა ნაშრომებისა და „ქართლის ცხოვრების“ დამოწმებით ასკვნის, რომ ძვ. წ. X საუკუნიდან თუ არა IX საუკუნიდან მაინც ქართველებს ქრისტიანობის მიღებამდე ჰქონიათ პირველდაწყებით რჯულზე უფრო განვითარებული სარწმუნოება — კერპთმსახურება: „ქართველებს სარწმუნოებრივი წესი, რიგი და სისტემა უნდა ჰქონებოდათ კარგად გარკვეული. უამისოდ ძნელად წარმოსადგენია კერპთმსახურება, რომელიც, როგორც უფრო რთული და განვითარებული რჯული, წესსა, რიგსა და სისტემას ითხოვს ლოცვისას, თაყვანისცემისას, მსხვერპლის შეწირვისას და მებრძე სხვას“[3].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ პირველყოფილი საზოგადოების ადრინდელ ეტაპზე ადგილი ჰქონდა კაციჭამიობას. ეს საკითხი ი. ჭავჭავაძის განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა იმის გამო, რომ ი. ჯა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 112.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 115.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 116.

ბადარმა თავის ზემოაღნიშნულ სტატიაში საქართველოს შესახებ ბაიერნის ნაშრომებზე დაყრდნობით განაცხადა აზრი იმის შესახებ, თითქოს სამთავროს სამარხების გათხრები ცხადყოფენ, რომ ამ პერიოდში (ძვ. წ. X—II სს.) ქართველთა ტომებში კაციჭამიობა იყო გავრცელებული. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ბაიერნის ეს მოსაზრება მეცნიერებაში გაზიარებული არ არის, იგი ამის ნათელსაყოფად მიუთითებს უცაროვის, ტიზენჰაუზენის და სხვათა გამოკვლევებს, რომლებშიც დასაბუთებულია ი. ჯაბადარის მიერ ბაიერნისაგან ნასესხები შეხედულებების უსაფუძვლობა.

ი. ჭავჭავაძე ამასთან დაკავშირებით იკვლევს პირველყოფილ საზოგადოებაში გავრცელებულ ჩვეულებებს, რელიგიურ წარმოდგენებსა და ადათებს, რომლებიც ადასტურებენ იმას, რომ მცხეთის სამარხებში ნაპოვნი ადამიანთა და ცხოველთა ნაშთები, სრულებითაც არ მოწმობენ ამ პერიოდში ქართველებში კაციჭამიობის ჩვეულის არსებობას.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მეცნიერულ კვლევაში გამოყენების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ ჩვენს პლანეტაზე მცხოვრებ ხალხებს სარწმუნოებრივი (სარჯულო) ფილოსოფიის ერთნაირი გზა აქვს გავლილი, რის გამო ყველა ხალხში მრავალი ერთნაირი ჩვეულება ყოფილა გაბატონებული. მაგალითად, ცნობილია ისეთი ეპოქა, როცა სხვადასხვა ხალხს სიკვდილი წარმოდგენილი ჰქონდა, როგორც დროებითი განსვენება, გარდაცვალება და არა საუდამოდ მოკვდომა. ეს რწმენა, ი. ჭავჭავაძის აზრით, სხვადასხვა სახით დღესაც შემორჩა ადამიანებს. სპენსერის, ტეილორისა და ლებოკის ნაშრომებზე მითითებით ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში სიკვდილი გაგებულია, როგორც ამქვეყნიური ცხოვრებისაგან სამუდამოდ განშორება, პირველყოფილ საზოგადოებაში კი სიკვდილი წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც სიცოცხლის განგრძობა იმ ქვეყანაში და დარწმუნებული იყვნენ, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგაც ისევე ცხოვრობს, მას იგივე მოთხოვნილებანი აქვს, როგორიც ჰქონდა ამქვეყნიურ სიცოცხლეში. სწორედ ეს წარმოდგენა ავალდებულებდა პირველყოფილ ადამიანებს ისევე ეპატრონათ გარდაცვლილისათვის, როგორც მას ამქვეყნის სიცოცხლეში უყიდნენ. ამიტომაც თუ ვინმე ოჯახში გარდაიცვლებოდა, მას საფლავში თან აყოლებდნენ თითქმის ყველაფერს, რაც ამ ქვეყნად სჭირდებოდა და უყიდდა მას, რათა საიქიოს ცხოვრება არ გასჭირვებოდა. ასეთ ნივთებს წარმოადგენდა იარაღი, სამკაული, ხორაგი, საჭმელ-სასმელი და აგრეთვე საფლავზე კლავდნენ ცხენს, ცხვარს, ქათამს და ა. შ. ი. ჭავჭავაძეს სპენსერის ნაშრომებიდან მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, რომ ბილახნი და არაუკანელნი, რომლებიც დღესაც ველურობის სტადიაზე იმყოფებიან, სასმელს ისე არაფის შესთავაზებენ, რომ ჭურჭელს თავი არ გადაუქციონ

და სუფრაზე მიტანილი საჭმლის ნაწილი ცალკე არ გადაჰდონ და ყოველივე ამას აკეთებენ მიცვალებულთა სულისათვის. ი. ჭავჭავაძე ასკვნის, რომ ეს წესი თითქმის ყველა ხალხში და მათ შორის ქართველებშიც შემორჩენილია ამჟამადაც: „განა შორს არის ყოველს ამაზედ ჩვენი საკუთარი ჩვეულება, რომ მკვდრის ხსენებაზედ ღვინოს თავს გადაეუქცევთ და ხან პურზედ დავაწვეთებთ, ხან მიწაზედ, იმისდა მიხედვით, თუ ესხედვართ, და პური ხელთა გვაქვს თუ არა სმისა დროს. ეს ჩვენი ჩვეულება სწორედ ამ სათავიდამვე მომდინარეობს“[1].

ი. ჭავჭავაძე ჩამოთვლის აგრეთვე პირველყოფილი საზოგადოების ადრინდელ საფეხურზე გავრცელებულ სხვა ჩვეულებებსაც, კერძოდ, მიცვალებულისათვის საფლავში მოსამსახურეებისა და ცოლის ჩაყოლებას, დამარხვის წინ მიცვალებულისათვის გადადებული შესაწირავის (ადამიანი, პირუტყვი) დაწვას და ა. შ. ამ ჩვეულების არსებობა ყველა სახელმწიფოში (კართაგენი, სიცილია, საბერძნეთი, ძვ. რომი, სკანდინავია, სლავური ქვეყნები და ა. შ.) არის შემჩნეული და დადასტურებული. გამონაკლისს არც საქართველო შეადგენს. აქედან ი. ჭავჭავაძე აკეთებს დასკვნას: „ყოველი ესენი რომ წავიმძღვაროთ და მივმართოთ იმ სამთავროს საფლაეების ახლოდ ყოფილს ნაცარს, საცა ბაიერნს, ჩვენის ავტორის სიტყვით (იგულისხმება ი. ჯაბადარი), უპოვნია დამწვარი ძელები ადამიანისა, ხარისა, ცხენისა, ცხვრისა და ქათმისა, განა შორს ვიქნებით მართალზედ, ვიგულისხმოთ, რომ ქართველებსაც წესად და ჩვეულებად ჰქონიათ წვა მკვდრის საფლავზედ, ანუ მის ახლოდ, მსხვერპლისა — ადამიანისა თუ პირუტყვისა, ისე როგორც თითქმის ყველა სხვა ერს იმ ადრინდელ ხანაში, რომელიც ეკუთვნიან პირველის ორის რიგის საფლავნი სამთავროსი, რომლის ძველის-ძველობა ჯერ გამოცნობილი არ არის მეცნიერთაგან დაბეჯითებით და რომლის ზოგიერთი ნაშთი, ვირხოვის სიტყვით, მიეწერება კულტურას ორი ათასის წლისას ქრისტეს წინ... ამ სახით, ჩვენის ავტორის (ი. ჯაბადრის) მიერ მოქსოვილი და ბეჭედდაკრული კაცის-მჭამელობა ქართველების მიერ — ზღაპრად უნდა ჩაითვალოს, თუ ამისათვის იმაზედ მეტს საბუთს ვერ გამოგვიჩხრეკს, რომელიც მას მოყვანილი აქვს თავის წერილებში“[2].

ამრიგად, ი. ჭავჭავაძეს საზოგადოების განვითარების უძველეს პერიოდად მიაჩნია პირველყოფილი, პირველჟამური, პირველდაწყებითი წყობილება, რომლის დროს ადამიანთა ურთიერთობებს აწესრიგებდა ჩვეულები და ცრურწმენები, რომლებიც იმდენად მტკიცედ იყო დამკვიდრებული ადამიანთა შეგნებაში, რომ ბევრი ამ ადათ-წესებისა და ჩვეულებისა დღესაც არის გავრცელებული თანამედროვე ხალხებში. პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკური წყობილების საფუძველს

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ სრ. კრებული, ტ. 4. გვ. 126—127.
[2] იქვე, გვ. 131—132.

წარმოადგენდა საზოგადოებრივი (თემური) საკუთრება წარმოების საშუალებებზე და იარაღებზე. გვაროვნული წყობილებით განპირობებული საზოგადოებრივი ხელისუფლება გამოხატავდა პირველყოფილი ხალხის ინტერესებს, ხალხი ირჩევდა თანამდებობის პირებს, რომლებიც მთელი საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნავდა, წოდებები პირველყოფილ საზოგადოებაში არ არსებობდა. ადამიანთა შორის ურთიერთობებს აწესრიგებდა საუკუნეების განმავლობაში სტიქიურად ჩამოყალიბებული ჩვეულები და ადათ-წესები.

პირველყოფილი საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ წყობილებას ი. ჭავჭავაძე იცნობს ბურჟუაზიული მეცნიერების განვითარების იმდროინდელი დონის მიხედვით. ეს ის დროა, როცა ევროპული მეცნიერება იწყებს მის ხელთ არსებული ფაქტობრივი მასალების ანალიზის საფუძველზე ცივილიზებული საზოგადოების წინადროინდელი ადამიანების სოციალური წყობილების შესწავლას. გამოქვეყნდა ი. ბახოფენის ნაშრომი — „მატრიარქატი", ლ. მორგანის — „ძველი საზოგადოება", ე. ტეილორის — „კაცობრიობის პირველყოფილი ისტორიის გამოკვლევანი", ჯ. ფ. მაკ-ლენანის — „ნარკვევები ძველი ისტორიიდან, პირველყოფილი ქორწინება", ემილ-დე დავლეს — „პირველყოფილი საკუთრება", ჯ. ლებოკის — „ცივილიზაციის დასაწყისი" და ა. შ. ი. ჭავჭავაძე შესანიშნავად იცნობს პირველყოფილი საზოგადოების შესახებ იმდროინდელი მეცნიერების მიღწევებს და მშვენივრად იყენებს მათ საქართველოში პირველყოფილ-გვაროვნული წყობილების უმნიშვნელოვანესი მოვლენების მეცნიერული შესწავლისა და ამ მხრივ ი. ჯაბადარის ნაშრომში დაშვებული შეცდომების კრიტიკის მიზნით. ი. ჭავჭავაძის გამოკვლევაში — „აი ისტორია", რომელშიც გამოკვლეულია ქართველთა ტომებში ადამიანთა პირველყოფილი მდგომარეობის თავისებურებანი, ჩანს, რომ იგი სავსებით სწორად ყოფს ქართველ ტომთა უძველეს ისტორიას ორ პერიოდად, პირველი, წინაგვაროვნული წყობილება, ანუ ველურობა და მეორე, გვაროვნული წყობილება (ბარბაროსობა), რომელიც მოისპო ცივილიზაციის გაჩენასთან ერთად.

ამრიგად, ადამიანთა პირველყამური წყობილების დროს არსებობდა კოლექტიური, საზოგადოებრივი ანუ თემური საკუთრება, რომელიც შეადგენდა ამ საზოგადოების ეკონომიკური წყობილების საფუძველს, ხოლო საზოგადოებრივი ხელისუფლება მთლიანად ხალხს ეკუთვნოდა, ის თავისი წრიდან ირჩევდა თანამდებობის პირებს, რომელთაც პოლიტიკური ძალაუფლება არ გააჩნდა, მთელი საზოგადოებრივი წყობილება ხალხის თვითმოქმედებაზე იყო დამყარებული.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ თანდათან, დროთა განმავლობაში პირველყოფილ საზოგადოებაში ჩნდება კერძო საკუთრება. მისი მტკიცებით პირველყოფილ საზოგადოებაში კერძო საკუთრების თავდაპირ-

ველი წარმოშობის მიზეზი მრავალი იყო[1]. ამ მიზეზთა შორის პირველ-ყოვლისა აღსანიშნავია დაპყრობა, უცხო ხალხთა შემოსევა: „შემოსეულები ჩამოართმევდნენ ხოლმე მკვიდრებს მიწებსა და ერთმანეთში დაჩემებით მოირიგებდნენ"[2]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ამ გზით გაჩნდა კერძო საკუთრება ინგლისში, საფრანგეთში, იტალიის ნახევარკუნძულზე, ინდოეთში და ა. შ. ამასთან ერთად, კერძო საკუთრება წარმოიშვა უპატრონო ნივთის დაუფლებისა და შრომის შედეგადაც. ი. ჭავჭავაძის აზრით, კერძო საკუთრება ამ უკანასკნელი გზით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „ვინც ახოს გამოიღებდა სათემო მამულში, შეეძლო დაეჩემა ახოდ გამოღებული მიწა კარგა ხნობით. მაგ., კარგა-ხნობამ თანდათან იქამდინ იარა, რომ ახო რჩებოდა კაცს, მანამ ცოცხალი იყო და ბოლოს საშვილიშვილოდაც გახდა. ვინც ცარიელს უხმარს მიწას სათემოში, ანუ ტყეს, შემოღობდა შესამუშავებლად, იმას საშვილიშვილოდ შეეძლო დაეჭირა შემოღობილი. ამგვარი მიწები თემის ხელქვეითობიდან გამოდიოდა, ასე რომ თემს მათზედ აღარაფერი უფლება არა ჰქონდა. თვით სათემო გარდასახადისაგანაც თავისუფალი იყო"[3]. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობა შრომით თითქმის ყველა ხალხში შეიმჩნევა. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. დაუმუშავებელი მიწები რომ თემის „ხელქვეითებიდან გამოდიოდა" და საბლით მიეზომებოდა მესაკუთრეს, ამის მაგალითები საქართველოშიც გვხვდება. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ გლეხის მიერ დაუმუშავებელი და უხმარი მიწის ნაკვეთს „განსაკუთრებულს მამულს, საბლის მამულს" ეძახიან, გასარჩევად სათემო მამულებისაგან. საბლის მამულს ჩვენში სწორედ იმისთანავე სათავე უნდა ჰქონდეს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ"[4]. მისი აზრით, საბლით მამულის მიზომვა და ამ გზით მისი გამიჯვნა სათემო მამულებისაგან ყველაზე მეტად გავრცელებული იყო გერმანიასა და დანიაში.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ მიწის თემური საკუთრების სისტემის რღვევამ და მის საფუძველზე „კერძოობრივი საკუთრების" გაჩენამ ყველაფერი არევ-დარია პირველყოფილ საზოგადოებაში. დაიწყო ბრძოლა მიწის სათემო და კერძო საკუთრებას შორის და ამ ბრძოლას შედეგად ის მოჰყვა, რომ გაიმარჯვა კერძო საკუთრებამ. ამ ბრძოლამ მოიცვა პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრების, როგორც ეკონომიკური, ასევე საზოგადოებრივი მხარეები. თემს მიწები ხელიდან ეცლებოდა,

---

1 ვ. გაგოიძე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, გვ. 286; ი. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 32; ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, თბილისი, 1977, გვ. 24—25.

2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 120.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. 121.

იგი ვეღარ უძღვებოდა გამრავლებულ თემის წევრებს და ვერ უზრუნველყოფდა მათ მიწებით. თვით ისინი კი, ვინც შეძლო დიდძალი მამულების ხელში ჩაგდება, საკუთარი ძალით ვეღარ ახერხებდნენ მის დამუშავებას და მუშახელი „იძულებული იყვნენ მოეწვიათ, და რომ სამერმისოდაც ჰყოლოდათ, უნდა მამულზედ დაეყენებინათ, და ისე მოეხერხებინათ, რომ სამუდამოდაც დაებათ“[1]. ეს პროცესი, ი. ჭავჭავაძის შტკიცებით, მეტისმეტად მტკივნეული იყო. საზოგადოების უმრავლესობამ, რომელიც წინათ თემური საკუთრების უფლებით იყენებდა მიწის ნაკვეთებს, კერძო საკუთრების წარმოშობის შემდეგ სამუდამოდ დაკარგა მიწით სარგებლობის უფლება, მთელი მიწები, რომლებიც წინათ საზოგადოების უმრავლესობას ეკუთვნოდა, უმცირესობის ხელში აღმოჩნდა. მაგრამ საზოგადოების უმრავლესობიდან მიწების უმცირესობის ხელში გადასვლა მოხდა არა მშვიდობიანი, არამედ გააფთრებული ბრძოლის გზით: „რაკი კერძო საკუთრება შეეპარა სათემო მფლობელობას, მას მერმეთ — დაპყრობამ, ძლიერთა ძალმომრეობამ, ტაციობამ, სათემო მფლობელობას ბოლო მოუღო, სული ამოხადა და ძლიერთა გაიჩინეს სათემოში საკუთრება კერძოობითი. ეს კერძოდ დაჩემება მამულებისა დროთა განმავლობაში თანდათან ძლიერდებოდა და ამ გაძლიერებამ იქამდინ მიიყვანა საქმე, რომ ერს ყველგან ერთი და იგივე დღე დააყენა: უმრავლესს ჩამოართვა თითქმის მიწები და უმცირესს დაულოცა“[2]. მიწის საზოგადოებრივი საკუთრების კერძო საკუთრებად გადაქცევას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა და იგი წარმოადგენდა საზოგადოების განვითარების ზოგად კანონზომიერებას. ამის ნათელსაყოფად ი. ჭავჭავაძე იკვლევს მიწის საზოგადოებრივი საკუთრების კერძო საკუთრებად გარდაქმნის პროცესს ევროპის უმთავრესი სახელმწიფოების — საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიისა და სხვათა მაგალითზე და მიუთითებს, რომ „ყველგან დიდკაცობამ ღონითა და მძლავრობით დაიჩემა მიწები და უღონო გლეხნი ცარიელზედ გაიყვანა“[3].

ამრიგად, პირველყოფილი საზოგადოების რღვევის საფუძველზე მიწის სათემო საკუთრება დაიშალა და გაჩნდა მიწაზე კერძო საკუთრება, რამაც საზოგადოება დაყო მდიდრებად და ღარიბებად. მათ შორის გაჩაღებული ბრძოლის პროცესში მიწების უდიდესი ნაწილი ხელში ჩაიგდო შეძლებულებმა. დაირღვა ძველი, პირველყოფილ-თემური წყობილება და ახალი ეკონომიკური წყობილების საფუძველზე ჩამოყალიბდა მანამდე უცნობი დაწესებულებები, კერძოდ, სახელმწიფო და სამართალი.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ადამიანთა პირველყოფილი მდგომარეო-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 121.
2 ი ქ ვ ე, გვ. 122.
3 ი ქ ვ ე.

ბიდან სახელმწიფო ერთბაშად არ წარმოშობილა. სახელმწიფოს წარმოშობას წინ უსწრებდა საზოგადოების გაჩენა, ისინი ერთდროულად არ ჩამოყალიბებულა[1] და საზოგადოება და სახელმწიფო ერთმანეთისაგან განსხვავებულ სოციალურ მოვლენებს წარმოადგენს.

პირველყოფილ მდგომარეობაში, კერძოდ, ველურობის ადრინდელ საფეხურზე, ადამიანები განცალკევებულად ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი არსებობა ყოველდღიურად მუდმივ საფრთხესთან იყო დაკავშირებული, რადგანაც „ადამიანი ცალკედ აღებული ერთი სუსტი და უღონო დანაბადია; მისი სულიერი და ხორციელი ბუნება ისეა აგებული, რომ ცალკე ყოფნით, მარტო ყოფნით, ვერას-გზით ვერ მიაღწევს ბედნიერებასა. ამიტომაც იძულებული იქმნა თავის მსგავს დანაბადთან ერთად ემოქმედნა"[2]. ადამიანს ბუნებით აქვს მიდრეკილება ერთად ცხოვრებისაკენ, ადამიანთა ეს თვისება ყოველ საზოგადოებაში იჩენს თავს, მაგრამ ყველაზე ნათლად ერთად ცხოვრებისაკენ ადამიანთა მიდრეკილებამ დიდი როლი შეასრულა პირველყოფილ მდგომარეობაში განცალკევებულად არსებულ ადამიანთა გასაერთიანებლად. ერთად ცხოვრებისაკენ მიდრეკილების შედეგად იქმნება ადამიანთა ყოველგვარი გაერთიანება და, რა თქმა უნდა, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, „ამ მიზეზმა იმოქმედა, რომ ბოლოს ადამიანთაგან შესდგა საზოგადოება და საზოგადოებისაგან — სახელმწიფო"[3].

როგორც ზემოთ დავინახეთ, ი. ჭავჭავაძეს სახელმწიფო მიაჩნია ისეთ დაწესებულებად, რომლის გარეშე შეძლებული კლასები, კერძოდ, მდიდარი მიწისმფლობელები და სამღვდელოება, ვერ შესძლებენ საზოგადოებაში გაბატონებული მდგომარეობის მიღწევას, ამიტომ მიწაზე საზოგადოებრივი საკუთრების რღვევის შედეგად კერძო საკუთრების წარმოშობის შემდეგ მდიდარი მიწისმფლობელები იპყრობენ სახელმწიფო ხელისუფლებას, რაც, ი. ჭავჭავაძის აზრით, ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრიობის ბუნებასა და არსს. საქმე ისაა, რომ ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფო ადამიანთა ბედნიერებისა და უშიშროებისათვისაა შექმნილი: „ყოველივე წყობილება, რომლის ძალითაც მოქმედობს მთელი კაცობრიობა, იმიტომ არის შემოღებული, რომ ადამიანი, რამოდენადაც შესაძლოა, ბედნიერი იყოს"[4]. პირველყოფილ მდგომარეობაში ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში იყო, ადამიანები იმიტომ გაერთიანდნენ საზოგადოებად და სახელმწიფოდ, რომ უშიშარი და ბედნიერი იყვნენ და მათი სიცოცხლე და ქონება უზრუნველყოფილი იყოს ყოველგვარი ხელყოფისაგან. ყველა მოვალეობათა შორის „მკვიდრთა უში-

---

1 ვ. გ ა გ ო ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, გვ. 315.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 165.
3 ი ქ ვ ე.
4 ი ქ ვ ე, გვ. 164.

შარყოფა სიცოცხლისა და ქონების მხრივ ერთი უდიდესი, თუ არ უპირველესი. მოვალეობაა სახელმწიფოსი. უამისოდ არც წინსელა ერისა, არც წარმატება რაშიმე შესაძლებელი არ არის"[1]. სახელმწიფოს მთელი საქმიანობა მიმართული უნდა იყოს საზოგადოების სრულყოფისა და განმტკიცებისაკენ, ადამიანთა შორის სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის დანერგვისაკენ, რადგან სახელმწიფო და საზოგადოება თუ ერთმანეთს არსებითად დაუპირისპირდა, ასეთი სახელმწიფო უმნიშვნელო დაბრკოლების წინაშე დაიმსხვრევა: „ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის: საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღურაა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმისი გადამსხვრევა ერთია"[2].

სახელმწიფო იმისათვის არის შექმნილი, რომ იგი ემსახუროს ხალხს, უზრუნველყოს საზოგადოების საყოველთაო უშიშროება. ცნობილია ი. ჭავჭავაძის გამოსვლა 1906 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე სახელმწიფო საბჭოს შინაგანაწესის კრიტიკით. ი. ჭავჭავაძე ამხელდა რა თვითმპყრობელური რუსეთის სახელმწიფოს ანტიხალხურ ბუნებას, აღნიშნავდა, რომ „სახელმწიფო (მთავრობის პირები და დაწესებულებანი) ხალხისათვის არსებობს და არა პირიქით, ხალხი ამ დაწესებულებებისათვის"[3].

მართალია, სახელმწიფო, როგორც ცალკე ინდივიდის, ასევე მთელი საზოგადოების წარმმართველი ძალაა, მაგრამ ამ სოციალურ ფენომენებს შედარებითი დამოუკიდებლობაც ახასიათებთ. საზოგადოება, სახელმწიფო, ადამიანი ისეთი მოელენებია, რომელთა წარმოდგენა ერთმანეთად შეუძლებელია, ამიტომ ი. ჭავჭავაძე საუკეთესოდ მიიჩნევს მხოლოდ ისეთ წყობილებას, რომლის დროსაც თითოეულ მათგანს, როგორც დამოუკიდებელ სოციალურ ფენომენს, შენარჩუნებული ექნება საკუთარი ფუნქციური დანიშნულება: „უკეთესი განწყობილება ის არის, საცა თვითეულს ამათგანს თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს, საცა თვითეული მათგანი ისეა მოთავსებული, რომ თვის სრული უფლება მიწყული აქვს. ერთი უწმინდესი და უდიდესი მოვალეობა და საგანი ყოველ საზოგადოდ მოქმედ ძალისა საერთოდ... ის არის, რომ ამ ყოფამდე მიაღწევინოს სახელმწიფოს, საზოგადოებას და ადამიანს, და ერთმანეთში თვითეული მათგანი სრულის კუთვნილი უფლებით და მოვალეობით მოათავსოს"[4].

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 226.

2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 112—113.

3 ს. ინგოროყვა, ი. ჭავჭავაძე (ბიოგრაფიული ნარკვევი). (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული. ტ. 1, გვ. 21).

4 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 166.

მაგრამ დროთა განმავლობაში სახელმწიფოს, რომელიც საზოგადოებამ შექმნა ადამიანთა ბედნიერებისა და კეთილდღეობის მისაღწევად, ძლიერები ეპატრონებიან და იგი იმორჩილებს საზოგადოებასა და ცალკე პიროვნებასაც, სახელმწიფო იწყებს საზოგადოებაზე და ადამიანებზე ამაღლებას და საქმე იქამდე მიდის, რომ ადამიანთა ბედნიერებისათვის შექმნილი სახელმწიფო თვითონ ხდება მჩაგვრელი ძალა, უდიდესი დესპოტი. რომელმაც „საზოგადოება და ადამიანი ცარიელზედ დასვა... ადამიანი კი ცალკედ თვის ყურმოჭრილ ყმად გაიხადა"[1]. ასე დაშორდნენ ერთმანეთს სახელმწიფო, საზოგადოება და ინდივიდი. მაგრამ, რადგანაც ადამიანთა სულიერი ცხოვრების ყველა მოვლენის შინაარსს მატერიალური ცხოვრების პირობები, ეკონომიკური ცხოვრება განსაზღვრავს, საზოგადოება, სახელმწიფო და ინდივიდი ამ დაპირისპირების მიუხედავად, „მოაზრე ცხოვრების" სხვა მოვლენებთან ერთად ზემოქმედებენ არა მარტო ერთმანეთზე, არამედ მათი შინაარსის განმსაზღვრელ ეკონომიკურ ცხოვრებაზეც. სანამ ეკონომიკური ცხოვრების ერთიანობა არსებობს, მანამდე „მოაზრე ცხოვრების" ზემოაღნიშნული მოვლენების, კერძოდ, სახელმწიფოს, საზოგადოების და ინდივიდის ამგვარი დაპირისპირება საფრთხეს არ უქმნის მათ არსებობას. საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრება განსაზღვრავს სახელმწიფოს ბუნებას, კლასების ურთიერთდამოკიდებულებას და ა. შ. ი. ჭავჭავაძე წერს: „ეგრეთწოდებული ეკონომიკური ყოფაცხოვრება ერთი იმისთანა საგანია ჩვენში, რომელიც ყველაზე ნაკლებ ხელხლებულია ჩვენ მიერ, ყველაზედ მეტად ყურადღების და ზრუნვის გარეთ დარჩენილია, თითქო სხვა ყოველთა საჭიროებათა შორის ამ ეკონომიკურ ყოფა-ცხოვრებას დღეს უპირველესი ადგილი არ ეჭიროს ყველგან და ჩვენში ხომ რაღა თქმა უნდა. დღეს ყველამ იცის, რომ თავი და ბოლო წინ წაწევისა, წარმატებისა, გაძლიერებისა, შინა და გარეთ დამოუკიდებლობისა, მაძღრობაა, სიმდიდრეა, ეკონომიკური ძალ-ღონიერებაა ერისა. აქ ხელცარიელად დარჩენილი, როგორც ჩვენა ვართ, დღეს ერთს ბიჯსაც წინ ვერ გადაადგამს, რაც გინდ სავსე ჰქონდეს გული დიდებულ აზრთა და გრძნობათათვის. ან თვით დიდებულნი აზრნი და გრძნობანი მოეღინებიან — კი იქ, საცა ადამიანი მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი, მგელსავით პირღია დაიარება და ერთი წუთი ვერ გადაურჩენია, რომ ჭამა-სმის გარეშეთად სხვა რაზედმე იფიქროს, სხვა უმაღლესს საგანს ადამიანის წყურვილისას თავი და გული მოანდომოს?"[2].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საზოგადოების ეკონომიკური წყობილება ისეთი ძლიერი ძალაა, რომ სხვადასხვა ხალხებში, რომლებიც თუნდაც სრულებით არ იცნობდნენ ერთმანეთს, საკუთრების ერთნაირი

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 165—'66.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 36—37.

ფორმის ბატონობა და მისგან წარმომდგარი ურთიერთობები ყველგან ერთგვაროვან საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ინსტიტუტებს წარმოშობს. ამ შეხედულების დასასაბუთებლად იგი ემყარება იმ დროისათვის პროგრესული ბურჟუაზიული მეცნიერების სიესისა და სპენსერის მოსაზრებებს, რომელთა მიხედვითაც, როგორც ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს „თუ გარემოებანი, რომელთ შორისაც ადამიანი ჰტრიალებს, ერთი და იგივეა, თითონ მათი შედეგიც ერთი და იგივე იქნებაო, ერთმანეთს ეგვანებაო“[1].

ი. ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს, საზოგადოების და სხვათა ბუნების ახსნა შეუძლებელია იმის გაუთვალისწინებლად, რომ კაცობრიობის პროგრესი, მისი წინსვლა საკუთრების ერთი ფორმის მეორე ფორმასთან ბრძოლის გარეშე არ ხდება: „რომელი ერიც გინდა აიღო მთელს ქვეყნიერებაზედ, ჰნახავთ, რომ ყველა ერის ეკონომიკური ცხოვრება იმის ბრძოლაში დალეულა და ილევა დღესაც, რომ ან ერთი ნაწილი საკუთრებისა აუფლოს ქვეყანაზედ, ან მეორე“[2].

საყურადღებოა, რომ საკუთრების ფორმების თავისებურებებით ხსნის ი. ჭავჭავაძე სახელმწიფოების ბუნებას. იგი მიუთითებს, რომ საკუთრების ფორმა განსაზღვრავს სახელმწიფოს და სხვა სოციალური მოვლენების შინაარსს და ხასიათს, რომ საკუთრების ერთი ფორმის მეორეთი შეცვლა იწვევს სახელმწიფოების ისტორიულ ცვალებადობასა და განვითარებას. მართალია, ი. ჭავჭავაძე, ისე როგორც ამ პერიოდის პოლიტიკური აზრი, არ იცნობს სახელმწიფოს ისტორიული ტიპის ცნებას და მის შესაბამის ტერმინს, მაგრამ ის, რომ კაცობრიობის ისტორიაში არსებობდა სხვადასხვა ბუნების სახელმწიფოები (ფეოდალური, ბურჟუაზიული) და მომავალშიც უნდა დამყარდეს სოციალიზმის ეკონომიკის შესაბამისი სახელმწიფო, მისთვის უკვე ცნობილია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხის, კერძოდ, ისტორიულად არსებული ერთი სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოთი შეცვლის ახსნა მხოლოდ საკუთრების ფორმის ცვალებადობით, XIX საუკუნის პოლიტიკური აზრის უდიდესი მიღწევაა და იგი ი. ჭავჭავაძის სახელთანაც არის დაკავშირებული. სახელმწიფოს ფილოსოფიაში ი. ჭავჭავაძის მიერ წამოყენებული ეს თვალსაზრისი საფუძვლად უდევს საზოგადოების ისტორიაში არსებული სახელმწიფოების მისეულ დახასიათებას.

ი. ჭავჭავაძის ნაშრომებიდან ჩანს, რომ იგი კარგად ერკვევა სხვადასხვა დროს არსებულ სახელმწიფოებში, კერძოდ, უძველესი (ანტიკური) პერიოდის, შუა საუკუნეების, ახალი დროის სახელმწიფოებისა

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 117.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 141.

და აგრეთვე იმ სახელმწიფოების ბუნებაში, რომლებიც მომავალში უნდა ჩამოყალიბდნენ. კაცობრიობის ისტორიაში არსებული სახელმწიფოები საკუთრების ფორმის მიხედვით ი. ჭავჭავაძეს დაყოფილი აქვს ორ კატეგორიად: პირველი, სახელმწიფოები, რომელთა შინაარსსა და დანიშნულებას განსაზღვრავს მიწაზე საკუთრება და მეორე, სახელმწიფოები, რომელთა ეკონომიკური საფუძველია „საფაბრიკო-საქარხნო ხელთმოქმედება". ი. ჭავჭავაძე იცნობს აგრეთვე მესამე კატეგორიის სახელმწიფოს, რომელიც ჯერჯერობით არ არსებობს, მაგრამ მისი აზრით იგი აუცილებლად წარმოიშობა საზოგადოების პროგრესის შედეგად, ესაა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც კაცობრიობის იდეალია. ეხება რა საზოგადოების ისტორიაში არსებულ საკუთრების ფორმებს, კერძოდ, სახელმწიფოსა და აგრეთვე სხვა სოციალური მოვლენების შინაარსის განმსაზღვრელ ეკონომიკურ საფუძვლებს, ი. ჭავჭავაძე წერს: „ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, — მიწა და გუთანია. რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია. იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს საიდღეისოდაც და სამერმისოდაც. სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საფუძვლად, და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთძად მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის. საქმე მიწაა და გუთანი. აბა მიიხედ-მოიხედეთ და ნახავთ, რომ მთელი განათლებული ევროპა, მთელნი დიდებულნი მესვეურნი კაცობრიობის წარმატებისა — იღვწიან, სისხლსა ღვრიან, რომ მიწა, ეგ მუქთი, ბუნებისაგან მინიჭებული კუთვნილება ყოვლისა ადამიანისა, შეძლებისამებრ — თანასწორად მორიგებულ ჰქონდეს ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა. რომელმა ერმაც ეს ვერ მოახერხა, ამ ყუაზედ გასულს ტკივილს ყოველის საზოგადოებისას წამალი ვერ დასდვა, — მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტვრად აიგავა. დიდს ისრაელს, დიდს საბერძნეთს, დიდს რომს ამითი მოეღო ბოლო"[1].

აღსანიშნავია, რომ ი. ჭავჭავაძის მიერ ჩამოთვლილი სახელმწიფოებიდან ძველი საბერძნეთი, ძველი რომი და ძველი ისრაელი იყო მონათმფლობელური სახელმწიფოები, აქ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ წყობილებას ძირითადად განსაზღვრავდა მონის შრომა, რომლის ობიექტს, რა თქმა უნდა, მიწაც წარმოადგენდა, მაგრამ ზემოაღნიშნულ სახელმწიფოებს იგი მონათმფლობელურს არ უწოდებს. უფრო ზუსტად, მათ დაღუპვას ი. ჭავჭავაძე აკავშირებს არა მონათმფლობელობის, როგორც უკვე მოძველებული და დრომოჭმული წარ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 173—174.

მოების წესის კრიზისთან, რაც გამოიხატა მონათმფლობელურ საზოგადოებაში ფეოდალური ელემენტების წარმოშობა-გაძლიერებით, არამედ მონათმფლობელობისაგან დამოუკიდებლად უშუალოდ მიწისმფლობელობის მოძველებული ფორმების დამხობის აუცილებლობასთან.

სახელმწიფოთა კლასიფიკაციის დროს ი. ჭავჭავაძე არ ასახელებს ფეოდალიზმამდე არსებული მიწისმფლობელობისაგან დამოუკიდებელი საკუთრების ფორმას და მის ნიადაგზე წარმოშობილ მონათმფლობელურ სახელმწიფოებს[1], მისი წარმოდგენით, პირველი კლასობრივი საზოგადოება და ამ საზოგადოების პოლიტიკური ხელისუფლება ემყარებოდა მიწისმფლობელობას. ი. ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ „პირველყოფილ დროს“ უპირატესად გაბატონებული იყო კოლექტიური, საზოგადოებრივი საკუთრება. როცა კერძო საკუთრების საზოგადოებრივ საკუთრებაზე გამარჯვების შედეგად „პირველყოფილი დრო“ დაემხო, კერძო საკუთრების უარყოფითი ძალა მთელი სისრულით გამოიხატა ფეოდალურ ეკონომიკურ წყობილებაში, რომელზეც აღმოცენდა ბატონყმობა და ფეოდალური სახელმწიფო: „საჭირო არ არის კაცი საისტორიო გამოძიებათა ბარდებში გაებას იმ უცილობელის და ყველასაგან ცნობილ ამბის დასამტკიცებლად, რომ პირველყოფილ დროს, როცა თავდაპირველ დაეწყვნენ კაცთა საზოგადოებანი, ზოგადს ელემენტს საკუთრებისას, თუ არ განსაკუთრებით, გადაჭარბებით მაინც, მეტი და უპირატესი ადგილი ეჭირა კაცთა ცხოვრებაში. სხვადასხვა საეკონომიო და საპოლიტიკო თვისების მიზეზთა გამო, მაგ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ თანდათან გზა დაუთმო პირადსა, და პირადის ელემენტის გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოისახა მთელის თავისის სასტიკობიდა ფეოდალობაში, რომელმაც შემოიტანა ბატონყმობა“[2].

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ფეოდალური საზოგადოების ძლიერება მხოლოდ მიწის საკუთრებას და მისგან წარმომდგარ ეკონომიკურ ურთიერთობებს ანუ „განსაკუთრებულ ხელთმოქმედებას“ ემყარებოდა. იგი წერს: „შუა საუკუნოებში ერთი განსაკუთრებული ხელთმოქმედება (производство)[3] იყო ევროპაში, ის ხელთმოქმედება მიწის შემუშავება იყო და მის გამო მიწა შეიქმნა ცილობის საგნად, რადგანაც იგი იყო პირველი და მხოლოობითი წყარო ქონებისა“[4]. მას შემდეგ, რაც მიწის თაობაზე ბრძოლა ფეოდალური კლასების გამარჯვებით დამთავრდა, ეს კლასები საზოგადოებაში ახორციელებენ განუყოფელ პოლიტიკურ ბატონობას. ფეოდალურ საზოგადოებაში ეკონომიურად ძლიერი კლასები მთლიანად ეპატრონებიან სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას, რადგა-

---

1 ვ. გ ა ბ ო ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, გვ. 290.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 142.
3 ამ ტერმინის შესახებ იხ. გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე, თბილისი, 1966, გვ. 636.
4 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 142.

ნაც აქ მიწისმფლობელობა განსაზღვრავს პოლიტიკური ხელისუფლების მოცულობას, ვისაც მეტი მიწის საკუთრება აქვს, იგი პოლიტიკურადაც უფრო ძლიერია. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ სწორედ ამის გამო შუა საუკუნეების ევროპაში „ერობის ორი უპირველესი წოდება — თავად-აზნაურობა და სამღვდელოება — იმის ბრძოლაში დასრულდა, რომ მიწა მარტოდ ხელში ჩაეგდო და, როცა ჩაიგდო, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი უფლებაც განმარტოებით დაიპყრა. პირველი გამოისახა ფეოდალობაში და მეორე მასში, რომ მარტო მიწათმფლობელობა შეიქმნა წარმომადგენლად სახელმწიფო საქმეთა გამგეობასა და წარმართვაში“[1].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც ეკონომიკურად ძლიერი კლასების ბატონობის ორგანოა, იცავს აშკარა ძალადობაზე აგებულ ფეოდალურ წყობილებას. გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვა ფეოდალური სახელმწიფოს დანიშნულებაა, რადგანაც ფეოდალურ საზოგადოებაში ადგილი აქვს მიწის კერძო საკუთრებიდან წარმომდგარ დიდ სოციალურ კონფლიქტებს. ფეოდალური საზოგადოების უდიდესი ნაკლი, რომელსაც სოციალური უბედურება მოაქვს საზოგადოების უმრავლესობისათვის, ეს არის ბატონყმური ურთიერთობა, რის გამო შრომას იძულებითი ხასიათი აქვს. ი. ჭავჭავაძე თავის პოემაში — „აჩრდილი“ — აღწერს რა მშრომელისა და მისი ნაშრომის მიმთვისებლის — ბატონისა და ყმის ურთიერთობას, რომელიც სრულ უსამართლობაზეა დამყარებული, აღშფოთებით კითხულობს: „ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება, ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!“[2] იძულებითი შრომით შეუძლებელია სოციალური ბედნიერება, როცა მატერიალური დოვლათის მწარმოებელი არაა დაინტერესებული შრომით და მას აიძულებენ იშრომოს ეარამშრომელის სასარგებლოდ, ამგვარ საზოგადოებაში გარდუვალია სოციალური კონფლიქტები.

ი. ჭავჭავაძეს უდიდეს უსამართლობად მიაჩნია ის, რომ იმდროინდელ საზოგადოებაში შრომა სიამოვნებაა და ბედნიერებას კი არ ჰგვრის მშრომელებს, ეარამედ მძიმე უღელი, დიდი ხნის დაჟანგებული ბორკილია მათთვის, მისი აზრით, შრომის იდეა ფეოდალურ სახელმწიფოში შეჭყლეტილია, იგი „ტყვედ პყრობილი“ და „მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ენებულია“, მაგრამ ახალი ეპოქა მოვალეობაა შრომის განთავისუფლება: „შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის, კაცთა ღელვისა დიდი ზვირთი მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის“. შრომის განთავისუფლებისათვის ადამიანთა ბრძოლა, როგორც განახლების გრიგალი, დაამსხვრევს მონური შრომის ბორკილებს,

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 53—54.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 1, გვ. 139.

რომელიც აფერხებს კაცობრიობის პროგრესს, „და ახალს ნერგზედ ახ-ლად შობილი ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების“.

ი. ჭავჭავაძე დარწმუნებულია, რომ ბატონყმურ ურთიერთობაზე დამყარებული შრომა, რომელსაც ფეოდალური სახელმწიფო მტკიცედ იცავს, რა მოტივებითაც არ უნდა სრულდებოდეს იგი, შედეგს ვერ გა-მოიღებს და ამგვარი შრომა, როგორც იძულების შედეგი, ყოველთვის მარცხით მთავრდება. ამ მხრივ საინტერესოა ი. ჭავჭავაძის სამი ნაწარ-მოები — „კაკო ყაჩაღი“, „ოთარაანთ ქვრივი“ და „გლახის ნაამბობი“. პირველ ნაწარმოებში მოთხრობილია ისტორია ახალგაზრდა კაცისა, რომელსაც მუქთახორა ბატონი აიძულებს იშრომოს თავის სასარგებ-ლოდ. ბატონისადმი ყმა-გლეხის თხოვნაზე — „მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს და შენს სახელსა მტლად დავედები“, — გულქვა და გაუმა-ძღარი ბატონი პასუხობს: „მირჩევს ჩემიო გერჩევნოს შენსას...“ კონ-ფლიქტური ურთიერთობა იმით მთავრდება, რომ ყმა-გლეხი ბატონს კლავს და ყაჩაღად მიდის ტყეში. იძულებითმა შრომამ გამოიწვია ბა-ტონსა და ყმას შორის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავება, რასაც შედეგად მოჰყვა ბატონის სიკვდილი და ყმა-გლეხის საზოგადოებისაგან ნებაყოფლობითი იზოლაცია. ბატონსა და ყმა-გლეხს შორის ამ ურთი-ერთობის ანალიზის საფუძველზე ი. ჭავჭავაძე ასკვნის: „გლეხკაცისა და ყმის ლიტონი ბედი ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში“.

ი. ჭავჭავაძის მეორე ნაწარმოებში — „ოთარაანთ ქვრივი“ — აღწე-რილია ბატონსა და გლეხს შორის ურთიერთობა — დამყარებული არა იძულებით, არამედ ნებაყოფლობით შრომაზე, რომელსაც სიყვარული ასულდგმულებს. ახალგაზრდა გლეხი გიორგი ნებაყოფლობით მიდის განათლებულ და პროგრესულად მოაზროვნე ბატონების — არჩილისა და კესოს ოჯახში სამუშაოდ. ბატონის ოჯახში გიორგის მისვლა ნება-ყოფლობით სამუშაოდ გამოწვეულია იმით, რომ მას შეუყვარდება ახალგაზრდა კესო. მიუხედავად იმისა, რომ გლეხის შრომას ბატონის ოჯახში ასხივოსნებს სიყვარულის მაღალი გრძნობა, შედეგი იგივეა, გიორგის სიცოცხლე ტრაგიკულად მთავრდება. მაგრამ გიორგის ტრა-გიზმი მის ფიზიკურ დაღუპვამდე იყო მომწიფებული ბატონის ოჯახში, კერძოდ, მართალია, გიორგის უყვარს კესო, მაგრამ ეს უკანასკნელი კლასობრივი განკერძოებულობიდან წარმომდგარი შეგნებით ხელმძღ-ვანელობს და ამ წმინდა და ფაქიზი სიყვარულის თანაგრძნობა არ შე-უძლია. აქედან გამომდინარე ი. ჭავჭავაძე აკეთებს იგივე დასკვნას: „ბა-ტონსა და ყმას შორის ხიდი ჩატეხილია“.

ი. ჭავჭავაძის მესამე ნაწარმოებში — „გლახის ნაამბობი“ — მოთხ-რობილია საშინელი ტრაგედია ჭაბუკი გლეხის გაბრიელისა, რომელიც ახალგაზრდა ბატონთან, დათიკოსთან მეგობრული ურთიერთობიდან წარმოსდგა. ავხორცმა და გარყვნილმა დათიკომ ძალით ნამუსი ახადა

თავისი თანაშეზრდილისა და მეგობრის გაბრიელის საცოლეს, მეტიც, გაბრიელი პეპიასთან ერთად ციმბირში გადაასახლებინა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, როგორც ი. ჭავჭავაძე ამბობს, მეგობრობდნენ და თანაშეზრდილები იყვნენ, ვითარცა აეთანდილი და შერმადინი. „გლახის ნაამბობში“ ი. ჭავჭავაძე აკეთებს დასკვნას, რომ ბატონსა და ყმას შორის მეგობრობა არ შეიძლება.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით ბატონსა და ყმას შორის ურთიერთობას, იმისგან განურჩევლად თუ რა მოტივი არის მისი საფუძველი, არ შეუძლია მთელი საზოგადოებისათვის სასურველი შედეგის მოტანა, მეტიც. იგი ან ერთი, ან მეორე მხარის საზიანოდ უნდა დასრულდეს. ბატონყმური ურთიერთობა აუტანელს ხდის მშრომელი ხალხის ცხოვრებას, ფეოდალური ექსპლუატაციის პირობებში აქ „კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა“[1]. ფეოდალურ სახელმწიფოს კი არ შეუძლია გადაჭრას საზოგადოებაში საკუთრების თაობაზე არსებული ბატონყმური ურთიერთობისათვის დამახასიათებელი სოციალური წინააღმდეგობანი. ბატონყმური ურთიერთობა აშკარა უსამართლობაზეა აგებული, ამ ურთიერთობის სუბიექტებს წარმოადგენენ ერთი მხრივ ძალითა და უფლებებით აღჭურვილი ცალკეული მებატონეები, მეორე მხრივ კი უუფლებო და ბეჩავი მრავალრიცხოვანი ყმა-გლეხები. ამ ურთიერთობაში ფეოდალურ სახელმწიფოს სხვა მიზანი არა აქვს გარდა დაცვა „ცალკე კაცის პირადის კეთილდღეობისა“. ფეოდალური სახელმწიფო საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამორიცხავს უფლება-მოვალეობების თანაბარ განაწილებას, ფეოდალური წყობილება არის „იმისთანა წყობა, რომელიც მარტო უფლებაა უმოვალეობო, უსაზღვრო, პირობადებული“[2]. ბატონყმურ ურთიერთობაში ყველა უფლება ბატონის ხელთაა, მოვალეობანი კი — ყმა-გლეხს აქვს დაკისრებული. უფლება-მოვალეობების ამ არათანასწორმა განაწილებამ განაპირობა ადამიანთა არსებობის მთავარი წყაროს — მიწების თავმოყრა საზოგადოების ინტერესთა საზიანოდ კერძო პირთა ხელში. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ერთი მხრივ „მუშახელი“ და მეორე მხრივ „სამუშაო საგანი“ ქმნის „ბუნებრივ მდინარებას ეკონომიკური ცხოვრებისა“, ე. ი. წარმოების საშუალებებისა და იარაღების ერთიანობა, კერძოდ, ეკონომიკური ცხოვრების ნორმალური ვანვითარება გულისხმობს, რომ წარმოების იარაღები და საშუალებები უშუალოდ მწარმოებლის განკარგულებაშია, მაგრამ ბატონყმობაზე დამყარებული ეკონომიკური ცხოვრება ნორმალურისაგან გადახრას წარმოადგენს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ბატონყმობის დროს „საზღვარდაუდებელმა უფლებამ საკუთრების პირადის ელემენტისამ მოუყარა თავი მამულებს კერძო კაცთა ხელში

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 1, გვ. 55.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 142.

ცალ-ცალკე, განაშორა მუშახელი სამოქმედო საგანს — მიწასა, განაცალკევა მუშა და სამუშაო საგანი"[1]. საზოგადოებაში მიწის ფეოდალურ საკუთრებაზე დამყარებულ წესრიგს მტკიცედ იცავს ფეოდალური სახელმწიფო და სამართალი. ფეოდალური საზოგადოების პრივილეგიურ ნაწილს, ფეოდალებსა და სამღვდელოებას ფეოდალური სახელმწიფო ანიჭებს ფართო უფლებებსა და თავისუფლებებს, ხოლო მრავალრიცხოვან გლეხობას მხოლოდ მოვალეობები აქვს დაკისრებული, მეტიც, ფეოდალურ სახელმწიფოში უფლება-მოვალეობები მტკიცედ არ არის დადგენილი, ყველაფერი, რასაც ფეოდალი მოისურვებს მის უფლებას შეადგენს. ფეოდალთა თვითნებობა და ძალადობა ფეოდალური სახელმწიფოს ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა.

ი. ჭავჭავაძეს უდიდეს უსამართლობად მიაჩნია წოდებათა პრივილეგიური განკერძოებულობა, როცა ერთი წოდების ბამბაც ჩხრიალებს, სხვა წოდებისა კი — კაკალიც კი არა, როცა საზოგადოების გაბატონებული და პრივილეგიური კლასი ითვისებს ჩაგრული და უუფლებო კლასის შრომით შექმნილ სიმდიდრეს. მარტო ერთი წოდებისათვის სახელმწიფოს ზრუნვა და მთელი მისი საქმიანობის წარმართვა სხვა რომელიმე წოდების შევიწროებისა და მოსპობისათვის, რასაც ადგილი აქვს ფეოდალურ სახელმწიფოში დიდი უსამართლობაა და იგი ეწინააღმდეგება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებს. წოდებები ერთმანეთთან ისე უნდა იყოს დაკავშირებული, რომ უერთმანეთოდ არსებობა შეუძლებლად მიაჩნდეთ: „თვითეულს ზურგი მაგარი სხვისით აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც. ამ კანონზეა აშენებული ყოველი ადამიანური საზოგადოება"[2]. საზოგადოებრივი ჰარმონია კაცობრიობის უმაღლესი იდეალია და ადამიანები იბრძვიან ამ სიკეთისათვის. ამ ბრძოლაში დიდ წარმატებას მიაღწია დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა, სადაც დიდხანს ფეოდალიზმი ბატონობდა, საზოგადოებრივი წარმოების გადამწყვეტი და უმთავრესი ფორმა იყო მიწათმოქმედება და ასეთ პირობებში ყველა კლასი იბრძოდა მიწების დაპატრონებისათვის. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ფეოდალური სახელმწიფო უგულებელყოფდა საზოგადოების განვითარების ამ კანონზომიერებას, იგი მხოლოდ გაბატონებული ფეოდალური კლასების ინტერესებს ემსახურებოდა.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფეოდალური სახელმწიფოს კრიზისი დაიწყო საზოგადოების ეკონომიკური წყობილების წიაღში მომხდარი ცვლილებებით, ამიტომაც დასავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოშობილ ძვრებს, კერძოდ, ფეოდალური სახელმწიფოს ახალი, ბურჟუაზიული სახელმწიფოთი შეცვლის თავისებურებებს, იგი სწავლობს როგორც საკუთრების

---

1 ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 142.
2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 353.

ფორმებში მომხდარი ცვლილებების შედეგს. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ფეოდალური საზოგადოების ეკონომიკურ საფუძველს შუა საუკუნეებში, როცა ბურჟუაზია მხოლოდ ის-ის იყო ყალიბდებოდა და მთელი ძალაუფლება თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას ეკუთვნოდა, განსაზღვრავდა მიწაზე ფეოდალური საკუთრება. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ფეოდალურ სახელმწიფოში „მიწა... იყო პირველი და მხოლობითი წყარო ქონებისა"[1]. მაგრამ საზოგადოებრივი წარმოების ზრდამ, რასაც მძლავრი ბიძგი მისცა ვაჭრობამ და აღებ-მიცემობამ, საფაბრიკო და საქარხნო ხელთმოქმედებამ და ა. შ., გამოიწვია გაბატონებული საკუთრების ფორმის შეცვლა. თუ ფეოდალიზმის დროს მიწა, როგორც უძრავი ქონება, იყო საკუთრების ძირითადი და უპირატესი ფორმა, რომელიც განსაზღვრავდა მთელი ფეოდალური საზოგადოებისა და სახელმწიფოს დაწესებულებებს, ზემოაღნიშნული ფაქტორების ზემოქმედებით ახლა მთავარი გახდა საკუთრების ახალი ფორმა, კერძოდ, მოძრავი ქონება კაპიტალის სახით: „როცა ერი წარმატებაში შევიდა, როცა ვაჭრობა გახშირდა, გახშირდა საფაბრიკო და საქარხნო ხელთმოქმედება, მაშინ ქონებითმა ძალამ სხვა სახე მიიღო, მაშინ მოძრავმა ქონებამ ფესვი გაიდგა და უპირატესი ადგილი დაიჭირა ერის ცხოვრებაში"[2].

დასავლეთ ევროპის უმთავრესი ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ამ ცვლილებებმა გამოიწვია არსებულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური ძვრები. ამ მხრივ აღსანიშნავია საზოგადოებაში ახალი კლასის — მესამე წოდების ანუ ბურჟუაზიის გაჩენა, რომელიც ამ ახალი საკუთრების, კერძოდ, მოძრავი ქონების განუყოფელი ბატონ-პატრონი გახდა. ი. ჭავჭავაძე ბურჟუაზიის შესახებ წერს: „ეს მესამე წოდებად ცნობილი ნაწილი ერისა... მოძრავი თავნის და შეძლების პატრონების ნაწილია"[3]. ეკონომიკურად მომძლავრებული ბურჟუაზია, რომელსაც სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტისას არაფერს არ ეკითხებიან, იწყებს „ცელებას", ბრძოლას ფეოდალურ სახელმწიფოში გაბატონებული თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წინააღმდეგ პოლიტიკური ხელისუფლების დაპატრონებისათვის. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ, როცა ფეოდალურ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულმა ახალმა საკუთრებამ უპირატესი ადგილი დაიჭირა ერის ცხოვრებაში, „მაშინ მოძრავთა სიძლავრ-ს პატრონნი შეეცილნენ საზოგადოებრივს და სახელმწიფოებრივს უფლებას მიწისმფლობელთა თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას"[4]. ბრძოლა მათ

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 52—54.
2 იქვე, გვ. 54.
3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 107.
4 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 54.

შორის დამთავრდა ფეოდალური სახელმწიფოს დამხობითა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს დამყარებით, მაგრამ ი. ჭავჭავაძის სამართლიანი მითითებით, ეს ბრძოლა მშვიდობიანი ფორმით არ მიმდინარეობდა, ერთი მხრივ ბურჟუაზიასა და მეორე მხრივ თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას შორის წინააღმდეგობებმა გამოიწვია საფრანგეთის დიდი რევოლუცია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე სოციალური რევოლუციებიდან ერთმანეთისაგან ანსხვავებს ძალდატანებით, სისხლიან და მშვიდობიან, ძალდაუტანებელ რევოლუციებს. მისი აზრით, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია იყო სისხლიანი, ძალდატანებითი რევოლუცია, რომელმაც გადაწყვიტა ბურჟუაზიასა და ფეოდალურ სახელმწიფოში გაბატონებულ კლასებს შორის წინააღმდეგობანი. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ძირითადი შედეგი ისაა, რომ მან „წამოაყენა მესამე წოდება, „ბურჟუაზია", რომელმაც მიწათმფლობელობას ჩამოაცილა უპირატესობა სახელმწიფო წყობაში და მის მაგივრად დაადგინა მფლობელობა მოძრავის ქონებისა"[1]. საფრანგეთის დიდ რევოლუციაში გამარჯვებულმა ბურჟუაზიამ შექმნა თავისი სახელმწიფო, ბურჟუაზიული სახელმწიფო.

ბურჟუაზიული სახელმწიფო, როგორც ახალი პოლიტიკური დაწესებულება, განსხვავდება ფეოდალური სახელმწიფოსაგან. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ფეოდალურთან შედარებით ბურჟუაზიული სახელმწიფო უფრო პროგრესულია[2]. ფეოდალურ სახელმწიფოში გაბატონებული თვითნებობისა და ძალადობის ნაცვლად ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ადამიანთა უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია კანონით და ამასთან ერთად ამ კანონებს ღებულობს ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების კრება ანუ პარლამენტი, რომელიც მხოლოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობისთვისაა დამახასიათებელი. ფეოდალური სახელმწიფოსაგან განსხვავებით, რომელშიც ხელისუფლებას განაგებდა მეფე და მასთან დაახლოებული დიდკაცობა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში სახელმწიფო საქმეებს განაგებენ არჩეეითი მთავრობები. ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოქალაქეებს გააჩნიათ პოლიტიკური უფლებები და სახელმწიფოებრიობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების უფლება. მიუხედავად ამისა, ი. ჭავჭავაძის აზრით, ბურჟუაზიული სახელმწიფო ანტიხალხურია, რადგან ბურჟუაზიული სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოქალაქეთა უფლებები ფორმალურია. მართალია ფეოდალური სახელმწიფოს დამხობის შემდეგ საზოგადოებრივი პროგრესი შესამჩნევი გახდა ადამიანთა ცხოვრების თითქმის ყველა დარგში, მაგრამ ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ მაინც ვერ შესძლო მთელი საზოგადოების ინტერესების გამოხატვა და დაცვა. ბურჟუაზი-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 54

[2] ვ. გ ა ბ ო ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, გვ. 298.

ული სახელმწიფო საზოგადოების მცირე ნაწილის, ბურჟუაზიის კლასის ბატონობის ორგანოა: „წყობა დღევანდელის დღისა... ეგრეთწოდებული „ბურჟუათა“ წყობაა... საცა კი მიიხედავთ, ყველგან ეგენი არიან: ქვეყნის გამგებლობას იკითხავთ — ეგენი არიან, კანონმდებლობას, მრეწველობას, ვაჭრობას, — სულ ყველგან ეგენი არიან ობსავით მოკიდებული, და რაც საიდან გამორჩომაა — არავითარს შემთხვევას არ ჰკარგავენ, რომ არ გამორჩნენ“[1].

ბურჟუაზიული სახელმწიფოების ეპოქა იმითაა ცნობილი, რომ ევროპის დაწინაურებული ქვეყნების საშინაო და საგარეო ურთიერთობაში ბატონობს შემდგომი გაძლიერებისა და გამდიდრების დაუოკებელი მისწრაფება: „დღეს ქვეყნიერობას ის კანონი ამოქმედებს, რომელსაც ჩვენში „მიეცეს და მიემატოს“ ეძახიან“[2]. კაპიტალისტურ სამყაროში ფულის ძალა განუზომელია, უსაზღვრო გამდიდრების სურვილით შეპყრობილი ბურჟუაზია თავის ბატონობას ფულის ძლიერებაზე ამყარებს და „აღვირაშვებულმა ფარფაშობამ ფულისამ ისე გაჰბაწრა და შესთოკა ადამიანი ეხლანდელ დროში, რომ ვისაც უფულობაში მოასწრო, იმის გაფულიანება თითქმის შეუძლებელიღაა პატიოსან შრომითა და გარჯითა“[3]. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ქურდბაცაცა ბურჟუაზია, ყველაფერს ნთქავს და იტაცებს. პრივილეგიური ფეოდალური საზოგადოების დამხობამ ვერ უზრუნველყო ადამიანთა პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება, თუმცა ბურჟუაზია სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დაპყრობისათვის ბრძოლის პერიოდში საზეიმოდ აცხადებდა, რომ ყველა ზომას მიიღებს, რათა „უპირატესობა სახელმწიფო და საზოგადოებრივს წყობაში არავის არა ჰქონდეს განსაკუთრებული“[4].

ევროპის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ბურჟუაზია განუყოფლად ბატონობს, თუმცა იგი მოჩვენებითი დემოკრატიული დაწესებულებებით ცდილობს საქმე ისე წარმოგვიდგინოს, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო ერთნაირად იცავს ყველა ადამიანის ინტერესებს კლასობრივი კუთვნილებისაგან დამოუკიდებლად. ამ აზრით ბურჟუაზიული სახელმწიფო მექანიზმი გაორებულია. ერთი მხრივ, იგი მოწოდებულია დაიცვას ბურჟუაზიის ბატონობა, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ცდილობს არ გაამწვავოს ბურჟუაზიისადმი დაპირისპირებული კლასების წინააღმდეგობა და ათასნაირი დაპირებებით ყველა ღონეს ხმარობს მისი პირდაპირი დანიშნულების მისაჩქმალავად. აკრიტიკებს რა საფრანგეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოს მექანიზმს, ი. ჭავჭავაძე წერს: „პარ-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 107.
2 იქვე, გვ. 96.
3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 12—13.
4 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გ. 54.

ლამენტი და სენატი დღეს იმისთანა ელემენტებისაგან არის შემდგარი, რომ ვერსად წაუვა ორწყალსშუა დგომას. გულით რომ ერთი უნდოდეს — პირი მეორე მხრისაკენ უნდა ეპიროს. დღევანდელს საბრძოლველს მოედანზე ცალმხრივ ბურჟუაზია სდგას, რომელსაც შესწევს დღევანდელი ეკონომიკური წესწყობილება, — და მეორე მხრივ ამ წესწყობილების მომდურავნი და ეკონომიკურ ცვლილებათა მომხრენი. პარლამენტი და სენატი ამათ შუა ჰტოკავს და ვერ გაუბედნია ან მთლად ერთისაკენ გაიწიოს, ან მეორისაკენ, პარლამენტის და სენატის სული და გული დღეს უფრო ბურჟუაზიისაკენ არის, მაგრამ ამასთან ისიც იციან, რომ ერის ცხოვრების ღაღადებასაც ანგარიში უნდა გაეწიოს. პირველნი გულით ვერ გაუმეტნიათ და მეორეს შიშით ყურს ვერ უყრუებენ"[1].

კაპიტალისტურ ქვეყნებში საზოგადოების დიდი უმრავლესობა დაპირისპირებულია ბურჟუაზიისადმი. ამ დაპირისპირების ძირითადი მიზეზია ბურჟუაზიული სახელმწიფოების ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილება, რომელიც ფორმალურად მთელი საზოგადოებისათვის არის შექმნილი, მაგრამ ფაქტობრივად მხოლოდ ბურჟუაზიის კლასობრივ ბატონობას უზრუნველყოფს.

ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიკური წყობილების საფუძველი კერძო საკუთრებაა, თუმცა ბურჟუაზიული სახელმწიფოების კანონმდებლობაში ამაზე არაფერია ნათქვამი: „ნუ გეგონებათ, ვითომც ეს სულთა და ხორცთამხუთავი ძალ-ღონე ფულს დაწერილ კანონისაგან ჰქონდეს მინიჭებული. ესეთი კანონი არა რჯულში არა სწერია, არა კანონმდებელს თავის-დღეში ფიქრადაც არ მოსვლია. ესეთი ძალ-ღონე ფულისა იმ უწერელმა კანონმა შეჰქმნა, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან და რომლის ძალმომრეობა თვით დაწერილ კანონზე უძლიერესია და თავში გამწევი მოუდრეკლად. ჟამთა ცვლამ და ეკონომიკურ შინაგან და გარეგან ვითარების წინსვლამ ისტორიაში ისე მოუმართა ფულს ხელი, რომ ყველგან და ყოველმხრივ ცხენის ძუის ბადე გაბა: გაინძრევით თუ არა, ამ ბადეში გაიხლართები, როგორც ბუზი აბლაბუდაში"[2].

კაპიტალიზმმა სიკეთესთან ერთად ბევრი უბედურება მოუტანა ხალხებს, რამაც თავი იჩინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. მოსახლეობის დიდი ნაწილის პაუპერიზაციამ, კაპიტალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელმა უარყოფითმა მოვლენებმა (კრიზისები, უმუშევრობა და სხვ.), ჭარბი საქონლის გასაღებისათვის ბაზრების ძებნამ, რაც ძლიერი კაპიტალისტური ქვეყნების კოლონიურ პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, მთელი სიმდიდრის საზოგადოების უმცირესობის, კერძოდ, ბურჟუაზიის ხელში თავმოყრამ, გამალებულმა შეი-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 226—227.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 11.

არაღებამ, ევროპის ქვეყნების მილიტარიზაციამ და ა. შ., საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბურჟუაზიული სახელმწიფოებრიობის განხორციელებისათვის დიდი სიძნელეები შექმნა. ამ სიძნელეების ეკონომიკური საფუძველია ის, რომ „დღევანდელს დღეს დაჰპატრონებია მარტო შემძლებელი, სულ თავისკენ მოუთლია, ზედ დაჯდომია და მაგრად ჩაუჭიდნია ხელი“[1].

კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკური წყობილების ამ საგანგაშო მდგომარეობამ გამოიწვია წინააღმდეგობების გამწვავება პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

ბურჟუაზიული სახელმწიფოების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს პოლიტიკური პარტიები. ფეოდალური სახელმწიფოს დამხობამ და ახალი, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო საზოგადოების სხვადასხვა წოდებების გააქტიურებას, რაც თავის გამოხატულებას პოულობს პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება სხვათა შორის იმაზეც მიუთითებს, რომ კლასობრივი წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ სამყაროში უკიდურესად გამწვავებულია, რომ წოდებებს შორის ადგილი აქვს ბრძოლას და ბურჟუაზიული საზოგადოება არ არის ერთიანი. კაპიტალისტურ სახელმწიფოებში არსებული წინააღმდეგობების გამო მთელი საზოგადოება ორ ნაწილადაა დაყოფილი: პირველი, ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებული ბურჟუაზია და მეორე, მშრომელი ხალხი, რომელიც ექსპლუატირებული და ჩაგრულია. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არსებული ყველა წინააღმდეგობა საზოგადოების ამ ურთიერთდაპირისპირებიდან გამომდინარეობს, ამიტომ ჩაგრული და ექსპლუატირებული მუშათა კლასის საქმე ევროპის თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოების უმთავრესი საკითხია. 1886 წელს ი. ჭავჭავაძე წერდა: „დღეს ევროპაში სამი უმთავრესი სახელმწიფოა, — გერმანია. ინგლისი და საფრანგეთი, რომელთაც დროთა ვითარებაში თითქმის ერთნაირი შინაური საქმეები აუჩინა გადასაწყვეტად... ეს საქმე — მუშათა ყოფა-ცხოვრების საქმეა“[2].

კაპიტალიზმმა საზოგადოებაში წარმოშვა ახალი კლასი, რომელიც ფეოდალიზმის ეპოქისათვის უცნობი იყო, ეს კლასი არის მუშათა კლასი ანუ მეოთხე წოდება[3], რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასია. იგი უკმაყოფილოა ბურჟუაზიის განუყოფელი ბატონობით საზოგადოების ყველა დარგში და „აი ეს გულნაკლულნი, რომელსაც მეოთხე წოდებას ეძახიან, მუშა ხალხია, რიცხვით მრავალი“[4]. მუშათა კლასის უკმაყოფილება იქიდან წარმოსდგება, რომ იგი ქმნის კაპიტა-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 107.
2 ი ქ ვ ე, გვ. 187.
3 ვ. გ ა გ ო ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, გვ. 305.
4 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 107.

ლისტურ სამყაროში მატერიალურ დოვლათს, მაგრამ მისი საყოფაცხოვრებო პირობები აუტანელია, იგი მუდმივ გაჭირვებაში იმყოფება. 1886 წელს დაწერილ წერილში — „მუშათა ყოფა-ცხოვრების საკმე ევროპაში“ ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ყველა უმთავრეს კაპიტალისტურ სახელმწიფოში მუშები მოითხოვენ სამუშაო დღის შემცირებას, ხელფასის მომატებას, უმუშევრობის აღმოფხვრას, პოლიტიკური უფლებების გარანტიებს და ა. შ. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ევროპაში მუშათა საკითხის გადაჭრას ბურჟუაზია ცდილობს სამი სხვადასხვა გზით. საფრანგეთში მუშათა საკითხი მტკივნეული გახდა დეკაზეილის ქვანახშირის მაღაროებში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. მუშებმა მოითხოვეს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ამ მოთხოვნის გადაწყვეტა განზრახულია მოხდეს სახელმწიფოებრივ დონეზე, კერძოდ, მუშათა საკითხით დაინტერესებულია საფრანგეთის პარლამენტი, სადაც მუშათა კლასს თავისი მომხრეები ჰყავს და პრემიერ-მინისტრიც. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ერთმაც და მეორემაც ან ჰო უნდა სთქვას, ან არა“ — მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუკეთებლობის თაობაზე. „არას“ თქმა შეუძლებელია და მთელი „ჰოს“ თქმაც ძნელია. ძნელია იმიტომ, რომ ეგრეთწოდებული „ბურჟუაზია“ ყალყზედ შედგება და დღეს ამ ბურჟუაზიას დიდი ღონე აქვს და მნიშვნელობა სამინისტროს მტკიცედ ფეხზე დგომისა და დღეგრძელობისათვის. „არას“ თქმა კიდევ იმიტომ არის შეუძლებელი, რომ მუშათა მოსარჩლე დასი, როგორც მთელს საფრანგეთსა, ისეც თვითონ პარლამენტშიც — რიხიანი, ფხიანი და კარგა მოზრდილი დასია. იმოდენად აქვს ამ დასს ყოველივე ეს თვისება, რომ შეუძლებელია ეხლანდელი სამინისტრო და პარლამენტი თავის მოძღვრებისაკენ არ გადმოხაროს“[1].

ინგლისში მუშათა საკმე ასევე პარლამენტის მსჯელობის საგანი იყო და კამათის შემდეგ მოიწონეს წინადადება ჩემბერლენისა, რომელმაც „იმაზედ დააფუძნა თავისი სიტყვა და რჩევა, რომ მუშათა უსაქმობისა და მათთვის სამუშაოს აღმოჩენა სჯობია თვითმმართველობის თაოსნობას მიენდოსო“[2]. გერმანიაში ბისმარკის ინიციატივით მუშათა საქმის ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებულ გადაწყვეტას ანიჭებენ უპირატესობას. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ბისმარკის „აზრით ყოველივე — სახელმწიფოს ძლერს ხელში უნდა იყოსო, ყოველივე მის ინტერესებს უნდა ქვეშ ამოუდგესო. სახელმწიფო ინტერესი ითხოვს — მუშათა ხალხი მის ხელთ იყოს და ყოველთვის მისი შემყურებელიო და სახელმწიფო მონოპოლიები მოიგონა“[3].

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, რომლებიც შეშფოთებული არიან

---

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 188.
[2] იქვე.
[3] იქვე. გვ. 189.

მუშათა საკითხით, არ არსებობს ერთიანი აზრი იმის თაობაზე რა გზითა და რა საშუალებებით იქნას უზრუნველყოფილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბურჟუაზიის ბატონობა მშრომელ ხალხზე. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს: „ამ სამის თეორიისაგან რომელი დაიჭერს თავს ევროპაში, ევროპის შინაურის ცხოვრებაში, — ამას დრო გამოაჩენს"[1].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მართალია ბატონყმობა ადამიანთა ექსპლუატაციის ყველაზე უხეში და ტლანქი ფორმა იყო, მაგრამ ბურჟუაზიამ კაპიტალის ბატონობის შედეგად მშრომელთა ექსპლუატაციის ისეთი ფორმები მოიგონა, რომელიც ეკონომიკურ იძულებას ემყარება. კაპიტალიზმის დროს მშრომელთა ექსპლუატაციას საფუძვლად უდევს პრინციპი: „ან მეყმე ან შიმშილით სული ამოირთვიო. ეს ისეთი შეუწყნარებელი მდგომარეობაა, რომ ამასთან აწ საუკუნოდ განსვენებული ბატონყმობაც-კი მადლად ჩასათვლელია"[2]. ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფო და მის მიერ დადგენილი კანონები ისეთი დაწესებულებებია, რომ მათი დახმარებით ადვილად შეიძლება ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის ურთიერთობის მოგვარება, მაგრამ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, მის კანონებს, როგორც ზემოთ დავინახეთ, არ სურს გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელება ამ მხრივ.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ რაკი ბურჟუაზიული სახელმწიფო არ ზრუნავს მუშათა კლასზე და არ ცდილობს მისი სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილებას, მეოთხე წოდება — მუშათა კლასი იძულებულია საკუთარი ძალებით იბრძოლოს არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ თავისი უკეთესი მომავლისათვის. სწორედ ამით უნდა აიხსნას მუშათა გამოსვლები და აჯანყებანი ინგლისში, საფრანგეთში და ა. შ. მუშათა გამოსვლები სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელ ბურჟუაზიულ სამყაროს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ დიდი „ტკივილი ინგლისისა — მუშახალხის აღრევა არის. ეს ასეთი წყლულია, რომ შეიძლება ადამიანი თან გადაიტანოს. თუ... მუშახალხი აიშალა და ძარცვა-გლეჯა დაიწყო, ჰსჩანს, სატკივარი დიდია და ღრმად განწირული აგებულებაში. ინგლისში ამისთანა ამბავი წუთიერს აფეთქებას ვერ მიეწერება: ეს ურიხალხი, დიდი თუ პატარა, არამცთუ პატივისმცემელია, არამედ თაყვანისმცემელია კანონისა და წესისა. იქ, თუ არ დიდი მიზეზი, ვერაფერი სხვა ვერ გამოიწვევდა ამ დიდს უწესობას. ამით არის საშიში და გასაფრთხილელი ეს საქმე"[3].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, მუშათა კლასის ბრძოლა სამართლიანია, რადგანაც ყველა საზოგადოებაში წოდებრივი პრივილეგიები უნდა მოისპოს, უპირატესობა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წესწყო-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 189.
2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 12.
3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 83.

ბილებაში არავის არ უნდა გააჩნდეს განსაკუთრებული. ამით უნდა აიხსნას ის, რომ საზოგადოებაში ყველაზე ხალხმრავალი მეოთხე წოდება „იბრძვის სასტიკად და მედგრად თავისის დედააზრისათვის და იმედიცა აქვს გამარჯვებისა“[1]. მუშათა კლასს ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვების იმედს აძლევს მის მიერ წამოყენებული მოთხოვნების პროგრესულობა და სიდიადე. ი. ჭავჭავაძე ღრმადაა დარწმუნებული, რომ მუშათა კლასი მის მიერ წამოყენებული მოთხოვნებისათვის ბრძოლაში გაიმარჯვებს, რადგან იგი კაცობრიობისათვის უკეთეს მომავალსა და უმაღლეს სათნოებას ითვალისწინებს. კაპიტალისტური წყობილების უდიდესი ნაკლი ისაა, რომ ბურჟუაზიამ ისე წარმართა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობა, რომ ყველაფერი მიითვისა, საზოგადოების მთელ სიმდიდრეს დაეპატრონა და სრულიად უყურადღებოდ დატოვა ის, რამაც და ვინც შექმნა ეს სიმდიდრე, კერძოდ, შრომა და მუშათა კლასი. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებული ამ უმთავრესი ნაკლის აღმოსაფხვრელად იბრძვის მუშათა კლასი, რომელიც „ყოველგვარის წყობის ქვაკუთხედად სდებს შრომასა, რომელიც ბუნებითად ყველას განმათანასწორებელია, რადგანაც ყველა უნდა მშრომელი იყოს“[2]. საყურადღებოა, რომ ი. ჭავჭავაძე მუშათა კლასის ამ მოთხოვნას უკავშირებს სოციალიზმს და იგი ამ უკანასკნელის უმთავრეს მოთხოვნად თვლის, ხოლო მუშათა კლასი კი სოციალიზმისათვის მებრძოლ მრავალრიცხოვან და უმთავრეს რაზმად მიაჩნია. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ბურჟუაზიის ბატონობით უკმაყოფილო საზოგადოების ნაწილი, რომელსაც „მეოთხე წოდებას ეძახიან, მუშათა ხალხია, რიცხვით მრავალი, და იგი შეადგენს დღეს სოციალობის რაზმსა“[3].

მართალია, ი. ჭავჭავაძე ჭეშმარიტი მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრებისაგან საკმაოდ შორს დგას, მას ნამდვილ სოციალიზმზე ჯერ კიდეე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, მაგრამ მის უდიდეს დამსახურებას შეადგენს ის, რომ სოციალიზმი ი. ჭავჭავაძემ მუშათა კლასს დაუკავშირა და ამ უკანასკნელის ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ კაცობრიობის უმაღლესი იდეალების განხორციელების ერთადერთ გზად გამოაცხადა. ამასთან ერთად, ი. ჭავჭავაძეს სოციალიზმი და სოციალისტური სახელმწიფო მიაჩნია კაცობრიობის განვითარების უმაღლეს საფეხურად, ამ საზოგადოებაში ყველა ბედნიერად იცხოვრებს და აღმოიფხვრება ბურჟუაზიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ძირითადი წინააღმდეგობანი. საყურადღებოა, რომ ი. ჭავჭავაძის პოლიტიკური იდეალები მთლიანად შეესაბამება სოციალიზმის მოძღვრებას და

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 54.
[2] იქვე.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 107.

მის მოთხოვნებს ემყარება. როცა სოციალიზმზე ი. ჭავჭავაძის შეხედულებების შესახებ ვლაპარაკობთ, საგანგებოდ უნდა მივუთითოთ, რომ ი. ჭავჭავაძე საფუძვლიანად იცნობს სოციალიზმისადმი მიძღვნილ როგორც მარქსისტულ, ასევე რევიზიონისტულ-ოპორტუნისტულ ლიტერატურას, კერძოდ, მის პირად არქივში გვხვდება საკუთარი ხელით შედგენილი კ. მარქსის, ფ. ენგელსის, გ. პლეხანოვის, ე. ბერნშტეინისა და სხვათა წიგნების კონსპექტები შენიშვნებით.

ი. ჭავჭავაძე ღრმად არის დარწმუნებული, რომ სოციალიზმი, როგორც კაცობრიობის უმაღლესი იდეალი, თანდათან იმარჯვებს. სტატიაში „მეცხრამეტე საუკუნე", რომელიც 1899 წელს გამოქვეყნდა, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სოციალიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში წინა საუკუნეებთან შედარებით ყველაზე მეტი გააკეთა XIX საუკუნემ, რომელმაც „მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულ-შესატკივარი"[1]. საყურადღებოა, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბებული ზემოაღნიშნული მოთხოვნა საფუძვლად დაედო იმ პროგრამას, რომელიც, როგორც უმაღლესი პოლიტიკური იდეალი, XIX საუკუნემ განსახორციელებლად უანდერძა XX საუკუნეს, კერძოდ, ასკვნის ი. ჭავჭავაძე, „მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად"... მეცნიერება, ადამიანის გონების წინსვლა, ზნეობის აღმატება, — ჯერ ბევრს სხვას კიდევ ძლევამოსილობით მოიმოქმედებს, მაგრამ ამ მეცხრამეტე საუკუნის ანდერძზე უაღრესს და უდიდესს საგანს სხვას ვერას აღმოაჩენს და არ გაუთვალისწინებს კაცობრიობას დღეის ამას იქით"[2].

მკითხველთა ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ ი. ჭავჭავაძეს ამ სტატიის აქ მოტანილ მასალაში ციტირებული და შიგა ბრჭყალებით გამოყოფილი ადგილი, რომელშიც ლაპარაკია XIX საუკუნის მიერ XX საუკუნისათვის ნაანდერძევი სოციალური წყობილების იდეალზე, კერძოდ, „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 3.
[2] იქვე, გვ. 8—9.

სებისა წარსამატებლად", როგორც ეს მეცნიერულ ლიტერატურაში ბევრჯერ აღუნიშნავთ[1], არის გ. შმოლერის წიგნიდან — „მეცნიერება სახალხო მეურნეობის, მისი საგნისა და მეთოდის შესახებ" შემდეგი ნაწილის თარგმანი: „Идеал социализма — устранение неравенства имущества, а по возможности всяких классовых различий, подъем и поддержка трудящихся классов". როგორც ცნობილია, გ. შმოლერის წიგნის ეს ადგილი ი. ჭავჭავაძეს ამოუწერია თავის რვეულში და იგი შემდეგ ზემოაღნიშნულ სტატიაში გამოცხადებული აქვს XIX საუკუნის მიერ XX საუკუნისათვის ნაანდერძევ სოციალურ იდეალად. ყურადღებას იქცევს ის, რომ გ. შმოლერი, როგორც ციტირებული რუსული ტექსტიდან ჩანს, განსახორციელებელ ღონისძიებათა კომპლექსს უწოდებს „სოციალიზმის იდეალს" („Идеал социализма"), ი. ჭავჭავაძეს კი ზემოაღნიშნულ სტატიაში, რომელშიც გ. შმოლერის წიგნიდან მოტანილია ეს ადგილი, „სოციალიზმის იდეალი" შეცვლილი აქვს XIX საუკუნის მიერ განსახორციელებელი ახალი „სოციალური წყობილების იდეალით", რითაც, რა თქმა უნდა, შინაარსი არ იცვლება. ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ 1899 წლის 31 დეკემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში ი. ჭავჭავაძე XIX საუკუნის მიერ XX საუკუნისათვის ნაანდერძევ უმთავრეს პოლიტიკურ იდეალად სოციალიზმს აღიარებს და მისი დაკავშირება მუშათა კლასთან, ამ პერიოდის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის უდიდესი მიღწევაა.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ფეოდალური საზოგადოება და სახელმწიფო შეცვალა ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ და სამართალმა, რომელიც თავის მხრივ უნდა შეცვალოს სოციალისტურმა სახელმწიფომ და სამართალმა, რომელიც კაცობრიობის განვითარების უმაღლესი საფეხური იქნება. როგორც ი. ჭავჭავაძის ნაშრომებიდან ჩანს, იგი ძალიან კარგად იცნობს დასავლეთ ევროპის ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების თავისებურებებს, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არსებულ კლასებს, კლასობრივ ბრძოლას და კაპიტალისტური ქვეყნების შემდგომი განვითარების ტენდენციებსა და თავისებურებებს, რომელთა ზეგავლენით იქმნება საზოგადოებრივი პროგრესის ძირითადი წანამძღვრები.

ამასთან დაკავშირებით ი. ჭავჭავაძე სვამს კითხვას: დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში შემუშავებული უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის გზები და მეთოდები გამოდგება თუ არა ისეთ ქვეყნებში, როგორიც რუსეთი და საქართველოა. ამ კითხვაზე ი. ჭავჭავაძე უარყო-

---

[1] პ. ინგოროყვა, სარედაქციო შენიშვნები ი. ჭავჭავაძის V ტომზე (ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 403—405); ვ. გაგნიძე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, თბ., 1962, გვ. 114 და ა. შ.

ფითად პასუხობს. არსებითად განსხვავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების გამო შეუძლებელია ერთნაირ საზოგადოებრივ მოვლენებს ჰქონდეს ადგილი, ერთი მხრივ, დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და, მეორე მხრივ, რუსეთსა და საქართველოში. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ამჟამად ბატონობს „საფაბრიკო-საქარხნო ხელთმოქმედება“ და ამდენად საკუთრების ძირითადი ფორმა ფეოდალურისაგან არსებითად განსხვავებულია. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბებულმა ეკონომიკური წყობილების თავისებურებებმა განაპირობა საფაბრიკო-საქარხნო წარმოების შესაბამისი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ძირითადი საზოგადოებრივი კლასებია ბურჟუაზია და მუშათა კლასი.

რაც შეეხება საქართველოსა და რუსეთს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირში არიან, ამ ქვეყნებში გაბატონებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ეკონომიკის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს „მიწათმოქმედება, სასოფლო მრეწველობა, რომელზედაც დამყარებულია თითქმის მთელი მეურნეობა და აელადიდება ერისა რუსეთში და საერთოდ ჩვენში საკუთრივ“[1].

ი. ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ მართალია ყველა საზოგადოებაში მოქმედებენ განვითარების ერთნაირი კანონზომიერებანი, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ხალხს საკუთარი წარსული და მომავალი აქვს, ყველა ხალხის ისტორიული განვითარების პროცესი შეუძლებელია გავიგოთ მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური გარეგანებების გარეშე. იგი წერს: „ერთხელ და უკანასკნელ საცოდნელად საჭიროა, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველის მხრით და ყოვლისფრით სულ სხვაა. იმის ცხოვრებას, მოქალაქურს, თუ ეკონომიკურს, თავისი საკუთარი დვრიტა აქვს, თავისი საკუთარი დედა, რომელსაც შეუდედებია მისი აწმყო, რომელმაც აწ უნდა შეუდედოს მისი მომავალი. ჩვენს ქვეყანას თავისი გრძელი ისტორია აქვს, ამ ისტორიამ შეჰქმნა ჩვენის ქვეყნის საკუთარნი წესნი ყაცთა ერთმანეთში მოთავსებისათვის მოქალაქურად თუ ეკონომიკურად“[2].

ამრიგად, ერთი მხრივ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები და, მეორე მხრივ, რუსეთი და საქართველო, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან ეკონომიკური წყობილების მიხედვით, რაც ამ ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში პოულობს გამოხატულებას. საკუთრების ფორმა განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობილებას, მაგრამ ზოგჯერ ის ქვეყნებიც კი, სადაც საკუთრების ერთნაირი ფორმა ბატონობს, მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ რუსეთსა და საქართველოში საკუთრების

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 307.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 295.

ერთნაირი ფორმა ბატონობს და საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი მიწათმოქმედებაა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყნებში მიწის საკუთრებიდან წარმომდგარი სოციალური შედეგები ერთნაირია. მართალია, ისევე როგორც რუსეთში, ასევე საქართველოს ეკონომიკურ წყობილებაში თავიდანვე მიწის საკუთრების ორი ფორმა იყო ცნობილი, პირველი საზოგადოებრივი, „სამსოფლო" და მეორე, საკომლო, მაგრამ მიწის საკუთრების ამ ორ ფორმას შორის ურთიერთდამოკიდებულება საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იცვლებოდა, რაც იმაში გამოიხატება, რომ „თუ საკომლო ფეხს გაიდგამდა და გავრცელდებოდა, მაშინ განსაკუთრებას მიწისას და, მაშასადამე უსწორ-მასწორობას მიწის მფლობელობაში ფართო გზა გაეხსნებოდა, და თუ სამსოფლო გაძლიერდებოდა — მაშინ იმ უსწორ-მასწორობას გზა შეეკვროდა"[1]. უმრავლეს ქვეყანაში მიწის საკუთრების ამ ორი ფორმიდან წარმომდგარი წინააღმდეგობანი საზოგადოებაში მუდმივი ბრძოლისა, და განხეთქილების მიზეზი იყო, საქართველოს ეკონომიკური წყობილების ძირითადი თავისებურება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მიწის თაობაზე აქ ბრძოლა თითქმის არასდროს არ ყოფილა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „სიკეთე ჩვენის ეკონომიკურის აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს — აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის, ვიდრე სხვა რამ"[2].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ რუსეთისაგან განსხვავებით საქართველოში მიწა უფრო სამართლიანად „მორიგებული" იმიტომ არის, რომ რუსეთში გლეხობა „კომლეულობით, მემკვიდრეობით არა ჰფლობს ერთსა და იმავე მიწას; იქ მიწა სახასოა, ესე იგი საერთოა და არავის არა აქვს დაჩემებული სამუდამოდ, როგორც ჩვენში. ამის გამო იქ სოფელი წარმოადგენს მიწის შესახებ ორნაირს მფლობელობას: ერთის მხრით — სოფლეულად სახასო, საერთო მფლობელობას გლეხთა მიერ, მეორეს მხრით — კერძოობით და განსაკუთრებულს მფლობელობას თავადაზნაურთა მიერ"[3]. ამიტომ რუსეთში, ი. ჭავჭავაძის აზრით, ბატონობს „ორგვარი ეკონომიკური წყობა", რაც საერთოდ უცხოა საქართველოსათვის, სადაც რუსეთისაგან განსხვავებით მიწისმფლობელობა არის კომლეული, მემკვიდრეობითი და სამუდამო ყველა წოდე-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 177.
[2] იქვე.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 19.

ბისათვის. განსხვავება მხოლოდ მამულის მეტნაკლებობაში მდგომარეობს და ეს მეტნაკლებობა მიწისა დამახასიათებელია არა მარტო ცალკეულ წოდებათა მიხედვით, არამედ თვით წოდებათა (თავადაზნაურობა, გლეხობა და ა. შ.) შიგნითაც. მაგრამ საქართველოში მიწის „ეგ მეტნაკლებობა სოფლის მმართველობის მსვლელობაში შუღლის მიზეზად ვერ შეიქნება“, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა საფუძველს იმისას, რომ თითქოს „თავად-აზნაურობა და გლეხობა ერთმანეთში ვერ მოთავსდებიან განუყოფლად“. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება საქართველოში მხოლოდ მიწისმფლობელობაში უნდა ვეძებოთ, გლეხიც ისეთივე მფლობელია მიწისა, როგორც ფეოდალი. მეტიც, მიწისმფლობელობისაგან წარმომდგარი ბატონყმობა ყველა წოდების, მათ შორის გლეხებისათვისაც დამახასიათებელი მოვლენაა: „ეკონომიკური ძალი კი, რომელიც დღეს ჩვენში მარტო მიწისმფლობელობიდამ წარმოდგება, და ყოველივე, რაც ამ ძალის შედეგი ოდესმე იქნება, ჩვენში ვერც ერთმა წოდებამ, ღვთის მადლით, ვერ გაისაკუთრა და დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მიწისა, როგორც თავადი, აზნაური, ეკლესია; დღეს ჩვენში გლეხი მემკვიდრეობით ბინადარია იმ მამულზედ, რომელიც ყოველს გლეხს მამა-პაპით დაჩემებული აქვს. თითონ ბატონ-ყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებად ერთისა და იმავე წოდებისა“[1].

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საქართველოს ეკონომიკური წყობილება არსებითად განსხვავდება დასავლეთ ევროპაში დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული წყობილებისაგან, რომლის ძირითადი ეკონომიკური საფუძველი მიწაზე საკუთრებას კი არ ემყარება, არამედ, იმ ქვეყნებში კაპიტალიზმის არსებობა და მისი განვითარება განსაზღვრულია საკუთრების ახალი ფორმით, „საფაბრიკო-საქარხნო ხელთმოქმედებაზე“ დამყარებული კერძო საკუთრებით. ასევე ეკონომიკური წყობილების თავისებურებათა მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან საქართველო და რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის მჭიდრო ეკონომიკური კონტაქტები არსებობს.

ი. ჭავჭავაძის აზრით, დასავლეთ ევროპის, რუსეთისა და საქართველოს ეკონომიკური წყობილების სხვადასხვაობიდან წარმოსდგება დიდი განსხვავებანი ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სოციალური წყობილების სფეროში. ამ განსხვავების ნათელსაყოფად იგი ყურადღებით სწავლობს საქართველოში ჩამოყალიბებულ სოციალურ ჯგუფებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას, როგორც ბატონყმობის, ასევე ბატონყმობის გაუქმების შემდეგ პერიოდში.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ბატონყმობა, რომელიც საქართველოში

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 55.

დიდხანს ბატონობდა და რომლის გადმონაშთები აქ დღესაც ძლიერია, ისეთი სოციალური მოვლენაა, რომელიც განპირობებულია მიწასთან დამოკიდებულებით. ბატონყმური ურთიერთობის ეპოქაში საქართველოში არსებობდა შემდეგი ძირითადი კლასები: თავადაზნაურობა, სამღვდელოება, გლეხობა, რომლებიც პრივილეგიების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფოდა, ერთი მხრივ თავადაზნაურობა და სამღვდელოება და მეორე მხრივ გლეხობა.

ი. ჭავჭავაძის აზრით, თავადაზნაურობა და სამღვდელოება, ანუ საერო და სასულიერო ფეოდალები, პრივილეგიურ წოდებებს წარმოადგენს. იგი მიუთითებს, რომ თავადაზნაურობა მუქთახორა წოდებაა, რომელიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა. თავადაზნაურობა ყმა-გლეხთა შრომის ექსპლუატაციით ცხოვრობს და „ათასნაირი ხვანჯებით გამობმულნი" არიან მშრომელებზე, მაგრამ როცა ისინი მოწყდება მშრომელებს „ჰყვირიან გვიშველეთო". უქმობისა და პარაზიტობის გამო თავადაზნაურობას ხელიდან ეცლება მიწის ნაკვეთები. საქართველოში არც ერთი წოდების წარმომადგენელი (გლეხი, ვაჭარი, მღვდელი) არ ჩივის მამულებზე „იმიტომ, რომ მამულის ყადრი ამათ კარგად იციან, იმიტომ, რომ ყველა ესენი თითონ ირჯებიან, თითონ მხნეობენ, იმიტომ, რომ მამულს უყვარს გამრჯელი ხელი და გამრჯელის ხელში დარჩენა და ყოფნა მამულის ეკონომიკური ბუნებაა, იმისი დანიშნულებაა"[1]. ქართული საზოგადოების ერთადერთი პარაზიტული კლასი ეს თავადაზნაურობაა, მუქთახორობა აკნინებს და აჩანაგებს ამ კლასს და „მაშასადამე, ჭირიც უქმობისა აქ არის დაბუდებული და დაბინავებული. ამ ჭირს შიგნიდამ წამლობა უნდა. ეს წყლული უქმობისა უნდა გამოირწყასა და აგებულებისაგან გამოდევნილ იქნას. ხსნა ამაშია"[2]. ფეოდალური ზედაფენა სრულ გულგრილობას იჩენს საზოგადოებრივი, საქვეყნო საქმეებისადმი, ნაცვლად იმისა, რომ ფეოდალური არისტოკრატია მთავრობასთან თავის სიახლოვეს და სხვა ათასნაირ პრივილეგიებს იყენებდეს საზოგადოებისათვის და თავის მოწოდებას „მარტო ქვეყნისათვის დადებულ ღვაწლში ხედავდეს და მარტო მაგ ღვაწლის სიდიდით ზომავდეს კაცის ადამიანურს ღირსებასა საზოგადოდ და თავის დიდკაცობისას ცალკედ... ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი დიდკაცობა შორის მანძილზედ არის დარჩომილი ამ მხრით და ქვეყნისათვის დადებული ღვაწლი არამც თუ ადამიანის ღირსების მხოლოობით საწყაოდ მიიჩნია, არამც თუ ჰეშმარიტის პატივმოყვარეობის საგნად უღიარებია, არამედ მის ცხოვრების დავთარში სახსენებლადაც მოხსენებული არ არის"[3].

ი. ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებებში „კაკო ყაჩალი", „გლეხის

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 327.
[2] იქვე.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 145.

ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“ და ა. შ. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებში გაბატონებულ ფეოდალთა თვითნებობა და ძალადობა, პარაზიტობა და მუქთახორობა, სულიერი სიღატაკე და ჩამორჩენილობა, ამორალიზმი და გახრწნილობა, სულმდაბლობა და სიჯიუტე, კაცთმოძულება და ცინიზმი და ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი მრავალგვარი სხვა ნეგატიური მოვლენები, ისე შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი, რომ თავისუფლად შეგვიძლია გავიმეოროთ ფ. ენგელსის შეხედულება ბალზაკის მიერ შექმნილი მხატვრული ნაწარმოებების მნიშვნელობაზე იმდროინდელი საფრანგეთის ისტორიის შესწავლისათვის, ფ. ენგელსი მიუთითებდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული საკითხების კვლევისას მხატვრულ ნაწარმოებებს ზოგჯერ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამ საკითხებისადმი მიძღვნილ სპეციალურ შრომებს: „ადამიანურ კომედიაში“ ბალზაკმა... თავი მოუყარა ფრანგული საზოგადოების მთელ ისტორიას, საიდანაც... უფრო მეტი გავიგე, ვიდრე ამ პერიოდის ყველა სპეციალისტის — ისტორიკოსების, ეკონომისტების, სტატისტიკოსების წიგნებიდან, ყველა ერთად აღებული“[1].

ფეოდალური საზოგადოების პრივილეგიური კლასის, კერძოდ, თავადაზნაურობის წოდების დაკნინება და მუქთახორობა აქვეითებს ერს, ხელს უშლის მის ეკონომიკურ ამაღლებას. თავადაზნაურობას ამ მხრივ არ ჩამორჩება სამღვდელოებაც, რომელიც როგორც ერის სულიერი მოძღვარი, ხალხის ფართო მასებში განათლებისა და ცოდნის დანერგვისათვის უნდა ზრუნავდეს, მაგრამ ქვეყნის სულიერი ცხოვრების საერთო ჩამოქვეითების პირობებში სამღვდელოება „უქმია არამც თუ ერის სწავლა-განათლების საქმეში, არამედ ერის მოძღვრების საქმეშიც. დამუნჯდა ამის გამო ჩვენი ეკლესიების კათედრა, გაუქმდა ყოვლად ძლიერი ქადაგება, წაწყმდა სასოება სარწმუნოებისა და ამის გამკითხველი არავინ არის“[2]. განსაკუთრებით საფრთხეს უქმნის ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებას საეკლესიო დაწესებულებებიდან ქართული ენის განდევნა. პრივილეგიური ფეოდალური წოდების იდეოლოგია, ჩამორჩენილობის, სიბნელის, გაუნათლებლობისა და რუტინის იდეოლოგიაა, რომელსაც შესანიშნავად გადმოგვცემს ლუარსაბ თათქარიძე: „დრო გამოიცვალა, იტყოდა ხოლმე აღმოსავლით ლუარსაბი, — დრო გამოიცვალა. რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!.. ჭამით ისინი ვეღარა ჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები. თბილისი, 1949. გვ. 447.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 109.

ვაჟკაცის ხელობაა, — ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე ეწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე!.. კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი"[1].

ი. ჭავჭავაძის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში გადმოცემულია პრივილეგიურ წოდებათა მიერ შემუშავებული ფეოდალური იდეოლოგიის შემადგენელი ნაწილები, კერძოდ, ბატონყმობის ღვთაებრივი წარმოშობა და მისი მარადიულობა, ყმა-გლეხთა გონებრივი არასრულყოფილება და ჩამორჩენილობა, სოციალური უთანასწორობა და ეგოიზმი და ა. შ. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებიდან ნათლად ჩანს, რომ ფეოდალური ზედაფენა, რომელიც სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ახალი დროის მოთხოვნებს, ცდილობს ქვეშევრდომებზე თავიანთი ზეგავლენის შენარჩუნებასა და ბატონყმური ურთიერთობების განმტკიცებას იმაზე მითითებით, რომ ბატონყმობა ღვთის მიერ დაწესებულია ამ ქვეყნად და იგი მარადიული მოვლენაა. ლუარსაბსა და დარეჯანს თავიანთი რძალი ელისაბედი შინამოსამსახურეებისაგან მალულად აცნობებს, რომ სომეხ წინასწარმეტყველ სასულიერო პირებს ხმა გაუვრცელებიათ ბატონყმობა უნდა გადავარდესო. ამის გამგონე ლუარსაბი ამოიოხრებს — „ვაი შენს ლუარსაბსა", მას გულუბრყვილოდ სჯერა, რომ ბატონყმობა თუ გაუქმდება, ეს ბატონებსა და ყმებს შორის არსებული წინააღმდეგობების შედეგი კი არ არის, არამედ ამის მიზეზი ისაა, რომ ბატონები ხშირად არღვევენ ბატონყმური ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს, კერძოდ, ჩადიან ბატონისათვის შეუფერებელ, უღირს საქციელს, ეაჭრობენ, ქირაზე აგზავნიან ურმებს და ა. შ. ამის გამო ღმერთმა მათ სასჯელად ბატონყმური ურთიერთობის გაუქმება მოუვლინა. აღშფოთებული ლუარსაბი თავის რძალს პასუხობს: „ეგ რა სთქვი, რა? აკი მოგახსენეთ, ბატონებო, რომ წარღვნა უნდა მოვიდეს-მეთქი. აი, ღვთის წყრომა! სულ ჩვენისავე ცოდვებისაგან მოგვეველინა. მამაჩემი ზაალ ნუ წამიწყდება, რომ წავალ, ზაქარიას ცოლსაც, ლევანსაც, ნიკოლოზსაც წიხლქვეშ გავიგდებ, რომ ეს ამბავი სულ იმათი უნარია. კიდეე ატარონ ქირაზედ ურმები!"[2] ლუარსაბის სასოწარკვეთილება მაშინვე ქრება, როცა თავისი ცოლი დარეჯანი მას შეახსენებს, რომ ბატონყმობა ღმერთის მიერაა დაწესებული და იმას, რაც ღმერთმა შექმნა, თვითონ ღმერთი არ მოსპობს: „ბატონ-ყმობა ღმერთს დაუწესებია და თვითონვე ღმერთი რად მოშლის? ვენაცვალე ღვთის დიდებასა! — სთქვა დარეჯანმა"[3]. ბატონყმობის ღვთაებრივი წარმოშობა და მისი გახსენება ამხნევებს ლუარსაბს და მასში იმ რწმე-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 129.
[2] იქვე, გვ. 156.
[3] იქვე, გვ. 157.

ნას ანმტკიცებს, რომ არავითარ ძალას არ შეუძლია ღმერთის ნების დადგენილი ბატონყმობის მოსპობა. ლუარსაბი პასუხობს: „მართლა, ეგ კი აღარ მომაგონდა! სთქვა ეხლა კი დამშვიდებულმა ლუარსაბმა, — ჭორი იქნება. აბა, გეთაყვა, მეფის ერეკლეს ნაბოძებს სომხის კარაბადინის სიტყვით ვინ წამართმევს? თუნდ ეგ არ იყოს, რისღა თავადიშვილი ვიქნები, თუ ყმაც არ გვეყოლება: კარაბადინი კი არა, სოლომონ ბრძნის წიგნიც რომ იყოს, არ დავიჯერებ. ან რა დასაჯერია?"[1].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ბატონყმური იდეოლოგიის განხორციელების ფორმები ისევე პრიმიტიული და გულუბრყვილოა, როგორც თვით ამ იდეოლოგიის შინაარსი. ბატონყმობის გაუქმების თაობაზე გავრცელებული ხმებით შეფიქრიანებული ლუარსაბი ცდილობს თავის ხელქვეითებს განუმტკიცოს იმის რწმენა, რომ ბატონყმობა ღვთაებრივი მოვლენაა და მისი გაუქმება არ შეიძლება. ამ მიზნით იგი გამოიძახებს თავის მოსამსახურეს დათოს და ცდილობს შთააგონოს ბატონყმობის უძლეველობა და ყმებისათვის მისი სარგებლიანობა. ლუარსაბი ასწავლის დათოს: „ყმები ჩამოგერთმევაო რომ ამბობენ, ტყუილია. გესმის, თუ არა? ყველას უთხარი რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია, რომ დავარჩობ, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო. გაიგე? გავიგე, შენი ჭირიმე! — უპასუხა დათომა, განა მაგას ვინა ჰფიქრობს? აი, რაღაც გოგო-ბიჭები მიჰქარავენ, შენი ჭირიმე, იმათ ვინ დაუჯერებს... ეგრე სთქვი ხოლმე სხვაგანაც, ჩემო დათო! ან რა კარგი იქნება თქვენთვის, რომ ჩვენ არა გუყანდეთ"[2].

ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებში გადმოცემული ფეოდალური იდეოლოგიის მიხედვით, ბატონყმობა მის ღვთაებრივ წარმოშობასთან ერთად, მარადიული მოვლენაა, იგი არსებობდა კაცობრიობის დასაბამიდან და იარსებებს მის დასასრულამდე. დახასებული ფეოდალური იდეოლოგიის ცალკეულ მხარეებზე ძალიან ხშირად მსჯელობენ „კაცია-ადამიანი?"-ს მთავარი გმირები, პატრიარქალური შეხედულებებით გონებაშეზღუდული ლუარსაბი და მისი მეუღლე დარეჯანი. ლუარსაბი ჯიუტად მუდამ იმას იმეორებს, რომ ბატონი და ყმა უძველესი დროიდან არსებობდა და ბატონყმობის გარეშე კაცობრიობას არსებობა არ შეუძლია, რომ იგი ღვთისაგანაა მოვლენილი. ფეოდალური იდეოლოგიის ამ შემადგენელი ნაწილების თაობაზე ი. ჭავჭავაძე ერთმანეთს უპირისპირებს ლუარსაბსა და დარეჯანს. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ევამ ადამი შეაცდინა, ღმერთმა ბრძანა, რომ ყველამ თავისი შრომითა და ოფლით უნდა მოიპოვოს პური ჩვენი არსობისა. ლუარსაბი ცდილობს შეასწოროს დარეჯანის მოსაზრება და ამ უკანას-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 157.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 158.

კნელს მიუთითებს, რომ ღვთის ეს ბრძანება მხოლოდ გლეხებს ეხება, თავადებზე კი იგი არ ვრცელდება. დარეჯანი შეეპასუხება მეუღლეს, რომ იმ დროს არც თავადები და არც გლეხები იყვნენ, ლუარსაბი კი ჯიუტად თავისას იმეორებს, მაგრამ იძულებულია აღიაროს სოციალური უთანასწორობის წარმოშობის ამ უძველესი თეორიის უსაფუძვლობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარეჯანი მიუთითებს, რომ, როცა ადამი მიწას ხნავდა და ევა კი სელს რთავდა, არავინ არ უნდა ყოფილიყო ბატონი და ყმა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „მაშინ ადამის და ევას მეტი არავინა ყოფილა და ადამი თავის თავზედ თავადი ხომ არ იქნებოდა?"[1].

მაგრამ ზემოაღნიშნული სრულიად არ ნიშნავს, თითქოს ლუარსაბი და დარეჯანი სოციალურ უთანასწორობას გმობენ და ამ მხრივ ფეოდალური იდეოლოგიის წინააღმდეგ გამოდიან. პირიქით, ორივე, როგორც დრომოჭმული ფეოდალური ზედაფენის წარმომადგენლები, სოციალურ უთანასწორობებს განიხილავენ, ვითარცა მთელი საზოგადოების და რაც მთავარია, თვით ყმა-გლეხთა, ე. ი. იმ კლასის არსებობის აუცილებელ პირობად, რომლის ნაშრომსაც ფეოდალები ითვისებენ. ლუარსაბი ამტკიცებს: „დიდი და პატარაობა სად არ არის? — ეთქვა ლუარსაბმა, — აი, თუნდ თითებზედ დაიხედე: ერთი დიდია, მეორე პატარა, რისთვის? ამისთვის, რომ ღმერთს ეგრე გაუჩენია, დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს. მაშ! ყველგან არის დიდი და პატარაცა, ეხლა როგორ იქნება, რომ ჩვენში არ იყოს, ან რა დასაჯერია?"[2]

თავის მოსამსახურე დათოსთან ამ კამათში ლუარსაბი განგებ უყურადღებოდ ტოვებს მოსამსახურის მოსწრებულ შენიშვნას იმაზე, რომ მართალია ხელზე თითები დიდებიც არის და პატარებიც, მაგრამ ღვთის სამართლის მადლით ისინი ერთმანეთს არაფერს არ უშლიან და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამას ლუარსაბი ჩადის განზრახ, რადგან ამ საუბრამდე იგი არწმუნებდა დათოს, რომ ბატონსა და ყმებს შორის მამაშვილური ურთიერთობა არსებობს. ფეოდალური იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი დებულება ე. წ. მამაშვილური ბატონყმური ურთიერთობის შესახებ ლუარსაბს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: ყმა-გლეხები მორჩილი უნდა იყვნენ ბატონებთან ურთიერთობაში და ამ უკანასკნელთა ბრძანებებს სიტყვაშეუბრუნებლად უნდა ასრულებდნენ. ბატონებსა და ყმა-გლეხებს შორის ამგვარი დამოკიდებულების გარეშე ამ უკანასკნელთა არსებობას აზრი არა აქვს, რადგან ყმა-გლეხობა შიმშილით ამოწყდება. ლუარსაბი შთააგონებს თავის მოსამსახურეს დათოს, რომ ბატონის გარეშე გლეხები ცუდ დღეში ჩავარდებიან. ცბიერი დათოს პასუხზე — „შენი მტერი ყოფილა, ჩვენ ვიქნებოდით,

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 140.
[2] იქვე, გვ. 159.

შენი ჭირიმე!“ ლუარსაბი აყვედრის მოსამსახურეს: „რაც უნდა იყოს, მამასავით გპატრონობთ“.

მამაშვილური ბატონყმობა, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს ყმა-გლეხთა დატუქსვასა და „აწიოკებას“, როგორც ლუარსაბი და დარეჯანი იტყოდა ხოლმე. გლეხი რეგვენია და „ბატონი რისა არის თუ არ დასტუქსავს, არ წაართმევს? თუნდ ეგ არ იყოს: უცხო ხომ არ აროშევს, ისევ თავისიანი ბატონია“[1]. ფეოდალური იდეოლოგიის მიხედვით ყმა-გლეხები შიშისა და ტერორის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ. ლუარსაბი ამტკიცებს: „გლეხკაცს ეგრე უნდა მოეპყრას ბატონიო, იტყოდა ხოლმე ბრძენი თავადი, — ეგრე უნდაო, რომ ყოველ ცისმარე დღეს ეშინოდეს, თორემ ღორის მკბენარსავით, რომ გლეხკაცი ფეხზედ დაისო, თავზედ აგაცოცდებაო. მაშ! შიში შეიქმს სიყვარულსაო“[2]. ყმა-გლეხებისადმი ტერორს, ძალადობასა და რეპრესიებს მუდმივი ხასიათი უნდა ჰქონდეს. ისე როგორც ძველ საბერძნეთში ილოტებს სპარტელები წელიწადში ერთხელ მაინც როზგავდნენ, თუნდაც მათ არავითარი დანაშაული არ ჩაედინათ, მხოლოდ იმისათვის, რომ მათ არ დავიწყებოდათ თავიანთი მოვალეობა, კერძოდ, გაბატონებული კლასისათვის მონური სამსახური, ასევე, ფეოდალური იდეოლოგიის მიხედვით, ყმა-გლეხები რომ შიშსა და მორჩილებაში იყოს, ტყუილ-უბრალოდაც უნდა დაიტუქსოს. დარეჯანი საყვედურობს ლუარსაბს, რომ სამწუხაროდ ბევრმა არ იცის როგორ უნდა მოეპყრას ყმა-გლეხს: „ხანდისხან ტყუილ-უბრალოდაც უნდა დასტუქსო, რომ გამოლანძღო კიდეც ცუდი არ იქნება. აი, მე გაელანძღავ კიდეც, გავუჯავრდები, დავტუქსავ, დავწყევლი, — სულ რისთვის? იმისთვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს თორემ შენი მტერი... ეს გლეხები არიან: გაქირ ვირსავით თუ ერთხელ შედგა, მერე თუნდაც შვინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ გადაადგმევინებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს. — ოღონდაც, დატუქსული უნდა გყვანდეს, მიუგო ხელ-ახლად თავის ცოლს სიბრძნისაგან გაოცებულმა ლუარსაბმა, — ოღონდაც გაქირ ვირსავით შედგება“[3].

ი. ჭავჭავაძის აზრით, მამაშვილური ბატონყმური იდეოლოგია სინამდვილეში წარმოადგენს ფეოდალური თვითნებობის, ტერორისა და ძალადობის გამართლების ცდას, რომ ამ იდეოლოგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია სიხარბე, გაუმაძღრობა, ეგოიზმი და კაცთმოძულება. იგი ტლანქი, უხეში, სასტიკია და გამოხატავს ფეოდალთა მისწრაფებას ყველაფრის მითვისებისა და მისაკუთრებისაკენ. ფეოდალური ეგოიზმი და თავგასულობა, ყველაფერზე ბატონობისა და ყველაფრის დაპატრონების სურვილი, ბატონის სულიერი სამყაროს განმსაზღვრე-

---

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული. ტ. 2, გვ 159.
[2] იქვე, გვ. 139.
[3] იქვე, გვ. 134.

ლია. ფეოდალური იდეოლოგიის მიხედვით ცალკეული ფეოდალი მოვლენებს აფასებს არა იმისდა მიხედვით, თუ საერთოდ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მათ საზოგადოებისათვის, არამედ იმით, თუ, რამდენად უზრუნველყოფენ ისინი საკუთარ კეთილდღეობას. ლუარსაბამდე მიაღწევს ხმები ბატონყმობის გაუქმების შესახებ, ამასთან ერთად ცოლქმარი იმასაც გაიგებს, რომ არიან სწავლული ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბატონყმობის გაუქმებამ მომავალში სიკეთე უნდა მოუტანოს მთელ ქვეყანას. ლუარსაბს აღაშფოთებს ამგვარ სწავლულთა მოსაზრებანი და აღნიშნავს: „თუ მე არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა, თუნდ ბოდბელისა არ იყოს — „ქვა ქვაზედაც ნუ იქნება", — სთქვა ლუარსაბმა, — ქვეყნისათვის კარგი იქნებაო! თუ მე და შენ არ ვიქნებით, ქვეყანა რად გვინდა? ჯანიც გავარდნია"[1].

ი. ჭავჭავაძის აზრით, ფეოდალები თვითონ ჭამა-სმასა და უსაქმურობაში ატარებენ დროს, მაგრამ სხვისი ნაოფლარის მითვისებაში გაუმაძღარნი არიან და ყმა-გლეხებისაგან სულ უფრო და უფრო მეტს მოითხოვენ, იმაზე მეტს, რაც მათ ადათ-წესებით და ჩვეულებით ერკუთვნათ. გლეხებისაგან იმაზე მეტის მოთხოვნა, რაც მამა-პაპის ეპოქიდან დაწყებული ლუარსაბს ერგებოდა ყმა-გლეხებისაგან, იმ მიზანს ისახავს, რომ ამ უკანასკნელებმა ურჩობა არ დაიწყონ და მუდამ ახსოვდეთ ბატონის სამსახური. ლუარსაბმა თავისთან იხმო მოსამსახურე დათო და სურს გაიგოს ყმა-გლეხებისაგან საბატონო და საბეგრო გადასახადის მისაღებად ურმები გაგზავნილია თუ არა. როცა შეიტყობს, რომ უკვე დიდი ხანია გაგზავნილია ოთხი ურემი საბატონო და ათი ურემი საბეგრო გადასახადის წამოსაღებად, ლუარსაბი განრისხებული ეკითხება მოჯამაგირეს: „რატომ ბეგრისა ხუთმეტი არ არის?". დათო პასუხობს, რომ „ხუთმეტი ჩვენ კაცებში თავის გაჩენაში არ შებმულა, შენი პირიმე, და დღეს საიდამ იქნებოდა!". ქვეშევრდომებს რომ განუმტკიცოს მუდმივი შიშისა და მორჩილების გრძნობა, უკმაყოფილო ლუარსაბი მრისხანებს: „ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეეო! რატომ არ არის? მე არ ვიცი, ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. როგორ იქნება? ბატონს სამსახური უნდა, მაშ მე ბატონი აღარ ვყოფილვარ!.. გაგონილა!.. ფიე! ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან"[2].

გარდა ფეოდალური წოდებისა, რომელიც საზოგადოების პრივილეგიურ ნაწილს შეადგენს, ბატონყმური ურთიერთობის სუბიექტებს შეადგენენ გლეხები, რომლებიც უუფლებო და ჩაგრული წოდებაა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ისინია ქვეყანაში მატერიალური დოვლათის შემქმნელნი. ერი და ხალხი ეს მხოლოდ გლეხობაა. ჩვენი ეროვნული იმედების სული და გული — გლეხობა საზოგადოების ის ჯანსაღი

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 160.
[2] იქვე, გვ. 138—139.

ნაწილია, რომელთა „ნაღვაწიც აცხოვრებს ქვეყანასა და დედა-ბოძად უდგა თვით საზოგადოებას... გამრჯელი და მშრომელი არის შემქმნელი და მომქმედი ამ ცხოვრებისა და თვით კერძსაც ცხოვრების სუფრაზედ მარტო იგი ჰშოულობს სხვის დაუყვედრებლად, სხვის უმუნათოდ"[1]. განსხვავებით თავადაზნაურობისაგან, რომლებიც ხელოვნურად შეკოწიწებულ დონდლო, დუნე და დაბლანდულ პრივილეგიურ წოდებას შეადგენს. გლეხობა მტკიცე, ჯანსაღი, ბუნების მიერ შექმნილი და შეგვირისტებული კლასია, რომელიც შრომაში პოულობს სიამოვნებას: „ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი. იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ხომ იცი, რა ოსტატია, ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ დონდლონი, დუნენი"[2], — ამბობს თავადი არჩილი. მიუხედავად ამისა, ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის, რომ გლეხობა არაა თავისუფალი ნაკლოვანებებისაგან, ისევე როგორც პრივილეგიური თავადაზნაურობისათვისაც დამახასიათებელია მანკიერებანი. ზნეობით და ადამიანური ბუნებით გლეხები ამ უკანასკნელებზე გაცილებით დაბლა დგანან, კერძოდ, გლეხი ბუნებით ხარბი, გაუტანელი, შეუბრალებელიც და უმადურიცაა, მეტიც. „მაშინაც კი, როცა თავის მოძმე გლეხს ვიწროში მოატანს: დაარჩობს, მიწასთან გაასწორებს. სხვას ვიღა სჩივის"[3]. მაგრამ ი. ჭავჭავაძეს სწამს, რომ მშრომელი გლეხობაა ქვეყნის იმედი და მისი მომავალი, ყველა ზემოაღნიშნული ნაკლი გლეხობისათვის, მართალია, დამახასიათებელია, „მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა"[4].

ერისა და ქვეყნის კრიტიკულ მდგომარეობაში ი. ჭავჭავაძის აზრით, მხოლოდ გლეხობაზე შეიძლება დაყრდნობა, მარტო მის ძალას შეუძლია იხსნას სამშობლო განსაცდელისაგან. ამიტომ გლეხობაზე, ერის ამ მაცოცხლებელ ძალაზე ზრუნვა ყველას საფიქრალს წარმოადგენს. 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში ი. ჭავჭავაძე აფასებდა რა სხვადასხვა წოდებების მნიშვნელობას სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლაში, აღნიშნავდა, რომ საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი მხოლოდ იმ კლასს ეკუთვნის, „ვინც საქართველოს პირველი ქვაკუთხედი იყო, ვინც ისტორიულ ქარტეხილს, წვა-დაგვას გაუძლო და ქვეყანა გააშენა. ეს ის მაგარი მკვიდრი მუხაა, რომელიც ქარცეცხლს უძლებს და არ ეცემა. ეს არის ჩვენი გლეხობა, ეს არის ჩვენი მუშახალხი... ესენი არიან ჩვენი მუხის — საქართველოს ფესვები, ესენი ამზადებენ იმ საკვებავ წვენს, რომლითაც საზრდო და ღონე ეძლევა

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 325.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 315.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 316.
[4] ი ქ ვ ე.

ზეხის მთელ ტანს. ამათ მეოხებით იმოსება ხე ფოთლებით, ყვავილებით და მოაქვს ნაყოფი"[1].

ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებიდან არ ჩანს ფეოდალური იდეოლოგიისადმი დაპირისპირებული გლეხობის ინტერესების გამომხატველი იდეოლოგიის არსებობა, გლეხები ფეოდალური თვითნებობისა და ძალადობით აღშფოთებულნი, კერძო გადაწყვეტილებების მიხედვით მოქმედებენ, სახელდობრ, ერთ შემთხვევაში კლავენ სასტიკსა და შეუბრალებელ ბატონს, მეორე შემთხვევაში პროტესტის ნიშნად ყაჩაღად გარბიან და ა. შ., მაგრამ უსამართლობას არ ეგუებიან და სასოწარკვეთილებას არ ეძლევიან. დამარცხებული, უსამართლოდ დასჯილი, ღირსება ფეხქვეშ გათელილი და ციმბირის საკატორღო სამუშაოებისათვის განწირული გაბრიელი მის ბედში მყოფ პეპიას ამხნევებს: „ნუ სტირი. ცრემლს ამ ქვეყანაში გასავალი არა ჰქონია, — ტყუილად ნუ ჰღვრი"[2]. ი. ჭავჭავაძის აზრით, გლეხობას არ შეუძლია უბრძოლველად თავის გადარჩენა, ამ ბრძოლის თავისებურებათა გასაგებად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გლეხთა დამოკიდებულებას სამშობლოსადმი. კრიტიკულ მომენტშიც კი გლეხობას არ ავიწყდება თავისი სამშობლო — ქვეყნის, საქართველოს სიყვარული, მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცის, რომ აქ ბატონობენ მოძალადე, თავნება, კაცისმკვლელი და უნამუსო ბატონები, რომლებსაც მუდმივი ტერორის ქვეშ ჰყავთ დაბალი სოციალური ფენები. ფეოდალთაგან დამცირებული, უსამართლოდ დასჯილი გაბრიელისათვის საქართველო, როგორც ის არის, ყოველთვის სათაყვანებელია: „ჩემისთანა უთვისტომო ადამიანისათვის ქვეყანა ყველგან ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველისათვის საქართველო დიდი რამა ყოფილა. რაც უნდა იყოს, შენი ჭირიმე, ჩვენი აკვანი საქართველოა, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენის ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენის სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არის და ჩვენი მთვარე, და თუ გული გაქვს — გულიც აქ არის, თუ სიყვარული გაქვს — სიყვარულიც აქ იქნება, თორემ სხვაგან სადა?"[3]

საყურადღებოა, რომ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის ურთიერთდამოკიდებულების განმსაზღვრელად ი. ჭავჭავაძე მიწაზე ფეოდალური საკუთრების ბატონობას აცხადებს. იგი მიუთითებს, რომ ბატონყმობის დროს ერთის ხელში არის მთელი მიწები, ხოლო მეორეს კი არაფერი არ გააჩნია. მიწისმფლობელები ძალით ეპატრონებიან მიწებს, იპყრობენ მათ და მიწის არ მქონეებს (გლეხებს) აიძულებენ მათ სასარგებლოდ იმუშაონ. ამ საზოგადოებაში ბატონობს პრინციპი: „გლეხისა ყველაფერი ბატონისა არის". ეს პერიოდი მძიმე და მტკივნეული

---

1 ი. მაჩაბელი, მოგონებანი. თბილისი, 1936, გვ. 80—81.
2 ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული. ტ. 2, გვ. 106.
3 იქვე. გვ. 107.

იყო საზოგადოებისათვის. შეძლებულთა უსაზღვრო ბატონობამ ხელი შეუწყო მუშახელის მიწისაგან განცალკევებას, რამაც შეარყია „ბუნებრივი მდინარეობა ეკონომიურის ცხოვრებისა", რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მიწა და მუშახელი ერთმანეთისაგან არ უნდა იყოს დაშორებული. მიწის საკუთრება ბატონყმობის დროს მთლიანად შებატონეებს ეკუთვნის („გადამეტებული გაუფლება საკუთრების პირადის ელემენტისა გამოისახა ბატონყმობაში"), ამიტომ ი. ჭავჭავაძის აზრით, „ბატონ-ყმური დამოკიდებულება უსამართლო საქმე იყო"[1]. ბატონსა და ყმას შორის ფეოდალურ საკუთრებაზე დამყარებული ურთიერთობა, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, „ყოვლადშემძლე ბატონყმობის" დამახასიათებელი ნიშანი იყო. ბატონყმობამ ჩამოაქვეითა ქვეყნის სულიერი და მატერიალური ცხოვრება, ეს იყო „დრო მიძინებისა და ჩვენის გონებრივისა (და ეროვნულის) მიმძინარებისა, მოქანცულობისა... მაშინდელის ჩვენის მოღალულობის (ჩვენი დავარდნის, ჩვენი განიადაგების) ცხადი უტყუარი სახსოვარია... ჩვენი გონების ნაღვაწი"[2]. ქართველი ხალხი დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდა თავისუფლებაზე, მაგრამ ბატონყმობის პირობებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ჩაკვდა და ხალხისა და ქვეყნისათვის წარსული დროის მამულიშვილთა თავდადება და ქველობა დავიწყებულ იქნა; „ქვეყანა მხოლოდ ლუარსაბ თათქარიძეებით აივსო, რუსეთუმებმა დაამშვენეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადოებრივი სამსახურის ასპარეზი"[3]. ბატონყმობამდე მიწის საკუთრებიდან წარმომდგარი წინააღმდეგობები გლეხსა და ბატონს შორის ფეოდალური საზოგადოების პოლიტიკურ ფიზიონომიას განსაზღვრავდა. მიწის მფლობელსა (ბატონს) და მიწის მუშას (გლეხს) შორის ურთიერთდაპირისპირებული დამოკიდებულება აშკარად ძალადობაზე და თვითნებობაზე იყო დამყარებული. ფეოდალური საზოგადოების სოციალური ფენები ერთმანეთისაგან „განთვითეულებული", განცალკევებული იყვნენ და წოდებათა თანასწორობაზე და საერთოდ ამ საზოგადოებაში ჰარმონიაზე ლაპარაკი ყოველგვარ აზრს მოკლებული იყო.

ფეოდალური წყობილების ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის საქმეში დიდი როლი შეასრულა მთავრობის მიერ განხორციელებულმა რეფორმამ, რომელმაც მოსპო ბატონყმური ურთიერთობა. ბატონყმობის მოსპობამ რამდენადმე შეარყია და შეასუსტა მიწის მფლობელთა თვითნებობა და ძალადობა, ასეთ ვითარებაში შეიქმნა საზოგადოებაში მიწის ფეოდალური საკუთრებიდან წარმომდგარი წინააღმდეგობების შერბილებისა და შესუსტების წანამძღვარები. ბატონყმობის გაუქმებამ

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 137.
2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 275.
3 იქვე, გვ. 276.

შეცვალა მიწისმფლობელებსა (ბატონებსა) და მიწისმოქმედებს (გლეხებს) შორის ურთიერთობის ფორმები. თუ წინათ გლეხობა მემამულეთა მიერ დაყმევებული იყო, საგლეხო რეფორმის შედეგად იგი უკვე ყმა-გლეხად აღარ იწოდება და „ჩვენში მოხდა ყმების განთავისუფლება... აქ ყოველივე დამოკიდებულების კავშირი სამუდამოდ გაწყდა; ერთს ჩამოაცილეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის. რაც უმართლოდ წართმეული ჰქონდა. ამ მხრით ორთაშუა ხელის მოსაკიდებელი და სადავიდარაბო არა დარჩენილა რა, ჩემსას და შენსას ამ მხრით მათ შორის ადგილი აღარ ჰქონდა". ამრიგად, „მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებისა"[1]. მაგრამ, მემამულეთა ბატონობისაგან გლეხთა უბრალო განთავისუფლება გლეხთა სასიკეთილოდ განწირვას ნიშნავდა, რადგან საარსებო საშუალებების (მიწა, საცხოვრებელი ბინა და ა. შ.) გარეშე „გლეხის განთავისუფლება იმას ემგვანებოდა, რომ კაცისათვის გეთქვათ: წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო. ჩვენდა საკეთილოდ, ეს ასე არ მოხდა. გლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა"[2]. მიუხედავად ამისა, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით 60-იანი წლების რეფორმები საერთოდ ფრთაშეკვეცილი იყო, ხოლო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს რეფორმები კიდევ უფრო შეზღუდულად განხორციელდა, კერძოდ, საქართველოში ამ რეფორმებით გათვალისწინებული ღონისძიებების მხოლოდ „ნამცეცები" გატარდა. რაც შეეხება საგლეხო რეფორმას, მისი ცხოვრებაში განხორციელების შედეგად „გლეხის ადრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღიარეს და გლეხს სახმარად დაუტოვეს"[3], მაგრამ ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ „აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა განესაზღვრათ უფლება და მოვალეობა გლეხისა და ნაბატონარის შორის. აი, ჩვენის ფიქრით, ამ განსაზღვრაში მოხდა ის, რამაც ჩვენი თავდაპირველი სიხარული არ გაამართლა იმოდენად, რამდენადაც იმედი გვქონდა"[4]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ეს მტკივნეული საკითხი რეფორმით გადაწყდა ჯერ ერთი არა გლეხის, არამედ მემამულის ინტერესების მიხედვით და გარდა ამისა, საგლეხო რეფორმამ ზემოაღნიშნული გადასწყვიტა მთელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საგლეხო რეფორმის თანახმად გლეხი მართალია თავისუფლდებოდა მემამულის ბატონობისაგან, მაგრამ მიწები, რომელსაც გლეხი ამუშავებდა, კვლავ მემამულეთა საკუთრებაში რჩებოდა, გლეხს მხოლოდ მისი სარგებლობის უფლება

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 9.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე.

ენიჭებოდა. მაგრამ გლეხთა ამგვარი განთავისუფლება სრულიად არ აღმოფხვრიდა მემამულესა და გლეხს შორის არსებულ წინააღმდეგობას, საკითხის ამგვარად გადაწყვეტის შედეგად მათ შორის ბევრი დავიდარაბისა და სამდურავის მიზეზი კვლავ დარჩა. საგლეხო რეფორმამ ვერ დაადგინა ის საფუძვლები, რომლებზეც უნდა დამყარებულიყო ახალი ურთიერთობა ნაბატონარსა და ყოფილ ყმა-გლეხს შორის. ი. ჭავჭავაძის აზრით, ნაბატონართა და გლეხთა უფლება-მოვალეობების ურთიერთ გამიჯვნა შეიძლებოდა ორი ფორმით: პირველი, მთავრობას ხელი გაემართა გლეხისათვის, რათა ამ უკანასკნელს შესძლებოდა მებატონისაგან მიწების შესყიდვა, ანდა მეორე, გლეხის ვალდებულება მებატონისადმი გადასახადის სახით ნათლად განესაზღვრათ. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ პირველი გზა, რა თქმა უნდა, უმჯობესი იყო, მაგრამ საზოგადოების უმრავლესობამ არჩია, რომ „გლეხსა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭგამოსადები რამ დარჩენილიყო"[1] და ამ მიზნით შემოღებული იქნა ე. წ. მეოთხედობა, რაც ი. ჭავჭავაძის აზრით, ორივე მხარისათვის „განუსაზღვრელ მიზეზიან მოვალეობას" შეადგენდა. საქმე ისაა, რომ „მეოთხედობის" წესის ცხოვრებაში გატარება თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან მეოთხედის ზუსტად გაანგარიშება მუდმივ კონტროლს მოითხოვს, საძნელოა იმის განსაზღვრა თუ გლეხის მიერ ნაბატონარისაგან მიღებული მიწის რა რაოდენობა უნდა დამუშავდეს, რომ შემოსავლის მეოთხედით დაკმაყოფილდეს ეს უკანასკნელი და ა. შ.

ქვეყნის მატერიალურ ცხოვრებაზე ე. წ. „მეოთხედობის" ეკონომიკური ზემოქმედების გამოსარკვევად ი. ჭავჭავაძე იკვლევს მის გენეზისს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ იგი სახესხვაობაა მიწათმოქმედის მიერ მიწის პატრონის სასარგებლოდ გადასახდელი რენტისა, რომელსაც საქართველოში ღალას უწოდებენ. მიწის ამ გადასახადისა და საერთოდ მიწის ფასის მერყეობა კონკურენტობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ მიწის ფასს ჩვეულებაც განსაზღვრავს, მეტიც „ღალის ზომიერებაზედ და რაოდენობაზედ ამ უკანასკნელს ძალას უფრო დიდი ზემოქმედება აქვს, ვიდრე ცილებასა. აქ ჩვეულება სწორედ რჯულთ უმტკიცესია"[2]. საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ისტორია, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, იცნობს ჩვეულებაზე დამყარებულ ორგვარ ღალას: ერთი, მიწის სასყიდელი სულადობით ან ფულით, რომლის რაოდენობა წინასწარაა ცნობილი (დღიურზე კოდი პური, დღიურზე მანეთი და ა. შ.) და მეორე, მიწის სასყიდელი მხოლოდ სულადობით განსაზღვრული, რომელიც გამოიხატება წინასწარ განუსაზღვრელ ნამუშევრის წილში (მეოთხედი, მეექვსედი და ა. შ.). ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ „იმგვარს ადგილ-მამულის ჭერას, რომლის გამოც მამულის პატრონი მიწისმოქ-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 10.
2 იქვე, გვ. 14.

შედს წილში უდგას ევროპაში, თუ რუსეთში „მონახევრობას“ უწოდებენ, ჩვენში კი „წილზედ-ჭერას იტყვიან“[1].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მიწის რენტის ის ფორმა, რომელსაც ადგილ-მამულის „წილზედ-ჭერა“ ეწოდება, ცნობილი იყო უძველესი დროიდან. მასზე ცნობები ჯერ კიდევ გეხვდება პლინიუსთან და კატონთან, თანამედროვე ევროპამ კი იგი რომაელთაგან გადმოიღო XIII საუკუნეში. საქართველოში მამულის სამუდამოდ „წილზედ-ჭერას“ სხვადასხვა მიზეზების გამო ფართო გავრცელება არ ჰქონია და აქედან ი. ჭავჭავაძე ასკვნის, რომ „იმისთანა სამუდამოდ წილზედ-ჭერა, რომელიც ამჟამად განხორციელებულია მეოთხედობაში, ჩვენის ცხოვრების ნერგზედ არ არის აღმოცენებული, რადგანაც, ჩვენის ჩვეულების წინააღმდეგ, მეოთხედობა წილია და არა გადაკეთილი ღალა, და მერე იმისთანა წილია, რომლის მოპოებაშიაც ხარჯი სრულიად ერთი მხრისაა და არა ორივე მონაწილისა მაინც“[2]. მართალია, აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე, მიწის რენტის „მეოთხედური“ ფორმა ბატონყმობისდროინდელ მიწათსარგებლობასთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ „ეკონომიკურის მხრით, წილზედ-ჭერას საერთოდ და მეოთხედობას საკუთრივ — მაინცდამაინც მავნებელი შედეგი მოსდევს“[3], რაც იმაში გამოიხატება, რომ ჯერ ერთი, მიწათმოქმედის (გლეხის) შრომის ნაყოფიერების ამაღლების სტიმულს არ იძლევა და ამასთან ერთად, გლეხი არ არის დაინტერესებული მიწის გაკეთილშობილებით (სასუქების შეტანა, ჭაობების ამოშრობა და ა. შ.), რადგან საამისო ხარჯებს ნაბატონარი თავს არიდებს, მაგრამ მოსავლის განსაზღვრული წილი კი მიაქვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი. ჭავჭავაძე აკეთებს დასკვნას, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დამკვიდრებული მიწათსარგებლობის წესი „მეოთხედობაში“ ანუ „წილზედ-ჭერაში“ გამოხატული, მიუღებელია შემდეგი მიზეზების გამო: პირველი, იგი ვერ გვაძლევს ნაბატონარსა და გლეხს შორის მიწის სარგებლობის თაობაზე უფლებამოვალეობათა ისეთი გამიჯვნის საშუალებას, რომ ამ ორ წოდებას შორის მომავალში აღმოიფხვრას წინააღმდეგობანი და უსიამოვნებანი; მეორე, იგი ქართული ეკონომიკური ცხოვრებისა და მშრომელი ხალხის ჩვეულებისათვის უცხოა, ხოლო მიწათსარგებლობის ბატონყმურ ფორმასთან შედარებით თუმცა უკეთესია, მაგრამ სამეურნეო თვალსაზრისით არ არის სასარგებლო; მესამე, მიწის მფლობელობის წესების კანონით განსაზღვრა სრულიად უსარგებლოა, რადგან „მიწის-ჭერაში ჩვეულება ყველა სხვა ძალზედ მტკიცეა, თვითრჯულია“ და ამიტომ

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 15.
[2] იქვე, გვ. 18.
[3] იქვე.

მიწით სარგებლობიდან წარმომდგარი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ჩვეულებას.

ი. ჭავჭავაძის აზრით, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ პერიოდში ნაბატონარსა და გლეხს შორის ნორმალური სოციალური ურთიერთობის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს მიწათსარგებლობა — მფლობელობის ისეთი ფორმის დამკვიდრება, როგორიც ხიზნობაა. ამ პრობლემის შესწავლას მიუძღვნა ი. ჭავჭავაძემ სპეციალური გამოკვლევა — „ხიზნების საქმე", რომლის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1880 წელს, ხოლო მეორე კი — 1886 წელს. ამავე პრობლემისადმია მიძღვნილი აგრეთვე მისი ნარკვევი — „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა", რომელიც ასევე 1886 წელს გამოქვეყნდა. ამ ნაშრომებში ი. ჭავჭავაძე გმობს რა მეურნეობის ბატონყმურ სისტემას, აკრიტიკებს 1861 წლის საგლეხო რეფორმას, რომელმაც ვერ გადაჭრა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების უმთავრესი საკითხი და გვაძლევს მიწის თაობაზე წარმოშობილი ეკონომიკური ურთიერთობის იდეალური, ყველაზე მისაღები სისტემის შექმნის პროექტს.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ყმაგლეხები მართალია განთავისუფლდა, მაგრამ მიწები ძველებურად ნაბატონართა კერძო საკუთრებაშია, ამიტომ ბუნებრივად ისმის საკითხი იმ სოციალური ურთიერთობების მოწესრიგების შესახებ, რომლებიც უმიწო გლეხებსა და მიწების მქონე ნაბატონართა შორის ყალიბდება. მისი აზრით, უმჯობესია ეს ურთიერთობა ემყარებოდეს მიწისმფლობელობის ისეთ ფორმას, როგორიც ხიზნობაა[1]. ი. ჭავჭავაძე განსაზღვრავს რა ხიზნობის ბუნებას, მიუთითებს, რომ „ხიზნობაც ერთგვარი მფლობელობაა მიწისა, რომელსაც მოსდევს დამოკიდებულება თავისუფალის გლეხისა მიწის მეპატრონესთან"[2].

ხიზნობას, როგორც მიწისმფლობელობის განსაკუთრებულ ფორმას, ხანგრძლივი ისტორია აქვს, იგი საზოგადოების განვითარების ადრინდელ ეტაპზე კოლექტიური საკუთრების რღვევისა და მიწაზე კერძო საკუთრების თანდათანობითი ჩამოყალიბების პროცესის კანონზომიერი შედეგი იყო, რამაც დასაბამი მისცა ისეთი სოციალური ურთიერთობის დამყარებას, რომლის საფუძველს წარმოადგენს „ერთის მხრით უშამულობა მიწისმოქმედისა და მეორეს მხრით უფულობა მიწის მეპატრონეებისა"[3]. მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობამ განაპირობა მიწის ქირავნობის ინსტიტუტის გაჩენა, რომელიც ორი მიმართულებით განვი-

---

[1] ი. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 31—38; ვ. გაგოიძე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, გვ. 367; ვ. ევანია, სამართლიანობისა და სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების პრობლემები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, თბილისი, 1962, გვ. 81—85 (რუსულ ენაზე) და ა. შ.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 115.

[3] იქვე, გვ. 121.

თარდა. პირველ შემთხვევაში მიწის ნაკვეთის ქირა ანუ ღალა მტკიცედ გარკვეული არაა და იგი იცვლება დრო და დრო, ამასთან ერთად, მიწის ქირავნობის ვადაც წინასწარ განსაზღვრულია. მეორე შემთხვევაში, ღალა უცვლელია და მიწის ქირავნობის ვადაც არაა წინასწარ განსაზღვრული. მიწის ქირავნობის პირველ ფორმას ი. ჭავჭავაძის აზრით ფერმერობა ეწოდება, მეორეს კი — მიწის მემკვიდრეობითი ქირავნობა ანუ ხიზნობა. ფერმერობის თაობაზე წარმოშობილ სოციალურ ურთიერთობაში გადამწყვეტია მიწაზე კერძო საკუთრება, ამიტომაც იგი მთლიანად მემამულეთა ინტერესებს ემსახურება და მას იცავს კანონი. რაც შეეხება ხიზნობას, მის საფუძველზე წარმოშობილი სოციალური ურთიერთობა მიწის საერთო, საზოგადო საკუთრებაზეა დამყარებული უმთავრესად და უშუალო მიწათმოქმედთა ნებით განისაზღვრება, რასაც იცავს ჩვეულება და მის მიერ დადგენილი წესები.

საზოგადოებაში მიწის საკუთრების თაობაზე წარმოშობილი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებანი არ შეიძლება გადაიჭრას ძალადობით. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად არ შეიძლება გამოყენებული იქნას წესი — „ერთს წაართვი და მეორეს მიეცი", რადგან ამ შემთხვევაში მიწის არ მქონეთა რიცხვი არ შემცირდება, გუშინდელი უმიწო, მართალია, მიწის მესაკუთრე ხდება, მაგრამ მიწის მქონე კი — მიწების არ მქონე და საბოლოო ჯამში იმავე მდგომარეობას ექნება ადგილი, რაც თავდაპირველად გვქონდა. ი. ჭავჭავაძის აზრით, ყველაზე სამართლიანი ისეთი საზოგადოებაა, რომელშიც მიწა და შრომა „განთვითეულებული" არაა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იარსებებს ისეთი ვითარება, როცა ბევრი იქნება, ერთი მხრივ, უმამულო კაცი, რომელსაც შრომა უნდა, მაგრამ მიწა, რომელზეც მან უნდა იშრომოს, არა აქვს. მიწის ნაკლებობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია „გამრავლება ხალხისა და ვიწროობა ადგილ-მამულისა"[1]. მიწის და შრომის „განთვითეულობის" მიზეზი ისიცაა, რომ თანდათან იზრდება მუშახელის არ მქონე მიწის მესაკუთრეთა რიცხვი, რომელთაც მამულები აქვთ, მაგრამ მუშახელის უყოლობის გამო მისი დამუშავება არ შეუძლიათ. ეს გარემოებები საზოგადოებას აიძულებს ეძიოს გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. ასეთ გამოსავალს ი. ჭავჭავაძე ხიზნობაში ხედავს. იგი წერს: „რაკი, სამწუხაროდ ჩვენდა, მიწა და ხელი განცალკევებულია, და რაკი ესეც ვიცით, რომ ამასთან ერთად მუდამ იქნება მიწის ამღები მუშა და მიწის გამცემი პატრონი, ჩვენ იმას ვამბობთ, რომ იმისთანა წესი ჩამოვარდეს მუშისა და მიწის პატრონის შუა, რომელიც ამ მიწისა და ხელის განცალკევების ბოროტს უფრო ნაკლებ აგრძნობინებდეს. ჩვენის ფიქრით, ამისთანა წესი ხიზნე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 301.

ბის წესია... კაცობრიობამ ამაზედ უკეთესი წესი ვერ მოიგონა, როცა მიწისა და ხელის განცალკეევბამ საქმე გაამწვავა და ტკივილი თავისი კანონს წინ დაუყენა მოსარჩენად"[1].

ამრიგად, ბატონყმობის დროინდელი მიწის საკუთრების ბატონობისაგან განსხვავებით, საზოგადოებისათვის მიწის ფეოდალური საკუთრების უფრო მისაღებ ფორმად ი. ჭავჭავაძეს მიაჩნია მიწის ფეოდალური საკუთრების მეორე ფორმა, რომელსაც იგი ხიზნობას უწოდებს. მიწისმფლობელობის ამ ფორმას იგი უპირატესობას ანიჭებს იმ შემთხვევაში, როცა „მიწა და ხელი განცალკეევბულია". მაგრამ ისმის კითხვა: ი. ჭავჭავაძეს მიაჩნია თუ არა დასაშვებად მიწის საკუთრების ისეთი ფორმის არსებობა საზოგადოებაში, როცა მიწის დამმუშავებელი თვითონ არის მიწის მეპატრონეც, ანუ სხვანაირად, შეიძლება თუ არა არსებობდეს საზოგადოება, რომლის არც ერთი წევრი არ იქნება „უმამულო". სამწუხაროდ, ი. ჭავჭავაძე ამ კითხვაზე უარყოფითად პასუხობს. ეკამათება რა გაზეთ „კავკაზს", რომელმაც ი. ჭავჭავაძესთან პოლემიკაში მართლაც შეცვალა მსჯელობის საგანი, კერძოდ, ი. ჭავჭავაძე ამტკიცებდა, რომ სხვისი მიწის გამოყენების ყველაზე უკეთეს ფორმას ხიზნობა წარმოადგენს, ხოლო გაზეთი „კავკაზი" კი ამის საპირისპიროდ მიუთითებდა, რომ მიწის მუშა თვითონ უნდა იყოს მიწის პატრონიო, ი. ჭავჭავაძე შეუძლებლად მიიჩნევს ბატონყმობის შემდეგდროინდელ საზოგადოებაში უმამულო და უმიწო ადამიანთა არ არსებობას და ეს უკანასკნელი მას საკუთარი კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია. იგი აღნიშნავს, რომ ყველა უმამულო ადამიანს რომ დღეს მიწები მიეცეთ, ამით არ გაქრება საზოგადოებაში უმამულონი, მაინ ყველა წევრი მაინც არ გახდება მამულიანი და ეს უმამულონი ხვალ ისევ კარზე მოგვადგება მამულისათვის. საქმე ისაა, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, რომ „ხალხი დღედადღე მატულობს, მიწა კი, რაც არის ღვთისაგან გაჩენილი, იმაზედ მეტს არც იმატებს და არც იკლებს. ეს გარემოება განა ყოველდღე არ მოქმედებს და ყოველდღე არა ჰბადავს უმამულო კაცსა, რომელსაც თავის ადგილას აღარ ედგომილება სივიწროვისაგან და სხვაგან უნდა მონახოს საცხოვრებელი მიწა, თუკი იშოვება"[2].

მიწისმფლობელობის სხვა ფორმებთან შედარებით იმ ფორმის უპირატესობა, რომელსაც ხიზნობას ეძახიან. ი. ჭავჭავაძის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ მისი ბატონობის დროს ძლიერდება „საკუთრების ზოგადი ელემენტი", წინააღმდეგ კერძო საკუთრებისა, რომელიც ყველაზე სრულად გამოხატული იყო ბატონყმობაში. ი. ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ მიწათმფლობელობის ეს ფორმა, ხიზნობა, დამახასიათებელია ყველა ხალხისათვის, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში მას სხვადასხვა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 138.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 139.

გვარი სახელწოდება აქვს. ყველა ერის ეკონომიკურ ცხოვრებაში იმის თაობაზე წარმოებს ბრძოლა თუ საკუთრების რომელი სახე, კერძო თუ საზოგადოებრივი გაბატონდეს, ეს ბრძოლა დაიწყო უძველეს დროში, როცა დაიშალა პირველყოფილი საზოგადოება, როცა მუშახელისა და მიწის „განშორებამ და განცალკევებამ დიდად შეარყია და შეშალა ბუნებრივი მდინარეობა ეკონომიკურის ცხოვრებისა“[1]. ამ ბრძოლას საქართველოშიც ჰქონდა ადგილი, რის შედეგადაც საზოგადოებაში გაჩნდა უმამულონი და მამულიანები, აქედან წარმოსდგა სხვისი მიწის სარგებლობის ინსტიტუტი. ბატონყმობის დროს სხვისი მიწით სარგებლობის ინსტიტუტში კერძო საკუთრების ელემენტები ჰარბობდა, რამაც შეაფერხა ხიზნობის, როგორც მიწის მფლობელობის ყველაზე უკეთესი ფორმის განვითარება, რომელშიც ჰარბობს საზოგადოებრივი საკუთრების ელემენტები. ი. ჭავჭავაძეს სწამს, რომ ბატონყმობის გაუქმებამ შექმნა პირობები ჩვენი ხალხის ეკონომიკურ ცხოვრებაში შემდგომი განვითარება ჰპოვოს საკუთრების ზოგად ელემენტზე დამყარებულმა მიწისმფლობელობის ფორმამ, ხიზნობამ, „რასაც ჩვენში არ დასცალდა თვისთა მიდრეკილებისა და ბუნებისამებრ დამთავრებულიყო, და რაც შესაძლოა ჯეროვნად დღეს დამთავრდეს“[2].

ხიზნობის მთელი სიკეთე იმაშია, რომ იგი საშუალებას იძლევა საუკუნეების განმავლობაში დროთა ვითარების გამო ერთმანეთისაგან განცალკევებული და „განთვითეულებული“ მუშახელი და მიწა ერთმანეთს დაუახლოვოს „კეთილნებობის მორიგებით, რომელიც ორისავე მხარესათვის უსათუოდ სახეირო უნდა ყოფილიყო, არა ძალით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბატონყმობის დროს, არამედ ნებაყოფლობით. ხიზნობა, გარდა ამისა, ურთიერთსარგებლობიდან წარმომდგარი მიწისმფლობელობის ფორმაა, რომელიც ორივე მხარის ინტერესების დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად და ემყარება პრინციპს: „სახეიროა — გაძლევ მამულს, სახეიროა — ვიღებ მამულსა“. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, მცდარია მოსაზრება, რომელიც მიზნად ისახავს ხიზნობის წარმოშობის ახსნას ეკონომიკური გაჭირვების, შიმშილისა და სხვა სოციალური უბედურებების არსებობით. იგი სტატისტიკური ცნობებით ცდილობს ამ მოსაზრების უარყოფას. ამჟამად, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, საქართველოში 6153 კომლი ხიზანია, რომელთაგან 1468 კომლი 1861 წლის შემდეგ გახდა ხიზანი. 1861 წლიდან დღემდე საქართველოში შიმშილობას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მის შემდეგ საქართველოში 1468 კომლი გახდა ხიზანი. ამრიგად, ასკვნის ი. ჭავჭავაძე, იმ სოციალური მოვლენის პირველი და უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი, რომელსაც „ჩვენ ხიზნობას ვეძახით, არის უხელო მიწის და უმი-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 142.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 139.

წო ხელის ერთმანეთთან მორიგება კეთილნებური, ეკონომიურის ანგარიშზედ აშენებული"[1].

ხიზნობის განმსაზღვრელს წარმოადგენს მიწის დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის ისეთი გარიგება, რომლის დროსაც მხარეების უფლება-მოვალეობანი ნათლადაა გამოკვეთილი, კერძოდ, მათი უფლება-მოვალეობანი აგებულია მიწის დამქირავებლისა და მიწის მეპატრონის მტკიცედ განსაზღვრულ სამსახურსა თუ ღალაზე. ამავე დროს მიწით სარგებლობა უვადოა. აქედან ი. ჭავჭავაძე აკეთებს დასკვნას, რომ ხიზნობის მეორე უმთავრეს დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ „ღალა და სამსახური უცვალებელი უნდა იყოს, ერთს ჭდეზედ იდგეს და თვით აღებ-მიცემობა მიწისა ვადადაუდებელი იქმნას"[2].

ი. ჭავჭავაძე ხიზნობის ბუნების დახასიათებისას მიუთითებს მის მესამე უმთავრეს დამახასიათებელ თავისებურებაზე, კერძოდ, ხიზნობიდან წარმომდგარი ურთიერთობანი ყოველთვის წესრიგდება მხოლოდ ჩვეულებით და არა კანონით, მეტიც, როცა საამისო შესაძლებლობა იქმნებოდა სჯული, კანონი კიდევაც სდეენიდა ხიზნობას. საქმე ისაა, რომ ხიზნობა მიწისმფლობელობის ისეთი ფორმაა, რომელიც ხელს უწყობს, აძლიერებს და ემყარება საკუთრების ზოგად ელემენტებს. მაგრამ სახელმწიფო ძველად და, განსაკუთრებით, შუა საუკუნეებში მხოლოდ მიწისმფლობელობის კერძო ელემენტების გაძლიერებას უწყობდა ხელს და მას იცავდა, ამიტომ ვერსად, ვერც ერთ ქვეყანაში ვერ იპოვნით სახელმწიფოს მიერ დადგენილ და დაწერილ კანონს, რომელიც მფარველობას გაუწევდა ხიზნობას. მაგრამ, რადგანაც ხიზნობა, როგორც ფაქტი მიწისმფლობელობისა, არსებობდა, რაღაცა ძალას უნდა მოეწესრიგებინა მის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობანი. ეს ძალა იყო ჩვეულება, რომელიც ქართველ ერს სამართლიანად მიაჩნია რჯულთ უმტკიცესად. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს ხიზნობის მესამე უმთავრეს თავისებურებაზე, კერძოდ, იმაზე, რომ ჩვეულება „მფარველობდა თავდაპირველს მორიგებას ხელისას და მიწისას, როგორც ჩვენში, ისეც ყველგან სხვაგან: იგი იყო ის დაუწერელი სიგელი, რომლის ძალითაც ერთი მეორეს პირობას უსრულებდა. ამის გამო იგივეა ნიშანი, რომლის მიხედვითაც უნდა განირჩეოდეს ხიზნობა ყოველ სხვაგვარ მიწისმფლობელობისაგან. საცა სხვისა მიწის ხანგრძლივი ხმარება ჩვეულებაზედ არ არის დამყარებული, და სხვა რაზედმეა, მაგალითებრ ქაღალდზედ დაწერილს ხელშეკრულებაზედ, იქ ხიზნობა არ არის"[3].

მეოთხე უმთავრეს თავისებურებას ხიზნობისა, ი. ჭავჭავაძის აზრით, წარმოადგენს ის, რომ იგი მთლიანად ემყარება ეკონომიკურ ანგარიში-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 152.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 154.

ანობას, გამოხატავს მის საფუძველზე წარმოშობილი სოციალური ურთიერთობის მონაწილეთა ეკონომიკურ ინტერესებს და ემსახურება ამ ინტერესების დაკმაყოფილებას. ხიზნობის თაობაზე წარმოშობილი ურთიერთობების ბუნებას, ი. ჭავჭავაძის აზრით, განსაზღვრავს შემდეგი სამი მომენტი: პირველი, მისი მონაწილეები უმამულო და მამულიანი სუბიექტებია, რომელთაგან მამულიანი სუბიექტის განზრახვაა დაასაქმოს თავის მიწაზე უმამულო ადამიანი, მაგრამ ეს ურთიერთობა არ უნდა გახდეს ამ უკანასკნელისათვის ბორკილი, კერძოდ, მას შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს „დამოუკიდებელი ნება თავისუფლად გადასვლა-გადმოსვლისა"; მეორე, ხიზნობიდან წარმომდგარი ურთიერთობა არ უნდა ლახავდეს მიწის მეპატრონის, როგორც ამ ურთიერთობის მონაწილის ინტერესებს თავისი ნების შესაბამისად გამოიყენოს კუთვნილი მამული; მესამე, ხიზნობიდან წარმომდგარი ურთიერთობა დაკავშირებულია მიწასა და მიწათმოქმედებასთან და მის მიზანს შეადგენს ნაყოფიერი შრომა-გარჯა, რომლითაც მდიდრდება ამ ურთიერთობის შინაარსი. ხიზნობის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების ეს სამი მომენტი, რომელიც ერთი შეხედვით ერთმანეთთან შეურიგებელია, მის მონაწილეთა ეკონომიკურმა ანგარიშიანობამ შეაკავშირა ერთმანეთთან.

დაბოლოს, ხიზნობის თაობაზე წარმოშობილი სოციალური ურთიერთობების სიმტკიცე იმითაცაა განპირობებული, რომ ხიზანს ნება ეძლევა მიწის მეპატრონისაგან აღებული ადგილ-მამული დატოვოს და მას თავი მიანებოს, მაგრამ ის ეკონომიკური ზარალი, რომელიც ხიზნის ამგვარ მოქმედებას მოჰყვება შედეგად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დიდი რაოდენობის საზღაურით. ამის შესაბამისად, მიწის მეპატრონესაც უფლება აქვს ხიზანს ამ უკანასკნელის ნების საწინააღმდეგოდ ჩამოართვას მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება და გაასახლოს იგი მამულიდან, მაგრამ იმ პირობით, რომ იგი ხიზანს ასევე დიდ საზღაურს გადაუხდის. ეს ეკონომიკური სანქციები უნდა შეეფარდოს ხიზნობიდან წარმომდგარი ურთიერთობის მონაწილეებს, თუ ისინი „ერთი მეორის დაუკითხავად და უნებურად მოშლის ხიზნობასა".

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ხიზნობა, როგორც ყველა ქვეყანაში გავრცელებული მიწისმფლობელობის ფორმა, დაწესებულია არა მთავრობის კანონითა და დადგენილებით, არამედ იგი „შეჰქმნა თითონ ერის ცხოვრებამ, თითონ ერმა გამოჰხარშა თავისი ცხოვრების მდუღარებაში და წამლად დაიდვა იმ ტკივილის მოსარჩენად, რაიც სამწუხარო მოვლენამ მიწისა და ხელის განცალკევებისამ აუტეხა დროთა ვითარებაში"[1]. ამიტომაცაა, რომ მის ზნეობრივ და ეკონომიკურ ეფექტს განსაზღვრავს არა დაწერილი კანონი, არამედ ჩვეულება.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 158.

ხიზნობის, როგორც მიწისმფლობელობის ყველაზე უკეთესი ფორმის ეკონომიკური ბუნების დასახასიათებლად ი. ჭავჭავაძე თავის მოსაზრებებს აგებს დასავლეთ ევროპის ცნობილი მეცნიერების ემილ დედაველეს, ჯონ სტიუარტ მილის, სისმონდის, იპოლიტ პასსის, მერლინის, ვალენსიო ლესლანდესის და სხვათა გამოკვლევებზე, რომლებიც მიძღვნილია ხიზნობისადმი. ი. ჭავჭავაძის აზრით, ხიზნობას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, კერძოდ, იგი ემყარება მიწის საზოგადოებრივი საკუთრების ელემენტებს და მისი შემდგომი განვითარების ყველაზე უკეთეს პერსპექტივებს ქმნის, იგი თანდათანობით ზღუდავს მიწაზე კერძო საკუთრებას საზოგადოებრივი საკუთრების სასარგებლოდ, ანუ სხვანაირად, ხიზნობის ბატონობისას „იხუთება პირადი ელემენტი საკუთრებისა სასარგებლოდ ზოგადის ელემენტისა და შეხუთვის საზღაურად არა-რა სასყიდელი არ ეძლევა"[1].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ხიზნობა საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, თბილისის გუბერნიაში 6153 კომლია ხიზანი, ხოლო ქუთაისის გუბერნიებში კი — 2532 კომლი[2]. ამ მიმართულებით საქართველოს ეკონომიკური ცხოვრების განვითარება ბატონყმობიდან განთავისუფლებულ გლეხებსა და ნაბატონრებს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარების ახალ პერსპექტივებს ქმნის. ხიზნობა, როგორც საკუთრების საზოგადოებრივი საწყისების განვითარების ფორმა, ამავე დროს ავლენს ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის მიდრეკილებას. საქმე ისაა, რომ მიწისმფლობელობა ხიზნობის ფორმით თავდაპირველად წესრიგდებოდა მხოლოდ ჩვეულებით, მაგრამ მისი თანდათან გავრცელების შედეგად იქმნება შესაძლებლობა მან „შეიძინოს სიკეთე, ღირსება და უპირატესობა დაწერილის კანონისა"[3].

ამრიგად, ბატონყმური ურთიერთობის მოსპობის შემდეგ შეიქმნა პირობები ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ამაღლებისათვის, მიწათმფლობელობისა და მიწათმოქმედების უკეთესი ფორმების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დანერგვისა და სოციალურ ურთიერთობებში წოდებათა შორის წინააღმდეგობების აღმოფხვრისათვის. ი. ჭავჭავაძე დარწმუნებულია, რომ ყველა საზოგადოებაში არსებობს წინააღმდეგობანი, მაგრამ კლასები და კლასობრივი ბრძოლა ყველა ქვეყნისათვის არ არის დამახასიათებელი. ზოგიერთ ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივი ბატონობისათვის არ არსებობს არც ეკონომიკური და არც პოლიტიკური მიზეზები. ასეთ ქვეყანას წარმოადგენს საქართველო, სადაც „საფაბრიკო-საქარხნო ხელთმოქმედება" და მისგან წარმომდგარი მწვავე კლასობრივი წინააღმდეგობანი და კლა-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 169.
2 ი ქ ვ ე, გვ. 172—176.
3 ი ქ ვ ე, გვ. 157.

სობრივი ბრძოლა ჯერ კიდევ არ დაწყებულა და არ არსებობს, ხოლო ბატონყმობისათვის დამახასიათებელი სოციალური კონფლიქტები, თვითნებობა, ძალმომრეობა და უსამართლობა შეძლებისამებრ. აღმოფხვრილია. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ დიდი ხანია, რაც „კანონი ბატონისა და ყმის შუა ჩაერია და ერთის ძალმომრეობა და მეორის ყმობა დასტრგუნა და გააქარწყლა და მით ქვეყნის მადლობა სამართლიანად მოიხვეჭა"[1].

საქართველოს სოციალური წყობილება სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებულია. სპეციფიკურია, მისთვის უცხოა წოდებრივი განკერძოებულობა. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ქართულში არ არსებობს ტერმინი იმ ცნების გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა „сословие" ნიშნავს. რაც შეეხება ტერმინს „წოდება", იგი გუშინ შეიქმნა, ახლა ვცდილობთ მის შემოტანას ქართულში და ისიც არ ვიცით ვარგა თუ არა გამოსაყენებლად. ტერმინი „წოდება" არ გვხვდება არა მარტო ხალხის სალაპარაკო ენის ფონდში, არამედ იგი უცნობია უძველესი საკანონმდებლო ძეგლებისა და წყაროებისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ „ეს იქნება იმის მიზეზითაც იყოს, რომ ჩვენს ძველს ცხოვრებაში დასდასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა. არ არსებობდა იმ მხრით, რომ ერთს წოდებას რაიმე წარმომადგენლობა ჰქონოდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და მეორეს — არა, და ერთს ამით ეჩაგრა მეორე. ჩვენში ყველანი ერთნაირად უხმონი და უფლებას მოკლებულნი იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავრობისა... ერთნაირად უხმონი და უტყვნი ქვეყნის საქმეთა გამგეობაში"[2]. მართალია, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე. რომ საქართველოს მეფენი დიდაცობასა და სამღვდელოებას იწვევდნენ კრებებზე, რათა მოესმინათ ამ უკანასკნელთა რჩევა-დარიგებანი. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს ამ წოდებათა განსაკუთრებულ უფლებასა და პრივილეგიას, არამედ იგი შეადგენდა თვით მეფის უფლებას, კერძოდ, მას თავისი სურვილისამებრ შეეძლო მოეწვია ან არ მოეწვია ასეთი კრებები: „ამის გამო, — ასკვნის ი. ჭავჭავაძე, — იმ ბრძოლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლების დასაპყრობად, გასაერცობად, რომელიც ევროპაში იყო და ეხლაც არ გათავებულა, და რომელიც უპირველესი მიზეზი იყო ერის წყობა-წყობად დაყოფისა, ჩვენში ადგილი არა ჰქონია"[3].

როგორც ჩანს, ი. ჭავჭავაძე საერთოდ არ უარყოფს კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის არსებობას საზოგადოებაში, მან კარგად იცის, რომ ამ ბრძოლის მიზანია სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობა და კლასობრივი ბატონობის დამყარება, „უფლების დაპყრობა და გაერცე-

---

1 ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული. ტ. 7, გვ. 12.
2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 52—53.
3 იქვე. გვ. 53.

ლება", მაგრამ მას სჯერა, რომ „ბრძოლასა და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლების დასაპყრობად და გასავრცობად" მხოლოდ ევროპაში ჰქონდა ადგილი და ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება, საქართველოსათვის კი ამგვარი მოვლენები სრულიად უცხოა[1]. საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მართალია წინააღმდეგობები არსებობს, მაგრამ ეს წინააღმდეგობანი, ანუ როგორც თვითონ წერს „ელემენტები" თავისი ბუნებით ისეთი არ ყოფილა, რომ მას საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლა გამოეწვია. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მართალია დასავლეთ ევროპისაგან განსხვავებით საქართველოსათვის უცხოა კლასობრივი ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავს რომელიმე კლასის მიერ ხელისუფლების დაპყრობას, მაგრამ „ჩვენ ამით იმის თქმა-კი არ გვინდა, რომ ჩვენ ცხოვრებაში სრულიად არ ყოფილა ელემენტები, რომელთა მოძრაობა და განვითარება საქმეს ბრძოლამდე და შეხეთქებამდე მიიყვანდა, თუ დასცალდებოდა. ჩვენ იმას ვამბობთ, რომ რაკი ბრძოლა არ იყო, ბანაკებად დაყოფა ერისა არ იქნებოდა, არ იყო წყობ-წყობად განცალკევების მიზეზიც ჩვენს ერობაში"[2].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გაბატონებულ „საფაბრიკო-საქარხნო ხელთმოქმედებამ" განაპირობა საზოგადოებაში ორი ძირითადი ურთიერთდაპირისპირებული კლასის — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის არსებობა, რომელთა შორის მწვავე კლასობრივ ბრძოლას აქვს ადგილი, მაგრამ საქართველოში ეკონომიკური წყობილების საფუძველი „მარტო მიწისმფლობელობიდამ წარმოსდგება" და ამის შესაბამისად საზოგადოებაში გვხვდება თავადაზნაურობა. გლეხობა და სამღვდელოება სუსტად განვითარებულ ვაჭრებთან და ხელოსნებთან ერთად, მაგრამ პრივილეგიური უპირატესობანი თითქმის არც ერთ წოდებას არ გააჩნია, მათ შორის განსხვავება მეტად უმნიშვნელოა: „ჩვენში თავად-აზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალეებად იხსენიებოდა და გლეხი კი არა"[3]. მიწისმფლობელობიდან წარმომდგარი ეკონომიკური წყობილების თავისებურებათა გამო „თვითონ ბატონ-ყმობის უფლებაც კი არ ყოფილა ჩვენში კუთვნილებად ერთისა და იმავე წოდებისა: გლეხთაც, როგორც თავად-აზნაურთა და ეკლესიას, შეეძლოთ ყმების ყოლა. ამის მაგალითი ხშირია იმერეთში"[4]. თავადაზნაურობა და გლეხობა საქართველოში ერთმანეთს არ დაპირისპირებია, როგორც წოდება წოდებას, ისინი ზნეობით, ჩვეულებით, აზრითა

---

[1] ლ. გორგილაძე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, გვ. 91. გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 687—688; ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 332—333 და ა. შ.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 55.

[3] იქვე.

[4] იქვე.

და გრძნობით ერთმანეთს არ დაშორებია და „ერთის სიტყვით, არ განსაკუთრებულა ერთს წყობად, ერთს დასად“. ისინი ერთად ეწეოდნენ ცხოვრების უღელს, ერთად იყოფდნენ ჭირსა და ლხინს. ი. ჭავჭავაძე საკუთარ თავს აცხადებს იმის მოწამედ, რომ თავადი, აზნაური და ა. შ., სიამოვნებით დამორჩილებია ხალხს და მათ შეუსრულებიათ გლეხთა სასოფლო ყრილობის დადგენილებანი და ამ უკანასკნელთა თხოვნით მონაწილეობაც მიუღიათ გლეხთა ყრილობების სხდომებზე. მეტიც, ამ ყრილობებზე ბევრჯერ გლეხებს მოუნდომებიათ მამასახლისი აზნაურისშვილი ყოფილიყო, მაგრამ კანონი წასულა ამის წინააღმდეგ, ბევრჯერ კი გლეხები უარს ამბობდნენ თავიანთ სასამართლოში საქმის განხილვაზე და თავადაზნაურობას ან სამღვდელოებას თხოვდნენ საქმის გადაწყვეტას. აქედან ი. ჭავჭავაძე აკეთებს დასკვნას: „ეს მაგალითები გვაუწყებენ, რომ ჩვენში გლეხთა და სხვა წოდებათა შორის კეთილი მიდრეკილება სუფევს; რომ ერთმანეთს არამც თუ ეუცხოებიან, არამედ ერთმანეთისკენ მიიზიდებიან“[1]. ერთი სიტყვით, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, „ჩვენს ცხოვრებაში არის იმისთანა ფესვნი, რომელთა ზედაც შეიძლება ამოვიდეს სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს. ამას უნდა დავტრფოდეთ და შევხაროდეთ და არა ვთაკილობდეთ და ვმტრობდეთ. ამას ხელის შეწყობა ჰმართებს და არა ხელის შემართვა“[2].

საკითხის ამგვარად გადაწყვეტისას, ერთი შეხედვით გაუგებარი რჩება ი. ჭავჭავაძის მიერ თავის მხატვრულ ნაწარმოებებში — „კაკო ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“, „ოთარაანთ ქვრივი“ და ა. შ. სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენელთა შორის ბატონყმობისაგან წარმომდგარი წინააღმდეგობებისა და ექსცესების საფუძველზე გადმოცემული მწვავე სიუჟეტური ეპიზოდები, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ ბატონსა და ყმას შორის არსებულ სოციალურ წინააღმდეგობებზე, ფეოდალთა თვითნებობისა და ძალადობით გამოწვეულ გლეხთა სტიქიური პროტესტების გამოვლინებაზე[3]. მაგრამ იგი თავის ნაწარმოებებში აღწერილ სოციალური შინაარსის კოლიზიებს სრულებით არ უკავშირებს კლასობრივ ბრძოლას. ი. ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ ქართულ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის არ არსებობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გლეხი, თავადი, აზნაური თუ მღვდელი ყველგან მეგობრულად ცხოვრობს. რა თქმა უნდა, აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე, „ბევრგან სუფევს განხეთქილება, ხოლო დიდი შეცდომა იქნება, ამის მიზეზი თითონ წოდებათა წყობას, მის შინაგანს არსებას, თვისებას, ზნეს და ჩვეულებას და აქედამ წარმომდგარ მიდრეკილებას მივა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 56.
[2] ი ქ ვ ე.
[3] გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 688.

წეროთ. ამისი მიზეზი იგივეა, რაც თვითეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა"[1]. ამრიგად, ი. ჭავჭავაძე არ უარყოფს, რომ საქართველოში სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის ჰარმონია არ არსებობს, რომ საზოგადოებაში შეხლა-შემოხლა და განხეთქილება ძალიან ხშირი შემთხვევაა, მაგრამ იგი სასტიკად აკრიტიკებს იმათ, ვინც მიუთითებდა, რომ კლასობრივი ბრძოლა დამახასიათებელია ყველა იმ საზოგადოებისათვის, სადაც ანტაგონისტური კლასები არსებობენ. საქართველოს სოციალური ურთიერთობანი ამ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. საქართველოში არსებული სოციალური ჩაგვრის მიზეზების (ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის მოხდა) მოქმედება თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ წოდებები და მათი წარმომადგენლები სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით არათანასწორუფლებიანია, კერძოდ, საზოგადოების განსაზღვრულ წოდებას ან მის რომელიმე წარმომადგენელს დაკისრებული აქვს მოვალეობები, ხოლო უფლებებს კი მოკლებულია. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს: „ეგრეთი ყოველი მხრით უსაფუძვლო და უმიზეზო გამოკლება ზოგიერთ წოდებისა საზოგადო საქმეებიდამ — საზოგადო ტვირთს უმძიმებს გლეხს მით, რომ მარტო გლეხიღა იხდის საზოგადოების სამსახურს, ეწევა ბეგარას, აკეთებს გზებს, ჰყარაულობს, იცავს საზოგადო მშვიდობიანობას, იცავს ყველას საკუთრებას მტაცებლობისა თუ წანახედისაგან და ამ სიკეთეში ძალაუნებურად წილხდომილნი არიან ყველანი, ვინც კი სოფლის წრეში სცხოვრობს, ხოლო ხარჯში, უღლის წევაში კი — არა"[2].

ი. ჭავჭავაძე ამ მორალურ-სამართლებრივი პოზიციებიდან აფასებს საქართველოში ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს და ამ ურთიერთობებიდან წარმომდგარ სოციალურ ჩაგვრას, რომლის საფუძველს ბატონყმობა შეადგენდა. თითქმის მის ყველა მხატვრულ ნაწარმოებებსა და აგრეთვე პუბლიცისტურ წერილებში ი. ჭავჭავაძე საზოგადოებაში არსებულ სოციალურ ჩაგვრას ცალკეულ ფეოდალთა გულქვაობით, სიხარბით, უნამუსობით და ა. შ. ხსნის. აღსანიშნავია ისიც, რომ მას, როგორც ბატონყმობის, ასევე ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საზოგადოებაში არსებული სოციალური ჩაგვრის მიზეზად ერთი კლასის მეორეზე ბატონობა კი არ მიაჩნია, არამედ სოციალური ჩაგვრა მას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა მორალური არასრულყოფილობისა და უფლება-მოვალეობათა არათანასწორი განაწილების შედეგი.

ბატონყმობის გაუქმებამდე დაწერილ პოემაში — „აჩრდილი" — ი. ჭავჭავაძე აღწერს ფეოდალური წყობილების უარყოფით მოვლენებს,

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 57.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 57—58.

გულქვა და ხარბი ბატონის მიერ ყმა-გლეხთა ექსპლუატაციის საშინელ სურათებს: „აგერ უფალი და მისი მონა! თრთოლით სასწორზედ ხარჯს უწონს ძნელსა და, რა დასწორდა სასწორზედ წონა, უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა და მით მის ხარჯსა ერთსა-ორად ჰხდის... უმწეობითა თავის ხარჯსა ჰზრდის და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიმა, მაგრამ ქვა არის ბატონის გული, ვერ დაარბილებს მას შებრალება“[1]. ბოროტი და უნამუსო ბატონის ძალადობასა და თვითნებობას საზღვარი არა აქვს, თავგასული ბატონი დედას ძუძუდან შვილს გლეჯს, ქალიშვილს ნამუსს აჰხდის ან გაჰყიდის, ყველაფერი, რაც ყმა-გლეხებს აქვს ბატონს მიაქვს. ი. ჭავჭავაძე პროტესტს აცხადებს ბატონყმური ურთიერთობის სისაძაგლეთა წინააღმდეგ.

ბატონის თავგასულობას და თვითნებობას ი. ჭავჭავაძე ახასიათებს ბატონყმობის გაუქმებამდე დაწერილ პოემაში — „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ („კაკო ყაჩაღი“). ზაქრო, რომელმაც მოჰკლა თავგასული და მოძალადე ბატონი, ფეოდალთა სისასტიკის გამო ტყეში ყაჩაღად გავარდნილ კაკო ყაჩაღს უყვება, რომ „მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი, ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი, იმას კაცებრი გული არ ჰქონდა, რომ მამა-ჩემი შეჰბრალებოდა, რა გავაგრძელო, თავადის-შვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს?“[2] დაახლოებით იგივე აზრია გატარებული ი. ჭავჭავაძის მეორე ნაწარმოებში — „გლახის ნაამბობი“. გაბრიელი, როცა მღვდლის საშუალებით გაეცნობა ავთანდილისა და შერმანდინის მეგობრობას, რომელსაც ბატონყმური ურთიერთობა უდევს საფუძვლად, სიხარულით წამოიძახებს: „ვენაცვალე შენს დამწერსა! აი, ბატონ-ყმობა თუ იყოს, ამისთანა. მოგწონს? — მკითხა მღვდელმა. აბა რა? მართალი ხარ! — მიბრძანა იმან ნაღვლიანად. — უარესს ეგა სჯობია“[3]. მაგრამ ეს ურთიერთობა მაინც შორსაა იდეალურისაგან, რადგან „იმას კი არა შეედრება-რა, როცა ცა ქუდადა გაქვს და დედამიწა ქალამნადა“[4]. ი. ჭავჭავაძე დარწმუნებულია, რომ ბატონყმობა საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასის, გლეხობის უბედურების მიზეზია და მას საეჭვოდ არ მიაჩნია, რომ „გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში“[5].

ი. ჭავჭავაძე ბატონსა და ყმა-გლეხთა ურთიერთობაში მოითხოვს მის მონაწილეთა უფლება-მოვალეობების გამიჯვნას. იგი დარწმუნებულია, რომ ბატონყმობის მთელი სისაძაგლე წარმოსდგება ბატონთა გაუნათლებობის, სიხარბისა და თავგასულობისაგან. პოემაში — „კაკო ყაჩაღი“ — ზაქროს მამა გულქვა და აჯამი ბატონისაგან სამართლიანად მო-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 1, გვ. 136.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 169.
[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 75.
[4] ი ქ ვ ე.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 168.

ითხოვს: „მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს და შენს სახელსა მტლად დავედები“[1], კერძოდ, „კულუხს, კოდის-პურს, გადასახადსა ერთი-ორადა მოგართმევთ შენა“[2], მაგრამ ბატონი შეუბრალებელია, მისი ბრძანებით ზაქროს მამა გარუზგეს, რაც საბედისწერო აღმოჩნდა ბატონისათვის: ზაქრომ მოკლა გულქვა ბატონი და ტყეს შეაფარა თავი. მაგრამ ყველაფერი ეს ცალკეული ბატონის თვითნებობისა და ძალადობის შედეგია.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, კლასობრივი ბრძოლა საქართველოში არასდროს არ ყოფილა და, მით უფრო, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ შეძლებისდაგვარად მოისპო წოდებათა შორის „ცილების“ მიზეზები, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი სოციალური მდგომარეობის მიხედვით ერთიანია, რომ მის სხვადასხვა სოციალურ ფენას შორის წინააღმდეგობებს არა აქვს ადგილი და მათ შორის სრული ჰარმონია სუფევს. სინამდვილეში „თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა — თავადსა, ორივესი — გლეხსა“, მაგრამ ყველა ესენი ქართველები არიან, „ერთისა და იგივე ხორცისა და სულის ნაყოფნი და ერთის დედის საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი... ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო. ეგ თითო-თითოდ. ერთის გაწყვეტილს ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ ეგ თვითეული ქართველი ჰგონია ვისმე!“[3] მას შემდეგ, რაც ქართველი ჩვენი ხალხის საერთო სახელი აღარ არის, დავკნინდით, მამულის სახელი ყველას აერთიანებდა, „როცა ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად ბმულა“[4]. ქართველი ხალხის უბედურება მაშინ დაიწყო, როცა საქართველო დაიშალა სამეფოებად და სამთავროებად, დაირღვა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ერთიანობა, რომლის აღდგენისათვის იბრძოდა ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ახალ დროში ახალმა თაობამ დაიწყო ერის მთლიანობის აღდგენა, ამ თაობის ინიციატივით, და თვითშემოქმედებით დაარსდა ქართული თეატრი, ქართული სკოლები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ა. შ., რამაც შექმნა ქართველი ერის შიგნით ერთიანობის აღდგენის პერსპექტივები. ამიტომ ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებული გულისყურით სწავლობს საკითხს იმის შესახებ, საკმარისია თუ არა ეს საფუძველი თავად-აზნაურობასა და გლეხობას შორის არსებული დიდი სოციალური განსხვავების აღმოსაფხვრელად. ი. ჭავჭავაძე არ უარყოფს, რომ თავადაზნა-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 171.
2 ი ქ ვ ე, გვ. 170.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 74.
4 ი ქ ვ ე, გვ. 78.

ურობა და გლეხობა არ არის თანასწორუფლებიანი, რომ „ყოველის კლასობრიობის სხვადასხვაობის“ გაუქმება თვით საზოგადოების უმაღლეს საფეხურზეც შესაძლებელია მხოლოდ „შეძლებისამებრ“. რაც შეეხება ბატონყმობისა და ბატონყმობის შემდეგი პერიოდების საზოგადოებას. საქართველოში, რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ ხარბ და გულქვა ბატონს, მის ურთიერთობაში. გლეხობასთან, მართალია, განხეთქილებას არა აქვს ადგილი, მაგრამ მათი დამოკიდებულება არ შეიძლება სიყვარულსა და მეგობრობას ემყარებოდეს. ბატონსა და ყმას შორის ხიდი ჩატეხილია. ი. ჭავჭავაძის აზრით, ბატონსა და ყმას შორის ჩატეხილი ხიდის გამთელება ბატონყმობის გაუქმებასაც არ მოჰყოლია შედეგად.

ქართული საზოგადოების ორ ძირითად კლასს — გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის ჩატეხილი ხიდის გამთელების პრობლემა მთელი სიმწვავით ი. ჭავჭავაძემ დააყენა მოთხრობაში — „ოთარაანთ ქვრივი“. როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ ორ წოდებას შორის ურთიერთობაში „ჩატეხილი ხიდი“ არ ნიშნავს მათ შორის კლასობრივი ბრძოლის არსებობას, ერთმანეთთან მოურიგებლობას, არამედ, იგი ი. ჭავჭავაძეს წარმოდგენილი აქვს, როგორც თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის არსებული სოციალური და მისგან გამომდინარე სხვა განსხვავებები (მორალური, ფსიქიკური, ინტელექტუალური და ა. შ.). როცა ი. ჭავჭავაძე ამ ჩატეხილი ხიდის გამთელებაზე მსჯელობს, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ ამ ორ კლასს შორის არსებულ განსხვავებათა წაშლა, რაც ი. ჭავჭავაძის უმაღლეს პოლიტიკურ იდეალს შეადგენდა. ამასთან დაკავშირებით, აქ უნდა გავიხსენოთ მის მიერ 1899 წელს დაწერილი სტატია — „მეცხრამეტე საუკუნე“. მასში ავტორი აყალიბებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების გარდაქმნის გეგმას, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია ყოველგვარი კლასობრივი განსხვავების წაშლა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის.

ი. ჭავჭავაძე მოთხრობაში — „ოთარაანთ ქვრივი“ — ადგენს იმ ფაქტს, რომ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის ხიდი ჩატეხილია. ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირი, თავადაზნაურობის იდეოლოგი არჩილი თავის დასთან — კეკოსთან საუბრის დროს შენიშნავს: „ჩვენ-შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორიშორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი... ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ-მეთქი... იმათ ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე აკლია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ველარ მიგვიკარებია, ველარ მოგვიხვევრია. და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა“[1].

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 312—313.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, თავად-აზნაურების გლეხობასთან ურთიერთობა მხოლოდ ორ საშუალებას ემყარება: პირველი — მწიგნობრული სალაპარაკო ენა და, მეორე — გაუმაძღრობის ხარბი ხელი. როგორც თავადაზნაურობას, ისე გლეხობას თანაბრად მიუძღვით ბრალი ამგვარ განკერძოებულობაში, ისინი ერთად აღებული შეადგენენ მთელს ერს, თითოეული ცალკე აღებული მთელი საზოგადოების ნახევარია, ამიტომაც ვინც დაინტერესებულია ერის მთლიანობით, მას უნდა აწუხებდეს წოდებათა გათიშულობა. არჩილი ამბობს: „დავტირი ჩემს დაკარგულს ნახევარსა. ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია, მე იმისგან. მე დაკარგული მენანება, მებრალება და არ მემართლება კი"[1].

წოდებათა ასეთი განცალკევების ვითარებაში, ი. ჭავჭავაძე საკუთებით კანონზომიერად სვამს მრავალ კითხვას, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი: პირველი — ვინაა ერის გათიშულობის მიზეზი, ანუ სხვანაირად, რომელი კლასია საზოგადოებისათვის მთავარი და, მეორე — შეიძლება თუ არა ამ ორ კლასს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა.

გლეხობა „უწმინდურია თავისი ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავის გულითაც"[2], იგი გაუნათლებელი და ხარბია, მაგრამ არც განათლებული თავადაზნაურობაა წმინდა და სპეტაკი, ამიტომ გლეხობა შებრალების ღირსია, თავადაზნაურობა კი — ზიზღისა. ი. ჭავჭავაძის აზრით, ამ ორი ძირითადი სოციალური ფენის განცალკევება — გათიშულობის ვითარებაში, საზოგადოების სიცოცხლისუნარიან ნაწილს მაინც გლეხობა შეადგენს, იგი ქმნის ერის მატერიალურ დოვლათს და საზოგადოებრივი ცხოვრება მას მიჰყავს წინ.

რაც შეეხება მეორე საკითხს, კერძოდ, იმას, შეიძლება თუ არა ჩატეხილი ხიდის გამთელება, ანუ, თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის განცალკევებულობის დაძლევა, მასზე ი. ჭავჭავაძე დადებითად პასუხობს. მაგრამ იგი არ შეიძლება უმტკივნეულოდ. ამ ორი ძირითადი წოდების განცალკევებულობა ნიშნავს ერის ნახევარი გულით, ნახევარ კაცად ცხოვრებას, მაგრამ, ი. ჭავჭავაძის აზრით, „ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კვდომაა... კვდომა ხრწნაა და ხრწნას მარტო ჩირქი სდის... მაგრამ ორ ტოტად კი. ერთი ტოტი — ჩვენი მკვდარის ნახევრისაა და ნუ გიკვირს, რომ ერთმანეთს უჩირქოთ ვერ გადვურჩებით, როცა ერთმანეთს მოვხვდებით ხოლმე"[3]. მაგრამ წოდებათა ეს შეერთება, მათ შორის განსხვავების წაშლა, ჩატეხილი ხიდის გამთელება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცოდნისა და განათლების მიღების საფუძველზე თავადაზნაურობა და გლეხობა გარდაიქ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 314.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი ქ ვ ე.

მნება, მოინანიებს საკუთარი მაღალწოდებრივ პრივილეგიებზე დამყარებული კლასობრივი განსხვავებებით გამოწვეულ საზოგადოებრივ განცალკევებულობას. ი. ჭავჭავაძის აზრით, „ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნავამს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინასი და შუქი ხომ... დასაწყისია განთიადისა"[1].

ი. ჭავჭავაძე ენერგიულად იბრძვის ქართველი ერის მთლიანობისათვის და მის უკეთეს მომავალს მთელი ხალხის ერთიანობაში ხედავს. იგი მიუთითებს, რომ წოდებათა უთანხმოებამ და განცალკევებულობამ აღგავა დედამიწის პირიდან მრავალი ძლიერი და სახელოვანი ერი, წოდებათა შორის უთანხმოების, სიძულვილისა და ბრძოლის ქადაგება „ვერსად ვერ დააარსებს კეთილსა და სასურველს განწყობილებას"[2].

ქართველი ერის მთლიანობისათვის იბრძოდა ი. ჭავჭავაძე სიტყვითა და საქმით მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. ამ მხრივ საყურადღებოა ი. ჭავჭავაძის სიტყვა თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე 1895 წლის 20 მაისს. ი. ჭავჭავაძე აღშფოთებას გამოთქვამს ერთ-ერთი ორატორის მიმართ, რომელსაც დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველზე უთქვამს, რომ იგი მოსული არის და ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო: „მე მთქმელთან საქმე არა მაქვს რა, მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვიცოდეთ ის კი არა, ვინა სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს. ეს უთხრეს იმიერ ქართველს, როგორ? იმიერი ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში — მოსულია, უცხოა და არა სახლიკაცი, არა სისხლ-ხორცი იმ დიდი ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან? არა ბატონებო!.. ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას, — გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი, თუ ქართლელი, — ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამცთუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უუწმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთობა ამაშია, ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა... დღეს სხვას გვეუბნებიან. დღეს უნდათ, ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენ შორის მოსული ხარო! სამართლიანი გულისწყრომა მამულისშვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს. მე ამით ვაცხადებ ჩემ მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულიშვილურ გრძნობის წყეელა-კრულეით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწოდებთ, ასე მოიქ-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 319—320.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 377.

ცეთ. დეე ამ უკეთურმა აზრმა აქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა"[1].

საზოგადოებაში სოციალური ურთიერთობის პრობლემებს უძღვნის ი. ჭავჭავაძე ნაშრომს — „წოდებათა თანასწორობა", რომელიც 1888 წელს გამოქვეყნდა. ეს ნაწარმოები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ი. ჭავჭავაძის შეხედულებებზე წოდებათა და კლასთა თანასწორობის შესახებ. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ერის მატერიალური და სულიერი წარმატება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ერი მთლიანია და შესაძლებლობა აქვს წოდებათა დაუყოფლად გაიკვლიოს გზა და უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესი. საზოგადოებრივი წოდებების განცალკევებულობა, „ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავის-თავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და როცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან"[2]. უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ წოდებათა ინტერესების გათიშვას საზოგადოებრივი სიკეთე მოჰყვება, კაცობრიობის ისტორია ცხადყოფს, რომ წოდებათა შორის ბრძოლა და განცალკევება ყოველთვის ერისა და სახელმწიფოს დაშლას იწვევს: „ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათასგვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია"[3]. ი. ჭავჭავაძის აზრით, ჰარმონია ბუნებისა და საზოგადოების არსებობის კანონზომიერებაა, მზე ყველასთვის ერთნაირად ანათებს, ყველას ერთად ათბობს და ყველას გამოუკლებლივ ანიჭებს ძალასა და სიცოცხლეს, ამიტომ საზოგადოებისათვის დამღუპველია გლეხისა და თავადის, მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა და წასისინება, პირიქით, ადამიანობა, კაცური კაცობა მოითხოვს, რომ მათ შორის წამოჭრილი წინააღმდეგობანი უნდა აღმოიფხვრას ერთობლივი მეცადინეობით, უნდა ვცდილობდეთ წოდებათა შორის მშვიდობიანობის ჩამოგდებას. მართალია, ყველა ერთნაირად ვერ ცხოვრობს, გლეხი უფრო გაჭირვებულია, ვიდრე მღვდელი, ვაჭარი, თავადი ან აზნაური, მაგრამ ყველა ისინი ადამიანია და მათზე ერთნაირად უნდა ვიზრუნოთ. თავადაზნაურობამ, როგორც ცალკე წოდებამ, დიდი ხანია თავისი დრო მოსჭამა, მაგრამ თავადსა და აზნაურს, როგორც ცალკე ინდივიდს, ადამიანობა ხომ შერ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 261—262.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 312.
[3] იქვე, გვ. 312—313.

ჩა და ამიტომ სამართლიანი არ იქნება მათ ყველამ წიხლი ჰკრას.. ერთს წაართვა და მეორეს მისცე, უსამართლობაა და იგი საერთო წყლულს ვერ მოარჩენს. ამიტომ ყველა უნდა იბრძოდეს იმისთვის, რომ წოდებათა შორის განსხვავება და წინააღმდეგობა მათ ურთიერთ ბრძოლაში არ გადაიზარდოს და ყველა უთანხმოება მშვიდობიანად მოგვარდეს საზოგადოებაში. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, დიდად სცოდავენ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის წინაშე ისინი, ვინც მოითხოვს, რომ „გინდა თუ არა განხეთქილება უნდა იყოს წოდებათა შორის, რადგანაც ევროპაში ეგ განხეთქილება სუფევსო“[1]. ამდენად, ი. ჭავჭავაძის აზრით, სადაც კლასობრივ ბრძოლას ადგილი არა აქვს, უაზრობაა მისი განზრახ გაჩაღება, რადგან „ეგ იმას ემგვანება, რომ კაცმა ნაგავი შეიტანოს სახლში მარტო იმისათვის, რომ მერე საბუთი ჰქონდეს სთქვას: სახლს დაგვა უნდაო. რად გვინდა ჩვენ აქ ბაძი ან რა სასარგებლოა“[2]. გვიანდელი პერიოდის ნაწარმოებებში ი. ჭავჭავაძე კატეგორიულად უარყოფს კლასობრივ ბრძოლას საქართველოში და ამტკიცებს, რომ ჩვენს ქვეყანაში არასდროს არ ყოფილა მტრული კლასები და აქედან წარმომდგარი კლასობრივი ბრძოლა. მაგრამ ადრინდელი პერიოდის მხატვრულ ნაწარმოებებში ნათლადაა ასახული ფეოდალურ საზოგადოებაში არსებული კლასობრივი წინააღმდეგობანი, მეტიც, არსებითად ამ ნაწარმოებთა სიუჟეტი კლასთან ურთიერთდაპირისპირების ფონზე ვითარდება. ამ შეუსაბამობას ი. ჭავჭავაძე რუსული ლიტერატურისა და მეცნიერების ზეგავლენით ხსნის. იგი მიუთითებს, რომ ეს იყო დრო, როცა ევროპისა და განსაკუთრებით რუსული პოლიტიკური აზრისა და ლიტერატურის მიბაძვით სხვადასხვა მიმართულებათა ბრძოლა გადმოვიტანეთ საქართველოში და ვცდილობდით ჩვენი ცხოვრებისათვის მის ძალად თავზე მოხვევას, მაგრამ ის კი არ გავითვალისწინეთ, რომ კლასობრივი ბრძოლისათვის საქართველოში არავითარი საფუძველი არ არსებობდა. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მაშინ „რუსული ლიტერატურის ძალმომრეობამ ჩაგვითრია წინ-დაუხედავად, უკრიტიკოდ, და ამ გზით რუსეთის აზრთა და მიმართულებათა ბრძოლა ჩვენში გადმოვიტანეთ და ვლამობდით ჩვენის ცხოვრებისათვის ძალად მოგვეხვია თავზე, ვითომც და ჩვენც ნახირ-ნახირო, ის კი დაგვავიწყდა, რომ ჩვენს ცხოვრებაში ამ ბრძოლას არავითარი მიზეზი არა ჰქონდა არამც თუ არსებობისა, ფეხის ნელად მოკიდებისაც კი“[3]. ამ შეხედულებების გავრცელება საქართველოს სინამდვილეში ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხეს ქმნიდა, შეიქმნა საშიშროება იმისა, რომ არამც თუ „მოსაქმე ცხოვრებით“, არამედ „მოაზრე ცხოვრებითაც“

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 57.
[2] იქვე.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 201—202.

ჩვენი საკუთარი დაგვკარგოდა, სხვას ავყოლოდით და სხვას დავმსგავსებოდით, ჩვენობა აღარ დაგვეტყობოდა და სხვისას მიეცემოდით სულით და ხორცით, მაგრამ ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ „მადლობა ღმერთს, ამ ბრძოლის გადმოტანა ჩვენში ქარის მობერვას ჰგვანდა და ქარსაეითვე გაგვექარვა, და ჩვენმა და ჩვენობამ ომ-გადაუხდელად თავისი თავი გაიტანა ჩვენდა სანუგეშოდ"[1]. ამით უნდა აიხსნას საქართველოში მთელი XIX საუკუნის მანძილზე განუხრელი წინსვლა,. პროგრესი, „გონების თვალთახედვის გაგანიერება, განდიდება, გაძლიერება, და არა ჭიდილი და ბრძოლა, რომელთაც გაბატონება, ბრძანებლობა მოსდევს ერთისა და დაჩაგვრა და ყმობა მეორისა"[2].

ზემოთქმული ისე არ შეიძლება გავიგოთ, თითქოს ი. ჭავჭავაძე უარყოფდა რუსული მეცნიერებისა და აზრის კეთილისმყოფელ ზეგავლენას ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაზე. პირიქით, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ამავე პერიოდშიც და ყოველთვის, ი. ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავს რუსეთის მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიული აზრის ზეგავლენას ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაზე, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიური. მხატვრული და ა. შ. შეხედულებების ჩამოყალიბება-განვითარებაზე. მაგრამ ი. ჭავჭავაძე აქვე მიუთითებს. რომ რუსული კულტურის მიღწევებს უმრავლეს შემთხვევაში ბრმა ზემოქმედება არ მოუხდენია ქართველთა სულიერ ცხოვრებაზე, და გასაკვირი არაა, რომ „ამ ზემოქმედებამ რუსულის ლიტერატურისა მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის"[3]. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ არა ყველა, არამედ „ზოგნი ჩვენში, რუსულ ლიტერატურის მიხედვით გაზრდილნი და გაწურთვნილნი", არა თუ არ გამხდარან რუსული მეცნიერული და ლიტერატურული აზრის ტყვე, არამედ „მარტო ამას არ დასჯერებიან: მათი კრიტიკით და გამოძიებით მხარ-და-მხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედ"[4].

უნდა ვიგულისხმოთ, რომ, როცა ი. ჭავჭავაძე მოწინავე რუსული მეცნიერული აზრის ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ზემოქმედებასა და ამ აზრის „კრიტიკით და გამოძიებით" ათვისებაზე და გამოყენებაზე ლაპარაკობს. მხედველობაში აქვს უპირველეს ყოვლისა, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების პროგრესული საზოგადოებრივ-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 202.
2. იქვე.
3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 369—370.
4 იქვე.

პოლიტიკური ლიტერატურა და ფილოსოფიური მოძღვრებანი, რომელიც მიმართული იყო რუსეთში მეფის თვითმპყრობელობისა და ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ საზოგადოებრივი პროგრესისა და მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის. მთლიანად იზიარებდა რა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა პროგრესულ მოძღვრებას, ი. ჭავჭავაძეს იგი ბრმად და უკრიტიკოდ არ მიუღია, არამედ შემოქმედებითად გაიაზრა მისი ყველა დებულება და გამოიყენა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესაბამისად. როგორც ცნობილია, რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძღვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა მოძღვრება კლასების, კლასობრივი წინააღმდეგობების, კლასობრივი ბრძოლისა და გლეხური რევოლუციის შესახებ. რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები ოცნებობდნენ რუსეთში მეფის თვითმპყრობელობის დამხობისა და ბატონყმური წყობილების ლიკვიდაციის საფუძველზე გლეხური რევოლუციის გზით სოციალიზმის დამყარებას. ი. ჭავჭავაძემ მთლიანად მიიღო რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ეს პროგრესული მოძღვრებები, მაგრამ, საქართველოს სინამდვილის შესაბამისად, მისგან გამორიცხა კლასების, კლასობრივი ბრძოლისა და გლეხური რევოლუციის პრობლემები, სამაგიეროდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა, დასავლეთ ევროპის განმანათლებელთა და უტოპიური სოციალიზმის მოძღვრებათა ბაზაზე საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების თავისებურებათა გათვალისწინებით შექმნა საკუთარი მსოფლმხედველობითი სისტემა, რომელიც ძირითადად ჩამოყალიბებულია საქართველოს მდიდარი და მრავალ საუკუნოვანი სულიერი ცხოვრების მიღწევების, XIX საუკუნის პროგრესული, მოწინავე რუსული კულტურის, დასავლეთ ევროპის განმანათლებელთა, უტოპიური და აგრეთვე მეცნიერული სოციალიზმის შეხედულებათა ბაზაზე, მაგრამ მისი ორიგინალობა ისაა, რომ შემოქმედებითი გააზრების შედეგად ყველაფერი მორგებულია საქართველოს სინამდვილეზე და ამ შეხედულებათა სისტემაში ზოგი რამ შეცვლილია, ზოგიც კი დამატებული. ი. ჭავჭავაძემ საკუთარ მსოფლმხედველობრივ სისტემაში ქართველი ხალხი წარმოიდგინა კლასების, კლასობრივი ბრძოლისა და გლეხური რევოლუციის გარეშე, რომელიც, როგორც მთლიანი ფენომენი, ერთნაირადაა დაინტერესებული რუსეთის სახელმწიფოში ავტონომიური ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობით.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით საქართველო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების მიხედვით არსებითად განსხვავდება დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან, კერძოდ, საქართველოში არ არსებობს კაპიტალიზმი, კლასები და კლასობრივი ბრძოლა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძე საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების ფორმას ყველგან საკუთრების ფორმის მიხედვით განსაზღვრავს და საერთოდ, კლასების და მათი ინტერესების სხვადასხვაობას საზოგადოებაში გაბატონებული საკუთრების თავისებურებებით ხსნის, მაგრამ იგი საქართველოში არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური და კლასობრივი წყობილების თაობაზე აშკარად მცდარ მოსაზრებას გამოთქვამდა. ი. ჭავჭავაძე ვერ ხედავდა და არ სურდა დაენახა, რომ საქართველოში კლასებს შორის საკუთრების თაობაზე მწვავე წინააღმდეგობებსა და ბრძოლას ჰქონდა ადგილი.

ქართველი ხალხის ერთიანობისა და საქართველოში კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის არ არსებობის შესახებ ი. ჭავჭავაძის მოსაზრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ ეპოქის უმთავრეს საკითხთან, კერძოდ, რუსეთის იმპერიაში ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან, რის შესახებ ქართველ ხალხს მართლაც ერთიანი შეხედულება ჰქონდა. ი. ჭავჭავაძე ქართველი ერის მთლიანობას რომ ამტკიცებდა და მისი ერთიანობისათვის იბრძოდა, იქიდან გამოდიოდა, რომ ყველა ქართველს ერთი აზრი გააჩნია რუსეთთან საქართველოს შეერთებით დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ შეხედულებათა ეს ერთიანობა სავსებით საკმარისია ერის მთლიანობის მტკიცებისათვის. ი. ჭავჭავაძე, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, მეთაურობს ქართველ ხალხს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში და ყურადღებით სწავლობს ეროვნულ სახელმწიფოებთან დაკავშირებულ საკითხებს, პირველყოვლისა კი ერების დამოკიდებულებას სახელმწიფოსთან.

## § 2. ქართველი ერი და სახელმწიფო

სახელმწიფოს წარმოშობამ, რომელსაც წინ უსწრებდა საზოგადოების გაჩენა, სხვადასხვა ტომები გააერთიანა. ხალხთა შორის ურთიერთობას სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ პოლიტიკური ხასიათი მიეცა. ცალკეული ქვეყნების შიგნით კი სახელმწიფოს გაჩენის შემდეგ დაიწყო ხალხების ერებად კონსოლიდაცია, ერად ჩამოყალიბებული ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვადასხვა წოდებებისაგან შედგება, მაინც ერთიანია და ერების განვითარების საბოლოო შედეგი საზოგადოებაში წოდებათა შორის სრულ ჰარმონიაში ჰპოვებს გამოხატულებას. ხალხების ერებად ჩამოყალიბება, ერისათვის დამახასიათებელი ნიშნების მომწიფება და სრულყოფა ხანგრძლივი პროცესია. ხალხების ერებად გაერთიანებას დიდად უშლიდა ხელს ფეოდალურ

საზოგადოებაში არსებული ბატონყმური ურთიერთობა მისთვის დამახასიათებელი წოდებრივი პრივილეგიებითა და უთანასწორობით, ნატურალური მეურნეობითა და ეკონომიკური კარჩაკეტილობით, ქვეყნის ტერიტორიული დაქუცმაცებულობითა და პარტიკულარიზმით.) (ბატონყმობის გაუქმებამ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად ხელი შეუწყო ხალხების ერებად ჩამოყალიბებას, ქართველი ხალხის კონსოლიდაციას.) ი. ჭავჭავაძე ხალხებსა და ერებს შორის ხედავდა განსხვავებას, მაგრამ ბურჟუაზიული მეცნიერების ზეგავლენით იგი ფიქრობდა, რომ ქართველი ხალხი ერად ფეოდალიზმის დროსაც ჩამოყალიბებული იყო, მაგრამ იმ თავისებურებით, რომ ბატონყმობის ეპოქაში ერები დაქსაქსული და განცალკევებული სახით არსებობდნენ. საქართველოში 1864 წელს განხორციელებულმა საგლეხო რეფორმამ, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, საერთოდ ფრთაშეკვეცილი ხასიათი ჰქონდა, დიდი როლი შეასრულა ქართველი ერის გაერთიანებაში. (ი. ჭავჭავაძე აფასებდა რა ბატონყმობის გაუქმებას საქართველოში, 1883 წელს წერდა: „რაც უნდა გულღრძო და ჯუღელი კაცი იყოს, მაინც ვერ იტყვის, რომ ამ სამოცოთხმოცის წლის ცხოვრების შედეგი არ იყოს ქართველთ ერის გაერთიანება, ერთობის გრძნობის გაღვიძება საქართველოს სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებთა შორის“[1].)

(ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საქართველოში, ისევე როგორც ყველგან, ერები მუდამ არ არსებობდა. ერი ისტორიული კატეგორიაა. ხალხების ერებად ჩამოყალიბება ყველგან ერთნაირად არ ხდება, ერების ჩამოყალიბების პროცესზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას, ამ ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად თანდათანობით ყალიბდება ერის ძირითადი ნიშნები. (ი. ჭავჭავაძის აზრით, ერი ესაა ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობილების ერთობისა და ერთიანი ბუნებით განსაზღვრულ სულისა და ხორცის (ფსიქიკური წყობა, კულტურა და ა. შ.) ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირი.)

ერის უპირველეს დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი, რომლის საფუძველზეც ადამიანთა ერთობა ყალიბდება განსაზღვრულ ერად, სალაპარაკო ენაა. ხალხების ერებად ჩამოყალიბება წარმოუდგენელია ერთიანი ენის არსებობის გარეშე, როცა ერთიანი ენა ქრება, ერიც, როგორც ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა, ისპობა. ამდენად, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული — ენაა“[2]. ერი თავის ძლიერებას ენაში პოულობს, ენა აკავშირებს ერთმანეთთან ერის წარმომადგენლებს, ერი თავისი საკუთარი ენის ბაზაზე ქმნის თავის თვითმყოფად კულტურას, მეტიც, „ერთობა ენისა მოასწავებს ერ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 281.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 80.

თობას კულტურისას"[1]. ამიტომაც, ყოველი სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საკუთარი ენის სწავლებას ერად ჩამოყალიბებულ ქვეშევრდომებში. ეროვნულ ენაზე სახელმწიფოს სულიერი ცხოვრების წარმართვა ერების სრულყოფილი განვითარების საწინდარია. ერის ცნების შინაარსში ენის როლისა და დანიშნულების შესახებ ცნობილი რუსი და დასავლეთ ევროპელი მეცნიერების — უშინსკის, დისტერვეგის, პესტალოცის, კომენსკის, ვესელის, რიხტერის, ბრეალის და სხვათა მოძღვრების ცალკეული დებულებების დამოწმებით, ი. ჭავჭავაძე ასკვნის, რომ ადამიანთა აღზრდა ყოველთვის ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს: „აუცილებელი ღონე და საგანი საერო სკოლისა, ადგილობრივი, ეროვნული ელემენტი არის, ესე იგი, — ის ბუნება, ის ერი, ის ყოფა-ცხოვრება, რომელიც გარს არტყია მოზარდსა და რომელთ შორისაც ბავშვი ტრიალებს და სცხოვრობს სულითა და ხორცითა დაბადების დღიდამვე"[2]. ენა წარმოადგენს ერის კულტურის, მისი ისტორიის გასაღებს, ერის მთლიანობისა და მისი მომავლის საფუძველი ენაა.

გარდა ენისა, რომელიც ახასიათებს ერს, როგორც დამოუკიდებლად არსებულ სოციალურ მოვლენას, ესაა „ისტორიის ერთობით"[3] განმტკიცებული ადამიანთა გვარტომობითი კავშირი, ანუ სხვანაირად ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ერი ესაა ისტორიულად ერთმანეთთან დაკავშირებული სულითა და ხორცით ურთიერთ მონათესავე ადამიანთა ერთობა: „ერი, როგორც კრებული ისტორიით შედეგილებული ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა"[4] ერთობაა. ი. ჭავჭავაძე ერის ამ სპეციფიკურ ნიშანს შემდეგი ორი თავისებურებით განსაზღვრავს: პირველი — ერი, როგორც გვარტომობით ანუ „ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა" ერთობა, და მეორე — ამ გვარტომობითი გაერთიანების ისტორიის ერთობა. მთელი ცხოვრება ი. ჭავჭავაძეს წარმოდგენილი აქვს, როგორც ადამიანთა მიერ სულიერი და ხორციელი მისწრაფებების დაკმაყოფილება, ამიტომაც ადამიანთა არსებობა განისაზღვრება მათი სულიერი და ხორციელი ცხოვრებით. ერად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ „ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა კრებული" ანუ სხვანაირად, ერი წარმოადგენს იმ ადამიანთა კავშირს, რომლებიც ერთნაირ სულიერ და ხორციელ ცხოვრებას ეწევა. გარდა ამისა, ისტორიის ერთობაც ასევე ერის ცნების სპეციფიკური განმსაზღვრელი თავისებურებაა: „ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულობით,

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 30.
2 იქვე, გვ. 279.
3 იქვე, გვ. 9.
4 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 97.

ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს. — მაგრამ მაინც 'რღვეულთა შორის იდუმალი შემჰვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იქექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს"[1]. ი. ჭავჭავაძე „ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა" ისტორიულ ერთობას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისის ყოფილი ცხოვრებისა"[2]. ერს ისტორია ასულდგმულებს, უისტორიო ერი განწირულია. არ შეიძლება მკვიდრად მოკიდებული ჰქონდეს ფეხი იმ ერს, რომელმაც თავისი ისტორია დაივიწყა. ასეთი ერი უბედურია, რადგან მას „რა იყო — ის დავიწყებული აქვს და, მაშასადამე, რა არის — არც ის იცის... შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა"[3].

ისტორია ის დიდებული ტაძარია, სადაც ერის გამოჩენილი და დიდბუნებოვანი ადამიანები ქადაგებდნენ, ერი, რომელიც არ ივიწყებს თავის გამოჩენილ შვილთა ანდერძს, არასდროს დაღუპება, სახელოვანი წინაპრები ერს აღაფრთოვანებს ჭირსა და ლხინში: „ერი თავის გმირების ცხოვრებითა და მაგალითებით უნდა ჰსულდგმულობდეს, თუ მართლა ერობა ჰსურს და აგრეც არის, საცა ერი ერობს"[4].

ი. ჭავჭავაძის მოსაზრება ერის, როგორც ისტორიული ერთობით შედეგილებებულ ადამიანთა გვარტომობითი კავშირის შესახებ, ფაქტიურად უპირისპირდება ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ორგანული სოციოლოგიის მიერ გავრცელებულ მოძღვრებას ერის სიბერის შესახებ. ი. ჭავჭავაძე დიდი ხნის მოძველებულსა და „ბევრთაგან გამტყუნებულს" უწოდებს ვ. დრეპერის თეორიას, რომლის მიხედვითაც ერი, როგორც სოციალური ფენომენი, გაიგივებულია ცოცხალ არსებასთან, ადამიანთან. ვ. დრეპერის თეორიის მიხედვით, ერი ადამიანის მსგავსად განიცდის ასაკობრივ ცვლილებებს, კერძოდ, ერის განვითარებაში, ადამიანის მსგავსად, შეინიშნება შემდეგი სტადიები: ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ვაჟკაცობა და სიბერე, რომელსაც მოსდევს გარდუვალი სიკვდილი. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ერის სიბერისა და მასთან დაკავშირებული ერების გარდუვალი დაღუპვის თეორიას აშკარად ეწინააღმდეგება კაცობრიობის განვითარების ისტორია. მართალია ისტორიულ ავბედობას ბევრი ერი უმსხვერპლია, მრავალი შემთხვევებია ცნო-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 9.
2 ი ქ ვ ე. გვ. 200.
3 ი ქ ვ ე. გვ. 201—202.
4 ი ქ ვ ე. გვ. 203.

ბილი დედამიწის ზურგიდან ერების აღგვისა, მაგრამ იგი ერის სიბერის შედეგი კი არ არის, არამედ იგი გამოუწვევია სხვადასხვა გარემოებებს (შინაგან საქმეთა მოუწყობლობა, გარედან სამხედრო თავდასხმა და ა. შ.). ამდენად, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, „დაბერება ერისა რომ მართალი იყოს, მაშ თავის დროზედ ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის ერნიც სიბერეს გადაჰყვებიან, დაიხოცებიან, ამოსწყდებიან“[1].

მართალია, ი. ჭავჭავაძე უარყოფს ერის შესახებ ორგანული სოციოლოგიის მოსაზრებებს, მაგრამ იგი სრულებითაც არ ნიშნავს იმის უგულებელყოფას, რომ არსებობენ ახალგაზრდა, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერები და უკვე ჩამოყალიბებული და საბოლოოდ მომწიფებული ერები. მისი აზრით, ერის მომწიფების, საბოლოოდ ჩამოყალიბებისა და ასაკში შესვლის მაჩვენებელია მისი გონებითი თვითმყოფადობა: „როცა ერი ყოველს მოვლინებას და საქმეს მის გარშემო მომხდარს, ყოველს ნახულს, გაგონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას — გონებით დააკვირდება, ღირსსახსოვარს, ავსა და კარგს, — ხსოვნისათვის აღნუსხავს, გულში ჩაირჩენს და სასწორზედ სწონის ფასის დასადებლად, — მაშინ პირდაპირ და უტყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერი გონებითად ასაკში შედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძვრია მოქმედებისათვის და ფეხი შინიდამ გარეთ გამოუდგამს კაცური ცხოვრებისათვის“[2]. გონებით ასაკში შესვლა თავის გამოხატულებას პოულობს სხვადასხვა მოვლენებისადმი მოცემული ერის დამოკიდებულებაში. ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებული სახელოვანი ადამიანების საჯარო პატივისცემა და მათი დამსახურების საზეიმო აღიარება „ცხადი მაგალითია, რომ ერის გონების თვალი ახილებულია“[3]. გონებით ასაკში შესულ ყველა ერს შესწევს უნარი ღირსეულად დააფასოს ხალხის გამოჩენილი ადამიანების ღვაწლი ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებაში, მაგალითად, იტალიაში — გარიბალდი, საფრანგეთში — ვოლტერი და ჰიუგო, გერმანიაში — შილერი და ა. შ.

ისტორიული ერთობა, როგორც ერის სპეციფიკური ნიშანი, მჭიდროდაა დაკავშირებული ერის ცნების განმსაზღვრელ ისეთ უმნიშვნელოვანეს ფენომენთან, როგორიცაა ე. წ. ისტორიული ცხოვრება. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ერის ცნების შინაარსს სპეციფიკურ თავისებურებას ანიჭებს და საერთოდ ერს აყალიბებს ისტორიული ცხოვრება. ი. ჭავჭავაძე ეხება რა ქართველთა უძველეს წარმომავლობასა და მის მტკიცე ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობილებას, წერს, რომ ერის მაცოცხლებელი ძალა და მაშასადამე, მისი ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანია ისტორიული ცხოვრება: „ჩვენ ერს ორი ათასი წელიწადი უცხოვრია

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 19.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 183.
[3] ი ქ ვ ე.

ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდგია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. რომ მართლა ესეა, ამისი საბუთი თვალწინ გვაქვს. რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორიათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, რათ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულ წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედგა. ეს ერთის მხრით, მეორეს მხრით — რა ჩამოგვარჩენდა ასე უწყალოდ სხვა ქვეყნებსა ან განათლებასა, ან გამდიდრებაში, თუ ამისთანა ქვეყნის პატრონთა ცხოვრების საძირკველში მაგარ ქვასთან ერთად უვარგისი დაფხვნილი ქვაც არ ჩაეყოლებინა ჩვენს ისტორიას"[1]. ერის ცნების ი. ჭავჭავაძისეულ განსაზღვრაში გამოსარკვეია თუ რას გულისხმობს იგი „ისტორიულ ცხოვრებაში". XIX საუკუნის მეცნიერულ ლიტერატურაში ხშირად გეხვდება ტერმინი „ისტორიული ცხოვრება". ი. ჭავჭავაძესთან ერთად ტერმინს „ისტორიულ ცხოვრებას" იყენებენ 60-იანი წლების სხვა ქართველი განმანათლებლებიც. ს. მესხი 1875 წელს წერდა: „თუ შვილებს მამებისა და წინაპრების ცხოვრება არ ეცოდინებათ, უამისოდ განა ისტორიული პროგრესი, ხალხის წარმატება შეიძლება? როგორ უნდა დაადგენ შვილები უკეთეს გზას, როგორ უნდა გაუმჯობესოს ხალხმა თავისი ისტორიული ცხოვრება, თუ არ იცის: რა გზაზე მდგარან იმის წინაპრები, შეცდომა ან ღირსება მოიპოვება იმათს საზოგადო ცხოვრებაში, რომელი ისტორიული მოვლენა ყოფილა იმათთვის სასარგებლო და რომელი მავნებელი?"[2]. XIX საუკუნის ქართველი განმანათლებლები „ისტორიული ცხოვრების" ცნების შინაარსის განმსაზღვრელ მხარეებად მიიჩნევდნენ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ა. შ. წყობილებას. ს. მესხი, ეხებოდა რა ქართველი ხალხის სამეურნეო და ეკონომიკურ ცხოვრებას, აღნიშნავდა, რომ „ისტორიულ ცხოვრებას მოუნიჭებია ჩვენთვის მეურნეობა, მეურნეობიდან უნდა მოველოდეთ ჩვენ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებასა და წარმატებას"[3]. უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის ქართველ რევოლუციონერ-განმანათლებლების ნაშრომებში „ისტორიული ცხოვრების" კატეგორიამ გამოხატულება ჰპოვა რუს რევოლუციონერ-დემოკრატების ზეგავლენით. ჩერნიშევსკი, ბელინსკი და სხვები თავიანთ კრიტიკულ წერილებში ხშირად მიუთითებენ „ისტორიულ ცხოვრებაზე", მშრომელი ხალხის „ბატონობაზე ისტორიულ ცხოვრებაში" და ა. შ. ამასთან ერთად, „ისტორიული ცხოვრების" ცნებით ისინი გამოხატავენ მოცემული საზოგადოების მატერიალურ და

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 202.
2 გაზ. „დროება", 1875, № 50.
3 გაზ. „დროება", 1878, № 207.

სულიერ ცხოვრებას, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ა. შ. ცხოვრებას[1].

ი. ჭავჭავაძე ერის განსაზღვრისას იყენებს XIX ს. რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ „ისტორიული ცხოვრების" ცნებას და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუთითებს, რომ ერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან „ისტორიული ცხოვრების ერთობით", ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, მატერიალური და სულიერი, ე. ი. ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ა. შ. ცხოვრების ერთიანობის მიხედვით.

ეკონომიკური ცხოვრება, როგორც ერის განმსაზღვრელი ნიშანი, გულისხმობს მიწათმოქმედების, ვაჭრობის, საფაბრიკო-საქარხნო ხელთმოქმედების და ა. შ. ერთიანობას. ეკონომიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედებას, კერძოდ, მიწა და გუთანი ი. ჭავჭავაძის აზრით, არის ერის ბურჯი, სიკეთე და სიმდიდრე: „რომელს ერსაც ეს ორი საგანი ხელთ შერჩენია, იმას თავი იმოდენად კიდევ შეუნახავს, რომ შეუძლიან თავმოწონებით სთქვას: მე ერი ვარ და მკვიდრი ბინა მაქვს სადღეისოდაც და სამერმისოდაც. სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი, ვერც ერის ვინაობას დაედება საძირკველად, და ვერც ერთი ჯიშის, ერთის სისხლისა და ხორცის ადამიანთ თავს ერთად მოუყრის და ვერც ერად შეჰქმნის"[2]. ერის არსებობას განაპირობებს მიწა, მაგრამ ისტორია ცხადყოფს, რომ იქ, სადაც მიწა „ყოველს მკვიდრს მცხოვრებსა შეძლებისამებრ მორიგებული" არა აქვს, ასეთი ერი ისპობა. რაც შეეხება ეკონომიკური ცხოვრების ისეთ დარგს, როგორიც ვაჭრობაა, ერის თვითმყოფადობისათვის მას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, ვაჭრობა ერის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების გადამწყვეტი მნიშვნელობის მომენტი არ არის: „ვაჭრობა არც ერის სიმდიდრის გაძლიერებაში არის თვითმოქმედი მონაწილე, მაშასადამე, იგი, როგორც საპოლიტიკო. ისეც საეკონომიო საქმეებში, მუდამ სხვის მაყურებელია, სხვის პირში მაცქერალი"[3].

ამრიგად, ეკონომიკური წყობის ერთიანობა ერის განმსაზღვრელი ნიშანია, ეკონომიკური წყობა გულისხმობს ერის სამეურნეო საქმიანობის მრავალ დარგს, მაგრამ მათ შორის ერის თვითმყოფადობისათვის მთავარია მიწა: „ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უჭირავ. თავდაპირველი შემომქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც. რადგანაც ისტორიას და ჩვენთა მამა-პაპათა მსჯელობას და თავგანწირვას ეს ორი ძვირფასი განძი ჩვენთვის შეურჩენია, რად-

---

1 იხ. «Очерки по истории философской и общественно-политической мысли народов СССР», в двух томах, т. II. М., 1956, стр. 63.

2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 174.

3 იქვე, გვ. 175.

განაც საპოლიტიკო და საეკონომიო ყოფა-ცხოვრება ამ ორის საგნით სულდგმულობს"[1].

„ეკონომიკური წყობა, რომლის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი მიწაა. ერის განმსაზღვრელი ნიშანია, მაგრამ მიწისაგან ი. ჯავჯავაძე ანსხვავებს ტერიტორიას, მის ერთიანობას, როგორც ერის ერთ-ერთ დამახასიათებელ მოვლენას. მიწა და გუთანი, ე. ი. მიწათმოქმედება თითოეული ერის „მეობის" განმსაზღვრელია, მაგრამ ტერიტორია, ანუ როგორც მას ი. ჯავჯავაძე უწოდებს „მამული უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა, რომელიც ერის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია.) ი. ჯავჯავაძის მტკიცებით, ერისათვის ძვირფასია ტერიტორია ანუ „მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ერცელია და ფართო. აქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულობა — ეგ ჭირთაჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა — მთელის ხალხისა და მთელს ხალხს თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხინითა ლხინობს, დღეობითა და დიდებით — დღესასწაულობს. აქ მაგ სიტყვაში ყოველია, და ყოველში ყველა არის"[2]. ერის ტერიტორიული ერთობა ნიშნავს ერთი ერის ადამიანთა განსაზღვრულ ტერიტორიაზე, მამულში ცხოვრებას. მაგალითად, ქართველები ცხოვრობენ ტერიტორიაზე, მამულზე, რომელიც მღებარეობს „შავი ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე". „მამული ანუ ტერიტორია „მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია", იგი აკავშირებს ერს ერთიან ორგანიზმად „მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნელს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში — ფრანციელი. უცხოსათვის ერთი იმათგანია, საცა ყველანი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი ძალა — ჩემი ხალხის ძალაა, ჩემი სიკეთე — ჩემი ხალხის სიკეთეაო, რომ ჩემი სისხლი ყოველს ფრანციელთან ერთად დულსო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების ძარღვი ჩემი ცხოვრების ძარღვიაო, და თუ გინდაო, ყოვლის ფრანციელის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობო. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოსაგან — ჩემი ხალხის წყენაა, და ჩემი ხალხის წყენა — ჩემი საკუთარი წყენაა"[3].

ერი ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთო-

---

1 ი. ჯავჯავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 176.
2 ი. ჯავჯავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 77.
3 იქვე, გვ. 75—76.

ბისაგან წარმომდგარი მთლიანი ორგანიზმია, სანამ ერი მთლიანი და ერთიანია, იგი უძლეველია, როცა ერში იწყება „განთვითეულებულობა", იგი გარდუვალი დაღუპვის წინაშე დგას. იქ, სადაც საზოგადოება ურთიერთდაპირისპირებულ წოდებებადაა დანაწევრებული, სადაც გაბატონებულია ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღლისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, ადამიანთა ასეთ ერთობას ერი არ ჰქვია. მხოლოდ ის ერია უძლეველი, მხოლოდ იმ ერს გადაუტანია გმირულად განსაცდელი. „რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია. ვერც ერთი ცალკე წოდება ერისა ვერ დაიქადებს, რომ თუ მე კარგადა ვარ, სხვანიც კარგად იქნებიანო... ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე"[1]. ერის მთავარი საზრუნავია მამულის მთლიანობა, ე. ი. ყველა წოდების ერთიანი ინტერესების საფუძველზე ერის გაერთიანება, კერძოდ, წოდებები ერთმანეთს „გამოურჩევლად, გამოუკლებლად, მოზიარე ექმნას ჭირსა და ლხინში და თავისი ქონებრივი და გონებრივი ღონე არ შეალიოს ამაო ცდას, რომ ცალკე ვიყო და ვბედნიერებდეო"[2].

ნ. ჭავჭავაძის აზრით, ზემოაღნიშნული თავისებურებანი საკმარისი არაა ერის დასახასიათებლად. ერის ცნების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშანს წარმოადგენს აგრეთვე ერთიანი ფსიქიკური წყობა: „ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება"[3]. ერის ფსიქიკური წყობა მეტისმეტად ფაქიზი მოვლენაა და ამიტომ განსხვავებით სხვა ნიშნებისაგან, ერის ფსიქიკურ წყობაზე ხელის ხლება საშიშია: „ადამიანსა ცალკედ და ერს საერთოდ, რაც უნდა უკან დაწეული იყოს. ვიდრე პირში სული უდგას, ჯიგართან იმისთანა ძაფები აქვს სხვათა შორის, რომელთ ხელის ხლებაც მეტად საფრთხილოა და საშიშარი. შინაურია, თუ გარეული, უნდა ერიდოს მაგ ძაფების წარამარად ხელის ხლებას"[4].

ერების ჩამოყალიბება უძველეს დროში დაიწყო, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით, ერების განვითარების ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო ბატონყმობის გაუქმებით. მართალია, საგლეხო რეფორმას ფრთაშეკვეცილი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ბატონყმო-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 313—314.
2 იქვე, გვ. 313.
3 იქვე, გვ. 97.
4 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 175.

ბის გაუქმებამ, რომელმაც შეარყია მეურნეობის ფეოდალური სისტემა, მოსპო ფეოდალური დაქუცმაცებულობა და ქვეყნის სხვადასხვა მხარეებს შორის სამეურნეო კონტაქტების დამყარებასთან ერთად ხელი შეუწყო ხალხთა შიგნით სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული კავშირების ჩამოყალიბებას, ეროვნული გრძნობების გამოღვიძებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი ეტაპის დაწყებას, ეროვნული სახელმწიფოების შექმნას. ადამიანთა ბუნებასთან შეუთავსებელი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის აღმოფხვრის მხრივ, საგლეხო რეფორმამ შეარბილა სოციალური ჩაგვრა, ყმა-გლეხი ადამიანად აღიარა და განსაზღვრა ნაბატონრებსა და ყოფილ ყმა-გლეხებს შორის უფლება-მოვალეობები, მაგრამ დიდი და ძლიერი ერების მიერ პატარა და სუსტი ერების ჩაგვრა ძალაში დატოვა, მეტიც, ეროვნული ჩაგვრა უფრო ორგანიზებული, უფრო საშიში გახდა, რამდენადაც ერების გამოღვიძებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად დიდი და ძლიერი ერები სრულყოფენ სახელმწიფოს და მის ძალას იყენებენ ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ. ამდენად, ერი და ეროვნული საკითხი მჭიდროდ დაუკავშირდა სახელმწიფოს. ი. ჭავჭავაძე ცდილობს გაარკვიოს ერებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულება, მრავალეროვნულ სახელმწიფოებში ერების პოლიტიკური ორგანიზაცია და ამასთან დაკავშირებით განსაზღვროს რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის ეროვნულ სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემები.

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით, ერი არის ისტორიის ერთობით განმტკიცებული ადამიანთა გვარ-ტომობითი კავშირი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საკუთარი სალაპარაკო ენა და ისტორიული ცხოვრების (ტერიტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ფსიქიკური და ა. შ.) ერთიანობა[1]. ერის სრულყოფილება განვითარებული სახელმწიფოებრიობით განისაზღვრება. ერისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებათა მიხედვით ი. ჭავჭავაძე იკვლევს ქართველთა მრავალსაუკუნოვან ისტორიას, მის მდიდარ მატერიალურ და სულიერ ცხოვრებას და განსაზღვრავს ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად მიმართულებებს.

პირველყოვლისა, ი. ჭავჭავაძე ეხება ერის ისეთ უმთავრეს დამახასიათებელ ნიშანს, როგორიც ენაა. 1883 წელს ი. ჭავჭავაძე წერდა, რომ საკმაოდ დიდი ხანი გავიდა ბატონყმობის გაუქმებიდან, მაგრამ ერის ისეთი შემაკავშირებელი ფენომენი, როგორიც ქართული ენაა, ჯერ კიდევ იდეენება, მეტიც, საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ უმ-

[1] ილია ჭავჭავაძის განსაზღვრებანი ერისა, როგორც გვაროვნული და ტომობრივი კავშირისა, და ერისთვის დამახასიათებელი ცალკეული ნიშნების შინაარსისა, არსებითად უპირისპირდება ერის მარქსისტულ გაგებას და ემყარება დასავლეთ ევროპაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ეპოქაში ჩამოყალიბებულ მოწინავე ბურჟუაზიულ მოძღვრებას.

ნიშენელოვანეს დარგებში, როგორიცაა მართლმსაჯულება, მღვდელთ-მსახურება, სახალხო განათლება და ა. შ., იგი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ დამკვიდრდა: „ოცი წელიწადი გადის, რაც ქართულის ენის (უფლებას) იცავს ჩვენი უღონო აზრი და გონება, იცავს ძლიერად და თავგანწირულად და აქნობამდე არამც თუ სასამართლო უწყებაში (და საერთოდ საზოგადოებრივ საქმეებში), არამედ თვით პირველდაწყებით სკოლაში და, ასე გასინჯეთ, სასულიერო უწყებაშიაც კი ვერ დამკვიდრებულა რიგიანად“[1].

ი. ჭავჭავაძე ნაშრომში — „აი ისტორია“ — საგანგებოდ იკვლევს ქართულ ენას და მიუთითებს, რომ იგი ისევე უძველესია, როგორც ქართველი ხალხი, რომელიც განუყრელად ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში, ამიტომაც ქართველ ხალხს თავისი საკუთარი ენის გარეშე არსებობა არ შეუძლია. ი. ჯაბადარის ეროვნულ-ნიჰილისტურ სტატიას — „წერილები საქართველოს შესახებ“, როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძემ უპასუხა ნაშრომით — „აი ისტორია“, რომელშიც იმდროინდელი მეცნიერების განვითარების დონის (კლაპროტი, შრადერი, ტეილორი, გატერიანი და ა. შ.) მიხედვით იგი იკვლევს ქართული ენის წარმოშობა-განვითარებას, იცავს მას ი. ჯაბადარის დამცირება-დაკნინებისაგან. ი. ჯაბადარი ეხებოდა რა ქართულ ენას, ცდილობდა მის დამცირებას სხვა ენებთან შედარებით. კერძოდ, იგი მიუთითებდა, რომ ქართული ენა ფლექსიური ენაა და თანამედროვე ქართული ისე უმნიშენელოდ განსხვავებულია ძველი ქართულისაგან, რომ შუა საუკუნეთა ქართული თხზულებების კითხვა და გაგება დღევანდელ ქართველს არ უჭირსო. აქედან ი. ჯაბადარი აკეთებდა დასკვნას, რომ ქართული ენა ნელი ტემპით ვითარდება და არქაულ ენებთან ახლოს დგასო. ამასთან ერთად, ი. ჯაბადარი აღნიშნავდა, რომ ენა საერთოდ ერის ისტორიის კვლევის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, მაგრამ განუვითარებელი ქართული ენა ქართველი ერის ისტორიის შესწავლის საშუალებას არ გვაძლევსო. ი. ჭავჭავაძე იცავს ქართული ენის ისტორიას ი. ჯაბადარის თავდასხმებისაგან სხვა ენების მაგალითზე და მიუთითებს, რომ არ შეიძლება რომელიმე ენის განუვითარებლობის საბუთად გამოდგეს ის გარემოება, რომ უძველეს თხზულებებს თანამედროვენი ადვილად კითხულობენ და გებულობენ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ „იტალიელნი დანტეს (+ 1321 წ.), ტორკვატო ტასსოს (+ 1595 წ.) დღეს ადვილად ჰკითხულობენ და ადვილად იგებენ წაკითხულსა და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ მას აქეთ იტალიური ენა ძალიან ცოტად წინ წასულა და განვითარებულა“[2].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 281.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 76.

აკრიტიკებს რა ი. ჯაბადარს, ი. ჭავჭავაძეს საეჭვოდ არ მიაჩნია ს. ბარათოვისა და სხვა ისტორიკოსთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართველებს ანბანი ქრისტიანობამდე გააჩნდათ, ყოველ შემთხვევისათვის ძვ. წ. III საუკუნეში მეფე ფარნავაზის დროს. გარდა ამისა, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ი. ჯაბადარი კარგად იცნობს გამოჩენილი მეცნიერის უსლარის აზრს ქართული ენის შესახებ, კერძოდ, უსლარს მოსწონს ქართული ანბანი, რადგან იგი გამოირჩევა ბევრ სხვა ანბანთან შედარებით დახვეწილობითა და სრულყოფით, მაგრამ აქედან, — შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, — ი. ჯაბადარი აკეთებს დასკვნას, რომელიც უსლარის აზრის საწინააღმდეგოდ ამცირებს ქართულ ენას, სახელდობრ, ი. ჯაბადარი წერს, რომ უსლარის მიერ მითითებულმა გარემოებამ განაპირობა ქართული ენის ნელი, დაყოვნებული განვითარება, მეტიც, სხვა ენების მსგავსად, ქართული ენა რომ სწრაფად განვითარებულიყო, მასში გამოვლინდებოდა მთელი რიგი ახალი თავისებურებანი, მაგალითად, რთული ხმოვნები. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ქართულ ენას სრულებითაც არ სჭირდება ე. წ. „რთული ხმოვნები", უსლარს კარგად შეუნიშნავს ჩვენი ენის ღირსება, კერძოდ, როცა „ჩაჰკვირვებია ჩვენს ანბანს, დაუნახავს, რომ არ არის არც ერთი იმისთანა ასო, რომ რა ხმის ნიშანიც არის, ის არ გამოითქმებოდეს; არ არის ქართულში არც ერთი იმისთანა სიტყვა, რომ ზედმიწევნით, უმეტ-ნაკლებობით გამოსათქმელად შესაფერისი ასო არა ჰქონდესო. ამიტომ მართლწერა ქართულისა ისე გაადვილებულია, ისე განმარტივებული, რომ სხვა ეგეთი ანბან-სრული ენა ქვეყანაზედ არ მეგულებაო. სავსეობა და სისრულე ანბანისაც ამაშია და სხვა არარაში... არაო, — გვეუბნება ჩვენი ავ-გუნებიანი ავტორი, — რატომ „რთული ხმოვანი" ასოები არა გაქვთო. გაგონილა! თუ ენას არ ესაჭიროება, რად უნდა ტყუილ-უბრალოდ ის რაღაც „რთული ხმოვნებია"!.. თუ ასეა, ეს რა თავში საცემია ქართული ენისათვის, რომელსაც იმდენი და ისეთი ხმოვანი ასოები აქვს ანბანში, რამდენიც და როგორიც საჭიროა მისთვის"[1]. ანბანის მეტნაკლებობას, ი. ჭავჭავაძის აზრით არავითარი კავშირი არა აქვს ენის განვითარებასთან და ი. ჯაბადარის მითითება იმის შესახებ, რომ ქართულში ე. წ. რთული ხმოვნები რომ არ არსებობს, თითქოს ენის განუვითარებლობის მაუწყებელია, საბუთად არ გამოდგება. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ენა, როგორც სრულყოფილი და დახვეწილი, რა თქმა უნდა, ნელა იცვლება, სწრაფად იცვლება მხოლოდ „ჯერ არ-დადუღებული, არ-დასრულებული, არ-დამთავრებული ენა, როგორც ყველაფერი, რაც-კი ორგანებულ ზრდას ექვემდებარება"[2]. აქედან გამომდინარე, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, სრუ-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 82.
[2] ი ქ ვ ე ე, გვ. 85.

ლიად უსაფუძვლოა ი. ჯაბადარის საყვედური იმის შესახებ, რომ ქართული ენა რომ სწრაფად განვითარებულიყო, ახალსა და განსაკუთრებულ თვისებებს შეიძენდაო. საქმე ისაა, რომ ქართული ენა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და მან მიიღო ისეთი სრულყოფილი ფორმა, რომელშიც მხოლოდ განვითარებული ენებისათვის დამახასიათებელი ფენომენალური თვისებები ვლინდება.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ენა არა მარტო ერის განმსაზღვრელი ნიშანია, არამედ იგი დამახასიათებელია -სახელმწიფოსათვისაც: „რაკი ერს თავისი სახელმწიფო აქვს, თავისი ენაც ექნება ყოველგვარ საქმეთათვის“[1]. ი. ჭავჭავაძის ეს მოსაზრება მიმართულია ი. ჯაბადარის ამ მტკიცების წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც თურმე ქრისტეს მოქცევამდე ქართველებს საკუთარი ენაც კი არ ჰქონიათ სახელმწიფო საქმეების საწარმოებლად და სპარსულ ენას იყენებდნენ. ი. ჭავჭავაძე ილაშქრებს ი. ჯაბადარის ამ მტკიცების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს ქართველი ერისა და მისი სახელმწიფოებრიობის დამცირებას. ქართველებს, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, რვაასი-ცხრაასი წლის წინათ ფარნავაზის მეფობამდე, როცა სპარსელების ხსენებაც არ იყო, „თავიანთი სამეფონი, სამთავრონი, თუ სამამასახლისონი ჰქონიათ“[2] და ქართულ ენაზე წარმართავდნენ სახელმწიფო საქმეებს. ი. ჭავჭავაძე აგრეთვე ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ ქართული ენის დამცირებასთან ერთად, ი. ჯაბადარი აშკარად უმალავს მკითხველებს მის მიერ რუსულ ენაზე პეტერბურგში გამოქვეყნებულ ნაშრომში იმ ფაქტს, რომ ჩვენამდე მოღწეულია მეხუთე საუკუნის ქართული ნაწერები, რომლებიც ისე მაღალ დონეზეა შესრულებული, რომ დამწერლობა ქართველებს გაცილებით ადრე უნდა ჰქონებოდათ და ამტკიცებს თითქოს ჩვენამდე მხოლოდ ქართულ ენაზე შესრულებულმა მეცხრე საუკუნის ნაწერებმა მოაღწიესო. უძველესი ქართული კულტურის მიღწევებმა განაპირობა მეთორმეტე საუკუნეში ჰუმანისტური აზრის მძლავრი აღმავლობა, მაგრამ შემდეგში, ჟამთა სიავის გამო, ქართველი ერი დაიქსაქსა, „განთვითეულდა“, ერთიანი მამულის ნაცვლად პატარ-პატარა „მამულები“ შეიქმნა და ბოლოს მტერთაგან დაუძლურებულმა საქართველომ თავისი შემდგომი ბედი რუსეთის სახელმწიფოს მიანდო. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველ ხალხს მეცნიერებისა და ცოდნის შეძენის უფრო მეტი იმედი ჰქონდა, რადგან „საქართველო ახლა ცოტად თუ ბევრად დამშვიდდა, მაგრამ ამ დამშვიდებას არ მოჰყვა ის ნაყოფი სწავლისა და განათლებისა, რომელიც უნდა მოჰყოლოდა“[3].

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 94.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 93—99.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 321.

ქართველი ხალხის ერთიანობის აღდგენა არ მოჰყოლია რუსეთთან საქართველოს შეერთებას, რადგან ენა დაგვიკოჭლდა და დაგვიმუნჯდა. მშობლიური ენის განვითარებისათვის კი საჭიროა, რომ მხოლოდ ამ ენაზე ლაპარაკობდეს ძირითადად ერი: „ენას პირში ტოკვა უნდა“[1]. მეფის მთავრობის მიერ ქართული ენის იგნორირებამ ის გამოიწვია, რომ ახლა იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი და სხვანი „კერძოობითად მიღებული, განმაყოფელი სახელებია... აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაგიჭირდა, იქნება კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი ქართველები არ არიანო“[2].

ზემოაღნიშნულის უმთავრეს მიზეზად ი. ჭავჭავაძე იმას ასახელებს, რომ ქართველ ხალხს არა აქვს შესაძლებლობა ადგილობრივი პირობებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად თვითონ განსაზღვროს სწავლა-განათლების ძირითადი მიმართულებანი და ახალგაზრდობის სასკოლო აღზრდას რუსეთის კანონმდებლობით წყვეტსა და ხელმძღვანელობს. საქართველოში სწავლა-განათლება რომ ვერ დგას სასურველ დონეზე, ამის „მიზეზი ის არის, რომ დროთა ბრუნვამ სხვის მაყურებლად გაგვხადა, სხვაზედ იმედს შეგვაჩვია და ამაებმა სრულიად წარწყმიდეს ჩვენში ის თვითმოქმედების ძალ-ღონე, რომელიც უწინ იყო, და რომელიც, თუკი სადმე არის, ყველგან ხალხის ბედნიერების სათაურია და საფუძველიც“[3].

ი. ჭავჭავაძეს დანაშაულად მიაჩნია ერისათვის მშობლიური ენის სწავლებაზე უარისთქმა და მოჰყავს ცნობილი პედაგოგი-მეცნიერების — უშინსკის, პესტალოცის, დისტერვეგის, ვესსელის და სხვათა შეხედულებანი იმის შესახებ, რომ დედა-ენაზე სწავლების გარეშე შეუძლებელია ახალგაზრდის გონების მომწიფება. თავის სტატიაში „ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო“, რომელიც გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა 1881 წელს, ი. ჭავჭავაძე წერს: „ყველამ, დიდმა და პატარამ შეიტყოს და გაიგოს, რა ღონეა დედა-ენა სკოლისათვის საერთოდ და საეროსათვის საკუთრივ. ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით და უკან-დაუხევლად ვთხოულობთ დედა-ენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, — ეგ, მარტო დედა-ენის სიყვარულით არ მოგედის. ვთხოულობთ და ვნატრულობთ იმიტომაც, რომ უდედა-ენოდ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია“[4].

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 75.
2 იქვე.
3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 322.
4 იქვე, გვ. 277—278.

ი. ჭავჭავაძეს დაუშვებლად მიაჩნია ადგილობრივი ენების დევნა რუსი მოხელეების მიერ, რომლებმაც კარგად იციან, რომ ენა ეროვნების არსებითი ნიშანია და რუსი მოხელეების ტლანქი ხელი სწორედ ენას მისწვდა. რუს მოხელეებს, რომლებიც ადგილობრივი ენების წინააღმდეგ იბრძვიან, მოჰყავთ გაცვეთილი დებულება იმის შესახებ, თითქოს სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია იქ, სადაც ყველანი ერთსა და იმავე სახელმწიფო ენაზე არ ლაპარაკობენ. ი. ჭავჭავაძე გაბედულად ილაშქრებს ამ რეაქციული მოსაზრების წინააღმდეგ. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ იყო დრო, როცა ამგვარ მოსაზრებას ანვითარებდნენ სარწმუნოების, რჯულის შესახებ. კერძოდ, მიუთითებდნენ, რომ სახელმწიფოს ერთიანობის იდეას ეწინააღმდეგება რჯულის სხვადასხვაობა, ერი სახელმწიფოში შეუძლებელია ღმერთს ადიდებდეს სხვადასხვა წესით. ამ მოსაზრების უსაფუძვლობა ისტორიამ უკვე დაამტკიცა, დღეს უკვე გაბატონებულია ის აზრი, რომ სარწმუნოების სხვადასხვაობა სრულებითაც არ უშლის ხელს სახელმწიფოს ერთიანობას. მართალია, დღეს გაბატონებულს წარმოადგენს აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს ერთიანობა ენის ერთიანობასაც უნდა ნიშნავდეს, მაგრამ დადგება დრო, აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე, და ენის შესახებაც იმასვე იტყვიან, რასაც დღეს სარწმუნოების შესახებ ამბობენ: „მოვა დრო, როცა უმეცარნი და ძალადმაცხონე მოხელეებიც კი დაინახავენ, რომ ჩეხს შეუძლიან თავისი სკოლა, თავისი შინაური საქმეები თავისის დედაენის შემწეობით მოაწყოს და ავსტრიის იმპერიის ერთობა ამითი არამც თუ შეირყეს, უფრო გაძლიერდეს და განმტკიცდეს"[1]. რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში, — მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, — მეფის თვითმპყრობელობის მოხელეებისაგან დევნილი აზრი თანდათან გზას იკვლევს და გაბატონებული ხდება. ი. ჭავჭავაძე ამ მხრივ დადებითად აფასებს პროგრესულად მოაზროვნე ცნობილი რუსი იურისტის სპასოვიჩის სიტყვას, რომელიც მან 1881 წლის 2 თებერვალს წარმოთქვა იურიდიულ საზოგადოებაში. სპასოვიჩის სიტყვაში ხაზგასმით იყო აღნიშნული ის, რომ ყველგან სამართალწარმოება იმ ენაზე უნდა იყოს, რომელზეც ერი ლაპარაკობს, სახელმწიფო კი, როგორც ერთიანი პოლიტიკური დაწესებულება, მხოლოდ წესრიგს უნდა ამყარებდეს საზოგადოებაში, რათა სხვადასხვა ენებმა ერთმანეთს არ შეუშალონ ხელი. სახელმწიფო მოხელემ, რომელმაც არ იცის ადგილობრივი ენა, უნდა ისწავლოს იგი, ეს უფრო ადვილია, ვიდრე მთელმა ერმა ერთი მოხელის გულისათვის დაივიწყოს თავისი დედაენა და უცხო ენა ისწავლოს. მოხელეებმა იმ სახელმწიფოს უპირატესობა, რომელსაც ისინი ემსახურებიან, უნდა დაამტკიცონ თავიანთი კულტურითა და უკეთესი მმართველობით, ასეთ შემთხვევაში ამ მოხელეთა ხელისუფლებას და იმ

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 81.

სახელმწიფოს ენას, რომლის წარმომადგენლებიც ისინი არიან. ვერც ერთი ენა წინ ვერ აღუდგება, მაგალითად, რომის სამართალმა და ნაპოლეონის კოდექსმა, როგორც უდიდესმა პროგრესულმა მოვლენებმა, ერებზე ისე განავრცო თავისი ზეგავლენა, რომ ამ ერებისათვის ენა არ ამოუგლეჯია პირიდან.

ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს მეფის თვითმპყრობელობას, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობს ქართული ენის საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდევნისათვის. იგი შენიშნავს, რომ მეფის მთავრობამ XIX საუკუნის 60-იან წლებში განახორციელა მთელი რიგი რეფორმა, მაგრამ მათ ქართველი ხალხის მძიმე მდგომარეობა არ შეუმსუბუქებია. ქართველი ხალხი, მისი აზრი და გონება მტკიცედ იცავს მშობლიურ ენას და მოითხოვს მის ფართოდ გამოყენებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ამაოდ, ი. ჭავჭავაძე შენიშნავს: „ეს გარემოება მიგვაჩნია ჩვენ მიზეზად, რომ ასე შეფერხებით მიდის ჩვენის (ხალხის განათლება) და პირველდაწყებითი სკოლის საქმე. ამ გარემოების ბრალია, რომ ჩვენ ვეღარა მოგვიხერხებია-რა წერა-კითხვას მაინც ვავრცელებდეთ ხალხში"[1]. განათლება კი ი. ჭავჭავაძეს, როგორც დიდ განმანათლებელ უტოპისტ-სოციალისტს, მიაჩნია საზოგადოებაში არსებული სოციალური უბედურებების აღმოფხვრის უმთავრეს იარაღად: „უმეცრებაა ჩვენი საშიშარი მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა — აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას"[2]. ქართული ენის დევნამ ჩამოაქვეითა ერის სწავლა-განათლება, შეუძლებელი ხდება წერა-კითხვის გავრცელება ხალხში, რომელიც ერის განათლებულ ნაწილს თანდათან შორდება, ამ უკანასკნელის არც იმედი აქვს და არც არაფერი ესმის. ამაში დამნაშავე ისევ ჩვენა ვართ, რადგან ჩვენ ვერ შევძელით ვერც სახალხო სკოლებისა და ვერც ტექნიკური და სახელოსნო სასწავლებლების გახსნა, სადაც ქართულ ენაზე იქნება სწავლა. რაც შეეხება სამღვდელოებას, მისი წარმომადგენლები სასულიერო სემინარიებში ძირითადად რუსულად სწავლობენ, ქართულს კი ისე „ასწავლიან, რომ არ-სწავლება სჯობიან"[3]. ქართული ენის შენარჩუნებისათვის ბრძოლა ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად თავდაპირველად სწორედ სწავლა-განათლების საქმის ორგანიზაციით უნდა დაიწყოს. ი. ჭავჭავაძე 1877 წელს წერდა: „გვეყო, ბატონებო, ჩვენის აწმყოსი და მომავლის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს ღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 281.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 340.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 109.

უმაგისოდ ვერ შოებულა ამ ქვეყნიერობაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ. ჯერ თუნდა აქიდამ დავიწყოთ, რომ ჩვენს შვილებს სწავლისა, განათლებისა და ერთობ კაცად ქცევის გზა მივსცეთ იმოდენად ფართო, რამოდენადაც შესაძლო იქნება"[1]. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სასკოლო დაწესებულებების ქსელი მეტისმეტად მეჩხერია, სკოლები უმთავრესად დიდ ქალაქებშია ჩამოყალიბებული და ამის გამო მის კედლებში ძირითადად მდიდართა შვილები სწავლობენ. განათლების ფართოდ გავრცელებას დიდად აფერხებს მისი წოდებრივი ხასიათი, მთავრობამ, მართალია, აღიარა, რომ განათლების საქმეში წოდებრივ განკერძოებულობას სასურველი შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს, მაგრამ ფართო მასები სწავლა-განათლების შესაძლებლობას მაინც მოკლებულია.

ი. ჭავჭავაძე 1893 წელს გაზ. „ივერიაში" აქვეყნებს წერილს სათაურით: „სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებელი. წოდებრიობის წინააღმდეგ განათლების საქმეში". ამ წერილში აღძრული საკითხი გაგრძელებაა იმისა, რაც მან იმავე გაზ. „ივერიაში" 1879 წლის იანვარში გამოაქვეყნა. ესაა სწავლა-განათლების საქმეში წოდებრიობის საკითხი. ი. ჭავჭავაძე მკაცრად გმობს წოდებრიობას განათლების საქმეში, რითაც მეფის მთავრობა ხელმძღვანელობდა. იგი, როგორც თავისი დროის განმანათლებელი, დაუშვებლად თვლის სწავლა-განათლების ორგანიზაციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად წოდებრიობის მიჩნევას, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მთავრობა განათლების მიღებას საზოგადოების პრივილეგიური ნაწილის უფლებად აცხადებს. დიდი ხნის განმავლობაში, — აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე, — მთავრობა მხოლოდ საშუალო სასწავლებლებზე ამყარებდა განათლების იმედებს, მაგრამ საშუალო სასწავლებელი მისაწვდომია მხოლოდ საზოგადოების მდიდარი ნაწილისათვის (თავადაზნაურობა და ქალაქის ვაჭრები). ასეთ ვითარებაში „მთავრობის მზრუნველობა განათლების შესახებ დღეს — აქამომდე მარტო წოდებათა (сословный) განათლების მზრუნველობას მოასწავებდა და სხვას არასფერს. სხვა დანარჩენი, ფრიად დიდძალი ხალხი კი, რომელიც ქვეყნის ჰეშმარიტ ღონეს შეადგენს, ამ მზრუნველობიდამ გამოკლებული იყო"[2]. ამ უკანასკნელ პერიოდში, — მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, — ფართოდ გავრცელდა აზრი იმის შესახებ, რომ მთავრობის მხრივ მარტო ერთი წოდებისათვის განსაკუთრებული ზრუნვა დიდი შეცდომაა, რადგან „სწავლა და განათლება უფესვოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა"[3]. სწავ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 323.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 20.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 21.

ლა-განათლების საქმეში წოდებრიობის მოსასპობად თვითონ ხალხის ინიციატივით, მისი „თვითმოქმედებით“ დაიწყო სახალხო სკოლების გახსნა, რამაც უნდა უზრუნველყოს უცოდინარობის აღმოფხვრა ქართველ ხალხში. ამ საკითხს ი. ჭავჭავაძე ისევ უბრუნდება რამდენიმე წლის შემდეგ იმასთან დაკავშირებით, რომ მეფის რუსეთის განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ახალი პროექტი, რომლითაც ქალთა გიმნაზიებში მიღების უფლება მხოლოდ უმაღლესი წოდების წარმომადგენლებს უნდა მინიჭებოდა. ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს ამ პროექტს და მიუთითებს, რომ მის „შემდგენელს დავიწყებია, რომ ასეთი განკერძოება წოდებათა, ასეთი განცალკევება ერთის ქვეყნის შვილთა, რომელთა ცხოვრება, ინტერესები, გრძნობა, აზრი და მისწრაფება ურიცხვის სიმით არის გადაბმული და გადახლართული დანაშთენთან, შეცდომაა. ეს შეცდომა დაჰგმო ძველ ერთა ისტორიამ და დაამტკიცა, რომ მხოლოდ ყველა წოდების კავშირი გაუძლებს განათლების და ხალხის დაწინაურების დამბარკოლებელს მიზეზებს“[1].

სწავლა-განათლების საქმეში წოდებრივი განკერძოებულობა ხელს უშლის ახალგაზრდობის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდას. შეუძლებელია მოქალაქეების აღზრდა ეროვნული ღირსებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების გარეშე. ი. ჭავჭავაძე მთლიანად იზიარებს შეხედულებას იმის შესახებ, რომ მშობლიურ ენაზე აღზრდა ახალგაზრდას უღვიძებს კეთილშობილურ ეროვნულ გრძნობებს, თავისი ერის სიყვარულს: „ეროვნებაზედ დამყარებული ბავშვის აღზრდა ყოველთვის იპოვის პასუხს და შემწეობას მაგ ცოცხალს და ძლიერს სიყვარულში, რომელიც უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე რწმენა, მარტო ჭკუით მიღებული, ანუ ზნე, დასჯის შიშით ჩანერგული“[2]. სასწავლებლებში ახალგაზრდობის აღზრდა ქართულ ენაზე ეროვნული ღირსების საქმეა, ამიტომ ახალგაზრდობის ღირსეულად აღზრდის ერთ-ერთ მთავარ „სახსრად და საგნად ცნობილია იმ ადგილის, ქვეყნის, ერის შესწავლა და ცოდნა, რომელთაც ბავშვი ეკუთვნის დაბადებით და ცხოვრებით“[3]. სკოლა არა მარტო მეცნიერებას უნდა ასწავლიდეს ახალგაზრდობას, არამედ ზნეობრივადაც წვრთნიდეს მას. სამწუხაროდ, სწორედ იმის გამო, რომ სწავლა-განათლება წოდებრიობის ზეგავლენას განიცდის, სკოლები თავიანთ დანიშნულებას ვერ ასრულებენ: „ეხლანდელი სკოლა-კი სულ სხვა საგანს მისდევს და ეს ზნე-ხასიათის წვრთნა თავმინებებელია. ეხლანდელი სკოლა მარტო იმის ცდაშია, რომ პატარა ბავშვის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტიოს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამია-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 376.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 279.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 278.

ნებისათვის. ამიტომაც არც კაცად-ღა ვარგობენ ეხლახდეღ-ი ყმაწვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნიდამ გამოდის რამ"[1].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სწავლა-განათლებაში წოდებრიობას, რომელიც ახალგაზრდობის უმრავლესობას სკოლის გარეთ ტოვებს, კიდევ უფრო ამტკიცებს ის გარემოება, რომ სასწავლებლებში მისაღებ მოსწავლეთა კონტინგენტი ერთობ მცირეა, მთავრობა არ ზრუნავს სახალხო განათლებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ სწავლის მსურველი და მისაღებ გამოცდებზე კონკურსში მონაწილე, მისაღებ კონტინგენტთან შედარებით, ძალიან ბევრია. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად ი. ჭავჭავაძეს მოყავს 1883 წლის მონაცემები. იგი წერს: „ვაკანსიები წელს ტფილისის სასწავლებლებში იყო შემდეგი: კადეტის კორპუსში (ესეც კი დაკარგეთ ბედოვლათობით) იყო 25-მდე, მსურველნი კი 120. საოსტატო ინსტიტუტში 25, მსურველნი 75. — მიღებულთ რიცხვში ქართველი მხოლოდ ოთხია. მეორე გიმნაზიაში მიიღეს წელს 40, მსურველი კი იყო 150. სათავად-აზნაურო სკოლაში 30, მსურველი კი ასზე მეტი. ქუთაისში სააზნაურო სკოლაში იყო თურმე 60 ყმაწვილისა და მსურველნი კი 200 მეტი. გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში მეოთხედიც არ მიუღიათ წარმოდგენილის ბავშვებისა. სამოქალაქო სამკლასიან სასწავლებლებში, რომელიც შარშან გაუხსნიათ, თხოვნა შესულა სამასზე მეტი, მიუღიათ მხოლოდ ორმოცი. მეორე ორ-კლასიან სამოქალაქო სასწავლებელში თხოვნა შესულა 100, მიუღიათ 75"[2].

მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღება, ახალგაზრდობის ეროვნულ საწყისებზე აღზრდა, ქართველ ხალხთან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ურთიერთობა ქართული ენის მეშვეობით, ი. ჭავჭავაძის აზრით, სრულებითაც არ ნიშნავს სხვა ხალხთა ენებისა და კულტურის უგულებელყოფას. პირიქით, ი. ჭავჭავაძის აზრით, სწავლა-განათლება, მეცნიერების მიღწევების დაუფლება შეუძლებელია უცხოური ენების ცოდნის გარეშე. მცოდნედ და განათლებულად მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს კაცი, თუ იგი მშობლიურის გარდა, კარგად იცნობსა და დაუფლებულია უცხო ქვეყნების ენებსა და კულტურას, ამიტომაც, ი. ჭავჭავაძის აზრით, სწავლა-განათლება და აღზრდა ეროვნულ ნიადაგზე სრულებითაც არ ნიშნავს მსოფლიო კულტურის მიღწევათა შესწავლაზე უარის თქმას: „რასაკვირველია, ზედმიწევნით უნდა გავიცნოთ რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვსცდილობდეთ, სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა და ჭეშმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის... ხოლო ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს... ახლად ფეხადგმულ-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 298.
2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 284.

მა საზოგადოებამ საკუთარი ვითარება უნდა შეისწავლოს... მაგალითად, თუ დიდმა და პატარამ ქართული ენა საკმარისად არ ვიცით, ცხადია, რომ ამ ენის შესწავლა ჩვენთვის აუცილებელი და უმთავრესი საგანია; თუ ეს ენა კარგად შევითვისეთ, მაშინ აშკარაა, უცხო ენასაცა და მწერლობასაც უკეთ შევისწავლით"[1]. როცა უცხოურ ენებზე ლაპარაკობს ი. ჭავჭავაძე, პირველ რიგში მას მხედველობაში აქვს რუსული ენა, რომელიც სხვადასხვა ერის გაერთიანების საფუძველზე შექმნილი ერთიანი რუსეთის სახელმწიფო ენას წარმოადგენს. ი. ჭავჭავაძე მრავალგზის მიუთითებდა, რომ რუსულმა მეცნიერებამ და რუსულმა სკოლამ გაგვიღო ყველა ჩვენგანს განათლებისა და ცოდნის კარები. სკოლებში რუსული ენის სწავლება არა მარტო მთავრობას, არამედ „ჩვენცა გვსურს და ძალიანაც, განა მარტო იმისათვის, რომ იგი საჭიროა ვითარცა სახელმწიფო ენა, არამედ იმისთვისაც, რომ მისი ლიტერატურა ეხლა იმოდენად ძლიერია, რომ შეუძლიან გონება-გახსნილს კაცს სულის საზრდოება მისცეს. იგი ღონეა, არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდამ ვარეთ ფეხს გამოვდგამთ"[2].

საკუთარი ენის გარდა, ქართველი ერის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ის, რომ იგი არის „ისტორიის ერთობით" განმტკიცებული ადამიანთა გვარტომობითი კავშირი", ანუ სხვანაირად, ერთნაირი ისტორიით შედუღაბებული „ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა კრებულნი". ქართველი ერი, ისე როგორც ყველა ერი, თავისი საკუთარი ისტორიით სულდგმულობს. ერი, როგორც „ერთს ისტორიულ უღელში ბმული" იძენს ერთნაირ თვისებებს, რაც გამოხატულებას პოულობს ამა თუ იმ ერისათვის დამახასიათებელ ერთსულოვნებასა, ძლიერებასა, ერთგულებასა და სიმტკიცეში. ქართველი ერის ისტორიაში ხშირად ყოფილა შემთხვევები, როცა მოძალადე დამპყრობლებმა დაარღვიეს მისი ერთიანობა. მოშალეს ქვეყნის მთლიანობა, რის შედეგადაც მტრების მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ერის ნაწილი მოჰგლიჯეს ქართველი ერის ძირითად ბირთვს, ქრისტიანული სარწმუნოებაც კი წაართვეს, მაგრამ საერთოდ ერისათვის დამახასიათებელმა „იდუმალმა შემსპვილებამ", „დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ" თავისი გაიტანა და ქართველი ერი ისევ აღადგინა, ისევ გახადა „ერთს ისტორიულ უღელში ბმული".

ი. ჭავჭავაძის აზრით, ამის ნათელ მაგალითს გვაძლევს ე. წ. ოსმალოს საქართველო ანუ სამცხე-საათაბაგო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართველი ერის ისტორიაში. უძველეს დროში, როცა ბიზან-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გ. 316.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 287.

ტია. სპარსეთი და ოსმალეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ საქართველოს თაობაზე და მის დანაწილებაზე ოცნებობდნენ, ქართველი ერი მტკიცედ იდგა მტრების პირისპირ ეროვნული დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ქართველ ერს აკავშირებდა ქრისტიანობაც. რომელიც პირველად სამხრეთ საქართველოში გაავრცელა ანდრია მოციქულმა, ქრისტიანობამ სძლია აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ კერპთაყვანისმცემლურ სარწმუნოებას და ქრისტიანული რწმენის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულა წმინდა ნინომ. ქართველი ერის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების მრავალ ცდას შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა ქრისტიანული რწმენა იმ ძნელბედობის პერიოდში დიდ როლს ასრულებდა ერის მთლიანობის შენარჩუნების საქმეში. მაგალითად, როცა არაბები საქართველოში შემოიჭრნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ქართველები ქრისტიანულ წიგნებს თარგმნიდნენ და წერდნენ, ქრისტიანობის გასამტკიცებლად აშენებდნენ მონასტრებს და ა. შ. დაბოლოს დადგა ნანატრი დრო, მეფე ბაგრატ მესამიდან დაწყებული დაიწყო ქართველი ერის გაერთიანება ერთ სახელმწიფოდ და მისი შემდგომი გაძლიერება. ამ სახელმწიფოში ცხოვრობდა და შრომობდა სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხი, ქართული სახელმწიფოებრიობა, რომელიც მთელი კავკასიელი ხალხის მეთაურად და მედროშედ გამოდიოდა, აერთიანებდა სხვადასხვა სარწმუნოების ხალხს და წარმართავდა მის ბრძოლას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ტოლერანტიზმი წარმოადგენდა ამ ეპოქის ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსს და, საერთოდ, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, „ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა ან დევნა... სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის — მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა"[1].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სამხრეთ საქართველოში მცხოვრებნი XVII საუკუნიდან მოყოლებული თურქმა დამპყრობლებმა თანდათან ჩამოაშორეს ქართველ ერს და გაამაჰმადიანეს. ქართველი ხალხი მუდამ რჯულშემწყნარებლურ პოლიტიკას ახორციელებდა მკვიდრი მუსულმანების მიმართ და დღეს, როცა ე. წ. ოსმალოს საქართველოს დედა სამშობლოსადმი შემოერთების საკითხი დადგა, სამხრეთ საქართველოში მცხოვრები მუსულმანური ხალხი, რომლებიც თავიდანვე ქრისტიანები იყვნენ, ქართველი ერის განუყოფელი ნაწილი გახდება: „ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კელავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული, ტ. გვ. 13.

შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი"[1].

ისტორიული ავბედობით გამოწვეული სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა ქართველი ერის გაერთიანებას ხელს ვერ შეუშლის, რადგანაც საუკუნეების განმავლობაში მთელ ქართველ ერს ერთნაირი რწმენა, ერთნაირი ეკონომიკური, ფსიქიკური და ა. შ. წყობა გააჩნდა და ერში ეს „იდუმალი შემსჭვალება, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს", რომ თუნდაც „დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს", საკმარისია ერთი პატარა შემთხვევაც, რათა ერის დაძინებულმა ისტორიამ გამოიღვიძოს.

ქართველი ერის ისტორია უძველესი დროიდან იწყება, იგი რამდენიმე ათეულ საუკუნეს ითვლის. ერის ზოგადი ცნების დახასიათებისას, როგორც ზემოთ დავინახეთ, ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს ი. ჯაბადარის მიერ ბურჟუაზიული მეცნიერებიდან ნასესხებ რეაქციულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ცალკეული ადამიანის მსგავსად ერებსაც გააჩნიათ თავიანთი ბავშვობა, ყრმობა, ჭაბუკობა, მოწიფულობა და სიბერე, რასაც ერის გარდუვალი სიკვდილი მოსდევს. ამ ბურჟუაზიულ-სოციოლოგიურ თეორიაზე დაყრდნობით ი. ჯაბადარი ანვითარებდა დებულებას იმის შესახებ, რომ ქართული ენა დაბერდა და ძალ-ღონისაგან დაიცალა, რასაც მისი გარდუვალი სიკვდილი უნდა მოჰყვეს. ი. ჭავჭავაძემ, რომელიც აღაშფოთა ი. ჯაბადარის ამ დასკვნებმა ქართველი ერის მომავლის შესახებ, მსოფლიოში წარმოჩენილი ერების ისტორიის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ცხადყო, როგორც დრეპერის სოციალურ-ორგანული თეორიის მცდარობა, ასევე დიდი ისტორიის მქონე ქართველი ერის სიცოცხლისუნარიანობა. ი. ჭავჭავაძე წერს: „რას გვიქვიან ერის სიბერე? აიღეთ ეხლანდელნი ერნი ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, ამერიკელ-ინდოელისა, აფრიკის ზანგისა, აბაშის ეთიოპელისა და გვითხარით, ამათში რომელი ვიგულისხმოთ ბებრად და რომელი ახალგაზრდად? მართალია, ამათში არიან ძველნი და ახალნი, რომ ერთს სიკვდილის მეტი არა დარჩენოდეს რა, როგორც ცალკე კაცს, სიბერეში ჩავარდნილს, და მეორე-კი ზრდაში იყოს, მინამ დაბერდებოდეს და სიბერეს თან გადაჰყვებოდეს. ეგ ძველ-ახლობა მარტო იმას მოასწავებს, რომ ერთი ერი ადრე გამოსულა საისტორიო სარბიელზედ და მეორე გვიან"[2].

იბრძვის რა საზოგადოებაზე ბუნების კანონთა გავრცელების რეაქციული ბურჟუაზიული სოციოლოგიის წინააღმდეგ, ი. ჭავჭავაძე ასევე ცხადყოფს ი. ჯაბადარის მიერ ქართული ერის ბუნების გამოსარკვევად დაყენებული საკითხის უაზრობას, კერძოდ, ი. ჭავჭავაძეს მეცნიერული კვლევისათვის შეუფერებლად მიაჩნია საკითხის დასმაც კი იმის შესა-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 11—12.
2 ი ბ ე ვ ე, გვ. 19.

ხებ, რომ ქართველი ერი დაიცალა ძალ-ღონისაგან თუ ჯერ კიდევ არ დაუწყია სრული ინტენსიური ცხოვრება და მომავლისათვის შეუნახავს იგი. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ი. ჯაბადარის მსჯელობა ქართველი ერის შესახებ ემყარება შემდეგ მცდარ და მეცნიერებისათვის სრულიად მიუღებელ მოსაზრებას: „ჯერ ისა, რომ ერის ცხოვრებაში სიბერეს თავისი ადგილი აქვს; მეორე ისა, რომ „ინტენსიური ცხოვრება" ერისა ღონის გამომცლელია და, მაშასადამე დამაუძლურებელი: მესამე ისა, რომ რომელს ერსაც ინტენსიური ცხოვრება არა ჰქონია, ჩაცა უბმარია და ღონე შეუნახავს მერმისისათვის და, მაშასადამე, წინ უნდა იყოს იმ ერზედ, რომელიც მისცემია ინტენსიურ ცხოვრებას და ამაობაში ღონისაგან იცლება"[1]. გარდა იმისა, რომ ი. ჯაბადარის ეს მოსაზრებანი სლავიანოფილიზმს ენათესავება, გვასწავლის სრულ უგუნურობას, კერძოდ, ეერიდოთ ინტენსიურ ცხოვრებას, რაც შეგვინახავს ძალ-ღონეს შორეული მომავლისათვის. ი. ჭავჭავაძე ირონიულად შენიშნავს, რომ ახლა გასაგებია ველური ხალხები რატომ უფრთხიან ინტენსიურ ცხოვრებას და რომ ი. ჯაბადარის ეს დებულება გავრცელდეს ევროპაში, ალბათ, „ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და ერთობ მთელი ევროპა თავს დაანებებს ინტენსიურ ცხოვრებას და ღონეს შეინახავს მერმისისათვის ჩვენებურადა, ქართველურადა"[2].

ქართველი ერის, ხალხის მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი ცხოვრების ისტორიის ანალიზის საფუძველზე ი. ჭავჭავაძე ცხადყოფს ი. ჯაბადარის შეხედულებათა ანტიმეცნიერულობას იმის შესახებაც, რომ „ქართველებს თავიდამ ბოლომდე თავისი არა ჰქონიათრა და სულ ყოველისფერი სპარსელების ნაწყალობებიაო"[3]. ი. ჭავჭავაძემ ქართული ენის ისტორიული განვითარების მეცნიერული გამოკვლევით, რაზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, ცხადყო ი. ჯაბადარის მტკიცების უსაფუძვლობა და მიუთითა, რომ როგორც თვითმყოფად ერს, ქართველებს უძველესი დროიდან ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფო და მაშასადამე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართული სახელმწიფოებრიობის განსახორციელებლად საკუთარი მშობლიური, ე. ი. ქართული ენა. ასევე უსაფუძვლოდ მიაჩნია ი. ჭავჭავაძეს ი. ჯაბადარის მტკიცება იმის შესახებ, რომ უძველეს დროში ათასზე მეტი წლის განმავლობაში საქართველოს ირანთან განუწყვეტლივ თითქოს საერთო ცხოვრება ჰქონდა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა, უპირველეს ყოვლისა, სარწმუნოების ერთობაში. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ი. ჯაბადარის აზრით უძველეს დროში, კერძოდ, დაწყებული ძვ. წ. მეათე საუკუნიდან დამთავრებული მეორე საუკუნით, ქართველები ცეცხლმსახურები იყვნენ. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ქართველთა ისტო-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 23.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 25.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 139.

რიდან ეს ამბავი არაა გამორიცხული, მაგრამ არასწორია ის არგუმენტები, რომლებიც ი. ჯაბადარს მოჰყავს ამ დებულების დასამტკიცებლად. ი. ჯაბადარი ამტკიცებს, რომ ბაიერნის მიერ მცხეთის სამარხების გათხრებისას ნაპოვნი იქნა აბსიდიანის ქვის ნატეხები, რაც თითქოს იმის მაჩვენებელია, რომ ამ ეპოქაში ქართველები ცეცხლმსახურები იყვნენ. გარდა ამისა, დღესაც ქართველები ცოდვად თვლიან ცეცხლის წამურტვლას. ი. ჭავჭავაძე ემყარება სპენსერის გამოკვლევებს და მიუთითებს, რომ აბსიდიანის ქვით კლავდნენ საწირავსა, მაგრამ ეს სრულებითაც არაა ცეცხლმსახურების საკუთარი ნიშანი. აბსიდიანისაგან გაკეთებულ დანას სხვა რჯულის წარმომადგენლებიც ხმარობდნენ თავიანთი სარწმუნოებრივი წესის აღსასრულებლად. რაც შეეხება ქართველთა მიერ ცეცხლის განსაკუთრებულ პატივისცემას, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე. იგი ეკუთვნის არა ცეცხლს, არამედ კერას, რომელსაც ქართველები უძველესი დროიდან დღემდე განსაკუთრებულ პატივს სცემენ. ასევე არასწორად მიაჩნია ი. ჭავჭავაძეს, ი. ჯაბადარის მტკიცება, თითქოს ცეცხლმსახურება ქართველებმა სპარსეთიდან გადმოიღეს. ლებოკის საათანადო ნაშრომზე მითითებით, ი. ჭავჭავაძე უარყოფს ი. ჯაბადარის ამ დებულებასაც და აღნიშნავს, რომ ცეცხლმსახურება თავის დროზე ერთმანეთისაგან დაშორებულ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში იყო გავრცელებული, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ეს სარწმუნოება შეიძლება რომელიმე ქვეყანაში სხვა ქვეყნისაგან დამოუკიდებლადაც დაფუძნებულიყო.

ქართველი ერის ცხოვრებაში სარწმუნოების როლის გამორკვევა ი. ჭავჭავაძის პოლიტიკურ მოძღვრებაში იმ ძირითადი მიზნის დასაბუთებას ემსახურება, რომ უცხოელ დამპყრობთა მიერ მიტაცებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძალით გამაჰმადიანებულ ქართველთა შემოერთება თავის დედასამშობლოსთან აუცილებელი ისტორიული პროცესია, რომლის შეჩერება შეუძლებელია იმ მოტივით, თითქოს მათ ქრისტიანებისაგან განსხვავებული სარწმუნოება აქვთ. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ დამპყრობთა მიერ საქართველოდან ძალით ჩამოწორებული ქართველები თავიდანვე იყვნენ ქრისტიანები, და გარდა ამისა, ქართველები თავიანთი ბუნებით ტოლერანტები არიან. ყველაფერი ეს ავალებს ქართველ ხალხს განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრან ისტორიის ავბედობით საქართველოსაგან მოწყვეტილ ე. წ. „ოსმალოს ქართველებს", რომლებიც თავიანთ დედასამშობლოს — საქართველოს უერთდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბატონყმობის გაუქმებით ერების შემდგომი განვითარების პერსპექტივები იქმნება ქვეყნის ეკონომიკური წყობილების წინსვლასა და განმტკიცებაში. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ერის ცნების შინაარსის განმსაზღვრელს წარმოადგენს ეკონომიკური

წყობის ერთიანობა. უძველეს დროში ქართველ ერს ერთიანი ეკონომიკური წყობა გააჩნდა და სიტყვა „მამულის“ ცხოველმყოფელი ძალა ერის ცხოვრებაში გადამწყვეტი იყო. ი. ჭავჭავაძის აზრით, იქ, სადაც ხალხობა დაურღვეველია და ერი განთვითეულებული არ არის, სიტყვა — „მამული“, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, „მთელი ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია“, ამიტომ მის შინაარსს მრავალი ასპექტი აქვს. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ცნება „მამული“ ი. ჭავჭავაძის აზრით ერის ფენომენის ტერიტორიულ მთლიანობას გამოხატავს, მაგრამ იგი გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩვენი ხალხის ერთიან ეკონომიკურ წყობილებაზეც მიუთითებდა, როცა „ჩემი „მე“ და შენი „მე“ ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად ბმულა“[1]. ამ დროისათვის ქართველი ერის ეკონომიკური წყობილების თავისებურებას შეადგენდა ის, რომ მიწის ნაკვეთები („მამულ-დედული“) სამართლიანად იყო განაწილებული, ეკონომიკური ცხოვრება მტკიცე და დაურღვეველი იყო. აქედან წარმომდგარმა სიკეთემ ჩვენამდეც მოაღწია, კერძოდ, „უმამულო და უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება“[2]. ეს ეკონომიკური წყობა ემყარებოდა მიწის საკუთრების ორ ფორმას, კერძოდ, საზოგადო ანუ სამსოფლიო და საკომლო საკუთრებას. ქართველი ერის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სამსოფლიო ანუ საზოგადო საკუთრებას მიწაზე, ამიტომ სამეფო ხელისუფლება ერის ძლიერების ამ წყაროს განსაკუთრებით უფრთხილდებოდა. საქმე ისაა, რომ თუ ქვეყანაში საკომლო საკუთრება გავრცელდებოდა და გაბატონდებოდა, მაშინ მიწისმფლობელობაში უთანასწორობას ფართოდ გაეხსნებოდა გზა, ხოლო თუ მიწაზე საზოგადო ანუ სამსოფლიო საკუთრება გაძლიერდებოდა, მაშინ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უთანასწორობა თანდათან შეიზღუდებოდა. მაგრამ დროთა ვითარებაში ძველ საქართველოში „ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიკური წყობისა ყური აღარ ათხოვეს: გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორ-მასწორობა მიწის მფლობელობაში, არამც თუ კომლთა შორისაც, არამედ სოფელთა შორისაც“[3].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური წყობისათვის დამახასიათებელია უთანასწორობა, რაც ძველ საქართველოში იშვიათობას წარმოადგენდა, ახლა კი — „განვთვითეულდით, და თვითეულის ზურგმა ვეღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია“[4]. „მამულის ტერიტორიულმა დაქსაქსულობამ და განცალკევებამ ერის მთლიანობის ინტერესებს ზი-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 78.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 177.
3 ი ქ ვ ე, გვ. 178.
4 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 78.

ანი მოუტანა, სახელმწიფო და საზოგადოება ძლიერია, როცა ერი ორგანულადაა ერთმანეთთან შეკავშირებული, როცა ერის შემადგენელი სხვადასხვა წოდებები ერთიანი ჯაჭვის ურთიერთდაკავშირებული რგოლებია. წოდებათა შორის უთანხმოებამ და განსხვავებამ დაღუპა და აღგავა დედამიწის პირიდან მრავალი ძლიერი და სახელოვანი ერი, ამიტომ ერის მთლიანობის ინტერესებისათვის არ უნდა ვიქადაგოთ წოდებათა შორის ბრძოლა: „წოდებათა შორის უთანხმოებისა და სიძულვილის წამოყენება, რასაკვირველია, ვერსად ვერ დააარსებს კეთილსა და სასურველს განწყობილებას, მაგრამ ერთი-ასად უფრო მომაკვდინებელ ცოდვად ჩაითვლება ამ გრძნობის ხელოვნურად გამოწვევა და აღძრა ჩვენში"[1]. ყველა წოდების წარმომადგენელი, გლეხია იგი თუ თავადი, უნდა მიგვაჩნდეს ძმად და შვილად და ყველა საკითხის გადაჭრისას მხედველობაში უნდა გვქონდეს არა ერთი რომელიმე წოდება, არამედ მთელი ქართველობა. წოდებრივი პრივილეგიები დამღუპველია განსაკუთრებით ქართველი ერისათვის, რადგან ისტორიის ავბედობამ ის მაცოცხლებელი ნიშნები, რაც ერს ამაღლებს და ასულდგმულებს, დაკარგა: „ჩვენ, ისეც დაქსაქსულთა, ერთმანეთთან გადამტერებულთა რაღა წოდებრივის საგნების წამოსაყენებლად უნდა გვეცალოს"[2]. ი. ჭავჭავაძის აზრით, ერის შიგნით არსებული დაპირისპირებულობის მიზეზი, პირველ რიგში, თავადაზნაურობაა, რომელიც ყველაფერში პირველობას ჩემულობს და პრივილეგიებისათვის იბრძვის. ერის მთლიანობის ინტერესთა შესაბამისად უნდა ვიბრძოლოთ წოდებრივი პრივილეგიების მოსასპობად, „თავადაზნაურობა-კი გამოსულა და იძახის, მეო და არა სხვაო. ბატონებო, თუ ყველანი ერთად არ ვიქნებით, თქვენი „მე" თუნდა იყოს და თუნდა არა... თვითეულს ზურგი მაგარი სხვისით აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც. ამ კანონზეა აშენებული ყოველი ადამიანური საზოგადოება. თავად-აზნაურთა საზოგადოება გლეხთან ერთად სცხოვრობს; თუ რამ თავადსა და აზნაურს ეკონომიკური, ანუ სხვა რიმე ანგარიში აქვს, გლეხთანა აქვს; თუ რომ რისამე გაკეთება უნდა, გლეხის ხელით აკეთებს, თუ რისამე მოვლა უნდა, გლეხის მეოხებით უვლის"[3]. შაგრამ წოდებათა შორის წინააღმდეგობების აღმოფხვრა და საზოგადოებაში ერთსულოვნების დამყარება ბრძოლითა და ძალდატანებით შეუძლებელია, საზოგადოების ერთი ნაწილის გაბატონებას დანარჩენზე არ შეუძლია აღმოფხვრას სოციალური უსამართლობანი და წინააღმდეგობანი საზოგადოებაში. ერთადერთი გზა ერის გამთლიანებისა და წოდებების ერად შეკავშირებისა, ი. ჭავჭავაძის აზრით, მხოლოდ განათლებისა და ცოდნის გავრცელებაა. საზოგადოების თითოე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 377.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 353.

ულმა წოდებამ უნდა შეიგნოს, რომ ძალმომრეობა და ბატონობა დამღუპველია, საზოგადოების ცალკეულ წოდებათა მტრობა მათი უმეცრობიდან წარმოსდგება. დიდი განმანათლებელი ი. ჭავჭავაძე წერს: „განა უმეცრებისაგან არ არის, რომ კაცი კაცს ისე ექცევა, როგორც მტერი მტერსა, თორემ გონება-გახსნილობა რომ მოქმედებდეს ამ შემთხვევაში, ადამიანი მალე მიხვდებოდა, რომ ურთიერთის სიკეთისათვის მოღვაწეობას კაცი უფრო ბევრს გამორჩება, ვიდრე ერთმანეთის მტრობასა“[1].

ერისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის შემდეგ ი. ჭავჭავაძის განსაკუთრებული ინტერესის საგანი ხდება სახელმწიფოსა და ერის ურთიერთობის საკითხები, განსაკუთრებით კი მრავალეროვნული სახელმწიფოების იურიდიული ბუნება. საზოგადოების სოციალურ ბუნებას განსაზღვრავს ის ერი, რომელსაც ემყარება ეს საზოგადოება. მაგალითად, ქართულ საზოგადოებაზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ საზოგადოების ბუნების განმსაზღვრელია ქართველი ერის პოლიტიკურ-ეკონომიკური და ფსიქიკური წყობა, ენა და ა. შ. მაგრამ საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს სხვა ერებიც, ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ მრავალეროვან საზოგადოებაზე. რამდენადაც საზოგადოება წინ უსწრებს სახელმწიფოს და ეს უკანასკნელი საზოგადოების შემოქმედების შედეგია, ამდენად, გვხვდება არა მარტო ერთი ერის არსებობით განსაზღვრული სახელმწიფოები, არამედ მრავალეროვანი სახელმწიფოებიც. ი. ჭავჭავაძის კვლევის განსაკუთრებული ინტერესის საგანს შეადგენს მრავალეროვანი სახელმწიფოს სოციალურ-იურიდიული ბუნება და მასთან დაკავშირებული პრობლემები: სახელმწიფოს ერთიანობასთან მიმართებაში სხვადასხვა ერების არსებობა, სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ერები და ერთიანი სახელმწიფო, ერების ღირსების დაცვა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა და ა. შ.

როცა სახელმწიფოსა და ერს შორის ურთიერთდამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ, — მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, — უნდა აღინიშნოს, რომ კაცობრიობის ისტორია იცნობს ეროვნულ სახელმწიფოებსა და მრავალეროვან სახელმწიფოებს. უკანასკნელ პერიოდამდე გაბატონებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო შეიძლება არსებობდეს ეროვნული, ერთ ერსა და აგრეთვე ერთ სარწმუნოებაზე დამყარებული. ადამიანებს სჯეროდათ, რომ სახელმწიფო უნდა გამოხატავდეს მხოლოდ ერთი ერის ინტერესებს ~~და, თუ ეკლესია გეორტომის ერმა შეორე ერ ჰყლაპა. ერთობა, ერთობა სახელმწიფოსი შეუძლებელია“~~[2]. ასევე, საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ სახელმწიფოს ერთიანობა შეუძლებელია თუ ქვეყანაში სხვადასხვა სარწმუნოების ერები ცხოვრო-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 354.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 86.

ბენ: „იყო დრო, როცა რწმენად ჰქონდათ მიღებული, რომ თუ ერთსა და იმავე სახელმწიფოში სხვადასხვა რჯულის მკვიდრნი არიან, ერთობა სახელმწიფოსი სიზმარიაო"[1]. ~~ასეთ ~~ ~~ზემოაღნიშნული~~ ~~~~ ~~ ~~ 

თის მრავალეროვანი სახელმწიფოს არსებობის მაგალითზე ასკვნის, რომ „ერთსა და იმავე სახელმწიფოში შესაძლოა სხვადასხვა გვარტომობა მოთავსდეს ასე, რომ არც გვარტომობამ შეჰხუთოს სახელმწიფო ინტერესები და არც სახელმწიფომ — ინტერესები გვარტომობისა“[1].

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფოს ერთიანობის იდეას არავითარ ზიანს არ აყენებს მრავალეროვანი სახელმწიფოების არსებობა, პირიქით, მრავალეროვანი სახელმწიფოების არსებობის გამოცდილება ცხადყოფს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესს აჩქარებს სხვადასხვა ერების სახელმწიფოებრივი გაერთიანება და მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნა. მაგრამ ერთ სახელმწიფოში ერების ძალდატანებითი გაერთიანება და მრავალეროვან სახელმწიფოში ეროვნული დისკრიმინაცია, ერთ ერზე მეორის გაბატონებისათვის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების გამოყენება, ეწინააღმდეგება საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების, საზოგადოებრივი პროგრესისა და ადამიანთა ბედნიერების უზრუნველყოფას. მრავალეროვანი სახელმწიფო იქმნება არა იმისათვის, რომ ძლიერმა ერმა სუსტზე იბატონოს, ანდა ძლიერმა ერებმა ჩაყლაპოს და მოსპოს პატარა ერები, არამედ მრავალეროვანი სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებულმა ერებმა უკეთ დაიკმაყოფილონ თავიანთი მატერიალური და სულიერი მოთხოვნები. ამიტომაც, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, რთული, ფედერაციული სახელმწიფოების შექმნის იდეა იქედან გამომდინარეობს, რომ შეიძლება ერების გაერთიანება[2].

მრავალეროვან სახელმწიფოში ყველა ერს უნდა ჰქოდნეს ეროვნული განვითარების შესაძლებლობა და ყოველი ერი უნდა ცდილობდეს თავისი საკუთარი ძალების წარმართვას სხვა ერების წინსვლისათვის. მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელიც რომელიმე ერის დამოუკიდებლობის მოსპობას ისახავს მიზნად და თავის საქმიანობას აქეთკენ წარმართავს, საკუთარი ბუნებით ეწინააღმდეგება სახელმწიფოებრიობის იდეას. „მოსპობა რომელიმე ერის დამოუკიდებლობისა და თვითებისა და შერიცხვა მისი სხვა ერთა შინა, — ეგ იმას ჰნიშნავს, რომ ძალად და განზრახ აიღოს მან თავის-თავზე ხელი, დაივიწყოს თავისი უწინდელი ცხოვრება, თავისი მოგონებანი, თავისი დაცემული დიდება, თავისი ინტერესები, თავისი ზნე, ენა, და სუყველა ეს მტრის გასახარებლად, მტრის სასარგებლოდ“[3]. ერების დევნა, ერების ღირსების უპატივცემულობა, ერების დაბეზღება და ლანძღვა, ერთა უთანასწორობა და ძლიერი ერების პატარა ერებზე ბატონობა მრავალეროვან სახელმწიფოში და საერთოდ, ყველგან და ყველა ვითარებაში დაგმობილი უნდა იქნას,

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 11.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 279.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 278—279.

რადგანაც ერი ადამიანთა მაღალორგანიზებული ერთობაა, რომელსაც კეთილშობილური იდეალები ასულდგმულებს, ყველა ერს აქვს თავისი ღირსება, თავისი კაცურკაცობა, დიდბუნებოვნება და მადლი, რომლითაც განიზომება თითოეული ერი, და რაც ერის საწყაოს შეადგენს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ამაების შეგონება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა"[1]. „მრავალეროვან სახელმწიფოში დასაგმობია ამ ქვეყანაში მცხოვრებ ერთა დისკრიმინაცია, მაგრამ ი. ჭავჭავაძის აზრით, უფრო აღმაშფოთებელია, როცა რომელიმე ერი ათვალწუნებულია ყველა სახელმწიფოს მიერ და მას დევნიან და ავიწროებენ სხვადასხვა უსაფუძვლო ბრალდებებით". ი. ჭავჭავაძე დაუშვებლად მიიჩნევს უკანასკნელ პერიოდში მთელ ევროპაში გავრცელებულ ანტისემიტიზმს, როგორც ებრაელთა წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას. მისი აზრით, არც ერთ ერს არ გადახდომია თავს იმდენი ტანჯვა-წამება, რამდენიც განიცადა ებრაელმა ერმა, რომელსაც ბედმა ხელიდან გამოაცალა სამშობლო და განაბნია მთელი დედამიწის ზურგზე. თითქმის ყველა ქვეყანაში ცხოვრობს ამ ერის წარმომადგენლები, მაგრამ მათ ყველგან დევნიან: „არ მოიპოვება ისეთი ისტორიული უსამართლობა, რომელსაც ებრაელები არ დაეჩაგროს, სდევნიდნენ ებრაელებს ვითარცა ერს, სდევნიდნენ — ვითარცა თავისებურისა და განსაკუთრებულის რჯულის მაღიარებელთ, სდევნიდნენ — ვითარცა უსამართლო ეკონომიკურის წესწყობილების წარმომადგენელთ და სხვა ერთა ეკონომიკურ მჩაგვრელებს"[2]. ევროპის განათლებულ საზოგადოებაში ანტისემიტური მოძრაობის მიზეზების კვლევისას ი. ჭავჭავაძე იმეორებს ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებში გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ამ მოძრაობას არც ეროვნული სიძულვილი და არც რელიგიური ფანატიზმი უდევს საფუძვლად. არამედ ეკონომიკური ძლიერება ებრაელ-კაპიტალისტებისა, რაც სხვა ერების ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის საფრთხეს ქმნის. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ანტისემიტიზმის მიმდევართა აზრით, „ებრაელთა ეკონომიკურს გაძლიერებას თავის დროზე თუ არ შეეებრძოლებით, კაპიტალი შეიქმნება ყველა სახელმწიფოებზე უფრო ძლიერი და საშიშო. კაპიტალის ხელში მოიქცევა ბედი და უბედობა ერთა და მეფეთაო"[3]. მართალია, ი. ჭავჭავაძე არ გვაძლევს ანტისემიტიზმის ამ არგუმენტაციის კრიტიკას, მაგრამ იგი როგორც ინტერნაციონალისტ-ჰუმანისტი დაუშვებლად მიიჩნევს ებრაელთა დევნა-შევიწროვებას ყველგან, სადაც და რა მოტივითაც უნდა იჩენდეს იგი თავს.

ასევე, ბისმარკის სახელმწიფოებრივ საქმიანობაში გამოუსწორებელ

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 97.
2 ი ქ ვ ე, გვ. 248.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 250.

შეცდომად მიიჩნევს ი. ჭავჭავაძე პოლონელების განდევნას პრუსიიდან, რაც მისი აზრით, საესებით სამართლიანად დაგმო პრუსიის პარლამენტმა. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ბისმარკის მიერ პრუსიიდან პოლონელების განდევნამ „შეაძრწუნა მთელი განათლებული გერმანია“[1]. ი. ჭავჭავაძე იწონებს პრუსიის პარლამენტის პროგრესისტ-დეპუტატების ვინდჰორსტის, ლიბკნეხტის, რიკერტის და სხვათა გამოსვლებს, რომლებშიც ხაზგასმული იყო, რომ გერმანიის სახელმწიფო ბისმარკის წყალობით კი არ არსებობს, არამედ სახელმწიფო ბისმარკზე ძლიერია, რადგან მისი არსებობის წყარო ერია, რომ სახელმწიფოს საფუძველია სიმართლე, და რა თქმა უნდა, ეროვნება და კაცთმოყვარეობა, როგორც სოციალური ფენომენები, ამ სიმართლის გულისთვის ერთმანეთს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. ი. ჭავჭავაძე გმობს პატარა ერების სახელმწიფოებრივ დევნას და მიუთითებს, რომ ამის გამო „არამცთუ გერმანიამ, თითონ მთელმა ევროპამაც წუნი დასდო შინაურ პოლიტიკას „რკინის კანცლერისას“[2].

ერების შესახებ შემუშავებული მოძღვრების მიხედვით ი. ჭავჭავაძე სწავლობს მრავალეროვან სახელმწიფოებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მის მიზეზებს და, განსაკუთრებით, რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში გაერთიანებული ერების სამართლებრივ მდგომარეობას და ამასთან ერთად, განსაზღვრავს რუსეთის იმპერიის შიგნით ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპებს.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ევროპაში მცხოვრებ ერებთაგან, ბევრი პატარა და მცირერიცხოვანი ერი, ძლიერ ერთა ჩაგვრას განიცდის, მიუხედავად იმისა, რომ პროგრესული კაცობრიობა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ იბრძვის უძველესი დროიდან. ზოგიერთ მრავალეროვნულ სახელმწიფოში სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხებს შორის ურთიერთობა ასე თუ ისე მოგვარებულია (მაგალითად, ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფო), მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი ერი სახელმწიფოს შიგნით მთავრობებისა და ძლიერი ერების ჩაგვრასა და შევიწროებას განიცდის, რაც პროგრესული საზოგადოებრიობის ყურადღების საგანს წარმოადგენს. ერთ-ერთი ასეთი სადავო და გადაუჭრელი პრობლემაა ირლანდიელთა სამართლებრივი მდგომარეობა ინგლისის სახელმწიფოში, კერძოდ, ირლანდიელთა გმირული ბრძოლა ინგლისელთა ბატონობიდან წარმომდგარი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებული ინტერესით თვალყურს ადევნებს და სწავლობს ევროპასა და აზიაში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის მიმდინარეობას, თავისებურებებსა და გამოცდილებას, რომ დასაბუთებული პასუხი გას-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 239.
[2] იქვე, გვ. 244.

ცეს რუსეთის მრავალეროვნულ სახელმწიფოში შემავალ ერთა სახელმწიფოებრივ მოწყობას, საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის ძირითად პრობლემებს.

საზღვარგარეთის სახელმწიფოებში გაჩაღებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლებიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე ყურადღებით სწავლობს ირლანდიელი ხალხის ბრძოლას ინგლისის სახელმწიფოს ბატონობის წინააღმდეგ. ამ პრობლემას მან მრავალი ნაშრომი მიუძღვნა. 1886 წელს გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნდა მისი ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი „ირლანდია და ინგლისი" და წერილების სერია „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო" (ამ პრობლემისადმი მიძღვნილი მეხუთე წერილი კი დაიბეჭდა 1889 წელს ისევ „ივერიაში"), აგრეთვე „ევროპა 1886 წელს", რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად დიდი ადგილი აქვს დათმობილი ირლანდია-ინგლისის ურთიერთობას.

ი. ჭავჭავაძე ირლანდია-ინგლისის ურთიერთობას და ირლანდიელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის განიხილავს არა როგორც კერძო მოვლენას, რომელიც მხოლოდ ირლანდიელ ან ინგლისელ ხალხს ეხება, არამედ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი მას მიაჩნია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპაში ეპოქის მოთხოვნით წამოყენებული იმ ორი დიდი საქმის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად, რომლებიც ღრმად არის ფესვგადგმული ერებისა და ადამიანების ეროვნულ და სოციალურ-ეკონომიკურ ჩაგვრაში. ერთა შორის ურთიერთდამოკიდებულების გამწვავება, რომელიც ეროვნულ ჩაგვრაში გამოიხატა XIX საუკუნის მოვლენაა. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ფეოდალიზმის დამხობამ და ბურჟუაზიული ურთიერთობების გამარჯვებამ, ერები და მათი ურთიერთდამოკიდებულება პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემად წარმოაჩინა.

თავისი დროის სწორ მიგნებას წარმოადგენს ი. ჭავჭავაძის მითითება იმაზე, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა ერთა შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. მართლაც, კაპიტალიზმის განვითარებამ მნიშვნელოვანი ცვლილებანი გამოიწვია XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელთა შორის აღსანიშნავია ხალხების ერებად ჩამოყალიბება, ეროვნული სახელმწიფოების შექმნა და მრავალეროვან სახელმწიფოთა შიგნით ერთა ურთიერთდამოკიდებულება. ი. ჭავჭავაძე სწორად შენიშნავს, რომ კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების პირობებში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოჩენილმა „ეროვნობამ", „ნაციონალობამ", „გვარტომობამ ერისამ" ევროპაში გამოიწვია დაქსაქსული სახელმწიფოების ერთიან ეროვნულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება. ეს პრო-

ცესი იტალიასა და გერმანიაში შედარებით ადვილად დასრულდა, რადგანაც „ამათში ან სულ არ ურევიან სხვა ტომის ხალხნი, ან თუ ურევიან — იმოდენად ცოტანი არიან, რომ გაერთიანების საქმეს წინ ვერ გადაეღობებოდნენ“[1]. მაგრამ მტკივნეულია ეს პროცესი მრავალეროვან ქვეყნებში, მაგალითად, ავსტრიაში, სადაც ცხოვრობენ სხვადასხვა ერები, კერძოდ, გერმანელები, უნგრელები და სლავები. ერთ სახელმწიფოში გაერთიანებისაკენ მიმართული ეროვნული მოძრაობა აქ დამთავრდა მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნით, ჩამოყალიბდა ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფო და „იქნება შორს არ არის ის დრო, როცა ავსტრო-ვენგრია, ეხლა ორგვამოვანი, სამგვამოვნად გადაიქცეს და ავსტრო-ვენგრეთ-სლავიანთა სახელმწიფოდ შეიქმნას“[2].

ი. ჭავჭავაძე მთლიანად თანაუგრძნობს ირლანდიელ ხალხს, რომელიც გმირულ ბრძოლას აწარმოებდა ინგლისის ბატონობის წინააღმდეგ და გმობს ძლიერი და დიდი ერების მიერ პატარა ერების ჩაგვრის კოლონიურ პოლიტიკას. იგი ინგლ.-ირლანდიის ურთიერთობის თაობაზე არსებული ოფიციალური და პუბლიცისტური მასალების ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ საერთოდ კოლონიური ბატონობისაგან ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას მშვიდობიანი, პარლამენტური ხასიათი უნდა ჰქონდეს და იგი მთლიანად უნდა გამორიცხავდეს ძალადობასა და სისხლის ღვრას. გარდა ამისა, ი. ჭავჭავაძე ირლანდიელი ხალხის ინგლისის ბატონობისაგან განთავისუფლების შემდეგ ირლანდიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე გონივრულ და მისაღებ ფორმად თვლის ავტონომიას ანუ როგორც იგი მიუთითებს, თვითმოქმედებას.

ირლანდია-ინგლისის ურთიერთობის თაობაზე ი. ჭავჭავაძის მიერ გაკეთებული დასკვნები ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ იგი წარმოადგენს მის მიერ შემუშავებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძღვრების ქვაკუთხედს და ამ დასკვნების მიხედვით წყვეტს ი. ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიაში საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პრობლემას.

(ი. ჭავჭავაძის პოლიტიკურ მოძღვრებაში ცენტრალური ადგილი უკავია საქართველოს შეერთებას რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოსთან, ამ ნიადაგზე წარმოშობილ ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობასა და რუსეთის იმპერიაში საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე მიზანშეწონილი და სამართლიანი ფორმის ძიებას.)

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საქართველო უძველესი ქვეყანაა, მისი ისტორია ათასობით წელს ითვლის. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 9—10.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 11.

ხალხმა მრავალჯერ დაიცვა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა, გმირულად გაუმკლავდა ათასი ჯურის დამპყრობლებს და ჩვენს დრომდე შესძლო დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება, მაშინ, როცა კაცობრიობის ისტორია დღემდე იცნობს შემთხვევებს, როცა მრავალი ძლიერი სახელმწიფო და ხალხი აღგვილა პირისაგან მიწისა და მათი არსებობის შესახებ მხოლოდ მოგონებებიღა შემოგვრჩენია. ი. ჭავჭავაძე სწავლობს იმ მთავარ მიზეზს, რაც უზრუნველყოფს ერებისა და სახელმწიფოების სიმტკიცეს და იმ ფაქტორებსაც, რომელთა მოქმედების შედეგად იწყება ერების პოლიტიკური დაკნინება და გაქრობა, კერძოდ, ი. ჭავჭავაძე დაინტერესებულია იმის გამოკვლევით თუ რა მიზეზებმა გააძლებინა ქართველ ხალხს ისტორიის მძიმე ქარტეხილებში და რამ განსაზღვრა ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისი, მისი დამოუკიდებლობის დაკარგვა, საქართველოს რუსეთთან შეერთება. საყურადღებოა, რომ ამ პრობლემას იგი წყვეტს მატერიალიზმის პოზიციებიდან, კერძოდ, ი. ჭავჭავაძის აზრით ქართული სახელმწიფოებრიობის ძლიერებისა და მისი დაუძლურების მიზეზი ქვეყნის ეკონომიკურ წყობილებასა და აქედან წარმომდგარ საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში უნდა ვეძებოთ. ი. ჭავჭავაძის აზრით, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოს ეკონომიკური წყობილების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ უძველესი დროიდან ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებული იყო არა „საკომლო", არამედ „სამსოფლო" საკუთრება მიწაზე. სახელმწიფო და ხალხი უფრთხილდებოდა და იცავდა მიწაზე „სამსოფლო" საკუთრებას. სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის არსებობის უკანასკნელ პერიოდში. როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო ცალკეულ სამთავროებად დაიშალა „ამ უკეთეს მხარეს ჩვენის ეკონომიკური წყობისასა ყური აღარ ათხოვეს, გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორმასწორობა მიწის მფლობელობაში, არამც თუ კომლთა შორისაც. არამედ სოფელთა შორისაც"[1]. საქართველოს ეკონომიკაში მომხდარმა ცვლილებებმა დაასუსტა მდიდარი ქვეყანა, რომელიც მტრებთან საუკუნეობრივ ბრძოლებში გამოვლილი მეზობელი მტაცებელი ქვეყნების, ირანისა და თურქეთის პირისპირ აღმოჩნდა მარტოდმარტო: „დასუსტებული საქართველო, რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით „რკინის კარი შეეხსნა", უფრო კარ-ღია შეექმნა და ადვილი საცილობელი გაუხდა გარს შემორტყმულ მტრებს. ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი, ბმალამოღებულნი თავს ადგნენ დამარცხებულს საქართველოს და მუქარას მუქარაზე უთვლიდნენ"[2]. ამ სახელმწიფოებს აშინებდათ რუსეთი. რომელმაც ამ დროისათვის ჩრდილოეთიდან საქართველოს საზღვრებამდე

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 178.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 207.

უკვე მოაღწია და ამდენად საქართველო გახდა მთელი დასავლეთი და მცირე აზიის ფორპოსტი. ასეთ ვითარებაში საქართველომ ორიენტაცია რუსეთისაკენ აიღო. ამან კიდევ უფრო გაამძვინვარა მისდამი მტრულად განწყობილი მტაცებელი ქვეყნები, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის ბარბაროსულ შემოსევაში. ი. ჭავჭავაძის აზრით, ქვეყნის მძიმე საშინაო და საგარეო ვითარებამ საგონებელში ჩააგდო სამეფო ხელისუფლება, ქვეყნის გადასარჩენად მას „ან ოსმალეთთან უნდა დაეჭირა საქმე, ან სპარსეთთან და ან რუსეთთან, რომ როგორმე გადაერჩინა საქართველო ამოდენ ერთად ზედმოსეულ უბედურებისაგან"[1]. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საქართველომ იმ დროისათვის ყველაზე მისაღები და გონივრული ნაბიჯი გადადგა, როცა სამხრეთის მტრული სახელმწიფოებისაგან თავდაცვისა და ქვეყნის მძიმე საშინაო მდგომარეობისაგან თავის დაღწევის მიზნით ნაბიჯი გადადგა ერთმორწმუნე რუსეთისაკენ, რომლისგანაც საქართველოს მეფენი „ხელშეწყობას და ხელის გამართვას მოჰლოდებიან" ჯერ კიდევ მე-16 საუკუნიდან. მეფე ერეკლეს მიერ რუსეთთან დასაახლოებლად დაწყებული დიდი საქმე, რამაც 1783 წლის ხელშეკრულებაში ჰპოვა გამოხატულება, დააგვირგვინა მისმა შთამომავალმა გიორგი მეორემ, რომელმაც გ. ჭავჭავაძის შუამავლობით რუსეთთან მჭიდრო სახელმწიფოებრივ ურთიერთობას ჩაუყარა საფუძველი, კერძოდ, 1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში შემოვიდა რუსის ჯარი, რომელსაც ქართველი ხალხი ზარზეიმით შეხვდა. „სასოწარკვეთილმა მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თვისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა"[2].

ი. ჭავჭავაძის აზრით, საქართველოს რუსეთთან შეერთება პროგრესულ მოელენას წარმოადგენს, რადგანაც იგი შეპირობებული იყო ჩვენი ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ისტორიული კანონზომიერებით. დიდხანს იბრძოდა საქართველო გარს შემოხვეული მტრების წინააღმდეგ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, ღირსეულად ეჭირა თავი საერთაშორისო ურთიერთობაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთს, სპარსეთსა და თურქეთს შორის წინააღმდეგობანი უკიდურესად გამწვავდა, საქართველოს ბედიც გადაწყვეტილი იყო, ამ დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში მას ყოველთვის ღირსეული ადგილი ეკავა და ანგარიშს უწევდნენ, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ „მეთერამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობითი სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავისი ვალი

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 210.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 216.

და ვახში არ დაჯდებია"[1]... „სასოება გაღვიძებული მეფე და ერი გულწრფელად მიენდო თვისს მომავალსა, დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული"[2].

(ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებით დაიწყო ახალი ეპოქა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სულ სხვა პერსპექტივები. საქართველოს რუსეთთან შეერთების უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის პირველყოვლისა ისაა, რომ მრავალრიცხოვანი მტრების გაუთავებელი თავდასხმებისაგან ქვეყანამ მოისვენა და თავისუფლად ამოისუნთქა.) დიდი რუსეთის სახელმწიფოს შიშით მეზობელი დამპყრობელი სახელმწიფოების, კერძოდ, ირანისა და თურქეთის სამხედრო თავდასხმები შეწყდა, ქვეყნის შიგნითაც წესრიგმა და სიმშვიდემ დაისადგურა. ისტორიის ავბედობით დაშლილი და დანაწევრებული საქართველოს სახელმწიფოებრიობა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი ფენომენი გაქრა და მოისპო, მაგრამ რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში შეიქმნა ქართველი ხალხის მჭიდროდ შეკავშირების იმედი. რუსეთთან შეერთების „ღირსახსოვარი დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი. დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე. გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას. ჩვენს საცხოვრებელს, გთავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა, დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა"[3].

რუსეთთან შეერთებამ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალი, მანამდე უცნობი პერსპექტივები შექმნა, წინათ, რუსეთთან შეერთებამდე, როცა საქართველო მტერთაგან შეავიწროებული და კარჩაკეტილი იყო, მეურნეობას ნატურალური ხასიათი ჰქონდა, ქართველი ხალხი მხოლოდ იმას ამზადებდა, რაც მას სჭირდებოდა, ქვეყნის მთელი ეკონომიკა საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. ეკონომიკური ცხოვრებისათვის უცხო იყო სახალხო მეურნეობის პროდუქციის წარმოება და შექმნა ქვეყნის გარეთ გატანისათვის გასაყიდად... მაშინ, როცა საქართველოს... გარს მტრები ეხვია, როცა სამეზობლოდ მდგომარე ხალხი სამტროდ იყო დამოკიდებული, როცა საქართველო მტერთაგან შინ ჩაკეტილი იყო, გასვლა-გამოსვლის გზები

---

1 ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 176.
2 იქვე, გვ. 217
3 იქვე, გვ. 216—217.

ან სრულიად შეკრული ჰქონდა, ან იმისთანა, რომ დიდის გაჭირვებით, ხარჯით და დროს დაკარგვით, საქართველო არამცთუ სხვა ქვეყნებს, თავისს საკუთარ ნაწილებსაც-კი თვალს და ხმას ძლივს მიაწვდიდა ხოლმე. — მაშინ, რასაკვირველია, ჩვენი მიწათმოქმედება უნდა ძალა-უნებურად მიქცეულ საკუთარი ჰქონიყო. მაშინ ჩვენი ქვეყანა საალებ-მიცემოდ ჭირნახულის გაჩენას ფიქრადაც ვერ გაიტარებდა, რადგანაც აღებ-მიცემობა თხოულობს მშვიდობიანს, იეფს და მსწრაფლ გზასა საქონლის გადასატან-გადმოსატანად"[1]. რუსეთთან შეერთების შემდეგ ეკონომიკურ ცხოვრებაში მწვავე ხასიათი მიიღო ნატურალური მეურნეობის კრიზისმა იმის გამო, რომ „რაც უწინ შინვე ჩვენში კეთდებოდა, ის ეხლა სასყიდელი გაგვიხდა, და ცალკე მით, რომ სახელმწიფო ხარჯი ფულით მოსაშორებელი შეგვექმნა"[2]. ნატურალური მეურნეობის კრიზისმა აუცილებელი გახადა რუსეთის იმპერიაში საქართველოს ეკონომიკური განახლებისა და აღორძინების წინათ არ არსებული შესაძლებლობების გონივრული გამოყენება. რადგანაც საქართველო რუსეთის სახელმწიფოს ნაწილია, მისი ეკონომიკური განვითარების გზა რუსეთის ეკონომიკის თავისებურებებით უნდა განისაზღვროს და რუსეთის საერთო ბაზრის მოთხოვნილებანი გათვალისწინებული იქნას საქართველოს ბუნებრივ პირობებთან ერთად მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებისას. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ამ ეკონომიკურ გზაზე ჩვენი საქართველო რომ დადგეს, ჩვენმა მ-წათმოქმედებამ რომ ეს ახალი გზა და მიმართულება ირჩიოს, რუსეთისათვის ის ამზადოს, რაც რუსეთს არა აქვს, და იქიდამ ის ჰზიდოს, რაც რუსეთს ვერც-კი გაუსაღებია. — სახელმწიფო ინტერესის თვალითაც-კი მეტად სახეიროა თვით რუსეთისათვისაც, რომელიც თავისს ნამეტანის პურისათვის ბევრგან სხვაგან ეძებს ბაზარსა მაშინ, როდესაც ერთი ამისთანა ბაზარი, სხვათა შორის, საქართველოც შეიქმნება, და თვით საქართველოც მატებაში შევა, რადგანაც ამ გზით აქაურ მკვიდრთა ქონება გაძლიერდება"[3]. ი. ჭავჭავაძე ადგენს რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში საქართველოს ეკონომიკური აღორძინების პროგრამას, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: კლიმატური და ბუნებრივი პირობების შესაბამისად მეურნეობის ისეთი დარგების (მევენახეობა, მეციტრუსეობა, მეაბრეშუმეობა, მეხილეობა, სამედიცინო ბალახები, ეთერ-ზეთოვანი კულტურები და ა. შ.) განვითარება, რაც რუსეთსა და მეზობელ ქვეყნებში შეუძლებელია; ბუნებრივი და წიაღისეული სიმდიდრის (ხე-ტყე, შავი-ქვა, ნავთობი) მოპოვება და გამოყენება; მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით სამომხმარებლო და საწარმოო საზოგადოებების შექმნა; გა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 62.
[2] იქვე, გვ. 64.
[3] იქვე, გვ. 65—66.

მოუყენებელი მიწების ათვისება და მელიორაციის განვითარება; ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების ჩამოყალიბება; ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარება; ბაზრებისა და სამიმოსვლო გზების მოწყობა და მშენებლობა და ა. შ.

ეხება რა ამ ეკონომიკური პროგრამის მოთხოვნათა განხორციელების სფეროს, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ჩვენი ეკონომიკური ძალღონე ჯერ კიდევ სოფელია და სოფლური მეურნეობა. ჩვენებური ქალაქები ამ მხრით არავითარ შემწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანასა, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე... რადგანაც დღეს გამრჯელი, მწარმოებელი და მომცემი ჩვენში მარტო სოფელია და მისი საეკონომიო მოქმედებაა ერთადერთი სახსარი ჩვენის ცხოვრებისა, თავის რჩენისა და გამოკვებისა, ამიტომაც ჩვენი სრული ყურადღება მარტო სოფელს უნდა თავს დასტრიალებდეს, მარტო სოფელს უნდა ეკუთვნოდეს, თუ სამუდამოდ არა, ჯერ ხანად მაინცა“[1]. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ეკონომიკური აღორძინების პროგრამის განხორციელებას სოფლის მეურნეობაში (მიწათმოქმედებაში) სოციალურთან და იურიდიულთან ერთად ეკონომიკური მიზეზებიც აბრკოლებენ, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას ხელს უშლის პირველი, საქმის უცოდინარობა და მეორე, სამუშაოდ გადადებული სიმდიდრის უქონლობა: „ცოდნა და ქონება ერთად იგი თავნია (კაპიტალია), იგი ძირის-ფულია ერისა, რომელიც თუ არ მიეშველა მიწას, იგი მიწა, რაც გინდ ნაყოფიერი იყოს, წარმოადგენს ცხრა კლიტით დაკეტილს სალაროს სიმდიდრისას, უქმად დებულისას და ერისათვის დაკარგულისას“[2]. როცა ი. ჭავჭავაძე საქმის ცოდნა-უცოდინარობაზე ლაპარაკობს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ მიწათმოქმედებაში ინდივიდუალური მეურნეობანი, ცალ-ცალკედ, თვითეულად გარჯა და მეცადინეობა წარმატებას ვერ მოგვიტანს, ამიტომ უნდა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები და გაერთიანებანი. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს: „იქ, საცა თითოეული უღონოა, ღონიერნი არიან ყველანი ერთად. ერთიანი ხელის გამოღება, ერთიანი გარჯა, მხნეობა, თვითეულისაგან ერთად მოგროვილი ქონება, თუნდ ცოტ-ცოტაობით, იმოდენა წყაროს შეჰქმნის შეძლებისას, რომ ჩვენ არც ცოდნის მოპოვებაღა გაგვიჭირდება, არც იმგვარ სამოქმედო ქონებისა, რომელიც ცხრა-კლიტურ კარს მიწის სიმდიდრისას გაგვიღებს ჩვენდა წარსამატებლად და საკეთილდღეოდ“[3].

ნატურალური მეურნეობის რღვევა და უფრო მაღალი, პროგრესული ეკონომიკური წყობილების ჩამოყალიბების პერსპექტივა, ი. ჭავჭა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 31—32.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 32—33.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 33.

ვაძის აზრით, რუსეთთან საქართველოს შეერთების შედეგს წარმოადგენს. მაგრამ ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია პროგრესული პოლიტიკური წყობილების დამყარების გარეშე, პოლიტიკა, პოლიტიკური წყობილება აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, მისი განვითარების მიმართულებებზე. ამიტომაც ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობს საქართველოს სამართლებრივ მდგომარეობას რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში და ცდილობს განსაზღვროს რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე მისაღები და გონიერული ფორმა.

(ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ უდიდეს სიკეთესთან ერთად ქართველმა ხალხმა საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო გაიზიარა მეფის თვითმპყრობელობის ჩაგვრისა და ბატონობის ქვეშ მყოფ სხვა ერების მძიმე ბედი, კერძოდ, ქართველმა ხალხმა დაკარგა ეროვნული სახელმწიფოებრიობა და მასზე გავრცელდა რუსეთის მმართველობა, რომელიც ხალხთა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას ემყარებოდა.) დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის დაკარგვა მრავალსაუკუნოვანი ერისა, რომელმაც უძველესი დროიდან მე-18 საუკუნემდე გმირულ ბრძოლებში გამოატარა თავისუფლების დიადი დროშა, არ შეიძლება შეფასდეს დადებით მოვლენად, მით უფრო, რომ ქართველებმა თვითონ, საკუთარი თხოვნით ჩააბარეს საქართველო ძლიერსა და ერთმორწმუნე რუსეთს. ი. ჭავჭავაძის პოემაში — „აჩრდილი", საქართველოს მფარველი, უმაღლესი არსება, რომელიც მუდამ საქართველოს კეთილდღეობაზე ფიქრობს, ჩივის ქვეყნის ბედზე, რომ „წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება, ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორჭმულ-ძლიერი, შენცა გფენია ქვეყნის ნადლი — თავისუფლება, ეხლა აღგვილა ყველა ესე, ვითარცა მტვერი" და უსაყვედურებს ქართველთ, რომ ახლა, ოდესღაც ძლიერი და თავისუფალი საქართველო „თქვენგან გმობილი, — უცხოს კალთის ქვეშ, ვითა ობოლი, შეფარებულა". ი. ჭავჭავაძის აზრით, საქართველო რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ისეა ჩათრეული, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ კულტურას, მის ენასა და საერთოდ სულიერ ცხოვრებას დიდი საფრთხე ელის. ი. ჭავჭავაძე, შემდეგნაირად განსაზღვრავს საქართველოს სამართლებრივ მდგომარეობას რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში: „ჩვენი ქვეყანა სათრეველაა ერთს დიდ ურემზედ გამობმული. საითაც გაიწევს ურემი, იქით მიდის სათრეველაც"[1].) ქართველთა სულიერი ცხოვრების თავისებურებათა უგულებელყოფა რუსეთის სახელმწიფოს მიერ ამ უკანასკნელის მიმართ არა მარტო დიდ წინააღმდეგობას აწყ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 268.

დება. არამედ ხელს უშლის ქართველ ხალხს თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს მრავალეროვანი რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში: „ენა, ჩვეულება, წესიერება, ისტორია, ყველა ეს შეადგენს იმ განსაკუთრებულს ნიადაგს, რომლის მიუხედველად შეუძლებელია ხალხის ცხოვრებაზედ ზემოქმედება, მისი წარმატება და მისის კეთილ-მდგომარეობისათვის სარგოიანი მოღვაწეობა“[1].

რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა ზემოაღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით ი. ჭავჭავაძის ინტერესის საგანს წარმოადგენს თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დაწყებიდანვე. ჯერ კიდევ 1861 წელს დაწერილ მოთხრობაში — „მგზავრის წერილები“ — ი. ჭავჭავაძე სვამს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს, კერძოდ, მოხევესთან საუბარში იგი ცდილობს შეაფასოს საქართველოს რუსეთთან შეერთების ცალკეული მხარეები. ი. ჭავჭავაძესთან საუბარში პატრიარქალურ ყოფას შეჩვეული მოხევე უკმაყოფილოა საქართველოში რუსული მმართველობის შემოღებით. იგი ამბობს: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს, გარეთ მავნეს დავულაგმნიდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძნდით, ერთ-ურთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით და ესრეთ იყვის ბრალება კაცისა, ერთ-ურთობა. აწინა ერობა დაიშალოს, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, მტრობა-მპარვაი გახშირდნის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხოს, ატირდომილ ვინ გააცინოს, დაცემულ ვინ აღადგინოს? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ — პირად და გულად ჯულურ არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩაი მახევე?“[2] მოხევეს ამ საყვედურებს ი. ჭავჭავაძე უპირისპირებს რუსეთთან საქართველოს შეერთებიდან წარმომდგარ ყველაზე დადებითსა და ანგარიშგასაწევ მოვლენას, კერძოდ, რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს მიერ ნაპოვნ მშვიდობას. მოხევე არ უარყოფს, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად ქართველები მუდმივ მშვიდობაში ცხოვრობენ, მაგრამ განაგრძობს მოხევე: „რაის ვაქნევ ცარიალ

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 268.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 28.

მშვიდობას ცარიალ სტვამაქით, რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსეენარ თერგჩი კი კალმახი იცის. რაი არნ მშვიდობა ცოცხვალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიელ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის"[1].

პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებული ი. ჭავჭავაძის მიერ მოხევესთან საუბარში დასმული პრობლემა დიდი ქართველი მოაზროვნისა და განმანათლებლის მთელი შემოქმედების უმთავრესი მოტივია და ამ პრობლემის სამართლიან და გონივრულ გადაწყვეტას დაუღალავად ემსახურებოდა იგი სიტყვითა და საქმით თავისი ცხოვრების ეკლიან გზაზე: „მიგიხვდი, ჩემო მოხეევე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო" — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი!.."[2]

ი. ჭავჭავაძე სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას მოხევის მიერ გულისტკივილით დასმული პრობლემის გადასაწყვეტად და დიდი რუდუნებითა და მონდომებით დაიწყო რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეროვნული მოწყობის ახალი, ყველაზე მისაღები ფორმების ძიებისათვის შემოქმედებითი მუშაობა[3].

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ რუსეთის სახელმწიფოს თავისებურება ისაა, რომ მასში სხვადასხვა ტომის, ენისა და რჯულის ერები ცხოვრობენ, რომლებიც გაფანტული კი არაა რუს მოსახლეობაში, არამედ თავიანთ მამა-პაპეულ მიწა-წყალზე არიან დასახლებული კომპაქტურად, ამიტომ „ერის უდიდესს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან"[4]. რუსეთის უზარმაზარი იმპერიის სხვადასხვა ადგილებში მცხოვრებთა მთავარი გულისტკივილი, სამდურავი და საჩივარი ისაა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებია წარმოდგენილი, ხოლო ამ სახელმწიფოში მცხოვრები ერების საკუთარი გასაჭირი კი მთლიანად მივიწყებულია. რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში არ არის განსაზღვრული ამ ერთა პოლიტიკური ორგა-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 28—29.
2 ი ქ ვ ე, გვ. 30.
3 გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 375; ი. ს ო ო ბ ო ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 21—23 და ა. შ.
4 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 79.

ნიზაციის სამართლებრივი საფუძვლები: „რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამორკვეული და დადგენილი დედააზრი მასზედ, — თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი“[1]. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ დასახულ ამოცანებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში ახორციელებენ თანამდებობის პირები, მოხელეები, მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს მიერ ცალკეულ ერთა სამართლებრივი მდგომარეობის განუსაზღვრელობის გამო უვიც ჩინოვნიკებს ეგონათ, რომ „ეროვნების დევნა და ჩაგვრა თავი და ბოლოა სახელმწიფოდ მომქმედის კაცისა, საჭიროა სახელმწიფოს წარმატებისათვის და თვითონ უმაღლესი მთავრობაც ამისი მსურველი და მცდელია. ამ მხრით არავის ისეთი ვნება არ მოუტანია რუსეთისათვის, როგორც თავის ქეიფზედ მოარული მოხელეებსა: ორგულობას შვრებოდნენ და ერთგულებად კი მიაჩნდათ და იმათი კადნიერება იქამდის მიდიოდა, რომ მთავრობას მუნათსაცა სდებდნენ. მათი მოქმედების შედეგი ის იყო, რომ რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აგებულიყო სახელმწიფოს ძალ-ღონე, კეთილდღეობა და წარმატება“[2]. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ რუსეთის სახელმწიფო მოხელეების მიერ ერების დევნა-შევიწროებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში აქვს ადგილი. რუსი მოხელეების უგუნურებიდან წარმოსდგება ის აზრი, თითქოს სახელმწიფოს ერთიანობა არ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას, თუ ყველა ქვეშევრდომი ერთ ენაზე, კერძოდ, სახელმწიფო ენაზე არ ლაპარაკობს.

(ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მიერ პატარა ხალხების ეროვნული ინტერესების დაუცველობამ, მთავრობის მოხელეთა უცოდინარობიდან წარმომდგარმა ერების დევნა-შევიწროებამ და უპატივცემულობამ არა მარტო პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ ადამიანთა სულიერი ცხოვრების სხვა დარგებშიც გაიდგა ფეხი. ამ მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობაშია ქართველი ერი: „ჩვენისთანა დაბრიყვებული, დაბალ ღობედ მიჩნეული ერი, ჩვენისთანა სახელგატეხილი ძნელად თუ სხვა მოიპოვება დედამიწის ზურგზე. ვინც გნებავთ, ან ზედ გვაბოტებს, ან გვქელავს და მიწასთან გვასწორებს. ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გაიჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასაკით ქარს გაატანონ.) თითქო არც ოდესღაც ვყოფილვართ, არც დღეს ვართ... სულით დაბალნი, ჭკუა-გონებით ჩლუნგნი, ზნეობადაცემულნი, ფლიდნი, პირისგამტეხნი, მხდალნი — ლაჩარნი — აი ჩვენის სულიერ და ხორციელ ავლა-დიდების სურათი! აი რანი ვყოფილვართ, რანი ვართ დღეს იმათის სიტყვით, ვისაც ასეთ თვისდა სა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 80.
[2] იქვე.

სარგებლად მიუჩნევია ჩვენის სახელის გატეხა, ჩვენი მიწასთან გასწორება"[1].

(რუსეთის სახელმწიფოს მმართველი წრეებისა და მათი წაყრუებით წაქეზებულ ვიგინდარათა მიერ ერების დევნა-შევიწროებამ, ი. ჭავჭავაძის აზრით, უარყოფითი შედეგი გამოიღო. პატარა ერების ჩაგვრამ შეაძულა რუსეთის სახელმწიფო ამ ერებს და მათი ეროვნული გამოფხიზლების შედეგად დაიწყო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მიზანს წარმოადგენს ეროვნული ჩაგვრისა და პრივილეგიების მოსპობა და რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში მცხოვრები ერების პოლიტიკური ორგანიზაციის სამართლებრივი საფუძვლების დადგენა.)

ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის, ი. ჭავჭავაძის აზრით, უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ისტორიულ ავბედითობას უნდა მიეწეროს ის, რომ საქართველო ორი დიდი აგრესორი სახელმწიფოს — ბიზანტიისა და სპარსეთის ბრძოლის ცეცხლში აღმოჩნდა და მისი ტერიტორიული ნაწილები ხან ბიზანტიისა და ხანაც სპარსეთის ბატონობას განიცდიდა, შემდეგ არაბების ბატონობა დაიწყო. მე-17 საუკუნიდან თურქეთმა წამოიწყო სამხრეთ საქართველოს მიწების მიტაცება, ამავე პერიოდიდან განსაკუთრებით აქტიური ხდება სპარსეთი, რომელმაც რუსეთთან შეერთებამდე ბევრჯერ დაარბია საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი. მეზობელი აგრესორი სახელმწიფოების ბატონობას საქართველოში მუდმივი ხასიათი არ ჰქონია, ქართველ ხალხს ყოველთვის ჰყოფნიდა ძალები ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისა და სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის აღდგენისათვის. მაგრამ სულ სხვაგვარ შეფასებას მოითხოვს ისეთი პოლიტიკური მოვლენა, როგორიც საქართველოს რუსეთთან შეერთებაა. ამ შემთხვევაში ლაპარაკია რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში საქართველოს არა დროებით არსებობაზე, არამედ იმაზე, რომ ქართველმა ხალხმა ნებაყოფლობით თავისი შემდგომი სახელმწიფოებრივი ბედი რუსეთს მუდმივად დაუკავშირა, რითაც საქართველომ მოისვენა მტრებისაგან და მშვიდობა მოიპოვა, მაგრამ ეს მშვიდობა მაშინ მოგვიტანს სარგებლობას, თუ იგი ხელს შეუწყობს ქართველი ერის სულიერ და მატერიალურ აყვავებას. მაგრამ რუსეთის იმპერიაში სახელმწიფოსა და ერების განვითარების ინტერესები ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რაც ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას იწვევს. ქართველი ერი, რომელმაც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა რუსეთთან სამუდამოდ დაკავშირებამდე ღირსეულად დაიცვა, უძველესი დროიდან დაწყებულმა მძიმე ეროვ-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 95.

ნულ-განმანთავისუფლებელმა ბრძოლებმა მოქანცა და თავისი თავის იმედი დააკარგვინა. რუსეთთან შეერთების შემდეგ კი „თავი თითქოს მოსვენებას მისცა: გაუყუჩდა, და თითქმის ხმა-ამოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილ ბედსა და გარემოებას“[1].

მაგრამ მეფის თვითმპყრობელობის ეროვნულმა ჩაგვრამ ადრე გამოაღვიძა ქართველი ხალხი, რომელმაც დაიწყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა რუსეთის იმპერიაში ფაქტიურად ჩამოყალიბებული საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობის შესაცვლელად. ი. ჭავჭავაძის აზრით, რუსეთთან შეერთებიდან დაწყებული მთელი XIX საუკუნის მანძილზე მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულმა ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ ორი ეტაპი განვლო: პირველი, თავადაზნაურულ-პროგრესული და, მეორე, რევოლუციურ-დემოკრატიული, განმანათლებლური[2] ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მონაწილენი ორივე ეტაპზე ერთ საერთო მიზანს ისახავდნენ, კერძოდ, ისინი იბრძოდნენ საქართველოში ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. მაგრამ მათ შორის პრინციპულ განსხვავებას ჰქონდა ადგილი ეროვნული სახელმწიფოებრიობის ბრძოლის მეთოდებისა და ეროვნული სახელმწიფოს ფორმის გაგებაში.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპი, რომელსაც სათავეში ედგა თავადაზნაურულ-პროგრესისტთა ჯგუფი, დაიწყო საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან. მაგრამ რაც შეეხება მის დასასრულსა და აგრეთვე, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპის დასაწყისს, მის შესახებ ი. ჭავჭავაძის ნაშრომებში გვხვდება უმნიშვნელო განსხვავება. 1883 წლის აგვისტოში ი. ჭავჭავაძე აქვეყნებს „შინაურ მიმოხილვას“, რომელშიც მიუთითებს, რომ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის პირველი ეტაპი ესაა პერიოდი რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს გაერთიანებიდან დაწყებული XIX საუკუნის 40-იანი და 50-იანი წლების ჩათვლით[3]. 1892 წელს დაწერილ ნაშრომში — „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ — ი. ჭავჭავაძე საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების სხვაგვარ ქრონოლოგიურ თარიღს გვაძლევს. მისი აზრით, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპი გრძელდება „მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლების თითქმის მეორე ნახევრამდე“[4]. ამის შემდეგ იწყება ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მეორე ხანა, მეორე ეტაპი[5], როცა ქართველთა სულიერ ცხოვრებაში „ის უპასუხოდ

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 203.
2 ი ქ ვ ე, გვ. 203—205.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 275.
4 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 205.
5 ი ქ ვ ე, გვ. 206.

დარჩენილი საკითხი: „ვინა ვართ და რანი ვართ“ — ხელახლად უნდა გამოსულიყო მოედანზე“[1]. 1894 წელს ი. ჭავჭავაძე აქვეყნებს ნაშრომს — „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა“, რომელშიც იგი მიუთითებს, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთებით დაწყებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელი „ილაჯ-გაწყვეტილის, ღონე-მიხდილის ერის ხმა-ამოუღებლობა ემჩნევა მარტო ამ საუკუნის პირველი მეოთხედის წლებს“[2], რის შემდეგ იწყება მეორე ეტაპი.

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების საზღვრების ქრონოლოგიური განსხვავება, რომელიც ი. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნულ ნაშრომებში შეიმჩნევა, მაშინვე ქრება, როცა იგი გვაძლევს თითოეული ეტაპის დახასიათებას. ი. ჭავჭავაძის აზრით, რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგდროინდელი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპი არსებითად ეს არის XVIII საუკუნის ვაი-ვაგლახის და XIX საუკუნის პირველი წლების წეწვა-გლეჯისაგან ქართველი ერის მოსვენების და ახლად მოელენილი სვეტიცოველისა და ვითარებისადმი ხმა-ამოუღებლივ დამორჩილების პერიოდი. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, რომელიც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპს განეკუთვნება, როგორც ცალკეული ინდივიდი, ასევე მთელი საზოგადოება „თავბრუ დასხმულსავით გარინდებული იყო და საქვეყნოდ არც ხალისი, არცა ღონე არ გამოუჩენია — არც უკან მიხედვისათვის, არც წინ დანახვისათვის“[3]. ამ მდგომარეობამ შეაფერხა ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების განვითარება, მაგრამ წარსულის დიდი ბრძოლებით დაღლისაგან ერის მოსვენების ამ პერიოდში იგი სრულ უმოქმედობას არ იჩენდა, არამედ გარდასულ დღეთა ნათელი შუქი და „წინა-დღიდგან გამოყოლილნი და გულში ჩარჩენილნი ანდერძნი კიდევ ასულდგმულებდნენ“ საზოგადოების მოწინავე ფენების წარმომადგენლებს, რომლებმაც „ერთად თავი მოიყარეს და იფეთქეს ამ ანდერძების სახელითა, მაგრამ დაპმარცხდნენ“[4]. როგორც ჩანს, ი. ჭავჭავაძეს აქ მხედველობაში აქვს 1832 წლის შეთქმულება საქართველოში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ, რომლის მონაწილეებსაც მეფის თვითმპყრობელობა სასტიკად გაუსწორდა. ი. ჭავჭავაძე, მართალია, საგანგებოდ არ ჩერდება 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკურ პროგრამაზე და შეთქმულების დამარცხების ცალკეულ მიზეზებზე, მაგრამ იგი შეთქმულთა მიმართ პოლიტიკურ სიმპათიებს არ მალავს, რადგან ისინი წარსულის დიადი ან-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 205.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 237.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 203.

დერძების მიმდევარნი იყვნენ[1]. მიუხედავად ამისა, ი. ჭავჭავაძის აზრით, 1832 წლის შეთქმულთა დამარცხების მთავარ მიზეზს ის წარმოადგენდა, რომ მისი მონაწილეები არ იცნობდნენ საზოგადოების განვითარების საერთო, ზოგად კანონზომიერებას. შეთქმულები, ი. ჭავჭავაძის აზრით, ხალხის ფართო მასებისაგან განცალკევებით, ფარულად მოქმედებდნენ, მათი გამოსვლა „კარჩაკეტილი იყო, ხმა-ამოუღებელი, დაქსაქსული, აქა-იქ ცალ-ცალკე ბეუტავდა“[2]. მეტიც, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, წარსული დროის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ტრადიციებისა და იდეალების შესაბამისობაში არ იყო მაშინდელი „აწმყოს გამომწვევი აზრი და მიმართულება“[3]. 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ თავზარი დასცა ქართველ ხალხს: „გარნა რაკი წარსულის მომხრენი დამარცხდნენ, მთლად დაუთმეს ცხოვრების მოედანი გამარჯვებულთა. მისწყდა ამ ანდერძთა რიხიანი ხმა და მაშინდელმა მოღვაწეებმა ზურგი შეუქციეს წარსულ ანდერძთა ღაღადებას. დამარცხებულნი მთლად გაეცალნენ ცხოვრების სარბიელიდამ, დაიქსაქსენ, თუმცა კი გულისტკივილი მათი თესლად დარჩა ცხოვრების ხნულში... ამ თესლზე გასწყდა ჯაჭვი ცხოვრების ზედ-მიყოლებისა, აწმყოსა და წარსულს შუა ჩატყდა ხიდი“[4]. შეთქმულთა დამარცხების გამო „ბუნებური ორკეცი დენა ცხოვრებისა შედგა“, კერძოდ, „მოაზრე“ და „მოსაქმე“ ცხოვრება (სულიერი და მატერიალური ცხოვრება) შეფერხდა, დავიიწყეთ „საგანი ცხოვრებისა“, ანუ, შევწყვიტეთ ფიქრი იმაზე „ვინა ვართ და რანი ვართ“. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ XIX საუკუნის ოცდაათიანი წლების თითქმის მეორე ნახევრამდე „უსაქმობამ და უსაგნობამ ცხოვრებისაგან გახიზნა მაშინდელი კაცები და შეუხიზნა ახალ ვითარებას“[5]. ერის განათლებული ადამიანების ერთმა ნაწილმა რუსეთის სახელმწიფოს სამხედრო სამსახურს მიაშურა, მეორე ნაწილი კი მომავლის მოლოდინში საკუთარ ოჯახებში ჩაიკეტა. ი. ჭავჭავაძე წერს, რომ ასეთ ვითარებაში „ქართველი ორმოციანისა და ორმოც-და-ათიანის წლებისა დარჩა უსაგნოდ, ვარჯიშობას მოკლებული, მარტო, სულით ობოლი, სასოებამიხდილი“[6]. მაგრამ საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების განვითარების ინტერესები ერის უქმად ყოფნას ეწინააღმდეგებოდა, რაც უფრო და უფრო გადიოდა დრო, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობიდან წარმომდგარი წინააღმდეგობანი გადაჭრას მოითხოვდა. მართალია, სახელმწიფოებრივად საქართველო რუ-

---

1 ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 51.
2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 237.
3 იქვე, გვ. 203.
4 იქვე, გვ. 203—204.
5 იქვე, გვ. 205.
6 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 276—277.

სეთთან იყო გაერთიანებული და „ჩვენობა და უცხოობა ერთმანეთს იშვნევდნენ, მაგრამ გულში-კი ერთმანეთთან ვერა ჰრიგდებოდნენ“[1]. ამის გამო „უპასუხოდ დარჩენილი საკითხი: „ვინა ვართ და რანი ვართ“ — ხელახლად უნდა გამოსულიყო მოედანზე“[2]. და მართლაც ასე მოხდა, დაიწყო (ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის მეორე ეტაპი, რომელიც მთელი სისრულით წარმოჩენილი იქნა XIX საუკუნის სამოციან წლებში, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ „თერგდალეულები“.) ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპისაგან განსხვავებით, ის, რითაც დაიწყო ახალი ეტაპი, ეს „იყო მწერლობა, რომელიც ჰზრდის და ინახავს ენას, და რომელმაც ხელახლად ხმა ამოიღო ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში.) ამით დაიწყო, ჩვენის ფიქრით, მეორე ხანა ჩვენის ცხოვრებისა. ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეაფარა თავი, და ამიტომაც მათის გამონასკვის, ზრდის და მატების ამბავი აქ უნდა ვეძიოთ. აქ გამოჩნდება — გუშინ რას ვსდევდით ახალნიცა და ძველნიცა, აქ დავინახავთ — რას ითხოვდა ჟამთა სიარულში წინა-დღე და რა პასუხს აძლევდა“[3]. („თერგდალეულები“ აღმოჩნდნენ 1832 წლის შეთქმულთა ღირსეული მემკვიდრენი: „სამოციან წლებში გამოსულთ მწერალთა დაიწყეს გახსენება წარსულისა და ჩაუდგეს ქვა-კუთხედი იმ ხიდს, რომელიც ჩასტყდა წარსულსა და აწმყოს შუა, და რომლის ხელახლად გადებას სცდილობს დღევანდელი დღე)[4]. 1883 წელს დაწერილ სტატიაში — „შინაური მიმოხილვა“ — ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ დღეს ერების სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ სხვაგვარი შეხედულებები ვრცელდება ევროპასა და რუსეთში, გამოჩენილი სწავლულები საჯაროდ აღნიშნავენ, რომ ისტორიული ერების მოსპობა შეუძლებელია, ძლიერთა მიერ პატარა ერების ჩაგვრისა და დამცირების შემდეგ უკანასკნელები მაინც აღდგებიან და თავისუფლებას მოიპოვებენ, მაგრამ დამპყრობთა და მჩაგვრელთა მიმართ ზიზღი და სიძულვილი კი თაობიდან თაობას გადაეცემა. ასეთ ვითარებაში ქართველთა შორისაც „განმტკიცებულია და აღგზნებული ეროვნული გრძნობა და თავისუფლების სურვილი... დღეს ცხადად და უტყუარად შესამჩნეველია ნიშნები ერის გამოფხიზლებისა, ძველის საუკეთესო ნაანდერძევის აღდგენისა... დღეს ბევრსაც ერთიანად გვწამს ჩვენც ჩვენის ქვეყნის მომავალი“[5]. ამრიგად (ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მე-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 205.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 206.
4 იქვე, გვ. 231.
5 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 278—279.

ორე ეტაპის უმთავრეს ამოცანად ქართულმა მწერლობამ კვლავ დასახა რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისათვის თავისუფლების მინიჭება. ი. ჭავჭავაძე 1860 წელს ჯერ კიდევ სტუდენტობისას რუსეთში დაწერილ პოემაში — „ქართველის დედა", რომელიც ქართველი ხალხის მომავალ ცხოვრებას ეძღვნება, ეხება რა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ კავკასიის ხალხების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გამოცოცხლებას, აღნიშნავს: „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა. ხალხი მოქმედობს, კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, — და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება!.."[1] კავკასიის ხალხი, „მტერზედ რისხვით აღმომქშინავი", მხოლოდ თავისუფლებაზე ოცნებობს და მისთვის იბრძვის, რადგან თავისუფლება არის ამ ქვეყნად სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველი: „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი, შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი, შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა. შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა. მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული, ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო"[2]. ი. ჭავჭავაძის აზრით, უკვე დაიწყო კავკასიელი ხალხის განთავისუფლების ეპოქა, მაგრამ თავისუფლების მოპოვება მხოლოდ მთელი ხალხის შეიარაღებული ბრძოლით შეიძლება.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის იდეები განვითარებულია ი. ჭავჭავაძის „აჩრდილში", რომელიც მართალია „ქართვლის დედაზე" უფრო ადრე დაიწერა, მაგრამ არ შეიძლება აქ ჩამოყალიბებული შეხედულების გენეზისზე მსჯელობისას მხედველობაში არ იქნას მიღებული ის გარემოება, რომ მისი საბოლოო რედაქცია 1872 წელს განეკუთვნება. ამ ნაწარმოებში ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ საქართველო „ქვეყნის მადლი — თავისუფლება, ეხლა აღგვილა ყველა ესე, ეითარცა მტვერი... და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა... მას დაჰკარგვია ტანჯვით შორის შენდამი რწმენა და დაუგდიხარ ვით ტაძარი გაუქმებული"[3]. ასეთ ვითარებაში მყოფ საქართველოში „ღვთის ნაპერწკალი ზოგჯერა ჰკრთების... აგერ ორ-სამს კაცს რაღაც უგრძვნიათ, ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ, თუმც ერთისათვის თითქო იღწვიან", მაგრამ „თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ, თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან"[4]. ი. ჭავჭავაძის აზრით, ცხოვრების ზვირთნი „სხვა-დასხვა ტოტად გადმოსულან, გადაგდებულან", მაგრამ თავისუფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება მოპოვებული იქნას „როს ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა ერთის აზრისა, ერთის ფიქრით განდიდდებიან".

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 1, გვ. 151.
2 ი ქ ვ ე, გვ. 151—152.
3 ი ქ ვ ე, გვ. 135.
4 ი ქ ვ ე, გვ. 137—138.

რაც შეეხება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „თავისუფლების მშვენელი ამ ქვეყნად მარტო თოფია", ი. ჭავჭავაძე აქ ანეითარებს მოსაზრებას, რომ ქართველმა ხალხმა დიდი ბრძოლები გადაიხადა თავისუფლების შენარჩუნებისა და მოპოვებისათვის და შეჰვედრებს ღმერთს, რომ ქართველებს აკმაროს თავისუფლებისათვის დაღვრილი სისხლი: „ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ ქართველისა ძენი, დასაბამითვე არ იციან — რა არს მშვიდობა, იკმარე საღმრთოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი, თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტანჯვით შენდობა"[1].

„აჩრდილში" ი. ჭავჭავაძე ამუშავებს ქართველი ხალხის განთავისუფლების მეცნიერულ საწყისებზე დამყარებულ მოძღვრებას. იგი მიუთითებს, რომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების აღდგენა შეუძლებელია, თუ ქართველი ხალხი არ შეიცნობს საზოგადოების განვითარების ზოგად კანონზომიერებას და მას არ დაუქვემდებარებს თავისი პოლიტიკური მოთხოვნების განხორციელებას. საქართველოს მფარველი „აჩრდილში" შთააგონებს ქართველ ერს, რომ გაუქმებული ტაძრის აღდგენა და წინაპართა ანდერძის შესრულება არ მოხდება მანამ, „ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას და მცნების ნათლით ზეაღზიდულ, ამაღლებული ჭკვით არ განსჭვრეტავს საზოგადო ცხოვრების დენას"[2].

განსხვავებით 1832 წლის შეთქმულთაგან, რომელთა სოციალური ბაზა შეზღუდული, ხოლო პოლიტიკური პროგრამა კი არაერთიანი იყო, ი. ჭავჭავაძის მეთაურობით „თერგდალეულები" ცდილობენ „ჭკვით განსჭვრიტონ საზოგადო ცხოვრების დენა" და მეცნიერულ საწყისებზე დააფუძნონ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, „საზოგადო ცხოვრების დენის" შესაბამისად განსაზღვრონ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის ფორმები და ამოცანები.

ი. ჭავჭავაძე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის მთავარ მიზნად მიიჩნევდა ქართველი ერის თვითმყოფობის შენარჩუნებას, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაუქმებული ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ მოწყობას ისეთნაირად, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეუფლნეს". მაგრამ მეფის თვითმპყრობელობის რეაქციული რეჟიმის პირობებში ამ მიზნისათვის ბრძოლის ფორმებს განსაზღვრავდა ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, რომელიც ერთნაირი არ იყო მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ი. ჭავჭავაძე ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიული სიტუაციის მიხედვით წარმართავდა ქართველი ხალხის

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 1, გვ. 149.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 136.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს: „მე შორს, ფილოსოფიის მორევში არ შევდივარ... მე მოკლედ ვსჯი და მოკლედ ვსჭრი: აზრი ცხოვრებისა იმაშია, რომ შეიტყო, შეიმეცნო: ჟამი რას ითხოვს, ტირილსა თუ სიცილსა, განყრას თუ შეკრებას, დუმილსა თუ მეტყველებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს, ბრძოლას თუ მშვიდობას“[1].

როგორც ზემოთ დავინახეთ, რუსეთში ბატონყმობის გაუქმების ეპოქაში ი. ჭავჭავაძე შეიარაღებული აჯანყების გზით ქართველი ხალხის განთავისუფლებასა და დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებობს, მაგრამ მოგვიანებით, რუსეთში შედარებით სტაბილური მდგომარეობის შექმნისა და აგრეთვე 1832 წლის შეთქმულების დამარცხების მიზეზების ყურადღებით შესწავლის საფუძველზე, ი. ჭავჭავაძე უკვე რწმუნდება, რომ რუსეთ-საქართველოს არსებული ურთიერთობის პირობებში შეუძლებელია ამ გზით საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა. ამიტომ იგი ეძებს გაუქმებული ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის უფრო რეალურ საშუალებებს და 1832 წლის შეთქმულების პროგრესული ნაწილის, კერძოდ, ს. დოდაშვილისა და აგრეთვე გ. ერისთავის და სხვათა მოსაზრებების ზეგავლენით მიდის იმ დასკვნამდე, რომ რადგან კონკრეტულ სიტუაციაში ფუჭი ოცნებაა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს არსებობა, ამ ეტაპზე მთავარია გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, თუნდაც ეს მოხდეს რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს იდეა ი. ჭავჭავაძემ მთლიანად მიიღო ს. დოდაშვილისაგან, რომელიც, როგორც ცნობილია, მოითხოვდა რუსეთის მონარქიული სახელმწიფოს ფარგლებში რესპუბლიკური საქართველოს შექმნას[2]. ამაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გაზეთ „დროების“ 10 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულზე ს. მესხისა და ი. ჭავჭავაძის გამოსვლები. ს. მესხს განუცხადებია, რომ გაზეთ „დროების“ ზეიმზე შეკრებილნი თანაგრძნობას უცხადებენ იმ დროშას, რომლის ქვეშ დღეს ყველანი გაერთიანებული ვართ და „ეს დროშა მარტო ერთს გაზეთს, ან რომელსამე მიმართულებას ან თაობას კი არ წარმოადგენს. ამ დროშაზე არ აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თაობა“[3]. იქვე დამსწრე ი. ჭავჭავაძეს უთქვამს: „ყველას სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეწყოს, თუმცა იმ დროშაზედ, რომელზედაც უფ. მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თვისი მიმართება ზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 334.

2 მ. გ ო ცა ძ ე, სოლომონ დოდაშვილი, თბილისი, 1955; თ. კ უ კ ა ვ ა, სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობა, თბილისი, 1955 და ა. შ.

3 გაზ. „დროება“, 1876, 7 მარტი, № 24.

გადმოცემული განსვენებულის დოდაევისაგან, გიორგი ერისთავისაგან. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში"[1].

ამრიგად, რა თქმა უნდა საქართველოს სრული დამოუკიდებლობა ყველა ქართველის და მაშასადამე ი. ჭავჭავაძის უმაღლეს მიზანს შეადგენდა, მაგრამ როგორც 1832 წლის შეთქმულებამ ცხადყო, ამ მიზნის განხორციელება უტოპიური აღმოჩნდა და როგორც რეალისტი მოაზროვნე კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში იგი ეძებს ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის პრაქტიკულად განსახორციელებელ საშუალებას. ი. ჭავჭავაძე მთლიანად ღებულობს ს. დოდაშვილის მოსაზრებას რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში რესპუბლიკური საქართველოს შექმნის იდეას, მაგრამ მას აზუსტებს და სრულყოფს მეცნიერების განვითარების იმდროინდელი დონის შესაბამისად. დაწყებული „მგზავრის წერილების" დაწერიდან და დამთავრებული სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობით, იგი თავდაპირველად დიდი სიფრთხილით და „ენის კვნეტით" მოითხოვს მთელ საქართველოში თვითმმართველობების შემოღებას, ხოლო შემდეგ, 1905 წლის რევოლუციით გამოწვეული რუსეთის თვითმპყრობელობის კრიზისის ეპოქაში, გაბედულად იბრძვის საქართველოს ავტონომიისათვის, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უკიდურეს რევოლუციურ მოთხოვნად მიაჩნდა თვით ი. ჭავჭავაძის თანამებრძოლებსაც კი.

### § 8. ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტი და ბრძოლა მისი განხორციელებისათვის

რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკური რეჟიმი და რუსული კანონების მიხედვით საზოგადოებრივი ურთიერთობების იძულებითი მოწესრიგება ქართველი ხალხის წინააღმდეგობას იწვევდა. მეფის თვითმპყრობელობის მხრივ ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას, როგორც საგლეხო რეფორმამდე, ასევე რეფორმის შემდეგ ქართველი ხალხი აჯანყებებით პასუხობდა. გლეხთა აჯანყებებს ადგილი ჰქონდა კახეთში (1812—1813 წწ.), გურიაში (1841 წ.), სამეგრელოში (1857 წ.), სიღნაღის მაზრაში (1878 წ.) და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის პროგრესული მოაზროვნეები (ჩერნიშევსკი, ბელინსკი, გრიბოედოვი და სხვები) მხარს უჭერდნენ ქართველი ხალხის ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. ა. გრიბოედოვი კავკასიის განცალკევებული კორპუსის მეთაურს გენერალ პასკევიჩს ქართველ

[1] გაზ. „დროება", 1876, 7 მარტი, № 24.

ხალხთან ურთიერთობის პრინციპების შესახებ თურმე სწერდა: „აქაურ ხალხა ნუ ახვევთ თავზე მის ზნე-ჩვეულებების შეუფერებელს უცხო კანონებს, რომელნიც არც არავის ესმის და არც არავინ ღებულობს. ხალხს დაუყენეთ მისი საკუთარი ამორჩეული მოსამართლეები, რომელთაც ისინი ენდობა. თუ შეიძლება ნუ შეეხებით მის შინაურ გამგეობას; მა ს მმართველობაში და სამართალში მხოლოდ მთავრობის მხრით არჩეული დეპუტატები დაესწრონ ხოლმე, სხვაფრივ ძალას ნურაფერში დაატანთ“[1].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ რუსეთის მოწინავე მოაზროვნეები გრადოვსკი, სპასოვიჩი, არსენიევი და სხვები რუსეთის სახელმწიფოში ადგილობრივი მმართველობის ყველაზე მისაღებ ფორმად აღიარებენ თვითმმართველობებს, ამიტომ, ბუნებრივია, იგი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სისტემატური დაკვირვებისა და რუსეთის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელების თავისებურებათა შესწავლის საფუძველზე გულმოდგინედ ამუშავებს მოძღვრებას საქართველოს ჯერ თვითმმართველობითი და შემდეგ კი ავტონომიური მოწყობის შესახებ. მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თვითმმართველობა და ავტონომია, როგორც ხალხებისა და ერების სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმა, იურიდიული პრობლემაა, კერძოდ, ამ პრობლემაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის ისეთი საკვანძო დებულებების, ცნებებისა და კატეგორიების ცოდნის გარეშე, როგორიცაა სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, სახელმწიფო წყობილების ფორმები, პოლიტიკური რეჟიმი ანუ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების მეთოდები და ხერხები, სახელმწიფო მმართველობის ფორმები და ა. შ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის ზემოაღნიშნულ პრობლემებს ი. ჭავჭავაძე შესანიშნავად იცნობდა და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ი. ჭავჭავაძის მოძღვრება ავტონომიის (თვითმოქმედების) შესახებ მეცნიერულ საფუძვლებს ემყარება და რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმად მის მიერ ავტონომიის მოთხოვნა ღრმად დასაბუთებულად მოჩანს.

ი. ჭავჭავაძის ნაშრომებიდან ცხადად ჩანს, რომ იგი შესანიშნავად ერკვეოა არა მარტო სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის, არამედ იმდროინდელ მსოფლიოში არსებული ქვეყნების სახელმწიფოებრივი წყობილებისა და მმართველობის ფორმებში, ამ სახელმწიფოთა საქმიანობის ძირითად მიმართულებებში. იმის ნათელსაყოფად თუ რა ღრმა თეორიულ საფუძვლებს ემყარება ი. ჭავჭავაძის მოძღვრება ავ-

[1] ჟურნ. „კავალი“, 1895, № 2, გვ. 2.

ტონომიის (თვითმოქმედების) შესახებ, პირველ ყოვლისა უნდა შეეხოთ მის მოსაზრებებს სახელმწიფო წყობილებისა და სახელმწიფო მმართველობის ფორმების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების ხერხებისა და მეთოდების შესახებ.

როცა ვმსჯელობთ ი. ჭავჭავაძის შეხედულებებზე სახელმწიფო წყობილებისა და მმართველობის ფორმების, სახელმწიფო ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების მეთოდებისა და ხერხების, ასევე სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ იგი საკმაოდ კარგად იცნობს იმ სპეციალურ იურიდიულ დისციპლინებს, რომლებიც სწავლობენ ზემოაღნიშნულ პრობლემებს, კერძოდ, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიასა და სახელმწიფო სამართალს. მაგრამ გულუბრყვილობა იქნება ი. ჭავჭავაძის მოსაზრებათა თეორიული დონე ამ პრობლემებზე შეფასებულ იქნას მეცნიერების განვითარების თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით. რაც შეეხება XIX საუკუნის რუსულ და ევროპულ იურიდიულ მეცნიერებას, უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ თავისი შეხედულებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ფორმებზე, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების ხერხებსა, მეთოდებზე და ა. შ. ი. ჭავჭავაძეს აგებული აქვს თავისი ეპოქის მიღწევათა მიხედვით. მაგალითად, ი. ჭავჭავაძე გადმოსცემს რა თავის მოსაზრებებს სახელმწიფოს ფორმის შესახებ, კერძოდ, ერების პოლიტიკურ გაერთიანებას რთულ, ფედერაციულ სახელმწიფოს ფარგლებში, მიუთითებს, რომ იგი ემყარება რუსეთის მოწინავე იურიდიულ მეცნიერებას: „ჩვენ აღარას ვიტყვით სხვა რუსეთის მსწავლულთა და მეცნიერთა აზრსა და შეხედულობაზე ამ საგნისავე შესახებ, აღარ დავასახელებთ ა. გრადოვსკის, ამ მჭერმეტყველ მოსარჩლეს ეროვნულის პრინციპისას, პიპინს და სხვათა მრავალთა რუსეთის პუბლიცისტებს და ლიბერალურ გაზეთებს“[1]. უნდა განვმარტოთ, რომ ა. გრადოვსკი იყო XIX საუკუნის გამოჩენილი სწავლული იურისტი. პროფ. ა. გრადოვსკის ეკუთვნის მრავალტომიანი გამოკვლევა „რუსული სახელმწიფო სამართლის საწყისები“. ასევე ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მოაზროვნე იყო ი. ჭავჭავაძის მიერ ზემოთ მოხსენებული პიპინი.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში ფართო ხასიათი მიიღო მეფის თვითმპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ ხალხის მასების სოციალურ-პოლიტიკურმა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა ბრძოლამ, რუსულ იურიდიულ მეცნიე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 279.

რებაში დაიწყო ინტენსიური მუშაობა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების პრობლემებზე. XIX საუკუნის 60—70-იან წლებში ფართო საკანონმდებლო საქმიანობის საფუძველზე შემუშავებულმა რეფორმებმა (საფინანსო, საპოლიციო აპარატის რეორგანიზაციის, სასამართლო, ადგილობრივი თვითმმართველობის, საქალაქო, სამხედრო და ა. შ.), როგორც ბურჟუაზიული ურთიერთობების შესაბამისმა სამართლებრივმა მოვლენებმა, ხელი შეუწყო ბურჟუაზიის მსოფლმხედველობის, კერძოდ, იურიდიული მეცნიერების განვითარებას.

ი. ჭავჭავაძის პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეალი დაკავშირებულია რეფორმებთან, რომლებიც მიზნად ისახავენ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში იმ დროისათვის უაღრესად რევოლუციური ღონისძიებების განხორციელებას. ამიტომაც იგი უურადღებით იკვლევს სახელმწიფოს თეორიის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, როგორიცაა სახელმწიფოებრიობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელება. საყურადღებოა, რომ ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოს ფორმისა და რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში სხვადასხვა ერების და, კერძოდ, ქართველი ხალხის პოლიტიკური მოწყობის შესახებ თვითმმართველობისა და ფართო ავტონომიის პრინციპებზე, მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან (ფუნქციებთან) და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრიობის განხორციელების ხერხებთან და მეთოდებთან. კერძოდ, სახელმწიფოს ფორმების და განსაკუთრებით ავტონომიის მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია ი. ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული მოსაზრებანი სახელმწიფოს ფუნქციებისა და იმ სპეციფიკური ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელებას.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სახელმწიფო და სამართალი ხალხის კეთილდღეობას და ბედნიერებას უნდა ემსახურებოდეს, ამიტომაც მისი აზრით, ფართოა იმ საკითხთა წრე, რომელიც სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებში პოულობს გამოხატულებას. სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ანუ მისი ფუნქციები მრავალნაირია, მათ შინაარსს კი სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანები განსაზღვრავენ[1]. სახელმწიფოს ამოცანების შესაბამისად იცვლება სახელმწიფოს ფუნქციებს შორის თანაფარდობა. ი. ჭავჭავაძე წერს: „რომელიც გნებავთ სახელმწიფოს ცხოვრება აიღეთ, ყველგან ერთს აუცი-

[1] ი. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან. გვ. 45; ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, გვ. 47—51.

ლებელს ამბავს შეხვდებით. ხან სახელმწიფოს იმისთანა ხანა დაუდგება, რომ სარწმუნოების საგნები უპირატესს ადგილს იქერენ ერის და სახელმწიფოს ცხოვრებაში და ეს საგნები შეიქმნება ხოლმე მიზეზად ერის განხეთქილებისა, დასებად დაყოფისა და დასების ერთმანეთთან ბრძოლისა; მაშინ ჭკუა და გონება ერისა უპირატესად ამ საგნების წრეში ტრიალებს და მოქმედებს, ხან იმისთანა დრო და ჟამი მოდის, რომ სახელმწიფო და საქვეყნო საქმეთა გამგეობისთვის ერი მეტი მონაწილეობას თხოულობს, პოლიტიკურ უფლებათა განფართოება უსაჭიროესს საგნად კეთდება და მაშინ იგი თავისის ჭკუის, გონების ძალ-ღონეს უპირატესად ამაზე ხმარობს. ხან იმისთანა ხანა დადგება ხოლმე, რომ გარემოება ცხოვრებისა ჰღაღადებს ეკონომიკურ ცვლილებათათვის და მაშინ საგნები ეკონომიკურნი მიიზიდვენ ხოლმე მთელს ძალღონეს ერისას და ამ საგნების მოედანზე ბანაკებად დაეწყობიან ხოლმე საქმეთა მომქმედნი კაცნი, იბრძვიან და კამათობენ, ვიდრე უღონიერესი თავისას გაიტანს, ან სხვა უფრო მწვავი საგანი გაჩნდება საბრძოლველად[1]". საზოგადოების წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი (ფუნქციები) მრავალგვარია. ი. ჭავჭავაძე სახელმწიფოს ფუნქციების ცნების ზოგადი განსაზღვრებისას ემყარება არა მარტო სახელმწიფოს ფუნქციების იმდროინდელ გაბატონებულ შეხედულებას, არამედ ანვითარებს მას შემდგომ თავისი პოლიტიკური იდეალების შესაბამისად. ამ მხრივ საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძის დროინდელ იურიდიულ მეცნიერებაში სახელმწიფოს ფუნქციები საერთოდ გაგებულია, როგორც სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, რომლებიც, ჯერ ერთი, ფაქტობრივად ხორციელდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და, მეორე, რომლებიც გამოხატულებას პოულობს იმ აქტებში[2], რაც მოცემული ხელისუფლების ორგანოების კომპენტენციაა[3]. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების ეს განსაზღვრება მხოლოდ ექსპლუატატორული სახელმწიფოს ფაქტიურ სამართლებრივ მდგომარეობას გამოხატავს. ი. ჭავჭავაძეს კი თავისი მოსაზრებანი სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების შესახებ გამოყავს საკუთარი პოლიტიკური იდეალის შესაბამისი საზოგადოების ბუნებიდან, რომლის შინაარსს ჰუმანისტური საფუძვლები (პიროვნების თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა, ექსპლუატაციისაგან განთავისუფლებული შრომა და ა. შ.) განსაზღვრავს. სახელმწიფო ორგანოების ამ ახალი ფუნქციების თავისებურებებზე და არსზე ნაწილობრივ წარმოდგენას გვაძლევს ი. ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული მოძღვრება თვითმმართველობასა და ავტონომიაზე, როგორც რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ერების პოლი-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 279.
2 Н. М. К о р к у н о в, Лекции по общей теории права, СПБ, 1904, стр. 249.
3 ი ქ ვ ე.

ტიკური ორგანიზაციის ყველაზე უფრო მისაღებ ფორმაზე. ი. ჭავჭავაძის მიერ განსაზღვრული „კუთვნილებანი ავტონომიისა“ ანუ ავტონომიური (თვითმმართველობითი) ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული საქმეები და კომპეტენცია, ფაქტიურად გამოხატავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა იმ ფუნქციებს, რომელთაც ისინი ახორციელებენ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში.

ი. ჭავჭავაძის წარმოდგენით სახელმწიფო ორგანოების სისტემური ერთიანობა თვით სახელმწიფოს გამოხატავს. სახელმწიფო ორგანოების საქმიანობას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, რამდენადაც მათი ეს საქმიანობა ემსახურება სახელმწიფოს საერთო მიზნის მიღწევას. ერთიანი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ცნება, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, გულისხმობს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს, რომელთა საქმიანობის სფეროში ხდება სახელმწიფოს ფუნქციების რეალიზაცია. სახელმწიფოს ფუნქციები არსებითად წარმოდგენას გვაძლევს იმ მრავალფეროვან საშინაო და საგარეო საქმიანობაზე, რომელსაც იგი სისტემატურად აწარმოებს. სახელმწიფოებრიობის იდეას ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ საკუთარი ფუნქციების განხორციელებაზე უარის თქმა. სახელმწიფო ხელისუფლება არის მუდმივად მოქმედი, იგი არ შეიძლება ფუნქციონირებდეს გარკვეული დროით. შემდეგ შესწყვიტოს არსებობა და რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ განაახლოს საქმიანობა. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ თბილისში მდინარე მტკვარზე ჩაინგრა ხიდი და რამდენიმე ათეული ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. თბილისის ქალაქის გამგეობამ გაზეთში გააკეთა განცხადება, რომ იგი პასუხისმგებლობას თავიდან იხსნის, რადგან ხიდი აშენებული იყო გამგეობის ნებადაურთველად და მას არც შეუმოწმებია რამდენად ხარისხიანად იყო ხიდის მშენებლობის სამუშაოები შესრულებული. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ისეთი ორგანო, როგორიც ქალაქის გამგეობაა, არ ასრულებდა თავის ფუნქციას, კონტროლს არ უწევდა ხიდის მშენებლობას, რაც დაუშვებელია: „მთელი ერთი თვე გამგეობის დაუკითხავად იმისთანა თვალსაჩინო ადგილას ხიდს აშენებენ, საცა თითქმის ორი თუ მეტი ათასი კაცი ერთს დროს მოგროვდება, და გამგეობას თითიც არ გაუნძრევია, ან კეთება შეაყენოს, ან გაკეთებული შეამოწმოს, რომ უბედურება არ მოხდეს... არავინ არ მოგვმართა, რომ ხიდი შეგვემოწმებინაო. როგორ? თვით გამგეობას განა ყური უნდა მოეყრუებინა იქ, საცა ასისა და ათასის კაცის სიცოცხლეა სახეში მისაღები და განსაცდელში ჩავარდნილი?.. როცა ამბობენ, ჩვენ უნდა ნება დაგვერთვა, ჩვენ უნდა შეგვემოწმებინაო, მაშინ ჩვენც ნება გვაქვს ვუპასუხოთ: თუ თქვენ ნება არ დართეთ, რაღად გააკეთებინეთ, რატომ არ დააყენეთ ხიდის მუშაობა, და თუ გააკეთებინეთ, რატომ არ შეამოწმეთ. უბრალო კედლის ამოყვანა რომ გაბედოს ვინმემ თავის სახლებში,

გამგეობის ნებადაურთველად, ათასი მოხელე თავზე დაესხმის ხოლმე, ნუ აკეთებო, და აქ ორი თუ სამი ათასის კაცის გასასვლელს ხიდსა სდებენ, ამოდენა ხალხი განსაცდელში ცვივა და გამგეობა ქალაქისა ყურსაც არ იბერტყავს"[1].

სახელმწიფო ორგანოების ფუნქციათა განხორციელებაში ი. ჭავჭავაძის აზრით უნდა მონაწილეობდეს მთელი ხალხი განურჩეველად ქონებრივი მდგომარეობისა და წოდებრივი წარმოშობისა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას მშრომელი ხალხის, კერძოდ, ღარიბთა და არმქონებელთა იგნორირება და მათი ჩამოშორება დიდი უსამართლობაა. ამგვარი სახელმწიფოს სოციალური ბაზა სუსტი და არასრულყოფილია. ეხება რა ქალაქის თვითმმართველობის დებულების ნაკლოვანებებს, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ნ. ნიკოლაძემ გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებული სტატიებით ცხადყო, რომ ქალაქის თვითმმართველობის დებულება ქალაქის მცხოვრებთა ზოგიერთი ფენისათვის დადაა, ხოლო ზოგიერთისათვის კი — დედინაცვალი. საქმე ის არის, რომ ამ დებულებით ქალაქის ხმოსნებს ირჩევენ მხოლოდ მდიდრები, ხოლო ღარიბები არჩევნებისაგან ჩამოშორებული არიან. ი. ჭავჭავაძე წერს: „ასეთი გარიყვა უქონებელისა და შეუძლებელისა მით უფრო დიდი უსამართლობაა, რომ იგიც ხარჯს იხდის ქალაქისათვის, იგიც ემსახურება ასე თუ ისე ქალაქს და ამ გზით ქალაქის საერთო ქონებაში წილმდებარეა და ღონისძიება — კი ჩამორთმეული აქვს თვალ-ყური ადევნოს, ანგარიში განიკითხოს სად და როგორ იხარჯება ქალაქის საერთო ქონება, ვის სცხელა მისგან და ვის სცივა, მდიდარი და შეძლებული ირჩევს ხმოსანსა, ამ გზით არჩეული ხმოსანი განაგებს ქალაქის საქმეებს, ვითარცა ვექილი მდიდრისა, და ვინ არ იცის, რომ გამაძღარი ყოველთვის წერილად უფხვნის ხოლმე მშიერსა და აქედამ ის გამოდის, რომ ერთის წყობის მკვიდრთა ბამბაც ჩხრიალებს და სხვა წყობისა-კი არც კაკალი"[2]. სახელმწიფო ადამიანთა ერთობაა და მიზნად ისახავს საყოველთაო კეთილდღეობას. თუ სახელმწიფოს ზრუნვა საზოგადოების ყველა წოდებაზე ერთნაირად ვრცელდება, აქედან ცხადია, რომ სახელმწიფო თვითონ არის დაინტერესებული იმით, რომ მის საქმიანობაში მონაწილეობდეს ყველა, ვისზედაც იგი ზრუნავს. ი. ჭავჭავაძე წერს: „მართალია, გლეხკაცი და ღარიბი მეტად საზრუნველია, უფრო მეტად გაჭირვებულია, ვიდრე თავადი, აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ ყველა ესენი ადამიანები არ არიან? განა ცოდვაა, რომ ამათთვისაც ვიზრუნოთ და თავი შევიტკიოთ?"[3].

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრული კრებული, ტ. 8, გვ. 69—70.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 87.
[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 273.

გარდა ამისა, ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფოებრიობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებისას არ შეიძლება ერების ინტერესთა უგულებელყოფა. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ისეთ თვითმმართველობით ორგანოში, როგორიც თბილისის საბჭოა, ქალაქში მცხოვრებ ერთა ინტერესები არაა წარმოდგენილი, რადგანაც არსებული წესის თანახმად მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ ჰყავდეს ხმოსნები. ი. ჭავჭავაძე წერს, რომ უსამართლობა ის კი არაა, რომ „ამ შემთხვევაში უმეტესობას ეძლევა თვითმმართველობა ხელში, არამედ იმაში, რომ ჩვენებურ ქალაქებში სხვა თესლის მკვიდრნი, ვითარცა უმცირესი ნაწილი მოქალაქეთა უნუგეშოდ და უპატრონოდ დატოვებულნი არიან და ქალაქის საქმეებში არც საკუთარი ხმის ამომღებელი ჰყავთ, არც გამკითხავი და არც თვალყურის მადევნებელი... თვითმმართველობის საფუძვლად ერთი-სხვა დედააზრიც უნდა დაიდვას, რომელიც ამბობს, რომ ყველას თავისი მიეზომოსო, და ამ სახით დიდთან პატარაც, ბევრთან ცოტაც, ხმა ამოღებული იყოსო, თავისის ჭირბოროტის გამომთქმელი და ქალაქის საერთო ქონების თვალყურის მჭვრელიო“[1].

სახელმწიფოს დანიშნულება, მისი ფუნქციები მაშინ შეიძლება რეალიზებული იქნას, როცა სახელმწიფო ორგანიზაციებში, სახელმწიფო აპარატში მოღვაწე თანამდებობის პირები ხალხს სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდება, კერძოდ, მთავრობა ზრუნავს ხალხისათვის და ხალხი ნდობით ეკიდება მთავრობას. სახელმწიფოს ძლიერების წყარო ხალხია, რომელიც ჭირში თუ ლხინში სახელმწიფოსთან ერთადაა და მას აძლიერებს, სადაც მთავრობასა და ხალხს შორის სიძულვილი და უნდობლობაა, იქ სახელმწიფო უმნიშვნელო განსაცდელის დროს ემხობა: „ღირსება და სიკეთე რომელიმე მთავრობისა, ხალხისაგან ცნობილი და აღიარებული, სთესავს ხალხში იმ სიყვარულის თესლს, რომელიც მეტად სანატრელი უნდა იყოს ცნობიერად მომართულ და მიმართულ სახელმწიფოსათვის; და მარტო ეს სიყვარულია სათავედ ყოველ იმისა, რაც კი შეადგენს სახელმწიფოს ძალასა და ღონეს, იმიტომ რომ მარტო სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხია საიმედო ყოველს განსაცდელში, რაც-კი სახელმწიფოს ისტორიის გზაზედ შეემთხვევა ხოლმე, მარტო სიყვარულით გულგამთბარს ხალხს შეუძლიან სიცოცხლისა და ქონების გაწირვა სახელმწიფო კეთილდღეობისათვის... საცა ეს სიყვარული არ არის, იქ სახელმწიფო ფუღუროა, ფუყეა, ერთი ლაზათიანის ქარის შემობერვა და იმის გადამსხვრევა ერთია“[2].

ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფოსა და ხალხს შორის ურთიერთობაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მოხელეებს, თანამდებობის პირებს, რომელთა უნარზე, ნიჭზე და პატიოსნებაზეა დამოკიდე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 39.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 34.

ბული ხალხის შეხედულება იმ სახელმწიფოს შესახებ, რომელშიც იგი ცხოვრობს. ადვილი შესაძლებელია სახელმწიფო თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილებით არ იყოს ცუდი, მაგრამ თანამდებობის პირთა დაუდეკრობით და უმსგავსოებით ხალხმა აითვალწუნოს იგი, მეტიც, თანამდებობის პირთა უხეშობითა და ძალადობით შეეიწროებულმა ადამიანებმა მიატოვონ მამაპაპეული სახლ-კარი და სხვა სახელმწიფოში გადაიხვეწონ: „ყველგან უმაღლეს მთავრობის და ხალხის შორის დგას ხოლმე რაზმი მოხელეებისა, რომელნიც მახლობელნი გამომთქმელნი არიან უმაღლესის მთავრობის წადილისა, მიმართულებისა და ავ-კარგიანობისა. ხალხი თუ იცნობს მთავრობას, ამ მოხელეებით იცნობს, რადგანაც ეგინი არიან მისდა მახლობლად, მათ უდგათ მის ცხოვრების დირეზედ ფეხი... უმაღლესი მთავრობა თუნდ კარგიც იყოს, შესაძლოა მოხელეების წყალობით ხალხმა აითვალწუნოს იგი უმაღლესი მთავრობა“[1]. მოხელეთა თვითნებობითა და ძალადობით ხსნის ი. ჭავჭავაძე მუჰაჯირობას, ე. ი. დედასაქართველოში ოსმალთა ბატონობისაგან დაბრუნებულ აჭარელთა ნაწილის გადახვეწას ისევ თურქეთში. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მუჰაჯირობა გამოიწვია იმან, რომ „ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია... ყველა კალიაზედ უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა... საცა გამოუსადეგი, უხეირო, თავზედ-ხელაღებული იყო, იმ ახალ ქვეყნებში მოხელეობა მიიღო. აბა რა კეთილს დააყრიან ხალხს? აბა რა მხრით დაანახვებენ ისინი რუსის მთავრობასა, რუსის მმართველობასა? არავის ეჭვი არა აქვს, რომ თუ ეს სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გადასახლდა, ბრალი იმათ უნდა დაედოთ. ვინც მოხელეთაგანი აქამდინ მიიყვანს საქმეს“[2].

სახელმწიფო აპარატის ნორმალური ფუნქციონირება თანამდებობის პირებზეა დამოკიდებული, ამიტომ სახელმწიფო განსაკუთრებული ყურადღებით უნდა არჩევდეს მათ, თანამდებობის პირები უნდა ინიშნებოდნენ არა გვარიშვილობის, არამედ ნიჭისა და უნარის მიხედვით: „კეთილად, გონიერად და ცნობიერად აგება ხალხის მახლობელ მმართველობისა, კაი კაცების შერჩევა, — შეადგენს ერთს იმისთანა უპირველეს და აუცილებელს საჭიროებას, ურომლისოდაც მთავრობა კი არ არის, წეწვა-გლეჯაა, ზედმისეეაა, თავზარია ხალხისათვის“[3].

ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფო აპარატში უმთავრესს წარმოადგენს ადამიანთა სულიერი და მატერიალური ცხოვრების სხვადასხვა დარგებში მმართველობითი ორგანოები და პოლიცია, რომელიც სახელმწიფოს სახელით იცავს საზოგადოებრივ წესრიგს. გარდა იმისა, რომ

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 35.
2 ი ქ ვ ე, გვ. 33.
3 ი ქ ვ ე, გვ. 35.

სახელმწიფო აპარატის მოხელეები უნდა იყვნენ „გულით და ჭკუით განვითარებულნი“, მათ კარგად უნდა იცოდნენ ადგილობრივ მცხოვრებთა ენა, ზნე-ჩვეულება და ა. შ. სამწუხაროდ, რუსეთის სახელმწიფოში თანამდებობის პირები არა მარტო არ იცნობენ განაპირა ხალხების ზნე-ჩვეულებას, არამედ მათ ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა თარჯიმნის საშუალებით უხდება: „ხალხის მახლობლად მყოფი მთავრობითი ორღანი ორგვარია: პოლიცია და სამმართველო. ამათ უპირავთ უპირატესი ადგილი ჩვენს ცხოვრებაში და ამაზეა დამოკიდებული ჩვენში ხალხის გულის მოგებაც, ხალხის გულის აყრაც და იმ დანიშნულების აღსრულებაც, რომელიც ზევით აღვნიშნეთ. ამიტომაც აშკარაა რა არის საჭირო აქაურ მოხელეებისათვის გარდა საზოგადო თვისებისა, სახელდობრ, ჭკუისა და ზნეობის სიმაღლისა. საჭიროა მოხელემ კარგად იცოდეს აქაურის ხალხის ვითარება, ჩვეულება, ტკივილი და სიხარული და ღონე ჰქონდეს ხალხს უშუამავლოდ ელაპარაკოს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დავიწყებულია დღევანდლამდე ჩვენში და თითქმის უარყოფილიც“[1].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე მოითხოვს სახელმწიფო აპარატის გარდაქმნას, მის სრულყოფას ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მას არ აკმაყოფილებდა მეფის თვითმპყრობელობის სახელმწიფო აპარატი დახავსებული და უნიჭო ჩინოვნიკებით, რომლებიც თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებისას მხოლოდ მეფისადმი ერთგულ-ქვეშევრდომლობითობის პრინციპით ხელმძღვანელობდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე 1905 წლის რევოლუციის პერიოდში სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო და შესაძლებლობა ჰქონდა ახლოს გასცნობოდა თვითმპყრობელურ სახელმწიფო მექანიზმს და მისთვის ჩვეული სარკაზმით უთქვამს: „უნდა გენახათ ეს დაჩამიჩებული ჩინოსნები, როდესაც ისინი „ბოქე ცარია ხრანის“ მღეროდნენ, ელექტროლამპებით ალაპლაპებული მელოტები „მირონცხებულისადმი“ ყმური, ქვეშევრდომული ექსტაზით აღტყინებული სახეები, აცრეძლებული, მიმქრალი თვალები, კბილებჩამტვრეული პირები, — ყოველივე ეს ერთად აღებული, გამოსცემდა რაღაც უცნაურ ხმას საცოდაობისას და განწირულობისას... გადავხედე ამ საშინელ სანახაობას და გულში ვთქვი ვაი იმ სამეფო ტახტს, რომელიც ასეთ ბურჯს ეყრდნობა მეთქი“[2].

აკრიტიკებს რა რუსეთის იმპერიის მოხელეებს, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მათი უმრავლესობა უმეცარია და აქედან წარმოსდგება ის ძალადობა და თვითნებობა, რომელსაც ისინი ჩადიან. მშრომელ ხალხთან ურთიერთობაში რუსეთის სახელმწიფოს უმეცარი ჩინოვნიკები

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 36.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1939, გვ. 325.

რომ ზიანს აყენებენ იმპერიას, ასეთი ვნება არ მოუტანია მისთვის არც ერთ მტერს. ეს ვნება იმაში გამოიხატება, რომ მშრომელ ხალხს უმეცარმა ჩინოვნიკებმა შეაძულეს რუსეთის სახელმწიფო: „არავის ისეთი ვნება არ მოუტანია რუსეთისათვის, როგორც თავის ქეიფზედ მოარულთ მოხელეებსა: ორგულობას შვრებოდნენ და ერთგულობად კი მიაჩნდათ და იმათი კადნიერება იქამდის მიდიოდა, რომ მთავრობას მუნათსაცა სდებდნენ. მათის მოქმედების შედეგი ის იყო, რომ რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზედაც უნდა აგებულიყო სახელმწიფოს ძალ-ღონე, კეთილდღეობა და წარმატება“[1].

ი. ჭავჭავაძის აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სოფლის თვითმმართველობაში მოხელეთა არჩევნები. ნამდვილი არჩევნებისათვის არავინ არ ზრუნავს, მოხელეთა არჩევნები გამასხრებულია, რადგანაც არჩევნებში გლეხებს არა აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად გამოხატონ თავიანთი ნება და სურვილები, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის, რომ გლეხებს „თავზედ წამოჯდებათ ხოლმე იმისთანა მოხელე. რომელიც არც სურვებიათ და არცა ჰსურთ“[2]. გლეხები თავს არიდებენ ასეთ არჩევნებს, მაგრამ პოლიცია მიმართავს იძულებას, გლეხებს არჩევნებზე „ჯოხით და მათრახით მორეკენ“ და აიძულებენ სოფლის მოხელეებად აირჩიონ ისინი, ვინც მთავრობას სურს. ი. ჭავჭავაძე ამბობს: „საწყალი გლეხი! რაც უნდა კეთილი საქმე დაუწყოთ, ბოროტად გადექცევა ხოლმე. საკვირველს ბედზედ არის გაჩენილი ეს ჩვენი გამომკვებელი, ჩვენი მარჩენალი სულიერი“[3].

ი. ჭავჭავაძე მოითხოვს სოფლის მოხელეთა არჩევნების გონივრულ ორგანიზაციას, რაც მისი აზრით შემდეგში მდგომარეობს: პირველი, პოლიცია არჩევნებისაგან ჩამოშორებული იქნას; მეორე, არჩევნებამდე შედგეს ამომრჩეველ გლეხთა სიები კანონის მიხედვით; მესამე, არჩევნები მოხდეს ფარული კენჭისყრით. ამ წესების მიხედვით არჩევნებზე კონტროლი დაეკისროს მთავრობის წარმომადგენლებს. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ ამ ღონისძიებამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მოხელეებად ღირსეულ ადამიანთა არჩევას, მაგრამ საერთოდ სახელმწიფო აპარატის მუშაობის გარდაქმნა ხალხის ინტერესების შესაბამისად მას არ შეუძლია, რადგან სოფლის მოხელეობა სახელმწიფო აპარატის უმდაბლესი რგოლია, ამ აპარატს სათავეში ბიუროკრატიული ჩინოვნიკობა ხელმძღვანელობს: „ჩვენ არ ვიტყვით, რომ ყოველ ამით გამრთელდეს გლეხთა თვითმმართველობის წყლული; უგუნურობა იქნება ჩვენგან, რომ ხსენებული ზომიერება უებარი წამალი გვეგონოს სათავეშიე გაბრუნდებულის საქმისა“[4].

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 80.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 200.
3 ი ქ ვ ე, გვ. 201.
4 ი ქ ვ ე, გვ. 202.

ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფო საერთო კეთილდღეობისათვისაა შექმნილი და ეს კეთილდღეობა და ბედნიერება არ შეიძლება მიღწეული იქნას თუ მისი მრავალმხრივი საქმიანობის ძირითად მიმართულებებში ანუ მხარეებში (ფუნქციებში) არ ჰპოვა რეალიზება ხალხის საერთო კეთილდღეობიდან წარმომდგარმა ამოცანებმა. ი. ჭავჭავაძის ნაშრომებში ცნება „სახელმწიფოს ფუნქცია" არ გვხვდება, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრიობის განხორციელების თავისებურებათა შესწავლისას იგი ნათლად გამოყოფს სახელმწიფოს საქმიანობის ისეთ მიმართულებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ქვეყნის საბუერნეო-ეკონომიკურ განვითარებას, საზოგადოებრივი წესრიგისა და საკუთრების დაცვას, მოსახლეობის განათლებისა და კულტურული დონის ამაღლებას, გარეშე სახელმწიფოებთან ურთიერთობას და ა. შ. სახელმწიფოს საქმიანობის ამ ძირითადი მიმართულებების წარმატებით განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა ქვეყნის დანაწილება ადმინისტრაციულ ერთეულებად (გუბერნიები, მაზრები, სოფლის საზოგადოებები და ა. შ.). ი. ჭავჭავაძე წერს: „ყოველი სახელმწიფო, რიგიანს წესზედ ცოტად თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონობა ადვილი იყოს, მაგალითებრ, რუსის იმპერია დაყოფილია გუბერნიებად, გუბერნიები მაზრებად, მაზრები სოფლის საზოგადოებად"[1].

ი. ჭავჭავაძე სახელმწიფოს საქმიანობის ზემოაღნიშნულ ძირითად მიმართულებებს (მხარეებს) ორ ნაწილად ყოფს შემდეგი ნიშნის მიხედვით: პირველი, სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი (მხარეები) მიზნის მიხედვით; მეორე, სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი ობიექტის მიხედვით.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მიზნის მიხედვით სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი შეიძლება იყოს „მთავრობითი" და „საზოგადოებითი". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძე სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას „დიდ მდინარებას" უწოდებს: „ყოველს სახელმწიფოში ორი დიდი მდინარეაა: ერთი მთელის სახელმწიფოს საჭიროებისა და მეორე — საზოგადოებისა... ამიტომაც მთელს სახელმწიფოში, თუ თითოეულს მის ნაწილში, ამ ორგვარის საჭიროების მზრუნველობა და გამგეობა საჭირო არის, ეგა მზრუნველობა და გამგეობა არის აუცილებელი და უსათუო საგანი ყოვლის მმართველობისა"[2].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ყველა სახელმწიფოში ჩანს ხელისუფლების საქმიანობის „საზოგადოებითი" და „მთავრობითი" მხარეები, მაგრამ ყველაზე სრულად იგი ელინდება საზოგადოების ისეთ პოლიტი-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 35.
[2] ი ქ ვ ე.

კურ წყობილებაში, რომელიც გულისხმობს თვითმმართველობითი ორგანოების სისტემას. მიზნის მიხედვით სახელმწიფოს საქმიანობის ეს ორი ძირითადი მიმართულება, ორი „დიდი მდინარება“ ი. ჭავჭავაძეს შესწავლილი აქვს XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბებული თვითმმართველობითი ორგანოების ფუნქციონირების მაგალითზე. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ „შეუშლელს თვითმმართველობას საზოგადოდ და სოფლისას კერძოდ ორი მხარე აქვს: ერთი — მთავრობითი, მეორე — საზოგადოებითი“[1].

ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ სწავლობს ხელისუფლების ამ მხარეების ბუნებას, მის დანიშნულებას და ამის შესაბამისად აფასებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში განხორციელებული სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის რეფორმას.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, „შეუშლელი თვითმმართველობის“ პირველი ფუნქცია ანუ მისი საქმიანობის „მთავრობითი“ მხარის მიხედვით თვითმმართველობა „მთავრობის პირველ-წყობის ორღანოა“[2]. ამ ფუნქციით იგი „ემსახურება სახელმწიფოს... წარმომადგენელია სოფელში მთავრობისა“[3]. რაც შეეხება მის მეორე ფუნქციას, კერძოდ, თვითმმართველობის საქმიანობის იმ ძირითად მიმართულებას, რომელსაც ი. ჭავჭავაძე „საზოგადოებით“ მხარეს უწოდებს, იგი მიზნად ისახავს საზოგადოებისადმი სამსახურს და წარმოადგენს „საზოგადოების პირველ-წყობის ორღანოს“, სოფლის თვითმმართველობა მისთვის დამახასიათებელი „საზოგადოებითი“ ფუნქციით წარმომადგენელია „მთავრობაში სოფლისა“.

თვითმმართველობითი ორგანოს საქმიანობის „მთავრობითი“ მხარე, ი. ჭავჭავაძის აზრით, „იმით არის ძვირფასი საზოგადოდ ყველასათვის და გლეხისათვის საკუთრივ“[4], რომ იგი წარმოადგენს რა „მთავრობის პირველ-წყობის ორღანოს“, შესაძლებლობას აძლევს თვითმმართველობითი ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ მცხოვრებლებს სახელმწიფოებრივი საშუალებებითაც დაიცვან საკუთარი ღირსება და პატივ ქონება და სიმდიდრე და ა. შ. მაგრამ ამასთან ერთად, თვითმმართველობის საქმიანობის „მთავრობითი“ მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მიერ სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვასა და განხორციელებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითმმართველობის საქმიანობის „მთავრობითი“ მხარე მიზნად ისახავს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინტერესთა შორის წონასწორობის დამყარებას, საზოგადოე-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 60.
2 ი ქ ვ ე.
3 ი ქ ვ ე.
4 ი ქ ვ ე, გვ. 61.

ბის ინტერესთა დაცვას სახელმწიფოს ძიერ და პირიქით, სახელმწიფოს ინტერესების დაცვას საზოგადოების მიერ.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საქართველოში სოფლის თვითმმართველობის რეფორმა განხორციელდა, სოფლის თვითმმართველობები საზოგადოების ინტერესების სახელმწიფოებრივი საშუალებებით განხორციელებას კი არ ისახავენ მიზნად, არამედ პირიქით, მთელი მათი საქმიანობა მიმართულია იქეთკენ, რომ საზოგადოება ერთგულად ემსახურებოდეს სახელმწიფოს და მისი ინტერესების განხორციელებას: „თვითმმართველობა შეიქმნა მხოლოდ ორღანოდ, რომელმაც აღსრულებაში უნდა მოიყვანოს ყოველი ბრძანება უმაღლესის მთავრობისა, აბეგროს ხალხი, ხარჯი ახდევინოს და სხვა ამგვარი, ესე იგი, რაც გლეხკაცს სამძიმოდ მიაჩნია, იმაში ძალა უნდა დაატანოს... ამ მხრით სოფლის სამმართველო გლეხკაცს მარტო მაზრის უფროსის ჯოხად მიაჩნია, რომელიც დღე მუდამ მის სახლის დირეზედ მიყუდებულია, და არა მთავრობითის ძალის წარმომადგენელად, რომელმაც მთავრობის ნებაც უნდა აასრულოს და ჩაგრულთაც მფარველობა გაუწიოს ყველგან და ყოველის წინაშე. ამ სახით, ჩვენს სოფლის თვითმმართველობას უკეთესი მხარე ჩამოეცალა და მარტო იმ კვალში ჩადგა და გაისისწვირვა, რომლითაც იგი უფრო ნაკლებ სანდომია გლეხკაცისათვის. რაც უნდა იყოს, კაცს ყოველთვის ენდომება, რომ თავში საცემი ჯოხი პატარა შორს იყოს და არა ცხვირწინ, რაკი უამისობა შეუძლებელია“[1].

ი. ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ არა მარტო სოფლის თვითმმართველობის „მთავრობითი მხარე“, არამედ მისი საქმიანობის „საზოგადოებითი“ მხარეც შეზღუდულია საქართველოში და იგი არ ემყარება ფართო სოციალურ ბაზას. საქმე ისაა, რომ საქართველოში „სოფლის თვითმმართველობითი წყობა წარმომადგენელია მარტო ერთის წოდებისა და არა მთელის სოფლის საზოგადოებისა“[2], კერძოდ, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, „სოფელში იმისთანანიც არიან, რომელნიც სოფლის მმართველობას აო ეხელქვეითებიან“[3].

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ი. ჭავჭავაძე სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად მხარეებს იმ ობიექტის მიხედვით, რომელზეც სახელმწიფო სისტემატურ ზემოქმედებას ახდენს, მისი აზრით, სახელმწიფოს საქმიანობის უმთავრეს მიმართულებებს განსაზღვრავს კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაცია ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ურთიერთობაში სხვა ქვეყნებთან კავშირის დამყარება, საყოველთაო მშვიდობის დაცვა, რასაც ახორციელებს სახელმწიფოს მექანიზმი, მოხელეობა: „მოხელეობა მმართველობისა მარტო მშვიდობიანობის მცველი კი არ არის, მარტო

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 61.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 60—61.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 60.

დარაჯი კი არ არის, არამედ მწერთნელიც უნდა იყოს ხალხისა, მასთან ერთად ჩაბმული და ერთად მოღვაწე"[1]. სახელმწიფოებრივი საქმიანობის ეს ორი ძირითადი მიმართულება თავისი შინაარსით მრავალფეროვანია და ისინი თავის გამოხატულებას პოულობს სახელმწიფო დაწესებულებების სამეურნეო-ორგანიზატორულ, კულტურულ-აღმზრდელობით და ა. შ. მუშაობაში. ი. ჭავჭავაძის აზრით, ამ საქმიანობის უმთავრესი ნაწილი თავისუფალი კონკურენციისა და უშუალოდ მოსახლეობის თვითმოქმედების საფუძველზე უნდა წარმოებდეს, სახელმწიფოს როლი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ დარგებში მხოლოდ საერთო ხელმძღვანელობასა და დახმარებაში გამოიხატება.

სახელმწიფო საქმიანობის უმთავრესი მიმართება, ი. ჭავჭავაძის აზრით, კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და განმტკიცებაა. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ XIX საუკუნეში ადამიანთა სულიერ და მატერიალურ ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა დიდ ძვრებს, რომელთაგან ყველაზე მეტად საყურადღებოა საზოგადოებრივი წყობილების იდეალად კერძო საკუთრების გაუქმება და ქონებრივ უთანასწორობასთან ერთად კლასობრივი წინააღმდეგობების მოსპობა, მაგრამ „კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს არამცთუ მთელს სახელმწიფურ და საზოგადოებურ წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე"[2]. ამიტომაც ყველა წინააღმდეგობის პირველწყაროს საზოგადოებაში არსებული კერძო საკუთრება წარმოადგენს, მისი მიზეზით არსებობს საზოგადოებაში მტრობა და ურთიერთშუღლი.

სახელმწიფოს ფუნქციონალურ დანიშნულებას შეადგენს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, საზოგადოებაში არსებული ყოველგვარი წინააღმდეგობების აღმოფხვრა. კერძო საკუთრების ხელყოფა შეუძლებელია, სახელმწიფო უნდა იდგეს კერძო საკუთრების დარაჯად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, კერძო საკუთრების თაობაზე ძალადობა და მისი მიტაცებისათვის ბრძოლა დიდხანს იარსებებს საზოგადოებაში, ამიტომაც სახელმწიფო ერთადერთი დაწესებულებაა, რომელსაც შეუძლია წესრიგი შეიტანოს საკუთრების ნიადაგზე წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებში იძულებითი ღონისძიებების გამოყენების გზით. მაგრამ ი. ჭავჭავაძეს დაუშვებლად მიაჩნია კერძო საკუთრების თაობაზე წარმოშობილი გამოსვლების დათრგუნვა სამხედრო ძალით, რადგანაც „ჯარის შიშით შესაძლოა ბევრ ავთან ბევრი კარგიც შეფერხდეს, ბევრი კარგი თან გადაჰყვეს, თუნდ ეგეც არ იყოს, თუ მარტო კაცთმოყვარეობა და სულგრძელობა არა, პირდაპირ ანგარიში თხოულობს, რომ კაცმა

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 35.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 280.

ჯარი არ მიიწვიოს აწ გულზემოსულ გლეხკაცობის დასაწყნარებლად, რადგანაც ხვალე, ასე იქნება თუ ისე, ამ გლეხობასთან მოგვიხდება სულიერი და ხორციელი ცხოვრება"[1].

ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფო არ არის ძალადობის განხორციელების საშუალება, იგი ადამიანებმა შემოიღეს საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, უმაღლესი ბედნიერება შეიძლება მიღწეული იქნას ერთად ცხოვრებით, ადამიანები „მარტო ყოფნით ვერაფაგზით ვერ მიაღწევს ბედნიერებასა"[2], ამიტომ ადამიანებმა შექმნეს საზოგადოება და საზოგადოებისაგან კი სახელმწიფო.

სახელმწიფო ერთნაირად უნდა იცავდეს საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესებს, საზოგადოება არ არის ერთგვაროვანი, მაგრამ სახელმწიფო, „როგორც მზე, ყველას ერთად ანათებს, ყველას ერთად ათბობს და ყველას გამოუკლებლივ აწვდის ძალსა ცხოველმყოფლობისას. სიცოცხლის დაბადებისას, სიცოცხლის ზრდისას"[3]. სახელმწიფო არ არის წოდებათა შორის წინააღმდეგობის შედეგი, იგი ადამიანებმა შექმნეს ბედნიერების უზრუნველსაყოფად, ამიტომ სახელმწიფოს დანიშნულება „გლეხისა და თავად-აზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაკაცობაა, შუა ჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა, მოსარიგებლის მორიგებაა, შესარიგებელის შერიგებაა იმისდა მიხედვით, — ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი, ან ერობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშე. ამას ითხოვს ადამიანობა, კაცური კაცობა და ერთობ იგი ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანისა"[4].

ი. ჭავჭავაძე სახელმწიფოში ხედავს უმაღლესი ეთიკური მიზნის-საყოველთაო ბედნიერების, სიკეთისა და უშიშროების მიღწევის საშუალებას და არა კლასობრივი ბატონობის უზრუნველყოფის იარაღს. ი. ჭავჭავაძე წერს: „დღეს ბალღმაც კი იცის, რომ უსწორ-მასწორობა, უჯრა-უჯრობა, გუნდ-გუნდობა კაცთა საზოგადოების აგებულებაში, — პატარაა იგი საზოგადოება თუ დიდი, — ყველა წარჩინებულ კაცთაგან ცნობილია წარმატების დამაბრკოლებელ მიზეზად"[5].

ი. ჭავჭავაძის აზრით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ საკუთრების თაობაზე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლება-მოვალეობების გამიჯვნას. საკუთრება, მამული, ადამიანებს ძალას აძლევს. კაცობრიობის ისტორია, აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე, მრავალ მაგალითს იცნობს იმისას, რომელიც ნათლად ცხადყოფს „თუ რა ძალი ჰქონებია ხალხს, ოდეს მამუ-

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 289—290.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 165.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 273.
4 ი ქ ვ ე.
5 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 104.

ლი ხელთ უპყრია, და რა ულონო, უძლური, მშიერ-მწყურვალი ყოფილა, როცა ეს სიკეთე ხელიდამ გამოსცლია"[1]. მამული და მიწა, შრომა და გარჯა სახელმწიფოს ის მთავარი საქმეა, რაც საზოგადოებაში ბედნიერებასა და წესრიგს უზრუნველყოფს, ერის ერობა მარტო მიწასა და გუთანზეა დამოკიდებული, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, რომ „მიწა, ეგ მუქთი, ბუნებისაგან მონიჭებული კუთვნილება ყოველის ადამიანისა, შეძლებისამებრ — თანასწორად მორიგებულ ჰქონდეს ყოველს მკვიდრ მცხოვრებსა. რომელმა ერმაც ეს ვერ მოახერხა... მიწასთან გასწორდა, გაქარწყლდა და მტვრად აიგავა"[2]. ეხება რა სახელმწიფოს ფუნქციონალურ მოვალეობას, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საზოგადოებაში ადამიანთა სიცოცხლისა და საკუთრების დაცვის გარეშე ერის წინსვლა შეუძლებელია, ამიტომ სახელმწიფოს სხვა მოვალეობებთან შედარებით ამ საქმეს ყველაზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს: „მკვიდრთა უშიშარყოფა სიცოცხლისა და ქონების მხრივ ერთი უდიდესი, თუ არ უპირველესი, მოვალეობაა სახელმწიფოსი. უამისოდ არც წინსვლა ერისა, არც წარმატება რაშიმე შესაძლებელი არ არის. ამიტომაც ბევრმა რამ სხვამ ამ უშიშარყოფას თავისი უპირატესობა და ადგილი უნდა დაუთმოს, თუ სხვა ღონე არ არის"[3].

(სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი წესრიგისა და საკუთრების დაუცველად შეუძლებელია ქვეყნის შიგნით სამეურნეო, ეკონომიკური, კულტურული, განმანათლებლური და ა. შ. საქმიანობა) ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულებაა უზრუნველყოს ქვეყანაში ექსპლუატაციისაგან თავისუფალი შრომა: „შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის... მის მადლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი"[4]. ი. ჭავჭავაძე იკვლევს ქვეყნის სიმდიდრის, მისი ეკონომიკური დოვლათის შექმნაში, ერთი მხრივ, ოქროსა და ხმლის და, მეორე მხრივ, ხმლისა და გუთანის როლს და სვამს კითხვას თუ ვისია ქვეყანა: „ქვეყანა ვისია? ყოველივე ჩემიაო, — ამბობს ოქრო, ყოველივე ჩემიაო, — იძახის ხმალი. ყოვლისფერს ვიყიდო, — მოჰკვეხს ოქრო. ყოვლისფერს ხელში ვიგდებო, — იქადის ხმალი. მითამ ეგრეა? არა გვგონია"[5]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, კაცობრიობის ისტორია ცხადყოფს, რომ ოქროზე და ხმალზე მეტად ადამიანთა ბედნიერება დამოკიდებულია თავისუფალ შრომაზე ანუ სხვანაირად გუთანზე, რომელიც „არცა ჰკვეხს, არც ბაქიობს, არც არავის ერჩის, არც არავის ეცილება და საქმობს თავის-თავად დინჯად, აუშფოთებლად, სულ მუდამ და დაუძინებლივ. იმას რომ ერთს

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 35.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 174.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 226—227.
4 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 1, გვ. 140, 141.
5 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 121.

ბეწო ხანს ჩასთვლიმოს, არც ოქროს ღა ექმნება რამე სასყიდავი და არც ხმალს მოსატაცებელი. მას რომ ერთს ბეწო ხანს ჩასთვლიმოს-მეთქი, არ ვიცი ქვეყანას რა დაემართებოდა, თუნდა ოქროს მთები იდგეს და ხმლების ტყეები. უიმისოდ ოქროს ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს და არც თითონ ძალოვანს ხმალს დიდი და ხანგრძლივი მანძილი"[1].

სახელმწიფოს სამხედრო ძლიერება (ხმალი) უზრუნველყოფს სხვისი ტერიტორიების დაპყრობა-მიტაცებას, მაგრამ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს ადამიანთა ისტორიულ ცხოვრებაში, ხალხები, რომლებიც მხოლოდ ხმლის იმედით არსებობენ და მოქმედებენ, საბოლოოდ ყოველთვის მარცხდებიან და აღიგვებიან პირისაგან მიწისა. ამის მაგალითად ი. ჭავჭავაძეს მოყავს მონღოლები, რომლებიც „მარტო ხმალს მიენდვენ: მიესივნენ ქვეყანას, დაიპყრეს ქვეყნები, დასწვეს, შეჰმუსრეს, მიანგრ-მოანგრიეს და ბოლოს ხომ თითონაც მტვრად აღგვილ იქმნენ"[2]. მაგრამ უფრო განათლებული ევროპელი ერები, რომლებიც „საცა-კი მივიდნენ, ყველგან გუთანი მიიმხრეს, და აჰა, დღესა ვხედავთ, რომ ყოვლად მტკიცენი და მკვიდრნი არიან თავის ადგილებში. იმათი ადგილიდამ დაძვრა ვეღარაფერმა ვერ შესძლო. არიან და იქნებიან უკუნისამდე"[3].

ხმლისა და გუთნის, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისა და შემოქმედებითი შრომის ძალით არსებობს, ი. ჭავჭავაძის აზრით, ქართველი ერი. იგი მიუთითებს, რომ ქართველი ერი შეინახა და მტრის გამანადგურებელ შემოსევებს გადაარჩინა ხმალმა და გუთანმა, ქართველები უშიშრად ებრძოდნენ მტრებს, იცავდნენ ჩვენს ქვეყანას მათი გაუთავებელი თავდასხმებისაგან და აგრეთვე ძლევამოსილ ლაშქრობებსაც აწყობდნენ მტრული ქვეყნების წინააღმდეგ, მაგრამ ქართველ ხალხს არასდროს ხელი არ გაუშვია გუთნისათვის და იგი შემოქმედებითი შრომით იყო დასაქმებული ყოველთვის: „ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს, ადგილზედ რომ ფეხ-მოკიდებულები ვართ, სხვებსავით არ დავიქსაქსენით, არ გადავცვივდით აქეთ-იქით, ჩვენ რომ ამდენს დაუძინებელს მტერს გავუძელით, გაეუძელით და გადავრჩით, ჩვენი ერი რომ დედამიწას შერჩა და დედამიწა ერსა, — ეგ იმიტომ — რომ ერთს ხელში ხმალი გვეჭირა და მეორეში გუთანი დასაბამიდგანვე დღემდე"[4].

ი. ჭავჭავაძე იკვლევს საზოგადოებაში ხმლის (სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების) და გუთნის (სახელმწიფოს მშვიდობიანი ეკონომიკური საქმიანობის) ბუნებას. ი. ჭავჭავაძის აზრით, ხმალს (სახელმწიფოს სამხედრო ძალას) ორმაგი ბუნება აქვს: პირველი, ხმალი (სახელმწიფოს

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 121—122.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 122.
[3] ი ქ ვ ე.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 122—123.

სამხედრო ძალა) გამოიყენება, როგორც სხვისი ქვეყნების დაპყრობის საშუალება და მეორე, ხმალი (სახელმწიფოს სამხედრო ძალა) გამოიყენება სხვა სახელმწიფოების თავდასხმისაგან საკუთარი ქვეყნის დასაცავად. ხმლის (სახელმწიფოს სამხედრო ძალის) ნორმალური ფუნქციაა სხვა სახელმწიფოების თავდასხმისაგან საკუთარი ქვეყნის დაცვა და არა ამ სამხედრო ძალით სხვისი ტერიტორიების დაპყრობა: „ხმალი მაშინ უფრო კარგია, როცა იგი ფარია და არა სატევარი. მაგრამ რასა იქ? ეს უბედური ქვეყანა ისე დაეწყო, რომ ხმალი უფრო სატევრობს, ვიდრე ფარობს. ადამიანის გაუძღომელმა წადილმა ეს უკეთესი მხარე ხმლისა დააჩლუნგა და უარესი გალესა. მინამ ქვეყანა ასეა და ძალა აღმართსა ხნავს. ხმალმა ორგვარი სამსახური უნდა გაუწიოს თავის პატრონს, იმის მიხედვით, თუ შემთხვევა და ფათერაკი რა დროს რას მოითხოვს"[1].

ხმლის (სახელმწიფოს სამხედრო ძალის) ორმაგი ბუნებისაგან განსხვავებით გუთანს (სახელმწიფოს მშვიდობიანი ეკონომიკური საქმიანობა) მხოლოდ ერთი განსაკუთრებული დანიშნულება აქვს, კერძოდ, „დედამიწის უხვი გული გადაგვიშალოს და იქიდამ საზრდოება გვაწვდიოს"[2]. შემოქმედებითი მშვიდობიანი შრომის წარმატებები განუზომელია, როცა მას საიმედოდ იცავს სახელმწიფო სამხედრო ძალით (ხმლით). კაცობრიობის განვითარების ისტორია, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ის ხალხები მარცხდებიან და ვერ უძლებენ ისტორიის ქარტეხილებს, რომელთაც მარტო ხმალი ეჭირა ხელში და გუთანი კი აოა. აქედან ი. ჭავჭავაძე მოუწოდებს ქართველ ხალხს: „გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი. თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, ნათქვამია. მყობადი იმისაა, ვინც მიწაზედ ფეხგადგმულია და მიწას ამოქმედებს ხმლის მფარველობის ქვეშ"[3].

(ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფოს მრავალფეროვანი საშინაო საქმიანობიდან ცალკე უნდა იქნას გამოყოფილი კულტურული, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს ხალხის ფართო მასებში ცოდნისა და განათლების დანერგვას.) მშრომელი ხალხი მაშინაა ძლიერი, როცა იგი დაუფლებულია ცოდნის სხვადასხვა დარგებს და ამ ცოდნას იყენებს მატერიალური დოვლათის წარმოებაში. პირველყოვლისა, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ მშრომელებს მისცეს სპეციალური სამეურნეო-ეკონომიკური განათლება. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ არ კმარა მხოლოდ შრომით იყოს დასაქმებული სახელმწიფოში ხალხი და სახელმწიფო მის განათლებაზე არ ზრუნავდეს, „აქაო და გუთანი გვიჭირავს ხელში, გულს ხე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული. ტ. 5. გვ. 122—123.
[2] ი ქ ე ვ.
[3] ი ქ ვ ე.

ლები დავიკრიფოთ და ამით მოვიწონოთ თავი. არა, ბატონებო, გუთანს ცოდნაც უნდა, რომ ერთი-ათად იმაზედ მეტი შესძლოს, რის შემძლებელიც აქამომდე იყო. ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის შეძენისა — სკოლაა, და იმ ცოდნისა, რომელიც გუთანს, ანუ უკეთ ვსთქვათ, მიწისმოქმედებას ხელს უწყობს და შეჰფერის, — სამეურნეო სკოლაა. ამგვარის სკოლების გამართვა ჩვენში აუცილებელი საჭიროებაა, და მით უფრო ადვილი, რომ ეხლა სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ რუსეთში საკმაოდ ფართო გზა მისცა საზოგადოებას მაგ სკოლების დაარსებისათვის"[1].

ი. ჭავჭავაძე გამოდის ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამით. სახელმწიფოსა და საზოგადოებისაგან მოითხოვს სასწავლო დაწესებულებების გახსნას, უცხოური ენების სწავლებასთან ერთად, პირველყოვლისა, ახალგაზრდობისათვის მეცნიერების საფუძვლების გაცნობას მშობლიურ ენაზე და ა. შ. 1879 წელს ი. ჭავჭავაძე წერდა, რომ თბილისის გუბერნიაში 89 სასოფლო სკოლაა და განზრახულია დამატებით 5 სკოლის გახსნა, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 84 სკოლა არსებობს, რაც სრულიად არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, რადგან ჯერ კიდევ ახალგაზრდობის დიდი ნაწილი სკოლის გარეთაა დატოვებული. მეტიც, ზოგიერთ მაზრაში საერთოდ არაა სკოლა. ერის ცხოვრება შედგება სულიერი და მატერიალური მომენტებისაგან, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია არსებობა: „ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს". მართალია, მშიერი დიდს მანძილს ვერ გაიელის ამ მადლისა და ბოროტის ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთის რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს — სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე — გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა... ადამიანს, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პურის სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი"[2].

სახელმწიფოს საშინაო საქმიანობასთან ი. ჭავჭავაძე მჭიდროდ აკავშირებს მის საგარეო საქმიანობას. ნორმალურ ვითარებაში სახელმწიფოები უნდა ზრუნავდნენ მშვიდობიანი საგარეო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებისათვის, მაგრამ სამწუხაროდ, თითქმის მსოფლიოს ყველა კონტინენტზე შეთოფიარაღებული დიდი და პატარა ონავარი სახელმწიფოები ერთმანეთს ებრძვიან გავლენის სფეროების მიტაცებისათვის და ამდენად თანამედროვე ვითარებაში სახელმწიფოთა საგარეო

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 123.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 342.

საქმიანობა გამოიხატება სხვისი ტერიტორიების დაპყრობაში. აქედან წარმოსდგება სახელმწიფოთა საგარეო საქმიანობის მეორე მხარეც, კერძოდ, სახელმწიფოზე გარედან თავდასხმის შემთხვევაში მთელ თავის სამხედრო ძლიერებას იგი იყენებს საკუთარი ქვეყნის დაცვისათვის.

სახელმწიფოს საშინაო საქმიანობას, კერძოდ, სახელმწიფოს საშინაო ფუნქციების განხორციელებას, ი. ჭავჭავაძის აზრით, ხელს უნდა უწყობდეს სახელმწიფოს საგარეო საქმიანობა, სახელმწიფოს საგარეო ფუნქციების განხორციელება. ი. ჭავჭავაძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ამ შემთხვევაში ხმალი ასრულებს მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის დაცვის ანუ ფარის ფუნქციას, მაგრამ ძალიან ხშირად გართულებული საშინაო ვითარების გადაჭრას სახელმწიფოები უკავშირებენ საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებას, საომარი მდგომარეობის ხელოვნურად შექმნას და ამ შემთხვევაში ხმალს ფარის მოვალეობის ნაცვლად სატევრის ფუნქციას აკისრებენ: „ყველა სახელმწიფოს თავისი საკუთარი შინაური ტკივილი აქვს. როცა რომელსამე გასამკლავებლად მომზადებულს სახელმწიფოს ის ტკივილი გაუმწვავდება, მაშინვე... მოდიო, ამბობს, ერთი ეს საქმე ავფუშო, ამით სხვები ერთმანეთს მივუსიეოო; ის სხვები ერთმანეთში გაებმებიან, ჩემთვის აღარ მოიცლიან და ამ გზით იქნება ბურთი და მოედანი ჩემის წადილისა მე გავისაკუთროო და ჩემს ტკივილს წამალი რამ დავდოო“[1].

XIX საუკუნის დასასრულიდან დაწყებული ცვლილებანი საერთაშორისო ურთიერთობაში, კერძოდ, ევროპის, აფრიკისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში (ჩინეთი, ინდოეთი და ა. შ.) გართულებული წინააღმდეგობანი ი. ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამოჰპარვია. ყველა ამ ცვლილებით წარმოშობილ მოვლენებს (მილიტარიზმის ზრდა ევროპაში, ძლიერი სახელმწიფოების სუსტი და განუვითარებელი ქვეყნების საქმეებში ჩარევა და საერთაშორისო სამართლის ნორმების უგულებელყოფა, სამხედრო ბლოკებისა და კავშირების შექმნა და ა. შ.) ი. ჭავჭავაძე უკავშირებს სახელმწიფოს საგარეო საქმიანობას და მის უმთავრეს მიმართულებებს (ფუნქციებს). ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სხვის საქმეებში ჩარევა, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა თანამედროვე მსოფლიოში ჩვეულებრივი ამბავია: ინგლისმა დაიპყრო ირლანდია, ჩინეთისა და აფრიკის დასანაწილებლად გააფთრებული ბრძოლა წარმოებს, გერმანიის მილიტარიზმი ყველას ემუქრება, აღმოსავლეთის ქვეყნები ევროპის ყველა სახელმწიფოს აინტერესებს, როგორც ბუზს თაფლი. მსოფლიოს აგრესიული ძალები სამართალს არ აქცევენ ყურადღებას, თუმცა მოწინავე ადამიანები მუდამ სამართლიანობის დაცვას მოითხოვენ სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ი. ჭავჭავაძე სვამს კითხვას

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 64.

და თვითონ პასუხობს: „მაგრამ სად არის ეს სამართალი? იგი თვალწინ ლამპარსავით უნთია ადამიანს მარტო იმ დრომდე, ვიდრე გახელებული ძალა არ მოვა და ერთის შებერვით არ ჩააქრობს ხოლმე"[1].

ი. ჭავჭავაძე სწორად შენიშნავს, რომ განსაკუთრებული დაძაბულობა იგრძნობა ევროპის სახელმწიფოებში, რომლებიც იბრძვიან მსოფლიოში გავლენის სფეროების გასაფართოებლად. სწორედ ევროპის დიდი და პატარა ონავრები ებრძვიან ერთმანეთს სუსტი და ჩამორჩენილი ქვეყნების დაპყრობისათვის, მხოლოდ მშვიდობისმოყვარე ქვეყანა ცხოვრობს ბედნიერად, მხოლოდ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომნი არიან ბედნიერნი, რომლებიც არ ცდილობენ „თავისის საზღვრების განზედ გადგმისათვის"[2], მაგრამ სამწუხაროდ, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, ასეთი სახელმწიფოები პატარა ქვეყნებია და თანაც მეორე და მესამე ხარისხოვანი. ევროპის დიდი სახელმწიფოები ისე მკვეთრადაა ურთიერთდაპირისპირებული, რომ ომი მათ შორის ყოველ წუთსაა მოსალოდნელი: „არ არის ევროპაში არც ერთი თვალსაჩინო სახელმწიფოები ფიქრში არ იყოს და იმის ცდაში, თუ მხედრობა როგორ ის მოაწყოს — კაცით, ტყვია-წამლით, თუ თოფ-იარაღით, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად იყოს"[3].

ომის მოლოდინში ევროპის სახელმწიფოები ზრდიან სამხედრო ხარჯებს, წვრთნიან არმიის ახალ-ახალ ნაწილებს და ა. შ. ჯერჯერობით ევროპაში მშვიდობაა, მაგრამ მას მხოლოდ „შეთოფიარაღებული მშვიდობა" შეიძლება ეწოდოს, „ამ გზით მშვიდობიანობის დაცვა ერთი დიდი უბედურებაა ევროპისათვის"[4]. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ კაცობრიობის მოწინავე მოაზროვნეები, კერძოდ, ჯერ კიდევ მონტესკიე რამდენიმე ათეული წლის წინათ აფრთხილებდა ევროპას იმის შესახებ თუ რა უბედურება და სიღატაკე შეიძლება მოჰყვეს ევროპაში მილიტარიზმის ზრდას, მაგრამ მონტესკიეს ეს გაფრთხილება არავინ არ იღო ყურად, „დღეს ევროპის სახელმწიფოები თოფ-იარაღში სხედან და მზად არიან ერთმანეთი სისხლის მორევში დაარჩონ. ევროპის ამგვარს ყოფა-მდგომარეობას ერის გაღარიბება, გაღატაკება მოსდევს"[5].

ი. ჭავჭავაძე იკვლევს მსოფლიოს სახელმწიფოთა შორის ამ დაძაბული, მტრული ურთიერთობის კანონზომიერებებს და მიუთითებს, რომ სახელმწიფოთა შორის დაძაბულობა, საომარი მდგომარეობა, შეიარაღების გამუდმებული ზრდა და ა. შ. ამ ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეთა ჯიუტობაზე და ახირებაზე სულაც არ არის დამოკიდებული, როგორც ამას ჩვეულებრივად წერენ, არამედ ამას „უფრო ღრმა ძირი

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 60.
2 ი ქ ვ ე, გვ. 95.
3 ი ქ ვ ე, გვ. 68.
4 ი ქ ვ ე, გვ. 49.
5 ი ქ ვ ე, გვ. 55.

აქვს". მაგალითად, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, ევროპის სახელმწიფოების მიერ დაწყებულ ყოველ სამხედრო ინციდენტს აბრალებენ მეფეებისა და მინისტრების ჯიუტობასა და თვითნებობას, მაგრამ სინამდვილეში „აქ ყოველნი ესენი ჭადრაკის კაცებსა ჰგვანან, რომელთაც საკუთარი ენი კი არ ამოქმედებს, არამედ ძლიერი ხელი ცხოვრებისა ანუ უკეთ ვსთქვათ, ბუნებითი ძალი ცხოვრების თვითმცველობისა"[1]. 1886 წელს დაწერილ სტატიიდან — „ბალკანეთის საქმეები", რომელშიც შესწავლილია ბულგარეთს, საბერძნეთსა და სერბიას შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მიზეზები, ნათლად ჩანს თუ რას გულისხმობს ი. ჭავჭავაძე ცნებაში „ძლიერი ხელი ცხოვრებისა" ანუ „ბუნებითი ძალი ცხოვრების თვითმცველისა". ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფოთა შორის დაძაბულობის, ბრძოლისა და წინააღმდეგობების საფუძველს წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, მისწრაფება ძლიერმა სახელმწიფოებმა ხელში ჩაიგდონ ჩამორჩენილი და სუსტი ქვეყნების ბუნებრივი რესურსები და განამტკიცონ თავიანთი ძლიერება. ისევე, როგორც ბუნებაში წარმოებს სისტემატური ბრძოლა არსებობისათვის; თანამედროვე მსოფლიოს სახელმწიფოების ურთიერთობაშიც იგივე კანონი მოქმედებს, კერძოდ, არსებობისათვის ბრძოლის კანონი, რომელსაც შედეგად მოსდევს ძლიერის სუსტზე ბატონობა: „სახელოვანის ინგლისელი მეცნიერის — დარვინის მიერ ეპვგარეთ დაყენებული კანონი, რომელსაც „ბრძოლას არსებობისათვის" ეძახიან, სათავეა ყოველის მოძრაობისა, რასაც-კი დღეს ჩვენის თვალითა ვხედავთ სახელმწიფოთა შორის"[2]. ამიტომ ევროპის სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკა ძალადობაზეა დამყარებული: „პოლიტიკაში ყოველთვის ძალა აღმართსა ჰხნავს"[3]. ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს ძალის პოლიტიკის მქონე დიდ სახელმწიფოებს, რომლებიც ავიწროებენ და იპყრობენ სუსტ და პატარა ქვეყნებს, რომელთა ხალხებისადმი „მომხრეობას თხოულობა თვით ჭეშმარიტი და გაწმენდილი ზნეობაც, მაგრამ რას იზამთ, როცა ევროპის პოლიტიკაში არც სამართლიანობას, არც ზნეობას კუთვნილი ადგილი არ უჭირავს და ყოველივე გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება. მტრობა, ჯიბრი, ცილობა და ხარბობა... დღეს ამოქმედებს პოლიტიკას სხვადასხვა სახელმწიფოსას"[4]. სახელმწიფოთა შორის ამგვარ დამოკიდებულებას შედეგად მოსდევს ევროპის ქვეყნებს შორის ძალთა თანაფარდობის შეცვლა. ი. ჭავჭავაძის ნაშრომებში არსად არ გვხვდება ტერმინი „იმპერიალიზმი", მაგრამ მის მიერ დახასიათებული ყველა მოვლენა, რომელიც XIX საუკუნის დასასრულის ევრო-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 130.
2 ი ქ ვ ე, გვ. 75.
3 ი ქ ვ ე, გვ. 131.
4 ი ქ ვ ე, გვ. 133—134.

აში წარმოიშვა (მილიტარიზმი და ბიუროკრატიზმი, სამხედრო ხარჯების ზრდა და გამალებული შეიარაღება, შეთოფიარაღებული მშვიდობა და გავლენის სფეროებისათვის ბრძოლა აფრიკასა და აზიაში და ა. შ.). მხოლოდ იმპერიალიზმისათვისაა დამახასიათებელი და კაპიტალიზმის წინააღმდეგობების გამწვავებამ გამოიწვია სახელმწიფოთა ანუ როგორც ი. ჭავჭავაძე უწოდებს „დიდ და პატარა ონავრებს“ შორის ბრძოლის ახალი ფორმები.

ი. ჭავჭავაძეზე, როგორც დიდ მოაზროვნეზე, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმპერიალიზმის ეპოქის, კერძოდ, XIX საუკუნის დასასრულის ევროპის სახელმწიფოთა შორის წარმოშობილი წინააღმდეგობების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნა იმის შესახებ, რომ ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობაში ისე დაძაბული ვითარებაა, რომ ყველაფერია მოსალოდნელი, ადვილი შესაძლებელია იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ძაფი იქ გაწყდეს, სადაც იგი ყველაზე წვრილი და სუსტია და პირიქით. 1898 წელს ი. ჭავჭავაძე წერდა: „თვითეულ სახელმწიფოს საქმეები ისე ჩახლართულია ერთმანეთში, რომ საკვირველი არ იქნება, საცა წვრილია, იქ გასწყდეს, და საცა არა გვგონია — ნასკვის წვერმა იქ ამოჰყოს თავი გამოსახსნელად“[1].

ი. ჭავჭავაძე სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობებში მოითხოვს მშვიდობის დაცვას საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა შესაბამისად. საყოველთაო უშიშროებისა და მშვიდობის დაცვის საქმეში პასუხისმგებლობა ეკისრება დიდ სახელმწიფოებს, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად სწორედ დიდი სახელმწიფოები აქეზებენ ერთმანეთზე თავდასხმისათვის პატარა სახელმწიფოებს, რათა შემდეგ მათ ხელი მოითბონ საერთაშორისო ასპარეზზე: „დიდთა სახელმწიფოთა შორის არც ერთობილი აზრია და არც ერთობილი სურვილი. აქ ზოგიერთს ეჩო უპირავს ხელში და ჭლამის თავისაკენ მოითალოს“[2]. მშვიდობა, ილია ჭავჭავაძის აზრით, უზრუნველყოფს სახელმწიფოს უმთავრესი დანიშნულების — საყოველთაო კეთილდღეობისა და ბედნიერების მიღწევას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელმწიფოს ამ ძირითად მიზნებს უნდა ემსახურებოდეს მისი ყველა ფუნქცია, როგორც საშინაო, ასევე საგარეო, რომელთა წარმატებით რეალიზაციის აუცილებელი პირობაა საყოველთაო მშვიდობა და უშიშროება. ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის, რომ ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელება ყველა სახელმწიფოში ერთნაირად არ ხდება და მის თავისებურებებს არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფოს ფორმა.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 179.
[2] ი ბ ე ვ ე, გვ. 142.

(ი. ჭავჭავაძე, ემყარება რა XIX საუკუნის იურიდიული მეცნიერების მიღწევებს[1], სახელმწიფოს ფორმას განსაზღვრავს შემდეგი სამი ფენომენის მიხედვით: პირველი, უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ბუნება და მისი დამოკიდებულება მოსახლეობასთან; მეორე, სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ანუ სახელმწიფოს ნაწილების ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმაზე; მესამე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა, რაც განაპირობებს იმ პოლიტიკურ რეჟიმს, რომელიც მოცემული ფორმის სახელმწიფოში ბატონობს.

(პირველი ნიშნის, კერძოდ, სახელმწიფო მმართველობის ფორმის მიხედვით ი. ჭავჭავაძე ერთმანეთისაგან ასხვავებს მონარქიას (აბსოლუტურსა და კონსტიტუციურს) და რესპუბლიკას) მმართველობის ამ ფორმებზე ი. ჭავჭავაძეს ლაპარაკი აქვს თავის ნაშრომში — „ცხოვრება და კანონი", რომელშიც იგი მიუთითებს, რომ სახელმწიფოს ყველა ფორმის პირობებში შეიძლება საზოგადოების მოწყობა თვითმმართველობის პრინციპის მიხედვით: „ცხადია, რომ როგორიც უნდა იყოს უმაღლესი მთავრობა — თვითმპყრობელობითი, მონარქიული წარმომადგენლობითი, თუ რესპუბლიკის სახისა, — ერთშიაც, მეორეშიაც და მესამეშიაც თვითმმართველობა მშვიდობიანად მოეწყობა"[2].)

მმართველობის თვითმპყრობელური ფორმა რევოლუციამდელი რუსული იურიდიული მეცნიერების მიხედვით განისაზღვრება შემდეგი ნიშნებით: მონარქის ხელისუფლების შინაგანი დაუყოფლობა, შეუზღუდველობა და უზენაესობა; ხელმწიფის სუვერენობა საერთაშორისო ურთიერთობაში[3]. თვითმპყრობელობა იგივე მონარქიაა, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან იგი იმით განსხვავდება, რომ მმართველობის ეს ფორმა გამორიცხავს მონარქის ხელისუფლების შინაგან დაყოფას და საერთაშორისო ურთიერთობაში ხელმწიფის ძალაუფლების სუვერენობას ემყარება. ამ განსაზღვრიდან, რომელიც რევოლუციამდელ იურისტ-მეცნიერებს ეკუთვნის, არ ჩანს რუსეთის თვითმპყრობელური სახელმწიფოს ნაკლოვანებანი, კერძოდ, რუსეთის თვითმპყრობელი მეფის ხე-

---

1 იხ. Н. М. Коркунов, Русское государственное право, т. 1. СПБ, 1893; Его же, Русское государственное право, т. 2, СПБ, 1897; А. Градовский, Начала русского государственного права, т. 1, СПБ, 1875; его же, Начала русского государственного права, т. 2, СПБ, 1878; его же, Начала русского государственного права, т. 3, СПБ, 1883 и др.

2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 42.

3 Н. М. Коркунов, Русское государственное право, т. 1, СПБ, 1893, стр. 161.

ლისუფლების შეუთავსებლობა სხვადასხვა საწმუნოებისა და ეროვნების მქონე ხალხების საკუთარ ინტერესებთან. ი. ჭავჭავაძე კარგად ხედავს რუსეთის თვითმპყრობელური ფორმის სახელმწიფოს ამ ნაკლოვანებას და წერს: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, საცა სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი სცხოვრობენ, და მერე ისე — რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწებზედ არიან შეჯგუფულნი და არა შიგა-და-შიგ გაფანტულნი. ამიტომაც, ერთს უდიდეს საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვა ტომის ერნი, როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მერე — როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან... რუსეთს არა ჰქონდა და არც დღეის-აქამომდე აქვს გამოკვლეული და დადგენილი დედა-აზრი მასზედ, თუ სად თავდება უფლება ეროვნებისა და სად იწყება სახელმწიფოსი"[1].

(რაც შეეხება სახელმწიფო მმართველობის მეორე ფორმას, კერძოდ, მონარქიულ-წარმომადგენლობით სახელმწიფოს, ი. ჭავჭავაძეს იგი წარმოდგენილი აქვს, როგორც პარლამენტური, ანუ კონსტიტუციური მონარქია. ეხება რა თვითმმართველობას, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სახელმწიფო მმართველობის ეს ფორმა „დიდი ხანია მოქმედებს ინგლისშიაც, საცა მონარქიული წარმომადგენლობითის სახის მთავრობაა"[2]. ი. ჭავჭავაძე იწონებს ინგლისის მონარქიულ-პარლამენტურ სახელმწიფოს, რადგან მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები და თავისუფლებები შეუძლებელია აქ დადგენილი იქნას საზოგადოების თანხმობის გარეშე.) ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ინგლისის პარლამენტში ორი პარტიაა, მთავრობა კი იქმნება პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული პარტიისაგან, მაგრამ ინგლისის პარლამენტურ-მონარქიული სახელმწიფოს დიდ პოლიტიკურ მიღწევას წარმოადგენს ის, რომ „რომელს დასსაც უნდა ეპირობს სამინისტრო, ვიგები იქნებიან თუ ტორები, ინგლისში ისეთი შეურყეველი ჩვეულებაა, რომ თუ სამინისტროს კანონი და პროექტი არ მოუწონა პარლამენტმა და არ დაუმტკიცა, უნდა გადადგეს და სამინისტრო მეორე დასს დაუთმოს"[3]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძე მონარქიულ-პარლამენტური სახელმწიფოს იდეალიზაციამდე არ მიდის. მან კარგად იცის, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში პარლამენტი არ არის ერთგვაროვანი, რომ სწორედ ინგლისის პარლამენტი არ ანიჭებდა თავისუფლებას ირლანდიელ ხალხს, რომელმაც ინგლისის ბატონობას თავის ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლით უპასუხა. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ინგლისის პარლამენტის ოპოზიციური ნაწილი, კერძოდ, იმდროისათვის კონსერვატორები ამტკიცებენ, რომ „საცა ძალაა, იქ სამართალს ხმა და ხელი

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 141—142.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 42.
[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 197.

არა აქვსო. რადგანაც ირლანდია ჩვენ იარად აგვრჩენია, მის მოსარჩენად თავს რაზედ ვიტკიებთო? ავიღოთ და როგორც ხორცმეტი ამოვჭრათ და გადავაგდოთო. ხომ ინგლისს ერთ ლუკმადაც არ ეყოფაო"[1]. კონსერვატორთა ამ ზრახვას ი. ჭავჭავაძე უწოდებს ბარბაროსულსა და რეაქციულს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით სახელმწიფოებრივი მმართველობის მესამე ფორმაა რესპუბლიკა. ეხება რა თვითმმართველობას, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი მოქმედებს „ჩრდილო-ამერიკაშიაც, საცა რესპუბლიკაა"[2]. ი. ჭავჭავაძე რესპუბლიკური აშშ-ის სახელმწიფოს სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მმართველობის მქონე ევროპისა და აზიის სახელმწიფოებზე მაღლა აყენებს. რესპუბლიკური წყობილება გამორიცხავს მილიტარიზმსა და ბიუროკრატიზმს, სახელმწიფოს მთელი საქმიანობა, რომელშიც ხალხის ფართო მასები მონაწილეობენ, მიმართულია საზოგადოების საკეთილდღეოდ. საფრანგეთის ყოველი მოქალაქე სამხედრო ხარჯების დასაფარავად ყოველწლიურად იხდის 24,5 ფრანკს, ინგლისის — 21 ფრანკს, გერმანიისა კი — 12,5 ფრანკს. რაც შეეხება აშშ-ის მოქალაქეებს, თითოეული მათგანი სამხედრო ხარჯების დასაფარავად ყოველწლიურად მხოლოდ 4,5 ფრანკს იხდის. სწორედ ამიტომ „ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათანობით იმორჩილებენ ევროპას... რაც დრო მიდის, ევროპაში უფრო და უფრო ძლიერდება ერთა შორის უნდობლობა და მძულვარება, ამ მხრით ამერიკა სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს. ამერიკის სახელმწიფოს აზრად აქვს სახელმწიფოთა ძმური კავშირი დაადგინონ, რისთვისაც ქალაქ ნიუ-იორკში კონგრესი შეიკრიბება. ამ კონგრესზე ლაპარაკი ექნებათ იმის შესახებ, თუ რა პირობებითა და საშუალებით უნდა შეერთდნენ ამერიკის სახელმწიფონი ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკის არ დაიჩაგროს"[3].

(რესპუბლიკა არსებითად იმით განსხვავდება მონარქიისაგან, რომ იგი ასე თუ ისე გამოხატავს ხალხის ფართო მასების ინტერესებს.) რესპუბლიკა, როგორც მშრომელთა ფართო მასების ინტერესების გამომხატველი დაწესებულება საზოგადოების მოწინავე მოაზროვნეების შემოქმედებითი ძიების შედეგია და მათი „ფიქრით, პირველი და უაღრესი საგანი რესპუბლიკის მმართველობისა უნდა ყოფილიყო კეთილდღეობა ერისა, უნდა მშრომელისათვის საშრომი გაეჩინა და ამით მუშაკაცისათვის სახსარი მიეცა — ჯეროვანი გასამარჯელო მიეღო, რომ ადა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 200.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 42.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 56.

მიანურად ეცხოვრა; თითონ რესპუბლიკას უნდა გაეჩინა ფაბრიკები, და ქარხნები ან სხვა რაიმე საქმე, რომ მოჭარბებულ რიცხვს მუშაკაცისას სამუშაო ჰქონოდა, კარგად მოეწყო იქ მუშაკაცის ბედი, რომ სხვებისათვის მაგალითი ყოფილიყო; უნდა სამუშაო დღე შეემოკლებინა და გაეჩინა რაზედ ნაკლებ არ უნდა მისცემოდა ფასი მუშაობისა, მოხუცნი, დაშავებულნი, საპყარნი, ქვრივ-ობოლნი შეევრდომა, და მუშაკაცის მოზარდის თაობისათვის კარი გაეხსნა სწავლისა, გონების გახსნისა და რაიმე ხელობის ცოდნისა"[1].

(მონარქიისაგან რესპუბლიკის არსებითი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მისი სოციალური ბაზა ფართოა, კერძოდ, რესპუბლიკური წყობილების დროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოებრიობის განხორციელებაში მონაწილეობენ ხალხის ფართო მასები. რესპუბლიკაში საზოგადოების ფართო მონაწილეობა სახელმწიფო საქმიანობაში უზრუნველყოფილია მთელი რიგი ისეთი დაწესებულებების არსებობით, რომლებიც უცხოა მონარქიული სახელმწიფოებისათვის, კერძოდ, რესპუბლიკაში საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებას საზოგადოების შედარებით ფართო ნაწილი ახორციელებს. პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო დაწესებულება, მინისტრთა საბჭო და სამინისტროები, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები და სასამართლოები, როგორც მართლმსაჯულების ხელისუფლება, ხალხის მიერ ირჩევა.)

(ი. ჭავჭავაძის აზრით, მართალია, რესპუბლიკა, როგორც ახალი ეპოქის სახელმწიფოთა ფორმა ფეოდალური სახელმწიფოს უმთავრეს ფორმასთან, კერძოდ, მონარქიასთან შედარებით უფრო სრულად გამოხატავს მშრომელი ხალხის ინტერესებს, მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში რესპუბლიკა, როგორც სახელმწიფოს ფორმა, მომეტებულად მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესებს იცავს. რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო ორგანო ბურჟუაზიის ბატონობის იარაღია:) „რესპუბლიკის დაარსების დღიდამ დღეანდლამდე არც ერთი არჩევანი პარლამენტის დეპუტატებისა ისე არ გათავებულა, რომ უფროს — ერთობა ბურჟუაზიას არ დარჩენოდა პარლამენტსა და სენატში. რადგანაც პარლამენტის უფროს — ერთობის დაგვარად შესდგება ხოლმე ჩვეულებისამებრ, სამინისტრო, — ადვილად მისახვედრია, რად მოხდება ხოლმე ისე, რომ მმართველობას საფრანგეთისას ყოველთვის ბურჟუაზიას მომხრეობა ეტყობა და ეკონომიკური ცვლილება მუშაკაცთა სასარგებლოდ ბრკოლდება"[2].(ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ხელისუფლება ეკუთვნის არა მთელ საზოგადოებას, არამედ მხოლოდ ბურჟუაზიას, მაგრამ ერთი მხრივ ხალხსა და მეორე მხრივ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამარ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 224.
[2] იქვე, გვ. 225

თლო ხელისუფლებებს შორის ურთიერთობა იმაში გამოიხატება, რომ როცა ხალხი უკმაყოფილო ხდება ხელისუფლებით, ბურჟუაზია ცელის ამ ხელისუფლების სათავეში მყოფ პირებს ახალი მოხელეებით, მაგრამ ამით, რა თქმა უნდა, სახელმწიფო აპარატი არ იცვლება.) „პარლამენტი, უფროს-ერთად ბურჟუაზიისაგან შემდგარი, ჰშველის ხოლმე თავისს მომხრე სამინისტროს, მაგრამ როცა ჰხედავს, რომ საჭიროება ერისა ხმამაღლა ჰღაღადებს, და ამ ღაღადებას შიში მოსდევს, — მაშინ იძულებულ ჰხდის სამინისტრო გადასდგეს და სხვა კაცებს დაუთმოს მმართველობა ქვეყნისა. რასაკვირველია, ისევ უფრო ბურჟუაზიის მომხრენი არიან ხოლმე ამ შემთხვევაშიც, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ცელა კაცების ცოტა ხნობით მაინც დააამებს ხოლმე ტკივილს ერისას იმ იმედით, რომ იქნება ახალ კაცი ახალი რამ მოგვიტანონო. ამ ცდასა და ლოდინში ცოტა თუ ბევრი დრო გადის, დაბოლოს, როცა ერი ჰხედავს, რომ ამათგანაც არა გამომდნარა, ისევ ხელახლა ჰღაღადებს, ამ ღაღადს მოჰყვება ხოლმე ისევ ის ცვლა მინისტრებისა, ისევ ის იმედების გამტყუნება, ისევ ის ღაღადი, რომ საფრანგეთში არც ერთი სამინისტრო დიდ ხანს ვერა სძლებს, რადგანაც ცვლა მინისტრებისა არ მოასწავებს ცვლას სამმართველო სისტემისას“[1].

ზემოაღნიშნული დამახასიათებელია არა მარტო საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკისათვის, არამედ, საერთოდ, ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოსათვის. სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან შედარებით აშშ-ი თავისი რესპუბლიკური წყობილებით უაღრესად დემოკრატიულია, მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი მისთვის უცხო არ არის. ბურჟუაზია ქვეყნის ბატონ-პატრონია, ისინი ყველგან ბატონობს. კაპიტალისტური ქვეყნების პარლამენტები, მათი შემადგენლობის მოჩვენებითი დაპირისპირების მიუხედავად, ყველგან მიზნად ისახავს ხალხების (ერების) დამორჩილებას სახელმწიფოს პოლიტიკისადმი. სახელმწიფოს მესვეურებსა და ერთა უფლებების დამცველთა შორის პარლამენტებში აზრთა სხვადასხვაობაა: „გამგებელნი სახელმწიფო ბედისანი იძახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც თქვენ სუო; სახელმწიფოს გულშემატკივარნი ერის მოყვარენი — კი პასუხად ეუბნებიან: უკაცრავად, პოლიტიკაა ერისთვის გაჩენილი და არა ერი პოლიტიკისათვისო“[2]. ი. ჭავჭავაძე, მართალია, არ გვაძლევს ამ სადავო საკითხზე თავის დასაბუთებულ მოსაზრებებს, მაგრამ მისი მტკიცებით, ბურჟუაზიულ პარლამენტებში საკითხის ამგვარი დაყენება არ არის სასარგებლო არც სახელმწიფოს პოლიტიკისათვის და არც ერების სასიცოცხლო ინტერესებისათვის. იგი შენიშნავს: „ყველაფერი ეს რომ გა-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 225.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 51.

ფხიკოთ, გასცხრილოთ, ძირს დარჩება ორი ერთმანეთის მოპირისპირე მოძღვრება, ორივ ერთნაირად უჯათი და ერთნაირად სამართლიანი — კი არა"[1].

ი. ჭავჭავაძე იცნობს აგრეთვე სახელმწიფოებრიობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების ისეთ ფორმასაც, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს სახელმწიფო წყობილების თავისებურებებზე. სახელმწიფო წყობილების ფორმებზე მსჯელობისას იგი ემყარება იმდროინდელი იურიდიული მეცნიერების მიღწევებს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო წყობილების ფორმა შეიძლება ძირითადად იყოს ორგვარი: პირველი, რთული სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფოთა გაერთიანებას გულისხმობს და მეორე, მარტივი სახელმწიფო, რომელიც გამორიცხავს მოცემულ სახელმწიფოში დამოუკიდებელი პოლიტიკური ნიშნების მქონე ერთეულების არსებობას[2]. ამრიგად, როცა სახელმწიფო წყობილების ფორმაზე ვმსჯელობთ მხედველობაში გვაქვს ან რთული სახელმწიფოს ნაწილებს შორის ურთიერთობის ანდა მარტივ სახელმწიფოში ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის დამოკიდებულების თავისებურებანი[3]. მაგრამ ი. ჭავჭავაძე არ კმაყოფილდება რევოლუციამდელი იურიდიული მეცნიერების მიერ შემუშავებული მოძღვრებით სახელმწიფო წყობილების ფორმების (მარტივი და რთული სახელმწიფოები) შესახებ და ცდილობს განავითაროს იგი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო წყობილების ტრადიციული მოძღვრება ი. ჭავჭავაძემ სრულყო თავისი დროის ამოცანების შესაბამისად და მასში შეიტანა სრულიად ახალი მომენტი, კერძოდ, სახელმწიფო წყობილების ფორმა დაუკავშირა მრავალეროვან სახელმწიფოში მცხოვრებ ერთა პოლიტიკური გაერთიანებისა და მოწყობის ამოცანებს, რომელიც რუსეთის იმპერიისათვის უაღრესად მტკივნეული იყო. ი. ჭავჭავაძე ეხება რა მრავალეროვან სახელმწიფოში ერების პოლიტიკურ მოწყობას, წერს: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, სადაც სხვადასხვა ტომის, და ენის ერნი სცხოვრობენ, და მეორე ის, — რომ თავიანთ მამაპაპეულ მიწებზედ არიან შეჯგუფულნი და არა შიგადაშიგ გაფანტულნი. ამიტომაც ერის უდიდეს საგანს რუსეთისას შეადგენს ჯერ ის, რომ სხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მეორე — როგორ უნდა მოთავსდენ სახელმწიფოსთან"[4]. ი. ჭავჭავაძეს მტკიცედ სწამს, რომ „რუსეთის ერის უდიდესი საგანი" შეიძლება წარმატე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 51.

[2] Н. М. К о р к у н о в, Русское государственное право, т. I, СПБ, стр. 48—169.

[3] ვ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, გვ. 44; ვ. გ ა გ ო ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, გვ. 316; ი. ს ო ლ გ ო ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 45.

[4] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 141.

ბით გადაიჭრას, კერძოდ, შეუძლებელია მრავალეროვან სახელმწიფოში მოისპოს რომელიმე ერი და იგი გაითქვიფოს სხვა ერებში, მოსპობა რომელიმე ერის „დამოუკიდებლობისა და თვითებისა და შერიცხვა მისი სხვა ერთა შინა“, ყოველგვარ ადამიანურ შესაძლებლობას აღემატება. მისი აზრით, რთული სახელმწიფოების არსებობა შესაძლებლობას იძლევა ერების პოლიტიკური მოწყობისა და გაერთიანებისათვის, კერძოდ, რუსეთის იმპერიაში შემავალი ერები შეიძლება „მოეწყონ შინაობაში სათითაოდ“ თუ ისინი პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბდება. სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით ცნობილი ე. წ. რთული ანუ ფედერაციული სახელმწიფოები საესებით შესაძლებელია გამოყენებული იქნას ერების პოლიტიკური მოწყობისათვის, მეტიც, ამგვარი ფორმის სახელმწიფოები იმისთვის არსებობს, რომ მასში ერები მოეწყონ პოლიტიკურად: „თუ შეუძლებელია გაერთიანება ერთა, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოთა გაერთიანებას“[1].

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ი. ჭავჭავაძე უპირატესობას ანიჭებს მარტივ სახელმწიფოს, რაც შეეხება რთულ სახელმწიფოებს მრავალეროვანი ქვეყნების გარდა, მისი შექმნა ვერ უზრუნველყოფს ხალხთა სრული კეთილდღეობის მიღწევას და ამას გარდა, რთული სახელმწიფოების ჩამოყალიბება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ემყარება რა XIX საუკუნის მოწინავე რუსულ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებებს, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს: „საზოგადოდ ინკორპორაცია ქვეყნისა, რომელსაც ჰქონია თავისი ისტორიული ეროვნება, ყოველთვის დიდს სიძნელეს წარმოადგენს და ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვს. ვიდრე სარგებლობა“[2]. რთული სახელმწიფო მრავალეროვან ქვეყანაში დასაშვებია, თუ იგი ერთა პოლიტიკურ გაერთიანებას ემსახურება და მიზნად დაისახავს ერების „დამოუკიდებლობისა და თვითების“ უზრუნველყოფას და მოსპობს „შერიცხვას მისი სხვა ერთა შინა“.

ი. ჭავჭავაძე ეხება ევროპის რთულ სახელმწიფოებს, სადაც სხვადასხვა გვარტომის ხალხია გაერთიანებული და განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება ავსტრია-უნგრეთის რთულ სახელმწიფოზე. იგი მიუთითებს, რომ „ავსტრია-უნგრეთში უფრო სამი გვარ-ტომობის ერია მომწყვდეული, ვენგერები ანუ მადიარები, ნემენცები და სლავიანები“[3]. ავსტრია-უნგრეთი, ი. ჭავჭავაძის აზრით, იძულებული გახდა „გაორთაევებულიყო“, რადგანაც „ერთის მხრით ძველი ტრადიციები ჰაბსბურგის გვარე-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 279.
2 იქვე, გვ. 278.
3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 35.

ულობისა. რომელიც დღეს ჰხელმწიფობს ავსტრია-ენგრიაში, ნემენ-ცობას არ ავიწყებს ავსტრიას, და უამისოდაც ავსტრიის ნემენცობა ასე თუ ისე ძლიერად ზემოქმედობს საქმეთა მიმდინარეობაზედ, და მეორეს მხრით მადიარობა ძლიერი აღმოჩნდა თავისის ეროვნებურის ძალ-ღონიერობითა"[1]. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ორად გაყოფილ ავსტ-რია-უნგრეთს (ტრანსლეიტანიასა და ცისლეიტანიას) ცალ-ცალკე თა-ვისი სამინისტრო და პარლამენტი აქვს, მაგრამ „ერთობა ამ ორთა ნა-წილთა შორის განხორციელებულია ჯერ იმითი, რომ ერთი ხელმწიფე ჰყავთ, და მეორე იმითი, რომ ჯარი და სახელმწიფო ფინანსები საერთოა და საერთო სახელმწიფო საქმეებში ერთად იღწვიან"[2]. ი. ჭავჭავაძე აღ-ნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდამდე კაცობრიობა დარწმუნებული იყო, რომ თუ ერთმა ერმა მეორე არ ჩაყლაპა, არ მოსპო და, არ დაი-მორჩილა, ისე სახელმწიფოს ერთიანობა თითქოს შეუძლებელია, მაგ-რამ ახალი ისტორია მრავალ მაგალითს იცნობს იმისა, რომ სხვადასხვა ერი შეიძლება ერთ სახელმწიფოში ისე მოეწყოს, რომ არც ერს და არც სახელმწიფოს ევნოს რაიმე. ამის მაგალითად იგი ასახელებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, შვეიცარიას, ხოლო ავსტრია-უნგრეთის შესახებ იგი აღნიშნავს, რომ მას „ბედმა არგუნა და შინაურ საქმედ გაუხადა ერ-თი რთული, მძიმე და მეტად შესანიშნავი საქმე. ეგ საქმე სხვადასხვა გვარტომობის ერის მოთავსებაა ერთსა და იმავე სახელმწიფოში ისე, რომ არც გვარტომობას ევნოს რამე და არც სახელმწიფოს ერთიანო-ბასა"[3].

რუსეთის სახელმწიფოში საერობო თვითმმართველობის ჩამოყალი-ბებისათვის გაჩაღებული კამპანიის ვითარებაში იურიდიული აზრი გან-საკუთრებული ინტერესით ამუშავებს სახელმწიფო ორგანოების აგების ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პრინციპებს[4]. ი. ჭავჭავაძე რომელიც ფართო თვითმმართველობის შემოღებას მოითხოვს, მიუთი-თებს, რომ „ყოველი სახელმწიფო, რიგიანი წესზედ ცოტად თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოვლა და პატრონო-ბა ადვილი იყოს. მაგალითებრ, რუსის იმპერია დაყოფილია გუბერნი-ებად, გუბერნიები მაზრებად, მაზრები სოფლის საზოგადოებად"[5]. ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფოს ცენტრალიზაცია, მისი მართვის ცენტრალიზებული სისტემა „იმ-გვარს მოწყობილობას ნიშნავს, როცა უფლება და გამგეობა საზოგადოებრივი, ანუ სახელმწიფოებრივი... ყოვ-ლისფერი ერთის წერტილიდამ (ცენტრიდამ) გამოდის და ერთსავე წერ-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 85.
2 ი ქ ვ ე, გვ. 86.
3 ი ქ ვ ე.
4 იხ. А. Г р а д о в с к и й, Начала русского государственного право, СПБ, 1883, стр. 3—19 и др.
5 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 33.

ტილს (ცენტრს) ძიერთმევა. ასე რომ ყოველს კუნჭულს, ყოველს კუთხეს რომელისამე ერთიანის სახელმწიფოსას — ერთის წერტილიდამ ეძლევა ყოველივე წესი და რიგი ცხოვრებისა, ერთმანეთში მოთავსებისა და ერთმანეთში განწყობისა. ადგილობრივის ტკივილის წამლისათვისაც კი იმ ერთ წერტილს უნდა მიჰმართოს ხოლმე კაცმა და იქიდამ მოელოდეს შველასა"[1]. დეცენტრალისტური მმართველობის სისტემა გამორიცხავს ამგვარ წესს, დეცენტრალიზებულ სახელმწიფოებში (შეეიცარია, აშშ-ი და ა. შ.) ცენტრალურმა მმართველობამ „კარგა ცალი უფლება და გამგეობის ნაწილი დაუთმო თვითეულს ადგილობრივს ნაწილს"[2] ზემოაღნიშნულ ქვეყნებისას. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, მმართველობის ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული სისტემა ერთნაირადაა დამახასიათებელი, როგორც ანტიდემოკრატიული, ასევე დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის. ცენტრალიზაციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ხელისუფლების თავმოყრა ერთ ადგილას, ცენტრში, ხოლო იმ გარემოებას თუ ვის ხელში იქნება ეს ხელისუფლებები თავმოყრილი, ერთი თუ მრავალი პირის ხელში, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ი. ჭავჭავაძე წერს, რომ სახელმწიფოს ცენტრალიზებული სისტემა იმგვარ „მოწყობილობას ნიშნავს, როცა უფლება და გამგეობა საზოგადოებრივი, ანუ სახელმწიფოებრივი, ერთის კაცის ხელშია, ან ბევრთა ხელში — მაგრამ ერთს ადგილას კი. მაგალითებრ, სპარსეთში უფლება და გამგეობა ერთის კაცის ხელშია, სახელდობრ — შაჰის ხელში. იქ ითქმის, რომ ცენტრალიზაციური სისტემაა. საფრანგეთში ეგ უფლება და გამგეობა თუმცა ბევრის ხელშია, მაგალითებრ — პარლამენტის ხელში, მაგრამ ერთს ადგილას კი, სახელდობრ, პარიზში. აქაც ითქმის, რომ ცენტრალიზაციური სისტემა"[3]. მაგრამ ცენტრალიზებული სახელმწიფოები მმართველობის ფორმის მიხედვით ორგვარია, დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული, ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიული: „ქვეყნიერობაზედ მმართველობის ორგვარი წყობა და აგებულება ჰქონია და აქვს. თუ სადმე რაიმე ცვლილება არის, მაინც არ შეიძლება, რომ მმართველობა ან ერთისაკენ არ იყოს მიდრეკილი, ან მეორისაკენ"[4]. ანტიდემოკრატიული, ცენტრალიზებულ-ბიუროკრატიული სახელმწიფო მმართველობა ი. ჭავჭავაძეს შემდეგნაირად აქვს განსაზღვრული: „ერთგვარი მმართველობა იგია, როცა სახელმწიფო საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარის საქმის დამწყები და

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 316—317.
2 იქვე, გვ. 317.
3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 316.
4 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 35.

ბოთავეა. ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, — ყოველის მზრუნველი და გამგეა, ასე რომ ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელე-კაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადაყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი. ამგვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან"[1].

რაც შეეხება დემოკრატიულ მმართველობას, მას ი. ჭავჭავაძე შემდეგნაირად ახასიათებს: „მეორე-გვარი მმართველობა იგია, როცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია,)მერე ასე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოებრივი საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით. რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას თვითმმართველობას უწოდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოისა თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უელის და თვით ჰმართავს. ერთის სიტყვით, ამგვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს"[2].

(ამრიგად, ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფოს დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული მმართველობის ფორმებს მრავალი ნიშნები განასხვავებს ერთმანეთისაგან, მაგრამ ამ განმასხვავებელ ნიშნებს შორის მთავარია შემდეგი: პირველი, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ხელისუფლებების განხორციელება; მეორე, თვითმმართველობის არსებობა. სხვაგან, ი. ჭავჭავაძე სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული ფორმების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად ასახელებს ქვეყნის შიგნით ქვეშევრდომთა და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებს შორის უ ფ ლ ე ბ ა-მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა თ ა გარკვეულობას.) ივი მიუთითებს, რომ ადამიანთა კეთილდღეობას ვერაფერი ვერ უზრუნველყოფს ისე, როგორც უფლება-მოვალეობათა განსაზღვრულობა: „კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 35—36.
[2] იქვე, გვ. 36.

საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ"[1]. უფლება-მოვალეობის გარკვეულობის მიხედვით ი. ჭავჭავაძე ერთმანეთს უდარებს დემოკრატიულ შოტლანდიასა და ანტიდემოკრატიულ, დესპოტურ სპარსეთს. იგი მიუთითებს, რომ შოტლანდიელს ცხოვრება უხდება მძიმე პირობებში, ბუნების თავისებურებანი აიძულებს მას ლუკმა პური მოიპოვოს დღეადღამ შრომით და სისტემატურად ებრძოლოს ბუნებას, მაგრამ „იგი უფრო ბედნიერია და კმაყოფილი, ვიდრე სპარსელი, რომლისთვისაც ბედს შემოუფარგლავს უკეთესი ქვეყანა კაცთა საცხოვრებლად და საზრდოობისათვის. ერთი არის თავმომწონე, გამბედავი, თავისუფალი, მედგარი და გულდაგული კაცი, მეორე არის გულჩათუთქული, ილაჯგაწყვეტილი, ფრთხალი და გათელილი. ერთი — იმედით აღსავსე სულ წინ იყურება და ყოველი მისი ფეხის წინ წადგმა ძლევამოსილებაა ხვალისათვის, მეორე — სასოწარკვეთილია, შიშით სულ უკან იყურება და გუშინდელს, მშვიდობით გატარებულს დღეს ნატრულობს და არა სწამს ხვალე. ერთი სულით და ხორცით ყოველდღე წარმატებაშია, თუმცა ღარიბი ბუნება ახვევია, მეორე — სულითაც და ხორცითაც დალევაშია, თუმცა მის გარე ბუნება უხვია და მცდარი. რა არის ამის მიზეზი? ის არის, რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის „ჩემი აქ თავდებაო და სხვისა აქ იწყებაო", უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა"[2].

ი. ჭავჭავაძე მრავალეროვან ქვეყანაში ცენტრალიზებული სახელმწიფოს წინააღმდეგია, რადგან ამგვარი სახელმწიფოს არსებობა გამორიცხავს ადგილობრივ თვითმოქმედებასა და ინიციატივას, რაც ხალხებისა და ერების კეთილდღეობის დამყარებას უშლის ხელს. აკრიტიკებს რა სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის მომხრეებს, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ცენტრალიზაციის უარყოფა გაგებული უნდა იქნას, როგორც ადგილობრივი ვითარებისა და საჭიროების გაუთვალისწინებლად ხელისუფლების განხორციელება ცენტრიდან, მრავალეროვან სახელმწიფოში ხელისუფლების ამგვარ განხორციელებას დიდი ზიანი შეუძლია მოუტანოს საზოგადოებას. მაგალითად, აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე, „განათლების საქმე ისეთი საქმეა, რომ ადგილობრივს ინტერესს შეადგენს. მაშასადამე, ყოველმა კუთხემ საქართველოსამ ეს საკუთარი ინტერესი თითონ თავის საკუთარის ძალით და მხნეობით უნდა განაგოს, ესე იგი — სრული უფლება და გამგეობის ნება უნდა ჰქონდეს, რომ როგორც უჯობდეს, ისე მოუაროს, უპატრონოს"[3]... „რომ თვითმოქმედებამ ერისამ ყოველს კუთხეში ფეხი აიდგას განათლების გავრცელებისათვის, და ეგ თვითმოქმედება იქმნას იმ ხნულად, საიდამაც უნდა აღმოცენდეს სწავლა-განათლება და სადაც ძირი უნდა გაიკეთოს ყოველმა

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 7.
[2] იქვე, გვ. 7—8.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 318.

საზოგადოებამ"[1]. (ი. ჭავჭავაძე წინააღმდეგია ცენტრალიზებულ-დიქტატორული სახელმწიფოსი, რომელიც სპობს ყოველგვარი თვითმმართველობის საფუძველს და ადგილობრივი საქმეების გამგებლობას მხოლოდ ცენტრს უმორჩილებს.) დიქტატორული სახელმწიფოების მიზანია სახელმწიფოს ერთმმართველობისათვის ქვეყანაში ყველაფრის დამორჩილება და დათრგუნვა. აკრიტიკებს რა კრომველის დიქტატურას ინგლისში, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ თვითმმართველობისათვის მებრძოლ ირლანდიას და მის ხალხს დიდი უბედურება მოუტანა დიქტატორმა კრომველმა, რომელმაც „1648 წელს ასეთი თავზარი დასცა ირლანდიელებს, დაიმორჩილა და ასე უმოწყალოდ მოექცა, რომ დასაბამი მძულვარებისა ინგლისის მიმართ, ფესვი დაუძინებლის მტრობისა, თითქმის კრომველის უღმრთო მოქმედებამ დანერგა... 1800 წელს ირლანდია ინგლისმა სრულად დაიმორჩილა და თავისთან შემოიერთა, პარლამენტიც გააუქმა და ყველა ნიშან-წყალი თვითმმართველობისა"[2]. ი. ჭავჭავაძის პოლიტიკური იდეალი პარლამენტური რესპუბლიკაა ადგილობრივი თვითმმართველობით. ინგლისის, საფრანგეთის და ევროპის დანარჩენი პარლამენტური რესპუბლიკები, მათ შორის გერმანიის (პრუსიის) პარლამენტიც კი, მიუხედავად მისი შეზღუდულობისა, ი. ჭავჭავაძეს მიაჩნია ისეთ პოლიტიკურ დაწესებულებებად, სადაც ხალხის წარმომადგენელთა გონივრული სჯა-ბაასის გზით შეიძლება ყველა სადავო საკითხის გადაწყვეტა. სტატიაში — „პოლიაკების განდევნა პრუსიიდამ" — ი. ჭავჭავაძე აღფრთოვანებას გამოთქვამს გერმანიის პარლამენტის პოლიტიკური აქტიობის გამო. ეხება რა კამათს პარლამენტში გერმანიიდან პოლონელთა განდევნის შესახებ, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს: „მეორე დღეს ისევ ამ საგანზედ იყო უფრო გაცხარებული, უფრო სუსხიანი სჯა და ბაასი. ასეთი სიტყვები წარმოითქვა თურმე, რომ ევროპის ყურს დიდი ხანია არა ჰსმენია... დღევანდელი პარლამენტი გერმანიისა, როგორც ზემოხსენებულიდამ სჩანს, დიდად საყურადღებო იქნება მთელის ქვეყნიერობისათვის. ამისთანა გაფიცხებული, ფხიანი და რიხიანი პარლამენტი გერმანიას დიდი ხანია არ უნახავს"[3].

(წინააღმდეგ ცენტრალიზებული სახელმწიფოსა, რომელიც ი. ჭავჭავაძის აზრით, ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას ვერ უზრუნველყოფს,) მხოლოდ დეცენტრალიზებულ სახელმწიფოს შეუძლია მოაწესრიგოს ყველაზე სრულყოფილად ურთიერთობები ადამიანებს, ერებსა და ხალხებს შორის. ამგვარ დეცენტრალიზებულ სახელმწიფო მმართველობას ი. ჭავჭავაძე თვითმმართველობას უწოდებს. (თავის ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ტრაქტატში — „ცხოვრება და კანონი", ი. ჭავჭავა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 325.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 24—25.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 241.

ძეს ტერმინის „თვითმმართველობა" განმარტებული აქვს, როგორც самоуправление, децентрализация"[1].

ამრიგად, სახელმწიფო წყობილებისა და მმართველობის შესახებ ი. ჭავჭავაძის შეხედულებები ექვემდებარება მის პოლიტიკურ იდეალს, კერძოდ, მრავალეროვან სახელმწიფოებში მცხოვრები ერების მატერიალური და სულიერი ცხოვრების უზრუნველყოფას, რაც მისი მტკიცებით, ყველაზე უკეთ შეიძლება განხორციელდეს ერებისათვის ფართო ავტონომიის (თვითმმართველობის, თვითმოქმედების) მინიჭების გზით. ამ მიზნით ევროპული და, კერძოდ, მოწინავე რუსული იურიდიული მეცნიერების იმდროინდელი განვითარების დონეზე ი. ჭავჭავაძე ამუშავებს მოძღვრებას თვითმმართველობის შესახებ. როგორც ირკვევა, ამ მოძღვრების სხვადასხვა ნაწილები მის მიერ დამუშავებულია არა ერთბაშად, არამედ თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე. ყველაფერი ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ი. ჭავჭავაძე ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ძირითად მიზანს რაკი უკეთესი, როგორც ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო შეუძლებელია, ავტონომიას უკავშირებდა და ფიქრობდა, რომ ქართველი ერის პოლიტიკური მოწყობა რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში სავსებით შესაძლებელია ავტონომიის ფორმით.

ავტონომიის (თვითმმართველობის) შესახებ ი. ჭავჭავაძის მოძღვრებიდან, პირველყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი თეორია ქვეყანაში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულებაზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ და ევროპულ იურიდიულ მეცნიერებაში საერთოდ თვითმმართველობის ორი ძირითადი თეორია იყო გავრცელებული: პირველი, საზოგადოებრივი თეორია და, მეორე, სახელმწიფოებრივი თეორია[2]. საზოგადოებრივი თეორიის თანახმად თვითმმართველობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადგილობრივ საზოგადოებას მინიჭებული ჰქონდეს უფლება თვითონ განაგოს საკუთარი საზოგადოებრივი ინტერესები, ხოლო მთავრობის ორგანოებს გააჩნდეს მხოლოდ სახელმწიფო საქმეების გამგებლობა. როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი თეორია გამოდის ადგილობრივი საზოგადოების სახელმწიფოსადმი დაპირისპირებიდან და ავითარებს იმ თვალსაზრისს, რომ საზოგადოება და სახელმწიფო თავ-თავისი საკუთარი ინტერესების განხორციელებისათვის უნდა ზრუნავდეს. საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაპირისპირებიდან, რომელსაც ემყარება საზოგადოებრივი თეორია, გამომდინარეობს ფართო თვითმმართველობის

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, იხ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 36.

2. А. Г р а д о в с к и й, Системы местного управления на западе Европы и в России. Сборник государственных знаний, т. V и VI; его же, Начала русского государственного права, т. 3. Органы местного управления, СПб, 1883; Н. М. К о р к у н о в, Русское государственное право, т. 2, СПб, 1897;

შემოღების მოთხოვნა, კერძოდ, რადგანაც თვითმმართველობის ორგანოები განაგებენ არა სახელმწიფოებრივ, არამედ საზოგადოებრივ საქმეებს, ცხადია, სახელმწიფოს არ ესაქმება თუ როგორ ხორციელდება საზოგადოების კუთვნილი საქმეები. მაგრამ საზოგადოებრივი თეორიის ფუძემდებლები (გირკე, შეფლე და ა. შ.), მიუთითებენ, რომ, რადგან ყოველგვარი კავშირი და მათ შორის თვითმმართველობაც სახელმწიფოს შიგნით არსებობს, ამდენად, თვითმმართველობას დაქვემდებარებული საქმეები არ შეიძლება თავისი ხასიათით და ბუნებით ერთნაირი იყოს. ამის გამო საზოგადოებრივი თეორიის მომხრეები იძულებული არიან განასხვაონ თვითმმართველობის კომპეტენციას დაქვემდებარებული ორი კატეგორიის საქმეები: პირველი, თვითმმართველობის საკუთარი საქმეები და, მეორე, სახელმწიფოს მიერ თვითმმართველობაზე გადაცემული საქმეები.

თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორია, რომლის ფუძემდებლები არიან დ. შტეინი, რ. გნეისტი და ა. შ., თვითმმართველობის შესახებ საზოგადოებრივი თეორიის საწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებენ. ამ თეორიის მომხრეთა მტკიცებით, თვითმმართველობას უნდა დაეკისროს ადგილებზე სახელმწიფო მმართველობის ამოცანების განხორციელება, ადგილობრივი საზოგადოების სამსახურის ორგანიზაცია სახელმწიფო ინტერესებისა და მიზნების შესაბამისად. თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიის მიხედვით ავტონომია (თვითმმართველობა) ნიშნავს არა ადგილობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთდაპირისპირებას, არამედ ადგილობრივი საზოგადოების საქმიანობის დაქვემდებარებას სახელმწიფოს ინტერესებისადმი, სახელმწიფოსადმი ადგილობრივი საზოგადოების სამსახურს. წინააღმდეგ საზოგადოებრივი თეორიისა, რომლის თანახმად თვითმმართველობა ნიშნავს ადგილობრივი საზოგადოების მიერ თავისი საკუთარი ინტერესების დამოუკიდებლად განხორციელებასა და დაცვას, სახელმწიფოებრივი თეორიის მიხედვით თვითმმართველობას დაკისრებული აქვს სახელმწიფო ინტერესების განხორციელება.

თვითმმართველობის შესახებ ზემოაღნიშნული თეორიებიდან საზოგადოებრივ თეორიაზე გამარჯვება სახელმწიფოებრივმა თეორიამ მოიპოვა და დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში თვითმმართველობების ჩამოყალიბებას საფუძვლად მხოლოდ სახელმწიფოებრივი თეორია გაიჩნდა. მაგრამ თვითმმართველობის სახელმწიფოებრივი თეორიის განხორციელება ყველგან დიდ სიძნელეებს ქმნიდა. საქმე ისაა, რომ ამ თეორიის მიხედვით თუ თვითმმართველობები იმ სახელმწიფოს ინტერესებსა და ამოცანებს ახორციელებენ, რომელშიც ისინი არიან ორგანიზებული, მაშინ რა საფუძვლით უნდა მოხდეს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ამოცანების ურთიერთგამიჯვნა, ანუ სხვანაირად, სა-

ხელმწიფოებრივი მმართველობის ზოგიერთი საქმე რა საფუძვლით იქნას შერჩეული თვითმმართველობისადმი დასაქვემდებარებლად. XIX ს. მეორე ნახევრის რუსულ და ევროპულ იურიდიულ მეცნიერებაში ჩამოყალიბებული აზრის მიხედვით თვითმმართველობას უნდა გადაეცეს განსახორციელებლად მხოლოდ ადგილობრივი მმართველობის საქმეები[1].

იურიდიულ მეცნიერებაში თვითმმართველობის შესახებ გავრცელებული თეორიების შედარება ი. ჭავჭავაძის მიერ შემუშავებულ თვითმმართველობის მოძღვრებასთან ცხადყოფს, რომ იგი შესანიშნავად იცნობს ადგილობრივი თვითმმართველობის ზოგად პრობლემებს და მათ გადაწყვეტას უკავშირებს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საბოლოო შედეგებს, კერძოდ, რუსეთის იმპერიაში ქართველი ერის სახელმწიფოებრივ მოწყობას.

თვითმმართველობის (ავტონომიის) მოძღვრება იურიდიული მეცნიერების განვითარების იმდროინდელი დონის მიხედვით დამუშავებულია ი. ჭავჭავაძის მიერ თავის ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ტრაქტატში „ცხოვრება და კანონი". ი. ჭავჭავაძე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილებისა და აგრეთვე ქართველი ერის თავისებურებათა გათვალისწინებით საგულდაგულოდ ადგენსა და განსაზღვრავს თვითმმართველობის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა: თვითმმართველობის ადგილი სახელმწიფო მმართველობაში; თვითმმართველობის მიზანი; თვითმმართველობის დადგენის სიძნელენი და მისი დაძლევის გზები; თვითმმართველობა და სახელმწიფო წყობილების სხვადასხვა ფორმები; თვითმმართველობის ძირითადი კუთვნილებანი; თვითმმართველობის საფუძვლები; თვითმმართველობა და სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელება; სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაცია და თვითმმართველობა; საზოგადოებრივი სოლიდარიზმი და თვითმმართველობა; თვითმმართველობა რუსეთის იმპერიაში და მისი კრიტიკა და ა. შ.

(ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სახელმწიფო მმართველობის მიზანია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების წარმართვა ხალხის ინტერესების შესაბამისად,) მაგრამ ცნობილია სახელმწიფოს ისეთი ფორმა, როდესაც მთავრობასა და საზოგადოებას შორის ქვეყნის საერთო მართვის დარგები განაწილებულია, კერძოდ, მთავრობა განაგებს „მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების" საქმეებს, დანარჩენს კი — თვითონ საზოგადოება განაგებს და მას „თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი". საზოგადოების მიერ ეს „საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობ-

[1] Н. М. Коркунов, Русское государственное право, СПб, 1897, стр. 352—353.

რივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამგვარს გამგეობას უწოდებენ თვითმმართველობას, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოისა თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უკლის და თვით ჰმართავს. ერთის სიტყვით, ამგვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს"[1]. ი. ჭავჭავაძის მიერ თვითმმართველობის ზემოაღნიშნული განსაზღვრება მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ განმარტებისაგან, რომელსაც ავრცელებდნენ რუსეთში თვითმმართველობის მომხრე იურისტი მეცნიერები. მაგალითად, პროფ. ნ. კორკუნოვი. რომელიც თვითმმართველობის დამცველი იყო, წერდა, რომ ყველა თანამედროვე სახელმწიფოს ადგილობრივ მმართველობაში სახელმწიფოებრივ (ადმინისტრაციულ) მმართველობასთან ერთად, ვხედებით აგრეთვე თვითმმართველობას, კერძოდ, „ეგრეთ წოდებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში გამოირჩევიან დიდი თვითმყოფობით, დიდი დამოუკიდებლობით თავისი პირადი შემადგენლობისა, რომელიც ყალიბდება არა მთავრობის მიერ დანიშნული მოხელეებით, არამედ თვით ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებით"[2]. სახელმწიფო სამართლის რეფორმაციამდელი ცნობილი პროფესორის ა. გრადოვსკის აზრით, თვითმმართველობა და დეცენტრალიზაცია არ არის იდენტური ტერმინები[3], და გარდა ამისა, მას თვითმმართველობაც თავისებურად აქვს წარმოდგენილი. კერძოდ, ა. გრადოვსკის აზრით, თვითმმართველობა არის ისეთი „სისტემა, რომლის დროსაც სხვადასხვა ადმინისტრაციული მოვალეობების განხორციელება ეკისრება ადგილობრივ მცხოვრებსთ, რ ო გ ო რ ც ა ს ე თ'ს, ე. ი. მათი კავშირის დაუდგენლად მოსამსახურე პერსონალთან და მათ დაუქვემდებარებლად სახელმწიფო სამსახურის ჩვეულებრივ პირობებთან"[4].

განსხვავებით XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული იურიდიული მეცნიერებისაგან, რომელიც მეფის თვითმპყრობელობის ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაცვასა და განმტკიცებას ემსახურებოდა, ი. ჭავჭავაძის მოძღვრება თვითმმართველობის შესახებ ორიგინალურია და მისი შინაარსი მთლიანად განისაზღვრება ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებით. პირველყოვლისა, ყურადღებას იპყრობს თვითმმართველობის დამოკიდებულება ცენტრალი-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 36.

[2] Н. М. К о р к у н о в, Русское государственное право, т. 2, СПб, 1897, стр. 347.

[3] А. Г р а д о в с к и й, Начала русского государственного права, т. 3, СПб, 1883, стр. 8.

[4] იქვე, გვ. 11.

ზაციასთან. როგორც ზემოთ დავინახეთ, რუსეთის იურიდიულ მეცნიერებას თვითმმართველობა და დეცენტრალიზაცია არ მიაჩნდა იდენტურ მოვლენებად, პირიქით, იგი თვითმმართველობაში სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის ბევრ ელემენტს ხედავდა. ეს გასაგებიცაა, რადგან XIX საუკუნის რუსული იურიდიული მეცნიერების წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ თვითმპყრობელობის ცენტრალიზებული სახელმწიფო აპარატის განმტკიცებით, და ამავე დროს თვითმმართველობის შემოღებასაც ქადაგებდნენ, რადგან ეს უკანასკნელი მეტად პოპულარული გახდა დასავლეთ ევროპის მრავალეროვან ქვეყნებში და თვითმმართველობასა და დეცენტრალიზაციას არ აიგივებენ და ცდილობენ დაასაბუთონ ცენტრალიზებულ სახელმწიფოში თვითმმართველობის შემოღების შესაძლებლობა. ი. ჭავჭავაძე კი, პირიქით, გამოდის ცენტრალიზაციის წინააღმდეგ, რადგან იგი ხელს უშლის მრავალეროვან სახელმწიფოში ერების პოლიტიკურ მოწყობას, რაც მხოლოდ დეცენტრალიზაციის პირობებშია შესაძლებელი და თვითმმართველობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ესმის, როგორც „самоуправление, децентрализация".

გარდა ამისა, განსხვავებით XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული იურიდიული მეცნიერების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც, როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, გამორიცხავდნენ თვითმმართველობის მოხელეთა ანგარიშვალდებულებას მათი ამრჩევი საზოგადოების წინაშე, ი. ჭავჭავაძე გადაჭრით მოითხოვს ადგილობრივი საზოგადოების მიერ არსებული მოხელეების პასუხისმგებლობას ამ საზოგადოების წინაშე. რუსული იურიდიული მეცნიერების წარმომადგენელთა მიერ თვითმმართველობის მოძღვრებიდან ი. ჭავჭავაძის მიერ ამ მოთხოვნის გამოტოვება უბრალო გაუგებრობით არ შეიძლება აიხსნას. საქმე ისაა, რომ მეფის თვითმპყრობელობა დაინტერესებული იყო თვითმმართველობის ადგილობრივი მოხელეების არა ადგილობრივი საზოგადოების, არამედ მეფის ცენტრალიზებული ხელისუფლების წინაშე პასუხისმგებლობით. ი. ჭავჭავაძე კარგად ხედავს მეფის თვითმპყრობელობის უარყოფით დამოკიდებულებას თვითმმართველობისადმი, რადგან იგი გულისხმობს სახელმწიფოს ფუნქციების განსაზღვრული ნაწილის გადაცემას საზოგადოებისათვის განსახორციელებლად: „თვითმმართველობას ქვეყანაზედ ბევრი მტერი ჰყავს: ბევრს უფრთხობს ტყუილუბრალოდ ძილსა და მოსვენებასა. ამბობენ, რომ საშიშარიაო — საზოგადოებას ეგ უფლება მიენიჭოს: აურზაურს მოჰყვება, თავს გაიზვიადებს და მორჩილებიდამ გამოვაო"[1]. მიუხედავად ამისა, თვითმმართველობის აუცილებლობა თანდათანობით ცხადი ხდება ყველასათვის, გან-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 37.

საკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვითმმართველობას მრავალეროვან სახელმწიფოში. ყველა ერს თავისი განსაკუთრებული, სპეციფიკური თავისებურებანი და თვისებები გააჩნია, ამიტომაც ერთი ერის სახელმწიფოებრივი ცხოვრება არ შეიძლება ზუსტად სხვა ერის მსგავსი იყოს მრავალეროვან სახელმწიფოში, ამიტომაც იმ სახელმწიფოში, რომელშიც მრავალი ერია გაერთიანებული, ადგილობრივი პოლიტიკური წყობილება მხოლოდ თვითმმართველობაზე უნდა იყოს დამყარებული. ეხება რა ქართველი ერის ცხოვრების თავისებურებებს, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ჩვენს ქვეყანას თავისი გრძელი ისტორია აქვს. ამ ისტორიამ შეჰქმნა ჩვენის ქვეყნის საკუთარნი წესნი კაცთა ერთმანეთში მოთავსებისათვის მოქალაქურად თუ ეკონომიურად. ეს წესნი ისე გამჯდარია ჩვენის ქვეყნის ძვალსა და რბილში, რომ ჩვენის ქვეყნისავე სიტყვით, რჯულთ უმტკიცესნი არიან. ამა განსაკუთრებულთა რჯულთა ზემოქმედება ისე ძლიერია ერის ცხოვრებაში, რომ უყურადღებოდ დაგდება მათი მაშინ, როცა ჰფიქრობ ქვეყნის წარმატებას და განკარგებას, შეცდომაზედ მეტია. მაშინ ფიქრიც და თვითმოქმედებაც უქმია, რადგან უხიადაგოა და ფეხ მოუკიდებელი; მაშინ ყოველი ჯაფა და გარჯა ტყუილად დაკარგული, ტყუილად გაფანტული ღონეა. როგორც ჰაერში დაკიდებული ხე არ იხეირებს, არარა ფიქრი, არარა მეცადინეობა, არარა ცვლილება, თუ ფესვის მოსაკიდებლად იგი დვრიტა, იგი დედა არა აქვს, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ“[1].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ რუსეთის იმპერიის კანონებში არ არის და არც შეიძლება გათვალისწინებული იქნას სხვადასხვა ერების თავისებურებანი, ამიტომ ერის ცხოვრების სპეციფიკური თავისებურებებიდან წარმომდგარი ურთიერთობების სახელმწიფოებრივი მოწესრიგებისას უნდა „მივმართოთ ჩვეულებას და იგი დაგვანახებს ხსნის გზასა... სად როგორი ჩვეულებაა, სად რა სახის და რა ზომის ღალაა, — ეგ ადვილად საცნობია, იმიტომ, რომ ეს ადგილობრივ დიდმა და პატარამ შეუცდომელად იცის. გამოიძიონ ეს, ცნობაში მოიყვანონ ჩვეულებით დადგენილი ღალის რაოდენობა და სახე, და ყოველ ამის კვალად გადაკვეთონ აწინდელი წილადობილი ღალა თავ-თავისის ადგილის მიხედვითა. არც გლეხი იწყენს ამასა და არც ნაბატონარი, იმიტომ, რომ მათს გარშემო მწარმოებელს ჩვეულებაზედ იქნება ყოველივე ეს დამყარებული და ამით არც მწვადი დაიწვის და არც შამფური“[2].

თვითმმართველობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული საკითხების ადგილზევე გადაწყვეტა, ი. ჭავჭავაძის აზრით, გაამარტივებს საქმის წარმოებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღმოიფხვრება ბიუროკრატიზმი. აკრიტიკებს რა 1861 წლის საგლეხო რე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 295.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 23.

ფორმას, კერძოდ, ბატონყმობისაგან განთავისუფლებული გლეხების მიერ მიწების გამოსასყიდ გადასახადს, ი. ჭავჭავაძე მოითხოვს, რომ „აწინდელი წილადობილი გლეხის გარდასახადი ყოველგან მალე გადიკეთოს და განისაზღვროს ადგილობრივის ჩვეულების მიხედვითა,... რომ ერთობ უსაბუთოდ რთული და დაუბოლოებელი წარმოება მამულის დახსნის თაობაზედ გამარტივდეს და სწრაფად აღსრულებაში მოდიოდეს"[1].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, როცა ადგილობრივ საქმეებს თვითონ ადგილობრივი მცხოვრებლები განაგებენ, ქვეყნის კეთილდღეობა უზრუნველყოფილია, თვითმმართველობა ხალხს აფხიზლებსა და ჭკუა-გონებას უხსნის, ავითარებს მათ ინიციატივას, ამგვარი მმართველობა შეიძლება სასარგებლო იყოს ყველგან და ყველა ხალხის ბედნიერი ცხოვრებისათვის.

1887 წელს ი. ჭავჭავაძე აქვეყნებს ნაშრომს — „თვითმოქმედებისათვის", ხოლო 1888 წელს კი — „კვალად თვითმოქმედების შესახებ". ი. ჭავჭავაძეს თვითმმართველობა ესმის, როგორც თვითმოქმედება, თავის თავის მართვა და თაოსნობა, თვითმოქმედებითი ძალა: „თვითმოქმედება ყოვლად მხსნელი და ძლევამოსილი ძალია ყოველსფერში და ნამეტნავად მაშინ, როცა კაცს, თუ საზოგადოებას, თავის-თავის შველა უნდა"[2]. ზემოაღნიშნულ ნაშრომებში ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ თვითმოქმედება (თვითმმართველობა) წოდებათა ჰარმონიის საფუძველია, რადგან ყველა წოდება ერთნაირადაა დაინტერესებული ადგილობრივი საზოგადოებრივი საქმეების მართვით. თვითმოქმედების გარეშე როგორც ცალკე ადამიანი, ასევე თითოეული წოდება „მართლად გადაეჩვევა თავის-თავის პატრონობას და მოვლას"[3], რაც მათ გადაგვარებას გამოიწვევს. ი. ჭავჭავაძის აზრით, „წუთისოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური"[4].

ი. ჭავჭავაძე ემყარება რა თვითმმართველობის შესახებ მეცნიერებაში გავრცელებულ მოძღვრებას[5], მიუთითებს, რომ თვითმმართველობა ყველაზე მეტად უზრუნველყოფს საზოგადოების საერთო ინტერესების დაცვასა და განხორციელებას და ამასთან ერთად მან შეიძლება წარმა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 32.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 333.
[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 315.
[4] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 316.
[5] გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 710; ი. ს ო ს ო ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 46—48; ვ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და საძართალზე, გვ. 59—61; ე. ქ ვ ა ნ ი ა, საძართლიანობისა და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პრობლემები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, გვ. 158.

ტებით შეასრულოს თავისი ამოცანები ყველა ქვეყანაში, კერძოდ, „ინგლისშიაც. საცა დიდკაცობაა ყოველის წყობის საფუძველი, ამერიკაშიაც, საცა განუსაზღვრელი თანასწორობაა მიღებული სახელმწიფოს ქვაკუთხედად. ერთნაირის სიკეთით და მადლით მოქმედებს და თავსდება იქაც. საცა იმისთანა პატარა ქვეყანაა, როგორიც შვეიცარია (739 ოთხკუთხი მილია) და იქაცა. საცა იმისთანა უზარმაზარი უდაბნო მინდვრებია. როგორც ჩრდილო-ამერიკაში. იქაც კეთილადგანწყობილი და შეთვისებულია, საცა იმისთანა სახელოვანი განათლებაა, როგორც ლონდონში და იქაცა. საცა იმისთანა გაუნათლებელი ხალხია, როგორც კანადაში. ავსტრალიაში და სხვა ინგლისის კოლონიებში"[1]. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ არც სახელმწიფოს სხვადასხვა ფორმა უშლის ხელს თვითმმართველობის დამყარებას: „როგორიც უნდა იყოს უმაღლესი მთავრობა — თვითმპყრობელობითი, მონარქიული წარმომადგენლობითი, თუ რესპუბლიკის სახისა, — ერთშიაც, მეორეშიაც და მესამეშიაც თვითმმართველობა მშვიდობიანად მოეწყობა, საზოგადო წყობილებას არამცთუ ხელს შეუშლის, არამედ ხელს მოუმართავს, რადგანაც თვით ადგილობრივის საზოგადოების მოჭირნახულია და ამასთანავე უმაღლესის მთავრობის უკეთესი თვალი და ხელია, ყოველ კუთხემდე მიწვდენილი"[2]. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ თვითმმართველობა ფართოდ დაინერგა რუსეთში, სადაც ჯერ სოფლის გლეხთა საზოგადოებას მიენიჭა თვითმმართველობის უფლება, ხოლო შემდეგ კი მაზრასა და გუბერნიას. თვითმმართველობა დიდი ხანია მოქმედებს აგრეთვე ინგლისში, სადაც „მონარქიული წარმომადგენლობითის სახის მთავრობაა" და რესპუბლიკურ ჩრდილოეთ-ამერიკაში.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძე მოითხოვს საქართველოში თვითმმართველობის შემოღებას, რომელიც დიდი ხანია არსებობს ევროპასა, ამერიკასა და ავსტრალიაში, ხოლო რუსეთის იმპერიაში მან ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა.)ერთი შეხედვით, ზემოაღნიშნული მოთხოვნა თითქოს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ არ უნდა იყოს მიმართული, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ შავბნელ დროს, როცა მეფის მთავრობა წინააღმდეგი იყო საქართველოში და აგრეთვე განაპირა მხარეებში ავტონომიის შემოღებისა, ი. ჭავჭავაძის ბრძოლა საქართველოში თვითმმართველობის დასამყარებლად, რუსეთის იმპერიის ოფიციალური დაწესებულებათა აზრის წინააღმდეგ იყო მიმართული, მეტიც, იგი მიზნად ისახავდა მეფის რუსეთის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების კომპენტენციას დაქვემდებარებული ზოგიერთი საქმეების ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობაში გადაცემას, რაც მეფის ერთიანი ხელისუფლების შეზღუდვას ნიშნავდა. აქედან წარმომდგარ საფრთხეს ი. ჭავ-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 37.
[2] ი ქ ვ ე. გვ. 42.

ჭავაძე კარგად ხედავდა და „ცხოვრება და კანონის“ მეხუთე წერილში იგი აღნიშნავს: „ვიდრე ჩვენს საგანს შევუდგებოდეთ, მკითხველ! ვსთხოვთ გაიხსენოს, რაც მეოთხე წერილში მოგვიხსენებია. იმ წერილშია აღნიშნული, — შ ე ძ ლ ე ბ ი ს ა მ ე ბ რ ფ რ თ ხ ი ლ ა დ დ ა ე ნ ი ს კ ვ ნ ე ტ ი თ, — ის საწყაო, რომლითაც უნდა აეწყათ ჩვენებურის სოფლის თვითმმართველობის ავ-კარგიანობა“[1].

ი. ჭავჭავაძის მოძღვრებაში ცენტრალური ადგილი უკავია იმის გარკვევას, თუ როგორ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ცენტრალური მთავრობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები, ანუ სხვანაირად, რა კრიტერიუმის მიხედვით უნდა განისაზღვროს „საერთო სახელმწიფო საჭიროების საქმენი“, რომელსაც ცენტრალური მთავრობა განახორციელებს და „ადგილობრივი საზოგადოების საქმენი“, რომელიც თვითმმართველობის კომპენტენციას დაექვემდებარება. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და ცენტრალური მთავრობის კომპენტენციის გამიჯვნა ერთობ საძნელო საქმეა, რადგანაც საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთაც ეს დაწესებულებები განაგებენ, „ერთმანეთში ჩართულ და გადაბმულ არიან“, მაგრამ მათი კომპენტენციის გამიჯვნისას თუ დაშვებული იქნება შეცდომა და თვითმმართველობის ორგანოებს უფრო ფართო უფლებამოსილება მიენიჭება, ვიდრე ცენტრალურ მთავრობას, იგი საზოგადოებისათვის ნაკლებად საზიანოა: „თვითმმართველობის საქებრად ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ აქ გადამეტებულსა, თუ არ სარგებლობა, ისეთი ვნება მაინც არ მოსდევს, როგორც მას, როცა სახელმწიფოს მთავრობას გადამეტებულის ზომით დაუჭერია ცხოვრებაში ადგილი“[2].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას (მთავრობას) და თვითმმართველობას შორის არ არის ისეთი დაპირისპირება და წინააღმდეგობა, რომელიც არ შეიძლება გადალახული იქნას. მათი თანაარსებობა აუცილებელია, თუნდაც სახელმწიფო გვარტომობით ერთი და იმავე ხალხისაგან შედგებოდეს. სახელმწიფოს ყოველ მხარეს თავისი საკუთარი გაჭირება, საკუთარი საზრუნავი აქვს, მთავრობის დანიშნულება კი ისაა, რომ ყოველი მხარის „ქვეშევრდომს მისი სატკივარი გაუგოს, მისი წამალი დასდოს, ყოველს სიკეთისა და კეთილდღეობის გზა გაუხსნას“[3]. უმაღლეს მთავრობას ამ მიზნების განახორციელებლად უნდა ჰყავდეს ან თავისი საკუთარი მოხელენი სახელმწიფოს ყველა კუთხეში, ანდა „ეგ მოხელეობა თვით ადგილობრივ მცხოვრებთა უნდა ჩააბაროს,

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 45—46.
2 ი ქ ვ ე. გვ. 38.
3 ი ქ ვ ე. გვ. 40.

მიანდოს"[1] საკითხის ამგვარად გადაწყვეტისას, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, შეიძლება გამიჯნული იქნას ერთმანეთისაგან უმაღლესი მთავრობისა და თვითმმართველობის ორგანოების კომპენტენცია. მისი აზრით, „უმაღლესი მთავრობა რა სახისაც არ უნდა იყოს, საყოველთაო საქმეთა მზრუნველი და მოღვაწეა, ესე იგი იმა საქმეთა, რომელნიც არამც თუ ყოველს ნაწილს, არამედ ყოველს ქვეშევრდომს ერთნაირად და ერთგვარად შეეხება და რომელნიც საერთო, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ცნობილია"[2]. სახელმწიფო საქმიანობის ამ სფეროს განეკუთვნება ზოგადი კანონების მიღება (საყოველთაო კანონმდებლობის წარმოება,) საფინანსო და სამხედრო ფუნქციების განხორციელება. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ესე ყოველი ხელშეუვალი კუთვნილებაა უმაღლესის მთავრობისა, და თვითმმართველობას, როგორც კერძო სამმართველოს, ამ საქმეებში ხმა არა აქვს: იგი ემორჩილება ყოველს მას, რაც უმაღლესის მთავრობისაგან განგებულია, დაწყობილი და განწესებული"[3].

რაც შეეხება თვითმმართველობას, იგი ერთი მხრივ ადგილობრივ საქმეებს განაგებს, ხოლო მეორე მხრივ უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელი ორგანოა, იგი უმთავრესად განაგებსა და მზრუნველობს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესებსა და საქმეებს, კერძოდ, ასრულებს რა თავის ფუნქციებს, იგი „ყოველივე საერთო სახელმწიფო ხარჯის და სამსახურის ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის გამანაწილებელია, ადგილობრივის საზოგადოების რიგისა და წესის დამწყობია, მისი ზნეობის, პატივის, ქონების, განათლების და ერთობ კეთილდღეობის მზრუნველია"[4]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, მართალია ყველა ზემოაღნიშნულ საქმეს თვითმმართველობა განაგებს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სფეროში თვითმმართველობის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „საერთო სახელმწიფო კანონსა და განკარგულებას"[5].

თვითმმართველობის შესახებ მის მიერ შემუშავებულ მოძღვრებაში ი. ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას აქცევს ორ უმთავრეს სამართლებრივ ინსტიტუტს: პირველი, თვითმმართველობის უმთავრეს კუთვნილებებს და მეორე, თვითმმართველობის უმთავრეს საფუძვლებს. თვითმმართველობის უმთავრესი კუთვნილებანი განსაზღვრავს თვითმმართველობის ორგანოების ძირითად უფლებამოსილებას, ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმეებს, რომელნი გამგებლობა შეადგენს თვითმმართველობითი ორგანოების კომპენტენციას. ი. ჭავჭავაძის აზრით, „უმთავრესნი კუთ-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 45—46.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 40—41.
3 ი ქ ვ ე, გვ. 41.
4 ი ქ ვ ე.
5 ი ქ ვ ე.

ენილებანი თვითმმართველობისანი არიან: 1. ადგილობრივთა საქმეთა ადგილობრივის განსამართლების უფლება. ამაზედ არის დამყარებული მცხოვრებთა პატივის, ღირსებისა და ქონების ნამდვილი მფარველობა და ხელშეუხებლობა; 2. უმაღლესის მთავრობისაგან განწესებულის ხარჯისა, ბეგარისა და სამსახურისა ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განაწილება. ეს უკეთესი ღონისძიებაა, რომ ყოველმა სამართლიანად და უმეტ-ნაკლებოდ გადუხადოს სახელმწიფოს თვისი შესახვედრი მოვალეობა; 3. ადგილობრივის საჭიროებისათვის გარდასახადის დადგენა, გაწერა და აქედამ შემოსავლის ფულის თავისუფლად გამგეობა; 4. სხვადასხვა წესისა და რიგის დადგენის უფლება ადგილობრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე კი, რომ იგი წესი და რიგი საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს: 5. ადგილობრივის საზოგადოების პირველდაწყებითის სწავლის მოწყობა და თავისუფალი გამგეობა; 6. ადგილობრივის საზოგადოებისათვის მზრუნველობა და ღონისძიების მოხმარება; 7. ადგილობრივის საზოგადოების საზრდოებისათვის თავდარგის დაპერა და ღონისძიებათა მოპოება; 8. ადგილობრივის გზებისა, ხიდებისა კეთება, მოვლა და თავისუფალი გამგეობა; 9. უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ყოველს მასზედ, რაც ადგილობრივის საზოგადოების საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს"[1].

უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძის მოძღვრებაში თვითმმართველობითი ორგანოების კომპენტენცია შედარებით ვრცლად და სრულადაა წარმოდგენილი და ამ პრობლემის გარშემო იმ დროს გავრცელებულ შეხედულებებთან შედარებით იგი უფრო პროგრესული მოჩანს. მაგალითად, თვითმმართველობის იმდროინდელი თეორეტიკოსები, რუსი და ევროპელი მეცნიერები პროფ. ა. გრადოვსკი, პროფ. ნ. კორკუნოვი, გნეისტი და ა. შ. თვითმმართველობის კომპენტენციას მეტისმეტად შეზღუდულად წარმოგვიდგენენ, კერძოდ, ისინი თვითმმართველობითი ორგანოების საქმიანობის სფეროს უქვემდებარებენ არა პოლიტიკურ, არამედ უმთავრესად სამეურნეო საქმეებს. მაგალითად, ა. გრადოვსკი წერს: „ადგილობრივი სარგებლობისა და საჭიროების განსაზღვრისათვის ამოსავალ წერტილად შეიძლება მიჩნეული იქნას ინტერესთა წრე, რომელიც ასე ვთქვათ უშუალოდ გამომდინარეობს გარკვეული, ცოტად თუ ბევრად შემოფარგლული მიწის სივრცეზე ცნობილი ხალხის მასების ურთიერთობის ფაქტიდან. ამ ინტერესებს წარმოადგენს პირველყოფლისა სამეურნეო სარგებლობანი და საჭიროებანი"[2]. თვითმმართველობის კომპენტენციის თაობაზე ი. ჭავჭავაძის მოძღვრებასთან შედარებით, ასევე შეზღუდულ წარმოდგენას ავითა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 42—43.

[2] А. Градовский, Начала русского государственного права, т. 3, СПб, 1883, стр. 27.

რებს გნეისტი, რომელიც კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე იკვლევს ინგლისში თვითმმართველობის სამართლებრივ მდგომარეობას[1].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით თვითმმართველობის შესახებ, რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში გავრცელებული შეხედულებებისაგან, ი. ჭავჭავაძის მოძღვრება თვითმმართველობითი ორგანოების სისტემის შესახებ, შეიცავს ახალ მომენტებს, რომლებიც მისი საერთო მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს. საქმე ისაა, რომ ი. ჭავჭავაძე თვითმმართველობაში და მისი ორგანოების საქმიანობაში ხედავს საზოგადოებრივი სოლიდარიზმისა და კლასთა შორის ჰარმონიის მიღწევის შესაძლებლობას. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ადგილობრივი საზოგადოების შიგნით ისეთი წინააღმდეგობანი, რომელთაც შეუძლიათ მისი გათიშვა და ურთიერთდაპირისპირება, თვითმმართველობების არსებობისას გამორიცხულია, რადგან ყველა წოდების (გლეხი, თავადი, აზნაური, მღვდელი და ა. შ.) „მიწისმფლობელობას... კერძოობითის საკუთრების მნიშვნელობა აქვს... ამ მხრით განაწილება სოფლად მცხოვრებთა და დარღვევა სოფლის ერთობისა, უსაბუთოა, უმიზეზოა"[2]. თვითმმართველობას დაქვემდებარებული ყველა საქმე, კერძოდ, სოფლის მშვიდობიანი და წესიერი ცხოვრება, სარჩო-საბადებლის, ქონების, საკუთრების გაფრთხილება და დაცვა ქურდებისა და ავაზაკებისაგან, მინდვრების და ვენახების მოვლა-პატრონობა, კარგი გზების, ხიდების, რუების არსებობა და გამგეობა, კარგი რიგიანი და იაფი სამართალი ადგილზე წერილმანი საქმეების გადასაწყვეტად, საერთო მზრუნველობა სკოლებისა და გაჭირვებულებისა, ხელის გამართვა და შველა თანამოძმეთათვის, სახელმწიფო სამსახურის, ხარჯისა და ბეგარის თანასწორი განაწილება, უმაღლეს მთავრობასთან საერთო საჭიროების თაობაზე შუამდგომლობა, ერთი სიტყვით, ყველა სასოფლო საქმის კეთილად დაწყობა და სამართლის გამგეობა, „ეს იმისთანა საგნები არიან თვითმმართველობისა, რომელნიც ერთნაირად შეეხებიან სოფელში მცხოვრებთ, თავად-აზნაურთა და გლეხთა, ერთნაირად სანატრელია და საზრუნველი ყველასათვის, ვინც-კი სოფლის საზოგადოებაში სცხოვრობს. ყოველს ამაში საშეღლო, სამტრო რა არის? აბა, რა არის აქ იმისთანა, რომ ერთმა წოდებამ სულ თავისკენ მიიზიდოს და მეორე ცარიელზედ დასვას?"[3].

თვითმმართველობა, როგორც საზოგადოებაში კლასობრივი ზავისა და ერის გამთლიანების ორგანო, აგებული უნდა იქნას ფართო დემოკრატიის საფუძველზე, რაც ი. ჭავჭავაძის აზრით, ნიშნავს შემდეგს: „1. ხმა და არჩევის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ად-

[1] А. Градовский, Начала русского государственного права, т. 3, СПб. 1883, стр. 28—30.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 51.

[3] იქვე, გვ. 51—52.

გილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულწლოვანია; მაშასადამე ყოველს მოვალეობაშიაც ყოველს მცხოვრებს წილი უნდა ედვას; 2. ადგილობრივის სამმართველოს ხელქვეეით უნდა იყვნენ ყოველნი, ვინც კი სამმართველოს წრეში სცხოვრობს; აქ, როგორც პირველს შემთხვევაში, წოდებათა შორის განყოფილება და ხარიხების გადება მავნებელია და თვითმმართველობის ბუნების წინააღმდეგია: 3. ადგილობრივი მოსამართლენი, აგრეთვე მოხელენიცა, უნდა ამოირჩიონ ადგილობრივთა მცხოვრებთა; 4. ყოველივე ადგილობრივის თანამდებობის მექონი კაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს წინაშე საზოგადო სამართლისა და სამსჯავროსა და არა თვისთა უფროსთა წინაშე"[1].

თვითმმართველობის ზემოაღნიშნული მოძღვრების მიხედვით ი. ჭავჭავაძე კრიტიკულად სწავლობს მეფის თვითმპყრობელობის მიერ XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს და მის საქმიანობას. ცნობილია, რომ მეფის თვითმპყრობელობის მიერ 60-იან წლებში მიღებულმა რეფორმებმა რუსეთის შიდა გუბერნიებთან შედარებით, განაპირა მხარეებში დიდად დაიგვიანა და ამავე დროს განხორციელდა მეტისმეტად შეზღუდული სახით. მხოლოდ 1864 წლის 13 ოქტომბერს დამტკიცებული იქნა „წესები სოფლის საზოგადოებების, მათი საზოგადოებრივი მმართველობისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ბეგარის შესახებ თბილისის გუბერნიაში", რომლის საფუძველზე შემუშავებული იქნა დებულება სასოფლო საზოგადოებათა მოწყობის შესახებ. 1865 წლის 11 აპრილს ეს დებულება დაამტკიცა მეფისნაცვალმა და როგორც იქნა მთელ საქართველოში ჩამოყალიბდა სოფლის საზოგადოებრივი მმართველობანი[2].

ასევე გვიან და შეკვეცილი სახით განხორციელდა საქართველოში სამეფო ხელისუფლების მიერ 1864 წლის 20 ნოემბერს დამტკიცებული სასამართლო რეფორმა. 1868 წლის 1 იანვრიდან ჩამოყალიბებას იწყებს საქართველოში ყველა წოდებისათვის საერთო სასამართლო დაწესებულებანი, მაზრებში დაწესდა მომრიგებელი მოსამართლენი, გუბერნიებში კი — საოლქო სასამართლოები[3].

რაც შეეხება საქალაქო რეფორმას, რომლითაც ქალაქებს თვითმმართველობა ენიჭებოდა, იგი რუსეთის სამეფო ხელისუფლებამ საბოლოოდ დაამტკიცა 1870 წლის 16 ივნისს. ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მეფისნაცვალს ამ საქალაქო რეფორმის განხორციელების უფლებამოსილება მიეცა მხოლოდ 1874 წლის 30 ოქტომბერს. ბრძანე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 44.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბილისი, 1970, გვ. 304; Г. М. Туманов, Организация земства в Закавказье. Тифлис. 1918.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბილისი. 1970, გვ. 304; Г. М. Туманов, Разбой и реформа суда на Кавказе, СПб, 1903.

ბით მეფისნაცვალს უფლება მიენიჭა საქალაქო რეფორმა განეხორციელებია ადგილობრივი ვითარების შესაბამისად საკუთარი შეხედულებისამებრ[1]. საქალაქო თვითმმართველობები ჩამოყალიბდა თანდათანობით, ჯერ თბილისში, შემდეგ ქუთაისში, გორში, ახალციხეში, ფოთში და ბათუმში, ხოლო დანარჩენი ქალაქები და აგრეთვე ყველა დაბა, ისევ საპოლიციო მმართველობაში დარჩა[2].

როგორც რუსეთში, ასევე განაპირა მხარეებში თვითმმართველობების შემოსაღებად დაწყებული საერობო მოძრაობა, მიზნად ისახავდა თვითმპყრობელური რეჟიმის პირობებში ბურჟუაზიული ურთიერთობების განვითარებისათვის ხელის შეწყობას და პოლიტიკური ცხოვრების გამოცოცხლებას, ამიტომაც ვ. ი. ლენინს ერობები, მიუხედავად მათი უდიდესი ნაკლოვანებებისა, მაინც დადებით მოვლენად მიაჩნდა. 1901 წელს ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა რა ერობების მნიშვნელობას, წერდა: „ჯერ ერთი, ჩვენი მქონებელი კლასების (განსაკუთრებით მიწათმფლობელი თავადაზნაურობის) წარმომადგენელთა ეს ორგანიზაცია მუდამ უპირისპირებს წარმომადგენლობითს დაწესებულებებს ბიუროკრატიას, იწვევს დაუსრულებელ კონფლიქტებს მათ შორის, ყოველ ნაბიჯზე ააშკარავებს მეფის უპასუხისმგებლო მოხელეთა რეაქციულ ხასიათს, ხელს უწყობს უკმაყოფილებას და ასულდგმულებს ოპოზიციას თვითმპყრობელი მთავრობისადმი. მეორე, ერობანი მეხუთე ბორბლად შეჩრილნი ბიუროკრატიულ ურემში, ცდილობენ განამტკიცონ თავიანთი მდგომარეობა, გააფართოონ თავიანთი მნიშვნელობა, მიისწრაფიან — ხოლო, ვიტეს თქმით „შეუგნებლად მიდიან“ კიდევაც — კონსტიტუციისაკენ და შუამდგომლობებს ადგენენ ამის თაობაზე. ამიტომ ისინი უვარგისნი მოკავშირენი არიან მთავრობისა მის ბრძოლაში რევოლუციონერებთან, მეგობრულ ნეიტრალიტეტს იცავენ რევოლუციონერებისადმი და მათ უწევენ თუმცა არაპირდაპირს, მაგრამ უეჭველ სამსახურს, კრიზისულ მომენტებში მერყეობა შეაქვთ რა მთავრობის რეპრესიულ ზომებში. რასაკვირველია პოლიტიკური ბრძოლის არც „დიდი“, არც საერთოდ რამდენადმე დამოუკიდებელი ფაქტორი არ შეიძლება დავინახოთ იმ დაწესებულებებში, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში აქამდე ეხერხებოდა მხოლოდ ლიბერალურ შუამდგომლობათა წარდგენა და მეგობრული ნეიტრალიტეტის დაცვა, მაგრამ ერთ-ერთი დ ა მ ხ მ ა რ ე ფაქტორის როლს ერობას მაინც ვერ წავართმევთ. ამ მხრივ ჩვენ მზადაც ვართ, თუ გნებავთ ვაღიაროთ, რომ ერობა — კონსტიტუციის ნამცეცია“[3].

საერობო რეფორმების განხორციელების შედეგად ჩამოყალიბებული თვითმმართველობების პოლიტიკურ სისტემას დადებით მოვლენად

---

1 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბილისი, 1970, გვ. 323.
2 ი ბ ი ვ ე, გვ. 328.
3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 79—80.

თელიდნენ პროგრესულად განწყობილ რუს იურისტ-მეცნიერებთან ერთად ამ პერიოდის მოწინავე ქართველი მოაზროვნეები და მათ შორის ი. ჭავჭავაძეც, მაგრამ ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ იმ ნაკლოვანებებსაც, რომლებიც დამახასიათებელი იყო საერთოდ რუსეთში ჩამოყალიბებული თვითმმართველობითი დაწესებულებებისათვის. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჩამოყალიბებული თვითმმართველობითი დაწესებულებების ი. ჭავჭავაძისეული კრიტიკა სხვებისაგან გამოირჩევა დასაბუთებით, პოლიტიკური სიმძაფრით, თვითმმართველობის შესახებ დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მეცნიერულ ლიტერატურაში შემუშავებული მოძღვრების ღრმა ცოდნითა და, რაც მთავარია, იგი დაკავშირებულია ფართო დემოკრატიული გარდაქმნების მოთხოვნებთან. ი. ჭავჭავაძე წერს: „ჩვენის სასოფლო მმართველობის წესდებულებას ვინც თვალს გადააკლებს, დაინახავს, რომ იგი, ცოტად თუ ბევრად, თვითმმართველობის საფუძველზედ არის ამოყვანილი. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საბუთი აქვს ადამიანს იკითხოს: თუ თვითმმართველობა ეგ არის, მაშ, ყოველის მხრით და ყოველგან რად ისმის სამდურავი სოფლის თვითმმართველობაზედ? რატომ მაგ თვითმმართველობამ არ ააყვავა სოფელი, თვით გლეხობა ეგრე ერთხმად რად უჩივისო? ჩვენ ვეცდებით ამ საბუთიანა სიტყვას შესაფერი პასუხი მიცეთ“[1].

უპირველეს ყოვლისა, ი. ჭავჭავაძე კრიტიკულად მიმოიხილავს შიდა რუსეთისა და განაპირა მხარეების, განსაკუთრებით საქართველოს სასოფლო თვითმმართველობის წესდებებს და იკვლევს იმ უმთავრეს მიზეზებს, რაც განაპირობებს თვითმმართველობითი დაწესებულებების ნაკლოვანებებს. ი. ჭავჭავაძის აზრით, სხვა მიზეზებისაგან დამოუკიდებლად, თვითმმართველობების ნაკლოვანებათა განმსაზღვრელია შემდეგი ორი ძირითადი მიზეზი. პირველი წარმოსდგება თვითმმართველობის წესდებისაგან და იგი ერთნაირადაა დამახასიათებელი, როგორც შიდა რუსეთის, ასევე განაპირა მხარეების თვითმმართველობითი დაწესებულებებისათვის: „პირველი და უდიდესი ნაკლი ამ წესდებისა ის არის, რომ თვითმმართველობის არსებითნი საფუძველნი არ არიან მისგან აღიარებულნი და, რაკი თვითმმართველობას ეგ ნაკლი თან შეჰყვა, აქ თვითმმართველობას ნურავინ დაემდურება, იმიტომ რომ აქ თვითმმართველობა არ გახლავთ და არაფერს შუაშია“[2]. რაც შეეხება მეორე მიზეზს, იგი იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებით შიდა რუსეთის წესდებისაგან, რომელშიც გათვალისწინებულია იქაური სოფლების ვითარება, იქაური საოჯახო, ეკონომიკური და საზოგადოებრივი წყობილების თავისებურებანი, განაპირა მხარეების, კერძოდ, საქართველოში არ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 44.
[2] ი ბ ე ვ ე, გვ. 46.

სებული თვითმმართველობითი ორგანოების წესდებები მთლიანად გადმოღებულია შიდა რუსეთის სოფლებში ჩამოყალიბებული თვითმმართველობის წესდებისაგან: „მეორე, უდიდესი მიზეზი ჩვენებურის მმართველობის უვარგისობისა ის გახლავთ, რომ იგი არ არის აღმოცენებული და დამყარებული ჩვენის სოფლის შინაურს მოწყობილობაზედ. მის ეკონომიკურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს ვითარებაზედ"[1].

თვითმმართველობითი დაწესებულებების პირველი ჯგუფის ნაკლოვანებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით, წარმოსდგება იქიდან, რომ რუსეთში ყველგან მოქმედი საერობო ნორმატიული აქტების მიერ არ არის აღიარებული „თვითმმართველობის არსებითნი საფუძველნი". როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით, თვითმმართველობის უმთავრესი საფუძვლებია: 1. საარჩევნო უფლება და ხმის უფლება უნდა გააჩნდეს ყველა სრულწლოვან ადგილობრივ მცხოვრებს; 2. თვითმმართველობითი ორგანოების ხელისუფლება ერთნაირად უნდა გავრცელდეს ყველა წოდებაზე, რომლებიც მოცემული თვითმმართველობის ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ ანუ სხვანაირად, მოსახლეობის წოდებრივი განცალკევება და ბარიერები თვითმმართველობის ბუნებას ეწინააღმდეგება; 3. თვითმმართველობის თანამდებობის პირნი (მოსამართლენი, მოხელენი) არჩეული უნდა იქნან ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ; 4. ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა თანამდებობის პირი პასუხს აგებს არა საკუთარი უფროსების, არამედ „საზოგადო სამართლისა და სამსჯავროს" წინაშე.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, თვითმმართველობის ეს საფუძვლები საქართველოში ჩამოყალიბებულ სასოფლო თვითმმართველობითი ორგანოების სისტემას ან არ უდევს საფუძვლად, ანდა ისეა შელახული და შერყეული, რომ თვითმმართველობის ბუნებას დიდ ზიანს აყენებს. თვითმმართველობის პირველ საფუძველს როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით, წარმოადგენს ის, რომ საარჩევნო უფლება და საარჩევნო ხმა უნდა გააჩნდეს ყველა სრულწლოვან და ადგილობრივ მცხოვრებს, მაგრამ სინამდვილეში თვითმმართველობით ორგანოებს სოფლის ყველა მცხოვრები კი არ ირჩევს, არამედ ამ ორგანოებს მხოლოდ გლეხები ირჩევენ, ისიც მხოლოდ ის გლეხები, რომლებიც მოხსენებულნი არიან ცალკე კომლად კამერალიის აღწერაში, ხოლო თავადაზნაურები, ვაჭარ-მოქალაქენი, სამღვდელოება, სოფელში ბინადრად მცხოვრებნი და ისეთი გლეხებიც, რომლებიც კამერალიის აღწერის შემდეგ ცალკე კომლად გავიდნენ, მოკლებულნი არიან ზემოაღნიშნულ უფლებას. ამასთან ერთად, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, ამ კატეგორიის

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 47.

სოფლის მცხოვრებთ თვითმმართველობაში არავითარი უფლება არა აქვთ, მაგრამ სასოფლო მოვალეობის ტვირთი სხვების მსგავსად აწევთ. ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს რა სასოფლო თვითმმართველობის დებულებასა და ფაქტიურად არსებულ თვითმმართველობებს, მოითხოვს სასოფლო თვითმმართველობების დემოკრატიზაციას. იგი წერს: „ჩვენი აზრი ის არის, რომ თვითმმართველობისათვის ყველა წოდების კაცი ერთგვარად უნდა იყოს მიჩნეული. თვითმმართველობა ერთი იმ ძალთაგანია, რომელიც აბია წარმატების უღელში და ეწევა სხვებთან ერთად. მაშასადამე, გამოკლება ვისიმე თვითმმართველობიდამ — დაუძლურებაა ღონისა, წარმატებისათვის მიმართულისა. წარმატებისათვის, კეთილდღეობისათვის საჭიროა, რომ ყოველნი ძალნი ერობისანი ერთად, ერთგვარად იყვნენ მიდრეკილნი და მიწვეულნი. თვით წარმატებაც, განვითარებაც მაშინ არის ჭეშმარიტი და ნაყოფიერი, როცა ყველანი ერთგვარად და ერთ სახით სწვდებიან საერთო სიკეთეს, ერთგვარად და ერთ სახით გაჭირვების უღელს ეწევიან და თანასწორად ანაწილებენ უფლებას და მოვალეობას. საცა ეს არ არის, მაშინ ერთის ამაღლება, ერთის კეთილდღეობა, — მეორის დამდაბლებაზედ, მეორის გაღარიბებაზედ არის ხოლმე ხშირად დამოკიდებული. უსწორ-მასწორობა ერთმანეთშორის, სხვათა შორის, უჯრა-უჯრად დაყოფის შედეგია; ვისაც კეთილი უნდა, ამ უჯრებს კი არ უნდა წაუმატოს; რაც არის, ისიც უნდა დაშალოს, დაარღვიოს და ქარს მისცეს“[1].

ამრიგად, თვითმმართველობას, როგორც დემოკრატიულ პოლიტიკურ დაწესებულებას, დიდი სიკეთე მოაქვს საზოგადოებისათვის, იგი მოსახლეობის „უჯრა-უჯრად“ დაყოფას და „უსწორ-მასწორობას“ სპობს საზოგადოების საკეთილდღეოდ. ამ მხრივ, ი. ჭავჭავაძის აზრით, სანიმუშოს წარმოადგენს ინგლისი, რომელიც „პირველსახეა თვითმმართველობისა და რომელსაც უარყოფილი აქვს სოფლის მცხოვრებთა შორის განთვითეულება, როგორც მომაკვდინებელი სენი თვითმმართველობისა“[2]. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, კერძოდ, რუსეთსა და გერმანიას, ამ ქვეყნებში თვითმმართველობათა ორგანოების სისტემას საფუძველად უდევს საზოგადოების „უჯრა-უჯრად“ დაყოფა. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „რუსეთში... სოფელი უჯრა-უჯრად დაჰყვეს, ერთს წყობას მიანიჭეს შვება და აჰკიდეს ტვირთი თვითმმართველობისა და მეორე გამოაკლეს ერთსაც და მეორესაც“[3]. შეიძლება, — შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, — რუსეთში ამას თავისი გასამართლებელი მიზეზიც მოეძებნოს, რადგანაც რუსეთში სოფლის საზოგადოება სულ სხვა საფუძველს ემყარება. საქმე ისაა, რომ რუსეთში გლეხობა კომლეულობით, მემკვიდ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 48.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 49.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 48—49.

რეობით კი არ ფლობს მიწის ნაკვეთებს, არამედ იქ მიწები საერთოა და არავის არ ეკუთვნის სამუდამოდ, როგორც საქართველოში. სწორედ ამის გამო იქ სოფლებში ორგვარი მიწისმფლობელობა გვხვდება, პირველი, გლეხთა საერთო მფლობელობის მიწები და თავად-აზნაურთა განსაკუთრებული მფლობელობის მიწები. რადგან სოფლის თვითმმართველობა ამ ორს, „ვითომ ურთიერთის წინააღმდეგს მოპირდაპირე მფლობელობას და მათგან მომდინარეს მოთხოვნილებას ვერ მოითავსებდა"[1]. ამის გამო კანონმდებელმა საჭიროდ დაინახა სასოფლო თვითმმართველობაში გლეხობისა და თავად-აზნაურობის განთავსებულება. სოფლის შიგნით მცხოვრებთა ურთიერთდაპირისპირება, მათ შორის ერთობის დარღვევა შედეგია გერმანიისადმი მიბაძვისა. გერმანია, სადაც მთელი საზოგადოება დაყოფილია სამს უჯრად (Gutsherren — მიწათმფლობელები, Bürgern — მოქალაქენი, Bauern — გლეხები) თვითმმართველობის მხრივ „ყველა სხვა სახელმწიფოებს უკან ჩამორჩა და... ამგვარებში დღესაც ამ აზრებით სულდგმულობს და მოქმედობს, როგორც ნეტარხსენებულ ბატონყმობის დროს"[2].

განსხვავებით რუსეთისაგან, სადაც მიწისმფლობელობის სხვადასხვა ფორმები ბატონობს, საქართველოში ყველგან „მიწისმფლობელობას ისეთივე კერძოობითი საკუთრების მნიშვნელობა აქვს, როგორც თავადაზნაურისას, მღვდლისას, თუ სხვისას"[3]. ამიტომაც სოფლის მცხოვრებთა დიფერენციაცია, სოფლის ერთობის დარღვევა, ყოველად გაუმართლებელია, თვითმმართველობისადმი დაქვემდებარებული საქმეებით სოფელში მცხოვრები ყველა წოდების წარმომადგენელი ერთნაირადაა დაინტერესებული.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ თვითმმართველობას საქართველოში დიდი გასაქანი იმიტომ აქვს, რომ ჩვენში მტრული წოდებები არ არის, თავად-აზნაურობა და გლეხობა ჩვენში არც აზრით, გრძნობით, ზნეობით და ჩვეულებით არ დაშორებია ერთმანეთს. თვითმმართველობითი ორგანოების საქმიანობიდან ზოგიერთი წოდების ჩამოშორება და მათი მხოლოდ გლეხთა დაწესებულებებად გამოცხადება, ფაქტიურად „ტვირთს უმძიმებს გლეხსა მით, რომ მარტო გლეხიღა იხდის საზოგადოების სამსახურს, ეწევა ბეგარას, აკეთებს გზებს, ჰყარაულობს, იცავს საზოგადო მშვიდობიანობას, იცავს ყველას საკუთრებას მტაცებლობისა თუ წანახედისაგან და ამ სიკეთეში ძალაუნებურად წილხდომილნი არიან ყველანი, ვინც კი სოფლის წრეში სცხოვრობს, ხოლო ხარჯში, უღლის წევაში კი — არა"[4]. აკრიტიკებს რა სოფლის თვითმმართველო-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 49.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 51.
4 იქვე, გვ. 58.

ბის წესდების 23-ე, 36-ე და 39-ე მუხლებს, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სოფელში მცხოვრები ყველა წოდება, გარდა გლეხობისა, თვითმმართველობითი დაწესებულებების საქმიანობას ჩამოშორებულია, რითაც წესდებამ „უარ-ჰყო პირადი თანასწორობა კანონის წინაშე, თანასწორობა, რომელიც სულია და გული ყოველის წყობისა და ნამეტნავად თვითმმართველობისა. უამისოდ თვითმმართველობა უქმი სიტყვაა, უნაყოფო ხეა"[1].

წოდებრივი განკერძოებულობა, რაც საფუძვლად უდევს თვითმმართველობის წესდებას, არარაობად აქცევს თვითმმართველობით დაწესებულებებს და მათ მოხელეებს. მაგალითად, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, ამ წესდების 24-ე მუხლი აკისრებს სოფლის უმაღლეს მოხელეს — მამასახლისს, დაიცვას მშვიდობა და წესრიგი მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, მაგრამ რადგანაც თვითმმართველობები მხოლოდ გლეხთა დაწესებულებებია, „თუ ამგვარებში დამნაშავეა გლეხკაცი, მამასახლისს გზა აქვს გახსნილი მშვიდობიანობის და წესის აღდგენისათვის. მაგრამ დანაშაულობა განა გლეხკაცის აუცილებელი თვისებაა? სხვა, არა-გლეხი, სოფლის წრეში მცხოვრები, არ არის მითამ საშიშარი წესისა და რიგისათვის, ადამიანის მშვიდობიანობისათვის, მის ქონების ხელუხლებლობისათვის?! რა უნდა ჰქმნას მაშინ მამასახლისმა, როცა ამგვარებში დამნაშავედ გამოდის არა-გლეხი? წესდების 23 მუხლის ძალით, გულზედ ხელი უნდა დაიკრიფოს და სეირს უყურეს"[2].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სოფლის ერთ-ერთი უმთავრესი ორგანოც, კერძოდ, სოფლის სასამართლოც, იმის გამო, რომ თვითმმართველობითი დაწესებულებების საქმიანობისაგან ჩამოშორებულია გლეხების გარდა ყველა დანარჩენი წოდება, გლეხების ინტერესებს ეწინააღმდეგება. თვითმმართველობის წესდების თანახმად თუ გლეხკაცმა დაუშავა ვინმეს (თავადი, აზნაური, მღვდელი, ვაჭარი და ა. შ.) რამე, ამ საქმეს იქვე სოფლის სასამართლო გაარჩევს და გლეხს შეუფარდებს იძულებით ღონისძიებას. მაგრამ თუ მოხდა პირიქით, კერძოდ, არა-გლეხმა ავნო რამე გლეხს, მაშინ, წესდების თანახმად, საწყალი გლეხი იძულებულია მიმართოს მომრიგებელ მოსამართლეს, რომელიც სოფლის სასამართლოსაგან შორსაა, რისთვისაც რამდენიმე დღე გლეხს წასვლა-წამოსვლაში სჭირდება, ამას თან ერთვის ის ხარჯები, რაც დაკავშირებულია საქმის გარჩევასთან და რომელიც გლეხმა უნდა გადაიხადოს. ეს იმდენად მძიმეა გლეხებისათვის, რომ ისინი იძულებული არიან უარი თქვან თავიანთ კანონიერ მოთხოვნებზე და მოთმინებით აიტანონ სხვა წოდების წარმომადგენლების ჩაგვრა. გმობს რა თვითმმართველობითი დაწესებულებების ამ ნაკლოვანებებს, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს,

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 59.
[2] ი ქ ვ ე.

რომ „რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჭირვებულს არ ესარჩლება, არას შველის, და რომელიც დიდისათვის კი თავს გამოიდებს ხოლმე, როცა პატარისაგან გაუჭირდება რამ! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც ხმას არ იღებს უღონობით, როცა გლეხს უპატიურად ხდის არა-გლეხი, და როცა კი არა-გლეხს უპატიურება მიადგება გლეხისაგან — მაშინ კი ძალასა და ღონეს იჩენს?"[1].

ი. ჭავჭავაძის აზრით, თვითმმართველობის წესდების მიხედვით თვითმმართველობის ყველა თანამდებობის პირი, მაგალითად, მამასახლისი, მოსამართლე, ნაცვალი და ა. შ., თუ თანამდებობას ბოროტად გამოიყენებს და ზიანს მიაყენებს სოფლის საზოგადოებას ან ცალკეულ გლეხს, ამ უკანასკნელთ უფლება არა აქვთ ზემოაღნიშნულ მოხელეებს, პასუხი აგებინონ საერთო სასამართლოს წინაშე. თვითმმართველობის წესდების 72-ე და 73-ე მუხლების მიხედვით დანაშაულის ჩამდენი და ბოროტმოქმედი მოხელეების მიმართ გლეხებმა საჩივრით უნდა მიმართონ მაზრის უფროსსა და გუბერნატორს, მაგრამ „სოფლის მოხელე და მაზრის უფროსი ერთმანეთს ხელსა ჰბანენ, ერთმანეთს გადაებმიან ხოლმე უსურვაზივითა" და მათი ავკაცობა დაუსჯელი რჩება.

აჯამებს რა სოფლის თვითმმართველობების წესდების ნაკლოვანებებს და ამ წესდების მიხედვით შექმნილი თვითმმართველობითი დაწესებულებების საქმიანობას საქართველოში, ი. ჭავჭავაძე ასკვნის: „ჩვენის სოფლის თვითმმართველობას ოთხიდამ სამი უმთავრესი საფუძველი აკლია: 1. ხმა და არჩევანის უფლება უნდა მინიჭებული ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებს, — და არა აქვს; 2. ადგილობრივ სამმართველოს ყოველსფერში ყველანი უნდა ექვემდებარებოდნენ, ვინც კი მის წრეშია, და არ ექვემდებარებიან; 3. ყოველივე მოხელე პასუხისმგებელი უნდა იყოს ყოველის წინაშე, ვისაც რასმე დაუშავებს, და უნდა იდევნებოდეს საზოგადო სამართლით, და არ იდევნება. მეოთხე საფუძველიც, თუ დარღვეული არ არის მთლად, შერყეული კი ძალიან არის, სახელდობრ მით — რომ ადგილობრივ მოხელეთა და მოსამართლეთა ყველა, სოფელში მცხოვრები ბინადარი, არ ირჩევს და ირჩევს მხოლოდ გლეხი, ცალკე კომლად კამერალიის აღწერაში ხსენებული"[2].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ არა მარტო თვითმმართველობის საფუძვლებია შელახული იმ წესდების მიერ, რომლის მიხედვითაც მოეწყო საქართველოში თვითმმართველობითი დაწესებულებები, არამედ ეს წესდება სრულებით არ ითვალისწინებს იმ თავისებურებებს, რომლებიც ახასიათებს „ჩვენს ცხოვრებასა და თითონ საქმის მოთხოვნილე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრულებული, ტ. 6, გვ. 60.
[2] ი ბ ე ვ ე, გვ. 63—64.

ბას"[1]. პირველყოვლისა, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, სოფლის საზოგადოებები შედგენილია ისე, რომ მთლიანად გამორიცხულია პატარ-პატარა სოფლების ინტერესები, მაშინ, როდესაც საქართველოში წვრილ-წვრილი სოფელი ბევრია. წესდების მეორე მუხლის თანახმად სოფლის საზოგადოება უნდა შედგეს ერთ სოფელში მცხოვრები გლეხებისაგან. რაც შეეხება წვრილ სოფლებს, ამავე წესდების მე-3 მუხლის ძალით არა ხალხმა, არამედ გუბერნატორის წარდგენით მთავარმმართველმა იგი ან არ უნდა მიაწეროს მახლობელი სოფლის საზოგადოებას, ანდა მათი გაერთიანების მიზნით ცალკე საზოგადოება უნდა შექმნას. მაგრამ წესდებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ თუ რით უნდა იხელმძღვანელოს გუბერნატორმა მთავარმმართებელისადმი ამგვარი წარდგინებია გაკეთებისას. სოფლების ერთმანეთთან სიახლოვე არ შეიძლება ჩაითვალოს მათი ერთ სასოფლო საზოგადოებად გაერთიანების პირობად, რადგანაც „ზოგჯერ ამ წვრილ სოფლებს ისეთი მტრობა და დავა აქვთ მამულებზედ, ან ერთმანეთს შორის, ან დიდ სოფლებთან, მათი შეერთება ცეცხლისა და წყალის შეერთება იქნება ერთმანეთის დასაშრეტად... რამდენი პატარა სოფელია დიდ სოფელზედ მიწერილი და მისგან ჩაგრული, რადგანაც პატარა სოფლის ხმა სოფლობაში ხმაა მღაღადებელი უდაბნოში და სხვა არაფერი. რას გააწყობს ბევრთან ცოტა?"[2]

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ წვრილი სოფლები მძიმე მდგომარეობაშია, „თავრობამ მათ დამოუკიდებელი თვითმმართველობითი დაწესებულების შექმნის უფლება რომ მისცეს, სულ ერთია, ისინი ამას მაინც ვერ განახორციელებენ, რადგანაც ამ პატარა სოფლებს არ შეუძლია შეინახოს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელენი, რომელთა რაოდენობა წესდების მიხედვით შეიძლება იყოს არა ნაკლებ ოთხი კაცისა.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს აგრეთვე სოფლის თვითმმართველობის დაწესებულებათა წესდების სხვა ნაკლოვანებასაც, კერძოდ. სოფლის სამმართველოს (სოფლობა, მამასახლისი, სასამართლო) ფუნქციებს ეს წესდება ვერ განსაზღვრავს და „ვერც საქმის მიხედვით, ვერც ჩვენის ცხოვრების შესაფერისად, ვერ უხაზავს თვითეულს მათგანს მათდა შესაბამს მოვალეობასა"[3]. სოფლის სამმართველოს ორგანიზაციის უდიდესი ნაკლოვანებაა ის, რომ მისი შექმნის წესები გადმოღებულია რუსეთში არსებული სოფლის სამმართველოს ჩამოყალიბების წესდებიდან და ადგილობრივი ვითარება მასში მთლიანად იგნორირებულია. წესდების მე-11 მუხლის თანახმად გლეხთა გაყრა სოფლობაზე, ანუ სოფლის ყრილობაზე უნდა მოხდეს. ეს წესი რუსეთში გამართლებულია, რადგან მიწის სახასო მფლობელობა ბატონობს და მიწისმფლობელობაში ყოველი

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 65.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 66.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 67.

პირადი და საოჯახო ცვლილება მთელ საზოგადოებას შეეხება. საქართველოში კი ოდითგანვე მიწის კომლეული. კერძოობითი საკუთრება არსებობს, ამიტომ გლეხთა გაყრა სოფლობამ კი არა, არამედ სოფლის სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

ი. ჭავჭავაძის აზრით, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით არც მამასახლისისა და სოფლის სასამართლოს ფუნქციებია განსაზღვრული. კერძოდ, წესდებით მათ დაკისრებული აქვთ დამნაშავე გლეხებისათვის სასჯელის შეფარდება, მაგრამ, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, წესდებას დავიწყებია განესაზღვრა, რა დანაშაულობა ეხელქვეითება მამასახლისს და რა — სასამართლოს. ცხადია, კანონის ამ ხარვეზს არ შეიძლება არ მოჰყვეს მამასახლისის და სხვა თანამდებობის პირთა თვითნებობა, მეტიც, გასამართლებისა და სასჯელის შეფარდების ფუნქცია შეიძლება მხოლოდ სასამართლომ მიისაკუთროს. ი. ჭავჭავაძე მოითხოვს, რომ წესდებაში „საჭიროა სახელდობრ ჩამოითვალოს თვითეული დანაშაულობა, მამასახლისის საკუთვნი ცალკე და სასამართლოსი ცალკე; და უფრო უკეთესი იქნება, რომ მამასახლისს ჩამოაცალონ უფლება სასჯელისა, რადგანაც ეს სასამართლოს საქმეა და არა ხელთუფლობისა“[1]. ამავე დროს, წესდებით ათ თუმნამდე ღირებულების საქმეს სოფლის სასამართლო საბოლოოდ წყვეტს, მაგრამ ჩვენი გლეხობა ღარიბია, და ხშირად ისე ხდება, რომ ათი თუმნის ღირებულების ზიანი გლეხისათვის ვინმეს მიერ მიყენებული იმდენად გამაჩანაგებელია, რომ შეიძლება მან სულ ერთიანად მოუშალოს საცხოვრებელი გლეხს, მას კი, რომელსაც ამდენი ვნება მიაყენეს, უფლება არა აქვს სოფლის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივროს ზემდგომ სასამართლო ორგანოში, კერძოდ, მომრიგებელ მოსამართლესთან.

ეხება რა სოფლის თვითმმართველობის ამ ნაკლოვანებებს ი. ჭავჭავაძე მოითხოვს, რომ პირველი, თუ გვინდა ხალხის კეთილდღეობის მიღწევა არსებითად გადაისინჯოს თვითმმართველობითი დაწესებულებების შესახებ არსებული მთელი კანონმდებლობა და, მეორე, თვითმმართველობების ჩამოყალიბება მხოლოდ სოფელში საქმეს ვერ უშველის, საჭიროა თვითმმართველობითი დაწესებულებების სისტემის შექმნა მთელს ქვეყანაში, მაზრებსა და გუბერნიებში, ისე, როგორც რუსეთშია, მაგრამ საქართველოში თვითმმართველობათა მოწყობა უნდა მოხდეს სხვა წესის მიხედვით, სახელდობრ, საქართველოში თვითმმართველობითი დაწესებულებების წესდებაში გათვალისწინებული უნდა იქნას ადგილობრივი პირობები. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სოფლის თვითმმართველობის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებანი აუცილებელს ხდის, რომ „ხელახლად გადაისინჯოს ყოველივე კანონმდებ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 68.

ლობა ამ საგანზედ, თუ სოფლის კეთილგანწყობა ვისთვისმე სასურველია, და ვისთვისაც არ უნდა იყოს სასურველი! ეს კია, რომ მარტო სოფელი, როგორც ნაბოლვარი რგოლი რთულის ჯაჭვისა, ვერ ასაზრდოებს თვითმმართველობას, თუ მარტო სოფელში დაიწყება და სოფელშივე ჩაწყდება. სოფელს მაზრა უნდა მოჰყვეს, მაზრას — გუბერნია, როგორც ეხლა რუსეთშია, ხოლო სხვა წესით და სხვა რიგად უნდა მოეწყოს ჩვენში ეს საქმე"[1].

ამრიგად, XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ი. ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებული მოძღვრება თვითმმართველობის შესახებ შეიცავს მოთხოვნებს რუსეთის მრავალეროვან იმპერიაში ქართველი ერის სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ თვითმმართველობის პრინციპების მიხედვით, თვითმმართველობითი დაწესებულებების შექმნა, რომელიც დამყარებული იქნებოდა მთელი ერის, კერძოდ, საქართველოში არსებული ყველა წოდების თვითმოქმედებაზე, ი. ჭავჭავაძეს მიაჩნდა ნაწილობრივ რუსეთის სახელმწიფოში ქართველი ერის პოლიტიკური ორგანიზაციის იმდროისათვის რეალურ და სავსებით განსახორციელებელ მოთხოვნად. რუსეთის ინკვიზაციური ცენზურის პირობებში „ენის კვნეტით" შემუშავებული ეს პროგრამა, გამომდინარეობდა ი. ჭავჭავაძის მიერ ადრე წამოყენებული პოლიტიკური მოთხოვნიდან — „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნეს", რომლის რეალიზაციის შესაძლებლობა XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რუსეთის თვითმპყრობელობის პირობებში მხოლოდ თვითმმართველობით დაწესებულებათა სისტემის დამკვიდრებით შეიძლებოდა. ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ თვითმმართველობების შემოღება თავისი პოლიტიკური იდეალის — „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნეს", განხორციელების მინიმალურ შესაძლებლობას წარმოადგენდა, მაგრამ იგი, როგორც რეალისტი-მოაზროვნე, სხვა გზას ვერ ხედავდა რუსეთის იმპერიაში ქართველი ერის მოსაწყობად. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძის მოძღვრება თვითმმართველობების შესახებ სრული სახით ჩამოყალიბდა XIX საუკუნეში მეფის თვითმპყრობელობის მიერ განხორციელებული საერობო რეფორმების კრიტიკის საფუძველზე. ი. ჭავჭავაძე გმობს ამ რეფორმების ანტიდემოკრატიულ ხასიათს განაპირა მხარეებში, კერძოდ, საქართველოში ამ რეფორმების უკიდურესად შეზღუდულობისა და აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ოფიციალურ ნორმატიულ აქტებში ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების გაუთვალისწინებლობას და მოითხოვს თვითმმართველობითი დაწესებულებების შექმნას ფართო დემოკრატიულ საფუძვლებზე არა მარტო სოფლებში, არამედ მაზრებსა და გუბერნიებში.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 69—70.

მართალია, ი. ჭავჭავაძის შეხედულებები ქართველი ერის რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში პოლიტიკური მოწყობის შესახებ შეზღუდული და ზომიერი ხასიათისაა, ეს შეხედულებები ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ სცილდება რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმების კრიტიკას, მაგრამ თვითმმართველობის შესახებ ი. ჭავჭავაძის მოძღვრებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, რადგანაც ეს მოძღვრება ჯერ ერთი, მიზნად ისახავდა XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმების დემოკრატიული საფუძვლების გაფართოებასა და გაღრმავებას და, მეორე, თვითმმართველობების შესახებ შეხედულებათა სისტემა იყო აუცილებელი შემადგენელი ნაწილი და საფუძველი რუსეთის იმპერიაში ქართველი ერის პოლიტიკური მოწყობის უფრო დასრულებული და რევოლუციური მოძღვრებისა ავტონომიაზე, რომელიც ი. ჭავჭავაძემ მოგვიანებით შეიმუშავა.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, (ი. ჭავჭავაძე, რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში ქართველი ხალხის პოლიტიკური ორგანიზაციის პრობლემის გადაწყვეტის საფუძვლად ყოველთვის აცხადებდა ლოზუნგს — „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნეს“, რომელიც მან წამოაყენა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე,) მაგრამ ამ პოლიტიკური მოთხოვნის განხორციელების ფორმას იგი უკავშირებდა მრავალი ფაქტორის მოქმედებას: ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ა. შ. მდგომარეობას და როგორც რეალისტი პოლიტიკოსი და მოაზროვნე, მის შესაბამისად წყვეტდა რუსეთის იმპერიაში ერების სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმებს. (XIX საუკუნის 60-იანი წლების რეფორმების ეპოქაში ი. ჭავჭავაძე თვითმმართველობაზე ამყარებს იმედებს და ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების გამო, დიდი სიფრთხილით მოითხოვს ამ რეფორმების გაღრმავებასა და განვითარებას ფართო დემოკრატიული გარდაქმნების გზით, მაგრამ ამ დროისათვის ი. ჭავჭავაძე ქართველი ერისათვის ავტონომიის ძინიჭების მოთხოვნამდე არ მისულა.)

დაიწყო XX საუკუნე, რომელიც მთელს რუსეთში და საქართველოშიც აღინიშნა დიდი რევოლუციური აღმავლობით, რაც დამთავრდა 1905 წლის რევოლუციით. ი. ჭავჭავაძე მიესალმა ამ რევოლუციას, რომელშიც მან დაინახა თავისი პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების მიხედვით საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საშუალება. 1905 წლის რევოლუციამ განაპირობა აგრეთვე საზოგადოების შესახებ ი. ჭავჭავაძის მოძღვრებათა შემდგომი განვითარება დემოკრატიისა და ჰუმანიზმის მიმართულებით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ 1905 წლის რევოლუციამ გამოაფხიზლა ი. ჭავჭავაძე, რომელმაც გაშალა ფართო შემოქმედებითი ბრძოლა თავისი პოლიტიკური იდეალების გა-

სახორციელებლად, კერძოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის პრინციპების მიხედვით გარდასაქმნელად არა ერთი კლასის, არამედ მთელი ხალხის, საზოგადოების ყველა წოდების საკეთილდღეოდ. ამიტომ ბუნებრივია, რომ 1905 წლის რევოლუციის მამოძრავებელ ძალად მას მთელი ხალხი მიაჩნდა, რევოლუცია კი წარმოდგენილი აქონდა, როგორც მთელი ხალხის ბედნიერების დამყარების იარაღი, მთელი საზოგადოების პროგრესული განვითარების საშუალება. ამ მიზნით იგი თვითონაც აქტიურად ჩაება რევოლუციაში, მაგრამ 1905 წლის რევოლუციის ამოცანებზე მისმა არაშწორმა წარმოდგენამ განსაზღვრა ამ რევოლუციაში ი. ჭავჭავაძის მონაწილეობის ფორმა, კერძოდ, იგი 1905 წლის რევოლუციაში მისი პოლიტიკური მოთხოვნების განხორციელებას მთელი ერის საბედნიეროდ ლეგალურ ბრძოლას უკავშირებდა, და დარწმუნებული იყო, რომ რევოლუცია მაშინ გაიმარჯვებს, როცა მთელი საზოგადოება მისი კლასობრივი შემადგენლობისაგან დამოუკიდებლად ერთად აღდგება მტარვალთა წინააღმდეგ. სხვანაირად ი. ჭავჭავაძეს რევოლუცია, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის იარაღი, წარმოუდგენლად მიაჩნდა, რადგანაც ერთს რომ წაართვა და მეორეს მისცე, იგი ვერ აღმოფხვრის სოციალურ უსამართლობას. 1905 წლის რევოლუციაში ბრძოლის ლეგალურ საშუალებებზე უმთავრესი იმედების დამყარებამ განსაზღვრა აგრეთვე ავტონომიის შესახებ ი. ჭავჭავაძის მოძღვრების შინაარსიც.

სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ ი. ჭავჭავაძის მოძღვრებათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია შემდეგ ორ საკითხს: პირველი, ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულება 1905 წლის რევოლუციისადმი და, მეორე, თვითმმართველობების შესახებ შეხედულებათა განვითარება 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში ავტონომიის მოძღვრებად.

ი. ჭავჭავაძის აზრით, მხოლოდ რევოლუციის გზით შეიძლება საზოგადოებრივი პროგრესი, ამიტომაც იგი მიესალმება ყოველგვარ რევოლუციას და, რასაკვირველია 1905 წლის რევოლუციასაც, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის დემოკრატიზაცია, მტარვალთა მოსპობა, მშრომელი ხალხის ბედნიერება[1]. ამ ამოცანების განხორციელებით დაინტერესებულია საზოგადოების დიდი უმრავლესობა, ამიტომაც რევოლუცია, როგორც საზოგადოებრივი გარდაქმნის საშუალება, ი. ჭავჭავაძეს წარმოდგენილი აქვს როგორც სახალხო საქმე, მთელი საზოგადოების საქმე, როგორც უკეთესი მომავლისათვის ერის ერთობლივი ბრძოლა. ი. ჭავჭავაძე ემყარება რა ერის მთლიანობისა და ერთიანობის თეორიას, მიუთითებს, რომ განცალკევებულობა და ურთიერთდაპირისპირე-

[1] ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, გვ. 394; ვ. გაგოიძე, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა, გვ. 352 და ა. შ.

ბულობა ხელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესსა და ადამიანთა კეთილდღეობას.

ერისა და ხალხის მთლიანობისა და ერთიანობის თეორიას ი. ჭავჭავაძე აბაბუთებს ადამიანის ბუნების თავისებურებებით. იგი აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს პრობლემას, რომელიც უნდა გადაიჭრას რევოლუციისა და, საერთოდ, უკეთესი მომავლისათვის ადამიანთა ყოველდღიური ბრძოლის გზით, კეთილისა და ბოროტის, ცოდვისა და მადლის სოციალური ფენომენებია. ისინი მხოლოდ ადამიანთა ცხოვრებისათვის არის დამახასიათებელი და უტყვი ბუნებისათვის სრულიად უცხოა. მაგრამ, რადგანაც ადამიანი თავის შინაგან ბუნებით ყველა ეპოქაში და ყველგან მხოლოდ ადამიანია, ცხადია, რომ, რაც ერთი ადამიანისათვის ცოდვა და მადლია, ბოროტი და კეთილია, მეორე ადამიანისათვის იგივე ცოდვა და მადლი, იგივე ბოროტი და კეთილი უნდა იყოს: „ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის და რადგანაც ადამიანი ყველგან ადამიანია, მაშასადამე, რაც ერთგან და ერთისათვის ცოდვაა და ბოროტი, მეორესათვისაც ცოდვა და ბოროტი უნდა იყოს ყველგან, ყოველთვის და ყველა შემთხვევაში"[1]. საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია კი ცხადყოფს, რომ ზემოაღნიშნული პრობლემა წარმოადგენს მისი განვითარების კანონზომიერებას, რომლის შეცნობის გარეშე შეუძლებელია ცხოვრების არსში გარკვევა. ი. ჭავჭავაძე იკვლევს ამ პრობლემის გადაჭრის გზას, მიმოიხილავს ცნობილ მოაზროვნეთა შეხედულებებს ამ საკითხზე და მიუთითებს, რომ ცხოვრების უმთავრესი აზრია საზოგადოებრივი ერთსულოვნება, ის, რაც ერთისათვის ბოროტი და კეთილია, მეორესთვისაც ბოროტი და კეთილი უნდა იყოს, თუ გვინდა აღმოიფხვრას სოციალური უბედურება. საზოგადოებრივი ერთსულოვნების გარეშე ბედნიერება და კეთილდღეობა არ არსებობს. ადამიანები ყოველთვის უნდა იბრძოდნენ საზოგადოებრივი ერთსულოვნებისათვის, რომელიც ცხოვრების აზრს შეადგენს, მაგრამ ცხოვრების ამ მთავარი დანიშნულების მისაღწევად, საჭიროა დროის მოთხოვნების გათვალისწინება და მის შესაბამისად მოქმედება. ცხოვრება ბრძოლაა, მაგრამ ეს ბრძოლა მიზნად ისახავს ადამიანთა უკეთეს მომავალს, რომ „ადამიანი ბედნიერი იყოს, სიამოვნებას, ლხენას და სიხარულს არ იყოს მოკლებული"[2]. ადამიანისა და ერის დიდბუნოვნება ვლინდება ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლასა და სიკეთის ქმნაში და „მადლი არის კრებული იმა კეთილთა, რომელიც შეადგენს ზნეობურს განძს, როგორც თვითოეულ ადამიანობას, ისეც მთელის ერისას და ეგ განძია იგი კლდე, რომელზედაც შენდება ციხე-სიმაგრე ერის ცხოვრებისა, ერის აწმყოსი, ერის მერმისისა"[3].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 328.
[2] იქვე, გვ. 341.
[3] იქვე, გვ. 342.

ი. ჭავჭავაძე მიესალმება ადამიანთა სიკეთისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას ყველგან, სადაც არ უნდა იყოს იგი, იტალიასა და საფრანგეთში, ირლანდიასა და პოლონეთში და ა. შ. მაგალითად, როგორც ახლა უკვე დადგენილია[1] ი. ჭავჭავაძემ, ჯუზეპე გარიბალდის გამანთავისუფლებელ ბრძოლას, რომელშიც სტუდენტობისას მოხალისედ მონაწილეობაც ჰქონდა გადაწყვეტილი, საგანგებოდ მიუძღვნა ლექსი. ასევე პარიზის კომუნართა გმირობისადმია მიძღვნილი ი. ჭავჭავაძის ლექსი „1871 წელი 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)", რომელშიც ავტორი მიესალმება თავისუფლებისა და ადამიანთა კეთილდღეობისათვის მებრძოლ პარიზელ კომუნარებს, თავისუფლებისმოყვარე ფრანგ ერს, რომელმაც „კვლავ დაიდგა დიდ წამების მან გვირგვინი მშვენიერი"[2].

ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლი ი. ჭავჭავაძე მოესწრო 1905 წლის რევოლუციას, რომელმაც გაამრავალფეროვნა და გაამდიდრა მისი პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებანი და რომელიც მან დაუკავშირა მისი პოლიტიკური იდეალების განხორციელებას. ი. ჭავჭავაძე მთელი სისრულით გრძნობს იმ განახლებას, რომელიც 1905 წლის რევოლუციამ უნდა მოუტანოს ხალხს და აღნიშნავს იმ პოლიტიკურ აქტიობას, რაც 1905 წლის რევოლუციამ გამოიწვია საზოგადოების მოწინავე ნაწილში. იგი წერს: „დღევანდელი დღე ისეთი ცეცხლმოსაკიდებელი რამ არის, რომ ძნელია კაცმა თავი დაიჭიროს და მისს ამბებს გვერდი აუაროს[3]... დღეს ისეთი დროა, რომ თვითეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხისმგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ"[4].

სახალხო რევოლუცია მაშინ არის გამართლებული, როცა იგი მთელი საზოგადოების ინტერესებს ემსახურება და ხელს უწყობს საზოგადოებრივ პროგრესს, კერძოდ, ემსახურება მთელი ერის დარაზმვასა და შეკავშირებას საერთო კეთილდღეობისათვის ბრძოლაში. ამიტომაც ი. ჭავჭავაძის აზრით, 1905 წლის რევოლუცია სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს. იგი წერს: „დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითკენაც ჯერს არს, და არა იქით რომ ერთმანეთს მივესიოთ და ციხესიმაგრე ჩვენი ჩვენივე შიგნიდამ გავტეხოთ"[5]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, შეუძლებელია 1905 წლის რევოლუციის მიზანი საკუთრების გადანაწილებაში დავინახოთ. კერძო საკუთრება სამართლიანად თუ უსამართლოდ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება პატივში, დიდხანს იქნება საზოგადოების არსე-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 1, გვ. 381.
2 ი ქ ვ ე, გვ. 77.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9. გვ. 281.
4 ი ქ ვ ე, გვ. 266.
5 ი ქ ვ ე, გვ. 280.

ბობის საფუძველი და, რა თქმა უნდა, კერძო საკუთრების თაობაზე საზოგადოების წევრთა ერთმანეთზე მისევა და ბრძოლა იაფად არავის დაუჯდება.

აფასებს რა 1905 წლის რევოლუციის მოვლენებს, ი. ჭავჭავაძე წერს: „აქედამ ის არ გამოდის, რომ კაცმა დიდის მწუხარებით არ შეხედოს იმისთანა ამბავს, როცა კაცს სხვა საბუთი არ მიუძღვის იმის გარდა, რომ მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი და ამიტომ შენ უნდა წაგერთვას და მე მომერთვასო. აბა უკიდურეს სიღატაკიდან უდიდეს სიმდიდრემდე რამდენი საფეხურია, რამდენი კიბეა, რამდენი ერთმანეთზე მეტია, და მოდით და გაარჩიეთ, რომელმა რომელი უნდა სწეწოს და ჰგლიჯოს მთელ ამ დიდს მანძილზე“[1].

ი. ჭავჭავაძეს არამართლზომიერ მოვლენად და რევოლუციის ექსცესად მიაჩნია გლეხთა მიერ მემამულეთა მიწების დატაცება. თუ გლეხკაცობა არ იშლის სხვისი საკუთრების მიტაცებას, იგი იმიტომ კი არ არის შესაწყნარებელი, რომ კანონიერად იქცევა, არამედ ეს მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ რევოლუცია მოედო მთელ საქართველოს და მან ყველაფერი შთანთქა, ამ მოვლენების თავიდან ასაცილებლად საჭიროა რევოლუციაზე ზემოქმედება და მისი წარმართვა იქითკენ, საითაც ჯერ არს. გლეხთა მიერ კერძო საკუთრების ხელყოფა დაუშვებელია. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ გლეხების მიერ მემამულეთა მიწების დატაცება, შეძლებულთა ქონების ძარცვა-გლეჯა და ა. შ., სახელს უტეხს 1905 წლის რევოლუციას, დადგება დრო და ყველაფერი ეს გაღატაკებულ გლეხობას გადახდება: „მოვა დრო და ყველა ეს საზღაურად გაუხდება უამისოდაც მიწასთან გასწორებულს და წყალწაღებულ გლეხკაცობას. იმას აღარ ვიტყვით, რომ ამისთანა ცუდკაცობა და ავკაცობა ყოველს სასურველს მოძრაობას სახელს უტეხს და ამიტომაც ზოგს კაცს ორ წყალ შუა აჩერებსო“[2].

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ი. ჭავჭავაძე დაუშვებლად მიიჩნევს რევოლუციაში მონაწილე გლეხებისადმი მთავრობის მიერ რეპრესიების გამოყენებას. რევოლუციაში მონაწილე გლეხობისადმი დამოკიდებულებაში მთავრობა უნდა ხელმძღვანელობდეს ჯერერთი, კაცთმოყვარეობით და სულგრძელობით და, მეორე, იმის შეგნებით, რომ რევოლუციის შემდეგ ისევ ამ გლეხობასთან ერთად უნდა ვიცხოვროთ. ი. ჭავჭავაძე წერს: „თუ მარტო კაცთმოყვარეობა და სულგრძელობა არა, პირდაპირი ანგარიში თხოულობს, რომ კაცმა ჯარი არ მიიწვიოს აწ გულზემოსულ გლეხკაცობის დასაწყნარებლად, რადგანაც ხვალე, ასე იქნება თუ ისე, ამ გლეხობასთან მოგვიხდება სულიერი და ხორციელი ცხოვ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 280.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 289.

რება"[1]. ხელმძღვანელობს ამ პრინციპით, ი. ჭავჭავაძე თავის მოურავს საგურამოში წერს: „მოსე!.. თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია ჩემმაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ... თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაიტონი გამომიგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონ ვთხოვ უფროსს, მან არა იმოქმედონ რა და ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ"[2].

ი. ჭავჭავაძე 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ფხიზლად ადევნებს თვალყურს მოვლენებს და ყოველთვის მშრომელი ხალხის მხარესაა, იცავს მის ინტერესებს და იბრძვის მთავრობის ყველა იმ რეპრესიული ღონისძიების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს რევოლუციურად განწყობილი ხალხის გამოსვლების დათრგუნვას. ამ მხრივ საყურადღებოა ნასაკირალის ცნობილი რევოლუციური გამოსვლისადმი ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულება. ცნობილია, რომ 1905 წლის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია რევოლუციურად განწყობილი გურული გლეხების ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ნასაკირალთან მთავრობის ჯარებთან რევოლუციონერ მშრომელთა შეტაკებაში. ამ ბრძოლაში რევოლუციონერთა დამარცხების შემდეგ მეფის მთავრობამ გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოში დამსჯელი რაზმების გაგზავნა ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით. მთავრობის ამ ბარბაროსული გადაწყვეტილების წინააღმდეგ აღდგა მოწინავე ქართველი საზოგადოება, რომლის წარმომადგენლები, ი. ზურაბიშვილის მოგონების თანახმად, შეკრებილან თათბირზე, რომ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმის მიერ გასაჟღეტად განწირული მშრომელებისათვის ეშველათ რაიმე. ამ თათბირს დასწრებია ი. ჭავჭავაძეც, რომელსაც აღშფოთება გამოუთქვამს მთავრობის მიერ მიღებულ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გამო. ი. ზურაბიშვილი თავის მოგონებებში წერს: „ილია წინადადებას იძლეოდა მეფისნაცვალს დელეგაცია მივუგზავნოთ, დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა გადათქვასო, თანაც უნდა განვუცხადოთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი იქ წავალთ და ჩვენ ძმებთან ერთად „костьми ляжем" (სიტყვა ილიამ რუსულად წარმოთქვა). როდესაც ვიღაცამ შენიშნა, რომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არავინ ჩვენგანი არ წავა და „костьми не ляжет"-ო, ილიამ უპასუხა: „მაშინ სირცხვილი ჩვენ", და რამდენადაც მაგონდება, დაუმატა კიდევ ერთ-ერთი შემდეგი ფრაზა: „ამ სირცხვილს ხალხი არ გვაპატიებს", ან „თორემ ხალხი თვითონ წავაო"[3].

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 289—290.
2 ი ქ ვ ე, გვ. 403.
3 ი. ზ ურ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, მოგონება ილია ჭავჭავაძეზე (ი. ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული, 1939, გვ. 323—324).

ი. ჭავჭავაძეზე ი. ზურაბიშვილის ეს მოგონება დოკუმენტურად დადასტურა ა. იოვიძემ, რომელმაც „საისტორიო მოამბეში“ გამოაქვეყნა სიტყვა იმაზე, თუ როგორ გაილაშქრა ი. ჭავჭავაძემ მეფის ხელისუფლების ღონისძიების წინააღმდეგ. ამ დოკუმენტში შემონახულია ი. ჭავჭავაძის სიტყვის ტექსტი, საიდანაც ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძეს ამ თათბირზე განუცხადებია შემდეგი: „საქართველოს ერთი საუკეთესო ნაწილის — გურიის განადგურება მთავრობას გადაუწყვეტია. ჩვენ არ შეგვიძლია ამას დავემორჩილოთ. წავიდეთ ახლავე ვორონცოვთან, ჯერ ვთხოვოთ უკან დააბრუნოს დამსჯელი რაზმი, თუ არ დააბრუნებს და მაინც გაგზავნის გურიის მოსასპობად, მაშინ ჩვენ ყველანი წავიდეთ გურიაში და მათთან ერთად დავიხოცოთ“[1]. ი. ჭავჭავაძე გაბედულად იბრძვის შავრაზმელების მიერ რევოლუციონერთა შეიარაღებული დათრგუნვის წინააღმდეგ. თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში გამართულ თათბირზე, სადაც იხილებოდა რევოლუციონერთა წინააღმდეგ შავრაზმელთა სამხედრო ჯგუფის შექმნის საკითხი, ი. ჭავჭავაძე თავს ესხმის მშრომელი ხალხის წინააღმდეგ შეიარაღებულ შავრაზმელებს: „რად გინდათ ეგ იარაღი რომ აგისხამთ! ვისთვის ამზადებთ თოფებს? გლეხებისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი მათ, ვინც დაგირიგათ“[2].

ამრიგად, 1905 წლის რევოლუციის პერიოდში ი. ჭავჭავაძე მშრომელი ხალხის დამცველად გამოდის, იგი გაბედულად იბრძვის იმ რეპრესიული ღონისძიებების წინააღმდეგ, რომელსაც მიმართავდა მეფის თვითმპყრობელობა რევოლუციურად განწყობილი ხალხის ფართო მასების წინააღმდეგ.

1905 წლის რევოლუციამ ფრთა შეასხა აგრეთვე ი. ჭავჭავაძის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. 1905 წლის რევოლუციას იგი უკავშირებდა რუსეთში ქართველი ერის პოლიტიკურ მოწყობას, ამ რევოლუციამ ი. ჭავჭავაძე გამოაფხიზლა და გააქტიურა[3]. 1905 წლის რევოლუციის დიდ შთამაგონებელ ძალას უნდა მიეწეროს ი. ჭავჭავაძის მიერ თვითმმართველობის შესახებ მოძღვრების შემდგომი განვითარება, კერძოდ, თვითმმართველობის განვითარება ავტონომიის შესახებ მოძღვრებამდე, რასაც შედეგად მოჰყვა მტკიცე პოლიტიკური მოთხოვნა რუსეთის იმპერიაში ქართველი ერის ავტონომიის პრინციპზე მოწყობის შესახებ.

ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობა ფართო ავტონომიის პრინციპზე პირველყოფილისა ნიშნავს საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის

---

1 საისტორიო მოამბე, 1967, გვ. 435.
2 „ლიტერატურული საქართველო“, 1936, № 7.
3 გ. ერ ბ ლ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 103.

აღდგენას ეროვნული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებით. საკანონმდებლო ხელისუფლებას განახორციელებს საქართველოს პარლამენტი, რომელიც დაადგენს ადგილობრივი ვითარების შესაბამის კანონებს.)

ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო დაწესებულების (პარლამენტის) მიერ კანონების ადგილობრივ დადგენას ი. ჭავჭავაძე მოითხოვს 1906 წლის 6 მარტს თავადაზნაურთა კერძო თათბირზე. ი. ჭავჭავაძის ეს მოსაზრება გაზ. „ივერიამ" შემდეგი სახით გააცნო მკითხველებს: „ბატონებო, — სთქვა ბოლოს ი. ჭავჭავაძემ, — ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან თამამად მოვითხოეოთ უბრალო, ბუნებრივი რამე, რომ ქართველის მიწა ქართველისთვის იყოს, ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ახლა პეტერბურგში იწერება, აქვე ადგილობრივ იწერებოდეს, რადგან, რაც რუსისთვის სასარგებლოა, ის შეიძლება ქართველისათვის მავნე იყოს"[1]. იმავე წლის 9 მარტს ი. ჭავჭავაძე წერილით მიმართავს გაზ. „ივერიის" რედაქტორს და აცნობებს, რომ თავადაზნაურთა კერძო თათბირზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვის ბევრი ადგილი დამახინჯებულადაა გამოქვეყნებული, კერძოდ, გაზეთი იუწყება თითქოს მეთქვას: „ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ეხლა პეტერბურგში იწერება (რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნისათვის). აქვე ადგილობრივ იწერებოდეს". სინამდვილეში, მიუთითებს გაზ. „ივერიის" რედაქტორს ი. ჭავჭავაძე, „სასურველია, რასაკვირველია, რომ ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე, ჩვენში, იწერებოდეს, მაგრამ მარტო ამით არა გვეშველება-რა. მე ვთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: „ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩ ვ ე ნ ი ს ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ი ე რ ა რ ჩ ე უ ლ წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ თ ა კ რ ე ბ უ ლ ი ს ა გ ა ნ". აი ეს ხაზგასმული სიტყვები დაუმატეთ და ჩემი აზრი სავსებით გამოთქმული იქნება"[2].

როგორც ჩანს, გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნებულ სიტყვასთან შედარებით ი. ჭავჭავაძის ჩასწორება გამოირჩევა რევოლუციურ-რადიკალური მოთხოვნებით. როცა ი. ჭავჭავაძის გაზ. „ივერიის" რედაქტორისათვის გაგზავნილ ამ წერილის პოლიტიკურ შინაარსს ეაფასებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არის 1905 წლის რევოლუციის პერიოდი, როცა მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლთ. ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის 1905 წლის რევოლუციით ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა, მაგრამ ამ სიტუაციაშიც იგი არ წყვეტს საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლას, პირიქით, ცდილობს დაარწმუნოს მთავრობა, რომ გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას თვითმმართველობის შემოღების გარდა „ვერაფერი ვერ

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 265.
[2] ი ქ ვ ე.

შეაჩერებს".) ი. ჭავჭავაძე გაზ. „ივერიის" რედაქტორს წერს: „გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, ჩემი ეს წერილი დაბეჭდოთ და ნება მიბოძეთ გაგიბედოთ და ერთი სარჩიელი მოგახსენოთ. დღეს ისეთი დღეა, რომ თვითეულს სიტყვას დიდის სიფრთხილით უნდა მოვექცეთ, და ვიდრე სხვისა თქმულს ბეჭდვით საჯაროდ განვიმეორებდეთ, ავწონ-დავწონოთ, რა თქმულა და როგორ თქმულა. დღეს ისეთი დროა, რომ თვითეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხისმგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისაებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ"[1]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაზ. „ივერიამ" შეარბილა თავადაზნაურთა კრებაზე ი. ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა, ხოლო ი. ჭავჭავაძემ საგანგებო წერილით მოსთხოვა გაზეთის რედაქტორს თავისი სიტყვის უცვლელად დაბეჭდვა საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭებისა და საკუთარი პარლამენტის შექმნის შესახებ, ადვილი მისახვედრია, რომ ი. ჭავჭავაძე 1905 წლის რევოლუციისადმი შიშს კი არ გრძნობდა, არამედ იბრძოდა იმისათვის, რომ ეს რევოლუცია გამოეყენებია თავისი პოლიტიკური იდეალის განსახორციელებლად.

რაც შეეხება (აღმასრულებელ- და სასამართლო ხელისუფლებებს) ილიას პროექტის მიხედვით, მათ განახორციელებს თვითმმართველობითი ორგანოები (ერობები) და ხალხის მიერ არჩეული სასამართლოები, რომელთა სამუშაო ენა ქართული უნდა იყოს. ამრიგად, საქართველოში უნდა შეიქმნას დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც მართალია რჩება რუსეთის ფარგლებში, მაგრამ მას უკვე გააჩნია ფართო ავტონომია, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტონომიური წარმომადგენლობის კომპეტენცია არ ვრცელდება მხოლოდ არმიაზე, ფლოტზე, საგარეო პოლიტიკაზე, საფინანსო საქმეებზე[2].)

(ი. ჭავჭავაძის ბრძოლამ ავტონომიისათვის უფრო ფართო მასშტაბი მიიღო სახელმწიფო საბჭოში, სადაც იგი დაუკავშირდა რუსეთისა და განაპირა მხარეების პროგრესულ ძალებს, რომლებთანაც იგი ერთობლივად იბრძვის რუსეთის ბიუროკრატიულ-ცენტრალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ.) ი. ჭავჭავაძე დარწმუნებული იყო, რომ მეფის თვითმპყრობელობის მიერ ნაწყალობევი დაწესებულებები ხალხის მოტყუებას ისახავს მიზნად და მათ არ შეუძლიათ გადაჭრან მშრომელი ხალხის ინტერესები, და ამიტომაც იგი უარსაც კი აცხადებდა სახელმწიფო საბჭოს წევრობაზე, მაგრამ მასში ყოველთვის იმარჯვებდა რეალისტი მოაზროვნე და თავისი ხალხის ბედნიერებისათვის საბრძოლველად საბოლოოდ სახელმწიფო საბჭოც მოსინჯა. სახელმწიფო საბჭო, რომლის

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 265—266.

2 იხ. ჟურნ. „ცისკარი", 1985, № 12. ბ. რ ა ტ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე, მოღვაწეობა და აზროვნება, თბ., 1965, გვ. 210.

შექმნის შესახებ მოსაზრება პირველად წამოაყენა ცნობილმა რუსმა მოაზროვნემ და სახელმწიფო მოღვაწემ სპერანსკიმ, ჩამოყალიბდა 1810 წელს და იარსება 1917 წლამდე. სახელმწიფო საბჭოს სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრა მეფის მიერ გამოცემული მანიფესტით, რომლითაც იგი იყო კანონპროექტების განმხილველი ორგანო, მის მიერ განხილულ და მოწონებულ კანონებს იურიდიული ძალა მხოლოდ იმპერატორის მიერ დამტკიცების შემდეგ ენიჭებოდა.

რევოლუციით დაშინებული მეფის თვითმპყრობელობა 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით ხალხს შეპირდა სინდისის, სიტყვის, კრებების, კავშირებად გაერთიანების უფლებების მინიჭებას, საკანონმდებლო სათათბიროს შექმნას და ა. შ. 1906 წლის გაზაფხულზე მოწვეული იქნა პირველი სახელმწიფო სათათბირო, როგორც საკანონმდებლო ორგანო, რომლის შექმნის შემდეგაც რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონების მეოთხე მუხლით დადგენილი დებულება იმის შესახებ, რომ უმაღლესი თვითმპყრობელური ხელისუფლება მხოლოდ იმპერატორს ეკუთვნის, ძალაში დარჩა. პირველი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევამდე, 1906 წლის 23 აპრილს მიღებულ სრულიად რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონით, რომლითაც მოხდა სახელმწიფო საბჭოს რეორგანიზაცია და მისი გადაქცევა მეორე, ზედა პალატად, სახელმწიფო სათათბირო აღიარებული იყო საკანონმდებლო ორგანოდ, კერძოდ, მის პირველ, ქვედა პალატად. რა თქმა უნდა, ხელისუფლების ამგვარი რეორგანიზაცია ასე თუ ისე ნიშნავდა მეფის ხელისუფლების შეზღუდვას, ძირითადი კანონის მეშვიდე მუხლში ნათქვამი იყო, რომ მეფე საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს სახელმწიფო საბჭოსთან და სახელმწიფო სათათბიროსთან ერთად, მაგრამ ეს შეზღუდვა ერთობ უმნიშვნელო იყო და ფორმალურ ხასიათს ატარებდა. სახელმწიფო სათათბიროს შექმნა და სახელმწიფო საბჭოს რეორგანიზაცია სრულებითაც არ ნიშნავდა რუსეთში პარლამენტარიზმის დამყარებას, ყველა ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიაში მმართველობის აბსოლუტური ფორმის შენიღბვას დემოკრატიული დაწესებულებებით. ამ პერიოდის რუსეთის იმპერიის სახელმწიფო წყობილებას ვ. ი. ლენინი ასე განსაზღვრავდა: „მონარქია, საპარლამენტო ფორმებით შემოქარგული სამხედრო დესპოტიზმი დემოკრატიის ნაცვლად“[1].

სახელმწიფო სათათბიროს შესახებ არსებული ნორმატიული აქტები ამ ახლად შექმნილი საკანონმდებლო ორგანოს კომპეტენციას შემდეგნაირად განსაზღვრავდა: ახალი კანონების პროექტთა მიღება და აგრეთვე ძველ მოქმედ კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა; სახელმწიფო შემოსავალ-გასაელისა და აგრეთვე სამინისტროებისა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 12, გვ. 433.

და უწყებების ხარჯთაღრიცხვის განხილვა; ბიუჯეტის შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლის ანგარიშის განხილვა; სახელმწიფო ქონების გასხვისების, ხაზინის ხარჯზე რკინიგზების გაყვანის, სააქციო კომპანიების შექმნისა და მეფის მითითებით სახელმწიფო სათათბიროში დასმული საქმეების განხილვა და ა. შ. მაგრამ პრაქტიკულად სახელმწიფო სათათბირო ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებას სხვადასხვა მიზეზების გამო მთელი სისრულით ვერ ახორციელებდა.

სახელმწიფო სათათბიროს შექმნასთან დაკავშირებით რეორგანიზებული იქნა სახელმწიფო საბჭო, რომლის შესახებაც დებულება გამოქვეყნდა 1906 წლის 20 თებერვალს. რეორგანიზაციის შემდეგ სახელმწიფო საბჭო გახდა სახელმწიფო სათათბიროსადმი დაპირისპირებული მეორე პალატა, თუმცა ზემოაღნიშნული დებულება სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს თანასწორუფლებიან დაწესებულებებად აღიარებდა, მაგრამ ფაქტიურად იგი ახორციელებდა კონტროლს სახელმწიფო სათათბიროზე, რათა ამ უკანასკნელს არ მიეღო ცარიზმისათვის არასასურველი კანონპროექტები. არსებული წესების მიხედვით სახელმწიფო საბჭოს წევრთა ნაწილს თვითონ მეფე ნიშნავდა, დანარჩენებს კი ირჩევდნენ. სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ გააჩნდა მუშებს, გლეხებს და ა. შ. 1906—1909 წწ. სახელმწიფო საბჭოს წევრებად მეფის მიერ დანიშნული იყო 124 წევრი, მაგრამ ყოველწლიურად ამ დანიშნული წევრებიდან სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე დამსწრე წევრთა სიაში შეტანილი იყო მხოლოდ 94—95 კაცი. სახელმწიფო საბჭოს დანარჩენ 98 წევრს ირჩევდნენ შემდეგი წესის მიხედვით: 74 ადგილი განკუთვნილი იყო მსხვილ მემამულეთავადაზნაურთათვის, 6 ადგილი ეკუთვნოდა სინოდს სასულიერო წოდებისათვის, 6 ადგილი უნივერსიტეტებსა და მეცნიერებათა აკადემიას, 12 ადგილი კი ვაჭრებისა და მრეწველობის წარმომადგენლებს[1]. თავდაპირველად ხდებოდა არჩევა ამომრჩეველებისა, რომლებიც იკრიბებოდნენ პეტერბურგში და ირჩევდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრებს.

1906 წლის მარტში პეტერბურგში გაიმართა რუსეთის თავადაზნაურობის საიმპერიო ყრილობა, რომელსაც უნდა აერჩია სახელმწიფო საბჭოს წევრები. ი. ჭავჭავაძე ამ ყრილობაზე მონაწილეობდა, როგორც ქართველი თავადაზნაურობის დელეგატი, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში. თავადაზნაურთა საიმპერიო ყრილობამ ი. ჭავჭავაძე აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრად. ჩვეულებრივად, სახელმწიფო საბჭოს წევრები იმ წოდებათა და ორგანიზაციათა ინტერესებს იცავდნენ, რომლებმაც ისინი აირჩიეს, მაგრამ ი. ჭავჭავაძე სხვანაირად ფიქრობდა. 1905—1907 წლის ბურჟუაზიულ-

[1] История государства и права СССР, М., 1972, стр. 601.

დემოკრატიულ რევოლუციის ეპოქაში, როცა მშრომელი ხალხი იბრძოდა თვითმპყრობელობის საძულველი რეჟიმის წინააღმდეგ, იგი გამოდის წოდებრივი განკერძოებულობის წინააღმდეგ და სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობას უკავშირებს მთელი ქართველი ხალხის ინტერესების დაცვასა და განხორციელებას(ი. ჭავჭავაძემ თავისი პოლიტიკური იდეალის განხორციელებისათვის ბრძოლას მოახმარა სახელმწიფო საბჭოში თავისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი მოღვაწეობა, მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად ესმოდა, რომ მეფის ერთგული სახელმწიფო საბჭო ამ ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობას არ იძლეოდა. თვით ი. ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოში თავისი საქმიანობის ხასიათსა და მიმართულებას შემდეგნაირად განსაზღვრავდა: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავადაზნაურთა საჭიროებებზე ვილაპარაკებ. თუ ამას ჰფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი აქაური რუსთა აზნაურნი — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ — ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ღონეს“[1]. თავისი დაპირება ი. ჭავჭავაძემ პირნათლად შეასრულა, იგი სახელმწიფო საბჭოში მიემხრო არა თავადაზნაურულ-მემამულეთა ინტერესების დამცველ ჯგუფს, არამედ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის მემარცხენეთა ჯგუფს და სახელმწიფო საბჭოში განსახილველად დასმულ ყველა საკითხის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობდა არა თავადაზნაურთა კლასის ინტერესებით, კლასისა, რომლის წარმომადგენელი ფორმალურად იგი იყო სახელმწიფო საბჭოში, არამედ საერთოდ მთელი მშრომელი ხალხის, და კერძოდ, ქართველი ხალხის საერთო ინტერესების მიხედვით. ი. ჭავჭავაძის ამგვარმა პოზიციამ სახელმწიფო საბჭოში რეაქციულად განწყობილი თავადაზნაურობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. თავადაზნაურობის რეაქციული ნაწილის წარმომადგენლები სახელმწიფო საბჭოში კრუპენსკი და მარკოვი სინანულით აღნიშნავდნენ, რომ ი. ჭავჭავაძემ ვერ გაამართლა ამომრჩეველთა იმედები და თავადაზნაურობა, რომელმაც იგი აირჩია სახელმწიფო საბჭოში, შეგვარცხვინაო. ისინი საყვედურობდნენ: „ჩვენ ავირჩიეთ ი. ჭავჭავაძე. იმან მთელი თავადაზნაურობა შეგვარცხვინა, ის სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთ მიეკედლა. ჩვენ შევცდით და ვნანობთ. ეხლა თუ საიმედო კანდიდატს დაგვისახელებთ, ისეთს, როგორც გენერლები ორბელიანი და მუხრანსკია, თუნდ წერა-კითხვა არ იცოდნენ, დიდი სიამოვნებით ავირჩევთ“[2].

---

[1] მ. ბოლქვაძე, ახლო წარსულიდან. ი. ჭავჭავაძე რუსეთში (1906—1907 წწ.), ჟურნ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 108.
[2] ჟურნ. „განათლება“, 1928, № 3—4, გვ. 108—109.

( უმთავრესი საკითხი, რომელსაც ი. ჭავჭავაძე უკავშირებდა სახელმწიფო საბჭოში თავის მოღვაწეობას, ეს იყო საქართველოს ახლებური პოლიტიკური ორგანიზაცია. თუ რამდენად რევოლუციურად მოსჩანდა ი. ჭავჭავაძის ეს მოთხოვნა იმ დროს, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს ის, რომ საქართველოს ახლებური პოლიტიკური ორგანიზაციის მოთხოვნა ზოგიერთებს მეტისმეტად აშინებდა. მ. გედევანიშვილის გადმოცემით, სახელმწიფო საბჭოში წევრად არჩევამდე ი. ჭავჭავაძეს ქართველ დელეგატებისათვის განუცხადებია, რომ მას სურს „საბჭოში შეიტანოს მოთხოვნილება, რომ საქართველოს მიეცეს სრული ავტონომია, მაგრამ ნიკო ნიკოლაძე ამის წინააღმდეგი იყო, ამბობდა, რომ მე ბევრს საბჭოს წევრს ველაპარაკე და ვიცნობ კარგათ, რაც არიანო და არავინ არ დაგიჭერს იქ მხარსაო, და მაგ გამოსვლით საქართველოს მარტო ზიანს მიაყენებო, ეგ მეტის მეტი გაბედული მოთხოვნააო, როგორ უნდა გაუბედოთ რუს ხელმწიფესაო"[1]. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შიშისათვის საკმაო საფუძველიც არსებობდა. ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როცა ი. ჭავჭავაძემ შეიმუშავა რუსეთის იმპერიაში საქართველოს პოლიტიკური მოწყობის გეგმა თვითმმართველობითი სისტემის საფუძველზე, მეფის თვითმპყრობელობამ მასზე პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობა დააწესა.

საქართველოს ავტონომიისათვის სახელმწიფო საბჭოში ი. ჭავჭავაძის ბრძოლაზე სრულ წარმოდგენას გვაძლევს საქართველოდან იმ პერიოდში პეტერბურგს წარგზავნილი მ. ბოლქვაძე, რომელმაც 1908 წელს ჟურნალ „განათლებაში" გამოაქვეყნა წერილი — „მოგონებანი ახლო წარსულიდან"[2]. უნდა აღინიშნოს, რომ მ. ბოლქვაძის ზემოაღნიშნული წერილი იმდროინდელი ფრიად საყურადღებო მასალაა ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობის შესახებ და ამავე დროს უაღრესად სარწმუნოც, რადგან ჯერ ერთი, მ. ბოლქვაძე უშუალო მომსწრეა ი. ჭავჭავაძის ენერგიული ბრძოლისა სახელმწიფო საბჭოში და გარდა ამისა, იგი გამოქვეყნებულია ი. ჭავჭავაძის ტრაგიკულად დაღუპვიდან ერთი წლის შემდეგ, როცა ამ წერილში აღნიშნული ფაქტები ჯერ კიდევ დავიწყებული არ ჰქონდათ თანამედროვეებს და ამასთან ერთად, თითქმის ყველა პირი, რომელიც მასში მოხსენიებულია იმ დროს ცოცხალი იყო, მაგრამ მათგან არავის არ უარუყვია მ. ბოლქვაძის მიერ გადმოცემული ფაქტების სისწორე.

(ეხება რა სახელმწიფო საბჭოში ი. ჭავჭავაძის ბრძოლას ავტონომიისათვის, მ. ბოლქვაძე წერს: „იმ ხანებში პოლონეთის დეპუტატები სათათბიროს უმრავლესობის დახმარებით თავიანთ ავტონომიის პრო-

---

[1] გ. შ ა რ ა ძ ე, არქეოლოგიური ეტიუდები. ანასტასია გედევანიშვილის „მოგონება ილიაზედ" (ჟურნ. „ცისკარი", № 7, 1981, გვ. 122).

[2] ჟურნ. „განათლება", 1908, № 3—4.

ექტს ამზადებდნენ. ჩვენი ქვეყნის ავტონომიის შესახებაც ითქვა ორიოდე სიტყვა... ეს დიდი საკითხი ილიას გონებას არ ასვენებდა. გულდასმით ათვალიერებდა თან ჩამოტანილ მასალას"[1].

ივ. ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო. სახელმწიფო საბჭოსაგან დამოუკიდებლად არსებობდა სახელმწიფო სათათბირო, რომლის სხდომებსაც ი. ჭავჭავაძე დიდი ინტერესებით ესწრებოდა და მუდამ მოწინავე, პროგრესული ძალების მხარეზე იყო, რომელთა მიმართ სიმპათიებს იგი ვერ მალავდა. მ. ბოლქვაძე იგონებს: „სათათბიროში ერთ ისტორიულ კრებაზე ნაბოკოვმა მთავრობის წინააღმდეგ სასტიკი სიტყვა წარმოთქვა იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ მოუფერებლად ეუბნებოდნენ: „როდისღა მოგვშორდებით!" ყველა მინისტრი დარბაზში ბრძანდებოდნენ და ისმენდნენ მსუსხავ მსჯავრს. მე ჟურნალისტების ლოჟაში ვიჯექი. სახელმწიფო საბჭოს ლოჟა ჩვენ გვერდით იყო. აქ იყო ილიაც. ნაბოკოვის სიტყვის შემდეგ წამოდგა, ჩამოუარა ჩვენს ლოჟას და ნელის ფეხის ნაბიჯით გასწია კულუარებისაკენ. მაშინდელი მისი სახის გამომეტყველება არასდროს არ დამავიწყდება. აქ იხატებოდა უსაზღვრო კმაყოფილება, სიამოვნება, ნეტარება, მტრის დამარცხებაზე აშენებული. ილიას სული და გული ღელავდა. მთელს სახეს ალმური მოდებოდა, ზღვა — თვალნი ბრწყინავდნენ. მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა... ნეტავ რა გუნებაზე არიან მინისტრები? ძლიერი შათრახია, ურყევ საფუძველზე აშენებული. ღირს შესანიშნავი აქ ის არის, რომ ნაბოკოვი მინისტრის შვილია. იცის მინისტრების სუსტი მხარე... ამბობდა ენერგია აღძრული და აღელვებული ილია"[2].

ი. ჭავჭავაძეს სახელმწიფო სათათბირო და განსაკუთრებით პირველი სახელმწიფო სათათბირო, რომელიც გამოირჩეოდა პროგრესულობით, მიაჩნდა არა მხოლოდ რუსი ხალხის, არამედ რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესების დამცველად და გამომხატველად. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს პირველ სახელმწიფო სათათბიროში ი. რამიშვილის გამოსვლის შეფასება ი. ჭავჭავაძის მიერ: „ქართულად სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს რამიშვილის სიტყვა. ასეთ გამოთქმას არ არიან მიჩვეულნი რუსები. ჩემმა ამხანაგებმა პირველ ხუთი წუთის განმავლობაში ვერა გაიგეს რა. ეს კიდევ არაფერია: რამიშვილი შეეჩვეცა საპარლამენტო ორატორობას, მსმენელნი — ისიდორეს თავისებურ კილო-გამოთქმას. სიტყვა აზრიანი იყო, მაგრამ დალოცვილმა რა დაიყინა ეს „великий русский народ" თითქმის მთელი სათათბირო რუსების ინტერესებზე ლაპარაკობს, რაღა მაგის თავ-გამოდება ესაჭიროება რუსის ხალხს? მე არ მეგონა — თუ ერთი სიტყვით არ მოიგონებდა

---

[1] ჟურნ. „განათლება", 1908, № 3—4, გვ. 112.
[2] იქვე, გვ. 115—116.

ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. დაიჟინა „великий русский народ...“ არა მგონი ბოლომდის გასტანოს ასეთმა ძახილმა“[1].

პირველ სათათბიროში შეიქმნა ავტონომის-ფედერალისტთა კავშირი, რომელშიც შედიოდნენ უკრაინის, პოლონეთის, ბალტიისპირეთის მხარის, და მაჰმადიანთა, ოსმალთა, ებრაელთა, სომეხთა და სხვათა წარმომადგენლები, კერძოდ, სათათბიროს წევრი — დეპუტატები. საქართველოდან ამ კავშირში შედიოდა პირველი სათათბიროს დეპუტატი ი. ბარათაშვილი. ამ კავშირის თავმჯდომარე იყო პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრი, მოსკოველი ვექილი ლედნიცკი. კავშირის დანიშნულებას შეადგენდა სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ ახალ კანონ-პროექტთა განხილვა და დეპუტატთა საერთო კრებაზე ან სპეციალურ კომისიებში თავიანთი მოთხოვნებისა და მოსაზრებების წარდგენა. მიუხედავად იმისა, რომ ი. ჭავჭავაძე სახელმწიფო სათათბიროს წევრი არ იყო, „ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირმა ერთხმად გადაწყვიტა მოეპატიჟა ილია ჭავჭავაძე, როგორც სრულუფლებიანი წევრი. ზოგნი ეპვობდნენ, — ილია ამ კავშირში არ მიიღებს მონაწილეობას, მოერიდება აგრე ფარდა ახდილს პირდაპირს მუშაობასო, მაგრამ ასეთი აზრი არ გამართლდა. ილიამ დიდი სიამოვნებით მიიღო კავშირის წინადადება. კავშირის კრებები უფრო ხშირად საღამოობით ხდებოდა. ეს ილიას არ აშინებდა და კრებებს ესწრებოდა“[2].

ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის მუშაობას ი. ჭავჭავაძე არადამაკმაყოფილებლად აფასებდა, არც მისი თავმჯდომარის — ლედნიცკის პოზიცია მოსწონდა. საქმე ისაა, რომ ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის წევრები საერთოდ არ იცნობდნენ რუსეთის განაპირა მხარეების მდგომარეობას, მათ მიერ შემუშავებული მოსაზრებანი იმდენად ჩამორჩებოდა დროის მოთხოვნებს, რომ მათ არ შეეძლოთ პასუხი გაეცათ რუსეთის განაპირა მხარეებში გაჩაღებული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მიერ დასმულ კითხვებისათვის. მ. ბოლქვაძის გადმოცემით, ი. ჭავჭავაძე ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის საქმიანობით უკმაყოფილო იყო და ამბობდა: „ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირს სათათბიროში დიდი მნიშვნელობა ექნება, მაგრამ ჯერ-ჯერობით თვით ორგანიზაცია და მუშაობის სისტემა მეტად სუსტობს. არა მგონი რომ აგრე გასტანოს. აბა, კარგად დააკვირდით, — კავშირის უზურპატორი—მეფე დეპუტატი ლედნიცკია. უმრავლესობა მის სიტყვას და წინადადებას წმიდათაწმიდათ იღებს და ეთანხმება. ეს აიხსნება მხოლოდ შეუგნებლობით. წევრთა უმეტესი ნაწილის აზრი ამა თუ იმ კითხვაზე არ არის საამდროვო. მე საქართველოში სოციალ-დემოკრატები

---

[1] ჟურნ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 118.

[2] იქვე, გვ. 122.

რეტროგრადს მეძახიან, ესენი-კი — ჩემი მოხსენებანი რო წაუკითხო, — მგონი, რევოლუციონერს დამიძახებენ"[1].

ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის სხდომებზე ი. ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული მოსაზრებანი და შეხედულებანი მართლაც გამოირჩეოდა რევოლუციურობით, ამის გამო ი. ჭავჭავაძეს ამ კავშირში სოციალისტადაც კი აღიარებდნენ. მ. ბოლქვაძე იგონებს, რომ ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის სხდომაზე აგრარულ საკითხს იხილავდნენ, კომისიაში, რომელსაც უნდა მოემზადებინა მოსაზრებანი ამ საკითხზე, ქართველები — ი. ჭავჭავაძე და ი. ბარათაშვილიც აირჩიეს, რამაც დეპუტატი თოფჩიბაშევი გააფიცხა და მოითხოვა თავისი წარმომადგენლის კომისიაში არჩევა, ქართველებს თუ ირჩევთ ჩვენც უნდა აგვირჩიოთ, ქართველები მიწის სოციალიზაციისათვის იბრძვიან, ისინი სოციალისტები არიან, ჩვენ კი სხვა პირობებში ვართ და სხვა მოთხოვნილებები გვაქვსო. თოფჩიბაშევის ამ განცხადების შემდეგ ი. ჭავჭავაძეს უთქვამს: „არ გითხარ რევოლუციონერს დამიძახებენ მეთქი?! ჯერ კრინტიც არ დამიძრავს და თოფჩიბაშევი სოციალისტს მეძახის!.. ნეტავ რის შაეშინდა"[2]. ასეთ ვითარებაში ი. ჭავჭავაძეს ზედმეტად მიაჩნდა ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირში მისი ყოფნა, მაგრამ თხოვნის შემდეგ კავშირში დარჩა, რადგან სათათბიროში დეპუტატები მოელოდნენ ავტონომიის საკითხის განხილვას, კერძოდ, ქართველების მოთხოვნით ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის თავმჯდომარემ ლედნიცკიმ სათათბიროს კომისიაში განსახილველად შეიტანა საკითხი საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ. ამ გარემოებამ ი. ჭავჭავაძეს ახალი საზრუნავი გაუჩინა. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო სათათბიროს ქართველი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) დეპუტატები საერთოდ საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგი იყვნენ, რაც ი. ჭავჭავაძეს აშინებდა, კერძოდ, თუ სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოში დაისმებოდა საქართველოს ავტონომიის საკითხი და ამ საკითხზე ქართველთა შორის, კერძოდ, ერთი მხრივ ი. ჭავჭავაძესა და მის მომხრეებს, ხოლო მეორე მხრივ ქართველ სოციალ-დემოკრატებს შორის აზრთა სხვადასხვაობას ექნებოდა ადგილი, რა თქმა უნდა, საქართველოს ავტონომიის საკითხიც მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან. მ. ბოლქვაძე წერს: „ჩამოვიდნენ ჩვენი დეპუტატებიც, რომელთა შორის მხოლოდ ბარათაშვილი იყო არა სოციალ-დემოკრატი. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელთა ასეთმა ჯგუფმა პეტერბურგის ქართველი ინტელიგენცია და მასთან ერთად ილია დააფიქრა. მიზეზი საყურადღებო იყო. ქართველთა მინდობილობით ლედნიცკიმ ჩვენების ჩამოსვლამდის პარლამენტის კომისიაში შეიტანა განცხადება საქართველოს ავტონომიის შესახებ, „ჩვე-

---

1 ჟურნ. „განათლება", 1908, № 3—4, გვ. 123.
2 ი ქ ვ ე, გვ. 124.

ნი სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგი იქნებიან და ხომ შევრცხვეთ, განცხადება მაინც არ იყოს კომისიაშიო", — აი რა ფიქრი ტრიალებდა ქართველთა შორის. „რამე უნდა ვიღონოთო", ამბობდა ილია და სხვანი. რა უნდა ექნათ? ამ დროს და წინედაც ს.-დ. ჟურნალ-გაზეთებში ილიასთან საქმის დაჭერას, პურის მჭამელს და მოლაპარაკებასაც ჯვარს აცვამდნენ"[1]. პეტერბურგში მცხოვრები ქართველები ცდილობდნენ ი. ჭავჭავაძისა და მისი მომხრეების შეხვედრის ორგანიზაციას ქართველ სოციალ-დემოკრატებთან. ეს შეხვედრა შედგა ცნობილი ქართველი კაპიტალისტის და საზოგადო მოღვაწის დ. სარაჯიშვილის მიერ მოწყობილ ბანკეტზე „ევროპის სასტუმროს" ცალკე დიდ დარბაზში. ი. ჭავჭავაძე, პროფ. ა. ცაგარელი და სხვები საქართველოს ავტონომიას მოითხოვდნენ და ცდილობდნენ მიეღწიათ სოციალ-დემოკრატი დეპუტატების მხარდაჭერისათვის. პროფ. ა. ცაგარელი არწმუნებდა ი. რამიშვილს, რომ აუცილებელია სათათბიროში საქართველოს ავტონომიისათვის მხარდაჭერა, მაგრამ როგორც მ. ბოლქვაძე გადმოგვცემს ი. რამიშვილი უარზე იდგა და ამტკიცებდა: „ჩვენ ეხლა ამ კითხვაზე სათათბიროში ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია, ჯერ სხვა საერთო კითხვებია გასარჩევი"[2]. მ. ბოლქვაძის გადმოცემით, ი. ჭავჭავაძე თავს ძლივს იკავებდა აღელვებისაგან, არაფრად მოსწონდა ი. რამიშვილის დამოკიდებულება საქართველოს ავტონომიის საკითხებზე. მოლაპარაკება გვიან ღამემდე გაგრძელდა, მართალია, ამ მოლაპარაკებას ფრიად სასურველი შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ის, რაც მიღწეული იქნა, ილიას სოციალ-დემოკრატებისაგან მოსალოდნელზე უკეთესად მაინც მიაჩნდა. ი. ჭავჭავაძე შემდეგნაირად აფასებდა ამ შეთანხმებას: „ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგნი არიან. ეს ყველამ ვიცოდით, მაგრამ ის, რაც გუშინ გამოირკვა — ახალია. ამათთან, ბელადებთან, ისიდორესთან და ნოესთან შესაძლოა მოლაპარაკება, — სხვებთან კი ჩვენში... ფანატიკოსები არიან დალოცვილნი... ნაციონალური გრძნობა ძლიერ ღრმად არის ჩანერგული, შესისხლხორცებული და თუ გაიძახიან „არაო" — ეს თავის მოტყუილებაა. კარგად ჩაიხედონ გულში... ეჰ, შორს წავედი. ისევ გუშინდელ დღეს დავუბრუნდეთ. „ჩვენ საქართველოს ავტონომიას არც დავიცავთ და არც წინააღმდეგ ვიტყვით არაფერს". ეს დაპირებაც კარგია, მადლი ღმერთს: მე არც ამას მოველოდი... ჯერ ესეც ვიკმაროთ. ეს დაპირებანი შეასრულონ. დამოკიდებულებას ნუ გავამწვავებთ, არა უშავს რა..."[3]

მაგრამ ი. ჭავჭავაძის პროგრამას სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოში საქართველოსათვის ავტონომიის მისანიჭებლად

---

[1] ჟურნ. „განათლება", 1908, № 3—4, გვ. 125.
[2] იქვე, გვ. 127.
[3] იქვე, გვ. 129.

განხორციელება არ ეწერა. პირველი სახელმწიფო სათათბირო მეფის თვითმპყრობელობამ დახურა, მისი პროგრესულად მოაზროვნე დეპუტატების დიდი ნაწილი, მათ შორის ქართველი დეპუტატებიც, დააპატიმრა, რამაც ი. ჭავჭავაძის გულისტკივილი გამოიწვია. ამ ამბებით დამწუხრებულ ი. ჭავჭავაძეს უთქვამს: „ეს ახალი და დიდი უბედურებაა ჩვენთვის... ჰორიზონტი შავად იღრუბლება და ახლო მომავალი არაა მპირდება. ჩემნი დღენი კარგს არას მოესწრება...“[1]

მართლაც, მეორე სახელმწიფო სათათბიროში, რომელიც პირველ სახელმწიფო სათათბიროსაგან განსხვავებით უკიდურესად რეაქციული იყო, განაპირა მხარეებისათვის, და კერძოდ საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭების საკითხის დასმაზე არავინ ფიქრობდა, რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ი. ჭავჭავაძის მიერ შემუშავებულმა პოლიტიკურმა პროგრამამ მარცხი განიცადა. სახელმწიფო საბჭოში პოლიტიკურმა მოღვაწეობამ ი. ჭავჭავაძეს ნათლად დაანახვა მეფის თვითმპყრობელობის რეაქციული ბუნება და იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მთავრობას რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში განაპირა ხალხების ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის თაობაზე სიტყვის გაგონებაც კი არ სურდა. იქნებ ამითაც აიხსნას ის ამბავი, რომ 1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში ი. ჭავჭავაძე სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოში ქართველ სოციალ-დემოკრატებთან ეძებს კავშირს. უნდა ვიფიქროთ, რომ ი. ჭავჭავაძეს 1905—1907 წწ. რევოლუციის ეპოქაში ქართველი სოციალ-დემოკრატები მიაჩნდა ყველაზე გავლენიან და მნიშვნელოვან ძალად, რომელთანაც კავშირში იგი ოცნებობდა საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭებისათვის ერთობლივ ბრძოლაზე. ი. ჭავჭავაძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატების „ბელადებთან, ისიდორესთან და ნოესთან შესაძლოა მოლაპარაკება. შეიძლება ორს სხვადასხვა უკიდურესს პარტიას ვეკუთნოდეთ, მაგრამ ჩვენ ერთად ლაპარაკი უნდა შეგვეძლოს“[2], ცხადყოფს მის დაახლოებას სოციალ-დემოკრატიასთან მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საქართველოს კეთილდღეობისათვის ერთობლივ ბრძოლაში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ი. ჭავჭავაძეს ზემოაღნიშნული შეხედულება გამოთქმული აქვს 1906 წელს, ნ. ჟორდანიასთან ცხარე პოლემიკიდან ექვსი წლის შემდეგ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე 1900 წელს ზედიზედ აქვეყნებს ნ. ჟორდანიას წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკურ ოთხ წერილს: — „უმეცრობის ფართი-ფურთი“, „ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი“, „ქარაფშუტობა, ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა“, „ისევ და ისევ ბ-ნ ნოე ჟორდანიას უმეცრობანი და მისი წაჯეგ-უკუჯეგობა-

[1] ჟორნ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 121.
[2] იქვე, გვ. 129.

ნი"[1]. 1906 წელს კი, რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში ი. ჭავჭავაძე დასაშვებად მიიჩნევს ქართველ სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობას და დარწმუნებულია, რომ ეს თანამშრომლობა „ცოტაოდენ სარგებლობას უთუოდ მოიტანს"[2].

(ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობის პერიოდს განეკუთვნება მისი ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის. ქართველი ერის პოლიტიკური მოწყობა ავტონომიის ფორმით რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში და ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება, ი. ჭავჭავაძეს მიაჩნდა ქართველი ხალხის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ცხოვრების უდიდეს კულტურულ მოვლენად.) მ. ბოლქვაძე, რომლის ნაშრომი — „ახლო წარსულიდან. ილია ჭავჭავაძე რუსეთში (1906—1907 წ.)" ერთადერთი შედარებით სრული წყაროა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობაზე სახელმწიფო საბჭოში, წერს: „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია... ილიას კანონიერად მიაჩნდა. ამას არსად არ ფარავდა — არც საბჭოს წევრთა შორის და არც სხვაგან"[3].

ამ პერიოდში პეტერბურგში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს სინოდიც იხილავდა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ქართველი ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე. სინოდის სხდომებს პროფ. ა. ცაგარელიც ესწრებოდა, რომელმაც პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოზე ჩამოსულ ი. ჭავჭავაძეს გააცნო საქმის ვითარება, ორივეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე საუბარი ჰქონდათ სინოდის თავმჯდომარესთან მიტროპოლიტ ანტონთან.

1905—1907 წწ. რევოლუციის ეპოქაში განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახდა აგრარული საკითხი. რევოლუციურად განწყობილმა გლეხობამ დაიტაცეს მიწები, საერთოდ გლეხობა მიწების საკითხის გადაწყვეტას მხოლოდ რევოლუციას უკავშირებდა. მ. ბოლქვაძის ცნობით, ი. ჭავჭავაძე ბევრს ფიქრობდა აგრარულ საკითხზე და გადაწყვეტილი ჰქონდა სახელმწიფო საბჭოში აგრარული საკითხის განხილვისას დასაბუთებული მოხსენების წარდგენა. ჩვენ არ ვიცით ი. ჭავჭავაძე რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა აგრარული საკითხის გადაწყვეტისას, კერძოდ, ვისი ინტერესების შესაბამისად წყვეტდა აგრარულ საკითხს, მაგრამ ბატონყმური ურთიერთობისადმი ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ 1905—1907 წწ. რევოლუციაში მიწების საკითხს იგი მხოლოდ მშრომელი ხალხის ინტერესებს უკავშირებდა. ამ დასკვნას აძლიერებს ი. ჭავჭავაძის მოსაზრებანი სიკვდილით დასჯაზე. ცნობილია, რომ მთელი რუსეთის იმპერიაში

---

1 იხ. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 241—295.
2 ჟურნ. „განათლება", 1908, № 3—4, გვ. 129.
3 ი ქ ვ ე, გვ. 113.

1905—1907 წწ. რევოლუციის ეპოქაში გლეხობის მიერ მემამულეთა მიწების დატაცებამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ფეოდალთა ინტერესების შესაბამისად მეფის თვითმპყრობელობა სასტიკად უსწორდებოდა რევოლუციურად განწყობილ გლეხებს. სწორედ ასეთ ვითარებაში პირველ სახელმწიფო სათათბიროში დაისვა საკითხი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. რეაქციულად განწყობილი დეპუტატები, რომლებიც მსხვილ მემამულეთა ინტერესებს გამოხატავდნენ, მოითხოვდნენ რევოლუციონერთა მიმართ რეპრესიების გაძლიერებას და, რა თქმა უნდა, ისინი სიკვდილით დასჯის გაუქმების წინააღმდეგი იყვნენ. სახელმწიფო სათათბიროს მიერ სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ შემუშავებული კანონპროექტის სახელმწიფო საბჭოში განხილვისას ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც მსხვილ მემამულეთა ინტერესებს გამოხატავდა, აშკარად უსაყვედურა სახელმწიფო სათათბიროს, რომ იგი რევოლუციონერთა მიერ დაზარალებული მემამულეების ინტერესებს მხედველობაში არ ღებულობს და მოითხოვს სიკვდილით დასჯის გაუქმებას: „При обсуждении в Государственном Совете законопроекта об отмене смертной казни одним из членов Государственного Совета было заявлено, в виде упрека Государственной Думе, что она отказывается выразить сочувствие пострадавшим от революционеров“.[1]

ი. ჭავჭავაძე, მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი და იდეოლოგი, სახელმწიფო საბჭოს შავრაზმელი დეპუტატების საწინააღმდეგოდ აქტიურად იბრძოდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და მოითხოვდა მის გაუქმებას. სახელმწიფო საბჭოში ი. ჭავჭავაძე შედიოდა ე. წ. აკადემიურ ჯგუფში, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ უნივერსიტეტებისა და აკადემიის პროგრესულად მოაზროვნე იურისტები მ. კოვალევსკი, ნ. ტაგანცევი და ა. შ. მ. ბოლქვაძის ცნობით, ი. ჭავჭავაძეს უკისრია სიკვდილით დასჯის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა და წაკითხვა ამ წრეში. ი. ჭავჭავაძეს უთქვამს: „გუშინ საღამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ დღეებში წავუკითხავ ჩვენს წრეს. მერმე-კი სახელმწიფო საბჭოს“[2]. ი. ჭავჭავაძის ამ მოხსენების მხოლოდ თეზისებია ცნობილი, რაც შეეხება მოხსენების სრულ ტექსტს, იგი ჯერჯერობით არაა აღმოჩენილი[3]. მაგრამ მ. ბოლქვაძის ცნობა იმის შესახებ, რომ ი. ჭავჭავაძე აქტიურად იბრძოდა სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ და ამის თაობაზე მას არაერთხელ გამოუთქვამს საკუთარი აზრი, სხვა წყაროებითაც დასტურ-

---

[1] Указатель положений, которые наименовались в деятельности Государственного Совета, сессия 1 и 2. Стенографический отчет, сессия 1, заседание 10, стр. 8—9.

[2] ჟურნ. „განათლება“, 1908, № 3—4, გვ. 111.

[3] გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, გვ. 111.

დება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცნობილი რუსი მეცნიერი მ. კოვალევსკი, რომელიც ი. ჭავჭავაძესთან ერთად მემარცხენე, აკადემიურ ჯგუფს ეკუთვნოდა, წერს: „Заодно с проф. Таганцевым... князь Чавчавадзе высказался за отмену смертной казни"[1].

ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში არსებული დიდი ხნის დავა ი. ჭავჭავაძე სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ გამოვიდა თუ არა სახელმწიფო საბჭოში, უკვე გადაწყვეტილია, კერძოდ, დადგინდა, რომ პირველი სახელმწიფო სათათბირო ისე დაითხოვეს, რომ სახელმწიფო საბჭოს განსაკუთრებულმა კომისიამ ვერ მოასწრო სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ პირველ სახელმწიფო სათათბიროდან შემოტანილი კანონპროექტის შესწავლა. მეორე სახელმწიფო სათათბიროს ამ საკითხის განხილვა სრულებით არ აინტერესებდა და სახელმწიფო საბჭოს კომისიამ შესწყვიტა არსებობა. სახელმწიფო საბჭოს საქმიანობის ამსახველ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „В конце первой сессии (в июле 1906 г.) в Государственный Совет был внесен из Государственной Думы выработанный по ея почину законопроект об отмене смертной казни. Для предварительного рассмотрения этого законопроекта в составе Совета была образована Особая Комиссия, которая немедленно приступила к использованию возложенного на нее поручения, но не успела его окончить до роспуска Государственной Думы и приостановления занятий Государственного Совета. По открытии Государственной думы, в составе вновь избранных ее членов, 20 февраля 1907 г., и возобновления с того же срока занятий Государственного Совета, упомянутая Комиссия порученного ей дела и, большинством 15 голосов против 2, признала, что предначертанный по почину Государственной думы прежнего состава законопроект об отмене смертной казни не подлежит рассмотрению Государственного Совета по существу и посему сама Комиссия должна быть закрыта. Два члена Комиссии, напротив, полагали, что Комиссия должна закончить возложенную на нее работу и внести свое заключение на законное постановление Общего Собрания Государственного Совета.

В Общем Собрании на голосование сначала было поставлено приведенное особое мнение 2 членов Комиссии, которое было отклонено, большинством 135 голосов против 12, а затем заключение Комиссии было принято, большинством 128 голосов против 7"[2].

ამრიგად, არ ვიცით ი. ჭავჭავაძე სიკვდილით დასჯის გაუქმების თაობაზე საჯაროდ სიტყვით გამოვიდა თუ არა სახელმწიფო საბჭოზე ან სხვაგან, მაგრამ მისი პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების

---

[1] Архив АН СССР, ф. 103, оп. 1, № 479, л. 1.

[2] Указатель положений, которые наименовались в деятельности Государственного Совета, сессия 1 и 2, стр. 3—4; Стенографический отчет, сессия 2, засед. 6, столб, 140—174.

სოციალური შინაარსის გაგებისათვის ამას უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ი. ჭავჭავაძის ხელით დაწერილ თეზისების სახით ჩვენამდე მოღწეულ მასალებს და, საერთოდ, ი. ჭავჭავაძის პოზიციას სიკვდილით დასჯის შესახებ. ი. ჭავჭავაძე ყოველთვის თანმიმდევრულად იბრძოდა თავისი პოლიტიკური იდეალის რეალიზაციისათვის. ამ იდეალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო მრისხანე 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში სიკვდილით დასჯის გაუქმება და მეფის თვითმპყრობელობის ტერორისაგან ათასობით რევოლუციონერთა სიცოცხლის გადარჩენა[1].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სახელმწიფო სამართლისაგან განუყოფელია „ყოველგვარი სახელმწიფოებრივი გარდაქმნა და მეტადრე მრავალეროვან სახელმწიფოებში ხალხების პოლიტიკური მოწყობა შეუძლებელია მისი საზოგადოებრივი განმტკიცების გარეშე. სახელმწიფოებრივი ცვლილებები იწვევენ საზოგადოების ცხოვრებაში სამართლებრივ ცვლილებებს. თავის ნაშრომებში სახელმწიფოებრივ პრობლემებთან ერთად ი. ჭავჭავაძე დიდ ადგილს უთმობს სამართალს და გვაძლევს სამართლებრივი ცხოვრების მრავალი აქტუალური საკითხის მეცნიერულ გადაწყვეტას ჰუმანიზმისა და სათნოების პრინციპების მიხედვით.

## თ ა ვ ი II. ი. ჭავჭავაძის მოძღვრება სამართლის შესახებ

### § 1. სამართლის წარმოშობა, მისი არსი და ისტორიული ფორმები

საზოგადოება, როგორც აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, წარმოუდგენელია „მოაზრე" და „მოსაქმე" ცხოვრების გარეშე, რომელიც „ცხოვრების დენის" ორ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ტოტს, ანუ სხვანაირად, ადამიანთა არსებობის „ცნობად" და „ყოფად" სფეროს შეადგენს. „ცნობადი" ცხოვრების შემადგენელ ნაწილებს შორის ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაში სახელმწიფოსთან ერთად დიდ როლს ასრულებს სამართალი.

სამართალი, ისევე როგორც სახელმწიფო, თავიდანვე არ არსებობდა, იგი გაჩნდა საზოგადოების განსაზღვრულ საფეხურზე ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების, სახელდობრ, კერძო საკუთრების გაჩენის შედეგად. ყველაფერი, რაც საზოგადოებაში არსებობს

[1] სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ ი. ჭავჭავაძის შეხედულებებს უფრო ვრცლად მკითხველი გაეცნობა მომდევნო თავში, რომელიც მიძღვნილია მისი სამართლებრივი მოძღვრებებისადმი.

ცხოვრების საჭიროებისათვისაა წარმოშობილი, საზოგადოებრივი ცხოვრება ვერ ითმენს მისთვის უცხოსა და შეუსაბამოს: „ცხოვრება — ეგ დედა ყოველ საქმისა — ძლიერია და ღონიერი“[1]. სამართალიც, ისევე, როგორც, ყველა სხვა მოვლენა, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტია. სამართლის წარმოშობისა და მისი შინაარსის საზოგადოებრივი ცხოვრებით განპირობებულობის საკითხი ვრცლად ი. ჭავჭავაძეს განხილული აქვს ნაშრომში — „ხიზნების საქმე“[1].

სამართლის წარმოშობის ახსნისას ი. ჭავჭავაძე ემყარება ინგლისელი მეცნიერის ჰ. მენის შეხედულებებს კაცობრიობის ცივილიზაციის კანონზომიერებათა შესახებ[2]. ი. ჭავჭავაძეს ყველაზე ჭეშმარიტად მიაჩნია ჰ. მენის მოსაზრება იმის შესახებ, რომ რჯულიერება, სამართალი, კანონები და მათი მოთხოვნები „დადგენილ არიან ქვეყნიერობაზედ იმიტომ კი არა, რომ ესე ნებავდა ადამიანსა, არამედ იმიტომ, რომ მაგას ითხოვდა ეკონომიკური საჭიროება ერთის მხრით და მეორეს მხრით სიმართლე, წარმომდგარი ზნეობითის და სარწმუნოების გრძნობათაგანო. ეგ საჭიროება, ეგ გრძნობა და იდეები ყველგან ერთგვარნი და მსგავსნი იყვნენ, ერთგვარად მოქმედებდნენ კაცთა განვითარებაზედ და ერთგვარი წყობილებაც შემოიტანეს ყველგან. ხოლო განსხვავება იმაში იყო, რომ ზოგი ხალხი სწრაფად ვიდოდა განვითარების გზაზედ, ზოგი მძიმე ნაბიჯითა“[3].

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის აზრით, სამართალი წარმოიშვა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე და მისი არსებობა ყველა ქვეყანაში განპირობებულია ეკონომიკური საჭიროებებით. ადრეფეოდალური ანუ „მოაზრე ცხოვრების“ მოვლენების წარმოშობაში ეკონომიკური ცხოვრების გადამწყვეტი როლის შესახებ ი. ჭავჭავაძის მოსაზრებებს უკვე გავეცანით ზემოთ, როცა სახელმწიფოს საკითხებს ვიხილავდით, მაგრამ სამართლის წარმოშობის გარკვევისას ჰ. მენის ზეგავლენით ი. ჭავჭავაძე ეკონომიკური წყობილების თავისებურებებთან ერთად სამართლის გაჩენის განმსაზღვრელ ფაქტორად აღიარებს სიმართლეს, რომლის შინაარსსაც განაპირობებს ზნეობრივი და სარწმუნოებრივი გრძნობები. რა თქმა უნდა, როგორც ინგლისელი მეცნიერი ჰ. მენი და ასევე ქართველი მოაზროვნე ი. ჭავჭავაძე სწორია, როცა სამართლის წარმოშობის განმსაზღვრელად ასახელებენ ეკონომიკური ცხოვრების საჭიროებებს, მაგრამ არც ერთის და არც მეორის მოსაზრება არ არის მეცნიერულად თანმიმდევრული, როცა ზემოაღნიშნულ

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 65.

[2] იხ. Мэн Генри Сомнер, Деревенские общины на Востоке и Западе. С. приложением статьи Джона Стюарта Милля, СПб, 1874.

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 119.

[4] ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, გვ. 70.

ფაქტორთან ერთად სამართლის წარმოშობის განმსაზღვრელად მიიჩნევენ სარწმუნოებრივი და ზნეობრივი გრძნობებიდან წარმომდგარ სიმართლეს. საქმე ისაა, რომ სამართალი პირველყოფილ საზოგადოებაში არ არსებობდა, რაც ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის და იგი მხოლოდ კლასობრივი საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი, ზნეობა კი, როგორც ცნობილია, პირველყოფილ საზოგადოებაში არსებობდა და ამდენად ზნეობით დადგენილი სიმართლე რომ განაპირობებდეს სამართლის წარმოშობას, იგი პირველყოფილ საზოგადოებაშიც იარსებებდა. გარდა ამისა, ზნეობა და ზნეობით დადგენილი სიმართლე კლასობრივ საზოგადოებაში არ არის ერთიანი, იგი გაორებულია და ამდენად კლასობრივ საზოგადოებაში ზნეობრივი გრძნობიდან წარმომდგარი სიმართლეც არ არის ერთიანი, იგი გაორებულია, მეტიც, კლასობრივ საზოგადოებაში სიმართლის გაორების გამო ის, რაც გაბატონებული კლასისათვის სიმართლეა, ჩაგრულ კლასს უსამართლობად მიაჩნია. სამართლის წარმოშობაზე, მართალია, ზეგავლენას ახდენს გაბატონებული კლასის წარმოდგენები სიმართლეზე, მაგრამ ეს მთლიანად მაინც არ არის სიმართლე მთელი საზოგადოების შეხედულებით, ამიტომ ჰ. მენის შეხედულების გაზიარება ი. ჭავჭავაძის მიერ ამ უკანასკნელის მოსაზრებას უკარგავს მეცნიერულ ხასიათს.

ეგვე შეიძლება ითქვას სარწმუნოებაზეც: ბუნებრივია, რომ სარწმუნოება (ქრისტიანული, მუსულმანური და ა. შ.) ზეგავლენას ახდენს სამართლის შინაარსზე, მის განვითარებაზე, მაგრამ, რაც შეეხება სამართლის წარმოშობას, იგი სარწმუნოებასთან არ არის, ან თითქმის არ არის დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ საზოგადოებაში სამართალი გაჩნდა სარწმუნოებაზე ადრე, მაგალითად, ანტიკურ სამყაროში სახელმწიფო და სამართალი წარმოიშვა ქრისტიანული რწმენის ჩამოყალიბებამდე. იგივე შეიძლება ითქვას ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებზე, სადაც სახელმწიფო და სამართალი არსებითად გაჩნდა მხოლოდ ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით, კერძოდ, კერძო საკუთრებისა და კლასების წარმოშობის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ ი. ჭავჭავაძე, როცა ჰ. მენისაგან დამოუკიდებლად მსჯელობს სამართლის წარმოშობაზე, ყოველთვის მხოლოდ საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაზე მიუთითებს და სრულიად უყურადღებოდ ტოვებს ჰ. მენის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ეკონომიკურ ცხოვრებასთან ერთად სამართლის წარმოშობას განაპირობებს სარწმუნოებრივი და ზნეობრივი გრძნობისაგან წარმომდგარი სიმართლე. ი. ჭავჭავაძე წერს: „ხალხს თავისი საკუთარი ეკონომიკური წესწყობილება და იურიდიული ჩვეულებანი აქვს, რომლითაც ხელმძღვანელობს, როცა საჭიროება ამას მოითხოვს"[1].

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 191.

ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის, რომ სამართალი საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების საფუძველზეა წარმოშობილი და მის შინაარსს ქვეყნის ეკონომიკა განსაზღვრავს, მაგრამ თავის მხრივ სამართალი აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მის წარმომშობ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე: „მართალია, კანონის სათავე ცხოვრებაა, მაგრამ არც უიმისობაა, რომ კანონი არ მოქმედებდეს თვით ცხოვრების ავკარგიანობაზე. აქ ერთმანეთის ზედგავლენა უეჭველია და აუცილებელი: თუ ცხოვრება სწურთნის კანონს, კანონიც სწურთნის თვით ცხოვრებასა და, მაშასადამე, საზოგადოებასა, ერსაცა“[1].

საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სამართლის ზემოქმედების თავისებურებებს ი. ჭავჭავაძე უკავშირებს სამართლის მიზანს, რადგანაც ამ უკანასკნელ სამართლებრივ მოვლენაში ვლინდება სამართლის სამსახურებრივი როლი ეკონომიკური ცხოვრებისადმი. მისი მტკიცებით, სამართლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია კერძო საკუთრების დაცვა, რადგან კერძო საკუთრება წარმოადგენს დღემდე ცნობილი ყველა საზოგადოების არსებობის საფუძველს. სამართალში მოცემული სახელმწიფოებრივი ბრძანებები მთელი სისრულით მოქმედებენ, როცა ხელყოფილია ადამიანთა ბედნიერების უმთავრესი წყარო — კერძო საკუთრება. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სამართლის მიზანია მთელი საზოგადოების ინტერესების დაცვა და იგი მაშინვე იწყებს მოქმედებას, როცა შელახულია კანონით დაცული სიკეთე — საკუთრება. ი. ჭავჭავაძეს ფართოდ აქვს წარმოდგენილი, საკუთრების ცნებაში იგი გულისხმობს ყველაფერს, რასაც ფასი აქვს და რაც ადამიანთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების ინტერესთა დაკმაყოფილებას ემსახურება. სამართლით დაცული საკუთრების ხელყოფიდან წარმომდგარი ყოველგვარი საჩივარი არ ამცირებს ადამიანთა ღირსებას. ამის მაგალითად ი. ჭავჭავაძეს მოჰყავს XIX საუკუნის რუსეთში არც თუ ფართოდ ცნობილი მწერლის ა. გორშენევის მოქმედება. ა. გორშენევს რუსეთის სხვადასხვა გაზეთებში წვრილმან საკითხებზე გამოუქვეყნებია მასალები, რომლებიც შემდეგ ავტორის დაუკითხავად გადაუბეჭდია „Судебная газета“-ს. ა. გორშენევს სასამართლო წესით მოუთხოვია ზემოაღნიშნული გაზეთის რედაქტორისაგან კუთვნილი ჰონორარი, რაც მოსამართლეს დაუკმაყოფილებია. ი. ჭავჭავაძეს თითოეულის მიერ კუთვნილი საკუთრების დაცვა მიაჩნია საზოგადოების წინაშე მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებად: „კაცს, ცუდია თუ კარგი, თავისი ნაამაგარ-ნაშრომი აქვს; ეგ მისი კუთვნილებაა, მისი საკუთრებაა... ეს საკუთრება მუქთად დაიჩემა მეორემ და პატრონმა ეს მუქთამჭამელობა არ დაუთმო და თავისი მოითხოვა. აქ არაფერი უკადრისობა არ შეეწამება პატრონს. პირიქით,

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 346.

ჩვენა გვგონია, რომ პატრონმა ამ შემთხვევაში თავისი მოქალაქური მოვალეობა შეასრულა საზოგადოების წინაშე, რომლის დედაბურჯი ის არის, რომ ყველამ თავისი მოიხმაროს და თავისით ირჩინოს თავი და რომლის წინაშე ყველა დავალებულია, რომ ეს წესი ცხოვრებისა არავის არ დაარღვევინოს დაუსჯელად"[1]. ი. ჭავჭავაძის აზრით, კერძო საკუთრება თანამედროვე საზოგადოებისათვის დიდხანს იქნება მისი არსებობის საფუძველი, რადგანაც საზოგადოებრივი წესრიგისა და კაცობრიობის ეკონომიკური კეთილდღეობის საწინდარი სწორედ საკუთრებაა. საზოგადოებრივი ურთიერთობების დიდი უმრავლესობის ძირითადი ობიექტი არის კერძო საკუთრება, რომელიც, როგორც საზოგადოებრივი ფენომენი, მაშინ შეიძლება გახდეს კაცობრიობის განვითარებისა და წინსვლის ფაქტორი, როცა იგი და მისგან წარმომდგარი ურთიერთობანი რეგულირებულია სამართლით. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ კერძო საკუთრებაზეა „მოქმედი კანონმდებლობით დამყარებული საზოგადოებრივი წესრიგისა და ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძველი"[2].

საკუთრება, როგორც აქტიური ფენომენი მხოლოდ მაშინ ახდენს ეფექტურ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, როცა იგი სამართლებრივ გამოხატულებას პოულობს და მის თაობაზე წარმოშობილი ურთიერთობების მონაწილეებს გააჩნიათ იურიდიული უფლებები და მოვალეობები. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ რუსეთის სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით „საკუთრება, კუთვნილება გაგებული უნდა იქნეს, როგორც ხელისუფლება, ბატონობა პირისა ნივთზე არა უცილობლად და არა მარტოოდენ, არამედ სხვისი უფლების, სხვისი მოთხოვნის არ არსებობის აზრით; საკუთრების, კუთვნილების უფლების შესახებ ცნება თავის თავში შეიცავს, პირის ნივთზე განსაკუთრებით სრული ბატონობის ცნებას"[3].

სამართალში გამოხატული საკუთრება, იმისდა მიხედვით თუ რა ფორმებით იყენებს მას საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილენი, სხვადასხვა სახით გვეელინება. სამართლით რეგულირებული საკუთრება, როგორც მთელი საზოგადოებრივი წესრიგისა და ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძველი მასთან საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა დამოკიდებულების ფორმების მიხედვით, სხვადასხვა ელემენტისაგან შედგება. იურიდიული აზრით საკუთრება გაგებული უნდა იქნას როგორც განკარგვის, მფლობელობის და ა. შ. ელემენტების ერთობლიობა, მაგრამ საკუთრების ელემენტთა შორის უმთავრესია გან-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 267.

[2] И. Ч а в ч а в а д з е, 168 статья нотариального положения и ее применение Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55).

[3] ი ქ ვ ე.

კარგვის უფლება. საზოგადოებრივ ურთიერთობებში განკარგვა ის უმთავრესი ნაწილია საკუთრებისა, რომელიც განსაზღვრავს ამ უკანასკნელის იურიდიულ ბედს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ნივთის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ფაქტობრივად „ნიშნავს გამოვლენილ იქნას განკარგვის უფლება. — ერთ-ერთი არსებითი ნაწილი არა მარტო კუთვნილების ფაქტისა, არამედ თვით საკუთრების უფლებისა... ანდა სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა პირობებში შეუძლია მფლობელმა კანონიერი გზით გამოავლინოს... ქონების კუთვნილი უფლება განკარგვისა — საკუთრების უფლების ამ არსებითი ნაწილისა გასხვისების ან მასზე უფლებათა შეზღუდვის სურვილის დროს"[1].

განკარგვასთან ერთად საკუთრების სამართლის აუცილებელი ელემენტია მფლობელობა. ი. ჭავჭავაძე იცნობს მფლობელობის სხვადასხვა სახეებს, მაგრამ თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ სანოტარო დებულების 168 მუხლის არასწორად შეფარდების კონკრეტულ შემთხვევასთან ერთად, ვრცლად მსჯელობს მფლობელობის ისეთ ძირითად სახეზე, როგორიცაა ნამდვილი მფლობელობა და აგრეთვე მის კავშირზე საკუთრების, კუთვნილების უფლებასთან. ამ იურიდიული საკითხის გასარკვევად იგი ანალიზს უკეთებს რუსეთის სამოქალაქო სამართლის კანონების X ტომის მეორე ნაწილის მეორე მუხლს, რომელშიც ნათქვამია „ყოველგვარი ნამდვილი მფლობელობა უძრავი ქონებისა, თუნდაც უკანონო, მიიჩნევა უ დ ა ვ ო დ და იცავს კანონი ძალადობისა და თვითნებობისაგან, ვიდრე მასზე არ აღიძვრება დავა ან ცილობა და ქონება სხვას არ მიეკუთვნება". ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ კანონის ეს მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ პირის ნივთთან ყოველგვარი უშუალო და ნამდვილი ურთიერთობა, როგორც მფლობელობის ფაქტი, გულისხმობს პირის ნივთზე ბატონობის ფაქტსაც, ე. ი. კუთვნილების ფაქტს. კანონმდებლის მიერ მფლობელობის ფაქტისა და კუთვნილების ფაქტის ამგვარ დაკავშირებას თავისი ისტორიული საფუძველი აქვს. საქმე ისაა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ჩასახვიდანვე ყველა ეპოქის ადამიანების სახალხო შეგნება აერთიანებდა მფლობელობის ფაქტთან საკუთრების, კუთვნილების ცნებას. ამ სახალხო შეგნებამ თავისი გამოხატულება პოვა მთელ კანონმდებლობაში, რომელიც ძალიან ხშირად სიტყვა ს ა კ უ თ რ ე ბ ი ს ნაცვლად იყენებს სიტყვა „მფლობელობას" და პირიქით. მაგრამ ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ამ ორი განსხვავებული ცნების ერთმანეთთან გაერთიანებას კანონმდებელი ახდენს განსაზღვრული პირობით, კერძოდ, რუსეთის სამოქალაქო სამართლის კანონების X ტომის მეორე ნაწილის მეორე მუხლის თანახმად ნამდვილი მფლობელობისა და კუთვნილების ერთობლიობაში წარმოდგენა დასაშვებია. მხოლოდ

[1] И. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и ее применение Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55).

ერთ შემთხვევაში, სახელდობრ, ვიდრე ნივთზე არ აღიძვრება დავა ან ცილობა და იგი სხვას არ მიეკუთვნება. ყველა სხვა შემთხვევაში ნამდვილი მფლობელობა და საკუთრება კუთვნილების აზრით დამოუკიდებელი ცნებებია და ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. საკუთრება (კუთვნილება), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ი. ჭავჭავაძეს გაგებული აქვს, როგორც პირის უცილობელი სრული ბატონობა ნივთზე. რაც შეეხება ნამდვილ მფლობელობას, იგი „გაგებული უნდა იქნეს არა მხოლოდ და უდავო კუთვნილების აზრით, არამედ ნამდვილი მფლობელობის ფაქტის დროს სხვისი მოთხოვნის არ არსებობის აზრით"[1].

ყოველი საზოგადოების ბუნებას განსაზღვრავს საკუთრების ფორმა. ი. ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი იდეალი არ გამორიცხავს კერძო საკუთრების არსებობას. მაგრამ ი. ჭავჭავაძე ისეთი საკუთრების წინააღმდეგია, რომელიც ძირითადად თავმოყრილია საზოგადოების უმცირესობის ხელში და იგი გამოიყენება მშრომელთა ექსპლუატაციის იარაღად. კერძო საკუთრება ყველას უნდა გააჩნდეს. და იგი ხალხთა კეთილდღეობასა და ბედნიერ ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს. საკუთრების თაობაზე ადამიანთა ურთიერთობების მოწესრიგებას ემსახურება სამართალი, რომელიც ადგენს ამ ურთიერთობების მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს და ამ გზით საზოგადოებაში საყოველთაო მშვიდობას ამყარებს.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სამართალი ეხმარება ადამიანებს ყოველდღიურ ცხოვრებაში დაიკმაყოფილონ თავიანთი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი, სამართლის ამ დამხმარე როლის ერთ-ერთი გამოვლინებაა სახელმწიფოს მიერ სხვისი სიკეთის ხელყოფისაგან დაცვა. სხვისი სიკეთის ხელმყოფი არ შეიძლება გამართლებული იქნას იმით, რომ იგი ღარიბია. „ღარიბე მწიკვლი არ არის, ცოდვა არ არის. მწიკვლი და ცოდვა სხვისაგან გამომცხვარი პურის ჭამაა, სხვისი ოფლის სმაა"[2]. სამართალი მიუთითებს ადამიანებს აქტიური მოქმედებისაკენ, უჩვენებს თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სახელმწიფოს მიერ ნებადართულ გზებსა და საშუალებებს, რადგანაც „ეს ქვეყანა ისეა გაჩენილი, რომ ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა ადამიანს მუქთად არ ეძლევა: კაცმა უნდა იშრომოს, ილვაწოს და ამ ორს აუცილებელს საჭიროებას ისე გაუძღვეს"[3]. ი. ჭავჭავაძე თავისუფალია ადრინდელი უტოპიური სოციალიზმის წარმოდგენისაგან, რომლის მიხედვითაც სამყარო გაშლილი სუფრაა, რომელზეც თანამესუფრეთათვის საკმაოდაა სასმელ-

---

1 И. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и ее применение Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 56).

2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 139.

3 იქვე, გვ. 216.

საკმელი[1]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით ყველა ადამიანი სამართლით მითითებული საშუალებებით თვითონ უნდა ქმნიდეს არსებობისათვის აუცილებელ საზოგადოებრივ სიმდიდრეს, ყველამ „თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზიდოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური“[2].

ადამიანთა ურთიერთობების მოწესრიგების გზით სამართალს უდიდესი სიკეთე მოაქვს საზოგადოებისათვის, მაგრამ ი. ჭავჭავაძე შორს დგას კანონთა ფეტიშიზმისაგან. მისი მტკიცებით, სამართლის გზით არ შეიძლება ყველაფრის მოწესრიგება, კანონის ზემოქმედება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე განსაზღვრულია, კერძოდ, ადამიანთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების ის ნაწილი, რომელიც სამართლით წესრიგდება. ქმნის იურიდიულ ცხოვრებას ანუ სხვანაირად, სამართლით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი ხდებიან სამართლებრივი ურთიერთობანი, ხოლო სამართლით მოუწესრიგებელი ურთიერთობანი ძირითადად შეადგენენ ეკონომიკურ ცხოვრებას, რომელთაც უმეტესად არასამართლებრივი სოციალური ნორმები, კერძოდ, ჩვეულებანი აწესრიგებენ. ი. ჭავჭავაძის აზრით, ჩვეულებით შეიძლება აგრეთვე იურიდიული ცხოვრების მხარეების მოწესრიგება. ი. ჭავჭავაძე თავის ნაშრომში — „ხალხის ჩვეულებათა შესწავლის შესახებ“ — მკვეთრად ასხვავებს რა ერთმანეთისაგან ეკონომიკურ და იურიდიულ ცხოვრებას, წერს, რომ ხალხის გონებითი საუნჯე არაჩვეულებრივად მდიდარია, იგი ადამიანთა სულიერი ცხოვრების მრავალი მოვლენისაგან შედგება, რომელთაგან აღსანიშნავია „მაგალითებრ, ხალხის ჩვეულებანი, რომელნიც შეეხებიან ეკონომიკურს და იურიდიულ ცხოვრებას“[3].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობები იქცევიან იურიდიულ ურთიერთობებად, რომელთა ერთობლიობა ქმნის იურიდიულ ცხოვრებას. მაგრამ იმ საზოგადოებაში, სადაც ადამიანთა სამართალშეგნება დაბალია და ხალხი მდაბიო და გაუნათლებელია, ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთა მოწესრიგება სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებითაა განსაზღვრული, ფაქტიურად ხალხში შემუშავებული და არსებული ადათებითა და ჩვეულებებით წესრიგდება, რადგან „მდაბიო ხალხის ეკონომიკური და იურიდიული ცხოვრება ჯერჯერობით ისე ვიწროდ და მკვიდრად შემოფარგლული წრეა, რომელსაც მაგრე მალე და ადვილად დაწერილი კანონი ვერ დაარღვევს და ვერ შეუვა“[4]. საზოგადოებრივი ურთიერთობები, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ხალხის ინტერესების სასარგებლოდ უნდა მოწესრიგდეს, მაგრამ

---

[1] Морелли, Кодекс природы или истинный дух ее законов, М., 1947, стр. 65.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 316.

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 191.

[4] იქვე, გვ. 192.

მაშინ, როცა კანონის ბრძანებები ხალხისათვის უცხოა და მისი შეგნებისათვის მიუღწევადი, ასეთ შემთხვევებში ყველაფერი „ხალხის ადათებზეა დაფუძნებული და ამ ადათებს ემორჩილება“[1].

საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური და იურიდიული ურთიერთობების განმტკიცებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სამართლებრივი შეგნების, მისი ჩვეულებების ცოდნას. შეუძლებელია იურიდიული და ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცება, მისი განვითარება ხალხის სამართლებრივი შეგნების შესწავლის გარეშე. ეკონომიკური და იურიდიული ურთიერთობების „სფერა ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სამართალზედ, ერთურთის დამოკიდებულებაზედ და სხვა“[2].

ხალხის ცხოვრების თავისებურებათა უცოდნელად შეუძლებელია კანონების დადგენა. კანონი და მისი მოთხოვნები ყოველთვის საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროებიდან უნდა გამომდინარეობდეს და მის ინტერესებს ემსახურებოდეს. ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს არსებულ კანონმდებლობას, რომელიც უცხოა ქართველი კაცისათვის, რადგანაც იგი მისი ცხოვრების საჭიროებითა და მოთხოვნებით არაა განსაზღვრული. აქედან ცხადია, რომ კანონსა და ცხოვრებას შორის დიდი სხვაობაა, კანონები ვერ ახდენენ ვერავითარ ზემოქმედებას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. სამართალსა და ცხოვრებას შორის დიდი სიცარიელეა, რაც ხელისუფლების განხორციელებისას სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობასა და ძალადობას იწვევს: „ჩვენში კანონი თუ იბადება ოთხ კედელშეა იბადება და ზოგჯერ ისე მოუხდება ხოლმე ჩვენს ცხოვრებას, როგორც კაცს სხვის ტანზედ შეკერილი ტანისამოსი. ეს არის ჩვენის ფიქრით, იმ ყოფის მიზეზი, რომ ჩვენი ცხოვრება ძირს მიდის თავისთვის. ზემოდამ დაჰფარფატებს აკრელებული ქაღალდი, საცა სუფევს კანონი, და შუაში კი ცარიელია. ამ ცარიელში დახტიან, ცხოვრების ზემოთ და კანონქვეშ ჩვენი მოხელეები“[3]. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ საქართველოში მოქმედი კანონები რუსეთის სახელმწიფოს მიერაა დადგენილი, მაგრამ რუსეთის ცხოვრებისაგან განსხვავებით აქ ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე კანონების ზემოქმედების სამართლებრივი შედეგი ეწინააღმდეგება ამ კანონთა სულს, მათ მიზანდასახულობას. კერძოდ, რადგან რუსეთში დადგენილ კანონებში არაა გათვალისწინებული ქართული ეროვნული სინამდვილე, საზოგადოებრივი ურთიერთობების ამ სამართლით მოწესრიგება ვერ იძლევა კანონმდებლის მიერ გათვალისწინებულ ეფექტს.

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 192.
2 იქვე.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 38.

საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სამართლის ეფექტური ზემოქმედების უზრუნველყოფის საქმეში ი. ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას უთმობს კანონების გონივრულად დადგენის გზით კარგი კანონის მიღებას და საგანგებოდ ამუშავებს სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობის პრინციპებს, კანონების დადგენისას სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ხელმძღვანელობდეს სამართლის საერთო მიზნით. თავისი წარმოშობისთანავე სამართლის ძირითადი მიზანია საზოგადოებაში საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა: „ყოველის კანონის თავი და ბოლო მოქალაქეთა და მკვიდრთა მშვიდობით და მოსვენებით ყოფნაა: ამის გარე კანონს არავითარი მიზეზი არსებობისა არა აქვს და ყოველ-ღონე, ამ მშვიდობით და მოსვენებით ყოფნისთვის გამოსადეგი, წმინდა მოვალეობაა თვითეულისა ცალკე და ყველასი ერთად"[1]. ადამიანების უშიშროებისა და მათი საკუთრების ხელშეუხებლობის ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს სამართალი, რომლის დადგენითაც კაცობრიობამ ბოლო მოუღო „პირველჟამური" ეპოქისათვის დამახასიათებელ ყველას ომს ყველას წინააღმდეგ. მშვიდობისა და უშიშროების პირობებში მყოფი ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერების უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს სამართალი, რომელიც ადამიანთა შორის უფლებებისა და მოვალეობების განაწილებით განსაზღვრულ წესრიგს ამყარებს ქვეყანაში[2]. „შიტომაც, სამართალი, ვიდრე სხვა რაიმე ქვეყანაზე, ადამიანთა ბედნიერი ცხოვრებისათვის აუცილებელია. სიმდიდრე, კარგი კლიმატური პირობები და სხვა სიკეთე ადამიანთა ბედნიერებას დიდად უწყობს ხელს, მაგრამ თუ ქვეყანაში არაა სამართალი და ადამიანთა შორის გონივრულად არაა განაწილებული უფლებები და მოვლენები, ხალხი ბედნიერი მაინც ვერ იქნება". ამის ნათელსაყოფად ი. ჭავჭავაძე ერთმანეთს უპირისპირებს შოტლანდიასა და სპარსეთს. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შრომას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შოტლანდიელისა და სპარსელის მატერიალური და სულიერი ცხოვრების შეფასებისას. მართალია ბუნებრივი პირობების მიხედვით სპარსეთთან შედარებით შოტლანდია ღარიბი ქვეყანაა და შოტლანდიელი საარსებო საშუალებების მოპოვებისათვის ბრძოლაში დიდ შრომა-გარჯაშია, მაგრამ სამაგიეროდ იგი უფრო კმაყოფილი, მდიდარი და ბედნიერია, ვიდრე სპარსელი, რომელსაც უხვი და მდიდარი ქვეყანა აქვს, მაგრამ სიზარმაცისა და უშრომლობის გამო მშიერი და ილაჯგაწყვეტილია. ამრიგად, შრომა სიმდიდრისა და ბედნიერების უშრეტი წყაროა, მაგრამ ი. ჭავჭავაძის აზრით, თუ ადამიანთა შრომითი პროცესი არ არის რეგულირებული სამართლით, მატერიალური დოვლათის წარმოებისა და მით-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 71.

[2] ვ. ბ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, გვ. 84.

ვისების სფეროში სამართალი არ ადგენს ადამიანთა უფლებებს და მოვალეობებს, ადამიანთა ბედნიერების მიღწევა შეუძლებელია. ი. ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ შოტლანდიელის კეთილდღეობა, ხოლო სპარსელის უბედურება იქიდანაც წარმოსდგება, რომ „ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის „ჩემი იქ თავდებაო და სხვისა აქ იწყებაო", უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა"[1]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით თანამედროვე საზოგადოებას უკვე აღარ შეუძლია სამართლის გარეშე ცხოვრება, ამიტომაც ადამიანები თავიანთ ბედნიერებას და წარმატებას მუდამ სამართალს უნდა უკავშირებდეს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ შეიძლება უგულებელყოფა იმ მოვლენისა, რომელსაც „ჩვენ მართლიერებას, სამართალს ვეძახით, და ურომლისოდაც კაცთა საზოგადოებას, კაცთა კრებულს ერთ წუთსაც გაძლება არ შეუძლიან"[2].

სამართალი, რომელიც ადამიანთა ბედნიერი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს, თავის თავში აერთიანებს ხალხის ყველა კეთილშობილურ და ამაღლებულ თვისებას, ამიტომაც იგი უმაღლესი სათნოებისა და სიკეთისაკენ მოუწოდებს ადამიანებს: „მართლიერება, სამართალი, მთელის ერის განწმენდილი სინდისია, მთელის ერის განწმენდილი ნამუსია"[3]. სამართალში გადმოცემული ყველა სიკეთე თავდაპირველად საზოგადოებაში ყალიბდება, როგორც შეხედულებები, რომლებიც ადამიანთა ურთიერთობებში შემოწმების შემდეგ დგინდება სამართლის სახით. ი. ჭაუჭავაძე მიუთითებს, რომ 1872 წელს ინგლისის პარლამენტის მიერ გლადსტონის წინადადებით მიღებული კანონი მიწათმფლობელობის შესახებ, თავდაპირველად აზრის, თეორიის სახით ჩამოყალიბდა, შემდეგ კი სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობის გზით იგი იქცა ქცევის სავალდებულო წესად, კანონად, რომელმაც მიწათმფლობელობის ძველი წესების გაუქმებით დაადგინა ახალი, უფრო პროგრესული დებულებანი: „ინგლისის დუღაბით გაქვითკირებულის მიწამფლობელობის აგებულება რომ ვნახეთ, ეს კანონი თამამი იერიშია ახლისა, ძველს წყობაზედ მიტანილი. მით უფრო შესანიშნავია იგი კანონი, რომ მისი მეოხებით ცვლილება აზრისა მიწათმფლობელობის შესახებ თეორიებრივი კი აღარ არის დღეს ინგლისში, არამედ თქმული ქმნულად არის ქცეული და საქმით არის განხორციელებული"[4]. ადვილი შესაძლებელია ცალკეულ პირთა ან დაწესებულებათა მოსაზრებებისა და დებულებების კანონად გადაქცევის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევდეს, მაგრამ ეს

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 8.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 337.
3 ი ქ ვ ე.
4 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 43.

მოსაზრებანი, რომ კანონად იქცეს „ამის უფლება და ნება მარტო კანონმდებლის ხელშია“[1].

სამართლებრივი შეხედულებების მნიშვნელობა ისაა, რომ იგი არა მარტო სახელმწიფოს სამართალშემოქმედების საფუძველია, არამედ სამართლებრივი შეხედულებები ანმტკიცებს ადამიანთა რწმენას მოქმედი სამართლის ნორმებისადმი, ქმნის მოცემული კანონების აუცილებელი შესრულების სამართალშეგნებას. ადამიანები დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ საკუთარი უფლებების დასაცავად სამართალი ყოველთვის მათ იფარავს, თუ ადამიანებს სამართალი და მასში გადმოცემული სახელმწიფოს ბრძანებები არ სწამთ და მათთვის უცხოა, მაშინ სამართლის დადგენასაც არა აქვს აზრი, „თუ სამართალი და კანონი ისეთია, რომ მისი არც კარგი სჯერათ და არც ავი, მაშინ ვიმეორებთ, ყველაფერი ამაოა“[2].

სამართლებრივი შეხედულება, როგორც წესი, ყალიბდება მოქმედი სამართლის საფუძველზე. იგი შეიძლება გამოიხატოს მოქმედი სამართლისადმი საზრგადოების, როგორც დადებით, ასევე უარყოფით განწყობილებაში. როცა სამართალი და მისი მოთხოვნები სჯერათ ადამიანებს და ისინი მათ თავიანთი კეთილდღეობის საფუძვლად მიაჩნიათ, მაშინ სამართლის შინაარსსა და მის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეხედულებას შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის, მაგრამ როცა მოქმედი სამართლისადმი ადამიანები უარყოფითად არიან განწყობილი და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეხედულებები მიუთითებენ იმას თუ როგორი უნდა იყოს მოქმედი სამართალი და რა ახალი შინაარსით უნდა შეივსოს იგი, მაშინ მოქმედი სამართლის საფუძველზე ჩამოყალიბებული სამართლებრივი შეხედულება ხდება სამართალშემოქმედების წყარო. ამიტომ კანონმდებელი სამართლის ნორმის დადგენისას კარგად უნდა იცნობდეს ხალხის განწყობილებას, მის სამართლებრივ შეხედულებებს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ეს მხარე „ცხოვრებისა მთელს სურათს გადაუშლის ჩვენს მოწინავე საზოგადოებას და ცხოვრების სურათი კიდევ დაგვანახებს ხალხის ავსა და კარგს, იმის შეხედულებას სამართალზედ, ერთურთს დამოკიდებულებაზედ და სხვა“[3].

ამრიგად, სამართლის შინაარსი ჯერ ერთი, საზოგადოების ეკონომიკური წყობილებითაა განსაზღვრული, მაგრამ კანონმდებელი სამართლის დადგენისას უნდა ხელმძღვანელობდეს საზოგადოების სამართლებრივი შეხედულებებით და წარმოდგენებით. რადგანაც კანონში მოცემული სახელმწიფოებრივი ბრძანებები ყველა ადამიანმა ერთნაირად

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 91.
2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 87.
3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 192.

უნდა შეასრულოს, თუმცა „ბევრი მისთანა კაცია ქვეყანაზე, რომელთათვისაც კანონი ჯერ არ დაწერილა, მაგრამ აქედამ სულაც არ გამოდის ის, რომ სხვები ყურმოჭრილ და ხმაამოუღებელ ყმად გაიხადონ[1]. სამართლის საკალდებულო ძალა თვით ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს. ჭეშმარიტი ადამიანობა, კაცური კაცობა დამყარებულია ორ ძირითად თვისებაზე, კერძოდ, სამართლიანობასა და ჰუმანიზმზე, სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონებიც ადამიანებისაგან მოითხოვს, რომ ისინი იყვნენ სამართლიანი და კაცთმოყვარენი: „კაცური კაცობის თავი-და-თავი ღირსება ეს ორი გრძნობაა. თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, საესე კაცი ხარ, იმიტომ რომ იღვაწებ და იმოქმედებ შეძლებისამებრ, რადგანაც უქმად ყოფნის ნებას გრძნობა სამართლიანობისა არ მოგვცემს ამ წუთისოფელში, საცა ოფლის წურვით უნდა ჰყიდულობდეს თვითეული თავის კერძს ცხოვრებისას, და კეთილის-მომქმედიც იქნები, რადგანაც ავკაცობის ნებას არ მოგცემს გრძნობა კაცთმოყვარეობისა. შეძლებისამებრ იღვაწე და იმოქმედე კეთილი, — სხვას ამის მეტს არარა სთხოვს ქვეყანა თავის შვილსა“[2].

ყოველი სამართალი მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ წყობილებას, ჩვეულებებს, ზნეობას და ეროვნულ თავისებურებებს გამოხატავს და ამიტომაც კანონმდებელს საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ადგილობრივი პირობებისაგან დამოუკიდებლად არ შეუძლია სამართლის დადგენა. საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სამართლის ეფექტური ზემოქმედების ინტერესები მოითხოვს, რომ კანონმდებელმა ის კი არ დაადგინოს, რაც მოესურვება, არამედ სამართლის ნორმების დადგენისას პირველყოვლისა გაითვალისწინოს ზემოაღნიშნული ადგილობრივი პირობების მთელი კომპლექსი. სამართალი, რომელიც დადგენილია ამ მოთხოვნების გათვალისწინებით, ყოველთვის „ჭეშმარიტს აზრზეა დამყარებული და ნამდვილის მიზეზებისაგან წარმომდგარი“[3], მაგრამ სახელმწიფომ თავის საკანონმდებლო საქმიანობაში შეუძლებელია არ გაითვალისწინოს კაცობრიობის ცივილიზაციისა და მეცნიერების საერთო მიღწევები, რადგან ამ საკაცობრიო სამართალზე „აშენებულია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფა-ცხოვრება“[4]. ადგილობრივ პირობათა კომპლექსისა და კაცობრიობის საერთო ცივილიზაციისა და მეცნიერების, როგორც სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობის განმსაზღვრელ საწყისებს შორის თანაფარდობა ი. ჭავჭავაძეს შემდეგნაირად აქვს წარმოდგენილი: „ორაკვირველია, ნამდვილად ცნობილს და გამოკვლეულს ადგილობრივს გარემოებას თავისი ადგილი უნდა

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 342.
2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 299.
3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 72.
4 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 292.

ჰქონდეს ყოველს მთავრობითს განკარგულებაში საზოგადოდ და კანონმდებლობაში საკუთრივ; მაგრამ როცა უმთავრესნი და არსებითნი საფუძველნი ცვლილებისა არის ნაყოფი კაცობრიობის საერთო ცივილიზაციისა და მეცნიერებისა, მაშინ იგი საფუძველი ყველგან და ყველასათვის მოსახდენია და, თუ აქ ცვლილებამ უნდა დაუთმოს რამე ადგილობრივს გარემოებას, თვით უმთავრესნი და არსებითი საფუძველი კი არ უნდა გამოაცალოს საქმეს, არამედ საქმის მარტო წვრილმანი კუთვნილებანი უნდა შეურჩიოს და შეუფეროს გარემოებასა[1]. მიუხედავად იმისა, რომ სამართლის დადგენისას კანონმდებლის განსაკუთრებული ყურადღების საგანია „ნაყოფი კაცობრიობის საერთო ცივილიზაციისა და მეცნიერებისა“, რომელიც ყველა ხალხის კანონმდებლობას უდევს საფუძვლად, ერთი სახელმწიფოს კანონები სრულიად მიუღებელი შეიძლება აღმოჩნდეს მეორე სახელმწიფოსათვის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ერთი სახელმწიფოს კანონების გადმოღებამ ადგილობრივი პირობების გათვალისწინების გარეშე მეორე სახელმწიფოში შეიძლება კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის საწინააღმდეგო შედეგები გამოიღოს. მრიგად, კანონი ერთის წყობის ქალაქის მკვიდრთათვის დედაა და სხვა წყობისათვის დედინაცვალი“[2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით, კანონმდებელს არ შეუძლია კანონები შექმნას თავის სურვილისამებრ, არამედ მისი საკანონმდებლო საქმიანობის შინაარსი და მიმართულება განსაზღვრულია ფაქტორებით, რომელთაგან მთავარია საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური სინამდვილე, მაგრამ სამართლის რეალიზაციის პროცესში ზოგჯერ აღმოჩნდება წინააღმდეგობა რეალურ ცხოვრებასა და სახელმწიფოს მიერ დადგენილ კანონს შორის. კერძოდ, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი არ გამოხატავს რეალურ ცხოვრებას და ამიტომაც იგი სასურველ ზემოქმედებას ვერ ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამის მაგალითად, ი. ჭავჭავაძეს მოჰყავს რუსეთის იმპერიაში სასამართლო წარმოების, მართლმსაჯულების განხორციელების ანუ „განსამართლების“ კანონ-წესები, რომელიც მთელ იმპერიაში ყველა სასამართლო ინსტანციის საქმიანობას განსაზღვრავს[3]. ი. ჭავჭავაძე წერს, რომ „განსამართლების წესი რუსეთისა საზოგადოდ უფრო მოსაწონია, ვიდრე დასაწუნი და ამაზედ უფრო მოსაწონია მომრიგებელ მოსამართლობის დაწყობილობა, გარდა ზოგიერთის ნაკლისა, რომელიც შეჰყოლია წესს სხვადასხვა გარემოების გამო. ეს სიკეთე რუსეთის განსამარ-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 74.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 86.
3 ვ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, გვ. 99.

თლების წესისა და კანონმდებულთა ღვაწლისა აღიარებულია რუსეთის უკეთესთა კაცთაგან და ევროპელ მეცნიერთაგანაც"[1].

მაგრამ „განსამართლების" ამ პროგრესული წესების მიღებას, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, რუსეთში ჰყავდა მოწინააღმდეგენი, რომლებიც კანონმდებელთა ყურადღებას ამახვილებდნენ შემდეგ სამ გარემოებაზე: პირველი, საზოგადოება ჯერჯერობით არაა მზად მართლმსაჯულების ამ ახალი წესებისათვის და მისთვის ძნელი იქნება ამ წესების განხორციელება; მეორე, სახელმწიფო ფინანსური ხელმოკლეობის გამო ვერ შეძლებს მართლმსაჯულების ახალი სისტემის მოწყობას; მესამე, მართლმსაჯულების ამ ახალი წესების ცხოვრებაში უშუალოდ რეალიზაციისათვის საჭიროა კეთილსინდისიერი და კანონების მცოდნე პირები, რაც, სამწუხაროდ, საკმარისი არ არის ქვეყანაში. ი. ჭავჭავაძის აზრით, საესებით მართალნი იყვნენ კანონმდებლები, რომლებმაც „განსამართლების" ახალი წესის მოწინააღმდეგეებს უპასუხეს, რომ ჭეშმარიტ და სწორ აზრზე დაფუძნებული კანონი ყველგან გამოსადეგი და საკეთილოა, გონიერ კანონს უარყოფითი შედეგი არ შეიძლება მოჰყვეს. არაფერს არ ნიშნავს ის, რომ ახალმიღებული კანონი პირველ ხანებში მთელი სისრულითა და ძალით ზემოქმედებას ვერ ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მაგრამ დროთა განმავლობაში საზოგადოების მართლშეგნებაში უეჭველად განმტკიცდება ახალი კანონებისადმი პატივისცემა და ეს კანონები ნამდვილად შეიქნება ქვეყნის მშვიდობიანობის და კეთილდღეობის დედაბოძი.

რაც შეეხება ახალი წესების შემოღების საწინააღმდეგო მეორე არგუმენტს, კერძოდ, სახელმწიფოს ფინანსურ ხელმოკლეობას, იგი წარმოსდგება არა მარტო ეკონომიკური გაჭირვებისაგან, არამედ იქიდანაც, რომ „არსებითნი ორღანონი მართლმსაჯულებისა რიგიანად აგებული და მომართული"[2] ვერ არის. ი. ჭავჭავაძე ასევე საესებით ეთანხმება კანონმდებელთა აზრს იმის შესახებ, რომ მართლმსაჯულების ახალი წესების შემოღებაზე უარისთქმა იმ მოტივით, თითქოს ამ წესების განსახორციელებლად საკმაო რაოდენობით კეთილსინდისიერი და კანონთა მცოდნე პირების შოვნა შეუძლებელია, არ არის დამაჯერებელი. კარგი კანონი ყოველთვის კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე და განაწყობს მათ კეთილსინდისიერი მოღვაწეობისათვის, ხოლო კანონის ცოდნას, მისი შინაარსის გაგებასა და შესწავლას ადამიანთა მიერ, განსაზღვრავს საკანონმდებლო ტექნიკა. კერძოდ, კანონმდებელმა სამართალში ნათლად და გარკვევით უნდა შესძლოს ქცევის სავალდებულო წესების გადმოცემა, თუ კანონის შინაარსი არ არის ნათელი და იგი ბნელი იქნება, რა თქმა უნდა, მას ვერავინ გაიგებს და საზოგადოება ვერ

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 72.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 73.

შესძლებს კანონის შესწავლას. კანონი უნდა პასუხობდეს კეთილსინდისიერ ადამიანთა სურვილებსა და მისწრაფებებს, მაგრამ თუ საზოგადოებაში ისეთი ადამიანები, რომელთაც „უნდა ჰქონდეთ საკმაო კეთილსინდისიანობა, საკმაო ცოდნა და გულმოდგინება ახალის წესის რიგიანად აღსრულებისათვის"[1], საკმაო რაოდენობით არ არიან, ახალი კანონის მიღების აუცილებლობას ეს გარემოება კიდეე უფრო ადასტურებს, რადგან საზოგადოების ზემოაღნიშნული ნაკლი ძველი კანონებისაგან წარმოსდგება.

ამრიგად, გაიმარჯვა ჯანსაღმა აზრმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ მიიღო მართლმსაჯულების ახალი პროგრესული წესები. სამწუხაროდ, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, „ამასვე ვერ ვიტყვით იმ განსამართლების წესზედ, რომელიც ჩვენში გადაასხვაფერეს, ვითომ შეუსწორეს აქაურს გარემოებას და ისე დაადგინეს"[2] მომრიგებელი მოსამართლეების მიერ მართლმსაჯულების რეალიზაციის ანალიზის საფუძველზე ი. ჭავჭავაძე ცხადყოფს, რომ საქართველოში ადგილობრივი ვითარების გათვალისწინების აუცილებლობის მიზეზით, რუსეთში მიღებული მართლმსაჯულების განხორციელების კარგი კანონები ისე შეასწორეს, რომ ამ კანონებმა მთლიანად დაკარგეს ღირსება და იმ მოსაზრებებს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ რუსეთში მართლმსაჯულების პროგრესული წესების შემდგენელ კანონმდებელთა კრიტიკისას, საქართველოში „უპირატესი ადგილი მიანიჭეს ნაძდვილი ჩვენი ვითარება კი დავიწყებულ და განგდებულ იქმნა"[3].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ რუსეთში კანონმდებლებმა უარყვეს ის აზრი, თითქოს, მართლმსაჯულების ახალი წესების განსახორციელებლად ვერ ვიპოვნით კეთილსინდისიერ, ღირსეულ და კანონის მცოდნე პირებს და მიიღეს ეს ახალი წესები. საქართველოში სასამართლო წყობილების წესდება არ ითვალისწინებს, რომ მომრიგებელი მოსამართლე აუცილებლად ადგილობრივი მცხოვრებთაგანი იყოს. საქართველოში შემოღებული წესდების ეს ხარვეზი, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, იმით უნდა აიხსნას, რომ „აქაური კანონმდებელთ ჰგონებიათ, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ღირსეულ კაცებს ვერ ვიშოვნითო მაგ თანამდებობის აღსასრულებლადო"[4]. მართლმსაჯულების წესებში ეს განსხვავება ე. წ. ადგილობრივი პირობებით არის ახსნილი, კერძოდ, თითქოს საქართველოში კანონის მცოდნე და კეთილსინდისიერი პირები საკმარისი არ იყოს, მაგრამ რუსეთის კანონმდებლობით მომრიგებელ მოსამართლედ უნდა დაინიშნოს ისეთი პი-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 73.
2 ი ქ ვ ე, გვ. 74.
3 ი ქ ვ ე, გვ. 80.
4 ი ქ ვ ე.

რი, რომელმაც ზედმიწევნით უნდა იცოდეს ადგილობრივ მცხოვრებთა ავ-კარგი და მათი ზნე-ჩვეულება, და „რჯულიერების ცოდნით და განსამართლების გამოცდილებით"[1] გამოირჩეოდეს. ი. ჭავჭავაძე სვამს კითხვას და თვითონ პასუხობს: „ნუთუ „ადგილობრივი ვითარება" ისეთია, რომ პატიოსანი, უჩირქო ყოფა-ქცევის პატრონი, გამჭრიახ გონებიანი კაცი არ მოიპოვება საქართველოში, და იაროსლავში კი პანტასავითა ცვივა? ამას ვერ იტყვიან, ამას საბუთად ვერ გაგვიბედავენ წარმოგვიდგინონ ჩვენ"[2]. მაგრამ არის კიდევ სხვა წინააღმდეგობაც საქართველოში მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ ჩვენში „ადგილობრივი პიროებების" გამო ძნელი საპოვნია კეთილსინდისიერი და კანონის მცოდნე ადამიანები, რომლებიც მომრიგებელ მოსამართლედ გამოდგებიან, მაშინ მომრიგებელ მოსამართლეთა კომპეტენცია უნდა შეეზღუდათ, სინამდვილეში საწინააღმდეგოდ მოიქცენ, „აქაო და პატარა მოედნისათვის კაცი არ არისო, მოედანი უფრო გააფართოეს"[3]. მომრიგებელ მოსამართლეთა კომპეტენციის გაფართოება იმაში გამოიხატა, რომ თუ რუსეთში მომრიგებელ მოსამართლეებს ექვემდებარება წვრილმან დანაშაულობათა საქმეები, საქართველოში მის კომპეტენციაში შედის ყველა დანაშაული, რომელსაც არ მოსდევს შედეგად უფლების ჩამორთმევა, პატივისა და ღირსების აყრა. ასევე გაფართოებულია მომრიგებელ მოსამართლეთა უფლებამოსილება სამოქალაქო სამართლის სფეროშიც.[5]

ადგილობრივი ვითარების მომიზეზებით მართლმსაჯულების შესახებ რუსეთის კანონმდებლობის საქართველოში გაუარესების მეორე შემთხვევა, ი. ჭავჭავაძის აზრით, არის მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები[4]. საქართველოში არსებული წესებით „უარყოფილია ის მეორე არსებითი კუთვნილებაც მომრიგებელ მოსამართლობისა, რომელიც მიღებულია რუსეთში, სახელდობრ ის, რომ ადგილობრივ მცხოვრებელთა უნდა თითონ ამოირჩიონ თავიანთი მომრიგებელი მოსამართლე". ამ უარყოფას საფუძვლად ხალხის უნდობლობა უდევს, კერძოდ, ხალხის შეგნება თითქოს იმდენად დაბალია, რომ იგი ვერ შესძლებს ამ დემოკრატიული უფლების განხორციელებას. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ რუსეთში ეს საკითხი არ დაუსვამთ კანონმდებლებს და რუსეთის ხალხის შეგნებულობის დონე საკმარისად მიიჩ-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 80.
2 ი ქ ვ ე, გვ. 80—81.
3 ი ქ ვ ე, გვ. 81.
4 ი. ს ო ლ გ ა ნ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 49—52; ვ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, გვ. 119.
5 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 82.

ნიეს იმისათვის, რომ ხალხს თვითონ აერჩია მომრიგებელი მოსამართლეები. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ქართველი ხალხის შეგნების დონე არ არის რუსეთის ხალხის განვითარების დონეზე დაბალი.

რუსეთის კანონმდებელთა მიერ დადგენილი მართლმსაჯულების წესები საქართველოში ვითომდა „ადგილობრივი პირობების" მომიზეზებით იმითაც გაუარესეს და დაამახინჯეს, რომ მომრიგებელი მოსამართლეების კომპეტენცია გაავრცელეს უამრავ მაზრაზე და სოფელზე. მაშინ, როცა რუსეთის კანონმდებელთა აზრით, „ხალხისათვის მიუცილებლად საჭიროა, რომ მის საყოველდღეო წვრილმან საქმეებისათვის მომრიგებელი მოსამართლე რაც შეიძლება მახლობლად ჰყავნდეს"[1]. რუსეთის კანონმდებლობისაგან ასეთმა გადახვევამ კი არ გაუმჯობესა სამართლებრივი მსაჯულების ხარისხი, არამედ ხალხი დააშორა მომრიგებელ მოსამართლეს და სასამართლო ბიუროკრატიული გახადა. მომრიგად, დაასკვნის ი. ჭავჭავაძე, საქართველოში მართლმსაჯულების წესების ამგვარი შეცვლა სინამდვილეში „ადგილობრივი ვითარებით" კი არაა გამოწვეული, არამედ მას საფუძვლად უდევს „ფულის ანგარიში", კერძოდ, სახელმწიფო მართლმსაჯულების მოწყობისას ზოგავს ფულს, მაგრამ ურიგოდ მოწყობილი სასამართლო წყობილება გაცილებით მეტ ფინანსებს ნთქავს, ვიდრე რიგიანად აგებული მართლმსაჯულება. მაგალითად, მომრიგებელ მოსამართლეებად ქართული ენის მცოდნე აქაური მცხოვრები რომ დაენიშნათ, ბიუროკრატიული აპარატი განთავისუფლდებოდა კანცელარისტებისა და მთარგმნელებისაგან, რომელთა შენახვა ძვირი უჯდება სახელმწიფოს. სამართლის ურიგოდ მოწყობილობა სვავია — რომელიც სნთქავს ხალხის სიმდიდრესა, მახვილია — რომელიც ჭვეთს ფრთებსა ხალხის ხელმოქმედებას და ეკონომიკურს წარმოებას"[2].

მომრიგად, სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობა ისეთი პროცესია, რომელსაც სხვადასხვა ხასიათის ფაქტორები განსაზღვრავენ, მაგრამ იგი კიდევ უფრო რთულია მრავალეროვან სახელმწიფოში. ზეჩოაღნიშნული ფაქტორების გარდა მრავალეროვან სახელმწიფოში საკანონმდებლო საქმიანობა შეუძლებელია „ადგილობრივი ვითარების", ე. ი. მრავალეროვან სახელმწიფოში შემავალ სხვადასხვა ხალხთა ცხოვრების სპეციფიკური პირობების გაუთვალისწინებლად. რუსეთის კანონმდებლობის საქართველოში წარმატებით განხორციელება შეუძლებელია, თუ ვერ გავითვალისწინეთ ადგილობრივი პირობები, მაგრამ იგი ძალიან დიდ სიფრთხილესაც მოითხოვს. საქმე ისაა, რომ ქართველი ხალხის ცხოვრების ადგილობრივი თავისებურებები თუ კარგად არ იქნა დადგენილი და განსაზღვრული და იგი შემოქმედები-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 84.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 86.

თად არ მიესადაგა რუსეთის კანონმდებლობას, ადვილი შესაძლებელია მოქმედმა კანონმდებლობამ ვერავითარი ზემოქმედება ვერ მოახდინოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მეტიც, კანონსა და ცხოვრებას შორის წარმოიშვას კონფლიქტური სიტუაცია, ნაცვლად საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა. კანონმა შეიძლება შეაფერხოს კაცობრიობის პროგრესი. ი. ჭავჭავაძე ასკვნის, რომ რუსეთის კანონმდებლობისადმი ადგილობრივი ვითარების არასწორად მისადაგების გამო „გზაგადაღობილი მომრიგებელი მოსამართლობა გადუდგა ჩვენში, ჩვენებურს ცხოვრებასა და ჩვენებური ცხოვრება–მომრიგებელ მოსამართლობას". ამის გამო აქ არც ცხოვრება უწყობს ხელს ძველის კანონის წარმატებით სვლასა და არც კანონი ცხოვრების კეთილდღეობასა. ვერც კანონს დაუმორჩილებია ცხოვრება, რომ კეთილად წარმართოს, ვერც ცხოვრებას შეუფერებია კანონი, რომ სიკეთის დედაბოძად გამოიყენოს. „ერთის აღმა ხნულს მეორე დაღმა ფარცხავს"[1].

მრავალეროვანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს კანონმდებლობის განხორციელების დროს „ადგილობრივი ვითარების" მხედველობაში მიღება პირველყოვლისა ნიშნავს იმას, რომ კანონები იმ ხალხის ენაზე უნდა იწერებოდეს, რომელიც ამ კანონებში გადმოცემულ ბრძანებებს ასრულებს და აგრეთვე კანონთა მიღება თვითონ ხალხის საქმეა. როგორც ზემოთ დავინახეთ, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ენა, მართალია, სახელმწიფომდე არსებობდა, მაგრამ სახელმწიფოს გაჩენის შემდეგ იგი ენის გარეშე შეუძლებელია არსებობდეს, რადგანაც ქვეშევრდომები, როგორც სახელმწიფოს შემადგენელი ელემენტები, მთავრობის განკარგულებებს უნდა ღებულობდეს მისთვის გასაგებ ენაზე. კანონები სახელმწიფოს განსაკუთრებული ფორმის ბრძანებებია, რომელთა შეუსრულებლობას სახელმწიფო იძულების გამოყენება მოჰყვება, ამიტომ გასაგებია ენის მნიშვნელობა სახელმწიფოს მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. კანონების მოთხოვნათა იმ ენაზე დადგენა, რომელზეც ამ კანონების შემსრულებელი ხალხი ლაპარაკობს, მეტად მწვავედ დგას მრავალეროვან სახელმწიფოში, რომელშიც მცხოვრები ხალხები სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, კანონების ხალხისათვის გასაგებ ენაზე გადმოცემა, ყველა შემთხვევაში, მათ შორის, მრავალეროვანი სახელმწიფოს პირობებში, საერთო და უცვლელი მოთხოვნაა, რომლითაც სახელმწიფო მუდამ უნდა ხელმძღვანელობდეს. სახელმწიფოს მიერ სამართლის იმ ენაზე დადგენა და წარმოება, რომელზეც ამ კანონების ადრესატი ხალხი ლაპარაკობს, ი. ჭავჭავაძის აზრით, ფართოდ უნდა იქნას გაგებული, კერძოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული. ტ. 6. გვ. 97—98.

სამართალწარმოებაც მხოლოდ იმ ხალხის ენაზე უნდა იყოს, რომელზეც ეს ხალხი ლაპარაკობს. ი. ჭავჭავაძე იზიარებს ამ საკითხზე რუსეთის პროგრესულად განწყობილ ინტელიგენციაში ჩამოყალიბებულ აზრს და აღნიშნავს: „სპასოვიჩს უთქვამს, რომ საჭიროა სამართალი იმ ენაზედ სწარმოებდეს, რომელზედაც თითონ ერი ლაპარაკობსო. ეროვნება, როგორც თვით სარწმუნოებაცა პირადი გრძნობაა. სახელმწიფოს საქმე ამ შემთხვევაში მარტო ის არ არის, რომ სხვადასხვა ენებმა ერთმანეთის დაუშლელად იმოქმედონო. უფრო ადვილია ორიოდე მოხელემ შეისწავლოს ერის ენაო, ვიდრე მთელმა ერმა დაივიწყოს თავისი დედაენა და უცხო ენა ისწავლოსო"[1]. მოხელეები, რომლებიც ადგილობრივ მცხოვრებთა ენას არ არიან დაუფლებული, ხელისუფლებას მხოლოდ ძალით ახორციელებენ. რა თქმა უნდა, სახელმწიფო და სამართალი ისეთი სოციალური ფენომენებია, რომელთა ფუნქციონირება სხვა სოციალური მოვლენებისაგან განსხვავებით ძალასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ი. ჭავჭავაძის აზრით, ძალის საშუალებით სახელმწიფოებრიობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებას ყოველთვის როდი მოსდევს სასურველი შედეგი. ამიტომ ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობს სოციალური ფენომენების — ძალისა და სამართლის ურთიერთობის საკითხებს. სამართლით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილენი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ სუბიექტთა უფლებების და მოვალეობების შესრულება, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება ძალით, წინაალმდეგ შემთხვევაში სამართალში მოცემული ქცევის წესის შესრულებას ცალკეულ შემთხვევებში ამ ურთიერთობათა მონაწილენი ყოველთვის არ მიიჩნევენ აუცილებლად. ეხება რა ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში საადგილმამულო ბანკის მიერ დაგირავებული მამულების გაყიდვას, ი. ჭავჭავაძე წერს: „თუ ქონების გაყიდვის შიში, თუ ძალით გამორთმევის ფიქრი და დარდი არ ექნება ვალის ამღებს, ვიღა აიტკივებდა თავს ვალის მოსაშორებლად. ეს ერთი მხრით, და მეორეს მხრით ვინ ოხერი იქნებოდა ფული ანდოს ვისმე სესხად და ნება არ ჰქონდეს ძალით აზღვევინოს, თუ ნებით არ დაუბრუნეს?"[2].

ნ. ჟორდანიასთან კამათში ერთმანეთისაგან ასხვავებს რა საქართველოში ჩამოყალიბებულ საადგილმამულო ბანკსა და საკრედიტო ბანკს, ი. ჭავჭავაძე წერს, რომ ქართული საადგილმამულო ბანკი კანონითაა ვალდებული მთელი თავისი მოგება მთლიანად, გარდა იმისა, რაც სხვადასხვა კაპიტალს უნდა მიეწილადოს, მოხმარდეს საქველმოქმედო ხასიათის საზოგადოებრივ საჭიროებებს. რაც შეეხება საკ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 82.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 254.

რედიტო ბანკს, მას ასეთი ვალდებულება კანონით არ აკისრია, ამგვარი საქველმოქმედო საქმეების შესრულება მას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ, აქედან ი. ჭავჭავაძე აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ კანონით დადგენილი ვალდებულება სუბიექტისა შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება და პირის საკუთარი ინიციატივით ამა თუ იმ მოქმედების შესრულება ერთნაირ იურიდიულ შედეგებთან სულაც არაა დაკავშირებული, რადგან განა „ვალდებულობა და ნებაზე მიგდება საქმისა ერთი და იგივეა?"[1].

ძალით უზრუნველყოფილი სამართლის ბრძანებები საზოგადოებრივ ურთიერთობებს მტკიცეს და დაურღვეველს ჰხდის და ამგვარი სამართალი უდიდეს ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრებაზე, რადგან ძალით უზრუნველყოფილ სამართალში ხედავენ ადამიანები მშვიდად და უშიშრად ცხოვრების საფუძველს: „კანონის სიმტკიცე, სიმკვირვე-მიუდგომლობა, დაუდგრომლობა, არამც თუ დიდი რამ არის, — ჩვენის ფიქრით, მიუცილებელია საზოგადოების, თუ სახელმწიფო სიმდიდრისათვის, და ეგე ყოველიფერი მაშინ არის, როცა სამართალი რიგიანად არის აგებული და რიგიანად წარმართული. ყველამ უნდა იცოდეს-მეთქი გულდადებით, რომ მე ჩემი მალე დამიბრუნდება, მე ჩემი არ დამეკარგება"[2].

მიუხედავად იმისა, რომ სამართლის დადგენილი ქცევის წესის შესრულება უზრუნველყოფილია ძალით, სამართალი და ძალა სხვადასხვა მოვლენებია, მეტიც, სამართალი არ არის ძალა. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის და ამ ურთიერთობიდან წარმომდგარი წინააღმდეგობების გადაჭრას ურთიერთდაპირისპირებული პარტიები სხვადასხვა საშუალებებში ხედავენ, ზოგის აზრით, ამ წინააღმდეგობის გადაჭრა მხოლოდ ძალით შეიძლება, დანარჩენების აზრით კი — მხოლოდ სამართლით. ჭავჭავაძე აღნიშნავს, საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, ძალას თუ სამართალს. იგი მხოლოდ ინგლის-ირლანდიის ურთიერთობებისათვის არაა დამახასიათებელი, არამედ იგი ეხება „მთელს ქვეყნიერობას, მთელს კაცობრიობას, რომლის სვე-ბედი თითქმის იმაზეა დამოკიდებული თუ, — ამ ორში რომელი აზრი გაიმარჯვებს და რომელი დაედება საფუძვლად კაცთა ცხოვრებასა და კაცთა ერთმანეთში მოთავსებასა"[3]. ამ საკითხზე ი. ჭავჭავაძის შეხედულებაზე წარმოდგენას გვაძლევს ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის მოსაგვარებლად, ერთი მხრივ, გლადსტონისა და, მეორეს მხრივ, მისი მოწინააღმდეგეების — სოლსბერისა და ჩერჩილის

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 276.
[2] იქვე, გვ. 87.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 199.

მიერ შემუშავებული მეთოდებისადმი დამოკიდებულება. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, გლადსტონის შეხედულებებს საფუძვლად უდევს ის აზრი, რომ „სამართალია ბალა, რომ ყველაფერში, ყველგან კაცმა წინ სამართალი უნდა გაიმძღვაროს და ყოველს თვის მოქმედებას, ერთმანეთში განწყობას და მოთავსებას სამართალი უნდა სათავედა ჰქონდესო. ღობე. მარტო იმ მიზეზით, რომ დაბალია, არას დროს არ უნდა გადალახულ იქმნასო, ყველასა აქვს ღვთის ნიჭი არსებობისა და ამ ნიჭ-საგან არავინ არ უნდა იყოსო გამოკლებული მარტო იმ მიზეზით, რომ მე ღონიერი ვარ და ის კი უძლურიო. აქ შუამავალი, მოციქული, მარტო მოსამართლე და სამართალი უნდა იყოსო და არა სხვა რამე"[1]

გლადსტონის ამ მოსაზრების წინააღმდეგ აშკარად გამოვიდნენ მისი მოწინააღმდეგენი, სოლსბერი და ჩერჩილი, რომელთა აზრით, საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაგვარებლად, კერძოდ, ინგლისირლანდიის ურთიერთდამოკიდებულებისაგან წარმომდგარი წინააღმდეგობა უნდა გადაიჭრას არა სამართლით, არამედ ძალით. ისინი აცხადებენ, რომ „მარტო ძალადობა და მუშტია ამ საქმიდამ ჩვენი მხსნელიო და, თუ გაგვიჭირდა, ავიღოთ და მთელი ირლანდია თავისის ქვეყნიდამ ავყაროთ და კანადაში გადავასახლოთო... ინგლისის ერმა უომრად არ უნდა შეიწყნაროს გლადსტონის პროექტი, თუ ვინიცობაა პარლამენტმა იგი მიიღო და დაამტკიცაო"[2]. ი. ჭავჭავაძე, სოლსბერისა და ჩერჩილის ამ მოსაზრებას ბარბაროსულს უწოდებს, ხოლო გლადსტონისა კი — სამართლიანს და ეს, — მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, „საკვირველიც არ არის: გლადსტონი იძახის, რომ სამართალმა და კაცთმოყვარეობამ უნდა განაგოს ქვეყნიერებაო და მისი მოწინააღმდეგენი კი ჰყვირიან: მუშტი უნდა იყოს ქვეყნის გამგებელიო. ერთი ნუგეშის-მცემელია და მეორე კეტისა. ამ ორში ერთის ამორჩევას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა"[3].

სამართალი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას ისახავს მიზნად. მისი სუბიექტები ადამიანები და მათი გაერთიანებებია, მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა შორის დამოკიდებულება სამართალმა უნდა განსაზღვროს სიმართლის ფენომენით, მართალი არის საზოგადოებრივ ურთიერთობებში ადამიანთა მოქმედების საზომი, მასშტაბი: „ყოველს საზოგადოებრივს საქმეში, რაც უნდა მწვავე იყოს, კაცმა ჯერ უნდა მართალი ეძებოს, მხოლოდ მართალი და სხვა არა-რა"[4]. მაგრამ აქ სავსებით კანონზომიერად ისმის კითხვა: რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებელმა

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 199—200.
[2] ი ქ ვ ე. გვ. 200.
[3] ი ქ ვ ე. გვ. 201.
[4] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 135.

მართალის (სიმართლის) ძებნისას? უნდა ვიფიქროთ, რომ რადგან სამართალი ადამიანების მოქმედებას აწესრიგებს, სიმართლე (მართალი) არის საზოგადოების უმრავლესობის წარმოდგენები და შეხედულებები, რის მიხედვითაც უნდა განსაზღვროს კანონმდებელმა მის მიერ დადგენილ სამართალში სიმართლე. ი. ჭავჭავაძე წერს: „ადამიანთა საზოგადო ცხოვრება ისეთი რთულია, რომ ბევრში და ბევრგან ეგ სიმართლე ძნელად აღმოსაჩენია, და მარტო ამ განსაკუთრებულს შემთხვევაში უღონო მართლმსაჯულება ადამიანისა სიმართლედ მას აღიარებს, რაც უმრავლესობისათვის სახეიროა. ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში მეტი გზა არ არის, სხვა განსამართლების საბუთი ადამიანს დღესაქამომდე ვერ აღმოუჩენია, გარდა „უმრავლესობის კანონისა“[1]. მაგრამ ი. ჭავჭავაძე სავსებით დასაშვებად მიიჩნევს იმას, რომ სამართლის გაგებაში საზოგადოების უმრავლესობა ცდებოდეს და საზოგადოების უმცირესობას ესმოდეს უკეთესად და უფრო სწორად სიმართლის შინაარსი, ამიტომაც, როცა აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი საზოგადოების უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, მიზანშეწონილია „ყველაზე უწინარეს, უმრავლესობათა და უმცირესობათა შორის სიმართლე უნდა იყოს გამოკითხული. ამან, სიმართლემ, უნდა მოაშველოს ერთმანეთში ეგ ორი მხარე“[2]. ი. ჭავჭავაძის აზრით, მხოლოდ უმრავლესობის წარმოდგენების მიხედვით სამართლის შინაარსის დადგენა, მაშინ, როცა სიმართლე (მართალი) უმცირესობის მხარეზეა, ნიშნავს უმცირესობის სამართლიანი ინტერესების შეწირვას უმრავლესობისათვის, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, რომ „საზოგადოებრივ საქმეში არც უმცირესი უნდა შესწიროს კაცმა უმრავლესობას და არც უმრავლესობა უმცირესობას, ორივე უნდა დაუმორჩილოს მარტო სიმართლეს, როცა კი შესაძლებელია“[3].

ი. ჭავჭავაძე. რა თქმა უნდა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უმრავლესობის ხელისუფლებას. იგი მოითხოვს უმრავლესობის აზრის მიხედვით ხდებოდეს კანონების მიღება და „გამგეობა და განჩინება საქვეყნო საქმეთა“, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს. რომ უმცირესობა ხმაამოუღებლად, განუკითხავად, ბრმად მისდევდეს უმრავლესობას და უმცირესობას არ ჰქონდეს საშუალება „თავისის ლარისა და ხაზის გატარებისა“. ხმამართლის (მართალის) ძიებისას მექანიკური კენჭისყრით შექმნილმა უმრავლესობამ შეიძლება მთლიანად შერყვნას სიმართლის (მართალის) ბუნება. ამიტომაც „ხმა კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოს, და თუ შესაძლებელია ოდესმე აწონვამ ამ შემთხვევაში ოდესმე ფეხი მოიკიდოს და თვალზე გაიმარჯვოს, მა-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 135.
2 იქვე.
3 იქვე.

შინ. ვინ, ვინ ეცის, სიკეთე და მართალი ზოგჯერ რომელ მხარეზე მოექცეოა"[1]. ი. ჭავჭავაძის აზრით, „უმრავლესობის კანონი" მაშინ აღწევს მიზანს და იგი აკეთილშობილებს ადამიანებს, როცა მის შინაარსს განსაზღვრავს სიმართლე (მართალი), მაგრამ „უმრავლესობის კანონი", როცა უსამართლობაზეა დამყარებული, იგი ბოროტებაა და თვითნებობასა და ძალადობას უხსნის გზას საზოგადოებაში, ამიტომ „უმრავლესობის კანონი" ყოველთვის იმას კი არა ჰნიშნავს, რომ იქაც, საცა მართალი აშკარად უმცირესისაკენ არის, უსათუოდ უმრავლესობამ უმცირესობა სძლიოს და ითაყვანოს. ეგ ძალმომრეობა იქნება და არა იგი სამართალი, რომლითაც ადამიანი ადამიანობს ვით ზნეობრივი არსება, რომლის გამოც ჩვენი ანდაზა ამბობს: სამართლით ამოთხრილი თვალი არ მეტკინებაო"[2].

ი. ჭავჭავაძეს კარგად აქვს წარმოდგენილი, რომ საკანონმდებლო საქმიანობა მეტად რთული პროცესია, რადგან კანონმდებელმა კანონების დადგენისას მხედველობაში უნდა მიიღოს ხალხის ცხოვრების თავისებურებანი, მისი განვითარების კულტურული დონე, ამიტომაც მცდარია აზრი თითქოს კანონთა უვარგისობა თუ სიკეთე მხოლოდ კანონმდებელზეა დამოკიდებული. კანონების დადგენა იმდენად რთული საქმეა, რომ „რასაკვირველია, საბუთი აქვსთ მათ, ვინც ამბობენ, რომ მოქმედთა კანონთა უვარგისობა, თუ სიკეთე, თითონ ხალხის ბრალიაო, იმიტომ, რომ თავი და ბოლო კანონებისა თვით ხალხიაო"[3]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, იდეალური კანონმდებლობა არ შეიძლება არსებობდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჯერჯერობით კაცობრიობა არ იცნობს იდეალურ საზოგადოებრივ წყობილებას, პირიქით, კანონები თავისთავად მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანები იდეალური წყობილებისაგან შორს არიან და კანონებით დადგენილ სასჯელთა სისტემის გარეშე მათ არსებობა არ შეუძლიათ. მაგალითად, სავსებით მართალნი არიან ისინი, ვინც ამტკიცებს, რომ „ვახტანგ მეფის კანონდებულება დიდი ნაშთია ჩვენის წარსულისაო, რომ იგი ნაყოფია დიდის შრომისა და ჭკუისა", მაგრამ იმის გამო, რომ იდეალური კანონმდებლობა არ შეიძლება არსებობდეს, შეუძლებელია იმათი გამტყუნებაც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ „იგი კანონდებულება შეიცავს მრავალს მუხლებს, რომელნიც სრულიად არ ეთანხმებიან კაცთმოყვარეობას და დაწინაურებულის ერის ცხოვრებასაო"[4]. ამრიგად, კანონმდებლობა ისეთი საქმიანობაა, რომელიც დიდ მეცნიერულ ცოდნასა და ცხოვრების გამოცდილებას მოითხოვს და ამასთან

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 90.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 135.
3 ი ქ ვ ე, გვ. 3.
4 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 257—258.

ერთად, იგი თვითონაც მეცნიერებაა. ისევე, როგორც ხელოვანი ზოგადი ნიშნებისა და თვისებების მიხედვით ქმნის სახეებს და შემოქმედებით მუშაობაში გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს კერძო ნიშნებს, ასევე, კანონმდებელიც, როგორც ხელოვანი სამართლით მოსაწესრიგებელი საზოგადოებრივი ურთიერთობების კლასიფიკაციას ახდენს არა მათთვის დამახასიათებელი კერძო, არამედ ზოგადი, საერთო ნიშნების მიხედვით და ამ წესით კლასიფიცირებული ერთგვაროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ადგენს კანონებს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ამ საზოგადო ნიშნების ერთად, წყობილად შეკრეფითა იზომება სიბრძნე და გონიერება"[1] ყველა შემოქმედისა, როგორც ხელოვანის, ასევე მეცნიერისაც, მათ შორის კანონმდებლისაც.

სამრიგად, ი. ჭავჭავაძე სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობის პრინციპებს შემდეგნაირად აყალიბებს: 1. კანონის შინაარსია სათნოებაზე დამყარებული ერის განწმენდილი სინდისი, რომელიც ხალხთა კეთილდღეობასა და ბედნიერებას ემყარება; 2. სამართლებრივი ნორმების დადგენისას კანონმდებელი უნდა ხელმძღვანელობდეს მეცნიერებისა და საერთოდ ევროპული ცივილიზაციის მიღწევებით, ხოლო მრავალეროვან სახელმწიფოში ამა თუ იმ ხალხის მართლშეგნებითა და ადგილობრივი ვითარების თავისებურებებით; 3. სამართლის ნორმის დადგენისას კანონმდებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს ცხოვრების ეკონომიკური პირობები და დასადგენი კანონის ცხოვრებაში განხორციელების რეალური შესაძლებლობანი; 4. კანონი უნდა იყოს გონიერი, იგი უნდა აგულიანებდეს სამართლის სუბიექტებს კეთილშობილური საქმეებისაკენ; 5. კანონი უნდა იყოს ნათელი და იგი არ უნდა შეიცავდეს შინაგან წინააღმდეგობებს; 6. კანონი ადამიანებისათვის იწერება, ამიტომ მისი მოთხოვნები ადამიანთა ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს; 7. კანონის დადგენაში უნდა მონაწილეობდეს ხალხი და სამართალი უნდა იწერებოდეს იმ ენაზე, რომელზეც ხალხი ლაპარაკობს; 8. სამართალში მოცემული სახელმწიფოს ბრძანებების შესრულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს ძალით, რადგანაც ძალა, თუ სამართალი არ არის სამართალი, არამედ თვით სამართალი უნდა იყოს ძალა. სამართალი ყოველთვის სიმართლეს უნდა ემყარებოდეს. ეს სიმართლე, როგორც წესი, უმრავლესობის აზრია, მაგრამ ძალადობის თავიდან ასაცილებლად, კანონმდებელმა უმრავლესობის აზრი კრიტიკულად უნდა შეაფასოს, ზოგჯერ მართალი და ჰეშმარიტია არა უმრავლესობის, არამედ უმცირესობის აზრი, ამიტომ კანონის დადგენისას ხანდახან ხმები კი არ უნდა დაითვალოს, არამედ უნდა აიწონოს.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 473.

საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესი თანდათან ცხადყოფს, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობები უნდა მოწესრიგდეს არა ძალის, არამედ სამართლის მიხედვით. ი. ჭავჭავაძე, მართალია, აღიარებს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, რომელიც სათავეს „პირველყამური" წყობილებიდან იღებს, მისთვის არც ისაა უცნობი, რომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება სახელმწიფოც და სამართალიც, მაგრამ როგორც სახელმწიფოს შესახებ ი. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული შეხედულებებიდან დავინახეთ, მას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს სახელმწიფოს ისტორიულ ტიპებზე და, მაშასადამე, მისთვის არც სამართლის ტიპებია ცნობილი, თუმცა ი. ჭავჭავაძე შესანიშნავად ასხვავებს ერთმანეთისაგან საზოგადოების განვითარებას სხვადასხვა ეტაპზე წარმოშობილ ურთიერთობებსა და მათი ნორმებით მოწესრიგების თავისებურებებს.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანთა შორის ურთიერთობებს მრავალი ნორმა აწესრიგებდა, მაგრამ ამ ნორმების შინაარსი და მათ მიერ საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების თავისებურებანი სპეციფიკური იყო. ზემოთ, როცა ჩვენ ვლაპარაკობდით ი. ჭავჭავაძის მოძღვრებაზე სახელმწიფოს შესახებ, აღვნიშნეთ, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში ანუ როგორც მას იგი „წინადყოფილ", „პირველყამურ" და ა. შ. საზოგადოებას უწოდებს, არ არსებობდა კერძო საკუთრება, საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს მიწის თემობრივი, კოლექტიური საკუთრება შეადგენდა. მიწის მფლობელობაში გაბატონებული თანასწორობის ბატონობას უზრუნველყოფდა დროდადრო მიწების გადანაწილებანი და პირველყოფილ საზოგადოებაში „მიწის მშრომელი და მიწისმფლობელი ერთი და იგივე კაცი იყო. უმამულობა ამგვარ წყობაში, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა"[1].

კერძო საკუთრება ჩნდება საზოგადოების განვითარების გვიანდელ საფეხურზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე ერთმანეთისაგან ასხვავებს კერძო საკუთრების წარმოშობის შემდეგ საშუალებებს: დაპყრობა, შრომა და უპატრონო ნივთის დაუფლება[2]. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძის მოსაზრებანი კერძო საკუთრების წარმოშობის საშუალებებისა და ფორმების შესახებ საკმაოდ მტკიცე მეცნიერულ საფუძვლებს ემყარება[3].

[ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანები არ იცნობდნენ არც სახელმწიფოსა და არც სამართალს, საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებს წყვეტდა დემოკრატია.] კერძო

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 120.
[2] იქვე.
[3] იხ. История государства и права зарубежных стран, М., 1963, стр. 81.

ნაკუთრების არ არსებობის მიუხედავად, ამ საზოგადოებაში გვარის ცალკეულ წევრებსა და თვით გვაროვნულ ორგანიზაციებს შორის ძალიან ხშირად წარმოიშობოდა ხოლმე დავა, რომელსაც წყვეტდნენ მოსამართლენი, რომელთა ხელისუფლებას საზოგადოებრივი ხასიათი ჰქონდა. ეს მოსამართლეები კი არ ინიშნებოდნენ, არამედ ისინი, ისევე როგორც სხვა საზოგადოებრივი ხელისუფლების მქონე თანამდებობის პირები, ირჩეოდნენ პირველყოფილი დემოკრატიის წესების მიხედვით.[1]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში მომხდარმა დიდმა ცვლილებებმა გამოიწვია მისი შეცვლა ახალი საზოგადოებით, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდა სხვადასხვა კლასები და უკვე გაჩნდა სამართალი. მაგრამ სამართლის პირველ ისტორიულ ტიპზე, მონათმფლობელურ სამართალზე, ი. ჭავჭავაძეს საკუთარი მოსაზრებები არ გამოუთქვამს, თუმცა ნაშრომების — „ცხოვრება და კანონი", „აი ისტორია", „ხიზნების საქმე", „კერძო და სათემო მიწათმფლობელობა" დამუშავებისას გამოყენებული ლიტერატურა[1] საკმაო საფუძველს იძლევა იმის მტკიცებისათვის, რომ ი. ჭავჭავაძე კარგად იცნობდა პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევისა და მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბების თავისებურებებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ი. ჭავჭავაძის მსჯელობა იმის შესახებ, რომ პირველყოფილ გვაროვნული წყობილება საზოგადოების განვითარების ადრინდელი ეტაპია, რომლითაც იწყება კაცობრიობის ისტორია და განსხვავებით მისი სხვა საფეხურებისაგან, იგი დამახასიათებელია ყველა ხალხისათვის. ეხება რა პირველყოფილი საზოგადოებას და მისი შესწავლის სიძნელეებს, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ისტორიაში ეგ სფერა პირველყოფილი, პირველდაწყებთი მდგომარეობაა თვითეულის ერისა და აქედამ მთელის კაცობრიობისაც"[2].

რაც შეეხება ფეოდალურ საზოგადოებას, კერძოდ, ფეოდალური სახელმწიფოსა და სამართლის თავისებურებებს, მათ შესახებ ი. ჭავჭავაძის ნაშრომებში ვრცელი მსჯელობები გვხვდება. აღსანიშნავია,

---

[1] Ш. Дебьер, Первобытные люди, антропологические беседы, СПб, 1892; Эмиль-де Лавле, Первобытная собственность, СПб., 1875; Дж. Лббок, Доисторические времена или первобытная эпоха человечества, М., 1876; его же, Начало цивилизации, СПб., 1900; Э. Тейлор, Первобытная культура, т. I, СПб, 1879; Л. Морган, Первобытное общество, СПб., 1900; Маккензи, Римское право сравнительно с законами Франции, Англии и Шотландии, М., 1864; Э. Мейер, Экономическое развитие древнего мира, СПб., 1898; Э. Фриман, Сравнительная политика и единство истории, СПб., 1880; О. Шрадер, Сравнительное языковедение и первобытная культура, СПб., 1886 и т. д.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 27.

რომ ი. ჭავჭავაძის შეხედულებები ფეოდალიზმის სხვადასხვა საკითხის შესახებ მის ნაშრომებში ყველგან ემყარება იმ დროისათვის არსებულ მოწინავე მეცნიერულ აზრს.

პირველყოფილ საზოგადოებაში გაბატონებულ მიწის კოლექტიურ მფლობელობას, ი. ჭავჭავაძის აზრით, ძირი გამოუთხარა კერძო საკუთრების გაჩენამ, რომელმაც დიდი უბედურება მოუტანა კაცობრიობას, კერძოდ, უმრავლესობა უმიწოდ დატოვა. საყურადღებოა, რომ ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობით გამოწვეულმა საზოგადოებრივმა ცვლილებებმა განაპირობა ფეოდალიზმის აღმოცენება. ამ ცვლილებებიდან ყველაზე მთავარი ის იყო, რომ უშუალო მიწისმოქმედებს კერძო საკუთრების წარმოშობის შედეგად უკვე აღარ აღმოაჩნდათ მიწები, რადგან მიწის მეპატრონეები გახდნენ მდიდრები და შეძლებულები, მაგრამ ამავე დროს ამ უკანასკნელთა ხელში იმდენი მიწები აღმოჩნდა, რომ მათ მუშახელის უყოლობის გამო ამ მიწების დამუშავება აღარ შეეძლოთ: „ერთის მხრით უმამულობა მიწისმოქმედისა და მეორეს მხრით უხელობა მიწის მეპატრონეებისა იყო დასაბამი თვით ბატონყმობისა"[1]. უმიწო გლეხებსა და მიწის მესაკუთრე ფეოდალებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას, ი. ჭავჭავაძის აზრით, მიზნად ისახავდა ფეოდალური სამართალი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, როცა ი. ჭავჭავაძე ფეოდალურ სამართალზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს არა მარტო სახელმწიფოს მიერ ფეოდალური ურთიერთობების მოსაწესრიგებლად დადგენილი სამართლის ნორმები, არამედ სხვადასხვა ხალხებში სტიქიურად ჩამოყალიბებული ჩვეულებები, რომლებიც ყველაზე სრულად გამოხატავენ ამ ხალხთა ისტორიული ცხოვრების თავისებურებებს. ამ გარემოების გამო ფეოდალური სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები ძალიან ხშირად უცხოა ხალხისათვის, რომლებიც მიეჩვია საუკუნეების განმავლობაში საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩვეულებების მიხედვით მოწესრიგებას. ამრიგად, ი. ჭავჭავაძის აზრით, სახელმწიფოს მიერ დაწერილ კანონსა და ხალხში სტიქიურად ჩამოყალიბებულ ჩვეულებს შორის ფეოდალურ საზოგადოებაში ადგილი აქვს ბრძოლას, კერძოდ, სახელმწიფო ცდილობს შეზღუდოს ჩვეულებების მოქმედების სფერო მის მიერ დადგენილი კანონებით. ჩვეულებებით დადგენილი ქცევის წესები მტკიცე და მდგრადია, ამიტომ ეს ჩვეულებები თაობიდან თაობას გადაეცემა საუკუნეების განმავლობაში, რომლის შეცვლა სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონით, ხშირ შემთხვევაში, სასურველ შედეგს ვერ აღწევს. ამის დასადასტურებლად ი. ჭავჭავაძე ეხება პირველყოფილ საზოგადოებაში ჩვეულე-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 121.

ბებით განმტკიცებულ მიწის სათემო მფლობელობის წესებს, რომლებიც, მისი მტკიცებით, დღესაც მოქმედებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩვეულებებს ებრძვის მეფის რუსეთის სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ჩვეულებებში განმტკიცებული მიწის სათემო მფლობელობის წესების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქმედების „ცხადი საბუთები და ნიშნები დღესაც მრავალია ყველგან და ნამეტნავად ჩვენში. ამისი აშკარა მაგალითი ტყისა და საძოვრების სათემოდ ხმარებაა, რომელსაც ჩვენს თვალწინ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს სულთებრძვის რუსთა კანონების ზედმოქმედების გამო, და რომლის რწმენაც ჩვენის ხალხის გონებიდამ დღევანდლამდე ვერ გამოდევნა თითქმის ოთხმოცის წლის მოქმედებამ მაგ კანონებისამ“[1].

სახელმწიფოს მიერ დადგენილ კანონსა და ხალხის ცხოვრებაში სტიქიურად ჩამოყალიბებულ ჩვეულებებს შორის ბრძოლაში, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, თითქმის ყველა ქვეყანაში გამარჯვება ყოველთვის ჩვეულებების მხარეზე იყო, მეტიც, ფეოდალური სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ დარგში, როგორიც მიწისმფლობელობაა, ხალხმა უცხოდ და მიუღებლად მიიჩნია. რამაც გამოიწვია ფეოდალურ საზოგადოებაში მიწათმფლობელობისაგან წარმომდგარი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ახალი ჩვეულებების ჩამოყალიბება. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ასე მოხდა მაგალითად, საფრანგეთში, სადაც სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონი ვერავითარ ზემოქმედებას ვერ ახდენდა მიწისმფლობელობის ნიადაგზე წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე და „კანონმა რომ ზურგი შეაქცია მიწათმფლობელობის საქმეს, წარმოსდგა ერთი იმისთანა მეოხი, რომელიც ზოგჯერ რჯულთ უმტკიცესიც არის, ნამეტნავად მიწის ხმარების საქმეში. ეს მეოხი — ჩვეულებაა. მაგან მიიღო თვის მფარველობის ქვეშ კანონისაგან თავმინებებული საქმე და დროთა მიმავლობაში დაადგინა კიდეც წესი მიწათ-ქირავნობისა“[2].

ჩვეულებების სიმტკიცე იმაშია, რომ მათში სრულადაა გამოხატული ადამიანთა ცალკეული კოლექტივის ინტერესები, რომლებიც ამ რეგიონის საზოგადოებრივი ცხოვრების სპეციფიკური პირობებითაა განმტკიცებული, ამიტომ ამ რეგიონში წარმოშობილი ზოგიერთი საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგება კანონზე უფრო ადგილობრივ ჩვეულებებს შეუძლია. ასეთ საზოგადოებრივ ურთიერთობას განეკუთვნება საქართველოს სოფლებში კომლის გაყოფიდან წარმომდგარი ოჯახის

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული. ტ. 6, გვ. 122.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 125.

წევრების ურთიერთობა. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ რუსეთის ფეოდალურ-მემამულურმა სახელმწიფომ 1865 წლის 11 აპრილის წესდებით შემოიღო სოფლების თვითმმართველობა, ეს წესდება საქართველოს სოფლებზეც ვრცელდება. ამ წესდების მრავალ ნაკლთა შორის ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ მიუთითებს იმას, რომ მეფის რუსეთის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ამ კანონსა და საქართველოს სოფლებში ფართოდ გავრცელებულ ჩვეულებებს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობაა და ეს შეუსაბამობა ყველაზე უფრო ცხადად მოსჩანს საოჯახო ურთიერთობების სფეროში. სახელმწიფოს მიერ დადგენილმა კანონმა გლეხური კომლის გაყოფა, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში მიანდო სოფლის ყრილობას (სოფლობას). ი. ჭავჭავაძის აზრით, კანონის ეს მოთხოვნა შეიძლება მისაღები იყოს რუსეთის სოფლებისათვის, მაგრამ საქართველოს სოფლებში მისი განხორციელება შეუძლებელია. საქმე ისაა, რომ რუსეთის სოფლებში გლეხური კომლის გაყოფა რომ სოფლის ყრილობამ გადაწყვიტოს, სავსებით შესაძლებელია, რადგან „იქ სოფლის მმართველობის დედაბოძად ყოველსფერში მიღებულია სახასოდ-მფლობელობა მიწისა, და, მაშასადამე, ყოველი ცვლილება მიწისმფლობელობის შესახებ, ყოველი ცვლილება პირადი თუ ოჯახობრივი, ცოტად თუ ბევრად, იქ მთელს საზოგადოებას შეეხება. ჩვენში ეგ არ არის. ჩვენში კომლეული კერძოობითი მფლობელობაა. აქ გაყრა კერძოობითს ინტერესს შეადგენს“[1]. ეს გარემოება საქართველოს სოფლებში ზღუდავს სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონის მოქმედების სფეროს და აუცილებელს ხდის საოჯახო ურთიერთობების სფეროში ჩვეულებების უპირატეს გამოყენებას. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „კომლის გაყოფისას თუ ჩვეულების საფუძველზე „თითონ გასაყრელნი ერთმანეთში ნებაყოფლობით არ მორიგდნენ, კანონიერი გაყრის გზა სრულად მოსპობილი აქვთ“[2]. ამრიგად, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ფეოდალური სამართლის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ მისი უმთავრესი წყაროა ჩვეულებები, რომელთა მიხედვით წესრიგდება საზოგადოებრივი ურთიერთობები. ფეოდალური სახელმწიფო ცდილობს ჩვეულებების მოქმედების სფეროს შეზღუდვას მის მიერ დადგენილი კანონებით, რის გამო, ერთი მხრივ, ხალხის შეგნებაში ფართოდ გავრცელებულ ჩვეულებებსა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიერ დადგენილ კანონებს შორის ბრძოლა წარმოება. ფეოდალურ ეპოქაში კანონი ხშირად ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე (მაგალითად, მიწისმფლობელობა და მისგან წარმომდგარი ურთიერთობები), რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ახალი ჩვეულებების წარმოშობისათვის.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 67.
[2] ი ქ ვ ე.

ფეოდალური სამართლის უმნიშვნელოვანეს დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ისიც, რომ იგი მთელი საზოგადოების ინტერესებს ერთნაირად არ იცავს და ამდენად არ წარმოადგენს ხალხის სამართალს. იმ სუბიექტთა შორის, რომლისკენაც მიმართულია ფეოდალური სამართალი, განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია მემამულეებს, მიწისმფლობელებს, რომელთა ინტერესების დაცვას ემსახურება ძირითადად ფეოდალური კანონები. მართალია, ი. ჭავჭავაძე ვერ მივიდა სამართლის კლასობრივი არსის გაგებამდე, მას სამართალი მიაჩნდა მთელი საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფის იარაღად და მისი სამართლებრივი იდეალი საერთო-სახალხო სამართალი იყო, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ხალხის გაუნათლებლობისა და უცოდინარობის გამო სამართალს ანტიხალხური ბუნება გააჩნია. ფეოდალური სამართალი ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს, იგი მდიდარ მიწისმფლობელებს იცავდა და მიზნად ისახავდა მიწისმფლობელობის ზოგადი საწყისების მოსპობას. ეხება რა ფეოდალური სამართლის ანტიხალხურ ბუნებას, ი. ჭავჭავაძე წერს: „პოლიტიკური წყობილება ყოველის ერისა უწინ, ნამეტნავად საშუალო საუკუნეებში, საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე და თითქმის 1848 წლამდეცა, — რჯულმდებლობაში მონაწილეობას და ხმას მარტო მამულის პატრონებს აძლევდა“[1]. იმ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზიულ რევოლუციას ჰქონდა ადგილი, მანამდე არსებული ფეოდალთა ბატონობა სახელმწიფო და სამართლებრივ წყობილებაში მოისპო, მაგრამ იქ, სადაც ჯერ კიდევ ბურჟუაზიული რევოლუცია არ მომხდარა, სახელმწიფო და სამართალი კვლავ მემამულეთა ინტერესებს იცავს.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ფეოდალური სამართლის მთელი სიმძიმე გლეხს აწევს ზურგზედ, ეს სამართალი მიუწვდომელია გლეხისათვის და როცა ძლიერი და მდიდარი ჩაგრავს მას, იგი სამართალში ვერ ხედავს ძალას, რომელიც მის ინტერესებს დაიცავს. ფეოდალიზმის მთელი პოლიტიკური წყობილება და სამართალი მდიდართა მიმართ ლმობიერია, გაჭირვებულთა და ღარიბთა მიმართ კი — სასტიკი და ულმობელი. ამიტომაც ფეოდალური სამართლის ავტორიტეტი მშრომელებში მეტისმეტად დაბალია, საზოგადოების დიდი უმრავლესობა, რომელიც გაჭირვებაში ცხოვრობს, ფეოდალურ სამართალს არავითარ პატივს არა სცემს და მისი სრულებით არ სჯერა: „რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, რომელიც დიდის წილ ნაცრად იქცევა ხოლმე და დაბლის წინ — ცეცხლად!? რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჭირვებულს არ ესარჩლება, არას შველის, და რომელიც დიდისათვის კი თავს გამოიდებს ხოლმე, როცა პატარისაგან

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 153.

გაუჭირდება რამ. რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც ხმას არ იღებს უღონობით, როცა გლეხს უპატიურად ხდის არა-გლეხი, და როცა კი არა-გლეხს უპატიურება მიადგება გლეხისაგან — მაშინ კი ძალასა და ღონეს იჩენს?"[1].

თავის ნაშრომში — „წოდებათა თანასწორობა" ი. ჭავჭავაძე მიუთითებს ფეოდალური სამართლის კიდევ ერთ დამახასიათებელ თავისებურებაზე, კერძოდ, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ფეოდალური სამართალი მიზნად ისახავს წოდებათა უთანასწორობის განმტკიცებას და ამდენად ფეოდალური სამართალი პრივილეგიების სამართალია. საზოგადოებრივი ურთიერთობების არსებობა, მისი სიმტკიცე შეუძლებელია წოდებრივი განკერძოებულობის პირობებში, ვერც ერთი წოდება ხეირსა და სიკეთეს ვერ ნახავს თუ წოდებრივი პრივილეგიები, რომლებიც ახლო წარსულში ყველა საზოგადოებაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, არ გაუქმდა. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, მას შემდეგ, რაც ბატონყმობის გაუქმებამ შეარყია ფეოდალიზმის ძლიერება, ყველა წოდება უნდა ცდილობდეს საკუთარი ბედნიერება ერთმანეთის სიკეთეს დაუკავშირეს, მაგრამ მეფის რუსეთში და, კერძოდ, საქართველოში ფეოდალიზმის საწყისები ძლიერია, რის გამო თავად-აზნაურობა, „როგორც ერთი ცალკე წოდება ჩვენის ერისა, ხშირად ცალკე იწევს და ცალკე ითლის"[2].

ფეოდალური სამართლის ძირითადი დანიშნულებაა მიწისმფლობელობიდან წარმომდგარი საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, მაგრამ ბატონყმობაზე დამყარებულ სამართალს არ შეუძლია გადაჭრას საზოგადოების ძირითადი საზრუნავი, რომელიც იქიდან წარმოსდგება, რომ „ხალხი დღედადღე მატულობს, მიწა კი, რაც არის ღვთისაგან გაჩენილი, იმაზედ მეტს არც იმატებს და არც იკლებს"[3]. ეს გარემოება სისტემატურად ამრავლებს უმიწაწყლო გლეხებს, რომლებიც თანდათანობით ღატაკდებიან. ი. ჭავჭავაძის აზრით, საზოგადოების ამ ძირითადი წოდების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ფეოდალურმა სამართალმა ვერ მონახა ქმედითი საშუალებები, 1861 წლის საგლეხო რეფორმამ კი მისი გადაჭრა ვერ შესძლო. ი. ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ არსებულ მიწის ნაკვეთებსა და ჭარბ მოსახლეობას შორის შეუსაბამობის აღმოფხვრა შესაძლებელია სხვისი მიწის ხმარების იმ წესის შემოღებით, რომელსაც ხიზნობა ეწოდება. ი. ჭავჭავაძის მოსაზრებებს ხიზნობის ინსტიტუტის თაობაზე აქ აღარ შეეხებით, რადგან მასზე ვრცელი მსჯელობა გვქონდა, როცა სახელმწიფოს შესახებ ი. ჭავჭავაძის მოძღვრებაზე ელაპარაკობდით.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ფეოდალური სამართალი საშუა-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 60.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 313.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 139.

ლებას აძლევდა მდიდარ მიწისმფლობელებს ებატონათ მრავალრიცხოვან უმამულო გლეხებზე და ამით დარღვეული იყო „პირადი თანასწორობა კანონის წინაშე, თანასწორობა, რომელიც სული და გულია ყოველის წყობისა“[1] (ამ გარემოებამ განსაზღვრა ფეოდალური სამართლის შეცვლა ბურჟუაზიული სამართლით, რომელიც ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან ერთად.

ბურჟუაზიული სამართალი თავისი ბუნებით არ განსხვავდება ფეოდალური სამართლისაგან, (რადგან იგი, ისევე როგორც ფეოდალური სამართალი, იცავს და მფარველობს მხოლოდ საზოგადოების უმცირესობას, კერძოდ, ბურჟუაზიას, რაც შეეხება ხალხის ფართო მასებს, ბურჟუაზიული სამართალი მასზე ნაკლებად ზრუნავს. ბურჟუაზიული სამართლის დახმარებით კაპიტალისტები ურცხვად ითვისებენ სხვის ნაშრომს. სამართალი მხოლოდ „ფულიან ხალხს“, ე. ი. კაპიტალისტებს მფარველობს და ქვეყნის ინტერესების დაცვისათვის არაფერს აკეთებს, იგი აკანონებს ბურჟუაზიის მიერ სიმდიდრის მოხვეჭას. ბურჟუები, რომლებიც თავიანთ სამართალში უდიდეს დამცველს ხედავენ, „მარტო ერთის ჯიბიდან მეორეში ფულის გადატანისათვის იღწვიან და მათგან სხვა არაფერი გამორჩენა არ იცის ქვეყანამ. აბა ერთი მიიხედ-მოიხედეთ ჩვენს გარშემო და გვაჩვენეთ, რომ ერთს ვისმეს მათგანს თითი გაენძრიოს ქვეყნის სიმდიდრის წასამატებლად. ამ ყოველად და მრავალგვარად მდიდარს ქვეყანაში, საცა ათას გვარი ფაბრიკა, ქარხანა და ერთობ ამის მაგვარი მრეწველობა დიდს ხელს მისცემს მრეწველსაც და ქვეყანასაც გაამდიდრებს, არც ერთს ფულიანს კაცს გუნებაშიაც არ გაუტარებია, აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლება კაცმა თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც არგოს რამე“[2].

(ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ სამართალს თავისი ბუნება არ შეუცვლია, იგი ისევ იმას ემსახურება, ვინც ამ სამართალს ქმნის.) ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ბურჟუაზიული სამართლის პროგრესული ლოზუნგები სინამდვილეში ხალხის მოტყუება აღმოჩნდა, ბურჟუაზიულ რევოლუციაში სარგებლობა მხოლოდ ბურჟუაზიამ ნახა, მშრომელი ხალხისათვის ამ რევოლუციის სარგებლობა არ მოუტანია: „საფრანგეთში დიდ რევოლუციამდე — ერთი-მეხუთედი მთელი სამეურნეო მიწებისა დაიჩემა ხაზინამ, ერთი-მეხუთედი ეკლესიამ, ერთი-მეხუთედი დიდკაცობამ, დანარჩენი ორი-მეხუთედი შუა-წოდების (ბურჟუაზიის) და გლეხობის წილად დარჩა. რევოლუციამ შესცვალა ეს რაოდენობა წილებისა, მაგრამ ამ შეცვლაში მარტო ბურჟუაზიამ მოიგო, გლეხობა კი... ერთის მეხუთედიდამ მეექვსედზედ და მეშვიდედზედ ჩამოხტა“[3].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 59.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 265.
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 122—123.

ბურჟუაზიულ ყოფა-ცხოვრებაში მხოლოდ ფული ბატონობს და იგი ყველგან „საცა იქნება და როცა იქნება, მოგვისწორობს და ქეჩოში წაგვაყენებს ხელს, ან მეყმე და ან შიმშილით სული ამოირთვიო, გეტყვის"[1]. ი. ჭავჭავაძე კარგად ხედავს, რომ ბურჟუაზია ეკონომიკური იძულების გზით ახორციელებს თავის ბატონობას, რაც შეეხება ბურჟუაზიულ სამართალს, იგი ფორმალურად ყველას თანასწორობას ადგენს, მაგრამ ფულის ძლიერებაზე დამყარებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველგან მდიდარი ბატონობს: „ნუ გეგონებათ, ვითომც ეს სულთა და ხორცთამხუთავი ძალ-ღონე ფულს დაწერილ კანონისაგან ჰქონდეს მინიჭებული. ესეთი კანონი არა რჯულში არა სწერია, არა კანონმდებელს თავისდღეში ფიქრადაც არ მოსვლია. ესეთი ძალ-ღონე ფულისა იმ უწერელმა კანონმა შეჰქმნა, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან და რომლის ძალმომრეობა თვით დაწერილ კანონზე უძლიერესია და თავში გამწევი მოუდრეკელად"[2].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ფულის ძალმომრეობაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებისას ბურჟუაზიული სამართალი, რომელიც ფეოდალურთან შედარებით უფრო განვითარებულია, სასურველ ეფექტს ვერ გვაძლევს. სამართალს შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრებაზე აქტიური ზემოქმედება, კერძოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრი ნეგატიური მოვლენის აღმოფხვრა. მაგალითად, ფეოდალიზმში კაპიტალისტური ურთიერთობების გაძლიერებამ გამოიწვია ის, რომ სამართალმა მოაგვარა ბატონსა და ყმას შორის ურთიერთობა, კერძოდ, ამ ურთიერთობაში სამართლის ჩარევის შედეგად ფეოდალთა ძალმომრეობას ლაგამი ამოსდო, ხოლო ყმა-გლეხთა მონური მდგომარეობა მოსპო და ამით „ქვეყნის მადლობა სამართლიანად მოიხვეჭა"[3]. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სამართალი, რომელიც კაპიტალის ძლიერებას ემყარება, ვერაფერს აკეთებს იმისათვის, რომ „ერთი მეორეს არ აჩაგვრინოს, ერთი მეორეს არ ათელვინოს"[4]. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ ქურდბაცაცა ბურჟუაზია ვიცით ბურჟუაზიული სამართლის ამ კრიტიკას დიდ ცოდვად ჩაგვითვლის. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სამართალმა „რატომ აღარ უნდა ამოიღოს თავისი ძლევამოსილი ხმა იქ, საცა ბატონი ფულია და სხვა ყოველი მისი ყურმოჭრილი ყმა"[5].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ბურჟუაზიული ქვეყნების როგორც საშინაო, ასევე საგარეო ურთიერთობები სამართლის მიხედვით კი არ წესრიგდება. არამედ ბურჟუაზიულ სამყაროში ძალადობაა გაბატონებული,

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 10—11.
2 იქვე. გვ. 11.
3 იქვე. გვ. 12.
4 იქვე, გვ. 11—12.
5 იქვე. გვ. 12.

თუმცა სახელმწიფო მოღვაწეები სულ მუდამ იმის მტკიცებაში არიან, რომ თითქოს კანონის გარეშე შეუძლებელია რაიმეს გაკეთება.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოების „პოლიტიკაში სამართალი და სხვა ამისთანა მაღალი ფარდის სიტყვები ტყუილი რახუნია მოშლილ წისქვილისა“[1]. სინამდვილეში ბურჟუაზიული ქვეყნების პოლიტიკაში „რაც გინდა სთქვან, ღონე და ძალა იმისთანა რამ არის, რომ იმის კალთის დაჭერას ცხვირს ზევით არავინ იცილებს, თუ შესაძლებელია“[2]. ყველაფერი, ზნეობა, სამართლიანობა, მოქალაქეთა ღირსება და ა. შ. ეწირება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის არსებულ მტრობას, ჯიბრს და ცილობას: „ევროპის პოლიტიკაში არც სამართლიანობას, არც ზნეობას კუთვნილი ადგილი არ უჭირავს და ყველაფერი გამორჩენასა და ანგარიშს ექვემდებარება“[3]. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ევროპაში გახმაურებული დრეიფუსის საქმე. ი. ჭავჭავაძის აზრით, დრეიფუსი ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობის საგანი გახდა, მისი პიროვნება შეეწირა ძალადობაზე დამყარებულ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკას. ი. ჭავჭავაძე სავსებით სამართლიანად სვამს კითხვას: „თუ უდანაშაულოდ დასჯილია დრეიფუსი, ამის გამო ხელახლად გადასინჯვა საქმისა მართლმსაჯულობის მოვალეობაა, მაგრამ მარტო ამ მხრით ეს საოცარი საქმე ასეთს განგაშს, ასეთს რყევას თითქმის მთელის საფრანგეთისას ვერ გამოიწვევდა. აქ რაღაცა იმალავს თავს, აქ ვიღასაც ძლიერი ხელი ჰმუშაობს“[4].

ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნეგატიური მოვლენების მიუხედავად, ი. ჭავჭავაძის აზრით, კაპიტალიზმი ფეოდალიზმთან შედარებით საერთოდ პროგრესული მოვლენაა და ბურჟუაზიულ სამართალს ბედნიერება შეუძლია მოუტანოს კაცობრიობას, რადგანაც ამ სამართალმა მკვეთრად გამიჯნა ერთმანეთისაგან მოქალაქეთა უფლება-მოვალეობები და ჩვეულებების ნაცვლად ერთიან კანონს დაუქვემდებარა საზოგადოებრივი ურთიერთობები. ბურჟუაზიული სამართლის მიერ დრომოქმული ჩვეულებების მოქმედების სფეროს შეზღუდვა კარგად მოჩანს აზიის ქვეყნებში, რომლებიც ბურჟუაზიულმა ევროპამ გამოაღვიძა.

აზიის ქვეყნების ჩამორჩენა იმან განაპირობა, რომ ისინი დასჯერდნენ მიღწეულს, წარმოადგინეს, რომ მათზე უკეთესი არავინ არ არის და ისე ჩაიკეტნენ თავიანთ თავში, რომ გარიყული აღმოჩნდნენ იმ მოწინავე კულტურისაგან, რომელიც მათი ცივილიზაციის შემდეგ შეიქმნა. მათ ვერ გაიგეს, რომ „ისტორია და წარმატება იმისი კი არ არის, ვინც მარ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 169.
[2] ◦ ქ ვ ე, გვ. 180.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 133—134.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 167.

ტო თავის-თავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტო დღევანდლობას — ავია თუ კარგი — ჰკმარობს, ვითარცა ხელშეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს — რაც დღეს არის, და ვისაც დღევანდლობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, სამუდამოდ გულზე ხელდასაკრებად და მოსასვენებლად"[1]. ჩამორჩენილობიდან თავის დასაღწევად აზიელი ხალხი ძველ ჩვეულებებს უპირისპირებს თანამედროვე ევროპის მოწინავე ცხოვრების წესებს: „აზიამ თვალდათვალ დაინახა უპირატესობა ევროპისა, იგრძნო, რომ ევროპა გაცილებით წინ წასულია, უფრო მდიდარია, უფრო ბედნიერია, უფრო ბევრის სიკეთისა და მადლის მპყრობელია, უფრო ძალოვანი და ღონიერია, და აქამომდე დაკეტილი კარი თავისის ქვეყნებისა ცოტად თუ ბევრად გაუღო ევროპას, რომ აქაურმა მზემ თავისი შუქი ცოტად თუ ბევრად აქაც მოაწვდინოს"[2]. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ აზიის ქვეყნებში დაიწყო ბრძოლა ძველი ჩვეულებების წინააღმდეგ, კერძოდ, სპარსეთში მთავრობის წარმომადგენლები ცდილობენ „შეისწავლონ კანონები საფრანგეთისა, ინგლისისა, გერმანიისა... რომ იქიდამ ამოიღონ ყოველივე ის, რაც გამოადგება სპარსეთს საკეთილოდ"[3].

მაგრამ სამართალი, რომელიც არა ფორმალურად, არამედ რეალურად გახდება საზოგადოების ბედნიერების საფუძველი, არ შეიძლება იყოს ბურჟუაზიული სამართალი, რადგან იგი მიზნად ისახავს კაპიტალის ბატონობისაგან წარმომდგარი სოციალური უთანასწორობის განმტკიცებას. ბურჟუაზიულ სამართალში გადმოცემული პროგრესული მოსაზრებანი, რომლებიც ერთობ პოპულარული იყო ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის გამანთავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში, მხოლოდ ცარიელი დაპირება აღმოჩნდა მის შემდეგ, რაც ბურჟუაზია ხელისუფლებას დაეპატრონა. ნამდვილი, ჭეშმარიტი სახალხო სამართალი, რომელიც მთელი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად მოსპობს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას და ხალხთა თავისუფლებას დაადგენს, პომავალში უნდა შეიქმნას. სტატიაში — „მეცხრამეტე საუკუნე" — ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებზე ზემოქმედების მხრივ სამართალი აქტიურად ეხმარება ადამიანთა ზნეობის გაკეთილშობილებას, ჭეშმარიტი სამართლიანობის მიხედვით ადამიანთა და სახელმწიფოთა მოქმედებების შეფასების გზით ამაღლებს საზოგადოების სულიერ ცხოვრებას და ყოველგვარ „უსამართლო მოქმეღებას თავისს სამართლიანს მსჯავრს სდებს წყრო-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 113—114.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 115.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 121.

მისას და რისხვისას"[1]. ამ მხრივ კიდევ უფრო უკეთეს მომავალს უმზადებს ადამიანებს XX საუკუნე. ამ ეპოქაში სამართალი გადაიქცევა ნამდვილ საერთო-სახალხო სამართლად, რადგანაც XX საუკუნეში მოისპობა ადამიანთა შორის ქონებრივი და პოლიტიკური უთანასწორობა, ადგილი აღარ ექნება კლასობრივ ბატონობას და ა. შ. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები გამოიწვევს სოციალურ და პოლიტიკურ უთანასწორობაზე დამყარებული სამართლის შეცვლას და განვითარებას უფრო მაღალ და სრულყოფილ სამართლად, რომელიც თავისი არსითა და დანიშნულებით განსხვავებული იქნება ბურჟუაზიული სამართლისაგან.

[ამრიგად, ბურჟუაზიულ სამართალს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან დაშორებულია ი. ჭავჭავაძის იურიდიული იდეალისაგან, გარკვეული უპირატესობა გააჩნია კაცობრიობის ისტორიაში არსებულ ყველა სამართალთან შედარებით] კაცობრიობის პროგრესი საერთოდ თავის გამოხატულებას პოულობს სამართლის ბუნებაშიც. იმ უზარმაზარმა პროგრესმა, რასაც ადგილი ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნეში, თავის გამოხატულება ჰპოვა ფეოდალურისაგან განსხვავებულ ახალ, ბურჟუაზიულ სამართალში, რომელმაც პირველად აღიარა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და იგი გამოაცხადა სახელმწიფოს და მოქალაქეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების უმთავრეს პრობლემად, ადამიანთა ბედნიერი ცხოვრების საფუძვლად. მაგრამ ი. ჭავჭავაძე შორსაა იმ წარმოდგენისაგან, რომ თითქოს ბურჟუაზიული სამართლის მიერ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ემსახურებოდეს თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფოები. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები, რომელთა დაცვას ისახავს მიზნად ბურჟუაზიული სამართალი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში არასდროს არ განხორციელებულა, რადგან ბურჟუაზიულ სახელმწიფოში კლასობრივი ბატონობა და ქონებრივი უთანასწორობა კვლავ არსებობს, სამართალი კი არ შეიძლება არ გამოხატავდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულ ამ მოვლენებს. საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ფაქტობრივ და იურიდიულ მხარეებს შორის არსებული დაპირისპირებისა და შეუსაბამობის გამო ი. ჭავჭავაძე ყურადღებით სწავლობს ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საფუძვლებსა და გარანტიებს.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 8.

## § 2. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა

სამართლის უმთავრესი დანიშნულებაა სახელმწიფოსთან მოქალაქეების ურთიერთობის წესების დადგენა, ადამიანთა პირადი უფლებებისა და თავისუფლებების განსაზღვრა. ადამიანს არ შეუძლია არსებობა ერთმანეთის გარეშე, ერთმანეთისაგან იზოლირებული ადამიანების ცხოვრება წარმოუდგენელია. ერთმანეთთან ცხოვრების საჭიროებებით დაკავშირებულ ადამიანთა ერთობლიობა წარმოადგენს საზოგადოებას, მაგრამ განცალკევებულად არსებული ადამიანების საკუთარი „მე" ადამიანთა საზოგადოებად ჩამოყალიბებასთან ერთად მნიშვნელოვნად იზღუდება და იგი უკვე ექვემდებარება საზოგადოებას საერთო ინტერესებს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „მრავალგვარი დამოკიდებულება ერთმანეთზედ აუცილებელია ადამიანისათვის, უმაგისოდ ადამიანთა ერთმანეთში მოთავსება შეუძლებელია და წარმოუდგენელი. აი ამ დამოკიდებულების გამო, ყოველს ადამიანს თავის საკუთრის „შინას" გარდა, სხვაგვარი „შინაც" აქვს, საცა იგი ერთი მრავალთაგანია და საცა ამის გამო მისი „მე" მოვალეა და „ჩვენ" მბრძანებელი. ეგ „ჩვენ" თითონ საზოგადოებაა, ანუ მთავრობა"[1]. აქედან გამომდინარე ი. ჭავჭავაძე ერთმანეთისაგან ანსხვავებს სახელმწიფოსთან და საზოგადოებასთან ადამიანთა ურთიერთობის ორ მხარეს: პირველი, ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებას (საზოგადო „ჩვენ") და, მეორე, ადამიანთა პირად ცხოვრებას (საკუთარი „მე"). პირადი ცხოვრება გულისხმობს იმას, რომ ადამიანი ამ სფეროში „საკუთრად თითონ ჰცხოვრობს, საკუთრად თავისთვის მოქმედობს და ანგარიშს არავის არ აძლევს. საზოგადოებრივი ცხოვრება კი გულისხმობს, რომ ადამიანი სხვასთან ერთად არის, სხვასთან ერთად იღვწის და მოქმედობს, სხვაზედ გადაბმულია, სხვაზედ დამოკიდებულია, თავისი „მე" სხვისი „მე"-სთან შეწონილი და შეფერებული ჰყავს"[2]. ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება ერთმანეთზე გადაჯაჭვულია და ერთმანეთს ავსებს, ისინი ცხოვრების ზოგადი ცნების შემადგენელი ელემენტებია და ერთმანეთს განაპირობებენ, ამიტომ მათი გამიჯვნა სიძნელეებთან არის დაკავშირებული და „ბევრს შემთხვევაში ძნელი გამოსაცნობია, სად თავდება „მე" და სად იწყება „ჩვენ"[3]. ადამიანი და მისი მოქმედება შეიძლება დაგმობილი იქნას, თუ იგი ეწინააღმდეგება საზოგადოებას, მის ინტერესებს, რაც შეეხება მისი საქმიანობის არა საზოგადოებრივ სფეროს, ი. ჭავჭავაძის აზრით, „ამის გარე ადამიანი ხელშეუხებელია და მისი მოქმედება და საქმე საკუთარი

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 244.
2 ი ქ ვ ე.
3 ი ქ ვ ე, გვ. 245.

მისი განსაკითხავი საგანია"[1] და არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს ადამიანთა პირადი თავისუფლებებისა და უფლებების განხორციელების საქმეში.

ადამიანთა პირადი სიკეთის დაცვა ხელყოფისაგან თვითონ ინდივიდს, საზოგადოების წევრს არ შეუძლია, ამისთვის არსებობს სახელმწიფო, რომელიც მოწოდებულია დარაჯად ედგას ადამიანთა კეთილდღეობას. საზოგადოება, მთავრობა, სახელმწიფო, ი. ჭავჭავაძის აზრით, „იმისთანა წყობაა, რომელიც მარტო იმისთვის არის, რომ თვითეულის ადამიანის ფარიც იყოს და ხმალიც საჭიროებისამებრ. ღრმად რომ ჩავუკვირდეთ თვითონ საზოგადოების არსებობის საგანსა და მიზეზს, დავინახავთ, რომ იგი სხვა არა არის-რა, გარდა იმისა, რომ ადამიანის „მე" თავის ჯეროვანს ადგილას დასვას ისე, რომ მის ცალკე ბედნიერებას. ცალკე კეთილდღეობას, სიკეთეს არა აბრკოლებდეს-რა, თუ რომ სხვის ბედნიერებას არას ერჩის და არას უშავებს"[2].

სახელმწიფო ადამიანთა ბედნიერებისათვის არის გაჩენილი, ამიტომ, ი. ჭავჭავაძის აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების დადგენა, კერძოდ, იმის გამოკვლევა თუ რა გარანტიებია ცნობილი პიროვნების დასაცავად სახელმწიფოს არსებობის პირობებში. სამწუხაროდ, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, თანამედროვე პირობებში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საზოგადოების ინტერესები დაიცვას სახელმწიფომ და ადამიანის უფლებების დაცვაზე იგი ხელსაც არ ანძრევს, არაფერს აკეთებს. სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების უფლებები ერთნაირად არაა დაცული, სახელმწიფომ „ყოველსფერს საზოგადოების უფლების მიხედვით მიაყენა შუქი და ადამიანის პიროვნების უფლების სარჩლად არამც თუ ხელი გაანძრია, არამედ მის შესახებ ერთი უმსგავსო და მეტად ცუდი ჩვეულება დაიჩემა. დღეს — აქამომდე, გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ადამიანის პატიოსნება, სინდისი და ერთობ ყოველივე — რაც კი შეადგენს უძვირფასესს ზნეობითს კუთვნილებას ადამიანისას, რაც უკეთეს ნაწილს კაცობრიობისას იმოდენად დიდ საგნად მიაჩნია, რომ მისთვის სიცოცხლის გაწირვა თითქმის კანონად აქვს აღიარებული, ჩვენ სწორედ მჩვრად გაგვიხდია და ისე ვეჭცევით, როგორც ფეხის მტვერსა"[3].

ი. ჭავჭავაძე მოითხოვს ყველასაგან (სახელმწიფო, საზოგადოება, ცალკე პიროვნება) ადამიანის უფლებების, ღირსების, პატიოსნების, სინდისის დაცვას. ყველა ვალდებულია პატივი სცეს ადამიანთა უფლებებს და როცა უხეშად ირღვევა ადამიანთა თანდაყოლილი უფლებები, მის და-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ.8, გვ. 245.
2 ი ქ ვ ე, გვ. 244.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 166—167.

საკავად უნდა აღდგეს სახელმწიფო, საზოგადოება და კერძო პირიც, განურჩევლად იმისა, ვის საწინააღმდეგოდაც არ უნდა იყოს მიმართული მათი მოქმედება. ადამიანის ღირსება, პატივი, სინდისი და აგრეთვე სხვა უფლებებიც, ისეთი სამართლებრივ-მორალური კატეგორიებია, რომ ყურადღება არ უნდა მიექცეს ვის რა ეწყინება მათი დაცვის დროს. „საზოგადო საქმეში მაგ ანგარიშს არავითარი ზემოქმედება არ უნდა ჰქონდეს კაცზედ. რაც კაცს უფრო საკეთილოდ მიაჩნია, უფრო საუმჯობესოდ, უფრო სამართლიანად, მას უნდა მთელის თავისის მხნეობით და ღონით შეეწიოს იმისდა მიუხედავად, ეწყინება ვისმე, თუ არა. იქ წყენა რას მიქვიან, საცა ჩემი რწმენა, ჩემი ადამიანობა მიწვევს სამოქმედოდ და ქვეყნის საკეთილდღეოდ. იქ მამულის-შვილობის ვალი ითხოვს, რომ არაფერს მოვერიდო და ცხარედ ჩავკიდო ხელი მას, რაც ჩემმა კაცობამ, ჩემმა რწმენამ, ჩემმა სინდისმა წინ დამისვა ნიშნად. ამას ითხოვს მოქალაქეობრივი გულადობა, ვაჟკაცობა და ქველობა“[1].

სახელმწიფოს ხელისუფლება ადამიანებზე ვრცელდება, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მან იბატონოს ადამიანებზე. სამწუხაროდ, სახელმწიფო მისი გაჩენის დღიდან ადამიანებზე ბატონობს, იგი „ეჩოსავით სულ თავისკენ ითლის, ყველაფერს თავისთვის სჩემობს“[2], მაგრამ ადამიანებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ეწინააღმდეგება სახელმწიფოს საერთო დანიშნულებას, რადგან თუ „ადამიანს მისი „მე“ გაუნადგურეთ, მის საკუთარს კერაზედაც ნუ მოასვენებთ, შინ შეესიეთ, სჯიჯგნეთ და ჰსწეწეთ სულიერად თუ ხორციელად, დღემუდამ შიშს ქვეშ ამყოფეთ, ან ეხლა შემომიხტებიან, ან ეხლაო, ერთის სიტყვით, საკუთარის ღირსების გრძნობა აჰყარეთ და გაუქარვეთ და რაღა დარჩება ადამიანს ცხოვრების საგნად“[3].

ი. ჭავჭავაძის აზრით, დიდი ხნის განმავლობაში ადამიანის ღირსება, მისი უფლებები ილახებოდა, სახელმწიფო შთანთქავდა ადამიანთა პირად ინტერესებს, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ეს მდგომარეობა საძართლიანად დაგმობილია, როგორც ეგოიზმიდან წარმომდგარი ადამიანთა ღირსების დამამცირებელი მოვლენა. სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ადამიანთა სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას უნდა გამოვიდეთ იმ დებულებიდან, რომ საერთოდ „ადამიანის შვილი ერთი მხრით უფალია, მეორე მხრით მოვალე“[4]. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებობენ ისეთი მოვლენები, რომლებთანაც ურთიერთობაში ადამიანები მხოლოდ მბრძანებლები არიან და ცხოვრების ამ სფეროში საზოგადოებასა და სახელმწიფოს ჩარევის უფ-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 171—172.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 246.
3 იქვე.
4 იქვე, გვ. 242.

ლება არა აქვს. საზოგადოებრივი ცხოვრების ეს სფერო შეადგენს ადამიანთა პირადი ინტერესების სამყაროს, რომელშიც ყველაფერი მისი უფლებებითაა განსაზღვრული. მაგრამ ამასთან ერთად, ადამიანს, რომელიც თავისი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კანონით განსაზღვრულ ფარგლებში უხვად იყენებს საზოგადოების წევრთა ერთობლივი შრომით შექმნილ სიკეთეს, ეკისრება განსაზღვრული მოვალეობები. ამ მოვალეობათა ერთობლიობა შეადგენს იმ საზოგადოებრივ „ჩვენს", რომლის შესრულებასაც მოითხოვს მთავრობა ადამიანებისაგან, მაგრამ საზოგადოებრივ „ჩვენს" მიერ მოქალაქეებზე დაკისრებული ამ მოვალეობების განსაზღვრისას მთავრობა იქიდან უნდა გამოდიოდეს, რომ არ შეილახოს პიროვნების ღირსება, მისი ინტერესები და უფლებები. ი. ჭავჭავაძე წერს, რომ ადამიანი „უფალია თავის საკუთარს საქმეში, თავის ცალკე ინტერესების მოედანზედ. აქ იმას თავისი განცალკევებული საკუთარი „შინა" აქვს. ეგ საკუთარი „შინა" მისი ხელშეუხებელი კუთვნილებაა და ამიტომაც კერა ადამიანისა პატივცემულია ყველასაგან, ვისაც არ დაუკარგავს გრძნობა ადამიანის ღირსებისა, ვისაც კაცი კაცად სწამს. ამ ცალკე ინტერესების მოედანზედ ბრძანებლობს ადამიანის მძლავრი „მე", რომელსაც, ვიდრე თავის ქერქშია, საზოგადოებრივი „ჩვენ" არამცთუ ერჩის რამეს, არამედ თვითონ გუშაგად უდგა, რომ დაუსჯელად არავინ ხელიც არ შეახოს"[1].

ამრიგად, საზოგადოება, მთავრობა თავის ძალაუფლებას მოვალეობების დადგენის გზით ადამიანებზე ავრცელებს ისეთ ურთიერთობებში, რომლებიც საზოგადოებრივი საქმეებიდან და ინტერესებიდან წარმოსდგება. საზოგადოება, მთავრობა მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების დადგენისას, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება პიროვნების ხელშეუხებლობასა და მისი ღირსებების დაცვას, ყოველთვის ამ კრიტერიუმით უნდა ხელმძღვანელობდეს, რადგან ადამიანები იმიტომ გაერთიანდნენ საზოგადოებად, რომ ერთობლივი ძალით უკეთ დაიცვან ის კუთვნილი, თანდაყოლილი უფლებები, რომელთა უმრავლესობას ისინი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობამდე უშუალოდ თვითონ ახორციელებდნენ. ი. ჭავჭავაძე ასკვნის, რომ „თითონ მიზეზი და საბუთი საზოგადოების არსებობისა მარტო ეგ მოვალეობაა"[2].

მთავრობის მხრივ ადამიანთა პირადი უფლებების შეზღუდვა უკანონობაა, მეტიც, სახელმწიფო თვითონ უნდა იცავდეს ადამიანთა პირად უფლებებსა და თავისუფლებებს მოქმედი კანონმდებლობის საშუალებით. კანონმდებელმა არა მარტო მოქალაქეთა ვალდებულებები უნდა დააგენოს, არამედ საკანონმდებლო გზით ხელშეუხებლად უნდა გამოაცხადოს ადამიანთა უფლებების, თავისუფლებებისა და ღირსების

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 243.
[2] ი ქ ვ ე.

დაცვა: „უფლება და მოვალეობა, რომელნიც არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილებისა, დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონმდებლობის ძალითა და ნიჭითა“[1]. კანონმდებლის დამოკიდებულება მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების დადგენისადმი იმით განისაზღვრება, რომ იგი საზოგადოების საერთო ინტერესებიდან გამომდინარე განსაზღვრავს მოქალაქეთა ვალდებულებებს, ხოლო მათ უფლებებს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგენს იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ადამიანი „უფალია თავის საკუთარ საქმეში, თავის ცალკე ინტერესების მოედანზედ“. მაგრამ ი. ჭავჭავაძე აქვე შენიშნავს, რომ მოქალაქეთა ვალდებულებების დადგენის მხრივ კანონმდებლის ხელისუფლება შეუზღუდველი არ არის, ყველაფერი, რასაც კანონმდებელი მოისურვებს, არ შეიძლება იყოს მოქალაქეთა ვალდებულების საგანი და გარდა ამისა, განსაზღვრული ვალდებულება, რომელიც ეჭვს არ იწვევს, რომ მოქალაქეებმა უნდა შეასრულონ, მოცულობის მიხედვით, არ შეიძლება კანონმდებელმა განსაზღვროს და დაადგინოს თვითონ ამ მოქალაქეთა დაუკითხავად. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ევროპის მოწინავე ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკა ამის მრავალ მაგალითს გვაძლევს, კერძოდ, ასეთია საკანონმდებლო საქმიანობა „იმისთანა ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, საცა არავითარი მოვალეობა, მკვიდრთათვის დადგენილი, მკვიდრთა დაუკითხავად შესაძლებელი არ არის“[2].

ამრიგად, უფლებისა და მოვალეობის შინაარსი განისაზღვრება საზოგადოების წევრთა ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებებით. კერძოდ, უფლება-მოვალეობები წარმოდგენას გვაძლევს საზოგადოებაში ინდივიდთა შორის „ჩემი“ და „შენის“ თანაფარდობაზე და ამდენად „რაც სხვისაა, — ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, — ეგ ჩემი უფლებაა“[3] ამიტომაც საზოგადოების კეთილდღეობა შეუძლებელია წარმოდგენილი იქნას მის წევრთა უფლება-მოვალეობის განსაზღვრის გარეშე. მეტიც სადაც მოქალაქეებს წარმოდგენა არა აქვთ საკუთარ უფლებებზე და მოვალეობებზე, იქ, რა მდიდარიც არ უნდა იყოს ქვეყანა, ხალხის კეთილდღეობა არ შეიძლება მიღწეული იქნას: „რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ აქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად თუ უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველივე უკან არ იწვევს, შეფერხებული ხომ არის და არის“[4]. ადამიანთა უფლება-მოვალეობებს კანონმდებელი ადგენს, მაგრამ შეუძლებელია ადამიანთა უფლება-მოვალეობების ერთმანეთისაგან სწორი

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 8.
2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 195.
3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 8.
4 იქვე.

გამიჯვნა, თუ მას საფუძვლად არ დაედო კანონის წინაშე ყველა თანასწორობა სქესის, სარწმუნოებისა და წოდებისაგან დამოუკიდებლად, რადგანაც საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი იურიდიული საფუძველია „პირადი თანასწორობა კანონის წინაშე, თანასწორობა, რომელიც სულია და გული ყოველის წყობისა“[1]. თავის ნაშრომებში — „პოლემიკური წერილები“, „ცხოვრება და კანონის“ გამო“, „წოდებათა თანასწორობა“ და ა. შ. ი. ჭავჭავაძე ანვითარებს აზრს, რომ შეუძლებელია საზოგადოების ერთ ნაწილს გააჩნდეს უფლებები, ხოლო მეორე ნაწილს კი მხოლოდ ვალდებულებები. იგი გადაჭრით მოითხოვს, რომ „უფლება და მოვალეობა ერთნაირის თანასწორობით განაწილებულ უნდა იქმნეს სოფლის ყველა მკვიდრზე, იმისდა მიუხედავად, თუ მკვიდრი რომლის წოდებისაა“[2]. ადამიანთა უფლება-მოვალეობების სწორი გამიჯვნა ადამიანთა ღირსების პატივისცემაა, რაც „ერთნაირად სავალდებულოა ყველასათვის, რა დასისა და რწმენის კაციც გინდ იყოს“[3].

კანონის წინაშე თანასწორობა ი. ჭავჭავაძეს მხოლოდ წოდებრივი სფეროთი არა აქვს შემოფარგლული, არამედ კანონის წინაშე თანასწორობა მას მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის გარეშეც წარმოუდგენლად მიაჩნია.

ქალთა ემანსიპაციის პრობლემას მიუძღვნა ი. ჭავჭავაძემ ნაშრომები: „დედათა საქმე“, „ქალების არჩევნების უფლება და ინგლისის პარლამენტი“, „დედათა საქმის გამო“, „პატარა საუბარი“ და ა. შ. „ქალები ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ნახევარს შეადგენს, მაგრამ მათი სამართლებრივი მდგომარეობა შეზღუდულია, ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ დარგში მოკლებული არიან იმ უფლებებს, რომლებიც მამაკაცებს გააჩნიათ, და ამ მძიმე მდგომარეობიდან ქალთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა დამთავრდება მხოლოდ მაშინ, როცა „ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზედ თავისის კუთვნილის ადგილის დასაჭერად“[5]. ქალთა ემანსიპაციისათვის ბრძოლა ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს, ბრძოლის საგანს წარმოადგენს ქალების ინტელექტუალური შესაძლებლობების თაობაზე გავრცელებული ცრურწმენა, რომლის მიხედვითაც ქალებს უნდა ვუყურებდეთ ისე, თითქოს მათ „იგივე ადამიანობა არ მოეთხოვებოდეს,

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 59.
2 ი ქ ვ ე, გვ. 101.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 270.
4 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს თხზულებათა სრული კრებულის (რედაქტორი პ. ინგოროყვა) მეოთხე და მერვე ტომებში გვხვდება დასანანი დაუდევრობა. მეოთხე ტომში (გვ. 369—374) გამოქვეყნებულია 1889 წლის 15 მარტით დათარიღებული ი. ჭავჭავაძის სტატია — „დედათა საქმე და ქალთა განთავისუფლება“, მერვე ტომში კი (გვ. 332—336) 1889 წლის 15 მარტის თარიღით ი. ჭავჭავაძის მიერ დაწერილი იგივე სტატია გამოქვეყნებულია მეორედ, ოღონდ სხვა სათაურით, — „დედათა საქმის გამო“.
5 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 192.

როგორც მამაკაცს"[1] და ქალს საზოგადოებაში მხოლოდ სამი დანიშნულება აქვს: დედობა, ცოლობა და დობა.) ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ქალები, რა თქმა უნდა, დები, ცოლები და დედებია, მაგრამ ქალთა ცხოვრებაში ამ მომენტებს მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ყველაფერი ეს „ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვა. კაცს დედობის, ქმრობის და სხვა ამისთანის გარდა კიდევ სხვა ბევრი მოვალეობა აქვს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე და ყველაზედ უწინარეს ამ მოვალეობას უნდა გაუძღვეს, მამაკაცია, თუ დედაკაცი. ამას მარტო კაი-კაცობა შესძლებს, ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე. იმიტომ რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოება არ არის"[2].

ეს მიზეზები განაპირობებს მთელ მსოფლიოში იმ მძლავრ მოძრაობას, რომელიც მიმართულია ქალთა განთავისუფლებისაკენ და მიზნად ისახავს ქალების ინტელექტუალურ შესაძლებლობაზე იმ მცდარი შეხედულებების აღმოფხვრას, რომელთა ტყვეობაში მყოფი საზოგადოება ქალებს „საძიძაოდამ და სამზარეულოდამ გარეთ არ უშვებდა და ამათ გარე არავითარს საქმეში მონაწილედ არა ხდიდა, ასე რომ ლუკმა-პურის საშოვარის გზას არ აძლევდა"[3]. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საზოგადოების მოწინავე ნაწილი ქალებთან ერთად აქტიურად იბრძვის ამ უსამართლობის აღმოსაფხვრელად. ქალების მოთხოვნას მამაკაცებთან უფლებრივი თანასწორობის შესახებ ი. ჭავჭავაძე „სამართლიანი უფლების" მოპოვებისათვის ბრძოლას უწოდებს და ამით ხსნის ქალთა განთავისუფლებისათვის მოძრაობის წარმატებებს მთელ მსოფლიოში: „დედათა მხნეობა, სამართლიანის უფლების მოპოვებაზედ მიმართული, აღარა ჰრჩება „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა" და დღე თითქმის ისე არ გადის, რომ სადმე — რასაკვირველია, განათლებულს ქვეყნებში-კი — ცოტად თუ ბევრად დედათა საქმე ფეხს არ იმაგრებდეს და ცხოვრების სარბიელზედ ცოტ-ცოტაობით მაინც ადგილს არ იპყრობდეს შემდეგის წარმატებისათვის"[4]. მიუხედავად მოპოვებული წარმატებისა, ქალთა ემანსიპაციისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის, რადგან კვლავ გადაუჭრელია მთავარი, კერძოდ, სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და საკანონმდებლო საქმიანობის სფეროში ქალებს არ გააჩნიათ მამაკაცებთან თანაბარი უფლებები. საზოგადოებრივი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს დარგებში მამაკაცებთან ქალების გათანასწორებისათვის, ი. ჭავჭა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 330.
[2] ი ქ ვ ე.
[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 190.
[4] ი ქ ვ ე.

ვაძის მტკიცებით, ბევრი რამ კეთდება ამერიკასა და ინგლისში. ი. ჭავ-ჭავაძე მიუთითებს, რომ ამერიკაში „დღეს არამცთუ ვისმე ეხამუშება, რომ მოხელეთა და ქვეყნის საქმეთა გამგებელია საარჩევნოდ მამაკაცებ-თან ერთად დედათაც კენჭი იქონიონ, არამედ თითონ დედანიც-კი რომ ამორჩეულ იქმნან თუნდ რესპუბლიკის პრეზიდენტადაც, არავინ გაიკ-ვირვებს და იოცებს“[1].

დიდ წინააღმდეგობებს წააწყდა ქალთა ემანსიპაციის საქმე ძველი ტრადიციების ქვეყანაში — ინგლისში. გამოჩენილი პოლიტიკოსების და მეცნიერების (სოლლსბერი, ბრაიტი, ჯ. სტიუარტ მილი და ა. შ.) ბრძო-ლამ ბევრი მომხრე შესძინა ქალებს, რომლებმაც მტკიცედ მოითხოვეს ინგლისის პარლამენტში არჩევნების უფლება. ი. ჭავჭავაძე სწორად შენიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ინგლისში დაკავ-შირებულია ქონებრივ ცენზთან, მაგრამ ინგლისელ მიწის მფლობელთა მეშვიდედი ნაწილი ქალებია, რომლებიც როგორც მიწის მესაკუთრენი ყველა გადასახადს იხდიან, მაგრამ საარჩევნო უფლებებს მოკლებულნი არიან და სწორედ ეს გარემოება გამოიწვევს მომავალში ინგლისელი ქა-ლების სრულ განთავისუფლებას დღევანდელი ჩაგრული მდგომარეობა-დან.

მაგრამ, საერთოდ, უმრავლეს ქვეყნებში ქალები უუფლებო მდგო-მარეობაში იმყოფებიან, ამ სახელმწიფოთა კანონები „დღეს სჩაგრავენ და ჰხუთავენ დედათა სამართლიან უფლებას“[2] მამაკაცების მსგავსად აქ-ტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ქალები საქართველოში, სადაც ქალთა განთავისუფლების საქმე „დღესაც იმ საბუთებზე ჰტრიალებს, რა საბუთებითაც ამ ოცისა თუ ოცდაათის წლის წინათ თავი იჩინა და მოედანზედ გამოვიდა. თითქო კაცობრიობას საზოგადოდ და რუსულ ლი-ტერატურას ცალკე მას აქეთ ეს საქმე წინ არ წაეწიოს, უფრო ფართოდ არ გადეშალოს, არ დაეყოვნებინოს და უფრო საბუთიანს საფუძველზედ არ ამოეყვანოს... აბა გადასინჯეთ ყოველი, რაც ამ საგანზედ ჩვენში წე-რებულა და იწერება დღეს, თუ უწინდელებრ მარტო სახელითა „დედო-ბისათა, ცოლობისათა და დობისათა“ არ ითხოვდნენ ამ საქმის ასე თუ ისე წარმართავს“[3]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, დღევანდელ საქართველო-ში ქალების უუფლებო მდგომარეობაში ყოფნა ჟამთა სიავით უნდა აიხს-ნას, წინათ, როცა საქართველო დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწი-ფო იყო, ქალები სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით მამაკაცებ-თან თანასწორუფლებიანი იყვნენ. ამას ადასტურებს უძველესი დროი-დან ჩვენამდე მოღწეული ისტორიულ-ფოლკლორული მასალები. მამა-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 191.
2 ი ქ ვ ე, გვ. 192.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 334.

კაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობას ცხადყოფს „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ავტორის, შ. რუსთაველის აფორიზმი „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, რომელიც დღესაც ქართველ ხალხში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ „ლომი ლომია, ერთია, — ძუ იყოს, თუნდა ხვადი“[1].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, იმავე დასკვნამდე მივყევართ ქართულ სალაპარაკო ენის მდიდარ მემკვიდრეობას, კერძოდ, ქართული ენის მასალებით თუ ვიმსჯელებთ ქართველი ქალსაც და კაცსაც ადამიანად მიიჩნევს, სახელდობრ, „ქართველი დედასაც კაცად ჰხდის და ამიტომ „დედა-კაცს“ ეძახის, როგორც მამას — „მამა-კაცს“. განსხვავება მარტო იმაშია, რომ თქვენ ერთის სქესისანი ხართ და ჩვენ მეორისანი, თქვენ დედობითა ხართ კაცნი და ჩვენ მამობით. არსება-კი ერთია, ორნივ კაცნი ვართ, ორნივ ღვთის სახისა და მსგავსებისანი. ასე შეუნახავს დიდი ღირსება დედისა ჩვენს ენას. არა გვგონია, რომელსამე სხვა ენაში დედაცა და მამაც ერთნაირად კაცად წოდებული იყოს“[2].

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოგვიანებით მომხდარმა ცვლილებებმა თავისი ასახვა ჰპოვა ამ ორი სქესის ადამიანთა — მამათა და დედათა სამართლებრივ მდგომარეობაში. სამწუხაროდ, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, მამაკაცები გაბატონდნენ დედაკაცებზე და ამ უკანასკნელებმა ვერ შეინარჩუნეს თავიანთი მაღალი მდგომარეობის აღმნიშვნელი სახელი; „ჩვენო დედებო, ჩვენო დებო, ჩვენო მეუღლენო და ერთობ გასათხოვარნო, გათხოვილნო, შეირჩინეთ ან შეგარჩინეთ — კი ყოვლად პატიოსანი, მაღალმნიშვნელობიანი სახელი „დედაკაცისა?“ ვაი რომ არა!.. ვაი რომ „დედაკაცნი“ წავიდნენ, აღარ გვყვანან და მარტო „ქალები“-ღა დაგვრჩნენ და, ჩვენის ფიქრით, აქ არის სხვათა შორის სათავე ჩვენის უბედურებისა“[3].

ი. ჭავჭავაძე ცდილობს შეიმუშავოს ღონისძიებანი, რომელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების შედეგად ქალები განთავისუფლდებიან ჩაგვრისაგან და მამაკაცების თანასწორუფლებიანი გახდებიან. მისი აზრით, საფუძველთა საფუძველს „ეგრეთ-წოდებულ „დედაკაცთა საქმის“ ჭეშმარიტს გზაზედ დასაყენებლად და, მაშასადამე, წარსამატებლად“ წარმოადგენს ქალთა აღზრდა-განათლება და მათ მიერ მეცნიერული ცოდნის დაუფლება. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ დღემდე ქალთა სწავლა-განათლების ძირითად მიზნად მიიჩნევდნენ მხოლოდ იმას, რომ ქალები კარგი ცოლები, კარგი დედები და კარგი დიასახლისები გამოსულიყვნენ, მაგრამ განათლებისა და ცოდნის ფარგლების ამგვარ შეზღუდვას არ შეუძლია ხელი შეუწყოს ქალების გამოყვანას

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 427.

2 ი ქ ვ ე.

3 ი ქ ვ ე, გვ. 427-428, 429.

ცხოვრების ფართო სარბიელზე. საერთოდ, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, განათლებისა და ცოდნის შეძენის ამგვარი გაგება მცდარია და ამიტომაც მამაკაცების სწავლა-განათლებისას არავინ ზრუნავს იმისათვის, რომ ისინი კარგი ქმრები, კარგი მეოჯახენი და კარგი მამები იყვნენ, თუმცა ეს მამაკაცთათვისაც ნაკლებად საჭირო არ არის. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ როცა მამაკაცების განათლებაზე ელაპარაკობთ, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ზოგადი განათლების მიღებით მან, როგორც ადამიანმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაიგოს ის მოვალეობა, რომელსაც ცხოვრება უკარნახებს და რის შემდეგაც იგი თვითონ დაეუფლება ცხოვრებისათვის საჭირო განსაკუთრებულ ცოდნასაც. ეხება რა ქალების ამ პრინციპებზე აღზრდის საკითხს, ი. ჭავჭავაძე მთლიანად იზიარებს ქალთა ემანსიპაციის თაობაზე პროგრესულ მოაზროვნეთა შეხედულებებს და აღნიშნავს: „განა ამავე აზრით არ უნდა მივმართოთ ქალების სწავლა-განათლების საქმე? განა ქალიც არ უნდა გამოვზარდოთ იმის შესაფერად, რასაც სიტყვა ადამიანი ჰნიშნავს მამაკაცის შესახებ? განა საჭირო არ არის ყოველი ჩვენი მეცადინეობა მივაქციოთ იმაზედ, რომ ქალს გონება გავუხსნათ ჭეშმარიტის აზრებისათვის, აღუფრთოვანოთ გულის-ტკივილი კაცობრიულის და მოქალაქეობრივის ინტერესებისათვის, გავაგებინოთ იგი ვალი, იგი თანამდებობა, რომელიც ამ ინტერესებს თან მოსდევს? ესეთის აზრებით, რწმენით და თვალთა-მხედველობით დედაკაცი გაუთანასწორდება მამაკაცსა“[1].

ადამიანთა უფლებების დაცვის აუცილებლობის ფართო გაგებიდან გამომდინარე ი. ჭავჭავაძე საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ დარგს აფასებს კრიტიკულად და გაბედულად მოითხოვს ძველი, დრომოჭმული და ჩამორჩენილი შეხედულებების გადასინჯვასა და შეცვლას ჰუმანიზმის პოზიციებიდან. ნაშრომში — „უკანონოდ-შობილთა უფლება“, რომელიც 1898 წლის 18 ნოემბერს გამოქვეყნდა, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „არც ერთი კაცთმოყვარე და მართლა განათლებული ადამიანი გვერდს ვერ აუქცევს და შეუმჩნეველად არ დააგდებს“[2] კანონიერი ქორწინების გარეშე დაბადებულებს, ანუ უკანონოდ შობილებს, რომლებიც მოკლებული არიან ელემენტარულ ადამიანურ უფლებებს, კერძოდ, „ამგვარად შობილისათვის არც სახელია, არც გვარია, არც დედა, არც მამა, არც მამეული, არც დედეული ქონება, არც მამა-შვილური და დედა-შვილური განწყობილება“[3]. უკანონოდ შობილთა ამგვარი სამართლებრივი მდგომარეობა სრული უსამართლობაა, რადგან ადამიანი, რომელსაც არავითარი კანონი არ დაურღვევია, დედ-მამის მიერ ჩადენილი იმ მოქმედების გამო, რომელსაც სახელმწიფო კანონსაწინააღმდე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 373.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 344.
[3] იქვე.

გოდ მიიჩნევს, საზოგადოების მიერ დეგნილია: „თუ დედ-მამის მოქმედება ამ შემთხვევაში, კანონის და საზოგადოების თვალით, საზღაური დანაშაულობა და ცოდვაა, შვილი მათი რათ უნდა დაისაჯოს მათის ცოდვის და დანაშაულობის გამო? მისი რა ბრალია, რომ დედ-მამამ უკანონოდ გააჩინა და ეს ამბავი დედ-მამისა საზღაურად მათ უნდა გაუხდეს შვილსა?"[1].

ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს რუსეთის სახელმწიფოში მოქმედ კანონს, ე. წ. უკანონოდ შობილთა შესახებ და მიუთითებს, რომ მოქმედი კანონი, რომელიც განსაზღვრავს უკანონოდ შობილთა მძიმე სამართლებრივ მდგომარეობას, ეწინააღმდეგება ჭეშმარიტი კანონმდებლობის სულს. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, კანონის სათავე საზოგადოებრივი ცხოვრებაა, რომელიც განაპირობებს მის შინაარსს, მაგრამ იმის დავიწყებაც არ შეიძლება, რომ კანონი ზემოქმედებას ახდენს იმავე საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ეს ზემოქმედება იმაში გამოიხატება, რომ კანონი კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის სულისკვეთებით ზრდის მოქალაქეებს, მათში ამტკიცებს კეთილშობილებასა და ღირსებას. კანონის სული იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ისეთი მოქმედებებისა და მოვლენების მიმართ, რომლებიც განკიცხვასა და ძრახვას არ იმსახურებენ, მოქალაქეები განაწყოს უარყოფითად, არამედ არა კეთილშობილება და უღირსობა სირცხვილის სამსჯავროზე გამოიტანოს. არაკეთილშობილებიდან წარმომდგარი მოვლენების მიმართ კანონის შიში და სირცხვილის შიში ერთმანეთს ემთხვევა, ერთმანეთს აძლიერებს და კანონი ქმედითი ხდება. მაგრამ როცა კანონის და სირცხვილის საზომები ერთმანეთს შორდება, მაშინ კანონი ვერავითარ ზემოქმედებას ვერ ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რადგან კანონით აკრძალული, როცა ადამიანებს სირცხვილად არ მიაჩნიათ, ადამიანთა შეგნებაზე კანონის დადებით, კანონმდებლის ნების შესაბამის ზემოქმედებას ადგილი არა აქვს. ამ მოსაზრების მიხედვით აფასებს ი. ჭავჭავაძე უკანონოდ შობილთა შესახებ მოქმედ კანონს: „შიში კანონისა ამ შემთხვევაში ხშირად ადგილს უთმობს ხოლმე შიშს სირცხვილისას, განკიცხვისას, ძრახვისას და ყბადაღებისას საზოგადოების მხრით, და აი ყოველივე ეს არის მიზეზი იმ ყოველგვარ ბოროტებისა, რაც დედ-მამის უკანონოდ დაახლოებას მოსდევს სისხლის სამართლის თვალით"[2].

ი. ჭავჭავაძე მთლიანად იზიარებს საზოგადოების მოწინავე ნაწილის გულისწყრომას ქორწინების გარეშე შობილთა მიმართ კანონის უსულგულო, არაადამიანური დამოკიდებულების გამო და კანონმდებლისაგან მოითხოვს უკანონოდ შობილთა საკითხის მოგვარებას სამართლიანობის მიხედვით, კერძოდ, ისეთი კანონის მიღებას, რომელიც „შეჩვენებით

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 344—345.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 345—346.

აღარ მოექცევა ასე თუ ისე შეცდომილ მშობლებს უკანონო შვილისას, რომელნიც შესაბრალებელნი უფრო არიან რაკი ესეა, ვიდრე შესაჩვენებელნი და ჩასაქრლავნი"[1].

ი. ჭავჭავაძის აზრით, ადამიანი ყველგან და ყველა ვითარებაში ადამიანია, ~~რომელსაც ბუნებითი სამართლის მიხედვით განსაზღვრული მუდმივი და უცვლელი უფლებები გააჩნია სარწმუნოების, სოციალური მდგომარეობის, ეროვნების და ა. შ. მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად~~ ამიტომ ადამიანთა უფლებების შეზღუდვა სარწმუნოებრივი, ეროვნული, სოციალური და ა. შ. მოსაზრებებით შეუძლებელია. 1895 წლის 19 დეკემბერს გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნებულ სტატიაში — „ოსმალეთის სომეხთა განწირვა" — ი. ჭავჭავაძე ეხება თურქეთის სახელმწიფოში სომეხთა ბრძოლას თავისუფლების მოპოვებისათვის, რასაც მთავრობამ სომეხი ხალხის დარბევით უპასუხა და იმედს გამოსთქვამს, რომ „ეს აწეწილი საქმე ისე არ ჩაივლის, რომ თავგანწირულ სომხებს ოსმალეთში ცოტა რამ სიკეთე არ დაეყაროს, მაგრამ ეს ცოტა რამ ძალიან ცოტა რამ იქნება და სომხებს ნაათალსაც ამ წამებისას ვერ უზღავს, რაც მათ გამოიარეს, რასაც იგინი ასე თუ ისე სამართლიანად ელოდნენ და რისთვისაც ასე საქებურად და სამაგალითოდ თავი გაიწირეს"[2]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე დაუშვებლად მიიჩნევს ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებში უცხოელების დევნასა და შევიწროებას, კერძოდ, გერმანიიდან პოლონელების გადასახლებას, ებრაელთა წინააღმდეგ გაჩაღებულ ანტისემიტიზმს და ა. შ. და გადაჭრით იბრძვის ერთა შორის მეგობრობისა და თანაარსებობისათვის[3], ყველა სახელმწიფოში ხალხების ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობისათვის: „ცივილიზაციის სახელით ერთა შორის ღობეები უნდა გამართონ! ეგ ბარბაროსობაა. ჩვენი ეროვნებური აღმატებულება, ჩვენი განათლება, ჩვენი კულტურა ვერ შეიწყნარებს მაგ უჯერო და უსამართლო ქცევას"[4].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საქართველოში, მისი ძლიერების პერიოდშიც კი, ადამიანთა კუთვნილი უფლებების დარღვევა სარწმუნოებრივ, ეროვნულ, სოციალურ ნიადაგზე, როგორც წესი უცხო და მიუღებელი იყო. სტატიაში — „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ" — ი. ჭავჭავაძე ამის მიზეზს საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების თავისებურებებში ხედავს. საქართველო თავისი ძლიერებისა და დამოუკიდებლობის ეპოქაში არ იცნობდა ეროვნულ და სარწმუნოებრივ ნიადაგზე ადამიანთა შევიწროებასა და დევნას, მათი უფლებების შეზღუდვას. საქართველოში მცხოვ-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 346.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 144.
3 ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 27—28.
4 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 241.

რები ყველა ერის ადამიანებს ქართველები დიდ პატივს სცემდნენ, მეტიც. სხვა ქვეყნებში ეროვნული, სოციალური და სარწმუნოებრივი მოტივებით დევნილნი, თავშესაფარს საქართველოში პოულობდნენ. არაბი და სომეხი ისტორიკოსების ნაშრომებზე დამყარებით ი. ჯავჯავაძე მიუთითებს, რომ დავით აღმაშენებელი „თავდადებული მოყვარე თავის ეროვნებისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნებისაც და სარწმუნოებისა. ამასთან შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც ყოვლადშემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის ღირსების თაყვანისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა... მეტი-ღა დიდ-ბუნებოვნება მოეთხოვება განა მეთორმეტე საუკუნის კაცს მაშინ, როცა დღეს, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს საკვირველებად მიგვაჩნია გლადსტონი, რომ ირლანდიის ეროვნებას და სარწმუნოებას ესარჩლება იმავე კაცთმოყვარეობით“[1].

ი. ჯავჯავაძის აზრით, დღევანდელ საქართველოში, როცა მას დამოუკიდებლობა აღარ გააჩნია, უხეშად ილახება ადამიანის ღირსება და უფლებები. ცივილიზებულმა კაცობრიობამ დიდი ხანია მსჯავრი გამოუტანა მტკიცებას, თითქოს ადამიანი ბუნებით ეგოისტია და აქედან გამომდინარე ადამიანთა საზოგადოებაში მტრობა, შური, ურთიერთბრძოლა აუცილებლობაა, რადგან „homo homini lupus est“ (ადამიანი ადამიანისათვის მგელია). ამ მოსაზრების გამოვლინებაა ჩვენს ქვეყანაში ადამიანის ღირსების დამცირება, მისი კანონიერი უფლებების შელახვა ცალკე ინდივიდისა თუ პრესის საშუალებით, მაგრამ ამაზე დიდი უბედურება ისაა, რომ საზოგადოებაში არ მოიძებნება ძალა, რომელიც ცილისმწამებელსა და ადამიანის უფლებებისა და ღირსების შემლახველს დაუპირისპირდება: „ისეთს თავზედ ხელაღებულს ლანძღვა-თრევას, ისეთს სიხარულით კაცის ავად ხსენებას არსად ჰნახავთ, როგორც ჩვენში... სამწუხარო ჭირთა-ჭირი ის არის, რომ ამის მომქმედს ბარაქალის ქუდსა ვხურავთ და ისიც გაბღინძული და გამოჭიმული დადის და უსირცხვილოდ ჰქადულობს თავის სამარცხვინო საქციელს“[2].

ი. ჯავჯავაძის მტკიცებით, საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფა შეუძლებელია ადამიანთა უფლება-მოვალეობების განუხრელი რეალიზაციის გარეშე, უფლება-მოვალეობების შინაარსი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ინდივიდის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობა ხელს უშლის მეორე ინდივიდის უფლების განხორციელებას. ამიტომაც საზოგადოების ძირითად საზრუნავს წარმოადგენს მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების განხორციელების რეა-

---

[1] ი. ჯავჯავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 181.
[2] ი. ჯავჯავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 254.

ლური საფუძვლების შექმნა, ყველა ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ „ჩვენი საკუთარი კეთილდღეობა ჩვენის მეზობლის კეთილდღეობაზეა დამყარებული“[1].

ადამიანთა დარღვეული უფლების აღდგენისათვის ბრძოლამ განსაკუთრებული ხასიათი მიიღო ახალ ეპოქაში, საქართველოში კი ეროვნული თვითმყოფადობის ამაღლებასთან ერთად სამოციან წლებში დაიწყო „დიდი ხნიდამ დადუმებული ჩივილი დაჩაგრული ადამიანობისა“ და საზოგადოების მოწინავე ნაწილი ცდილობდა კეთილისმყოფელი აზრის გამოღვიძებას „ადამიანობის დარღვეული უფლების სახელითა და თვით მოსაქმე ცხოვრების განკარგების წყურვილითა“[2]. (XIX საუკუნის 60-იანი წლების პროგრესულ მოღვაწეთა შორის ი. ჭავჭავაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც გააჩაღა ბრძოლა სოციალურ, ეროვნულ, სარწმუნოებრივ და ა. შ. სფეროებში ადამიანთა ღირსებისა და უფლებების დაცვის თაობაზე.)

ი. ჭავჭავაძე, იცავს რა ადამიანის უფლებებს, ამუშავებს რეკომენდაციებს დარღვეული უფლებების აღდგენის საშუალებათა შესახებ. მისი აზრით, ადამიანთა დარღვეული უფლების აღდგენაზე, პირველყოვლისა, უნდა ზრუნავდეს თვით სახელმწიფო, რომელიც თავისი შეხედულებით განსაზღვრავს ადამიანთა უფლება-მოვალეობების მოცულობას. სახელმწიფო უნდა იცავდეს ადამიანთა უფლებებს განსაკუთრებული საშუალებებით, კერძოდ, სასამართლო წესით. ამ მხრივ სანიმუშოა ინგლისის სახელმწიფოში არსებული კანონი პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ. ამ კანონის თანახმად მოქალაქეებს უფლება აქვთ დარღვეული უფლებების აღდგენის თაობაზე მიმართონ სასამართლოს, რომელიც ვალდებულია დაიცვას მოქალაქეთა კანონიერი უფლებები, ამ ვალდებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოსამართლეს იურიდიული პასუხისმგებლობა ეკისრება. ი. ჭავჭავაძე წერს: „სახელოვანი Habeas Corpus — ინგლისისა სხვა რა არის, თუ არ საფარველი იმ მართლა-და ძვირფასის ადგილისა, რომელსაც ადამიანის საკუთარი შინა, საკუთარი კერა ჰქვიან და სადაც მისი „მე“ მფლობელობს სხვის უნებლად“[3]. ყველა სახის დანაშაულის ჩადენისათვის კანონმდებელი აწესებს იურიდიულ პასუხისმგებლობას, და ამასთან ერთად, იგი აქვე ადგენს იმ შემამსუბუქებელ გარემოებებს, რომელთა მიხედვითაც უნდა განსაზღვროს მოსამართლემ პასუხისმგებლობის ზომა, მაგრამ ყოველგვარი დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის შეფარდებისას ყველა დანაშაულზე არ შეიძლება შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინება, კერძოდ, როცა დარღვეულია ადამიანის უფლებები და შელახულია მისი ღირ-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 271.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 226.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 243.

სება, აქ პასუხისმგებლობის განსაზღვრა შემამსუბუქებელი გარემოების მხედველობაში მიღებით შეუძლებელია. ის, ვინც ხელყოფს ადამიანის უფლებებს, იგი უნდა დაისაჯოს კანონის მთელი სიმკაცრით. მაგრამ, როცა ადამიანი იძულებულია დანაშაული ჩაიდინოს საკუთარი ღირსებისა და უფლებების დასაცავად, სასჯელის განსაზღვრისას არ შეიძლება მხედველობაში არ იქნას მიღებული, რომ ამ შემთხვევაში დანაშაული ჩადენილია ინდივიდის მიერ იმის გამო, რომ უკანონოდ ხელყვეს მისი კუთვნილი უფლებები. ყველა ქვეყანაში „ადამიანის სინდისს ცალკე და საზოგადოებისას საერთოდ ეს წმინდა საგნად მიჩნეული აქვთ ეს ადამიანის საკუთარი კერა, არამცთუ განათლებულ სახელმწიფოებში, არამედ ყველგან, საცა კი ადამიანია"[1].

სასამართლო წესით ადამიანთა უფლებების დაცვა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ იძულებითი ღონისძიებების მიღებასთან დაკავშირებულ საგანგებო ღონისძიებების გამოყენებას სამართალდამრღვევის მიმართ, მაგრამ ი. ჭავჭავაძეს ადამიანთა უფლებების დაცვის ნორმალურ და ჩვეულებრივ საშუალებად მიაჩნია საზოგადოება, მისი ზემოქმედებითი ძალა და შეგნება. საზოგადოების თითოეული წევრი კარგად უნდა იცნობდეს კანონით დადგენილ უფლებებს და ამ უფლებების განხორციელების საშუალებებს, მაგრამ მარტო ამაში არ გამოიხატება საზოგადოების როლი პიროვნების უფლებების დაცვაში, კერძოდ, საზოგადოების ყოველი წევრი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თანამოქალაქის უფლების დარღვევა ვინმეს მიერ საკუთარი უფლების დარღვევაა, ამ რწმენის არსებობისას ცალკეულ ბოროტმოქმედთა დანაშაულებრივი მოქმედება აღიკვეთება: „თუ ხალხს თავისი უფლება და მოვალეობა კარგად აქვს აწონილი და ცნობილი, თუ ამასთან ხორც-სისხლში გამჯდარი აქვს, რომ ჩემი მეზობლის უფლების დარღვევა, ჩემი უფლების დარღვევასაც მოასწავებს, მაშინ... კეთილად განზრახული საქმე შხამით არ ამოგვედინება ერთისა და ორის ბოროტმოქმედის კაცისაგან, მაშინ თვით ბოროტმოქმედნი ასეთის გამბედაობით და მხნეობით ასპარეზზედ არ გამოვლენ; ველარ წაქეზდებიან იმით, რომ ეს ულონოა და ხმას არ ამოიღებს, ამის გამო შემიძლიან ვიფარფაშო რამდენიც კი მინდაო; ველარ წაქეზდებიან თვითეულის კაცის ულონობით, იმიტომ რომ თვითეული დამყარებული იქნება სხვებზედ, ყველაზედ; ზურგი მაგარი ექნება"[2].

ადამიანთა ღირსებისა და უფლებების დაცვის საშუალებებიდან ი. ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პრესას. სამწუხაროდ სულმდაბალი ადამიანები შურის, სიხარბისა და მტრობის გამო სწორედ პრესას იყენებენ მათ მიერ უსაფუძვლოდ ათვალწუნებული ადამიანების

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 243.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 206—207.

ღირსებისა და უფლებების შესალახავად.) „როცა კაცზედ ვისმეზედ სჯა და ლაპარაკი მოგვიხდება ხოლმე, მოქმედებას კი არ ვუსინჯავთ; არა, ამას თავს ვანებებთ, სინდისში, გულში ვცდილობთ ჩახედვასა და იქაურობას ვუქოთებთ. არ არის არსად ქვეყანა, რომ ამისთანა საქციელს ასეთი სარბიელი ჰქონდეს, როგორც ჩვენში აქვს, ჩვენდა სამწუხაროდ. უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ საქციელის მომქმედსა კარი ღია აქვს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში და აქაო და კარი ღია არისო, ვისაც რა მოხვდება, არახუნებს მოშლილ წისქვილივით"[1]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, როცა პიროვნების ხელშეუხებლობაზე ვლაპარაკობთ, იგი ფართოდ უნდა გვესმოდეს, რადგან პიროვნების ხელშეუხებლობა მარტო პოლიციის თვითნებობისაგან ადამიანთა უფლებებისა და ღირსების დაცვას კი არ ნიშნავს, არამედ მასში იგულისხმება „ყოველგვარი ხელშეუხებლობა და, სხვათა შორის, იგიც, როცა სამარცხვინო და სახელგასატეხ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს ტყუილისა და მართლის წინასწარ გამოუძიებლად და აუწონლად"[2]. (პიროვნების უფლებებისა და ღირსების შელახვა განსაკუთრებით საშიშია პრესაში, რადგან წერილობით ლიტერატურას უამრავი ხალხი კითხულობს და პრესის მესვეურები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ეკიდებოდნენ სხვის ღირსებას.) ი. ჭავჭავაძე სასტიკად გმობს ჟურნალ-გაზეთების ზოგიერთ რედაქტორთა და კორესპონდენტთა უპასუხისმგებლობას, რადგან „რედაქციის კალამი ნიჩაბი ხომ არ არის, რომ აიღოს და ვინც არ ესიამოვნება, ლაფი და ტალახი შეასხას ან თავისის ან სხვისა ხელით"[3]. (ი. ჭავჭავაძე, როგორც XIX საუკუნის ქართული პრესის ერთ-ერთი გამოჩენილი მესვეური, თვითონ იძლეოდა სანიმუშო მაგალითს იმისა თუ რა დიდი სიფრთხილით უნდა ეკიდებოდეს გაზეთი ადამიანთა უფლებების დაცვას. წერილში — „ნუ-თუ?", რომელიც 1905 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში", ი. ჭავჭავაძე „მოგზაურში" გამოქვეყნებული სახელისგამტეხი წერილის პასუხად წერს: „მეც დიდი პატივისმცემელი ვარ პრესისა და ერთს დროს, ვიდრე ჯანმრთელობა არ შემერყა და ნებას მაძლევდა, მეც ერთი ჩანჩალა ვიყავ მისი, მაგრამ იმისთანა პატივისმცემელი-კი არას დროს არ ვყოფილვარ და არცა ვარ, რომ ყოველ წარამარად ბღაჯვნას პრესის წმინდა სახელი ვუწოდო, ან პრესის ყოველივე საქციელი ვაქო და ვადიდო ბრმად და განუსჯელად"[4]. და მართლაც, ი. ჭავჭავაძის ჟურნალისტური საქმიანობა ამის მრავალ მაგალითს იძლევა, იგი ყოველთვის ფრთხილად და სათუთად ეპყრობოდა ადამიანების პირად ცხოვრებას, მათ ღირსებასა და უფლებებს და ცდილობდა პრესა გამოეყენებია ადამიანთა ზნეობის

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 107
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 270.
3 იქვე, გვ. 271.
4 იქვე, გვ. 271—272.

გაკეთილშობილებისათვის, მაგრამ თუ უნებლიე მარცხი მოუვიდოდა ამ მხრივ, მას გამბედაობაც ყოფნიდა ამავე პრესის საშუალებით ბოდიში მოეხადა საჯაროდ უსაფუძვლოდ სახელშელახული პირისათვის.) 1887 წლის 2 ივლისს გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის სტატია — „გაზეთ „ივერიის" მარცხი", რომელშიც ი. ჭავჭავაძე საჯაროდ აცხადებს, რომ მისი გაზეთის რედაქციამ შეცდომა დაუშვა, როცა დაბეჭდა მოთხრობა, რომელშიც მოყოლილი ამბავი მიზნად ისახავდა განსაზღვრული პირის განზრახ სახელის გატეხას. ი. ჭავჭავაძე ბოდიშს იხდის იმისათვის, რომ „ვერ მივუხდით შინაგანს აზრს მოთხრობისას და იქ-კი, საიდამაც გამოგზავნილი იყო იგი მოთხრობა, ყველანი მიმხვდარან, რაც ამბავია: თურმე ნუ იტყვით, სდომებიათ უპატიურად გაეხადათ ნიშანში ამოღებულნი, ჯავრის ამოსაყრელნი გვამნი — და ამით ხელნაწერად გავრცელებულ პასკვილისათვის გაზეთში გამოტარებულ სიტყვით ცოტად თუ ბევრად გზა გაეხსნათ... გულით ვწუხვართ, რომ ესე მოუხდა „ივერიას"[1].

პრესაში სახელისგამტეხი მასალის გამოქვეყნება, რაც არღვევს პიროვნების ხელშეუხებლობას, კერძოდ, ლახავს მის ღირსებასა და პირად უფლებებს, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, შეიძლება ცნობილ იქნას სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებად და მაშინ დამნაშავეს უნდა შეეფარდოს სასჯელი. ამ შემთხვევებს კანონმდებელი უწოდებს დიფამაციას, ე. ი. ბეჭდვით ორგანოებში ისეთი ცნობების გამოქვეყნებას, რომლებიც ლახავს რომელიმე პირის, დაწესებულებების და ა. შ. ღირსებას. დიფამაციის შესახებ ი. ჭავჭავაძის მოსაზრებანი გამოთქმულია 1886 წლის 8 ოქტომბერს გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ სტატიაში — „ქართული გაზეთის „დროების" რედაქტორის ივანე მაჩაბელის გასამართლება". სტატიაში მოთხრობილია თბილისის სასამართლო პალატის მიერ გაზეთ „დროების" რედაქტორის ივ. მაჩაბელის გასამართლების შესახებ. გაზეთმა დაბეჭდა ზღაპრად მოთხრობილი ამბავი, რომლის ერთ-ერთ მოქმედ პირად თავისი-თავი შეიცნო მოხელემ, თუმცა კონკრეტულად ეს მოხელე არც დასახელებული ყოფილა და არც რაიმეთი მინიშნებული. სასამართლომ განიხილა ამ მოხელის საჩივარი და გაზეთის რედაქტორი გაამართლა, რადგან გაზეთს არ შეულახავს მომჩივანის ღირსება. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, პრესაში პიროვნების ღირსების შელახვის ფაქტის დადგენისათვის საკმარისი არ არის ზღაპრად მოყოლილი ამბავი, არამედ პირის ღირსება შელახულად ჩაითვლება მაშინ, როცა კონკრეტულად დასახელებულია იგი, ანდა რაიმეთი მონიშნებულია ამ პირის შესახებ. სასამართლოს მიერ პირის ღირსების შელახვად ზღაპრად მოყოლილი ამბავის მიჩნევა, ეწინააღმდეგება კანონის სულს და ამცირებს მართლმსაჯულების მნიშვნელობას: „ვინ იტყვის, რომ კანონი

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 252.

არ უნდა უფრთხილდებოდეს ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობას, ვინ იტყვის, რომ იგი არ უნდა ესარჩლებოდეს ყოველ კაცს, რომლის პატივი და სახელი საქვეყნოდ გაუპატიურებია და შეურაცხყოფილი ვისგანმე. მაგრამ მეტისმეტი დაქვეითება იქნება კანონისა, რომ კაცმა ზღაპრად დაწერილი ამბავი თავის-თავზედ მიიღოს და კანონს სთხოვოს, გამომესარჩლეო"[1].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ადამიანთა უფლებების დაცვასა და წარმატებით განხორციელებას ისახავს მიზნად არა მარტო სამართალი, არამედ სხვა სოციალური მოვლენები, კერძოდ, ჩვეულებები და ადათ-წესები, მორალი და ა. შ. ზემოაღნიშნული ნორმები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობაში, საკუთარი, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფორმებით და საშუალებებით ახდენს ზეგავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამიტომ ადამიანთა კეთილდღეობისა და ბედნიერების უზრუნველსაყოფად ი. ჭავჭავაძის ინტერესის საგანს წარმოადგენს სამართლისა და სხვა სოციალური ნორმების ურთიერთდამოკიდებულებების თავისებურებათა შესწავლა.

### § 3. სამართალი, მისი სახეები და სხვა სოციალური მოვლენები

ადამიანთა სულიერი და მატერიალური ცხოვრების სფეროში ჩნდება მრავალფეროვანი ურთიერთობები, რომელთაც საზოგადოების არსებობისათვის გარკვეული დანიშნულება აქვთ. მაგრამ ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, „არიან ზოგიერთი იმისთანა ქვეყნები, საცა ურთიერთობა კაცთა შორის იქამდე უკან ჩამორჩენია თავის დანიშნულებას, რომ ადამიანის ნამუსს, პატიოსნებას... ვერაფერს სარჩლს ვერ უწევს, ვერა ჰპატრონობს, ვერ უვლის და ვერ იფარავს შებღალვისაგან"[2]. აუცილებელია ისეთი ძალა, რომელიც მათ განვითარებას წარმართავს საზოგადოების საკეთილდღეოდ. ეს ძალაა სამართალი, მორალი, ზნე-ჩვეულებანი, ადათ-წესები და ა. შ. ყველა ზემოაღნიშნული სოციალური მოვლენის შინაარსს წარმოადგენს ქცევის განსაზღვრული წესი, რომელიც ახდენს ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებას. „მრავალ" სამართლის, მორალის, ზნე-ჩვეულებების და ა. შ. საერთო დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის, რომ ისინი მიზნად ისახავენ საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა საქმიანობის რეგულირებას განსაზღვრული ქცევის წესების მიხედვით, მაგრამ ამ ზოგადი თავისებურების მიუხედავად მათ შორის ადგილი აქვს მნიშვნელოვან განსხვავებას.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 234.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 259.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სოციალურ მოვლენებში დადგენილი ქცევის წესები თავიანთი ფორმით შეიძლება იყოს დაწერილი და დაუწერელი. დაწერილ სოციალურ ნორმებს წარმოადგენს სამართალი (კანონი). ხოლო დაუწერელს — მორალი, ზნე-ჩვეულებანი, ადათ-წესები და ა. შ. სამართლის გარდა, ქცევის წესების შემცველი ყველა დანარჩენი სოციალური მოვლენა „ერისათვის იგივ რჯულია, იგივ კანონია, მხოლოდ დაუწერელი“[1] ი. ჭავჭავაძე ყურადღებით იკვლევს დაწერილი და დაუწერელი ქცევის წესების ღირსება-ნაკლოვანებებს და მიუთითებს, რომ დაუწერელ ქცევის წესებს, კერძოდ, ჩვეულებებს ის უპირატესობა აქვს წერილობითი ფორმით გამოხატულ ქცევის წესებთან შედარებით, რომ ჩვეულებები უშუალოდ საზოგადოებრივი ცხოვრების შიგნით თავისთავად ჩამოყალიბებული ქცევის წესებია და ისინი წარმოადგენენ არა რომელიმე დაწესებულებების შემოქმედების შედეგს და საზოგადოებისათვის გარედან თავსმოხვეულს, არამედ ცხოვრების უტყუარი საჭიროებით აღმოცენებულს[2], ამიტომაც მისი ზემოქმედება ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე მეტისმეტად ეფექტურია. „ჩვეულებას იგი უპირატესობა აქვს დაწერილს კანონის წინაშე, რომ ყოველთვის ცხოვრების ჭეშმარიტის საჭიროების დანაბადია და ყოველთვის უტყუარი წამალიც არის ამ საჭიროებისა, თუ ყოველს დროს არა, პირველ ხანებში მაინცა“[3] მაგრამ ამ ღირსების მიუხედავად, დაუწერელ სოციალურ ნორმებს და, კერძოდ, ჩვეულებას ის ნაკლი აქვს, რომ მისი მოთხოვნები არაა დეტალიზებული და ნათელი, რადგან დაუწერელი სოციალური ნორმები არსებობენ მხოლოდ ადამიანთა შეგნებაში. ამის გამო, ერთი და იგივე ზოგადი შინაარსის ჩვეულებით დადგენილი ცალკეული წესი მთელი სისრულით ადამიანთა ყველა კოლექტივში ერთნაირად არ მოქმედებს. ყოველ შემთხვევაში, დაუწერელი ქცევის წესების ზუსტი შინაარსის დადგენა შეუძლებელია, რის გამო ადამიანთა ცალკეულ კოლექტივებში გეხვდება მრავალგვარი ჩვეულებანი. დაუწერელი ქცევის წესებისათვის დამახასიათებელი ეს ნაკლოვანება სრულიად უცნობია დაწერილი კანონისათვის, რომელიც ყოველთვის გადმოცემულია წერილობითი ფორმით და მასში დადგენილი ქცევის წესები სრულიად ნათელი და დეტალიზებულია. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ დაუწერელი სოციალური ნორმები, მართალია, უშუალოდ „ცხოვრების ჭეშმარიტის საჭიროების დანაბადია“, მაგრამ დაუწერელ სოციალურ ნორმებს და, კერძოდ, ჩვეულებებს „ერთი არსებითი ღირსება დაწერილის კანონისა კი აკლია. დაწერილი კანონი, მარტო იმით, რომ დაწერი-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 154.

[2] ი. ს ო ნ გ უ ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 59; ვ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, გვ. 90.

[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 154.

ლია, მინამ არის — ისეა, რომ არას მიიწებებს, არას აიკრავს ზედ, რასაც აჩენს და ჰბადავს ხოლმე ხშირად ხარბი ინტერესი წუთისა, ჩვეულება ამისაგან თავისუფალი არ არის; კანონი კი თავისუფალია. აი დიდი ღირსება კანონისა, რომელიც ჩვეულებას აკლია"[1].

დაწერილ კანონში გადმოცემული ქცევის წესების დეტალიზებული და დახვეწილი ფორმა სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობის შედეგია. სახელმწიფო საზოგადოებრივი ურთიერთობების ეფექტიანი რეგულირების მიზნით ზუსტად განსაზღვრავს ადამიანთა უფლება-მოვალეობებს, მათი ურთიერთდამოკიდებულების წესებს. დაუწერელი ქცევის წესების, კერძოდ, ჩვეულებების შემოქმედი ხალხია, საზოგადოებაა, მაგრამ რადგანაც საზოგადოება სახელმწიფომდე არსებობდა, ამდენად ჩვეულებები უძველესი ქცევის წესებია და ისინი წინ უსწრებდა დაწერილ კანონებს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მიწის საერთო საკუთრების თაობაზე წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებდა ჩვეულებები, რომლებიც გაჩნდა უძველეს დროში, მიწის საერთო საკუთრების ბატონობის პერიოდში. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საერთო საკუთრების „დასაწყისი... მეცნიერთა აღმოაჩინეს თითქმის ისტორიის საშუალო ხანის პირველ საუკუნოებში. ასეთი ხანგრძლივობა არსებობისა ცხადად გვიმტკიცებს, რომ რჯულსა და კანონს გარეთ დაშთენილს მფლობელობას სხვის მიწისას რაზედმე უნდა ჰქონოდა ფეხი გამაგრებული, რასმე უნდა შეენახა, ეპატრონა, რაიმე უნდა ფარად შეჰქმნოდა. ეს „რაიმე" ჩვეულებაა"[2].

ამასთან ერთად, დაუწერელი კანონები დაწერილ კანონებთან შედარებით გამოირჩევა არაჩვეულებრივი სიმტკიცითა და მდგრადობით, ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობენ საზოგადოებაში და თაობიდან თაობას გადაეცემიან. დაწერილი კანონები სახელმწიფოს მიერაა შექმნილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათი მოქმედება, როგორც წესი, წყდება სახელმწიფოს განკარგულებით, კერძოდ, სახელმწიფო, როცა ადგენს ახალ კანონს, ძველს აუქმებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დაწერილი კანონის მოქმედების სფერო დროის ფარგლებში შეზღუდულია. რაც შეეხება ჩვეულებებს, ისინი შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოქმედებენ და ამასთან ერთად, ჩვეულებები ყველა ხალხს და მათ შორის „ჩვენს საქართველოს ერსა რჯულთ უმტკიცესაც მიაჩნია სამართლიანად"[3].

ი. ჭავჭავაძე ინტერესით იკვლევს დაუწერელი ქცევის წესების და, განსაკუთრებით, ჩვეულებებისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის, რომ სახელმწი-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 154.
2 ი ქ ვ ე, გვ. 153.
3 ი ქ ვ ე.

ფო წერილობითი ფორმით ადგენს კანონს, რომლის ბრძანებები უმრავლეს შემთხვევებში ზღუდავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩვეულებების მოქმედების სფეროს და ამ მხრივ დაწერილ კანონსა და დაუწერელ ქცევის წესებს, ე. ი. ჩვეულებებს შორის ადგილი აქვს გარკვეულ წინააღმდეგობას. მაგალითად, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, მიწის რენტა და სამსახურის უცვლელობა მიწისმფლობელობაში ზღუდავს კერძო საკუთრებას და აძლიერებს საერთო საკუთრების საწყისებს. მიწის საერთო საკუთრების სახეა ხიზნობა, რომელიც როგორც მიწისმფლობელობის ფორმა ყველა ხალხში გვხვდება. მაგრამ საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციამდე, მეტიც, 1848 წლამდეც კი, კანონმდებლობაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მიწის მესაკუთრეებს ჰქონდა, ამიტომ მიწისმფლობელები დაინტერესებული არ იყვნენ კანონით განემტკიცებინათ საერთო საკუთრების საწყისები. ამით უნდა აიხსნას, რომ არც ერთ ქვეყანაში არ არსებობდა კანონი, რომელიც მიწის რენტისა და სამსახურის უცვლელობას და, კერძოდ, ხიზნობას დაიცავდა: „პირიქით, საცა შემთხვევა მიზეზს აძლევდა, რჯული, კანონი სდევნიდა ხსენებულს მიწათმფლობელობას“[1], რომელსაც მხოლოდ ჩვეულება იცავდა. ამრიგად, დაწერილი კანონი სდევნიდა ხიზნობას, მაგრამ ამგვარ მიწისმფლობელობას მფარველობდა ჩვეულება, ე. ი. ხიზნობის თაობაზე ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობას კანონსა და ჩვეულებას შორის. ეს წინააღმდეგობა კანონსა და ჩვეულებას შორის საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სხვა დარგისათვისაც არის დამახასიათებელი, ამიტომაც, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სახელმწიფო ცდილობს აღმოფხვრას კანონსა და ჩვეულებას შორის კონკურენცია. კანონსა და ჩვეულებას შორის წინააღმდეგობის გადაჭრას სახელმწიფო ახერხებს სხვადასხვა საშუალებებით, რომელთაგან, ი. ჭავჭავაძის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვეულებით განმტკიცებული წესების დაწერილი კანონის ფორმით დადგენას. ამ შემთხვევაში ჩვეულება ღებულობს კანონის სახეს ანუ სხვანაირად, ჩვეულება ხდება სამართლის წყარო: „ამ ბოლოს ხანებში იძულებულ ჰქმნა ზოგიერთი სახელმწიფო ევროპისა, სახე დაწერილის კანონისა მიეცა იმ ჩვეულებისათვის, რომელიც ხსენებულს მიწათმფლობელობას შეეხებოდა. ეს იძულება და მიმართულება რჯულმდებლობისა, რომ ჩვეულება დაწერილ კანონად იკურთხოს, გამოითქვა იმით, რომ ჰოლანდიაში რჯულად დაადვა ბეკლემრეხტი, პორტუგალიაში აფორამენტო, ინგლისში ოლსტერის ჩვეულება, რომელიც, თითქმის მთლად ჩვენებურის ხიზნობის ავკარგიანობით, სახელოვანმა გლადსტონმა სარჩულად დაუდვა ეგრეთწოდებულს ირლანდიის საადგილმამულო ბილს 1872 წელს“[2].

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 154.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 154—155.

ი. ჭავჭავაძის აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში სახელმწიფოს როლის ამაღლებამ აუცილებელი გახადა მრავალრიცხოვანი და ძალიან ხშირად, შინაარსით განსხვავებული ჩვეულებების ნაცვლად, საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთიანი კანონით მოწესრიგება. სახელმწიფო ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობის კანონის მიხედვით მოწესრიგებას საკუთარ მონოპოლიად აცხადებს და ამით ზღუდავს ჩვეულებების მოქმედების სფეროს. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ „ცხოვრების მოთხოვნილება და მოძრაობა, ამ მხრივ მიდრეკილი და მიმართული, ყველგან თავს იჩენს. ამიტომაც დღეს ეგ მოთხოვნილება და მოძრაობაა საგანი სახელმწიფო მმართველობის მზრუნველობისა ყველგან საზოგადოდ... და ეს მიზეზნი უფრო მეტად სასურველადა ჰხდიან დაუწერელის კანონის დაწერილ კანონად გარდაქმნასა“[1].

შედარებით უფრო ძნელ პრობლემებთან არის დაკავშირებული დაწერილი კანონისა და დაუწერელი სოციალური ნორმების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა რთულ, მრავალეროვან სახელმწიფოში. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა შეიცვალა რუსული მმართველობით, ქართული კანონების ნაცვლად რუსული კანონების მიხედვით ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება. მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქართული სახელმწიფოებრივობის პირობებში აღზრდილი ხალხისათვის ძნელი აღმოჩნდა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის ქვეშ ცხოვრება, მას უფრო სამართლიანად, უფრო მოსახერხებლად მიაჩნია ადგილობრივი ადათ-წესები და, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონი არსებობს, მშრომელი ხალხი მაინც ადგილობრივად არსებული ჩვეულებების მიხედვით წყვეტს ადამიანთა შორის წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ რთულ სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხებში, რომელთაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა დაკარგეს და ახლა ცხოვრება ცენტრალიზებული სახელმწიფოს კანონმდებლობის მიხედვით უხდებათ, ეს შეუსაბამობა სახელმწიფოს მიერ დადგენილ დაწერილ კანონებსა და დაუწერელ ადგილობრივ კანონებს ანუ ჩვეულებებს შორის, საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა დარგში გვხვდება, რაც იწვევს ქვეყნის შიგნით ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების არასაკმაო სიმტკიცით მოუწესრიგებლობას. საერთოდ, თითქმის ყველა ქვეყანაში საკანონმდებლო პრაქტიკა იმ გზას ადგას, რომ ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში ჩამოყალიბებულ და განმტკიცებულ ჩვეულებებს სახელმწიფო დაწერილ კანონად ადგენს, მაგრამ ამის საჭიროება საქარ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 155.

თველოში უფრო მეტად იგრძნობა, რადგან ჩვენში ადგილობრივი ჩვეულებების დაწერილ კანონებად გარდაქმნის აუცილებლობას საკუთარი სპეციფიკური მიზეზები გააჩნია, კერძოდ, საქართველო რუსეთის სახელმწიფოშია გაერთიანებული, ქართველ ხალხს კი საკუთარი ადათ-წესების მიხედვით უფრო ურჩევნია საზოგადოებრივ ურთიერთობებში წამოჭრილი სადავო საკითხების მოგვარება, ვიდრე რუსეთის სახელმწიფოს მიერ დადგენილი დაწერილი კანონების მიხედვით ცხოვრება. ამ წინააღმდეგობის გონივრული გადაჭრის გზას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შევსება ადგილობრივი ჩვეულებებით დადგენილი ქცევის წესებით. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ ყველა თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყანაში (ინგლისი, ჰოლანდია, პორტუგალია და ა. შ.) სახელმწიფო ამ მოთხოვნების გათვალისწინებით სრულყოფს კანონმდებლობას, მაგრამ ჩვენში ამის აუცილებლობას საქართველოს სპეციფიკური მდგომარეობით განპირობებული მიზეზები განსაზღვრავენ: „განსაკუთრებით ჩვენშიო, ვამბობთ იმიტომ, რომ აქ, გარდა საზოგადო მოძრაობისა, საკუთარი კერძო მიზეზნიც არიან, მით არა ნაკლებ მწვავენ, და ეს მიზეზნი უფრო მეტად სასურველადა ჰხდიან დაუწერელის კანონის დაწერილ კანონად გარდაქმნასა ჩვენში“[1].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ რადგან ჯერ-ჯერობით დაწერილი კანონის სახე ვერ მიიღო საქართველოში მოქმედმა მრავალმა ჩვეულებამ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში კანონის გვერდის ავლით საზოგადოებრივი ურთიერთობების დიდი ნაწილი კვლავ ადათ-წესებით წესრიგდება: „მამულის გაყიდვა და დაგირავება, საქონლის გაბარება მოსაშენებლად. ერთ-ურთ შორის აღებ-მიცემობა, სხვადასხვა მცირე დანაშაულობის გასამართლება და ათასი ამგვარი მოვლენა, ხალხის ადათზეა დაფუძნებული და ამ ადათს ემორჩილება... მართალიც არის, მდაბიო ხალხის ეკონომიკური და იურიდიული ცხოვრება ჯერ-ჯერობით ისე ვიწროთ და მკვიდრად შემოფარგლული წრეა, რომელსაც მაგრე მალე და ადვილად დაწერილი კანონი ვერ დაარღვევს და ვერ შეუვა“[2]. სწორედ ამის გამო აუცილებელია არა მარტო სამართლის შემფარდებლებმა შეისწავლონ ხალხის ჩვეულებანი, მისი წარმოდგენები და შეხედულებები სამართალზე და საერთოდ სამართლიანობაზე, არამედ საჭიროა ხალხის ჩვეულებების მეცნიერული დამუშავება და „სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ — რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი“[3].

ზოგიერთი საზოგადოებრივი ურთიერთობა თავისი ბუნებით ისეთი სადავიდარაბო და მიზეზიანია, რომ კანონით მათ მოწესრიგებას არავი-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 155.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 192.
[3] ი ქ ვ ე.

თარი სარგებლობა არ მოაქვს, მეტიც, ამ ურთიერთობების კანონით მოწესრიგებამ ადვილი შესაძლებელია დიდი ზიანი მოუტანოს საზოგადოებას. მაგალითად, მიწის წილზედ ჭერა, რომელიც ორ წოდებას — მემამულეებსა და გლეხებს შორის ურთიერთობის საჭირბოროტო მხარეებთანაა დაკავშირებული, საქართველოში არასდროს არ ყოფილა, იგი ჩვენში საგლეხო რეფორმამ, ე. ი. სახელმწიფოს მიერ დადგენილმა კანონმა შემოიტანა და ამდენად „ჩვენის ხალხის ჩვეულებაზედ არ არის აღმოცენებული"[1]. ამიტომ მიწისმფლობელობიდან წარმომდგარი ურთიერთობები ჩვენში დაწერილი კანონით შეუძლებელია მოწესრიგდეს: „მიწის-ჭერაში ჩვეულება ყველა სხვა ძალაზედ მტკიცეა, თვითრჯულია, და... ამის გამო პირველი და უპირატესი ყურადღება მიქცეულ უნდა იქნას ჩვეულებაზედ, როცა მიწის-ჭერის შესახებ რაიმე ცვლილება საჭიროდ დანახულია"[2].

ჩვეულებების მიხედვით საადგილმამულო ურთიერთობების მოწესრიგება არის ის მტკიცე იურიდიული საფუძველი, რომელზეც აგებული იყო საქართველოს ეკონომიკური წყობილება მისი აყვავებისა და ძლიერების პერიოდში. ი. ჭავჭავაძე თავის წერილში — „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ" — იკვლევს ქართველი ხალხის საუკუნეობრივ ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ეროვნული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და ამტკიცებს, რომ ეროვნული თვითმყოფადობისათვის ბრძოლაში ქართველი ხალხის მიერ მოპოვებული წარმატებები ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობილების თავისებურებაში უნდა ვეძებოთ, კერძოდ, ქართველ ხალხში განმტკიცებული ჩვეულების ძალით მიწის საკომლო (კერძო) საკუთრება შეზღუდული იყო, საადგილმამულო ურთიერთობებში გაბატონებულს წარმოადგენდა მიწის საერთო (სამსოფლო) საკუთრება. ჩვეულება, როგორც უდიდესი სოციალური ძალა, აქტიურ ზემოქმედებას ახდენდა ძველი საქართველოს ეკონომიკურ წყობილებაზე, განსაზღვრავდა მის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ხალხი უფრთხილდებოდა საერთო საკუთრებას, რადგან მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ მხოლოდ „სამსოფლო" საკუთრების გაძლიერებას შეეძლო მიწისმფლობელობაში უთანასწორობის აღმოფხვრა და „ეს იქიდამა სჩანს, რომ ჩვეულებამ ფრთა შეაკვეცა საკომლო განვითარებას... ერთს კომლს სოფელში ჩვეულებით დადგენილზედ მეტი არ შეეძლო მამულები დაეჭირა"[3].

ჩვეულებას სამართალთან შედარებით უფრო მეტი სიმტკიცე და მდგრადობა ახასიათებს, მაგრამ ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ეს იმას არ

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 20.
2 იქვე.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 177.

ნიშნავს, რომ წეს-ჩვეულებანი არ ვითარდებოდეს და არ იცვლებოდეს. ადათ-წესები გამოხატავენ ცალკეული ხალხების განსაკუთრებულს, სპეციფიკურს და ამდენად მათი არსებობა ხალხის ცხოვრების თავისებურებებისაგან დამოუკიდებლად წარმოუდგენელია. ყველა ქვეყნის „ცხოვრებას, მოქალაქურს, თუ ეკონომიკურს, თავისი საკუთარი დვრიტა აქვს, თავისი საკუთარი დედა, რომელსაც შეუდედებია მისი აწმყო, რომელმაც აწ უნდა შეუდედოს მისი მომავალი"[1]. ჩვეულებებისა და ადათ-წესების კავშირი ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებასთან პირველყოვლისა იმაში პოულობს გამოხატულებას, რომ ისინი ვითარდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების მხარდამხარ, მასთან ერთად: „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან"[2]. მართალია ცხოვრებასთან ერთად ყველაფერი იცვლება, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების მუდმივ ცვალებადობასთან ერთად სოციალური ნორმების (სამართალი, ადათ-წესები, ჩვეულებები, მორალი და ა. შ.) შეცვლას თავისი კანონზომიერება აქვს. საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლა და განვითარება ნიშნავს ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობების მთლიან მოსპობას ან მისი განვითარების გზით გარდაქმნას ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებად, ძველი, დრომოჭმული საზოგადოებრივი ურთიერთობების ნაცვლად ახალი, პროგრესული საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. საზოგადოებრივი ცხოვრების ამგვარი განვითარება და ცვლილება ერთნაირ ზეგავლენას არ ახდენს ზემოაღნიშნულ სოციალურ მოვლენებზე. როცა ამ ზეგავლენის თავისებურებებზე ვლაპარაკობთ, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი, დრომოჭმული საზოგადოებრივი ურთიერთობების ადგილზე ახალი, პროგრესული საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება იწვევს ძველი კანონების გაუქმებას და მათ ადგილზე სახელმწიფო ქმნის ახალი, პროგრესული საზოგადოებრივი ურთიერთობების შესაბამის სამართლის ნორმებს. ყოველი სახელმწიფო საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების დონის შესაბამის სამართალს ქმნის და რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება სისტემატურად ვითარდება, მისი შესაბამისი სამართალიც კანონმდებლის მიერ მუდმივ ცვლილებას განიცდის, ძველი კანონების ნაცვლად ახალი კანონები იქმნება. მაგრამ, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები არასამართლებრივ მოვლენებში (ადათ-წესები, ჩვეულებები, მორალი და ა. შ.) უცბად არ პოულობენ გამოხატულებას, რადგა-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 295.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 3, გვ. 56.

ნაც არასამართლებრივი სოციალური მოვლენების დადგენა კანონმდებლის მიერ არ ხდება და მაშასადამე, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ძველის გაუქმებისთანავე არ უქმდება არსებული არასამართლებრივი მოვლენები, ისინი თანდათანობით, ნელი ტემპით ყალიბდებიან არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების ბაზაზე ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობების შესაბამისი სოციალური ნორმების გვერდით. ეხება რა არა სამართლებრივი სოციალური მოვლენების საზოგადოებრივ ურთიერთობებთან ჩამორჩენის შემთხვევებს ზოგიერთ ქვეყანაში, ი. ჭავჭავაძე აყენებს ამ სოციალური მოვლენებით დადგენილი ქცევის წესების განწმენდის, დახვეწის, სრულყოფისა და მათი არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების დონესთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას და წერს: „ზნე-ჩვეულებას, როგორც ჭკუასა და გონებას, გაწმენდა და განათლება უნდა. უამისოდ იგი მკვდარია და უქმი იმ სახელოვან და სანატრელ დანიშნულებისათვის, რომლის გამოც ჩვენ ვლაპარაკობთ და რომელიც ქვაკუთხედია კაცთა ურთიერთობით ცხოვრებისა"[1].

ი. ჭავჭავაძე ღრმადაა დარწმუნებული საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესში. მისი მტკიცებით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი ახალი ეტაპი ადამიანთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის ამაღლებაა. კაცობრიობის პროგრესის გზით განვითარება ცვლის ადამიანთა შეხედულებებს ცხოვრებაზე, მის არსზე და დანიშნულებაზე, ბოროტებაზე და სიკეთეზე და ა. შ. საზოგადოებრივი პროგრესის შედეგად ადამიანები მორალურად და ინტელექტუალურად სრულყოფილი ხდებიან. ქვენა გრძნობა და ანგარება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილს უთმობს სათნოებასა და მაღალ ზნეობას, მაგრამ ეს მოვლენები საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის მექანიკურ შედეგებს კი არ შეადგენენ, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესთან ერთად ხდება სოციალური მოვლენებით დადგენილი ქცევის წესების დახვეწა და განწმენდა: „ამ ზნე-ჩვეულებების გაუწმენდელობა და გაუნათლებლობა არის მიზეზი, რომ ქვენა გრძნობანი ზენა გრძნობათა ადგილას გამეუფდებიან ხოლმე, ტყუილი მართალის ნიღაბ ქვეშ დაიარება და ყალბი ხალასად გადის"[2].

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ი. ჭავჭავაძე მკვეთრად ასხვავებს ერთმანეთისაგან სამართალსა და არასამართლებრივ სოციალურ მოვლენებს, იცნობს მათ საერთო დამახასიათებელ ნიშნებს და ამ მოვლენების ერთმანეთისაგან განმასხვავებელ თავისებურებებს. მაგრამ, ამასთან ერთად, ი. ჭავჭავაძე ცდილობს ერთმანეთისაგან განასხვაოს თვით არა სამართლებრივი სოციალური მოვლენები. პირველყოვლისა, ყურადღებას იქცევს ი. ჭავჭავაძის მოსაზრებები ადათ-წესებისა და ჩვეულებების შესახებ. ი. ჭავჭავაძე ყველგან, როცა ლაპარაკობს უძველეს ქცევის წესებ-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 259.
2 ი ქ ვ ე, გვ. 260.

ზე, ყოველთვის მხედველობაში აქვს ადათები, რომელთაც იგი არ ასხვავებს ჩვეულებებისაგან. ადათების (ჩვეულებების) მოქმედების სფერო მეტისმეტად ფართოა, რადგან საზოგადოების უმრავლესობა ხშირად ამჯობინებს ადათ-წესებით საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას, რადგანაც ჯერ ერთი, ეს ქცევის წესები უშუალოდ ხალხის შემოქმედების შედეგია, მეორეც, ამ წესებით ხელმძღვანელობდნენ წინაპრები და ამდენად, მათი გამოყენების სარგებლიანობა შემოწმებულია საზოგადოების მიერ. მაგრამ ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმის, რომ ეს უძველესი ქცევის წესები, ადათები (ჩვეულებები) შინაარსის მიხედვით ყოველთვის არ შეიძლება იყოს პროგრესული, მისაღები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძეს აუცილებლად მიაჩნია დროდადრო ჩვეულებების განწმენდა, დახვეწა, მოძველებული ადათ-წესების ნაცვლად ახალი, უფრო მისაღები ჩვეულებების შემოღება და აქედან გამომდინარე იგი ერთმანეთისაგან ასხვავებს ორი სახის ადათ-წესებს: პირველი, შინაარსით პროგრესულ, სამართლიან ადათ-წესებს და, მეორე, დრომოჭმულ, არასამართლიან ადათ-წესებს. ი. ჭავჭავაძე სამართლიანობის თვალსაზრისით ერთმანეთს ადარებს რუსეთსა და საქართველოში ტრადიციულად ჩამოყალიბებულ მიწისმფლობელობის წესებს და აღნიშნავს, რომ რუსეთის გლეხურ თემებში თითოეული მშრომელის მონაწილეობა სასოფლო თემის მიწების დამუშავებაში არა მარტო მისი უფლება, არამედ მისი მოვალეობაცაა, თემის წევრი ვალდებულია დასამუშავებლად აიღოს მიწის ნაკვეთი, რომელიც მას წილად შეხვდა. ამას თავისი განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა, კერძოდ, რუსეთში არსებობდა ე. წ. „იურის დღის“ წეს-ჩვეულება, რის ძალითაც სოფლის მეთემე ვალდებული იყო დასამუშავებლად აეღო მიწის ნაკვეთი და რასაც საბოლოოდ ბატონყმობა მოჰყვა შედეგად. „იურის დღის“ ჩვეულების ძალით მეთემე გლეხს მხოლოდ ერთხელ, წმინდა იურის დღეს ჰქონდა უფლება ერთი ადგილიდან საცხოვრებლად მეორე ადგილზე გადასულიყო. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ ეს წესი, რომელიც „რუსეთის ერს ჩვეულებად ჰქონდა, დიდი მავნებელი ჩვეულება იყო, როგორც სახელმწიფოსათვის, ისეც თითონ საზოგადოებისა და სოფლისათვის, — და აი, ჩვენის ფიქრით, სად უნდა მოინახოს მიზეზი, რომ მამულის აღება სოფელში მოვალეობად იქცა რუსეთში, გინდა თუ არა, მამულში უნდა იჯდე და აკეთო“[1].

საქართველოში კი ეს „მავნებელი ჩვეულება“ არასდროს არ ყოფილა, კერძოდ, გლეხი თავისუფალი გახლდათ და მიწის დასამუშავებლად აღება მის ნებაზე იყო დამოკიდებული. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ „დღესაც თითქმის ესეა, თუმცა ამ სამართლიანს ჩვეულებას მა-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 192.

მულის სივიწროემ და კომლთა გამრავლებამ ზოგან სახე შეუცვალა და ძალ-ღონე მოაკლო"[1].

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით საზოგადოებაში არსებული ჩვეულებები (ადათ-წესები) შინაარსით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, კერძოდ, საზოგადოებაში გვხვდება არასამართლიანი (მავნებელი) და სამართლიანი (პროგრესული) ჩვეულებანი. მაგრამ ყველა ჩვეულება (ადათ-წესები), რომლებიც საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, განურჩევლად იმისა იგი სამართლიანია თუ არასამართლიანი, ადამიანთა მიერ მაინც სრულდება. ჩვეულებების სავალდებულო ძალა იმით კი არ აიხსნება, რომ ისინი შინაარსით სამართლიანია თუ უსამართლო, არამედ ჩვეულებები იმიტომ სრულდება, რომ მას ასრულებდნენ წინაპრები. აქედან ცხადია, რომ ჩვეულებებით დადგენილი ქცევის წესები გამორიცხავენ მათი შეფასების შესაძლებლობას, ისინი იმიტომ კი არ სრულდება, რომ ეს ჩვეულებები კარგია ან ცუდია, არამედ იმიტომ, რომ ჩვეულებანი თაობიდან თაობას გადაეცემა და მას უნდა ასრულებდნენ ადამიანები, რადგან ჩვეულებების მიერ დადგენილი წესების მიხედვით იქცეოდნენ მათი წინაპრები დასაბამიდან. ამ მხრივ ი. ჭავჭავაძე ჩვეულებებისაგან ასხვავებს მეორე ჯგუფის არასამართლებრივ სოციალურ მოვლენას, კერძოდ, მორალს. განსხვავებით ჩვეულებებისაგან, მორალი ყოველთვის შეიცავს შეფასებით მომენტს, მორალის მიერ დადგენილი ქცევის წესები იმიტომ უნდა შესრულდეს, რომ ეს ქცევის წესები წარმოადგენს მისაბაძსა და მოსაწონს ყველასათვის, მაშინ, როცა არც სამართლითა და არც ჩვეულებით დადგენილ ქცევის წესებს მთელი საზოგადოება ერთსულოვნად ამგვარ შეფასებას არ აძლევს.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საზოგადოებრივი ცხოვრება ისე რთულია, რომ ადამიანთა მოქმედებანი სამართლისა და მორალის მიერ ძალიან ხშირ შემთხვევებში ერთნაირად არ შეიძლება შეფასდეს, კერძოდ, ის, რაც ზოგჯერ სამართლით დასაშვებად არის მიჩნეული, მორალურად შეიძლება არ იყოს მისაბაძი და მოსაწონი, და პირიქით, კანონით აკრძალული მოქმედება მორალურად გასაკიცხად არ ითვლებოდეს, ანუ სხვანაირად, რომ ვთქვათ, მორალსა და სამართალს შორის ზოგჯერ წინააღმდეგობა არსებობს. თავის წერილში — „უკანონოდ-შობილთა უფლება" — ი. ჭავჭავაძე ეხება უკანონოდ შობილთა, ე. ი. კანონით არა რეგისტრირებული ქორწინების შედეგად გაჩენილთა სამართლებრივ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ უკანონოდ შობილების სამართლებრივი მდგომარეობა მოქმედი კანონის მიხედვით უკიდურესად შეზღუდულია, ხოლო უკანონოდ შობილთა დედ-მამის მოქმედებას, სამართალი დიდ

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 192.

დანაშაულად თვლის. უკანონოდ შობილის დედ-მამა სახელმწიფოს მიერ აკრძალული საქციელისათვის კანონის შიშზე უფრო განიცდის შიშს სირცხვილისა, ძრახვისა და ყბადაღებისა, რომელიც მორალის საწყისებიდან წარმოსდგება. მართალია, ამ შემთხვევაში მორალური პასუხისმგებლობა იურიდიულ პასუხისმგებლობაზე უფრო მაღლა დგას, მაგრამ საერთო ჯამში კანონსა და მორალს შორის წინააღმდეგობა არ არსებობს, ორივე სოციალური მოვლენა გმობს უკანონოდ შობილთა დედ-მამას. დანაშაულად ცნობილი დედ-მამის დასაძრახი მოქმედება, მორალურადაც არ არის მოსაწონი, მაგრამ იგივე სამართალი უკიდურესად მკაცრად ეკიდება უკანონოდ შობილს, რომელსაც მორალური თვალსაზრისით არაფერში ბრალი არ მიუძღვის. ამიტომ, ი. ჭავჭავაძის აზრით, კანონის სიმკაცრე მორალმა უნდა შეარბილოს და „მადლია ადამიანი ადამიანს ისე მოექცეს, რომ უბედურება დაუნელოს, სიმწარე დაუტკბოს, უნუგეშოს ნუგეში მიაწოდოს და მაინცდამაინც ცოდვილი იქამდე არ მიიყვანოს, რომ იძულებული ჰქმნას ან თავი მოიკლას, ან თვისი ნაშობი წყალს მისცეს, ადამიანურმა გულმტკივნეულობამ რომ ერთი ამისთანა ცოდვილიც შეიწყნაროს და ბოროტს გადაარჩინოს, ისიც დიდი მადლი იქნება“[1].

სამართალსა და მორალს შორის დამოკიდებულება ორმხრივია, ზოგჯერ მორალი ხელს უწყობს და განსაზღვრავს სამართლის განვითარებას, რადგან ის, რაც სახელმწიფოს მიერ სამართლით დასასჯელად არაა მიჩნეული, მორალური თვალსაზრისით გასაკიცხი და დასაგმობი. ამიტომ კანონმდებელი მორალური მოთხოვნების მიხედვით უნდა სრულყოფდეს მოქმედ სამართალს, ხოლო სანამ ამას კანონმდებელი გააკეთებდეს, მანამდე სამართლის ნორმის შემფარდებელი კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის კანონის მისადაგებისას, მორალის მოთხოვნებს მხედველობაში უნდა ღებულობდეს. ბატიაში — „საგაზეთო შენიშვნები“, ი. ჭავჭავაძე აღწერს თბილისში მადათოვის კუნძულის და ვანქის შემაერთებელი ხიდის ჩანგრევის შედეგად მომხდარ კატასტროფას, რამაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ქალაქის საბჭოს გამგეობამ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით გაზეთებში გამოაქვეყნა ცნობა, რომ ხიდი მისი ნებართვის გარეშეა აშენებული და ქალაქის გამგეობას ბრალი არ მიუძღვის მომხდარ კატასტროფაში. ი. ჭავჭავაძე წერს, რომ ოფიციალური კანონმდებლობის მიხედვით ქალაქის საბჭოს გამგეობას იურიდიული პასუხისმგებლობა შეიძლება არ დაეკისროს, მაგრამ საზოგადოების სინდისზე დამყარებული მორალის მიხედვით იგი, რა თქმა უნდა, პასუხს აგებს ამ უბედურების თაობაზე. ი. ჭავჭავაძე წერს, რომ სავსებით მართალი იყო ხმოსანი თ. მიქელაძე,

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 346—347.

რომელმაც საჯაროდ განაცხადა: „იქნება ფორმალურმა სამართალმ-
ლაქის გამგეობა არ მოიწვიოს პასუხის საგებლადაო, მაგრამ სამართალ-
ანად გულგამწყარალ საზოგადოების სინიდისის წინაშე-კი ქალაქის გ-
გეობა დიდ ხანს კიდევ იჯდება დამნაშავეთა სკამზეო"[1]. ი. ჭავჭავაძის
აზრით, არის შემთხვევები, როცა სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონ-
ნი პირს არ ავალებს საქმეში ჩარევას, მაგრამ ამგვარი პასიურობა, როცა
საფრთხე რეალურია და იგი ადამიანებს ემუქრება „თვით არ-გარევა საქ-
მეში თავის-თავად დიდი დანაშაულია"[2]. ადამიანთა ბედნიერებისა და
უშიშროების უზრუნველყოფა დაკისრებული აქვს ხელისუფლებას, რო-
მელიც არა მარტო სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონით, არამედ
მორალითაც უნდა ხელმძღვანელობდეს. ამ შემთხვევაში კი, დაასკვნის
ი. ჭავჭავაძე, „შესაძლო იყო სიკვდილისაგან დახსნა აწ დახოცილებისა
და არ იქმნენ დახსნილ, რადგანაც ის, რაც გულში და სულში უნდა ეწე-
როს ადამიანს, იმას ჩვენი გამგეობა კანონების წიგნში ეძებს"[3].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სამართალსა და მორალს შორის ურთიერთ-
დამოკიდებულებაში თავს იჩენს საწინააღმდეგო მხარეც. არა მარტო
მორალი ახდენს ზეგავლენას სამართალზე, არა მარტო საზოგადოებრივი
ურთიერთობების სამართლით მოწესრიგებისას ზოგჯერ მორალს გადამ-
წყვეტი მნიშვნელობა აქვს, არამედ სამართალი და მისი მოთხოვნები
ხშირ შემთხვევებში აკეთილშობილებს საზოგადოების მორალს, ხელს
უწყობს მის დახვეწასა და განვითარებას. ეხება რა უკანონოდ გაჩენილ
შვილებსა და მათი დედ-მამის საქციელს, ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ
ყველა ზემოაღნიშნული კატეგორიის ადამიანებს მოქმედი სამართალი და
აგრეთვე საზოგადოებაში გაბატონებული მორალიც ათვალწუნებით
უყურებდა და მათ მდგომარეობას არა მარტო კანონით დადგენილ და-
ნაშაულად, არამედ მორალურადაც საძრახისად თვლიდა. ახლა, შენიშ-
ნავს ი. ჭავჭავაძე, კანონმდებელი ამ პრობლემის უფრო სამართლიანად
გადაჭრის გზას დასდგომია, კერძოდ, კანონ-პროექტით გათვალისწინე-
ბულია უკანონოდ შობილთა და მათი დედ-მამის სამართლებრივი მდგო-
მარეობის გაუმჯობესება ჰუმანიზმის პრინციპების მიხედვით. მაგრამ ეს
კანონი, თუკი იგი მიღებული იქნება, საზოგადოებრივი ურთიერთობის
ამ დარგში ხელს შეუწყობს არსებული მორალური წარმოდგენების გა-
უქმებას და მათ ნაცვლად ახალი, უფრო კეთილშობილი და მაღალი ხა-
რისხის მორალის ჩამოყალიბებას. ი. ჭავჭავაძე წერს, რომ უკანონოდ
შობილთა და მათი დედ-მამის სამართლებრივი მდგომარეობის გასაუმ-
ჯობესებლად ახალი კანონმდებლობის „სიკეთე ის იქნება, რომ თვით
საზოგადოებასაც მოულბება გული და ისეთის შეჩვენებით აღარ მოექ-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 72.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ცევა ასე თუ ისე შეცდომილ მშობლებს უკანონო შვილისას, რომელნიც შესაბრალებელნი უფრო არიან, რაკი ესეა, ვიდრე შესაჩვენებელნი და ჩასაქოლაენი"[1].

ყველა სოციალური მოვლენა ერთობლივად მოქმედებს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და განსაზღვრავს მისი განვითარების ძირითად მიმართულებებს. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, არასამართლებრივი სოციალური მოვლენები საზოგადოებაში ყალიბდება თვით ხალხის უშუალო ერთობლივი შემოქმედებით, ამიტომაც ისინი ასე თუ ისე გამოხატავენ საზოგადოების აზრს, მის შეხედულებებსა და წარმოდგენებს ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა მხარეებზე. როცა ამ მოვლენებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაშია მისაღები ის, რომ ხალხი ამ მოვლენებით არასდროს არ დაადგენს იმას, რაც მას არ სურს, რაც მის ინტერესებსა და მისწრაფებებს არ შეესაბამება. სულ სხვაა სოციალური მოვლენების ის სახე, რომელზეც წარმოდგენას გვაძლევს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ასევე შეიცავენ ადამიანთა ქცევის სავალდებულო წესებს, მაგრამ დადგენილია არა უშუალოდ საზოგადოების მიერ, არამედ სამართლის ნორმებით განსაზღვრული ქცევის წესები მხოლოდ სახელმწიფოს შემოქმედებით საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ამიტომაც ი. ჭავჭავაძე დიდი ინტერესით სწავლობს სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობასთან ერთად, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი, სამართლის სახეებს.

იურიდიული ნორმების კლასიფიკაციისას ი. ჭავჭავაძე გამოდის სამართლის ფართო გაგებიდან, კერძოდ, მას სამართლიანად მიაჩნია არა მარტო სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული ფორმით დადგენილი ქცევის სავალდებულო წესები, არამედ, სამართლებრივი მასალის უფრო მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია საუკუნეების განმავლობაში ნორმებად ჩამოყალიბებული ქცევის ის წესებიც, რომლებიც ყველა ქვეყანაში და ყველა დროში აწესრიგებენ ადამიანთა ურთიერთობებს, განურჩევლად იმისა, ისინი დადგენილია თუ არა სახელმწიფოს მიერ. მეტიც, ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებული სახის სამართლად ჩამოყალიბებულ ამ ნორმების ერთობლიობას საერთოდ სამართლისა სამართლიანობის უმაღლეს ფორმად მიიჩნევს. ამრიგად, ი. ჭავჭავაძე სამართლის ცალკეულ სახეებად კლასიფიკაციისას ერთმანეთისაგან ასხვავებს ორი სახის სამართალს: პირველი, დაწერილ, პოზიტიურ, ფორმალურ, სახელმწიფოს მიერ დადგენილ დადებით სამართალსა და, მეორე, დაუწერელ, ბუნებით სამართალს[2]. სამართლის ბუნებით და პოზიტიურ სამართლად

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 346.

[2] ი. ს ო ნ გ უ ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 59; ვ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებები სახელმწიფოზე და სამართალზე, გვ. 91.

დაყოფის შესახებ ი. ჭავჭავაძის ეს მოსაზრება ემყარება ფილოსოფიურ და იურიდიულ-პოლიტიკურ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ დებულებას, რომლის მიხედვითაც ჯერ კიდევ უძველეს დროში, კერძოდ, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში და ანტიკურ სამყაროში ჩამოყალიბდა მოძღვრება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი, ფორმალური სამართლისაგან დამოუკიდებლად არსებობს აბსტრაქტული, მაგრამ ყველა დროში და ყველგან მომქმედი ბუნებითი სამართალ[1]. შემდგომში ბუნებითი სამართლის მოძღვრება აღორძინდა შუა საუკუნეებში და დასრულებული, კლასიკური ფორმა მან მიიღო XVII—XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ჰ. გროციუსის, ჯ. ლოკის, სპინოზას, მონტესკიეს, ჟან-ჟაკ რუსოსა და სხვათა ნაშრომებში. ბუნებითი სამართლის მოძღვრება მისთვის დამახასიათებელი შეზღუდულობათა მიუხედავად (ანტიისტორიზმი, მექანიკურობა, მეტაფიზიკურობა) შედარებით პროგრესულ მოძღვრებას წარმოადგენდა, ამიტომაც ადამიანის უფლებებისა და სამართლიანობის დაცვისათვის ბრძოლის დღეანდელ ეტაპზეც, თუ მას ჩამოვაცილებთ ბურჟუაზიულ-იდეალისტურ ჩენჩოს, იგი დადებით როლს ასრულებს.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიხედვით, არსებობს სამართლის ნორმები, რომლებიც არავის მიერ არ არის დადგენილი, მაგრამ მისი მოთხოვნები, რადგანაც ისინი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს, ყველა ეპოქაში და ყველა ქვეყანაში მოქმედებს. ეს ნორმები შეესაბამებიან ადამიანთა ბუნებიდან გამომდინარე მარადიულ სამართლიანობას, მათი ერთობლიობა ქმნის უმაღლესი სახის სამართალს, ბუნებით სამართალს. ბუნებითი სამართლის მოძღვრების ერთ-ერთი ფუძემდებლის არისტოტელეს მტკიცებით, არსებობენ მოვლენები, რომლებიც ყველა დროში და ყველგან ერთნაირად მოქმედებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, კერძოდ, ცეცხლი ისე წვავს საბერძნეთში, როგორც სპარსეთში. უმაღლესი სამართლიანობის იდეაზე დამყარებული ბუნებითი სამართალიც ამ მოვლენებს განეკუთვნება, მის მიერ დადგენილი ქცევის წესებიც ისე მოქმედებენ სპარსეთში, როგორც საბერძნეთში: „ზოგად კანონს მე ვუწოდებ ბუნებით კანონს. არსებობს რაღაც სამართლიანი და უსამართლო ბუნებით, რომელიც საერთოა ყველასათვის, რომელიც მიჩნეულია ასეთად ყველა ხალხის მიერ, თუნდაც მათ შორის არ არსებობდეს არავითარი ურთიერთობა და არავითარი შეთანხმება ამის თაობაზე“[2].

ი. ჭავჭავაძე ~~ბევრად~~ იზიარებს ბუნებითი სამართლის მოძღვრე-

---

1 იხ. История политических учений под ред. С. Ф. Кечекьяна и Г. И. Федькина, М., 1955, стр. 189—222, 237—286.

2 Риторика Аристотеля, перевод с греческого Н. Платоновой, СПб. 1894, стр. 63.

ბას[1] და მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობის უმაღლესი სამართლიანობის მიხედვით მოწესრიგებაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ბუნებით სამართალს, მაგრამ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალიც კი არ შეიძლება სხვა მიზანს ისახავდეს, კერძოდ, პოზიტიური სამართალი ყოველთვის ასევე სამართლიანობასა და სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს. ამრიგად, ი. ჭავჭავაძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთმანეთისაგან ასხვავებს შემდეგი ორი სახის სამართალს: პირველი, ბუნებით სამართალს და, მეორე, პოზიტიურ სამართალს. თითოეული ამ სამართლის არსებობა განპირობებულია ორგვარი სიმართლის არსებობით. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, არ შეიძლება ერთმანეთისაგან არ განვასხვაოთ ბუნებითი სიმართლე და ფორმალური სიმართლე. ეხება რა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შემოღებას, და კანონმდებლობის მიერ მომრიგებელ მოსამართლეთათვის დაკისრებულ ამოცანებს, იგი მიუთითებს, რომ „კანონმდებელთა აზრით, მომრიგებელი მოსამართლე ხალხის შინაური და მახლობელი მსაჯულია, და თითონ ხალხსაც ეხამუშებათ ფორმალური სიმართლე და პატივ-ჰსცემს იმისთანა სიმართლეს, რომელიც, მისი აზრით, ნამდვილი და ჭეშმარიტია და რომელსაც მეცნიერნი ბუნებრივს სიმართლეს (естественная справедливость) უწოდებენ“[2]. ამრიგად, ბუნებითი სამართლის საფუძველს წარმოადგენს ბუნებითი სიმართლე, ეს სიმართლე არის ნამდვილი და ჭეშმარიტი სიმართლე და ამიტომაც ბუნებითი სამართალი ესაა სამართლიანობის უმაღლესი გამოხატულება. ბუნებითი სიმართლე, როგორც ჭეშმარიტი, ნამდვილი სიმართლე, არის ხალხის სინიდისზე დამყარებული და განმტკიცებული წარმოდგენები, რომლებიც ადამიანების ბუნებიდან გამომდინარეობს და საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული და შემოწმებული შეხედულებებია. ამიტომაც საზოგადოება უპირატესობას ანიჭებს ბუნებით სამართალს და იგი ცოცხლობს „იმ სიმართლით, რაც ხალხის სინიდისს შეეფერება, რაც ხალხს მამა-პაპით სიმართლედ უცვნია და დღესაც სიმართლედა სწამს“[3].

რაც შეეხება ფორმალურ სიმართლეს, იგი პირობითია, რადგან ფორმალური სიმართლე მხოლოდ ის სიმართლეა, რაც სახელმწიფოს მიაჩნია ჭეშმარიტებად. სახელმწიფოს ყოველთვის არ შეუძლია ნამდვილი, ჭეშმარიტი, ბუნებითი სიმართლე დაადგინოს კანონად, ამიტომ მის მიერ დადგენილ სამართალს, ანუ პოზიტიურ, დადებით სამართალს საფუძვლად უდევს ფორმალური სიმართლე. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ განსხვავებით ბუნებითი სამართლისაგან, რომლის შინაარსსაც განსაზღვ-

---

[1] ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, გვ. 76; ი. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 58.
მართლიანობისა და სოციალ-ეკონომიური... თბ., 1978, გვ. 20-21.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 93.

[3] იქვე.

რავს ბუნებითი, ნამდვილი, ჭეშმარიტი სიმართლე, კერძოდ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა „შინაგანი გარემოება, ადგილობრივნი მიზეზნი, მცხოვრებელთა ხასიათი, მათი მოსაზრება, ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება, ცხოვრების მოთხოვნილება და ხალხის საზოგადოდ ცნობილი ჩვეულება"[1], სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალს, ძალიან ხშირად განაპირობებს „ფორმალური საბუთი საქმისა"[2].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, რადგანაც სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი მხოლოდ ფორმალური სამართალია, ამდენად, ჭეშმარიტ, ნამდვილ სამართალს, ე. ი. ბუნებით სამართალსა და სახელმწიფოს მიერ დადგენილ პოზიტიურ, ფორმალურ სამართალს შორის შეიძლება არსებობდეს წინააღმდეგობა. ასეთ შემთხვევაში ბუნებითი სამართლის ბრძანებებს აუქმებს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი და ის, რაც ადამიანთა განუსხვისებელი, კუთვნილი და თანდაყოლილი უფლებაა, პოზიტიური სამართალის ბრძანებებით განუხორციელებელი ხდება. კერძოდ, „ერთის აღმა ხნულს მეორე დაღმა ფარცხავს"[3]. ბუნებით სამართალსა და პოზიტიურ სამართალს შორის ამ წინააღმდეგობის გადაჭრა აუცილებელია. ი. ჭავჭავაძის აზრით, ამ ორი სახის სამართალს შორის ყველა წინააღმდეგობა უნდა გადაიჭრას ბუნებითი სამართლის ბრძანებების მიხედვით, კერძოდ, რადგანაც ბუნებითი სამართალი შეიცავს ნამდვილ, ჭეშმარიტ სიმართლეს, ამდენად კანონმდებელმა პოზიტიური სამართალი უნდა მოიყვანოს ბუნებით სამართალთან შესაბამისობაში, მაგრამ ამგვარი შესაბამისობის დამყარებამდე სამართლის ნორმის შემფარდებელმა უნდა ისარგებლოს მხოლოდ ბუნებითი სამართლით. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ბუნებით სამართალსა და დადებით სამართალს შორის წინააღმდეგობის აღმოჩენისას მოსამართლე საქმის განხილვისას უნდა გამოდიოდეს არა ფორმალური სიმართლიდან, არამედ ბუნებითი სიმართლიდან, რადგან სამართლიანია „ბუნებრივის სიმართლით საქმის გადაწყვეტა უფრო, ვიდრე ფორმალურის სიმართლითა"[4].

ბუნებითი სამართლის უნივერსალური ხასიათი, კერძოდ ის, რომ მისი ბრძანებები ყველა ხალხში და ყველა ქვეყანაში ერთნაირად მოქმედებენ, იმით უნდა აიხსნას, რომ ადამიანი ყველგან ადამიანია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, განურჩევლად იმისა იგი რა ეროვნებისა და რასის წარმომადგენელია: „ბუნება ადამიანისა, სემიტია თუ არიელი, ზანგია თუ თეთრი, დიდ-თავა თუ წვრილ-თავა, ყველგან ერთი და იგივეა"[5]. ბუნებითი სამართალი კი თვით ადამიანთა ბუნებაზეა დამყარებული, მისგან გამომდინარეობს და რადგანაც ადამიანის ბუნება

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 93.
2 ი ქ ვ ე.
3 ი ქ ვ ე, გვ. 98.
4 ი ქ ვ ე, გვ. 97.
5 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 117.

ყველგან ერთი და იგივეა, ცხადია ბუნებითი სამართალი საერთო და უნივერსალური ხასიათისაა: „ხალხთა ცხოვრებაში არის ბევრი ზოგადი კანონები, რომელნიც ყველგან ერთნაირად მოქმედობენ“[1].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუდმივად მოქმედ ზოგადი კანონებიდან ბუნებითი სამართალი მხოლოდ ერთ-ერთს წარმოადგენს და მასთან ერთად საზოგადოებრივი ცხოვრება ექვემდებარება ბუნების კანონების, ეკონომიკური კანონების და ა. შ. ზემოქმედებას. აქედან გამომდინარე, ი. ჭავჭავაძე ცდილობს საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ზოგად კანონებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას. პირველყოვლისა, მისი ინტერესის საგანს წარმოადგენს ბუნებით კანონებსა და ბუნების კანონებს შორის დამოკიდებულება. ბუნებითი კანონები, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის რწმენით ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს და მათ შინაარსს მთლიანად განსაზღვრავს ის საერთო, ზოგადი ინტელექტუალური, ფიზიოლოგიური და ა. შ. თავისებურებანი, რაც ყველა ადამიანს ყველა ეპოქაში გააჩნია მისი გაჩენიდან. რაც შეეხება ბუნების კანონებს, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ისინი ადამიანის ბუნებასთან არ არის დაკავშირებული, არამედ მათი არსებობა და მოქმედება ადამიანის ბუნების თავისებურებებისაგან დამოუკიდებლად არსებული ძალის გამოვლენაა. ამ ძალის მოქმედების შედეგებს უგუებს ადამიანი თავის ცხოვრებას და ამ კანონებს ემყარება მისი შრომითი საქმიანობა. ადამიანთა სულიერი და მატერიალური ცხოვრება, მისი პროგრესი დიდადაა დამოკიდებული ბუნების იმ ზოგად კანონზე, რომლის თანახმადაც კაცობრიობის განვითარება სხვადასხვა ეტაპებით შეკავშირებული ერთი მთლიანი მოვლენაა, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული წარსული, აწმყო და მომავალი. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, „ეს სამთა ჟამთა ერთმანეთზედ დამოკიდებულება კანონია ისეთივე შეურყეველი და გარდუვალი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი“[2].

ასევე ზოგადი და ადამიანთა ხასიათისა და ნებისაგან დამოუკიდებელია ეკონომიკური კანონები, რომელთა გარდუვალი ბრძანებები ვლინდებიან საზოგადოებრივ ურთიერთობებში, როგორც მათი წარმმართველი ძალა. ამ ეკონომიკური კანონების უძლეველობაზეა დამყარებული საკუთრება, როგორც საზოგადოების არსებობის საფუძველი. საკუთრება, ქონება, სიმდიდრე მხოლოდ შრომით იქმნება, მისი შექმნა და ზრდა საქმიან და უნარიან ადამიანთა შემოქმედების შედეგია, რაგინდ მდიდარი და ქონების პატრონი არ უნდა იყოს ადამიანი, ზემოაღნიშნული თვისებების გარეშე, გაღატაკდება, რადგან საკუთრება უსაქმური და უუნარო მეპატრონისაგან ყოველთვის უნარიანი და საქმიანი ადამიანებისაკენ

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 56.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 200.

მიისწრაფვის, რაც მტკიცე ეკონომიკური კანონია: „სიმდიდრე იმისთანა ბუნებისაა, რომ ყოველთვის მიურბის ხელიდამ უუნაროს და უქმს და მიეზიდება უნარიან და ჩაქმიან კაცისკენ. ეს ეკონომიკური რკინის კანონია“[1]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ეკონომიკური კანონები, ისევე როგორც ბუნების კანონები და ბუნებითი სამართლით დადგენილი კანონები, ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ, მათი ჩამოყალიბება და მოქმედება ადამიანთა ნებას არ ექვემდებარება, კერძოდ, ვინც ამ კანონების მოქმედებას აღუდგება წინ, მას გარდუვალი მარცხი მოელის. ყველა ზემოაღნიშნული კანონი ადამიანებმა უნდა შეიცნონ და მათ მოქმედებას უნდა მიუსადაგონ თავიანთი საქმიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობის პროგრესი შეუძლებელია. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ეკონომიკური კანონების ბრძანებები ურყევი და მტკიცეა, ესაა კანონები „ისე გარდუვალი, აუცილებელი, დაურღეველი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი. ვინც ამ რკინის კანონს ეჭიდება გადასატეხად, ის უფრო ადრე თვითონ გადატყდება ამაო ბღაუჭობაში. ის ტყუილად სცდება, ტყუილად აცდენს სხვასაცა და ტყუილად აფერხებს, აყოვნებს სვლას წარმატების გზაზედ, რადგანაც მართალს გზას თვალს არიდებს და ტყუილს ღობე-ყორეს კი ეტანება“.

ბუნებითი კანონები, როგორც ადამიანთა საერთო დამახასიათებელი თვისებების გამომხატველი, ჭეშმარიტად სახალხო სამართალია, იგი ადამიანებისათვის თანდაყოლილი ბუნებითი უფლებების იურიდიულ განმტკიცებას და დაცვას ისახავს მიზნად. ასეთ ბუნებით უფლებებს განეკუთვნება სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების და ა. შ. უფლებები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძე ბუნებითი სამართლის მოძღვრებაში რელიეფურად წარმოაჩენს პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს და მათ სამართლიან გადაჭრას გვაძლევს ბუნებითი სამართლის პროგრესული პრინციპების მიხედვით. იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების გადაჭრა მშრომელთა ინტერესების შესაბამისად სრულ საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ი. ჭავჭავაძემ ბუნებითი სამართლის მოძღვრებას ახალი პოლიტიკური ელერადობა მისცა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ მოსაზრების ნათელსაყოფად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ი. ჭავჭავაძის მიერ 1905—1907 წწ. რუსეთის რევოლუციის პერიოდში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხალხის ფართო მასების შეიარაღებული ბრძოლისა და სიკვდილით დასჯის გაუქმების აუცილებლობის დასაბუთებას ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიხედვით. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ბუნებითი სამართლის ერთ-ერთი ძირითადი ნორმა ადამიანებს ანიჭებს თვითდაცვის უფლებას. ყოველ ადამიანს, როცა მის

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 326.

მიმართ იძულებას იყენებენ და ვინმეს მიერ ისე შევიწროებული ხდება, რომ აღარ შეუძლია ისარგებლოს სიცოცხლის, ჯანმრთელობის, კეთილდღეობის და ა. შ. ბუნებითი უფლებებით, შეუძლია თვითონ გამონახოს თავდაცვის საშუალებები. ინდივიდისათვის თანდაყოლილი თვითდაცვა წარმოადგენს ბუნებითი სამართლის უმთავრეს შემადგენელ ნაწილს, მაგრამ თვითდაცვის უფლება ვრცელდება ადამიანთა გაერთიანებებზე, კოლექტივებზეც. ამდენად, უმაღლესი ბუნებითი სამართლის მიერ დადგენილი თვითდაცვის უფლება თავის გამოვლინებას პოულობს, როგორც საერთაშორისო სამართალში, ასევე შიდასახელმწიფოებრივ სამართალშიც. საერთაშორისო სამართალში თვითდაცვის უფლების წარმოჩენისათვის ი. ჭავჭავაძე იყენებს სახელმწიფოთა შორის ფაქტიურად ჩამოყალიბებულ ურთიერთობების გამოცდილებას. იგი მიუთითებს, რომ, რადგან პოლიტიკაში ყოველთვის ძალა აღმართსა ხნავს, დიდი და ძლიერი სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკის საპასუხოდ პატარა და სუსტ სახელმწიფოებს თვითდაცვის უფლებები გააჩნიათ. ეხება რა XIX საუკუნის 80-იან წლებში ბალკანეთში შექმნილ დაძაბულობას, ი. ჭავჭავაძე წერს: „სერბიისა და ბოლგარიის ომსა — კოროლს მილანს და მის მინისტრს გარაშანინს აბრალებდნენ, ბოლგარიის რუმელიასთან გაერთებას — მთავარს ალექსანდრეს და მის მინისტრს კარაველოვს, და საბერძნეთის ურჩობას — მთავარმინისტრს საბერძნეთისას დელიანისს. ჩვენის ფიქრით, საქმე ეგრე არ არის. აქ ყოველნი ესენი ჭადრაკის კაცებსა ჰგვანან, რომელთაც საკუთარი ენინ კი არ ამოქმედებს, არამედ ძლიერი ხელი ცხოვრებისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ბუნებითი ძალი ცხოვრების თვითმცველობისა“[1].

თვითდაცვის ბუნებით უფლებას. ი. ჭავჭავაძის აზრით, უფრო ფართო გამოყენება აქვს შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. როდესაც მთავრობა ხელყოფს ადამიანთა სასიცოცხლო ინტერესებს, რომლებიც მათი ბუნებიდან გამომდინარეობენ, ადამიანებს შეუძლიათ მთავრობის ამ მოქმედებას უპასუხონ თვითდაცვით, კერძოდ, ადამიანები თვითონ გამოვიდნენ თავიანთი ბუნებითი უფლებების დასაცავად. 1905 წლის რევოლუცია და ხალხების გამოსვლა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ი. ჭავჭავაძის აზრით, სავსებით გამართლებულია, რადგან ამ შემთხვევაში მშრომელი ხალხი გამოდის თავიანთი დარღვეული ბუნებითი უფლებების დასაცავად, კერძოდ, იგი ახორციელებს ბუნებითი სამართლით მინიჭებულ თვითდაცვის უფლებას, როგორც უკვე აღნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის ხელით რუსულ ენაზე დაწერილ დოკუმენტში — „პროექტი საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის შექმნის შესახებ“, რომელიც შედგენილი უნდა იყოს 1905 წლის რევო-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 130.

ლუციის პერიოდში, მშრომელი ხალხის რევოლუციური გამოსვლა შეფასებულია როგორც ბუნებითი სამართლის მოთხოვნათა განხორციელება, კერძოდ, თავისი სასიცოცხლო ინტერესების ხელყოფის საპასუხოდ თვითდაცვის ბუნებითი უფლების განხორციელება. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მთავრობა ვერ უზრუნველყოფს ქვეყანაში მშვიდობას, მას არ სურს რევოლუციაში მონაწილე მშრომელი ხალხის მოთხოვნების დაკმაყოფილება, 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით გამოცხადებული თავისუფლებანი ფორმალურ ხასიათს ატარებს, ასეთ ვითარებაში „ჩვენ მოვალენი ვართ, ვიზრუნოთ ჩვენს მომავალ ბედზე: ამას მოითხოვს ბუნებითი, ყველა ცოცხალი არსებისათვის დამახასიათებელი თვითდაცვის გრძნობა“[1].

ი. ჭავჭავაძის ინტერესი ბუნებითი სამართლის მოძღვრებისადმი განისაზღვრება არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული ინტერესებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან ბუნებითი სამართლის მოძღვრებიდან გამომდინარე პროგრესული დასკვნები დაუკავშირა 1905 წლის სახალხო რევოლუციის მიერ მშრომელთა კეთილდღეობის მისაღწევად დასახულ პოლიტიკურ მიზნებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აგრეთვე 1905—1907 წწ. რევოლუციის ეპოქაში ი. ჭავჭავაძის დაინტერესება სიკვდილით დასჯის პრობლემით. ცნობილია, რომ ამ რევოლუციაში მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს ექსპლუატატორული და ექსპლუატირებული ხალხების ინტერესები, მშრომელი ექსპლუატირებული ხალხი ბუნებითი სამართლის მიერ მათთვის მინიჭებული თვითდაცვის უფლების საფუძველზე იბრძოდნენ მემამულეებისა და ფაბრიკანტ-მექარხნეების წინააღმდეგ, არბევდნენ მათ მამულებსა და აწყობდნენ გაფიცვებს და ა. შ. მეფის თვითმპყრობელობა აშკარად მფარველობდა და იცავდა ექსპლუატატორულ კლასებს, სასტიკად უსწორდებოდა მუშებისა და გლეხების რევოლუციურ გამოსვლებს. სიკვდილით სჯიდა და ციმბირში ასახლებდა მოწინავე რევოლუციონერებს. ასეთ ვითარებაში რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობამ გადაჭრით მოითხოვა სიკვდილით დასჯის გაუქმება. ი. ჭავჭავაძე აქტიურად გამოეხმაურა ამ პროგრესულ მოთხოვნას, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი იგი უკავშირდება სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს მოწინავე ნაწილს, გამოდის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და მოითხოვს მის გაუქმებას. როგორც ჩვენამდე მოღწეული ცნობებიდან ჩანს, ი. ჭავჭავაძე დიდი ინტერესით ამზადებდა სიკვდილით დასჯის გაუქმების თაობაზე სიტყვის ტექსტს სახელმწიფო საბჭოში წარმოსათქმელად. მ. ბოლქვაძე, რომელიც სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს მუშაობას კარგად იცნობდა, ვითარცა საქართველოდან პეტერ-

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს პირადი არქივი, საქმე № 1015, ფ. 2—3.

ბურგში წარგზავნილი, მიუთითებს, რომ ი. ჭავჭავაძეს, რომელიც სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთა ჯგუფს ეკუთვნოდა, ჯერ ამ ჯგუფის წევრების გასაცნობად, ხოლო შემდეგ სახელმწიფო საბჭოში წასაკითხად, დაუწერია მოხსენება სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. მ. ბოლქვაძე აღნიშნავს, რომ „არ ვიცი სად არის ამჟამად ეს ნაწარმოები. ალბათ ხელთნაწერებში უნდა იყოს. საჭიროა ყურადღებით მოიძებნოს, რადგან მოხსენება მეტად შინაარსიანია"[1]. ი ჭავჭავაძის მოხსენება სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ გამოქვეყნებულია „მოკლე კონსპექტი ილია ჭავჭავაძის სიტყვისა სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ"[2]. ამ ნაშრომს და მის მნიშვნელობას ი. ჭავჭავაძის სამართლებრივი შეხედულებების გასაგებად ქვემოთ შევეხებით უფრო ვრცლად, ახლა კი მხოლოდ გვინდა საგანგებოდ გამოვყოთ მისგან სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად ი. ჭავჭავაძის მიერ ბუნებითი სამართლის მოძღვრებიდან მოტანილი არგუმენტები.

ბუნებითი სამართლის მოძღვრების მიხედვით ძალადობა და სისხლის ღვრა ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო მოვლენებია. გარდა ამისა, სიცოცხლე წარმოადგენს ადამიანის თანდაყოლილ ბუნებით უფლებას, რომლის ხელყოფა ეწინააღმდეგება ბუნებითი სამართლის ნორმებს, არავის არ შეუძლია ადამიანს წაართვას ის, რაც მას არ მიუცია და რაც ბუნებამ მიანიჭა ადამიანებს. სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ი. ჭავჭავაძის მოსაზრებების არგუმენტებიდან უმთავრესს წარმოადგენს ბუნებითი სამართლის მოძღვრების ზემოაღნიშნული დებულებები. ი. ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ სიკვდილით დასჯა უნდა გაუქმდეს, რადგან იგი ეწინააღმდეგება ბუნებითი სამართლის ნორმებით დადგენილ უმაღლეს სამართლიანობას. ი. ჭავჭავაძის სამართლებრივი შეხედულებები ემყარება ბუნებითი სამართლის მოძღვრებას, კერძოდ, სამართლის შესახებ ი. ჭავჭავაძის მთელ მოძღვრებას საფუძვლად უდევს ბუნებითი სამართლის სკოლის შეხედულებები.

სამართლის მეორე სახეს, ი. ჭავჭავაძის აზრით, წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი ანუ პოზიტიური (დადებითი) სამართალი. მისი დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ იგი ფორმით დაწერილი სამართალია და მასში გადმოცემული ქცევის წესები ემყარება სახელმწიფოს მიერ სიმართლედ აღიარებულ და მიჩნეულ მოთხოვნებს. ამიტომაც ბუნებით სიმართლეზე დაფუძნებული ბუნებითი სამართლისაგან განსხვავებით, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სიმართლეს, რომელიც პოზიტიური სამართლის საფუძველს წარმოადგენს,

---

[1] მ. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე, ახლო წარსულიდან. ი. ჭავჭავაძე რუსეთში (1906—1907 წწ.), ჟურნ. „განათლება", 1908 წ., № 3—4, გვ. 111.

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 10, გვ. 465—467.

ი. ჭავჭავაძე უწოდებს ფორმალურ სიმართლეს. ხოლო თვით სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალს კი — ფორმალურ სამართალს. ეხება რა მომრიგებელი მოსამართლეობის ინსტიტუტს, ი. ჭავჭავაძეს მის ერთ-ერთ უპირატესობად ის მიაჩნია, რომ მომრიგებელი მოსამართლეები საქმეებს წყვეტენ უფრო მეტად ბუნებითი სიმართლით, ვიდრე ფორმალური სიმართლითა[1]. ბუნებითი სამართალი ადამიანთა ბუნებიდან გამომდინარეობს, იგი შეიცავს ყველაფერს, რაც ადამიანის ბუნებას შეესაბამება და ადამიანურია, ამდენად იგი სახალხო სამართალია, მაგრამ როცა სახალხო სამართლის მოთხოვნებსა და ბრძანებებს, სახელმწიფო დამახინჯებულად გადმოსცემს მის მიერ დადგენილ სამართალში, ანუ პოზიტიურ (ფორმალურ) სამართალში, მაშინ სახალხო სამართალი იქცევა ფორმალურ სამართლად. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სწორედ ასე მოხდა მომრიგებელი მოსამართლეების შესახებ სახელმწიფოს მიერ კანონის დადგენისას, რაც იმაში გამოიხატა, რომ „თვისის დანიშნულებით სახალხო სამართალი — შეიქმნა ფორმალურ სამართლად"[2].

იმისდა მიხედვით თუ რამდენად სრულადაა გამოხატული სამართალში ხალხის ინტერესები, ი. ჭავჭავაძე ერთმანეთისაგან ასხვავებს ჩინოვნიკების სამართალს და ერის (ხალხის) სამართალს. მისი აზრით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი პროზიტიური სამართალი, რომელშიც დამახინჯებულადაა გადმოცემული ბუნებითი სამართლის მოთხოვნები და ამდენად ხალხის ინტერესები მნიშვნელოვნად იგნორირებულია, მხოლოდ მოხელეების სამართალია, იგი გამოხატავს მოხელეთა სურვილებს და ხალხთან მათი ურთიერთობის წესებს, ამდენად სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი ერის სამართლისაგან (ბუნებითი სამართალი, ჩვეულებითი სამართალი და ა. შ.) განსხვავებით ჩინოვნიკების სამართალს წარმოადგენს. ი. ჭავჭავაძე ეხება რა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების შემოღებას, მიუთითებს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ღირსება და უპირატესობა ისაა, რომ იგი მართლმსაჯულებას ახორციელებს ხალხის, ერის და არა მოხელეების წარმოდგენებითა და შეხედულებებით. ხალხის, ერის ცხოვრების თავისებურებები ბევრი მომენტით განისაზღვრება, ერთ-ერთ მთავარს კი წარმოადგენს ენა, რომელზეც ხალხი ლაპარაკობს. კანონი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ, იქიდან გამოდის, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა უნდა იცოდნენ რუსული ენა, მაგრამ „თუ ნაფიც მსაჯულებს კანონად დაუდებთ რუსულის ენის ცოდნას, და თუ სახეში მივიღებთ — რომ მარტო მოხელეობამ (ჩინოვნიკობამ) იცის ჩვენში რუსული, მაშინ, სამართალი ხომ მაინც ჩინოვნიკის სამართალი იქნება და არა ერისა. ნაფიცთა მსაჯულება მარ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 97.
[2] ი ქ ვ ე.

ტო იმითია სანატრელი, მარტო იმითია კარგი, რომ სჯის და მსაჯულობს სინდისი ერისა და არა ჩინოვნიკისა"[1].

სახელმწიფოს მიერ დადგენილ პოზიტიურ სამართალს, თუკი სახელმწიფო მისი დადგენისას იხელმძღვანელებს ხალხის, ერის ინტერესებით, შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ეკონომიკურ კანონებზე, შეზღუდოს მისი ზოგიერთი შედეგები, კერძოდ, ი. ჭავჭავაძის აზრით, თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაუწერელ ეკონომიკურ კანონს წარმოადგენს ფულის ბატონობა: „რაც გინდ ქუდი კახურად ჩავიკეცოთ, ყურთმაჯები ვაყკაცურად მხრებზე გადვიყაროთ და, ისპანიის გაკოტრებულ უდა-აზნაურივით, ულვაშები გავიწკიპოთ, ჟანგმოკიდებული ხმალი ჩამოვიკანკუროთ და დოინჯის შემოყრით ვიძახოთ: ჰოი, ხმალი პაპაჩემისაო, ფულის ბრძანებას და ბატონობას მაინც ვერსად გავექცევით, ვერსად ვერ დავემალებით"[2]. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფულის განუსაზღვრელი ბატონობა სახელმწიფოს მიერ დადგენილი არც ერთი კანონით არაა განმტკიცებული, იგი დაუწერელი ეკონომიკური კანონის მოქმედების შედეგია, მაგრამ სახელმწიფოს მიერ დადგენილ კანონს შეუძლია შეზღუდოს ამ დაუწერელი ეკონომიკური კანონის მოქმედების უარყოფითი შედეგები. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მართალია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფულის განუსაზღვრელი ბატონობა სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონით არაა გათვალისწინებული, არამედ იგი დაუწერელი ეკონომიკური კანონის მოქმედების შედეგია, მაგრამ თუ სახელმწიფოს მიერ დადგენილ „კანონს აქ დანაშაული რამ მიუძღვის, მარტო ის დანაშაული, რომ ამისთანა ძალმომრეობას ფულისას იწყნარებს და მჭამელისა და ჭამულის შუა არ ჩასდგება ხოლმე, რომ ერთი მეორეს არ აჩაგვრინოს, ერთი მეორეს არ ათელვინოს"[3]. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში და აგრეთვე ყველგან, სადაც ი. ჭავჭავაძე კანონზე ლაპარაკობს, იგი მას სამართლისაგან განსხვავებულ მოვლენად აქვს წარმოდგენილი. ი. ჭავჭავაძეს სამართალი ფართო გაგებით ესმის, სამართალი მარტო ის კი არ არის, რაც სახელმწიფოს მიერაა დადგენილი, არამედ სახელმწიფოს მიერ დადგენილ პოზიტიურ, დადებით სამართალთან ანუ კანონთან ერთად, სამართალს განეკუთვნება ბუნებითი სამართალი, მართალი (ღვთაებრივი სამართალი) და ჩვეულებითი სამართალი. სამართლის ეს სახეები, კერძოდ, პოზიტიური სამართალი, ბუნებითი სამართალი, მართალი სამართალი და ჩვეულებითი სამართალი ერთობლიობაში, წარმოდგენას გვაძლევს განსაკუთრებული სახის სოციალურ მოვლენაზე, რომელსაც საერთოდ სამართალი ეწოდება. რაც შეეხება კანონს, იგი სახელმწიფოს მიერ დადგენილი პოზიტიური სა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 135.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 7, გვ. 11.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 11—12.

მართლის სახესხვაობაა, რომელიც შეიძლება არც კი გამოხატავდეს სიმართლის იდეას, მაშინ, როცა სამართალი საერთოდ, თავისი ძიხახდასახულობით და დანიშნულებით სიმართლეზე უნდა იყოს დამყარებული. სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონი მაშინ შეიძლება იყოს ქმედითი, მტკიცე და საზოგადოებისათვის სასარგებლო, როცა იგი რიგიანი სამართლიდან გამომდინარეობს, როცა იგი ბუნებითი სამართლით ყველა ადამიანისათვის მიკუთვნებულ თანდაყოლილ უფლებებს იცავს, როცა კანონსა და სამართალს შორის ამგვარი შესაბამისობა არსებობს, მაშინ როგორც კანონი, ასევე სამართალიც ყველას სწამს და ყველას თავის მხსნელად მიაჩნია: „კანონის სიმტკიცე, სიმკვიდრე, მიუდგომლობა, დადგრომილობა, არამც თუ დიდი რამ არის, — ჩვენის ფიქრით, მიუცილებელია საზოგადოების, თუ სახელმწიფო სიმდიდრისათვის, და ეგე ყოველიფერი მაშინ არის, როცა სამართალი რიგიანად არის აგებული და რიგიანად წარმართებული. ყველამ უნდა იცოდეს-მეთქი გულდადებით, რომ მე ჩემი მალე დამიბრუნდება, მე ჩემი არ დამეკარგება, ერთის სიტყვით, — სამართალი და კანონი უნდა ყველას სწამდეს თავის მფარველად, თავის სახსნელად. თუ სამართალი და კანონი ისეთია, რომ მისი არც კარგი სჯერათ და არც ავი, მაშინ, ვიმეორებ, ყოველიფერი ამაოა[1]. სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონების ერთობლიობა ქმნის პოზიტიურ, დადებით სამართალს, მაგრამ სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სამართლად, როცა მათ იგივე საფუძველი გააჩნია, რაც დამახასიათებელია ბუნებითი სამართლის, ღვთაებრივი (მართალი) სამართლისა და ჩვეულებითი სამართლისათვის. ეს საერთო საფუძველი არის მხოლოდ სიმართლე, მართალი, რომელიც ყველა მოვლენის შეფასებისა და განკითხვის კრიტერიუმია: „ყოველს საზოგადოებრივს საქმეში, რაც უნდა მწვავი იყოს, კაცმა ჯერ უნდა მართალი ეძებოს, მხოლოდ მართალი და სხვა არა-რა. ჯერ, ყველაზედ უწინარეს, უმრავლესობათა და უმცირესობათა შორის სიმართლე უნდა იყოს გამკითხველი"[2].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სიმართლე უდევს საფუძვლად და ამიტომ სამართლის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს ჩვეულებითი, ადათობრივი სამართალი. საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, უამრავი ქცევის წესები, ნორმები მოქმედებენ, რომელთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადათებს, ჩვეულებებს. მათი ეს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმითაა განპირობებული, რომ ისინი ხალხის მიერაა შემუშავებული, გამოხატავენ მათ განწყობილებებსა და შეხედულებებს და ამასთან ერთად, ხალხს სჯერა,რომ მათ მიერ შემუშავებული ჩვეულებებით ყველაზე სამართლიანად შეიძლება საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 135.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 87

ყველაფერი ეს განსაკუთრებულ ძალას ანიჭებს ჩვეულებებს და მას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს სახელმწიფომ, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების მიზნით, არა ყველა, არამედ მისი შეხედულებით სამართლიან ჩვეულებებს სამართლებრივ სანქციას აძლევს და ამდენად მათ აქცევს სამართლის განსაკუთრებულ სახედ, კერძოდ, ეს ჩვეულებები სახელმწიფოს სანქციონირების შემდეგ ღებულობს სამართლის ახალ ფორმას, ანუ ჩვეულებითი, ადათობრივი სამართლის სახეს. სახელმწიფო სამართლებრივ მასალად ხშირად იყენებს ჩვეულებებს და ამდენად ყველა ქვეყანაში შეიმჩნევა „მიმართულება რჯულმდებლობისა, რომ ჩვეულება დაწერილ კანონად იკურთხოს"[1]. ამრიგად, სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობის შედეგად, ჩვეულებები და ადათ-წესები ჩვეულებითი ანუ ადათობრივი სამართლის სახეს ღებულობს. ჩვეულებები და ჩვეულებითი სამართალი ანუ როგორც მას ი. ჭავჭავაძე „ჩვეულებით რჯულს" უწოდებს, მიზნად ისახავენ საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას, მაგრამ ჩვეულებითი სამართლით დადგენილი ქცევის წესები დეტალიზებული და დახვეწილია სახელმწიფოს მიერ, მისი შეუსრულებლობისათვის სახელმწიფო აწესებს იურიდიულ პასუხისმგებლობას. რაც შეეხება ჩვეულებებს, იგი ხალხის შეგნებაში არსებობს, მისი მოთხოვნების შეუსრულებლობა არ იწვევს სახელმწიფოს მხრივ იძულებითი ღონისძიების გამოყენებას. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, თავდაპირველად არსებობდა ჩვეულებები, ხოლო სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ გაჩნდა ჩვეულებითი სამართალი, მაგრამ ჩვეულებებიც და ჩვეულებითი სამართალიც უძველესი დროიდან არსებობენ. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ ხიზნობას გრძელი ისტორია აქვს, „თავისი წარსული დრო, რომლის განმავლობაში უსაქმია, უმოქმედნია მთელის ერის ეკონომიკურს ყოფა-ცხოვრებას, ავკარგიანობას, სამართლიანობას, ჩვეულებას და ეგრეთწოდებულს ჩვეულების რჯულსა"[2]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ჩვეულებითი სამართალი და ბუნებითი სამართალი თავიანთი ხასიათით, ორივე სახალხო სამართალია, რადგანაც ისინი უშუალოდ ადამიანთა მიერაა შექმნილი ან ადამიანთა ბუნების გამომხატველია. ბუნებითი სამართალიც და ჩვეულებითი სამართალიც ემყარება ჩვეულებებს, რომლებიც სამართლის ზემოაღნიშნული სახეების უმთავრესი წყარო და გამოხატულებაა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ბუნებით სამართალში უშუალოდ განსახიერებულია ადამიანთა ბუნება, ხოლო ჩვეულებით სამართალში კი ადამიანთა ბუნება ჩვეულებებითაა განმტკიცებული ანუ სხვანაირად, გამეშვეობითებულია ჩვეულებებით. ამრიგად, „ჩვეულება... ეგ დედაბოძი ბუნებრივის სიმართლისა", ამავე დროს არის ჩვეულებითი სამართლის წყაროც.

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 154.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 116.

ი. ჭავჭავაძის ნაშრომებში გვხვდება აგრეთვე მითითება სამართლის ერთ-ერთი, თავის დროზე ყველაზე პოპულარული და ფართოდ გავრცელებული სახის, კერძოდ, ღვთის (ღვთაებრივი) სამართლის ანუ მართალი სამართლის შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოძღვრება ღვთაებრივი სამართლის შესახებ ჩაისახა ჯერ კიდევ ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ქვეყნებში, მაგრამ ღვთაებრივმა სამართალმა, როგორც მართალმა სამართალმა თავისი სრული განვითარება ჰპოვა შუა საუკუნეებში. ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებში თითქმის ყველგან გვხვდება მითითება ღვთაებრივ სამართალზე, როგორც ყველაზე ჰუმანურ, ჭეშმარიტ და მართალ სამართალზე[1].

ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებში მითითებული ღვთაებრივი ანუ მართალი სამართალი არის საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების შეფასების არა როგორც რელიგიურ-მისტიკური მასშტაბი, არამედ როგორც არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების უარყოფითი მხარეების მხილებისა და მათი კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის პოზიციებიდან კრიტიკის იარაღი. ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ ერთ-ერთ მთავარ გმირს, მეფის თვითმპყრობელობის თავნება მოხელეებისა და უსამართლო სოციალურ-პოლიტიკური სისტემის უკანონო მოქმედებით შეეიწროებულ გაბრიელს, რომელსაც მასავით უდანაშაულო პეპიასთან ერთად ფეოდალური სასამართლო ციმბირში გადასახლებას მიუსჯის, ციხეში ყოფნისას, სანამ საქართველოს მოაშორებდნენ, ჯერ კიდევ სჯერა, რომ ღვთაებრივი სამართალი, ყველაზე ჰუმანური, ჭეშმარიტი და მართალი სამართალი თავისას გაიტანს და გაამართლებენ, მაგრამ არსებული სოციალურ-პოლიტიკური უსამართლობის ძალა ღვთაებრივ სამართალზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. უსამართლობით სასოწარკვეთილი პატიმარი გაბრიელი მოგვითხრობს, რომ ციმბირში გადასახლებამდე „შვიდმა თუ რვა თვემ კიდევ გაიარა და ბოლოს მითხრეს, რომ შენი გაგზავნის დრო მოვიდაო. აქამდინ მე სულელი კიდევ რაღასაც ველოდი: მეგონა ღვთის სამართალი კიდევ გაიღვიძებს-მეთქი და მართალს გამამართლებენ. ამაშიაც მოვსტყუვდი“[2].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძემ ღვთაებრივი (მართალი) სამართლის მოძღვრებას ახალი, რევოლუციური მიმართულება და ელფერი მისცა. იგი მართალი (ღვთაებრივი) სამართლის მოძღვრებას

---

[1] იოვ. 7,24; იოვ. 5.30 (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945); ქართლის ცხოვრება, ტ. 11, თბილისი, 1959, გვ. 573, 19—20; თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. 11, გვ. 163; მისივე, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰბანის ქვაბთა, თბილისი, 1896, გვ. 53; შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 542. 959, 189, 1308. 1200, 1458; ი. შაუთელი. აბდულმესია. 21; ი. დ ო ლ ი ძ ე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 1, თბილისი, 1963, გვ. 464; მისივე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 11, თბილისი, 1965, გვ. 37; ვ. ა ბ ა შ მ ა ძ ე, ნარკვევები პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, ტ. II, თბილისი, 1977, გვ. 392—394;

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 105.

იყენებს არსებული ანტიხალხური, რეაქციული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის დასასაბუთებლად. ღვთაებრივი სამართალი იმიტომ არის მართალი, რომ იგი არა მარტო მოუწოდებს ადამიანებს სიმართლისადმი პატივისცემას, არამედ შთააგონებს მათ ყოველგვარი უსამართლობისადმი აქტიურ ბრძოლას მართალი (ღვთაებრივი) სამართლის იდეების საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზეიმოდ. ი. ჭავჭავაძის შეხედულებით მართალი (ღვთაებრივი) სამართალი აღაგზნებს ადამიანებს უსამართლობის წინააღმდეგ შურისძიების გრძნობით და ის ვინც სიმართლის გასამარჯვებლად ბოროტების წინააღმდეგ იბრძვის მართალ (ღვთაებრივ) სამართალს ახორციელებს. მართალი სამართლის მოთხოვნებს ასრულებს ციმბირის გზიდან პეპიასთან ერთად გამოქცეული გაბრიელი. ტანჯვა-წამებით გარდაცვლილ მოხუც პეპიას იგი საფლავს მიაბარებს და უბრუნდება თავის სამშობლოს, რათა შური იძიოს იმ ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რამაც გააუბედურა პეპიას ქალიშვილი და საკუთარი საცოლე თამრო, რამაც ულმობლად გამოასალმა წუთისოფელს მოხუცი პეპია და რამაც ცხოვრების ჭეშმარიტ გზას ააცდინა თვითონ გაბრიელი. მან იცის, რომ კაცის კვლა დანაშაულია, მაგრამ ადამიანი, რომელსაც უდიდესი უბედურება მოაქვს მახლობლებისათვის ღვთაებრივი (მართალი) სამართლის მიხედვით უნდა განადგურდეს, რადგან მისი მოქმედება ეწინააღმდეგება ღვთაებრივი სამართლის უმთავრეს მოთხოვნას, რომელიც ადგენს, რომ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ მხოლოდ სიკეთე და ბედნიერება უნდა მოჰქონდეს. გაბრიელი ამბობს: „კაცის-კვლა, რაც უნდა იყოს, მაინც ცოდვაა, შენი ჭირიმე! ეს მე ვიცოდი და ეს მიკიდებდა ცეცხლს და გულღვიძლსა მწვავდა. მაგრამ, როცა მომაგონდა, რომ ჩემმა სასიკვდილომ ერთის წუთის ჟინის საკლავად სამი ადამიანის სული არ დაგვინდო, მე ცოცხალი გამომასალმა ამ წუთის-სოფელს, შვილს მამა უზიარებლად მოუკლა და თუ ამასთან შვილსაც ნამუსი წაართვა, — განა ამისთანა კაცის მოკვლა დიდი ცოდვა უნდა იყოს-მეთქი! — ვფიქრობდი გულზედ-მოსული და ბრაზმორეული. მაშ ღვთის სამართალმა აღარ უნდა გაიღვიძოს-მეთქი! მაშ რას მეუბნებოდა მღვდელი, სხვა შენთვისაო და შენ სხვისთვისაო, თუ არ ამას?“[1]

ღვთაებრივი (მართალი) სამართლის ამ ახლებური გაგების საწყისები ჯერ კიდევ შ. რუსთაველმა შეიმუშავა „ვეფხისტყაოსანში“, ი. ჭავჭავაძის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს ის, რომ მან კიდევ უფრო განავითარა მართალი სამართლის რუსთაველისეული გაგება და მართალი სამართლის მოძღვრებას ახალი პოლიტიკური ელერადობა მისცა.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 113—114.

როგორც მეცნიერულ ლიტერატურაში ცნობილია, შ. რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის“ ყველა სიუჟეტური ეპიზოდი გადაწყვეტილი და შეფასებული აქვს მართალი (ღვთაებრივი) სამართლის მიხედვით. პირველ-ყოვლისა, ნესტან-დარეჯანის რჩევითა და წაქეზებით ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლა, რამაც გამოიწვია ინდოეთის სამეფო საგვარეულოს წევრთა შორის ნორმალური ურთიერთობის დარღვევა და ინდოეთიდან ტარიელისა და ნესტანის გადახვეწა, შ. რუსთაველს შეფასებული და დასაბუთებული აქვს, როგორც მართალი სამართლის ქმნა[1]. მეტიც, „ვეფხისტყაოსნის“ გმირები თავიდან ბოლომდე იბრძვიან მართალი (ღვთაებრივი) სამართლის განსახორციელებლად და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად კიდეეაც აღწევენ საზოგადოებრივი ცხოვრების მართალი (ღვთაებრივი), ჭეშმარიტი, ჰუმანური სამართლის მიხედვით მოწყობას: „ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს, ავის მქმნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს. შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“[2].

„გლახის ნაამბობიდან“ ნათლად ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძე მართალ (ღვთაებრივ) სამართალს უკავშირებს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას, მეტიც. მართალი სამართლის მოძღვრებაში მას შეაქვს რევოლუციური ელემენტები, კერძოდ. XIX საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესი წინააღმდეგობების გადასაჭრელად ი. ჭავჭავაძეს ძალის გამოყენება მართალი სამართლის შესაბამისად მიაჩნია.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძე ერთმანეთისაგან ასხვავებს სამართლის შემდეგ სახეებს: 1. ბუნებითი სამართალი; 2. პოზიტიური (ფორმალური) სამართალი; 3. ჩვეულებითი (ადათობრივი) სამართალი; 4. ღვთაებრივი (მართალი) სამართალი.

სამართლის ამ სახეების დახასიათებისას ი. ჭავჭავაძე სვამს კითხვას იმის შესახებ. თუ საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას ყველაზე უფრო ეფექტურ საშუალებას ქცევის რომელი ნორმები წარმოადგენს, ბუნებითი სამართალი. პოზიტიური სამართალი, ღვთაებრივი სამართალი, თუ ჩვეულებითი სამართალი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ი. ჭავჭავაძე სამართლის ნორმებს ორ ჯგუფად ყოფს: პირველი, დაწერილი სამართალი და, მეორე, დაუწერელი სამართალი. დაწერილ სამართალს განეკუთვნება სახელმწიფოს მიერ

---

[1] იხ. ვ. ა ბ ა შ მ ა ძ ე, ქმნა მართლისა სამართლისა (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1966 წლის 9 სექტემბერი); მისივე, „მართალი სამართლის“ ცნება ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებებში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1967 წ., ტ. 119, გვ. 185—205).

[2] შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, „ვეფხისტყაოსანი“, 1953, 1664.

დადგენილი სამართალი ანუ პოზიტიური (დადებითი) სამართალი და ჩვეულებითი სამართალი, დაუწერელ სამართალს კი — ბუნებითი სამართალი და ღვთაებრივი (მართალი) სამართალი, რაც შეეხება ჩვეულებებს, ისინი დაუწერელი ქცევის წესებია, მაგრამ არა სამართლებრივი, რომელიც დაწერილ სამართალთან ერთად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სამართლის შეფარდების პროცესში. ჩვეულებებმა შეიძლება მიიღოს სამართლის განსაკუთრებული სახე, კერძოდ, ჩვეულებითი (ადათობრივი) სამართლის სახე, თუკი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მის სახელმწიფოებრივ სანქციონირებას მოახდენს. ამ შემთხვევაში ადათობრივი სამართალი იგივე დაწერილი სამართალი გახდება. ყველა ზემოაღნიშნული სამართლის სახეებიდან უმთავრესს, რომლის მოთხოვნები უმაღლეს სამართლიანობას გამოხატავს, წარმოადგენს ბუნებითი სამართალი. [ყველაზე სრულად ბუნებითი სიმართლე გადმოცემულია ღვთაებრივ და ადათობრივ სამართალში, რომელიც, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, იგივე სახალხო სამართალია.] ამიტომაც ხალხის ფართო მასების ცხოვრებაში ადათები და ჩვეულებები დიდ როლს ასრულებენ, უმთავრესი საზოგადოებრივი ურთიერთობები ადათებითა და ჩვეულებებით წესრიგდება, განსაკუთრებით ყველაზე უმდაბლეს ინსტანციის სასამართლოებში, კერძოდ, სასოფლო სასამართლოებში ჩვეულებების მიხედვით წყდება საქმეები, რადგანაც დაბალი სოციალური ფენებისათვის დაწერილი სამართალი უცხოა და მის მოთხოვნებს მშრომელი ხალხის ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ შეუღწევია. ი. ჭავჭავაძის აზრით, ადათობრივი სამართალი უფრო სრულად გამოხატავს მშრომელი ხალხის ცხოვრებას და სასამართლოების საქმიანობაში მას უპირატესობა უნდა მიეცეს სამართლის სხვა სახეებთან შედარებით: „ჯერ ეხლაც, ხალხმა დაწერილის კანონისა არა იცის-რა და სასოფლო სასამართლოში რომ მიხვიდეთ, შეიტყობთ, რომ სოფლის მსაჯულები ადათითა და ჩვეულებით ხელმძღვანელობენ საქმის გადაწყვეტის დროს. მართალიც არის, მდაბიო ხალხის ეკონომიკური და იურიდიული ცხოვრება ჯერჯერობით ისე ვიწროთ და მკვიდრად შემოფარგლული წრეა, რომელსაც მაგრე მალე და ადვილად დაწერილი კანონი ვერ დაარღვევს და ვერ შეუვა“[1].

თუ რამდენად სწორად აქვს წარმოდგენილი ი. ჭავჭავაძეს საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების საქმეში ჩვეულებითი სამართლის როლი და დანიშნულება, ამაზე ნათელს პასუხს გვაძლევს მეცნიერებაში დამკვიდრებული აზრი მშრომელი ხალხის მატერიალური ცხოვრების სხვადასხვა დარგებში ჩვეულებითი (ადათობრივი) სამართლის გამოყენების აუცილებლობის შესახებ. გასული საუკუნის 40-იან წლებში გერმანიის ლანდტაგი იხილავდა კანონ-პროექტს ხე-ტყის ქურდობის

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 192.

თაობაზე. კ. მარქსი გამოდის სახელმწიფო ხელისუფლების ამ ღონისძიების წინააღმდეგ და მიუთითებს, რომ ხე-ტყის ქურდობისაგან დაცვა უფრო ეფექტიანი შეიძლება არა კანონის, არამედ ხალხის მიერ შემუშავებული ადათ-წესებისა და ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, რადგანაც საუკუნეების განმავლობაში მშრომელ ხალხში შემუშავებულ და განმტკიცებულ ადათობრივ სამართალს იგი უფრო იცნობს და მასში მოცემული აკრძალვები ხალხს ყველაზე სამართლიანად მიაჩნია. კ. მარქსი წერდა: «Мы требуем для бедноты обычного права, и притом не такого обычного права, которое ограничено данной местностью, а такого, которое присуще бедноте во всех странах. Мы идем еще дальше и утверждаем, что обычное право по своей природе может быть только правом этой самой низшей, обездоленной, неорганизованной массы».[1]

რაც შეეხება ღვთაებრივ სამართალს, ი. ჭავჭავაძის აზრით, იგი ახლოს დგას ბუნებით სამართალთან, რადგანაც იგი ადგენს მოყვასისადმი სიყვარულსა და პატივისცემას, რაც ადამიანის ბუნებისათვის უცხო არ არის, მაგრამ ბუნებითი სამართალი, როგორც დაუწერელი სამართალი, შეიცავს მხოლოდ ზოგად სახელმძღვანელო დებულებებსა და მოსაზრებებს და განსხვავებით სამართლის სხვა სახეებისაგან ნაკლებად არის დეტალიზებული, როგორც ქცევის კონკრეტული წესების ერთობლიობა. ღვთაებრივი (მართალი) სამართლის ზოგადი ნორმების საფუძველს მორალური და სათნოებითი სიკეთე წარმოადგენს, ამიტომ ღვთაებრივი (მართალი) სამართალი უდიდესი მორალური ძალაა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალს ანუ პოზიტიურ (დადებით) სამართალს ი. ჭავჭავაძე ფორმალურ სამართალს უწოდებს და ამით მას იმის თქმა უნდა, რომ სახელმწიფოს მოსაზრებები და ინტერესები, რომლებიც საფუძვლად უდევს პოზიტიურ სამართალს, ყოველთვის არ შეესაბამება ხალხის მისწრაფებებს. ეს ყველაზე მეტად ჩანს მრავალეროვანი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს საკანონმდებლო საქმიანობიდან, ამგვარი სახელმწიფო უძლურია გამოხატოს ყველა ერის სპეციფიკური თავისებურებებით განსაზღვრული ინტერესები მის მიერ დადგენილ სამართლის ნორმებში. ამიტომაც სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი ასეთ ვითარებაში ხდება ფორმალურ სამართლად, ჩინოვნიკების სამართლად, რადგანაც იგი მხოლოდ მშრომელ ხალხთან მოხელეების ურთიერთობის განმსაზღვრელი ხდება და მაშასადამე, ხალხისათვის უცხო და გაუგებარია. ამ მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ სამართალშემოქმედების მასალად, წყაროდ საუკუნეების განმავლობაში

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 1, стр. 125.

ხალხში ჩამოყალიბებული, განმტკიცებული და შემოწმებული ადათ-წესებისა და ჩვეულებების გამოყენება.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სამართლის აქტიური შემოქმედება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კანონმდებლის მიერ დადგენილ სამართალში უხვადაა გამოყენებული ქცევის ის წესები, რომლებსაც ადამიანები ასრულებენ ჩვეულებებით განმტკიცებული ძალის გამო და ყოველი კანონმდებლის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს მის მიერ დადგენილ სამართლის ნორმებში ქცევის ისეთი წესების შემუშავება, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალურად განხორციელდება და ფორმალურ სამართლად არ გადაიქცევა. სამართლის ძირითადი დანიშნულებაა მის მიერ დადგენილი ნორმების საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალიზაცია, კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი სამართლის ნორმების შეფარდება.

## § 4. სამართლის ნორმების შეფარდება

სამართალი აწესრიგებს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ დარგს, ადამიანები თავიანთი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ურთიერთობენ ამყარებენ ერთმანეთთან და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებთან. სამართლით რეგულირებულ იურიდიულ ურთიერთობებში ადამიანები გამოდიან განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების მატარებლად, მაგრამ სამართლით დადგენილი ადამიანთა უფლება-მოვალეობები თუ განუხორციელებელი შეიქმნა, შეუძლებელი ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირება.

ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლის ნორმების რეალიზაციას[1], რომლის პროცესშიც ვლინდება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ფუნქციები, მისი ზემოქმედებითი როლი საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლის რეალიზაცია ხდება არა ერთი, არამედ მრავალი ფორმით. ზოგიერთ შემთხვევაში სამართლის ნორმებს იყენებენ მისი სუბიექტები საკუთარი ინტერესებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ზოგიერთი სამართლის ნორმა თავისი შინაარსითა და ხასიათით ისეთია, რომ იგი სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებს ავალებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას, ზოგიერთ სამართლის ნორმაში კი მოცემულია იმგვარი სახელმწიფო-

[1] ი. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიიდან, გვ. 57—58; ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, გვ. 97.

ებრივი ბრძანებები, რომ სამართლის სუბიექტები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ისინი, თავი შეიკავონ ამ ბრძანებების დარღვევისაგან და დაიცვან მათი მოთხოვნები. სამართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალიზაციის ფორმებიდან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის ნორმის შეფარდებას, რომელსაც ახდენენ სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები.

სამართლის ნორმის შეფარდების უმნიშვნელოვანესი თეორიული საკითხები ი. ჭავჭავაძეს დამუშავებული აქვს მრავალ ნაწარმოებში, მაგრამ მას საგანგებოდ ამ პრობლემისადმი მიძღვნილი აქვს იურიდიული შინაარსის თეორიული გამოკვლევა — „სანოტარო დებულების 168 მუხლი და მისი შეფარდება თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ", რომელიც პირველად გამოქვეყნდა რუსულად 1875 წელს გაზ. „კავკაზში" ილია ჭავჭავაძის ხელმოწერით[1]. ამ ნაშრომის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია, იგი ი. ჭავჭავაძის იურიდიულ თხზულებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინოა, რადგან იგი წარმოდგენას გვაძლევს ი. ჭავჭავაძეზე, როგორც სწავლულ იურისტზე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის იურიდიული მეცნიერების განვითარებისა და სამართლის თეორიის მრავალი სადავო საკითხის გადაჭრაში.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმის შეფარდებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების განვითარებისა და განმტკიცებისათვის, მასში ყველაზე რელიეფურად და ნათლადაა წარმოჩენილი საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სამართლის ზემოქმედების არსებითი ნიშნები, რადგანაც სამართლის ნორმის შეფარდების უფლებამოსილება მხოლოდ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს გააჩნიათ. სამართლის ნორმის შეფარდება მოითხოვს დიდ ცოდნასა და გამოცდილებას, სამართლის შემფარდებელს უნდა შეეძლოს მოქმედი სამართლის სისტემაში კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად საჭირო ნორმის შერჩევა, შესაფარდებლად შერჩეული სამართლის ნორმის შინაარსის უშეცდომოდ გაგება და სწორი გადაწყვეტილების გამოტანა. სამართლის ნორმის სწორი შეფარდება განაპირობებს საზოგადოებაში ერთიანი მართლწესრიგის არსებობას, იგი ხელს უწყობს ადამიანთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების განვითარებას და ამ გაგებით მას დიდი ბედნიერება შეუძლია მოუტანოს საზოგადოებას.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სამართლის რეალიზაციას ახდენენ ადა-

---

[1] И. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55, 56, 57). მითითებები ამ ნაშრომის არსებობაზე გვხვდება წიგნში თ. ნაკაშიძე, ნ. კორძაია, ილია ჭავჭავაძე, ბიბლიოგრაფია, 1857—1907, ნ., 1966, გვ. 27; ვ. ქეანია, სამართლიანობისა და სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების... თბ., 1978.

მიანები, რომლებიც ახორციელებენ კანონით მინიჭებულ უფლებებსა და დაკისრებულ მოვალეობებს და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას შესაძლებლობას ქმნიან ადამიანთა უფლება-მოვალეობების შესრულებისათვის) ამდენად ადამიანთა უფლება-მოვალეობების განხორციელება დაკავშირებულია სახელმწიფო მმართველობისა და მართლმსაჯულების სფეროებთან, ანუ სხვანაირად, სამართლის რეალიზაცია ვლინდება ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში. ამ მხრივ სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლებებს შორის მჭიდრო კავშირია, ორივე ხელისუფლება მოწოდებულია სამართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ეფექტური ზემოქმედების მიზნით განახორციელოს სასამართლოს ნორმები. (ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სამართლის რეალიზაცია რთული პროცესია, მაგრამ მასში ნათლად ჩანს ის „შინაგანი კავშირი, რომელიც არსებობს მმართველობის და განსამართლების წესთა შორის საზოგადოდ“[1]) მიუხედავად მათ შორის ამ მჭიდრო კავშირისა, შეუძლებელია სამართლის ნორმების წარმატებით განხორციელება და ადამიანთა უფლება-მოვალეობების რეალიზაციის რთული ბუნების გაგება ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლებებისა და მათი ფუნქციების ერთმანეთისაგან გაუმიჯნავად. თავის ნაშრომში — „ცხოვრება და კანონი“ — ი. ჭავჭავაძე სწავლობს მამასახლისისა და სოფლის სასამართლოს უფლება-მოვალეობებს, რომელიც სოფლის თვითმმართველობების შესახებ 1865 წლის 11 აპრილის წესდებით იქნა დადგენილი. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ამ წესდების უდიდესი ნაკლი ისაა, რომ მასში არაა მტკიცედ და ნათლად ერთმანეთისაგან გამიჯნული სოფლის მამასახლისისა და სოფლის სასამართლოს სამართლებრივი მდგომარეობა, კერძოდ, სოფლის მამასახლისს ადმინისტრაციული ფუნქციები უნდა გააჩნდეს, სოფლის სასამართლოს კი — სასამართლო ანუ მართლმსაჯულებითი ფუნქციები. სოფლის თვითმმართველობების ზემოაღნიშნული წესდება მკვეთრად ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან ადმინისტრაციულ და სასამართლო ხელისუფლებებს და, რა თქმა უნდა, „უფრო უკეთესი იქნება, რომ მამასახლისს ჩამოაცილონ უფლება სასჯელისა, რადგანაც ეს სასამართლოს საქმეა და არა ხელთუფლობისა“[2]. საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების სფეროში კანონის რეალიზაციის ინტერესები ყოველთვის არ საჭიროებს სამართლის ნორმის შეფარდებას სასამართლოების მიერ, არამედ მთელი რიგი კონკრეტული საქმეების გადასაწყვეტად საკმარისია ადმინისტრაციული ორგანოების ჩარევა, მაგალითად, სასამართლოს მიერ 'სამართლის ნორმის შეფარდება აუცილებელია ისეთ საქმეებზე,

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 71.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 68.

რომლებიც სასჯელის შეფარდებასთან არის დაკავშირებული ანუ სხვანაირად, სასამართლო და ადმინისტრაციული ხელისუფლებები იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ სისხლის სამართლის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეები, რომელთაც აუცილებლად სასჯელი უნდა შეეფარდოს, სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი საქმეები, რომლებიც არ საჭიროებენ სასჯელის შეფარდებას, ადმინისტრაციული წესით უნდა გადაწყდეს. აქედან გამომდინარე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სოფლის თვითმმართველობების შესახებ მოქმედ წესდებაში უნდა მოხდეს ცვლილება, კერძოდ, მამასახლისს, როგორც ადმინისტრაციული ხელისუფლების წარმომადგენელს სოფლად უნდა ჩამოერთვას სასჯელის შეფარდების უფლება, რადგან იგი არა ადმინისტრაციული, არამედ სასამართლო ხელისუფლების საქმეა. ამიტომაც ი. ჭავჭავაძე მოითხოვს ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლებების კომპეტენციების მტკიცედ გამიჯვნას, კერძოდ, მისი აზრით, წესდებაში ნათლად უნდა აღინიშნოს უფლებამოსილება „მამასახლისის საკუთვნი ცალკე და სასამართლოსი ცალკე"[1].

სამართლის რეალიზაცია მიზნად ისახავს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის წესების მიხედვით ადამიანის ურთიერთობების მოწესრიგებას ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების მეოხებით. სასამართლოს ნორმების რეალიზაციის გზით სრულდება სახელმწიფო ორგანოების, ადამიანების და მათი გაერთიანებების მიერ კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მრავალფეროვან საზოგადოებრივ ურთიერთობებში ვლინდება. ყველა ცივილიზებულ საზოგადოებაში მხოლოდ კანონის მიხედვით უნდა შეფასდეს ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობები, ადამიანთა ნორმალური არსებობისათვის „გულდამშვიდებული გარჩევა უნდა, — ვინ ვის ემართლება, ვინ ვის ერჩის, ვინ ვისზე სამართლიანად ხელს იწვდის. განა კაცთა ადამიანური ცხოვრება, ისტორია, პროგრესი და სხვა რაიმე სიკეთე შესაძლებელია, თუ ყოვლით უწინარეს კაცთა ურთიერთობაში ისინი არ მოიკითხა, ამაების პასუხი არ იძია?"[2].

საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლის რეალიზაციის აუცილებლობის დასაბუთებასთან ერთად ი. ჭავჭავაძე ადგენს კანონთა განხორციელების უმთავრეს წანამძღვრებს. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, როგორც წესი სამართალში მოცემული სახელმწიფოებრივი ბრძანებების შინაარსი საზოგადოების უმრავლესობის შეხედულებებიდან უნდა გამომდინარეობდეს, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი შორს დგას იმ თვალსაზრისისგან, რომ უმრავლესობის მოსაზრება ყოველთვის მართა-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული. ტ. 6, გვ. 68.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 278—279.

ლი და ჰეშმარიტი შეიძლება იყოს. (უმრავლესობის აზრს მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა და საზოგადოებისათვის სასარგებლოა, როცა იგი მეცნიერულ საფუძვლებს ემყარება.) დიდბუნებოვან, გამოჩენილ მეცნიერთა აზრის საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ შეცნობისა და გაზიარების შემდეგ, უმრავლესობის მოსაზრებას საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების წესების თაობაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და მან თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს კანონში. მაგრამ ამ წესით დადგენილი სამართალი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ქმედითი, მხოლოდ მაშინ შეიძლება ამ სამართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატებით რეალიზაცია, თუ ადამიანები, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობაში არიან, იხელმძღვანელებენ კანონებით, მათ სჯერათ და სწამთ ამ კანონების, როგორც სულიერ და მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებისა და ამიტომაც ისინი საფუძვლიანად გაეცნობიან კანონის მოთხოვნებს, რადგან კანონის არცოდნა არ ათავისუფლებს პირს იურიდიული პასუხისმგებლობისაგან. ეხება რა სამართლის წარმატებით რეალიზაციის საქმეში ხალხის რწმენას მოქმედი კანონებისადმი, (ი. ჭავჭავაძე წერს: „სამართალი და კანონი უნდა ყველას სწამდეს თავის მფარველად, თავის სახსნელად. თუ სამართალი და კანონი ისეთია, რომ მისი არც კარგი სჯერათ და არც ავი, მაშინ... ყოველიფერი ამაოა“[1]. კანონის ცოდნა გვეხმარება სამართლიანობის შეცნობაში. თუ ვიცით კანონი, მაშინ ნათელია, რომ „საცა ცხადი და აშკარა უსამართლობაა, იქ სამართლიანობის პოვნა ყველასათვის ადვილია“[2]. კანონისადმი პატივისცემას და კანონის რწმენას ანმტკიცებს კანონმდებლის მისწრაფება, რაც შეიძლება სრულად და სამართლიანად მოაწესრიგოს ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულება. ადვილი შესაძლებელია კანონმდებლის მიერ დასახული მიზანი სამართლის რეალიზაციის პროცესში ერთბაშად ვერ იქნას მიღწეული, კერძოდ, ახალმიღებულმა კანონმა შესაძლებელია საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას ის შედეგი ვერ მოგვცეს ერთბაშად, რასაც კანონმდებელი ისახავდა კანონის მიღებისას, (მაგრამ გონიერი კანონი საბოლოოდ ყოველთვის იმარჯვებს, რაც დრო გადის ნათელი ხდება მისი მნიშვნელობა ქვეყნის შიგნით მშვიდობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში.) „გონიერი კანონი თავის-დღეში ცუდს არ მოიხდენს. იქნება, როშელისამე მიზეზით, ან იმით, რომ კანონი ახალია, კანონმა რამდენსამე ხანს ღირსებისამებრ არ იმოქმედოს, მაგრამ უფრო ადვილად დასაჯერია, რომ იგი დაუყოვნებლივ ღრმად გაიდგამს ფესვებს და შეიქმნება ქვეყნის მშვიდობიანობის და კეთილდღეობის დედაბოძად“[3].

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ 87.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 137.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 73.

სამართლის სუბიექტები კარგად უნდა იცნობდნენ კანონს, მის შინაარსს, მაგრამ ი. ჭავჭავაძე უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს სამართლის ნორმის შემფარდებლებს, ე. ი. იმათ, ვინც უფლებამოსილია კანონის მიხედვით გადასწყვიტოს კონკრეტული საქმე, ვინც განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობას სამართლებრივი რეგულირების პროცესში კანონს უფარდებს. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სამართლის ნორმის შემფარდებელს არა მარტო კანონის ცოდნა ევალება, არამედ იგი კანონზე უფრო მეტად უნდა იცნობდეს ხალხის შეხედულებებს სამართლიანობის შესახებ, მისი აზროვნების ძირითად მიმართულებებს, მის ზნესა და ჩვეულებებს. უმთავრესად ეს ითქმის ყველაზე დაბალი ინსტანციის სასამართლოზე, რომლის სათავეში მომრიგებელი მოსამართლე დგას და რომელსაც უშუალოდ მშრომელ ხალხთან უხდება ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ ხალხის ფართო მასები ჯერ კიდევ კანონებს მთლიანად ვერ იცნობს: „უფრო მომეტებულმა ნაწილმა ხალხისამ კანონები არ იცის, მომეტებული ნაწილი ვერ იტანს ფორმალობას, პატივს სცემს მარტო ნამდვილს სიმართლესა და უფრთხილდება დროს; ამისათვისაც ხალხისათვის უფრო ის არის სანატრელი, რომ საქმე სწრაფად გაუთავდეს ხოლმე და საქმის განაჩენები დამყარებული იყოს მასზედ, რაც თითონ ხალხის მოსაზრებით სიმართლედ არის ცნობილი“[1].

მაგრამ სამართლის რეალიზაციის პროცესში ხალხის მართლშეგნების გათვალისწინება, ი. ჭავჭავაძის აზრით, მიზნად არ უნდა ისახავდეს კანონის შინაარსისა და მოთხოვნების შეცვლას, სამართლის ნორმის შეფარდებისას უმთავრესი სახელმძღვანელო მასალა არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის წესი, რომელიც სამართლის ყველა სუბიექტზე ერთნაირად ეკისრება. ხალხს ღრმად სწამს, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი, რაგინდ მკაცრიც არ უნდა იყოს იგი, ყველასავან ერთნაირ მოქმედებას მოითხოვს და იმ წესის დამორჩილება, რასაც ყველა ასრულებს, თითოეული ინდივიდის სამართლიან ვალდებულებად უნდა მიიჩნდეს! აქედან წარმოსდგება სამართლის მაღალი ავტორიტეტი ხალხის თვალში: „სამართლით მოჭრილი ხელი არ მეტკინებაო“ — ამბობს ჩვენი ქართველი კაცი. ყურადღების ღირსია ამისთანა რწმენა ხალხისა. სამართლის რეალიზაცია კანონიერების პრინციპზე უნდა იყოს დამყარებული. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, დაუშვებელია, როცა „სინდისიერის სიმართლის განხორციელებას რაიმე კანონიერი წესი და რიგი არ იწყანარებს“[3]. სტატიაში — „ავლაბრელების საქმე“ — ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ თბილისის საბჭოს გამგეობა მიწების მფლობელობის თაობაზე ავლაბრელთა საქმის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობდა არა სინ-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 76.
2 ი ქ ვ ე, გვ. 22.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 47.

დისიერი სიმართლით, არამედ კანონიერი წესი და რიგი გამგეობამ გამოიყენა იმათ სასარგებლოდ, ვის მხარეზეც სიმართლის ნატამალიც კი არ იყო. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ავლაბრელების“ მხარეზედ სინდისიერი, თუ არ იურიდიული სიმართლე იდგა, და კანონიერი წესი და რიგი კი დასაღლეევად იმ მხარესაკენ მიიდრიკა, საცა მაგ სიმართლის ჩამიჩუმიც არ იყო“[1] (სამართალი, როგორც სახელმწიფოს მიერ დადგენილი მოთხოვნები, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანთა სინდისით განმტკიცებულ სიმართლეს, მაგრამ თუ ოფიციალურ ფორმალურ სამართალსა და სინდისიერ სიმართლეს შორის წინააღმდეგობანია, მაშინ საქმის გადაწყვეტისას უპირატესობა ამ უკანასკნელს უნდა მიეცეს, რადგან ყოველგვარი სამართალი უნდა იცავდეს ადამიანის ბუნებითი სინდისის შესაბამის უფლებებსა და თავისუფლებებს. სამართალი ის იარაღია, რომელიც ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის მტკიცე გარანტიებს ქმნის და სასამართლო დაწესებულებები კანონის საფუძველზე ახდენენ დარღვეული უფლებების აღდგენას.) ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს რა მეფის თვითმპყრობელობის მიერ 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტს, მიუთითებს, რომ იგი ადამიანებს ანიჭებს თავისუფლებებს, მაგრამ ჯერ ერთი, მანიფესტით დადგენილი თავისუფლებები უკიდურესად შეზღუდულია, მაგრამ, რაც მთავარია, მანიფესტით აღიარებული შეზღუდული თავისუფლებანი ცარიელ დაპირებას წარმოადგენს, რადგან მასში არაფერია ნათქვამი ამ თავისუფლებათა ცხოვრებაში რეალიზაციის გარანტიებზე. ი. ჭავჭავაძე წერს: „Даже в этом урезанном и недосказанном виде возвещенные вольности ничем не обеспечены за гражданами. Манифест представляет из себя лишь обещания, ибо о мерах, направленных к осуществлению и введению в жизнь возвещенных свободе он не говорит ни одного слова, не делает ни одного указания“[2].

სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებები და მოვალეობები თუ არ განხორციელდა, მათ ფორმალურ აღიარებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ თითოეული საზოგადოება არავითარ ხარჯებს არ ერიდება სამართლებრივი დადგენილებების რეალური გარანტიების შექმნისათვის. ადამიანებისათვის სამართლით მინიჭებული იურიდიული შესაძლებლობების გარკვეული ნაწილის საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალიზაცია თვით ადამიანებზეა დამოკიდებული, კერძოდ, უშუალოდ ადამიანთა ურთიერთობის პროცესში დგება სამართლის ნორმებით გათვალისწინებული იურიდიული შედეგები, მაგრამ კანონების დიდი ნაწილი თავისი შინაარსით ისეთია, რომ უშუალოდ ადამიანებს არ შეუძლიათ მიაღწიონ ნორმით გათვალისწინებულ იურიდიულ შედეგებს, ამისთვის აუცილებლად საჭიროა ადამიანების მიერ ნორმით გათვალის-

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 47.
2 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პროფ. კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის პირადი არქივი, საქმე № 1016, ფ. 1.

წინებული ქცევის წესების შესრულებასთან ერთად კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მოქმედება, კერძოდ, უფლებამოსილმა სახელმწიფო ორგანოებმა ადამიანთა ურთიერთობების კონკრეტულ ფაქტებს უნდა მიუსადაგოს შესაბამისი სამართლის ნორმა. ეს ამოცანები დაკისრებული აქვს სასამართლოებს და ამას გარდა საამისოდ კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც ახდენენ სამართლის ნორმის, კანონის შეფარდებას.

(ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამართლის ნორმის შემფარდებელი ორგანოების (სასამართლოები და საამისოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები) სისტემას, მათ ორგანიზაციას[1]. სამართლით სარგებლობენ ადამიანები, მის მიერ დადგენილი ქცევის წესებით წყდება ადამიანთა მრავალფეროვანი ურთიერთობები. ამიტომ ცხადია, რომ რადგანაც ადამიანებს სამართალი და მართლმსაჯულება ძალიან ხშირად სჭირდებათ ნორმალური ცხოვრებისათვის, აუცილებელია, რომ სამართლის რეალიზაცია, მართლმსაჯულების განხორციელება მათ ერთობ ძვირი არ უჯდებოდეთ.)სიიაფე მართლმსაჯულებისა ნიშნავს, რომ სამართლით საქმის გადაწყვეტისათვის სახელმწიფო დაწესებულებები მოქალაქეებისაგან, რომლებიც იძულებული არიან მოსამართლეებს სთხოვონ სადავო საკითხების განხილვა, არ მოითხოვდნენ დიდი გადასახადის გადახდას და გარდა ამისა,(სასამართლოები ტერიტორიულად ისე ახლოს უნდა იყოს მოსახლეობასთან(რომ ხალხს თავისი ინტერესების დასაცავად შორს წასვლა, მოცდენა და ზედმეტი ხარჯების გაღება არ უნდა უხდებოდეს.) „სიიეფე სამართლისა განა მარტო იმისაგან წარმოსდგება, რომ სამართალი განთავისუფლებულ იყოს ყოველ სახელმწიფო ბაჟისა და ხარჯისაგან, არამედ იმისგანაც, რომ გაჭირვებულს შორი სატარებელი არა ჰქონდეს თავის გულის დარდის ასაყრელად, თავის ზიანის შესავსებლად, თავისის და თავის ოჯახის პატივისა, ადამიანობის დასაცველად. შორი სატარებელი ბევრს ხარჯს, ბევრს დროს ითხოვს ხალხისაგან, ხალხს ეს ძალიან ძვირი უჯდება, ისე, რომ ხშირად იძულებულია ხოლმე თავი დაანებოს საჩივარს, ოღონდ კი არ მოსცდეს თავის შინაურს საქმესა და ხარჯი არ გასწიოს წასელა-მოსელაში"[2].

სამართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ეფექტური ზემოქმედება არა მარტო იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ადექვატურად და სრულადაა ასახული მის მიერ დადგენილ ნორმებში საზოგადოებრივი ცხოვრების მხარეები, არამედ სამართლის განუხრელ რეალიზაციას, კა-

---

[1] ვ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, გვ. 99—102; ვ. ე ვ ა ნ ი ა, მართლმსაჯულებისა და პუბლიცისტიკის საკითხები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, გვ. 55.

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 85.

ნონში განმტკიცებული სახელმწიფოებრივი ბრძანებები შესრულებას სამართლის სუბიექტების მიერ სამართლის ნორმების შემფარდებელი სახელმწიფო ორგანოების სწორი ორგანიზაციაც განაპირობებს. ძვირი და მოუქნელი მართლმსაჯულება ხალხის ფართო მასებისათვის მიუწვდომელია და საბოლოო ჯამში საზოგადოებრივი ცხოვრება და სამართალი ერთმანეთისაგან განცალკევებული მოჩანს, მოქალაქეები იძულებული ხდებიან უარი თქვან კანონის მიერ მათთვის მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებაზე სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი საშუალებებით. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „როცა მთავრობა რომელისამე მიზეზით ამ ყოფაში ჩააგდებს ხოლმე ხალხს, იქ ხალხის თვალში — სამართალიც, რომელსაც სიშორით ვერ მიჰკარებია, მოსამართლეც — რომელსაც შორიდამ ვერ მისწვდენია, ის არის სწორედ, რაც მაღლა დაკიდებული ძეხვი კატისათვის... ამ ყოფაში სამართალი ხალხს თვის მფარველად აღარ მიაჩნია და ამის გამო ამბობს გულში: „რაც ჩემთვის არ არის, თუნდ იყოს და თუნდა არაო“[1].

(სამართლის ნორმის შემფარდებელი ორგანოების სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ სასამართლოები შორს არ უნდა იყოს სამართალდარღვევის ადგილიდან.) სახელმწიფოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების კარგი, მარტივი და მოქნილი წესებიც რომ არსებობდეს დადგენილი ქვეყანაში, სამართლის რეალიზაციის წარმატებით განხორციელებას დიდად შეაფერხებს მშრომელი ხალხისაგან სასამართლო ორგანოების სიშორე. განსაკუთრებით ეს ითქმის სამართალდარღვევის ისეთ შემთხვევებზე, რომელთა სასწრაფოდ და დაუყოვნებლივი შესწავლის, შემოწმებისა და განხილვის გარეშე, ადვილი შესაძლებელია საქმესთან დაკავშირებული გარემოებების კვალი სრულიად წაიშალოს: „სამართალი თავის დანიშნულებას აუქმებს, როცა სამისა თუ ათის მანეთის მაძიებელი იძულებულია ასს ვერსტზედ წავიდეს, ანუ როცა საქმე იმისთანაა, რომ დაუყოვნებლივ მოხედვა უნდოდეს, და მინამ მაძიებელი შეატყობინებდეს სამართალს და მინამ სამართალი ადგილობრივ გამოძიებისათვის მოვიდოდეს, ყოველივე კვალი საქმისა წაშლილი იყოს. საბუთები მფლობელობის დარღვევისა, ანუ უძრავის ქონების წანახედისა, მარტო ადგილობრივ შეიკრიბება და მხოლოდ მაშინ, როცა სამართლის დარღვევის უმალვე, დაუყოვნებლივ შეუდგებიან საქმეს; უამისოდ სამართლიანი გადაწყვეტა საცილობელის საქმისა ძნელდება ხოლმე და ხშირად შეუძლებელიც ხდება“[2].

(სასამართლოების საქმიანობაში საშიში და სამართლიანობისათვის ძირისგამომთხრელია ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება, რომე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 85—86.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 75.

ლიც წარმოსდგება მოსამართლეების მიერ იმ ადგილის ენის უცოდინარობისაგან, რომელზეც მათი სასამართლო ხელისუფლება ვრცელდება. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ არ შეიძლება სადავო იყოს ის, რომ „მოსამართლეს მოჩივარის ენა უსათუოდ უნდა ესმოდეს, იმიტომ, რომ თავის ყურით გაგონილი, თავის ყურით სმენილი უფრო უტყუარია, უფრო ზედმიწევნილია, უფრო მართალია და, რადგანაც მართალია, უფრო შეუცდომელს საბუთს აძლევს შეუცდომელის განკითხვისა და განაჩენისათვის, მოსამართლე და მოჩივარი, რომელთაც ერთმანეთისა არ ესმით, ერთმანეთის ენა არ იციან, ერთმანეთისათვის მუნჯებიც არიან და ყრუნიცა. ამისთანა მოსამართლე და მოჩივარი ერთმანეთისათვის აღარ არიან“[1]. (აკრიტიკებს რა მოქმედ კანონმდებლობას, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მასში უგულებელყოფილია მართლმსაჯულების ელემენტარული წესი, რომლის თანახმადაც მოსამართლე აუცილებლად ადგილობრივი მცხოვრებთაგანი უნდა იყოს, რადგან მხოლოდ ამისთანა მოსამართლეს შეუძლია იცოდეს ადგილობრივი ხალხის ზნე-ჩვეულება, სულიერი ცხოვრების თავისებურებანი და ა. შ.) ი. ჭავჭავაძის აზრით, სრულიად გაუმართლებელია, როცა ძალიან ხშირად ჩვენში მთავრობის განკარგულებით „იაროსლაველი კაცი სვანებს, მაგალითად, ანუ ფშავ-ხევსურებს მოსამართლედ ენიშნება“[2]. ადგილობრივი ენის ცოდნა კიდევ უფრო აუცილებელია დაბალი ინსტანციის მოსამართლის, კერძოდ, მომრიგებელი მოსამართლისათვის, რომელსაც დაკისრებული აქვს მხარეთა დავის შინაარსის დაწვრილებითი და საფუძვლიანი გაცნობა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენა და, რაც მთავარია, მათი მორიგება. ადგილობრივ მცხოვრებთა ენის უცოდინარ მომრიგებელ მოსამართლეს არ შეუძლია „მორიგებაზედ სიტყვის ჩამოგდება, იმიტომ, რომ შეუძლებელია სხვაგნით მოყვანილი კაცი, რაც უნდა კარგი იყოს, ვერ იზამს იმისთანა მოსამართლობას, რომლის აზრიც კანონმდებელთა ჰქონდათ. პირველი იმის სიტყვას, როგორც უცნობის და ხამის კაცისას, ისეთი ზედმოქმედება არ ექმნება, როგორიც შინაურის კაცის რჩევას; მეორე, რომ ადგილობრივ ყოფა-ცხოვრების და ჩვეულების უცოდინარი იმისთანა მორიგების გზას ვერ უჩვენებს მოდავეებს, რომ შეეფერებოდეს საქმის ჭეშმარიტს და არა ფორმალურს გარემოებასა“[3].

(სამართლის განუხრელი, სრული და თანმიმდევრული რეალიზაცია გულისხმობს სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონების მიერ საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებისა და მატერიალურ ფასეულობათა ერთნაირად და თანაბრად დაცვას, განურჩევლად მათი კლასობრივი მდგომარეობისა. სახელმწიფო ადგენს ყველასათვის ერთნაირ კანონს,

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 279.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 80.
[3] იქვე, გვ. 91.

რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივ ურთიერთობებში ყველა წოდების წარმომადგენელთა საქმიანობის ერთნაირი საზომით შეფასებას. კანონის წინაშე თანასწორობა სამართლის რეალიზაციის პროცესში გულისხმობს სოციალური მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად ყველა მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობის თანაბრად დაცვას სამართლის ნორმის შემფარდებლის მიერ. მაგრამ, როცა საქმე ეხება მაღალი და პრივილეგიური კლასის წარმომადგენელთა ანდა თვით სახელმწიფოს ინტერესებს, სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში უფლებამოსილ მოხელეებს არც ერთი სამართალდარღვევა არ რჩებათ რეაგირების გარეშე და ყოველ კონკრეტულ შემთხვევას მთელი სისრულითა და თანმიმდევრულობით უფარდებენ სამართალს, მაშინ, როცა უბრალო მოქალაქეთა შელახული ინტერესების დასაცავად, მოსამართლეები და სამართლის ნორმის სხვა შემფარდებლები ხშირ შემთხვევაში თავს არ იწუხებენ. ი. ჭავჭავაძე იბრძვის სამართლის ნორმის შეფარდებისას კლასობრიობის წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ სამართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ეფექტური ზემოქმედების მიზნით, კანონი თანმიმდევრულად და მთელი სისრულით თანაბრად ხორციელდებოდეს სამართლის ყველა სუბიექტზე, განურჩევლად მათი კლასობრივი წარმოშობისა. ი. ჭავჭავაძის აზრით, დაუშვებელია, როცა სახელმწიფოს მოხელეებიდან სამართალდამრღვევთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას „არავინა ჰკითხულობს, თუ ერთი განსაკუთრებული, წრეს გადასული ამბავი რომ არ მოხდა, როგორც, მაგალითებრ, თავ თომა ციციშვილის სახლზედ დაცემა, ან რომელიმე დიდის კაცის გზაში გაძარცვა, ფოსტის გატეხა და სხვა ამისთანა, იმაზე კი, რომ გლეხკაცს უკანასკნელი ძროხა მოჰპარეს, წაართვეს, ან დახანჯლეს, ან მოჰკლეს, — თავს არავინ იტკიებს“[1].

სამართლის ნორმის რეალიზაციის კლასობრივი ხასიათი, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპის დარღვევა, საზოგადოების დიდი ნაწილის თვალში სახელს უტეხს სახელმწიფოს, სამართალს და ეწინააღმდეგება სამართლიანობას, რომელიც ადამიანთა ურთიერთობაში ყოველგვარი მოვლენის ერთადერთი საზომია. თანამდებობის პირები სახელმწიფოში მხოლოდ ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდნენ, მაგრამ საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემა, რომელიც კანონის მთელი სისრულით იცავს მოსახლეობის ერთ ნაწილს, ხოლო მეორეს კი უყურადღებოდ ტოვებს, ხალხის არავითარი პატივისცემითა და მოწონებით არ სარგებლობს: „რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც ხმას არ იღებს უღონობით, როცა გლეხს უპატიურად ხდის არა-გლეხი, და როცა არა-გლეხს

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 224.

უპატიურება მიადგება გლეხისაგან — მაშინ კი ძალასა და ღონეს იჩენს"[1].

საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლის ნორმის სრულად და თანმიმდევრულად განუხორციელებლობას, მოხელეთა დაუინტერესებლობას და გულგრილობას კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა შემთხვევის სამართლით რეგულირების საქმეში, ხელს უწყობს სახელმწიფო აპარატში გაბატონებული ბიუროკრატიზმი, ფორმალიზმი და საქმის გაჭიანურება. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ისეთი დანაშაულობანი, როგორიცაა ქურდობა და ავაზაკობა ხელყოფს საზოგადოების უშიშროებას და სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი მათ მკაცრად სჯის. კანონი მოითხოვს სახელმწიფოს მიერ საგანგებოდ დანიშნული მოხელეებისაგან დანაშაულობის წინააღმდეგ სისტემატურ ბრძოლას, მაგრამ „საზოგადო სენი ჩვენებურ მოხელეობისა ის არის, რომ ქურდობა და ავაზაკობა მოხელეს დიდ დავალებულ საქმედ არ მიაჩნია. ბევრს უფრო მეტი შიში და რიდი აქვს უფროსისა, თუ თავის დროზე უწყებები არ ჩააბარა, ვიდრე იმისი, რომ ქურდობისა და ავაზაკობის კვალს არ გამოუდგა და ქურდი ხელიდამ წაუვიდა. ეს იმისათვის არის ესე, რომ უწყების არ-ჩაბარებას მოიკითხავენ ხოლმე და ქურდისა და ავაზაკის კვალის კვლევას და არ-დევნას არავინა ჰკითხულობს"[2]. ბიუროკრატიზმის ბატონობა სახელმწიფო აპარატში იწვევს უზარმაზარ ხარჯებს, რაც მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას. განსაკუთრებით ეს ითქმის მომრიგებელ მოსამართლეების აპარატზე. ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომელთაც მოსახლეობის ენაც ესმით და ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი, მომრიგებელ მოსამართლეებად არ ნიშნავენ, იმ ხალხის ენის უცოდინარი სხვა ტომის წარმომადგენლის დანიშვნა მომრიგებელ მოსამართლედ, რომელსაც ადგილობრივი ცხოვრების პირობების არაფერი გაეგება, იწვევს მომრიგებელი მოსამართლის გარშემო უამრავი კანცელარისტების, მთარგმნელებისა და გადამწერლების აუცილებლობას, რომელთა შენახვა, ჯერ ერთი, ზედმეტ ხარჯებს მოითხოვს და გარდა ამისა, რაც მთავარია, სასამართლოების საქმიანობაში ბიუროკრატიზმს იწვევს: „მომრიგებელი მოსამართლე რომ აქაურ მცხოვრებთაგანი დაენიშნათ, მაშინ სრულიად საჭირო არ იქნებოდენ იმოდენა კანცელარიები, მთარგმნელები, რამოდენანიც ეხლა არიან და ჯამაგირებსა სჭამენ. მაშინ უსარგებლოდ იმოდენა ხარჯი არ წავიდოდა, რამოდენაც ეხლა კანცელარიებზედ და მთარგმნელებზედ მოდის"[3].

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 60.
[2] იქვე, გვ. 224.
[3] იქვე, გვ. 87.

(ი. ჭავჭავაძის მტკიცებით,) სამართლის ნორმის შეფარდების შედეგები დიდ ზეგავლენას ახდენს არა მარტო მოცემული კონკრეტული საქმის მონაწილეთა ცხოვრებაზე, არამედ მან შეიძლება გადამწყვეტი როლი შეასრულოს მომავალში სხვა ანალოგიური საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულებაზე, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, (სამართლის არასწორი შეფარდებით ყოველი კონკრეტული ურთიერთობის კანონსაწინააღმდეგოდ გადაწყვეტა არა მარტო ზიანს აყენებს ამ ურთიერთობის უფლებამოსილი მონაწილის სამართლიან ინტერესებს, არამედ იგი შეიძლება გახდეს საშიში მთელი საზოგადოებისათვისაც, რადგან მომავალში ყველა ანალოგიური ურთიერთობა მოწესრიგდება სასამართლოს მიერ ერთხელ არასწორად გამოტანილი გადაწყვეტილების ზეგავლენით, კერძოდ, სამართლის არასწორი შეფარდების საფუძველზე ჩამოყალიბებულმა მცდარმა სასამართლო პრაქტიკამ შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს სამართალშემფარდებელი ორგანოების საქმიანობაზე.) ი. ჭავჭავაძე მიუთითებს რა თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე სანოტარო დებულების 168 მუხლის არასწორი შეფარდების შესახებ, წერს: „საოკრუგო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი საკითხი მართალია ეხება მხოლოდ ცალკეულ, ერთეულ შემთხვევას, მაგრამ არაფერი არ გვაშორებს იმ საფრთხეს, რომ მსგავსი საკითხი მომავალშიც ასევე არ გადაწყდება სხვა ბევრი ანალოგიური შემთხვევების მიმართაც“[1].

(სამართლის შეფარდებისას კომპეტენტური ორგანოები, მართალია, ემყარებიან სამართლის ნორმით დადგენილ სახელმწიფო ბრძანებებს და მის მიხედვით აწესრიგებენ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მაგრამ (სამართლის ნორმის შეფარდება არ არის კონკრეტული შემთხვევისადმი სამართლის ნორმის უბრალო მიყენება, არამედ იგი მეტად რთული იურიდიული საქმიანობაა, რომლის პროცესში კონკრეტული სამართლის ნორმისა და ფაქტიური ურთიერთობის საფუძველზე სამართალშემფარდებელი ძალიან ხშირად წამოაყენებს და წყვეტს დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ადვილი შესაძლებელია შესაფარდებლად შერჩეულ ნორმაში ნათლად არ იყოს გადაჭრილი.) ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ თბილისის საოკრუგო სასამართლომ კონკრეტული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად შერჩეულ სამართლის ნორმაში ვერ მონახა სწორი პასუხი შემდეგ კითხვაზე: „კანონით ნებადართულ და მოწონებულ რანაირ პირობებში შეუძლია უძრავი საკუთრების მფლობელს განკარგოს იგი, როგორც გაცვლითი და საკრედიტო ურთიერთობების საგანი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა პირობებში შეუძლია მფლობელმა გამოაცალინოს თავისი კუთვნილი განკარგვის უფლება

[1] Н. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55).

თავისი უძრავი ქონების **კანონიერი გზით** გასხვისების ან მასზე უფლების შეზღუდვის სურვილის დროს"[1].

ამ კითხვაზე სასამართლოს მიერ არასწორი პასუხის გაცემა შეაფერხებს ქვეყანაში საადგილმამულო კრედიტის კეთილისმყოფელ ზეგავლენას მიწათმოქმედებისა და მიწათმფლობელობის შემდგომ განვითარებაზე. თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ ამ კითხვაზე გაცემული არასწორი პასუხი მესაკუთრეს საადგილმამულო საქმიანობის წარმართვაში ხელს უშლის, რადგან უსპობს კრედიტის მიღების საშუალებას. ი. ჭავჭავაძე წერს: „თავის მხრივ კრედიტის კარებში მესაკუთრის შესვლის ცდისას თუ კარები გადაღობილი იქნება კანონების არასწორი შეფარდებითა და ახსნა-განმარტებით საკუთრების სამართლის ერთ-ერთი არსებითი ნაწილის მიმართ, მაშინ კრედიტის თავისუფალი მიმოქცევა, რომელიც ასე მგრძნობიერია ყოველგვარი შარისა და შეკვეთრებისადმი, მისი შეუნაცვლებელი დახმარება მთავრობისა და ხალხის მისწრაფებაში ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერებისაკენ, დარჩება მხოლოდ და მხოლოდ სასურველ, მაგრამ მიუღწეველ ოცნებად"[2].

მსგავსი შეცდომების თავიდან აცილების მიზნით ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სამართლის ნორმის რეალიზაციის პროცესებიდან ცალკე უნდა გამოიყოს იურიდიული საქმიანობის რამდენიმე მომენტი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სამართლის ეფექტური ზემოქმედებისათვის.

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სამართლის ნორმის შემფარდებელი, პირველყოვლისა, ვალდებულია დაადგინოს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ კონკრეტული შემთხვევების იურიდიული ნიშნები, რომლებიც საჭიროებენ სამართლებრივ რეგულირებას. მოსამართლემ კანონის მიხედვით უნდა შეამოწმოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოცემული კონკრეტული შემთხვევა ექვემდებარება თუ არა სამართლებრივ მოწესრიგებას. მას შემდეგ, რაც იგი დარწმუნდება, რომ მოქმედი სამართლის სისტემაში არსებობს მოცემული შემთხვევისადმი შესაფარდებლად საჭირო სამართლის ნორმა, სამართლის შემფარდებელი ვალდებულია დაადგინოს კანონით მოსაწესრიგებელი საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტების იურიდიული ნიშნები, კერძოდ, იურიდიული შეფასება მისცეს მოცემული საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მოქმედებას. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ფაქტის იურიდიული ნიშნის დადგენა, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს სამართლით, რომელიც ობიექტური, მიუდგომელი და ჭეშმარიტია. სამართლის შემფარდებლისათვის „საცა

---

[1] И. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55).

[2] იქვე.

მიყვარს თითონ დიამბეგიც, იმიტომ — რომ ჩათუქესანია ყოველთვისა; მრავალს თითონ გამორჩება ხოლმე და თავის რიგზედ თითონაც ზოგიერთს არჩენს; მიყვარს უფრო მისი მარჯვენა — სულ ერთია მათრახით არის მოსილი, თუ უმათრახოდ, — ორივე შემთხვევაში კარგია, იმიტომ, რომ ისე დაიჭერს ხოლმე საქმეს, რომ მარცხენაც ვერ შეიტყობს, სახარების სიტყვისამებრ"[1].

ვაზერგად, სამართლის ნორმის შეფარდება იწყება სამართალშემფარდებელი ორგანოს მიერ სამართლის ნორმით მოსაწესრიგებელი კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის იურიდიული ნიშნების დადგენით და მოქმედ სამართლის სისტემაში შესაფარდებლად საჭირო ნორმის შერჩევით. იურიდიულ თხზულებაში — „სანოტარო დებულების 168 მუხლი და მისი შეფარდება თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ", ი. ჭავჭავაძე შენიშნავს: „რომ თბილისის საოკრუგო სასამართლომ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით კითხვაზე თუ რა პირობებში შეუძლია მფლობელს გამოაცლინოს თავისი კუთვნილი უფლება კანონიერი გზით უძრავი ქონების გასხვისების ან მასზე უფლების შეზღუდვის შემთხვევებში, არასწორი პასუხი გასცა, რადგან მან ვერ შესძლო ვერც სამართლით მოსაწესრიგებელი კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის იურიდიული ნიშნების დადგენა და ვერც მოქმედი სამართლის სისტემაში შესაფარდებლად საჭირო სამართლის ნორმის შერჩევა. ი. ჭავჭავაძე წერს: „საოკრუგო სასამართლომ გადასწყვიტა რა ზემოაღნიშნული საკითხი... კანონით გაუმართლებელი აზრით, თავისი გადაწყვეტილების ძირითად პუნქტად წამოაყენა სანოტარო დებულების 167 და 168 მუხლები და X ტ. პირველი ნაწილის მთელი რიგი მუხლები და აქედან გამომდინარე გამოიტანა ასეთი კატეგორიული დასკვნა: უფროსი ნოტარიუსი სანამ იგი შეასრულებდეს ან დაამტკიცებდეს რაიმე აქტს უძრავი ქონების გადაცემის ან დაგირავების შესახებ, მოვალეა დარწმუნდეს იმაში, რომ გადასაცემი ან დასაგირავებელი ქონება მხარის კუთვნილებაა და იგი ვალდებულია ამაში დარწმუნდეს არა მარტო სიმტკიცის წესით შესრულებული მხოლოდ უფლების დამკვიდრების აქტით, არამედ სამეჯნო აქტებითაც, რომლებიც მითითებულია ამიერკავკასიის მხარის გამეჯნვის შესახებ დებულების 299 მუხლში. ამ უკანასკნელი დებულების დასადასტურებლად საოკრუგო სასამართლომ შესაძლებლად ჩათვალა დაემოწმებია, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, X ტომის I ნაწილის საქმესთან სრულიად დაუკავშირებელი უბრალოდ ჩამოთვლილი მთელი რიგი მუხ-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 409.

მართალია, იქ... სხვა არა არის-რა მართლის მეტი. არც ნათესაობა, არც მეგობრობა, არც თხოვნა-ვედრება არა სჭრის-რა, ერთხელ მის მიერ აღიარებულ მართლის მეტი"[1]. დაუშვებელია ფაქტის იურიდიული ნიშნების დადგენისას სამართლის მოთხოვნათა თვითნებური გაგება კანონის შემფარდებლის მიერ, რადგან იგი იწვევს უდანაშაულოთა და უბრალოთათვის იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრებას და სამართალდამრღვევთა გამართლებას. აკრიტიკებს რა მართლმსაჯულების განხორციელებაში არსებულ ნაკლოვანებებს, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სამართალში გადმოცემული კანონმდებლის მიზნის განზრახ არასწორი გაგება ყოველთვის „მსაჯულს სახსარს აძლევდა ყოველივე ცუდკაცობა ჩაედინა და სამართლის სასწორი ისე ებრუნებინა, როგორც გუნებაში გაუელიდა"[2].

ფაქტის იურიდიული ნიშნების დადგენა, კერძოდ, იმის გარკვევა ექვემდებარება თუ არა მოცემული კონკრეტული შემთხვევა სამართლის ზემოქმედებას, აგრეთვე კონკრეტული ფაქტის იურიდიული კვალიფიკაციის ხარისხის დადგენა რთული პროცესია, რადგან სამართლის სისტემაში შერჩეული კანონის მიხედვით კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის იურიდიული შეფასებისას ზოგჯერ შეიძლება რამდენიმე თანაბარმნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება, მაგრამ მართლმსაჯულების საყოველთაოდ მიღებულ კანონს წარმოადგენს ამ შესაძლებელი დასკვნების ყურადღებით შესწავლა და ეს მდგომარეობა ერავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ ერთი დასკვნისათვის: „საქმე, რომლიდამაც სხვადასხვა დასკვნა შესაძლოა კაცმა გამოიყვანოს, არ უნდა იყოს ხმარებული საბუთად მარტო ერთი დასკვნისათვისა. ეს მართლმსაჯულობის უცილობელი კანონია"[3].

(სამართლის ნორმის შეფარდებისას ფაქტის იურიდიული ნიშნების დადგენა მოითხოვს კანონის ცოდნას, რამდენადაც საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი კვალიფიკაცია ხდება კანონში დადგენილი სახელმწიფოებრივი ბრძანებების გათვალისწინებით.) სამართლის ნორმის შემფარდებელი თანამდებობის პირია, რომელსაც სამისო უფლებამოსილება გააჩნია. სამართლის ნორმის შემფარდებლებისაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსამართლეები, რომლებიც ფაქტის იურიდიული ნიშნების დადგენასთან ერთად კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს უსადაგებენ შესაფარდებლად შერჩეულ ნორმას და გამოაქვთ გადაწყვეტილებებისა და განაჩენების სახით კანონის შესაბამისი დასკვნები. მოსამართლის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმნიშვნელოა სხვა საქმეებთან შედარებით. ი. ჭავ-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 243.
2 ი ქ ვ ე, გვ. 242.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 133.

ჭავაძის მტკიცებით, საზოგადოებრივი ცხოვრება იცნობს ბევრ ისეთ საქმეს, რომელიც შინაარსით განსაცვიფრებელია და ადამიანის განსაკუთრებულ ნიჭზეა დამოკიდებული. ასეთ საქმეებს განეკუთვნება ციხე-სიმაგრეების აღება, ქვეყნების დაპყრობა და ა. შ., რომლებიც თავიანთი სიდიადით ჰქუხს, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში „იმისთანა საქმენიც არიან, რომელთაც ეღარუნები არა აქვთ და არა ხმაურობენ, მაგრამ მით არა ნაკლები მნიშვნელობა აქვთ წუთისოფლის სიმწარის დასატკბობელად და სიმწვავის გასანელებლად. ამისთანა საქმეა, მაგალითად, მართლმსაჯულება. იგი არ დაიარება ქვეყანაზედ ბუკითა და ნაღარათი. მისთა მსახურთა მზად-მზარეული გვირგვინი შარავანდედისა არ ადგიათ თავზედ, რომ დიადობის ქარი ჰქონდეს კაცთა თვალთათვის, როგორც თითონ მართლმსაჯულება, ისეც მისნი მსახურნი, მშვიდობიანად, უბუკნაღაროდ საქმობენ თავის საქმესა და მშვიდობას ქვეყნისას, სიკეთეს ოჯახისას, ნამუსს და პატიოსნებას ადამიანისას ჰპატრონობენ და ესარჩლებიან. თუ ესე არ არის, ასე მაინც უნდა იყოს და ჩვენ მასზედ-კი არ ვლაპარაკობთ, რაც არის, არამედ მასზედ, რაც უნდა იყოს“[1].

ი. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული მოსაზრებიდან, პირველყოვლისა, ყურადღებას იპყრობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მართლმსაჯულების ორგანოების აუცილებლობაზე მითითება. მართლმსაჯულებითი, ანუ სასამართლო საქმიანობა თავისი ხასიათით ვერ შეედრება სახელმწიფოს საქმიანობის სხვა დარგებს, მაგრამ, ი. ჭავჭავაძის აზრით, აქ მთავარი მაინც ისაა, რომ საზოგადოებას მართლმსაჯულების გარეშე არსებობა არ შეუძლია, უმისოდ სახელმწიფოს უფრო დიდმნიშვნელოვანი საქმეები მცირდება და კარგავს მნიშვნელობას.

გარდა ამისა, ი. ჭავჭავაძის შეხედულებები საზოგადოებრივ ცხოვრებაში მართლმსაჯულების აუცილებლობაზე და მისი განხორციელების საშუალებებსა და ხასიათზე იმითაც არის საყურადღებო, რომ იგი შეიცავს იმდროინდელი სასამართლო დაწესებულებების კრიტიკას. როგორც ზემოთ დავინახეთ, ი. ჭავჭავაძე ახასიათებს იდეალურ სასამართლო წყობილებას, რომელიც უნდა იყოს და არა ისეთს, როგორიც არსებობს. მოთხრობაში — „დიამბეგობა“ — ი. ჭავჭავაძე ამხელს მოსამართლეთა მექრთამეობასა და უკანონო საქმიანობას, დასცინის მექრთამე მოსამართლეებს და წერს, რომ მიყვარს მათი განიერი ჯიბეები, „რომელიც მუდამ სტუმრის მოყვარულია, რადგანაც ყოველთვის კარი ღია აქვს; მიყვარს იმიტომ, რომ გლეხკაცის ჭუჭყიან ჯიბიდან ამოპარული ცოდვის შვილები — ფულები საქეიფოდ იქ მოიყრიან ხოლმე თავსა.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 241—242.

ლ ე ბ ი, რომლებიც გაუგებარია თუ რისთვისაა მოტანილი გადაწყვეტილებაში"[1]

სამართლის შეფარდების პროცესში შესაფარდებლად საჭირო სამართლის ნორმის სწორად შერჩევისათვის სამართალშემფარდებელმა სამართლით მოსაწესრიგებელი საზოგადოებრივი ურთიერთობის ბუნებისა და ხასიათის მიხედვით, პირველყოვლისა, უნდა განსაზღვროს სამართლის ის დარგი და ინსტიტუტი, რომლებიც მათში გაერთიანებული ნორმებით მიზნად ისახავენ კონკრეტული შინაარსის საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირებას. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ის კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც უნდა გადაეწყვიტა თბილისის საოკრუგო სასამართლოს, განეკუთვნება სამოქალაქო სამართალს, კერძოდ, საკუთრების სამართალს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მას შემდეგ, რაც მოქმედი სამართლის სისტემაში მონახულია სამართლით მოსაწესრიგებელი საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაბამისი სამართლის დარგი, კანონის შემფარდებელს ევალება ამ დარგის სხვადასხვა სამართლებრივ ინსტიტუტებში გარკვევა, კერძოდ, ნათელი პასუხის გაცემა იმაზე, თუ რომელი სამართლებრივი ინსტიტუტი ესადაგება უშუალოდ სამართლით მოსაწესრიგებელ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ასეთ სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, რომლის იურიდიული ბუნება თბილისის საოკრუგო სასამართლომ უყურადღებოდ დატოვა. სწორი გადაწყვეტილების გამოტანა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა თუ იგი არ გაერკვეოდა „სამოქალაქო გარიგების ზოგად სამართლებრივ მნიშვნელობასა და ამასთან დაკავშირებით ნოტარიუსის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს დანიშნულებაში"[2]

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სამართლის ნორმის შემფარდებელი უნდა ხელმძღვანელობდეს კანონით და მის ბრძანებებს ემორჩილებოდეს, მაგრამ შეუძლებელია კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას კანონი შეეფარდოს მექანიკურად, კერძოდ, ფაქტის იურიდიული ნიშნების დადგენისა და კანონის შინაარსის გარკვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას. სამართლის ნორმის შეფარდება, როგორც იურიდიული ხასიათის მოქმედება, ხელს უწყობს საზოგადოების სამართლებრივ აღზრდას, ამაღლებს მოსახლეობაში კანონმდებლობის საფუძველზე ჩამოყალიბებულ მართლშეგნებას, ხელს უწყობს სამართლის მოთხოვნების ცოდნის განმტკიცებას

---

[1] И. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55).

[2] იქვე.

ადამიანებში. მაგრამ ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სამართლის ნორმის შეფარდებისას კანონის აღმზრდელობითი როლი განისაზღვრება მხოლოდ იმ მასალებით, რომლებიც სამართლის ნორმის შემფარდებელს გამოაქვს საქმის არსებითად გადაწყვეტისას. საქმე ისაა, რომ სანამ არ დადგინდება კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობა ექვემდებარება თუ არა სამართლებრივ რეგულირებას, სანამ არაა შერჩეული შესაფარდებლად საჭირო კანონი და, რაც მთავარია, სანამ სამართლის ნორმის შემფარდებლის გადაწყვეტილებით გამოტანილი არაა საბოლოო დასკვნა, მანამდე საზოგადოებრივი აზრის წარმართვა რაიმე განსაზღვრული მიმართულებით, ეწინააღმდეგება ქვეყანაში მტკიცე სამართლებრივი რეჟიმის ინტერესებს. განსაკუთრებით ეს ითქმის სასამართლოს ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეებზე. ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, შეუძლებელია პირი მიჩნეული იქნას დამნაშავედ ან უდანაშაულოდ, სანამ საქმის სასამართლო გამოძიება და განხილვა არ დამთავრებულა და სასამართლოს გამოტანილი არა აქვს საბოლოო დასკვნა. „თავის გაზეთში — „ივერია“ — აქვეყნებს ცნობას 1892 წლის იანვარში ნათლისღების დღესასწაულზე თბილისში ხიდის ჩანგრევით გამოწვეული ტრაგედიის შესახებ, რამაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მართალია საზოგადოებას აინტერესებს ხიდის ჩანგრევის მიზეზები და კონკრეტული დამნაშავენი, ვისაც ბრალი მიუძღვის ხიდის დაუდევრად აშენებაში, მაგრამ სანამ კომპეტენტური ორგანოები არ გამოიძიებენ საქმეს და კანონის შესაბამისად არ გამოიტანებენ დამნაშავეთა მიმართ სასჯელებს, მანამდე პრესას არა აქვს უფლება ილაპარაკოს დამნაშავეებზე და მათ დასჯაზე ანუ სხვანაირად, პრესამ არ უნდა დაასწროს სიტყვა სასამართლო განაჩენს, რადგან მხოლოდ სამართლის შემფარდებელ ორგანოს შეუძლია განსაზღვროს დამნაშავენი და მათი შესაბამისი სასჯელი. ზემოაღნიშნული ტრაგედიის თაობაზე ი. ჭავჭავაძე წერს: „მინამ საქმე გამოძიებული არ იქნება, ძნელია კაცმა იკისროს ბრალი ვისმეს დასდოს. პასუხისგება ღვთისა და კაცთა წინაშე ამ შემთხვევაში მეტად დიდია და ეს სიმძიმე და სიდიდე ბრალისა ყოველს გაბედულობას ართმევს კაცს ვისმეზე თითი მიიშვიროს დამნაშავის საჩვენებლად. ეს ხომ ასეა და ჩვენც, რასაკვირველია, იმოდენად არ გავკადნიერდებით, რომ კანონიერს გამოძიებას ჩვენ ჩვენი სიტყვა დავასწროთ. მართალია ყველა შეწუხებულია, ყველა დაღონებულია და გულჩათუთქული, რომ ეს საშინელი ამბავი მოხდა, მაგრამ მოქალაქეობრივი მოვალეობა ითხოვს მშვიდობიანად და მოთმინებით ვუცადოთ, რას გამოიძიებს, რას გამოარკვევს მთავრობის მიერ დანიშნული გამოძიება“[1].

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 67.

სამართლის ნორმის შემფარდებელი შესაფარდებლად საჭირო კანონს ეძებს მოქმედი კანონმდებლობის სისტემაში, მაგრამ ხშირად ისე ხდება, რომ მოცემული საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის, რომელიც სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვს, სამართლის სისტემაში არ აღმოჩნდება შესაფარდებელი ნორმა და ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ სამართალში არსებული ხარვეზის შესახებ. ამიტომ ისმის კითხვა იმის შესახებ, თუ რით უნდა იხელმძღვანელოს სამართლის ნორმის შემფარდებელმა მოცემული საზოგადოებრივი ურთიერთობის იურიდიული ნიშნების დადგენისა და აგრეთვე, რაც მთავარია, მისი სამართლებრივი მოწესრიგებისათვის.

ი. ჭავჭავაძე ცდილობს გამონახოს კანონის უსრულობის ანუ კანონში არსებული ხარვეზის შევსების საშუალებანი. მისი აზრით, სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში შეიძლება ნორმის შემფარდებელმა მოქმედი კანონმდებლობის სისტემაში აღმოაჩინოს შესაფარდებლად საჭირო კანონი, მაგრამ ეს კანონი ადვილი შესაძლებელია არ იყოს სრული, კერძოდ, იგი საკმარისად ვერ აწესრიგებდეს მოცემული საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა მხარეს, განსაკუთრებით ეს ითქმის მრავალეროვან სახელმწიფოში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რომელთა წარმოშობა და დინამიკა განისაზღვრება მოცემული ხალხის სპეციფიკური თავისებურებებით. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ დადგენილი საერთო კანონის მოთხოვნები ხშირად მთელი სისრულით ვერ აწესრიგებენ მოცემულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ი. ჭავჭავაძე ეხება რა საქართველოში მოქმედი მართლმსაჯულების წესებს, რომლებიც ძალიან ხშირად სრულ პასუხს ვერ გვაძლევენ ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, აღნიშნავს, რომ მოქმედ სამართალში არსებული ამგვარი ხარვეზების შესავსებად და სამართლის საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ეფექტური ზემოქმედების მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს მოცემულ ქვეყანაში გავრცელებული ჩვეულებები (ადათები). „კანონის შესავსებლად, ჭეშმარიტის სამართლის საწარმოებლად, მართლმსაჯულების წარსამატებლად აქ, ჩვენში, უფრო საჭირო იყო მოეწვიათ ჩვეულება და მისთვის ფართო ადგილი მიეცათ განსამართლების წესდებაში. ამიტომ-რომ აქ, ჩვენში, განსხვავებულ ყოფა-ცხოვრების გამო, უფრო ხშირია იმისთანა შემთხვევა, რომელიც არ არის მოხსენებული მოქმედს კანონებში, ან თუ არის, ხშირად წინააღმდეგია ხალხისაგან ცნობილ სიმართლისა. მაგალითებრ, აუარებელი დავები შესახებ მიწისა, ტყისა, საძოვრების მფლობელობისა, გზებისა, ვენახებისა, საბლიკაცობისა, ქალთა მონაწილეობისა მემკვიდრეობაში, ქალთა საკუთრებისა ოჯახში (სათავნო ქალისა), სამკვიდროსი, სამარხისა, საქერიოსი, ნაცვალ-გარდობით მუშაობისა, გაყრილობისა და ბევრი

ამისთანაები. ყოველ ამ შემთხვევაში ჩვენი ჩვეულება, ესე იგი — ხალხისაგან მამა-პაპით აღიარებული სიმართლე, ერთს ამბობს და რუსული კანონები კი — ან სულ არას ამბობენ. ან თუ ამბობენ, სულ სხვასა"[1].

(მას შემდეგ, რაც სამართლის ნორმის შემფარდებელი დარწმუნდება იმაში, რომ მოცემული საზოგადოებრივი ურთიერთობა ექვემდებარება სამართლებრივ რეგულირებას და მოქმედი სამართლის სისტემაში უკვე შერჩეულია შესაფარდებლად საჭირო სამართლებრივი ნორმა, იწყება კანონის მისადაგება კონკრეტული ფაქტისადმი ანუ საქმის არსებითად განხილვა გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით.)ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, დაუშვებელია საქმის განხილვის გაჭიანურება, კერძოდ, სამართლის ნორმის შეფარდების პროცესის მონაწილეების პრეტენზიები ქვეყანაში სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრულობის მიღწევისათვის, რაც შეიძლება ადრე უნდა გადაწყდეს, განსაკუთრებით ეს ითქმის სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელთა განხილვის გაჭიანურებას შედეგად მოსდევს ის, რომ გარემოებები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმის განხილვისა და გადაწყვეტისათვის, ხშირად ავიწყდება მოწმეს და პროცესის სხვა მონაწილეებს. თავის მხრივ საქმის ამგვარი გაჭიანურების გამო დაზარალებული და აგრეთვე საზოგადოება, რომლებიც სიმართლეს ეძებენ, მართლმსაჯულებას უნდობლად უყურებენ. სამართლის ნორმის შეფარდებისას დაუშვებელია „დახანება საქმის გარჩევისა სამსაჯულოს მიერ. ქურდობისა და ავაზაკობის მოხდენის დღიდამ გარჩევის დღემდე იმოდენა ხანი გადის, რომ დაზიანებულსაც ლოდინით გულს უტეხს, მოწმესაც ავიწყდება ზოგიერთი წერილმანი, არსებითი გარემოება ნახულისა, ხშირად გეში და კვალი დანაშაულისა იშლება და იკარგება და ამით სიცხადე და საბუთიანობა აკლდება საქმეს. ქურდობისა და ავაზაკობის საქმეში თვალად წერილმანი რამ გეში და კვალი ხშირად უფრო აცხადებს საქმის ვითარებას, უფრო მართლად და უტყუარად ჰსხნის საქმის ნასკვსა, ვიდრე სხვა რამ. ამისთანა საქმეში მინამ თორნე ცხელია — პური უნდა გამოცხვეს"[2].

ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს საქართველოში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ გაერცელებულ სამართალწარმოების წესებს. აღწერს იმ დამცირებასა და აბუჩად აგდებას, რასაც მოხელეებისაგან განიცდიდნენ ფეოდალური თვითნებობის, ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი მშრომელი ხალხი, „გლახის ნაამბობიდან" ჩანს, რომ უდანაშაულო გაბრიელის საქმის გამოძიება და განხილვა ორ წელზე მეტხანს გაგრძელდა, საპატიმროში მყოფ გაბრიელს მოხელეები აწამებდნენ: „სამს თუ ოთხს თვეს უკან მოწმეების კითხვა გაათავეს და მე დიდ სატუსაღოში გამგზავნეს ჩვენ პატარა ქალაქს, საცა ნაჩალნიკი

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 94.
2 იქვე, გვ. 227.

და სასამართლო იმყოფებოდა. ორი წელიწადიც იმ სატუსაღოში ვეგდე. ამ ორ წელიწადში სულ მარტო ვიყავ ერთს უწმინდურს პატარა და ბნელს ოთახში... პირველ ხანებში რომ მამგონებია ჩემი უბრალოება და ის ტანჯვა, რომელსაც მე მიმცეს, დავცემულვარ იატაკზედ და უილაჯობით მიწა მიღრღნია, კბილით ხორცი მიგლეჯნია, თითებიდამ ჩემი სისხლი მიწოვნია"[1].

(ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საზოგადოების მდიდარი ნაწილი მართლმსაჯულის საშუალებით სისტემატურად თრგუნავს ღარიბებსა და მდაბიოებს, ახდენს მათ ტერორიზებას, სამართალი და მართლმსაჯულება მთელი სიმკაცრით მხოლოდ მდაბიოებზე ვრცელდება. სამართლის ნორმის შემფარდებელი ორგანოები აღმზრდელობითი დაწესებულებებია და მათ მიზანს სულაც არ შეადგენს შემცოდველისათვის სამაგიეროს მიზღვევა, მათ ცოდვილის დანახვა კი არ უნდა ახარებდეს, არამედ აწუხებდეს და სამართალშემფარდებლები ტალიონის პრინციპით არ უნდა ხელმძღვანელობდნენ.(ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ დაუშვებელია სამართლის ნორმის შეფარდებისას თანამდებობის პირები „ჯიბრში ჩაუდგეს უბედურს შემცოდველსა და „კბილი კბილის წილ და თვალი თვალის წილ" მოსთხოვოს. აქ საჭიროა მორჯულება შემცოდველისა და არა ჯვარცმა და შანთით გლეჯა ხორცისა, ტანჯვა და წვალება"[2].)

(ასევე შეუძლებელია სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში ერთი და იგივე კანონის სხვადასხვანაირად გამოყენება იმისდა მიხედვით, თუ ვინაა იმ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, რომლის მოქმედებაც სამართლის მიხედვით უნდა შეფასდეს. სამართლის ნორმის შემფარდებელი „ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი. ერთი სიტყვით ჩვენი კაცური კაცობა. ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელი ერისა. ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ განწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზედ დაყენებული"[3]. ამ პრინციპით და შეგნებით უნდა ხელმძღვანელობდნენ სამართლის ნორმის შემფარდებლები საქმის გადაწყვეტისას, საზოგადოების, მთელი ერის ინტერესების ერთნაირად დაცვა მართლმსაჯულების ურყევი კანონია და მისი დარღვევა იწვევს სამართლის ბოროტად გამოყენებას.(ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სამწუხაროდ მოსამართლეების მიერ „ამ კანონის ბოროტად მოხმარებამ დაღუპა მრავალგან გლეხები, მრავალგან მოუშალა ბინა, ცოლ-შვილი უსახლკაროდ, უმამულოდ დაუგდო"[4]. ჭეშმარიტი კანონმდებელი მის მიერ დადგენილ

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 104—105.
[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 337.
[3] იქვე, გვ. 338.
[4] იქვე, გვ. 204.

სამართალს ამ ძირითად მიზანს უსახავს და სამართლის ნორმის შემფარდებლები ამ აზრს უნდა ეძებდნენ შესაფარდებლად შერჩეულ კანონში.

ამოიგად, სამართლის ნორმის სწორი რეალიზაციისათვის აუცილებელია სამართლის ნორმის შინაარსის დადგენა, იმ მოთხოვნების გარკვევა. რომლებიც შესაფარდებლად შერჩეულ სამართლის ნორმაში გადმოცემულია სახელმწიფო ბრძანებების სახით.

გარდა ამისა, კანონმდებლის მიერ დადგენილი სამართლის ნორმები ზოგჯერ შინაარსით გაუგებარია, ნორმატიული აქტის ცალკეულ მუხლებს შორის შეიმჩნევა შეუსაბამობა. ყველაფერი ეს, ი. ჭავჭავაძის აზრით, ხელს უშლის სამართლის სუბიექტებს კანონის სწორ და ეფექტურ რეალიზაციაში. „კანონი სრული არ არის ხოლმე, ძნელია, ერთი ცალკე მუხლი მისი მეორეს არ უდგება, არ უხდება, არ ეთანხმება. აქედან იბადება გაუგებრობა კანონისა, დავიდარაბა, ერთნაირად შემაწუხებელი და მავნებელი როგორც სახელმწიფო მმართველობისათვის, ისეც ცალკე კაცის საკუთარ ინტერესებისათვის“[1]. სამართლის სწორი რეალიზაცია შეუძლებელია იმ ნორმის ზუსტი შინაარსის განსაზღვრის გარეშე, რომელიც უნდა იქნას შეფარდებული. ი. ჭავჭავაძის აზრით, ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში იმ აუცილებელი და განსაკუთრებული იურიდიული მოქმედებით, რომელსაც კანონის ახსნა-განმარტება ეწოდება. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სამართლის არასწორმა შეფარდებამ და კანონის მცდარმა ახსნა-განმარტებამ სამართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედება, რომელიც კანონმდებლის საერთო მიზანს წარმოადგენს, ადვილი შესაძლებელია სრულიად არა ეფექტური და უმნიშვნელო გახადოს.

სამართლის ყველა ნორმა, რომელიც შერჩეული იქნება შესაფარდებლად, სამართლის ნორმის სრულყოფილი რეალიზაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სამართლის ეფექტური ზემოქმედების მიზნით განმარტებული უნდა იქნას სამართლის შემფარდებლის მიერ. ადვილი შესაძლებელია სამართლის შემფარდებელმა სამართლებრივ რეგულირებას დაქვემდებარებული კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის იურიდიული ნიშნების ზუსტი დადგენისა და სწორი შეფარდების სურვილით, მოქმედი სამართლის სისტემაში შეარჩიოს არა ერთი, არამედ ორი ან რამდენიმე ნორმა, მაგრამ ამ ნორმებს არ შეუძლიათ შეავსონ ის ხარვეზი, რომელიც წარმოსდგება ახსნა-განმარტების გარეშე კანონის შეფარდებიდან.

ამიტომაც, სამართლის შესახებ ი. ჭავჭავაძის მოძღვრებაში კანონის ახსნა-განმარტების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს დიდი ადგილი აქვს დათმობილი, მეტიც, თავის ნაშრომებში იგი თვითონ გვაძლევს

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 140.

იმდროინდელი სამართლის ნორმების ახსნა-განმარტების ბრწყინვალე ნიმუშებს, რომლებიც აზრის სიღრმითა და კანონმდებლის ნების ზედმიწევნით ზუსტი გაგებით, სამართლის მეცნიერების შესანიშნავი ცოდნითა და საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი სამართლის ეფექტური მისადაგების უზადო ოსტატობით ი. ჭავჭავაძეს დღესაც წარმოაჩენს როგორც უდიდეს თეორეტიკოს-იურისტსა და პრაქტიკოსს. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების თეორიული და პრაქტიკული საკითხებისადმი ი. ჭავჭავაძეს სპეციალურად მიძღვნილი აქვს ნაშრომები: — „ავლაბრელების საქმე"[1], „გლეხთა მამულების ვალში გაყიდვა"[2], „ხიზნების საქმე"[3], „ცხოვრება და კანონი"[4], „ირლანდია და ინგლისი"[5], „სანოტარო დებულების 168 მუხლი და მისი შეფარდება თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ"[6] და ა. შ. ი. ჭავჭავაძის იურიდიული აზროვნების ლოგიკური ძალის, მისი მაღალი სამართლებრივი კულტურის, კანონში გადმოცემული კანონმდებლის ჭეშმარიტი აზრისა და მიზნის შეცნობის უტყუარი ალღოს გაგებისა და მისი, როგორც იურისტი-მოაზროვნის წარმოდგენისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მის შესანიშნავ იურიდიულ თხზულებას — „სანოტარო დებულების 168 მუხლი და მისი შეფარდება თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ", რომელიც რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ზედიზედ გაზეთ „კავკაზის" სამ ნომერში. ოცდათვრამეტი წლის ი. ჭავჭავაძის მიერ გამოქვეყნებულ საკმაოდ დიდი მოცულობის წერილში ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტის ერთი, 168 მუხლის იურიდიული ანალიზი გვაოცებს დახვეწილი იურიდიული მსჯელობებით, კანონმდებლის მიზნისა და მისწრაფების უზადო, სრულყოფილი გაგებით, სამართლის მეცნიერების ძნელად მისახვედრი და გამოსაყენებელი დებულებებისა და ინსტიტუტების ღრმა ცოდნით. საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ ეს წერილი ჯერ კიდევ არაა გამოქვეყნებული ქართულად, მეტიც, მასში გადმოცემული ი. ჭავჭავაძის იურიდიული ნააზრევი მთელი სისრულით შეუსწავლელია.

კანონის ახსნა-განმარტება ემსახურება კანონის შინაარსის დადგენას, იმ მოთხოვნების გარკვევას, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საზოგადოებრივ ურთიერთობებში სამართლის სუბიექტებმა. ი. ჭავჭავაძის აზრით, ის იურიდიული მოქმედება, რომელსაც კანონის ახსნა-განმარტება ეწოდება, არ ამცირებს კანონმდებელს, კანონის ახსნა-განმარტება იმაზე სრულებით არ მიუთითებს, რომ კანონმდებელმა ვერ შესძლო სამართლის ნორმაში ქცევის წესების ისე გადმოცემა, რომ მას არ

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 47—48.
2 იქვე, გვ. 203—204.
3 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 140, 71, 89.
4 იქვე, გვ. 25.
5 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 18.
6 გაზ. «Кавказ», 1875, №№ 55, 56, 57.

დასჭირდეს სამართლის ნორმის რეალიზაციის პროცესში სამართლის შემფარდებლის მხრივ ახსნა-განმარტება. პირიქით, კანონმდებლის მიერ დადგენილი სამართალი ყოველთვის შეიცავს გარკვეულ აზრს, მაგრამ ყველა. ვინც იყენებს ან უფარდებს სამართლის ნორმას ვალდებულია კარგად გაერკვეს კანონმდებლის აზრში, რადგან ადვილი შესაძლებელია, რომ სამართლის ნორმის მთლიან სისტემაში ზოგჯერ შეიძლება მოგვეჩვენოს წინააღმდეგობანი, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ კანონმდებელი არ შეიძლება თავის თავს ეწინააღმდეგებოდეს. ამიტომ მოჩვენებითი წინააღმდეგობანი სამართლის სისტემაში კი არ უნდა გავაზვიადოთ, არამედ ისინი უნდა შევარიგოთ და გადავლახოთ კანონის ჰეშმარიტი აზრის დადგენის საშუალებით. ამ ძირითად მიზანს ისახავს იურიდიულ მეცნიერებაში შემუშავებული ინსტიტუტი, რომელიც ცნობილია კანონის ახსნა-განმარტების სახელწოდებით: „კანონის ახსნა-განმარტების ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველთვის იგულისხმება კანონში არსებული აზრი. თუ სადმე შეგვხვდება წინააღმდეგობა, ეს წინააღმდეგობა უნდა შევარიგოთ და კიდევ უფრო არ გავაზვიადოთ იმ უბრალო საფუძვლით, რომ კანონმდებელს განზრახ არ შეუძლია და არც კი იზამს თავის თავს ეწინააღმდეგებოდეს"[1].

სამართლის ნორმებს თავიანთი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყენებენ სამართლის სუბიექტები, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ ვინ ახდენს კანონის ახსნა-განმარტებას ი. ჭავჭავაძე ერთმანეთისაგან ასხვავებს სამართლის ნორმის უბრალო ახსნა-განმარტებას, რომელსაც მიმართავს ყველა სუბიექტი სამართლის რეალიზაციის პროცესში და სამართლის ნორმის ახსნა-განმარტებას, რომელსაც ადგილი აქვს სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში კანონის შემფარდებლის, ე. ი. სპეციალური იურიდიული ცოდნის მქონე თანამდებობის პირის მიერ. პირველ შემთხვევაში კანონის ახსნა-განმარტების მიზანია უბრალოდ სამართლის ნორმის სარგებლობის მიზნით სამართლის ნორმით დადგენილი ქცევის წესების შეცნობა მხოლოდ კანონის ფარგლებში, კანონით გადმოცემული სიტყვების მიხედვით ანუ სხვანაირად, სამართლის ნორმის შინაარსის დადგენა გარეგნული სიტყვიერი მასალის, მისი „ხორცის" მიხედვით.

მეორე შემთხვევაში კი სამართლის ახსნა-განმარტებას ახდენს საგანგებოდ „გაწვრთნილი" იურისტი და მისი მიზანია „კანონის სულის" პოვნა, კანონის შინაარსის ღრმა და საფუძვლიანი დადგენა იურიდიული მეცნიერების მონაცემების მიხედვით. ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს რა საგლეხო მმართველობის სამაზრო ზედამხედველობის ინსტრუქციის ოცდამეთერთმეტე მუხლს, მიუთითებს, რომ კოლეგიას, რომელსაც ზემოხსენე-

[1] И. Чавчавадзе. 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55).

ბული ინსტრუქციის მიხედვით განსაზღვრული მოვალეობანი აქვს დაკისრებული, გაუჭირდება ამ ვალდებულების შესრულება, რადგანაც მისი შემადგენლობა კანონით ისეა გათვალისწინებული, რომ „არც ერთი წევრი სპეციალურად მომზადებული არ არის კანონების ასახსნელად და განსამარტებლად... ამას გაწვრთნილი იურისტი უნდა, იმიტომ რომ ამისთანა შემთხვევაში საჭიროა კაცმა სულს მიაგნოს კანონისას და არა მარტო ხორცსა, — და უნარს ამ მიგნებისას მარტო მეცნიერება იძლევა, მეცნიერება რჯულიერებისა“[1].

სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში კანონის ახსნა-განმარტების მიზანია არა მარტო კანონის სიტყვიერი მასალის საფუძველზე მისი შინაარსის დადგენა, არამედ კანონის სულის შეცნობა. მაგრამ, ი. ჭავჭავაძის აზრით, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს კანონის ახსნა-განმარტების მიზნის გარკვევას, რადგანაც კანონის ახსნა-განმარტებისას ნათელი პასუხი უნდა იქნას გაცემული კითხვაზე, თუ რას ვეძებთ, კერძოდ, კანონში მოცემულ აზრს, თუ იმას, რასაც გულისხმობდა კანონმდებელი სამართლის ნორმის დადგენისას. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგებისას ნათელი პასუხი უნდა გვქონდეს კითხვაზე რის მიხედვით უნდა დადგინდეს ფაქტის იურიდიული ნიშნები, შესაფარდებლად შერჩეული კანონის აზრისა თუ იმ ნების მიხედვით, რომელიც გააჩნდა კანონმდებელს მოცემული კანონის დადგენისას. სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში ყოველგვარი ხარვეზისა და გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საჭიროა სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ხერხების ცოდნა და მათი გამოყენება. თბილისის საოკრუგო სასამართლომ სანოტარო დებულების 168 მუხლი კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას შეუფარდა არასწორად, ხარვეზით, კერძოდ, იგი ვერ გაერკვა ზემოაღნიშნული სამართლის ნორმისა და მასთან დაკავშირებული სამოქალაქო სამართლის კანონების X ტომის პირველი ნაწილის ნორმების შინაარსში, რომლის დადგენა შეუძლებელია კანონთა ახსნა-განმარტების გარეშე. ი. ჭავჭავაძე წერს: „სამწუხაროდ, საოკრუგო სასამართლომ მოცემულ შემთხვევას შეუფარდა კანონის მთელი რიგი მუხლები მათი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე და, რა თქმა უნდა, უბრალოდ ჩამოთვლილი X ტ. I ნაწილის მუხლების მთელი გრძელი წყობა ერთ რიგად და ამასთან საქმესთან დაუკავშირებლად, ვერ ავსებს ამ ძირითად ხარვეზს, ამ ახსნა-განმარტების არ არსებობას“[2].

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 225.

[2] И. Ч а в ч а в а д з е, 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55).

(სამართლის ნორმის შეფარდებაში შეცდომების თავიდან აცილებისათვის ი. ჭავჭავაძე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ხერხებს[1]. მისი აზრით, შეუძლებელია სამართალშემფარდებელი პირის მიერ საქმის სწორად გადაწყვეტა თუ მან ვერ შესძლო კანონთა სულის, კანონმდებლის ნების, სამართლის ნორმის შინაარსის უშეცდომოდ გაგება.) ი. ჭავჭავაძის მოძღვრებაში სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების შესახებ გვხვდება მეტად საყურადღებო და მეცნიერულ ლიტერატურაში გაბატონებული აზრისაგან განსხვავებული შეხედულებანი, რომელიც ავითარებს და სრულყოფილს ხდის სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების თეორიას. გავრცელებული აზრის მიხედვით, სამართლის შეფარდების პირველი სტადიის შემდეგ, კერძოდ, მას შემდეგ, რაც მოქმედი სამართლის სისტემაში შერჩეულია შესაფარდებლად საჭირო სამართლებრივი ნორმა და დადგენილია სამართლით მოსაწესრიგებელი კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის იურიდიული ნიშნები, იწყება სამართლის ნორმის შეფარდების მეორე სტადია, შესაფარდებლად შერჩეული სამართლის ნორმის მიყენება მოცემული საზოგადოებრივი ურთიერთობისადმი, რაც შეუძლებელია კანონთა ახსნა-განმარტების გარეშე. სამართლის შემფარდებელს არ შეუძლია მოცემულ საზოგადოებრივ ურთიერთობას მექანიკურად მიუყენოს სამართლის ნორმა, კერძოდ, სამართალშეფარდების ამ სტადიაზე იგი უნდა გაერკვეს სამართლის ნორმის შინაარსში შესაფარდებლად შერჩეული სამართლის ნორმების ახსნა-განმარტების გზით. ამრიგად, ჩვეულებრივად, სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება დაკავშირებულია სამართალშეფარდების მეორე სტადიასთან, რომელიც იწყება მოქმედი სამართლის სისტემაში საჭირო სამართლებრივი ნორმის შერჩევით და კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის იურიდიული ნიშნების დადგენის შემდეგ.

სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების მოძღვრებაში ი. ჭავჭავაძე ავითარებს ახალ მოსაზრებას, მისი მტკიცებით, სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება აუცილებელია სამართალშეფარდების ყველა სტადიაზე, კერძოდ, როგორც მოქმედი სამართლის სისტემაში შესაფარდებლად საჭირო ნორმის შერჩევისა და ფაქტის იურიდიული ნიშნების დადგენისას, ასევე კონკრეტული ფაქტისადმი შესაფარდებლად შერჩეული ნორმის მიყენებისა და სამართალშემფარდებლის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დროსაც. კანონის ახსნა-განმარტება, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, მთელი მართლმსაჯულების სწორად განხორციელების ძირითადი და უპირველესი გარანტიაა. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ კანონთა ახსნა-განმარტებაში, როგორც „სასამართლოს საქმიანობის ამ არსებით

---

[1] ვ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, გვ. 98.

საქმიანობაში მდგომარეობს ჩვენი აზრით, მართლმსაჯულების განხორციელების მთელი გარანტია"[1].

სამართლისადმი მიძღვნილ იურიდიულ გამოკვლევებში ი. ჭავჭავაძეს შედარებით სრულად და საკმაოდ მაღალ მეცნიერულ დონეზე დამუშავებული აქვს მოძღვრება სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების, როგორც სამართალშეფარდებისა და, საერთოდ, სამართლებრივ ფენომენებს შორის ყველაზე არსებითი მოვლენის შესახებ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამართლის ნორმის ახსნა-განმარტებაზე ი. ჭავჭავაძის მოძღვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საკითხს იმის შესახებ თუ რა მიზანს ისახავს ნორმის ახსნა-განმარტება, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართლის ნორმის ახსნა-განმარტებისას რას ვეძებთ მასში და რატომაა აუცილებელი ვეძებოთ კანონმდებლის მიერ ერთხელ დადგენილ სამართლის ნორმაში მისი ნამდვილი აზრი.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსულ იურიდიულ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა კანონის ახსნა-განმარტების მიზნის თაობაზე. აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი იყო შემდეგი საკითხი: შეიძლება თუ არა კანონის ახსნა-განმარტების დროს გამოვიდეთ კანონმდებლის ნებიდანაც და კანონის ნებიდანაც. ზოგიერთი მეცნიერი (ვასკოვსკი, შერშენევიჩი და ა. შ.) თვლიდა, რომ კანონის ახსნა-განმარტებისას უნდა დადგინდეს მხოლოდ კანონმდებლის აზრი და ნება. სხვები კი მიუთითებდნენ, რომ კანონების ახსნა-განმარტების მიზანია არა კანონმდებლის, არამედ კანონის აზრის დადგენა (ლამბაროვი და სხვები). ამ მეორე თვალსაზრისის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ კანონს გააჩნია ცოცხალი ძალა და მასში გადმოცემულია განსაზღვრული აზრი, რომელსაც კანონის ახსნა-განმარტების დროს ვპოულობთ მის სიტყვებში არა მარტო მთელი სამართლებრივი სისტემის, არამედ კანონთა თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით, თუნდაც ისედაც ნათელი იყოს, რომ კანონმდებელს კანონისაგან განსხვავებული ნება გააჩნია. კანონი ისეთი უბრალო სიტყვა კი არ არის, რომლის უკან დგას ნება, არამედ ისეთი მოვლენაა, რომელიც თვითონ შეიცავს განსაზღვრულ ნებას. ამიტომაც, კანონების ახსნა-განმარტების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა კანონმდებლის ნებას, არამედ კანონის ნებას.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძე გასული საუკუნის იურიდიული მეცნიერების ამ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემაზე სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების შესახებ არსებული მოსაზრებების შინაარსობრივ წინააღმდეგობათა ანალიზის საფუძველზე აყალიბებს საკუთარ, სრულიად განსხვავებულ და ორიგინალურ შეხედულებას.

---

[1] И. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55).

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, კანონი, მართალია, იმისათვის არსებობს, რომ მას ყველა უნდა დაემორჩილოს, მაგრამ კანონის აზრი კანონმდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო სულ მთლად ნათელი თუ არ არის, მისი დადგენა ყოველთვის შეიძლება კანონის ახსნა-განმარტების გზით. სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების დაწყებამდე წინასწარ უნდა ვიცოდეთ, ვის აზრს ვეძებთ კანონში, კანონმდებლის ნებას და მის აზრს, თუ მხოლოდ კანონში გამოხატულ კანონმდებლის ნებასა და აზრს, რომელზეც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის დროინდელ იურიდიულ მეცნიერებაში ორი, საკმაოდ ნათლად ჩამოყალიბებული ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება იყო გავრცელებული. ი. ჭავჭავაძე აყალიბებს მათგან განსხვავებულ მესამე მოსაზრებას, რომელიც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ გვაოცებს მისი ავტორის იურიდიული აზროვნების ლოგიკური ძალით, მაღალი სამართლებრივი კულტურით, მსჯელობათა ღრმა მეცნიერულობით, სამართლის მეცნიერების ძნელად მისახვედრი პრობლემების კვლევის უტყუარის აღღოთი და იურიდიული მეცნიერების ცალკეული დარგებისა და ინსტიტუტების კვალიფიციური ცოდნით.

ი. ჭავჭავაძე ასაბუთებს, რომ სამართლის განუხრელი რეალიზაციის მიზნით კანონის ახსნა-განმარტება, კანონის ძირითადი აზრის დადგენა ყოველთვის უნდა მოხდეს მხოლოდ კანონში გადმოცემული კანონმდებლის აზრის მიხედვით, ანუ სხვანაირად, იმის გარკვევით, თუ როგორაა გადმოცემული სამართლის ნორმაში კანონმდებლის ნება და აზრი: „კანონი არსებობს და ჩვენ ვალდებული ვართ მას დავემორჩილოთ, მაგრამ უნდა დავემორჩილოთ მხოლოდ კანონში გამოხატული კანონმდებლის ნების და არა იმ აზრის შესაბამისად, რომელიც შეიძლება კაზუისტიკურად იქნეს თავსმოხვეული კანონისათვის მისი გაუგებრობის გამო. კანონისადმი მორჩილების სხვაგვარი მოთხოვნის უფლება არავის არა აქვს"[1].

ი. ჭავჭავაძის ეს დასკვნა ემყარება სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების თეორიის ღრმა ცოდნას, კერძოდ, იგი შესანიშნავად იცნობს კანონის ახსნა-განმარტების ყველა საკვანძო ცნებასა და დებულებას. პირველყოვლისა, ამ პრობლემებიდან აღსანიშნავია სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ფორმები და სახეები, რომელთა შესახებ ი. ჭავჭავაძე აყალიბებს არა მარტო საყურადღებო თეორიულ მოსაზრებებს, არამედ სამართლით მოსაწესრიგებელი კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგალითზე იგი გვაძლევს ცალკეული სახეების მიხედვით კანონის ახსნა-განმარტების ნიმუშებს, იურიდიულ მეცნიერებაში არსებული შეხედულებებისაგან განსხვავებით მის მიერ შემუშა-

[1] И. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55).

ვებული სახელმძღვანელო საწყისების შესაბამისად ი. ჭავჭავაძე იცნობს სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ყველა ფორმას.

სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ყველაზე გავრცელებული და სავალდებულო ხერხია კანონის სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტება. სამართლის ნორმის სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტების თეორიულ საფუძველს შეადგენს ის სიტყვიერი ფონდი, რომელსაც იყენებს კანონმდებელი ნორმის დადგენისას. სამართლის ნორმებს კანონმდებელი გადმოსცემს იმ სიტყვებით, რომელთაც ადამიანები იყენებენ ურთიერთობის პროცესში, ამიტომ, ბუნებრივია, კანონმდებლის მიერ დადგენილი სამართლის ნორმების შინაარსზე და იმ ნებაზე, რომელიც კანონმდებელს გააჩნდა მოცემული სამართლის ნორმის დადგენისას, წარმოდგენას გვაძლევს სამართლის ნორმების სიტყვები. აქედან ცხადია, რომ კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება ემყარება მოცემული კანონის შინაარსის გადმოსაცემად კანონმდებლის მიერ გამოყენებული ცალკეული სიტყვების ახსნასა და შესწავლას. სამართლის სუბიექტები, რომლებიც დაინტერესებული არიან კონკრეტული სამართლის ნორმის შინაარსის შეცნობით, კანონის სიტყვიერი მასალის იურიდიული ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნებით ხელმძღვანელობენ სამართლის შეფარდებისას.

სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტების ზოგადი მოთხოვნაა ის, რომ სიტყვებს, რომლებითაც გადმოცემულია სამართლის ნორმა, როგორც წესი, უნდა მივცეთ ის მნიშვნელობა, რაც მათ გააჩნიათ ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაში. მაგრამ მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ამასთან ერთად, კანონმდებელი ცალიან ხშირად ზოგიერთ სიტყვას ხმარობს სპეციალური, იურიდიული გაგებით. მაგალითად, სიტყვა „მფლობელობა" ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაში გამოიყენება კუთვნილების, საკუთრების აზრით. მაგრამ კანონმდებელი მას ყველგან იყენებს სპეციალური, იურიდიული აზრით, კერძოდ, სიტყვა „მფლობელობა" საკანონმდებლო აქტებში გამოიყენება საკუთრების ცნების ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტად. საკუთრების სხვა ელემენტებს, კერძოდ, მისი განკარგვისა და სარგებლობისაგან განსასხვავებლად. საინტარო დებულების 168 მუხლის შინაარსის დადგენასთან დაკავშირებით კანონში მოხსენებული სიტყვების „მფლობელობისა" და „საკუთრების" გასარკვევად ი. ჭავჭავაძე ახდენს სამოქალაქო სამართლის კანონების X ტომის მეორე ნაწილის მეორე მუხლით დადგენილი სამართლის ნორმის სიტყვასიტყვით ახსნა-განმარტებას. იგი წერს: „თუ ჩავუკვირდებით მოტანილი X ტომის მეორე ნაწილის მეორე მუხლის სიტყვასიტყვით აზრს, ჩვენ დავინახავთ, რომ კანონი, აერთიანებს რა კუთვნილების ფაქტის ვარაუდს მფლობელობის ფაქტთან, ამ უკანასკნელს განსაზღვრავს მხოლოდ ორი ნიშნით, სახელდობრ: ნამდვილი მფლობელობის ფაქტით და

სხვისი პრეტენზიის, სხვისი უფლების არ არსებობით. აი, არსებითად მთელი განსხვავება კუთვნილების აზრით მფლობელობის სიტყვასა და კუთვნილების, საკუთრების უფლებას შორის"[1].

მაგრამ კანონის სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტება ყოველთვის ვერ გვაძლევს სასურველ შედეგს და იგი საკმარისი არ არის კანონში გადმოცემული კანონმდებლის აზრის დასადგენად. ი. ჭავჭავაძე წერს: „კანონის ახსნას და განმარტებას მარტო სიტყვასიტყვით თარგმნაც კანონისა ყოველთვის არა ჰშველის"[2]. მეტიც, ი. ჭავჭავაძის აზრით, სამართლის ნორმის სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტებისას სამართლის ნორმის შემფარდებელები სიტყვებს, რომლითაც გადმოცემულია ნორმა, ანიჭებენ მნიშვნელობას, რომელიც სასარგებლოა ძლიერთათვის ამა ქვეყნისა. ამის ნათელსაყოფად ი. ჭავჭავაძეს წერილში — „ირლანდია და ინგლისი" — მოაქვს მიწისმფლობელობის თაობაზე წარმოშობილი ურთიერთობის კონკრეტული შემთხვევა, როცა ინგლისელმა ლორდებმა ხელში ჩაიგდეს სათემო მიწები მხოლოდ არასწორი სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტების ძალით. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ინგლისში თანდათანობით შემცირდა თავისუფალი მიწების რაოდენობა, რადგანაც ინგლისელმა ლორდებმა სხვადასხვა საშუალებებით შესძლეს ამ მიწების ხელში ჩაგდება, მაგრამ „XVIII საუკუნეში მაინც კიდევ 7.800.000 აკრი თავისუფალი სათემო მიწა იყო, მაგრამ ეს მამულებიც ლორდებმა ჩაიგდეს ხელში და სამართლის წინაშე საბუთად იხმარეს რაღაც ბუნდი სიტყვები კარლ II-ის 1676 წლის სტატუსისა"[3].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ კანონის სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტებისაგან დამოუკიდებლად სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში ძალიან დიდ როლს ასრულებს კანონის სისტემატური ახსნა-განმარტება, რომელიც წარმოსდგება სამართლის მთელი სისტემის ბუნებიდან. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სამართალი, რომელიც მრავალი ნორმისაგან შედგება, ყველა ქვეყანაში ერთიანია შინაარსის მიხედვით და აქედან გამომდინარე, როგორც წესი, შეუძლებელია კანონმდებელი თავის თავს ეწინააღმდეგებოდეს შეგნებულად. საქმე ისაა, რომ ყველა ქვეყნის მოქმედი სამართლის ნორმები შეადგენს ერთ მთლიან სისტემას, რომლის ნაწილებს ერთმანეთთან აერთებს შინაგანი სისტემური კავშირები. ამიტომ სამართლის ნორმის ახსნა-განმარტებისას კანონმდებლის ნების დადგენის მიზნით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამართლის სისტემის გამაერთიანებელი ამ შინაგანი კავშირების აღმოჩენას, მათ იურიდიულ ანალიზს. სამართლის სისტემაში არსებული ამ შინა-

---

[1] И. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55).

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 18.

[3] იქვე.

განი კავშირების შინაარსი და ხასიათი განაპირობებს სამართლის ნორმის სისტემატური ახსნა-განმარტების აუცილებლობას.

სამართლის ნორმის სისტემატური ახსნა-განმარტება რთული პროცესია და იგი მოითხოვს სპეციალურ იურიდიულ ცოდნასთან ერთად დიდ პრაქტიკულ გამოცდილებასაც, ამიტომაც სასამართლოების საქმიანობის ხარვეზები და ნაკლოვანებები ხშირად წარმოსდგება კანონის სისტემატური ახსნა-განმარტების იგნორირებიდან. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ თბილისის საოკრუგო სასამართლომ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას არასწორად იმიტომ შეუფარდა სანოტარო დებულების 168 მუხლი, რომ მან ვერ შესძლო ამ მუხლში გადმოცემული ნორმის სისტემატური ახსნა-განმარტება და ამის გამო საქმე გადასწყვიტა კანონმდებლის ნების საწინააღმდეგოდ, კერძოდ, თბილისის საოკრუგო სასამართლომ ვერ გაარკვია კანონში გადმოცემული კანონმდებლის აზრი იმის შესახებ თუ კანონით ნებადართულ და მოწონებულ რა პირობებში შეუძლია უძრავი ქონების მფლობელს განკარგოს იგი, როგორც გაცვლითი და საკრედიტო მიმოქცევის საგანი.

სტატიაში — „ავლაბრელების საქმე" — ი. ჭავჭავაძე გვაძლევს კანონის სისტემატური ახსნა-განმარტების სხვა შემთხვევას და ცხადყოფს, რომ ავლაბრელთა მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვა თბილისის ქალაქის საბჭოს გამგეობის მიერ კანონსაწინააღმდეგოა, რადგან დარღვეული იქნა საჯარო ვაჭრობის წესები, კერძოდ, „საჯარო ვაჭრობა, რომლის ძალითაც ახნაზაროვებს და ქიშმიშოვს დარჩათ იჯარა ავლაბრის მამულებისა, გასაუქმებელი იყო, რადგანაც მარტო ერთი მხარე ჰვაჭრობდა და მათ ცხადად და აშკარად დარღვეული იქმნა საჯარო ვაჭრობის წესი"[1]. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ მოქმედ კანონმდებლობაში (სასამართლო წარმოების წესდება, სამოქალაქო სამართლის კანონების X ტომი, ბანკების, საქალაქო საკრედიტო საზოგადოების წესდებები და ა. შ.) ყველგან მითითებულია, რომ საჯარო ვაჭრობას უნდა ესწრებოდეს ორი ერთმანეთის მოცილე მხარე. ამ მოქმედი კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ ქალაქის საბჭოს გამგეობამ გამოაცხადა, რომ ეს ზოგადი კანონები მის საქმიანობაზე თითქოს არ ვრცელდება. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ჩვენ გადავათვალიერეთ ქალაქის მმართველობის წესდება, რომლის 142 მუხლში ნათქვამია, რომ ქალაქის საბჭოს უფლება აქვს რომელიმე შემოსავლიანი საქმე გასცეს, ან საჯარო ვაჭრობით, ან კერძო პირს მიანდოს, ან თვით ქალაქის გამგეობას დაავალოს ამ საქმის მოვლა-პატრონობა. თუ ამ სამიდან ამორჩეული იქნება საჯარო ვაჭრობა, რა თქმა უნდა, იგი ზოგადი კანონების მიხედვით უნდა მოხდეს, რადგან ამ 142 მუხლს გაკეთებული აქვს შენიშვნა, რომ, იქ სადაც

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 50.

საქალაქო მმართველობის წესები დადგენილია, ქალაქისათვის არ არის სავალდებულო მხოლოდ ის, რაც ამ საკითხზე მოხსენიებულია ზოგადი კანონების 1489, 1503, 1710 და 1805 მუხლებში. ყველაფერი სხვა, რაც ამ მუხლებში არ არის მოხსენიებული, ი. ჭავჭავაძის აზრით, სავალდებულოა როგორც ქალაქის გამგეობის, ასევე ქალაქის საბჭოსათვის. ზემოაღნიშნულ მუხლებში კი ნათქვამია, რომ ეს დაწესებულებები ვალდებული არ არის ნებართვა თხოვონ უმაღლეს მთავრობას, როცა საჯარო ვაჭრობით ყიდიან ქალაქისათვის არა საჭირო მოძრავ ქონებას (1489 მუხლი), როცა საჯარო ვაჭრობით ყიდიან ქალაქისათვის არა საჭირო უძრავ ქონებას (1503 მუხლი), როცა საჯარო ვაჭრობით აძლევენ ქალაქის მიწებსა და მის სხვა შემოსავალს (1710 მუხლი) და როცა საჯარო ვაჭრობით გასცემენ ისინი შენობების, გზების და სხვათა შეკეთების უფლებას. კანონთა სისტემატური ახსნა-განმარტებისა და ანალიზის შედეგად ი. ჭავჭავაძე აკეთებს კანონმდებლის ნების შესაბამის დასკვნას: „ნუთუ აქედამ ის უტყუარი აზრი არ გამოდის, რომ სხვა ყოველი კი ზოგადის კანონებისა, რაც ჩამოთვლილ მუხლებში არ არის მოხსენებული, სავალდებულოა ქალაქის გამგეობისა და საბჭოსათვის!.. აქ სად არის მოხსენებული, რომ საჯარო ვაჭრობა, ქალაქის გამგეობისაგან მომხდარი, მაშინაც შესაწყნარებელია, როცა ორის მოცილეს მხარის მაგიერ, ერთი მხარეა მარტო სავაჭროდ მოსული"[1].

სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში ზოგჯერ ნათელი ხდება, რომ შესაფარდებლად შერჩეულ ნორმის შინაარსობრივი ნაწილები სისტემური კავშირებით ისე სუსტადაა ერთმანეთთან გაერთიანებული, რომ სისტემატური ახსნა-განმარტება ვერ გვაძლევს კანონის შინაარსის დადგენის შესაძლებლობას, მაგრამ, სამაგიეროდ, ნორმაში, რომელიც უნდა მიესადაგოს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, კანონმდებლის აზრი ძლიერი ლოგიკური კავშირებითაა წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, შესაფარდებლად შერჩეული ნორმის შინაარსის დასადგენად უმჯობესია ლოგიკური ახსნა-განმარტების ხერხის გამოყენება.

ი. ჭავჭავაძე 1861 წლის საგლეხო რეფორმის 172 მუხლში გადმოცემულ კანონმდებლის ნებას ადგენს ამ მუხლით დადგენილი ნორმის ლოგიკური ახსნა-განმარტების გზით. იგი მიუთითებს, რომ რეფორმის 172 მუხლში კანონმდებლის აზრით აუცილებელია „წილზედ-ჭერა მაშულისა — ეგ სადავიდარაბო, წინათვე განუსაზღვრელი ღალა, ერთს გარდაკვეთილ გადასახადად იქცეს... როგორ უნდა მოვიდეს ეს აღსრულებაში? დებულებაში მოხსენებულია, რომ: 1. ჯერ უნდა წესი დაიდოსო მასზედ, თუ როგორ მოიყვანონ ცნობაში აწინდელის წილადო-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 48—49.

ბილის ღალის რაოდენობაო; 2. მერე, ადგილობრივის გარემოების მიხედვით, ეგ რაოდენობა ღალისა ფულად დაფასდესო და 3. მას შემდეგ ნაყმევის გარდასახადი ღალა ერთობ ფულად განისაზღვროსო, ესე იგი ჩვეულებრივი მიწის მოსავლით გარდასახადი მახტად გადიქცესო"[1].

ი. ჭავჭავაძე ამ კანონთა ჭეშმარიტ შინაარსს კანონმდებლის ნების მიხედვით განმარტავს და მიუთითებს: „მაგ კანონებს ეტყობა, რომ კანონმდებელთა ორის რამის ფიქრი ჰქონიათ: ერთი იმის ფიქრი, რომ გლეხობა არ ინდომებს მამულის შესყიდვასო. ამის გამო გლეხს ვალად დაადვეს, რომ თუ მებატონე მოითხოვსო, უსათუოდ სახნავ-სათიბი მიწები და სასახლის ადგილი უნდა შეისყიდოო, რადგანაც საფიქრებელი იყო, რომ ამგვარად ძალად შესყიდვისათვის გლეხს ფულის სახსარი არ ექმნებოდა, ამიტომაც მთავრობამ დააწესა, გლეხს ფულს ვასესხებო 49 წლითა და წელიწადში თავნსა და სარგებელში ათს თუმანზედ გამოვართმეო ექვს მანეთსა, რომლიდამაც ხუთი სარგებელში წავაო და ერთი თავნშიო. მეორე იმის ფიქრი ჰქონიათ, რომ გლეხობა თავ-თავის ვადაზედ ფულს ვერ შემოიტანსო და ამით სახელმწიფო ხაზინა იზარალებსო; ამისათვის 49 წელიწადი დანიშნეს სესხის ვადად, თუმცა ასზედ ერთი მანეთი თავნს 37 წელიწადს ასწორებს და იშორებს. აქ თორმეტი წელიწადი მეტია დანიშნული, იმიტომ რომ ხაზინას რაც 37 წელიწადში დააკლდება, ამ თორმეტის წლის შემოსატანის ფულით შეისრულოს"[2].

მოქმედი კანონმდებლობის კრიტიკა, რომელსაც უხვად ვხვდებით ი. ჭავჭავაძის ნაშრომებში, ყოველთვის ლოგიკურად გამართული და დამაჯერებელია, რადგანაც ეს კრიტიკა ემყარება არა კანონმდებლობის ცარიელ სიტყვიერ მასალას, არამედ ყველა კერძო შემთხვევაში იგი კანონთა ახსნა-განმარტების სხვადასხვა ხერხების ოსტატური გამოყენებით ააშკარავებს კანონებში მიჩქმალული კანონმდებლის ჭეშმარიტ აზრს. ასე მაგალითად, გვაძლევს რა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის იურიდიული ბუნების დახასიათებას, ი. ჭავჭავაძე პირველყოვლისა ცდილობს შეიცნოს მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ კანონმდებლის აზრი და მიზანი: „რომ ჩვენა და ჩვენნი მკითხველნი ერთნაირის საწყაოთი შევუდგეთ ჩვენში დადგენილ მომრიგებელ მოსამართლობის ავ-კარგიანობის აწყვასა, საჭიროა ვიცოდეთ ის აზრი და საფუძველი, რომელზედაც არის დამყარებული მომრიგებელ მოსამართლობის წესი, ის აზრი და საწადელი, რომელიც დაუნიშნავს კანონმდებელს მისაღწევად[3]... საჭიროა ვიცოდეთ, რა აზრი ჰქონდათ კანონმდებელთა. რომ

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 20—21.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 25—26.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 71.

მომრიგებელი მოსამართლობა შემოიღეს, და რამოდენად ფართო გზა მისცეს იმ აზრს ჩვენში"[1].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სამართლის ნორმის შეფარდების რთული პროცესი ლოგიკურად დამაჯერებელი და უზადო უნდა იყოს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მოსამართლეთა გაუნათლებლობის, ხოლო ძალიან ხშირად ანგარების გამო, სამართალშემფარდებლები არღვევენ კანონმდებლის ნებას და საქმეებს წყვეტენ რომელიმე მხარის მიკერძოებით. კანონმდებლობის ზოგადი სული სახელმძღვანელო იურიდიული საწყისია და კანონთა ახსნა-განმარტების მიზანს წარმოადგენს მხოლოდ მოცემული კანონმდებლობის ამ ზოგადი სულის მონახვა და საქმის გადაწყვეტა მის შესაბამისად. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ინგლისის მეფის კარლოს მეორის 1676 წლის სტატუტის ცალკეული მუხლები სასამართლომ განმარტა ლორდების სასარგებლოდ და ამით მთლიანად გაამართლა მათ მიერ თავისუფალი სათემო მიწების თვითნებური დატაცება. ამ ბრძოლაში „სათემოდ-მფლობელთა მკვიდრთა ვერ გაუძლეს უშველებელს ხარჯს სამართლისას, მაშინ როდესაც ლორდები არც ადვოკატებზედ ჰზოგავდნენ რასმე და არც სამართლის აუარებელ ხარჯს მოერიდნენ, რომ ზემოხსენებულ სტატუტის ბუნდი სიტყვები თავიანთ სასარგებლოდ აეხსნათ კანონის წინაშე"[2]. კანონის ტენდენციური ახსნა-განმარტება და ამ ახსნა-განმარტების შედეგად მიღებული მცდარი დასკვნებით ხელმძღვანელობა სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში კანონმდებლობის სულს ეწინააღმდეგება. მოსამართლეთა ანგარებისა და მექრთამეობის გამო ძალიან ხშირად ადგილი აქვს „კანონის ბოროტად გამოყენებას", რომლის შედეგები ჩვეულებრივად მიმართულია ღარიბთა და ჩაგრულთა საზიანოდ. წერილში — „გლეხთა მამულების ვალში გაყიდვა", ი. ჭავჭავაძე გმობს მომრიგებელ მოსამართლეთა მოქმედებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი კანონის არასწორი ახსნა-განმარტების გზით საქმეს კანონმდებლის ნების წინააღმდეგ წყვეტენ, კერძოდ, გამოაქვთ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გლეხებს, რომლებმაც ვერ შესძლეს ვალების გადახდა, გაუყიდონ საცხოვრებელი ადგილი, ვენახები და ა. შ., მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაკვეთები საეკლესიო, სახასო და საბატონო საკუთრებაა და გლეხებს მხოლოდ სარგებლობის უფლება აქვთ. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს. რომ ამ შემთხვევაში მოსამართლეებს გადაწყვეტილება გამოტანილი აქვთ კანონის არასწორი ახსნა-განმარტების საფუძველზე, კანონმდებლობის სულის საწინააღმდეგოდ, რადგან „კანონით აკრძალულია კაცს ის გაეყიდოს, რაც მისი კუთვნილება არ არის. მაგრამ კანონებში გამოქნილმა ჭკუამ აქაც სახტომი უპოვა ვითომ კანონს და ამ სახტომს

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 39.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 18.

ყური არავინ ათხოვა, თუმც-კი ეგ სახტომი პირველ დანახვითვე ბავშვის ჩხირკედლობას ჩამოჰგავს. მომრიგებელთ მოსამართლეებმა ის გზა უპოვეს ზემოხსენებულს კანონს, რომ გასყიდვის სიგელში მოიხსენეს გასასყიდად დანიშნული მამულის ხმარება უმამულოდ, ანუ ვენახისა უმიწოდ... ეს იმას ჰგავს, რომ იყიდება ცოცხალი ცხენი უმუცლოდაო"[1].

ამრიგად, სამართლის ნორმის ახსნა-განმარტებისას სხვადასხვა ხერხების გამოყენება დაკავშირებულია საკანონმდებლო ტექნიკასთან, კერძოდ, კანონმდებელი თავის აზრს ერთნაირი ფორმითა და საშუალებებით ვერ გადმოსცემს ყველა შემთხვევაში, რადგან კონკრეტული გარემოებების გათვალისწინების აუცილებლობა აიძულებს მას კანონის შინაარსის სრულად და ნათლად გადმოცემისათვის მიმართოს საკანონმდებლო ტექნიკის სხვადასხვა მოდელებს, რომელთა სპეციფიკური თავისებურების მიხედვით დადგენილი კანონმდებლის აზრე ახსნა-განმარტებების გამოყენების ზემოაღნიშნულ ხერხებს მოითხოვს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სიტყვიერი ფორმის მიხედვით სამართლის ნორმის შინაარსი ვიწროა კანონმდებლის ნამდვილ აზრთან შედარებით, ანდა პირიქით, სამართლის ნორმის შინაარსი მეტისმეტად ფართოა კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების თაობაზე კანონმდებლის აზრთან შედარებით. ამ გაუგებრობების აღმოფხვრისა და სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში კანონის ჭეშმარიტი აზრის დასადგენად გამოიყენება შეზღუდვითი და განვრცობითი ახსნა-განმარტება. ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს რა თბილისის საოკრუგო სასამართლოს 1875 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებას, რომელიც საანტარო დებულების 168 მუხლის შეზღუდვით, მცდარ ახსნა-განმარტებას ემყარება, მიუთითებს, რომ მოქმედი კანონმდებლობის აზრით საკუთრების სამართალზეა დაფუძნებული თითოეული საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობა და კეთილდღეობა, მაგრამ საოკრუგო სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ეს გარემოება და ზემოაღნიშნული დებულების 168 მუხლი გამოიყენა შეზღუდვით. კერძოდ, „მფლობელისათვის მეტის-მეტად შემავიწროებელი და ამასთან დამამძიმებელი აზრით და ეს აზრი გამართლებული არ არის არც კანონმდებლობის საერთო სულით, როგორც სახელმძღვანელო იურიდიული საწყისითა და არც კერძო კანონებით, რომლებიც დადგენილია ამ საგნის მიმართ"[2]. ამავე დროს, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, თბილისის საოკრუგო სასამართლოს ამ დადგენილებას არა აქვს კანონიერი საფუძველი, რადგან იგი ეწინააღმდეგება კანონის ახსნა-განმარტების შედეგად დადგენილ კა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 202.

[2] И. Чавчавадзе. 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55, стр. 2).

ნორმდებლის ნებას: „ამაში ადვილად დარწმუნდება ყველა, ვინც ზერელედაც კი დაუფლებულია იურიდიულ განათლებას, კანონში გამოხატული სიტყვების და გამოთქმების გრამატიკული განსაზღვრისა და აზრების და ცნებების ლოგიკური შეპირისპირების გზით კანონის წანამძღვრების დაახლოებისა და აზრის დადგენის გარკვეულ ჩვევებს. უკვე არაფერს ვამბობ იმათზე, რომელთაც სერიოზული და სოლიდური განათლებით გავარჯიშებული აქვთ უნარი განსაზღვრონ კანონის აზრი კანონმდებლობის სხვა დადგენილებებთან იმ შინაგანი კავშირით, რომელიც აერთიანებს ერთ მთელად მოცემულ საკითხზე ყველა სამართლებრივ ინსტიტუტსა და სამართლებრივ წესს"[1].

(ამრიგად, ი. ჭავჭავაძის აზრით, არსებობს სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების სხვადასხვა სახე და ხერხი, რომელთა გამოყენებით შესაძლებელი ხდება კანონში მოცემული კანონმდებლის ნების დადგენა და ამ ნების მიხედვით სამართლის ნორმის სწორი შეფარდება.) კანონის ახსნა-განმარტების საერთო მოძღვრებიდან ი. ჭავჭავაძე აკეთებს დასკვნას, რომ ხშირ შემთხვევაში სამართლის ნორმის შინაარსის სრული შეცნობა შესაძლებელია კანონის ახსნა-განმარტების რომელიმე ხერხის გამოყენებით, მაგრამ ზოგჯერ კანონის ახსნა-განმარტების ერთი რომელიმე ხერხი საკმარისი არაა შესაფარდებლად შერჩეული სამართლის ნორმის შინაარსის დასადგენად, კერძოდ, ამისათვის საჭიროა სამართლის ნორმის სწორი შეფარდების ინტერესების შესაბამისად გამოყენებული იქნას ერთდროულად კანონის ახსნა-განმარტების მრავალი ხერხი და სახე. სამართლის ნორმის შინაარსის დასადგენად კანონის ახსნა-განმარტების მრავალი ხერხი აქვს გამოყენებული ი. ჭავჭავაძეს იურიდიულ ნაშრომში — „სანოტარო დებულების 168 მუხლი და მისი შეფარდება თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ", მას საფუძვლად უდევს შემდეგი იურიდიული კაზუსი: 1875 წლის 7 აპრილს თბილისის საოკრუგო სასამართლომ სანოტარო დებულების 167 და 168 მუხლების, აგრეთვე სხვა ნორმების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც, გამოტანილია კანონმდებლის ნების წინააღმდეგ.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ თბილისის საოკრუგო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღძრული საკითხი ეხება იმას, თუ კანონით ნებადართულ და მოწონებულ რანაირ პირობებში შეუძლია უძრავი ქონების მფლობელს მისი განკარგვა, როგორც საკრედიტო და გაცვლითი მიმოქცევის საგანი, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა პირობებში შეუძლია მფლობელს გამოავლინოს მისი კუთვნილი განკარგვის უფლება თავის უძრავ ქონებაზე კანონიერი საშუალებებით გასხვისების ან მასზე უფლების შეზღუდვის შემთხვევებში. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ თბი-

---

[1] И. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 56).

ლისის საოკრუგო სასამართლომ საკუთრების სამართლის ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი გადაჭრა ისე, რომ იგი ზღუდავს მფლობელის კანონიერ უფლებებს და მძიმე მდგომარეობაში აყენებს მას. სამწუხაროდ, აღნიშნავს ი. ჭავჭავაძე, სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არ შეესაბამება არც კანონმდებლობის საერთო სულს და არც ამის თაობაზე არსებულ კერძო კანონებს. ამ გადაწყვეტილების მიხედვით საკუთრების სამართლის ყველა ანალოგიური შემთხვევის გადაწყვეტა ხელს შეუშლის ქვეყნის სამეურნეო განვითარებას. საქმე ისაა, რომ თბილისის გუბერნიაში საადგილმამულო კრედიტის საჭიროება საგრძნობია. თავადაზნაურობა ცდილობს გამოიყენოს საადგილმამულო კრედიტი აგრარული ურთიერთობების განვითარებისათვის, მაგრამ თუ მომავალში თბილისის საოკრუგო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით მოგვარდება ანალოგიური საადგილმამულო ურთიერთობები, მაშინ მიწის მესაკუთრის ინტერესების შელახვასთან ერთად საადგილმამულო კრედიტის თავისუფალი მიმოქცევისათვის გზა გადაღობილი აღმოჩნდება.

სწორედ ეს გარემოება, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, აუცილებელს ხდის თბილისის საოკრუგო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგო ბუნების მხილებას. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ სანოტარო დებულების 167 და 168 მუხლებისა, და აგრეთვე სხვა სამართლებრივი ნორმების არასწორი განმარტების შედეგად სასამართლომ გამოიტანა მცდარი დასკვნა, კერძოდ, უფროსი ნოტარიუსი, სანამ იგი შეადგენდეს და დაამტკიცებდეს რაიმე აქტს უძრავი ქონების გადაცემის ან დაგირავების შესახებ, ვალდებულია დაადასტუროს და დარწმუნდეს, რომ მხარეების გასასხვისებელი ან დასაგირავებელი ქონება ეკუთვნის დამგირავებელს ან გამსხვისებელს, ამაში კი იგი დარწმუნდება მხოლოდ იმ აქტებით, რომლებიც ადგენენ უფლებას სიმტკიცის სიგელით და აგრეთვე სამიჯნო აქტებით და რაც ჩამოთვლილია ამიერკავკასიის მხარის გამიჯვნის შესახებ დებულების 299 მუხლში. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად საოკრუგო სასამართლომ, ი. ჭავჭავაძის აზრით, სრულიად უსაფუძვლოდ, ახსნა-განმარტებისა და კანონმდებლის ნების დაუდგენლად გამოიყენა სამოქალაქო კანონმდებლობის მეათე ტომის პირველი ნაწილის მთელი რიგი მუხლები, რომლებშიც გადმოცემული სამართლის ნორმები საქმეს სრულებით არ ეხება.

ი. ჭავჭავაძე კატეგორიულად უარყოფს ამ დასკვნის ჭეშმარიტებას და მიუთითებს, რომ კანონის ლოგიკური და გრამატიკული ახსნა-განმარტება, რომელიც გვეხმარება კანონმდებლის აზრისა და ნების გარკვევაში, ნათლად ცხადყოფს, რომ თბილისის საოკრუგო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგოა და ამდენად მცდარია.

ამ მტკიცების დასასაბუთებლად ი. ჭავჭავაძე, პირველყოვლისა, სამართლის ახსნა-განმარტების გზით არკვევს სამოქალაქო გარიგებების

ზოგად სამართლებრივ მნიშვნელობას და ამასთან დაკავშირებით ნოტარიუსის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის დანიშნულებას. სამოქალაქო გარიგებები სხვა არაფერია თუ არა კანონით ნებადართული განსაზღვრული ურთიერთობები, რომლებიც კერძო პირთა ნებით არის ჩამოყალიბებული და შექმნილი. სამოქალაქო გარიგებების მნიშვნელობის ამ განსაზღვრებიდან და ახსნა-განმარტებიდან ნათელია ნოტარიუსის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს დანიშნულება და მისი ხელისუფლების საზღვრები, კერძოდ, ნოტარიუსი უფლებამოსილია ამ ხელისუფლების ავტორიტეტზე დამყარებით დაამოწმოს კანონით ნებადართული ყოველგვარი სამოქალაქო გარიგება, რომელიც წარმოიშობა და ხორციელდება მხოლოდ კერძო პირთა ნებით. აქედან ცხადია, რომ ნოტარიუსის უფლება-მოვალეობა უნდა გამოვლინდეს მხოლოდ იმ პირობების მიმართ, რომლისგანაც იქმნება გარიგების შესრულების შესაძლებლობა. ნოტარიუსის ყოველგვარი სხვა მოქმედება სამოქალაქო გარიგებათა აქტების შესრულების ან დამოწმებისას იქნება ან მისი უფლებებიდან გამოსვლა, რაც ხელისუფლების გადამეტების თანაბარმნიშვნელოვანია, ანდა მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისადმი თავის არიდება, რაც თავის მხრივ ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებში უკანონო შეჭრის თანაბარმნიშვნელოვანია.

ამრიგად, დასკვნის ი. ჭავჭავაძე, მხოლოდ იმ საგნების გვარეობის მიხედვით, რომელთა თაობაზე იდება გარიგებები, განსხვავდება საერთოდ ნოტარიუსების უფლებები და მოვალეობები და, კერძოდ, უფროსი ნოტარიუსის უფლებები და მოვალეობები. ყველა სხვა ძირითადი ნიშნების მიხედვით ეს ორი ინსტიტუტი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. სამოქალაქო გარიგებების დამოწმება და დამტკიცება, რომელიც ეხება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას სხვა პირზე მის გადასვლამდე ან შეზღუდვამდე, შეადგენს უფროსი ნოტარიუსის კომპეტენციის სპეციალურ საგანს. უფროსი ნოტარიუსის მოქმედების არსი მისი ამ სპეციალური კომპეტენციის ფარგლებში, გადმოცემულია სანოტარო დებულების 167 და 168 მუხლებში, სადაც პირდაპირ ნათქვამია, რომ უფროსი ნოტარიუსი, სანამ იგი შეასრულებდეს ან დაამტკიცებდეს აქტს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლის ან შეზღუდვისა, ვალდებულია სხვათა შორის დარწმუნდეს იმაში, ეკუთვნის თუ არა ეს ქონება იმ მხარეებს, რომლებიც ასხვისებენ ან ზღუდავენ მათ უფლებებს. თუმცა კანონის ამგვარი დადგენილება, ერთი შეხედვით, ზღუდავს სამოქალაქო გარიგებების თავისუფლების საერთო სამართლებრივ საწყისებს, რადგან რა ხელი აქვს კანონს ეპვი შეიტანოს გასაყიდი ნივთის კუთვნილებაში, როცა ერთი მხარე თანახმაა იგი გაყიდოს, ხოლო მეორე მხარეს კი სურს მისი ყიდვა და ამავე დროს არ

არსებობს სხვა პირების რაიმე პრეტენზია გასასყიდ ნივთზე, მაგრამ, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, კანონი კანონია და მას უნდა დავემორჩილოთ, ოღონდაც კანონი უნდა შესრულდეს მხოლოდ კანონში გადმოცემული კანონმდებლის ნების შესაბამისად და არა იმ აზრის მიხედვით, რომელიც შეიძლება კანონს დაუკავშირდეს კაზუისტურად მისი ნამდვილი აზრის შეცნობის გარეშე.

კანონის ახსნა-განმარტების, კერძოდ, კანონში გადმოცემული კანონმდებლის ნების დადგენის გზით, ი. ჭავჭავაძე ცდილობს ზემოაღნიშნული დებულების 167 და 168 მუხლების ნამდვილი აზრის შეცნობას. რუსული იურიდიული ლიტერატურის მოშველიებითა და მოქმედი ნორმატიული მასალების ახსნა-განმარტების შედეგად ი. ჭავჭავაძე 167 და 168 მუხლების სადავო ნაწილების შინაარსს ნათლად აყალიბებს შემდეგ სამ თეზისში: 1. სანოტარო დებულების ამ მუხლების აზრის მიხედვით ნოტარიუსისათვის საკმარისია, რომ იგი დარწმუნდეს მხოლოდ ქონების კუთვნილების ფაქტში, რათა შეასრულოს და დაამტკიცოს ამ ქონების შესახებ აქტი. სრულებით არაა საჭირო ნოტარიუსი დარწმუნდეს და შეამოწმოს მხარეს აქვს თუ არა ქონებაზე საკუთრების უფლება, საერთოდ საკმარისია ნივთის კუთვნილების ფაქტის შემოწმება: 2. ამ მუხლების ჭეშმარიტი აზრის მიხედვით, ზემოაღნიშნულის შესახებ ნოტარიუსი რომ დარწმუნდეს, საკმარისია სიმტკიცის აქტების გარდა. სხვა წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც ცხადყოფენ კუთვნილების ფაქტს; 3. სანოტარო დებულების 167 და 168 მუხლებიდან ჩანს, რომ ნოტარიუსის მოქმედებას უძრავი ქონების აქტების შესრულებისა და დამტკიცების მხრივ უფრო მეტად აქვს საცნობარო და არა უფლების სასამართლო-სარეგისტრაციო შემოწმების ხასიათი.

პირველი თეზისის დასასაბუთებლად ი. ჭავჭავაძე ადგენს შინაგან კავშირებს კანონის ახსნა-განმარტების გზით სანოტარო დებულების 167 და 168 მუხლებსა და სამოქალაქო სამართლის ზოგად კანონებს შორის. სამოქალაქო სამართლის ზოგადი კანონების X ტომის მე-2 ნაწილის მე-2 მუხლში ნათქვამია, რომ უძრავი ქონების ყოველგვარი ფაქტიური ფლობა, თუნდაც უკანონო, მიიჩნევა უდავოდ და დაცულია კანონით ძალადობისა და თვითნებობისაგან, სანამ არ იქნება მასზე გაცხადებული დავა ან ცილობა და ქონება არ მიეკუთვნება სხვას. ი. ჭავჭავაძე სვამს კითხვას: რით შეიძლება გამართლებული იქნას და აიხსნას ამგვარი კანონის არსებობა? მხოლოდ იმით, რომ პირის ყოველგვარ უშუალო და ნამდვილ ურთიერთობაში არსებულ ქონებაზე მფლობელობა, როგორც ფაქტი, გულისხმობს აგრეთვე ნივთზე პირის ბატონობის ფაქტს, ე. ი. კუთვნილების ფაქტს. მფლობელობის ფაქტის კუთვნილების ფაქტთან ასეთ მჭიდრო კავშირს თავისი ისტორიული საფუძველი აქვს, რადგან თვით მოქალაქეობრიობის ჩასახვის დასაწყისიდანვე ყვე-

ლა საზოგადოებაში ხალხის შეგნება აერთიანებდა მფლობელობის ფაქტთან საკუთრების, კუთვნილების ცნებას. ხალხის ეს შეგნება გამოიხატა არა მარტო ზემოაღნიშნული კანონის მუხლებში, არამედ ჩვენი კანონმდებლობის ენაში, რომელიც ძალიან ხშირად სიტყვა საკუთრების ნაცვლად იყენებს სიტყვა მფლობელობას და პირიქით. სამოქალაქო კანონმდებლობის X ტომის მე-2 ნაწილის მე-2 მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან ჩანს, რომ კანონი აერთიანებს რა კუთვნილების ფაქტს მფლობელობის ფაქტთან, ამ უკანასკნელს განსაზღვრავს ორი ნიშნით: პირველი, ნამდვილი (ფაქტიური) მფლობელობა და მეორე, სხვისი პრეტენზიის, სხვისი უფლების არ არსებობა. აქედან ი. ჭავჭავაძე ასკვნის: „აი, არსებითად მთელი განსხვავება კუთვნილების აზრით მფლობელობისა და კუთვნილების უფლების, საკუთრების უფლების სიტყვებს შორის"[1]. საკუთრების, კუთვნილების სიტყვა უნდა გავიგოთ, როგორც ხელისუფლება, პირის ბატონობა ნივთზე სხვისი უფლების, სხვისი მოთხოვნის არ არსებობის აზრით. საკუთრების, კუთვნილების უფლების ცნება კი თავის თავში გულისხმობს ნივთზე სრულ ბატონობას. ეს მოსაზრება, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, აშკარად მოჩანს სხვადასხვა საკანონმდებლო მასალების ურთიერთშეპირისპირებიდან, კერძოდ, სამოქალაქო კანონმდებლობის X ტომის პირველი ნაწილის 1389 და 1381 მუხლების შედარებიდან. 1389 მუხლი ადგენს, რომ შეიძლება გაყიდვა მამულისა, რომელიც პირის ნამდვილ, ფაქტობრივ მფლობელობაშია, ანდა რომელზეც გამყიდველს გააჩნია საკუთრების უფლება. მაშასადამე, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ მამული ნამდვილ, ფაქტობრივ მფლობელობაშია, 1389 და 1381 მუხლების ურთიერთშეპირისპირების გზით შეიძლება გაკეთებული იქნას შემდეგი დასკვნა: „ნამდვილ მფლობელობას, რომელზეც საკუთრების უფლებაც კი არ არსებობს, კანონი ანიჭებს საკუთრების, კუთვნილების მნიშვნელობას, სხვანაირად აზრი არ ექნებოდა ერთი მუხლით იმაზე წესის დართვას, რაც დადებითი სახით იკრძალება მეორეთი... 1389 მუხლიდან, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა X ტომის მეორე ნაწილის მეორე მუხლის პირდაპირი შედეგი და გამოხატულება, განა ნათლად არა ჩანს, რომ საგანი, რომლის მიმართაც ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს გაყიდვის ან დაგირავების შემთხვევაში სიმტკიცის აქტის შესრულებისას, შეიძლება იყოს ნამდვილი მფლობელობის ფაქტიც, რომელთანაც კანონი უშუალოდ აერთიანებს კუთვნილებას, საკუთრების ფაქტის ცნებას, როგორც ეს ზემოთ უკვე დავინახეთ, თუ რა მნიშვნელობას და ძალას ანიჭებს ამ შემთხვევაში კანონი ნამდვილ მფლობელობას, ეს ნათლად ჩანს X ტომის პირველი ნაწილის 1392 და 1361 მუხლებიდან, რომელთა ძალით ნებადართულია გაყიდვა და დაგირავებაც კი სადავო ქონებისა,

[1] И. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55).

თავისთავად ცხადია მხოლოდ იმ პირობით თუ ქონება იმყოფება გამსხვისებლის ნამდვილ მფლობელობაში. მაშასადამე, მაშინაც კი, როცა ქონებაზე არსებობს სხვისი პრეტენზია, კანონს არ შეუძლია გამოყოს კუთვნილების ცნება ნამდვილი მფლობელობის ფაქტიდან"[1]. ამრიგად, ასკვნის ი. ჭავჭავაძე, კანონმდებლის უმთავრესი მოსაზრება ნამდვილ (ფაქტიურ) მფლობელობაზე, რომელიც გამოხატულია სამოქალაქო კანონმდებლობის X ტომის მეორე ნაწილის მეორე მუხლში, გაგებული უნდა იქნას არა აუცილებელი და განსაკუთრებული კუთვნილების, არამედ, როგორც ფაქტობრივ მფლობელობისადმი სხვისი მოთხოვნის არ არსებობის აზრით. ეს უმთავრესი მოსაზრება მთელი სიცხადით გამოხატულია X ტომის პირველი ნაწილის 1389 მუხლში, რადგანაც მასში ლაპარაკია ქონებაზე, რომელიც ან ფაქტობრივ მფლობელობაშია, ანდა რომელზეც არსებობს საკუთრების უფლება. მაგრამ საკუთრების უფლება სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის სამართლიანი განმარტებით (იხ. 1869 წლის № 583 განმარტება) თავის თავში გულისხმობს სრულ ბატონობას პირისა ნივთზე. მაშასადამე, ფაქტობრივი მფლობელობა, რომელიც მოხსენებულია 1389 მუხლში საკუთრების უფლებისაგან განსხვავებით, გაგებული უნდა იქნას ნამდვილი მფლობელობის ფაქტზე სხვისი პრეტენზიის არ არსებობის აზრით. 1389 მუხლის მოთხოვნები კი თავის მხრივ გამოხატულია X ტომის პირველი ნაწილის ყველა მუხლში, რომელიც ეხება განსახილველ საკითხს. 778, 781, 782 და აგრეთვე სხვა მუხლებშიც პირდაპირაა მითითებული, რომ შესაძლებელია მამულის გასხვისება, როგორც საკუთრების უფლებით, ასევე ფაქტობრივი მფლობელობის უფლებით და მითითებულია იმის შესახებ, რომ, როცა მამულის გასხვისება ხდება საკუთრების უფლებით, საჭიროა კანონიერი სიმტკიცის აქტები კუთვნილებაზე, ხოლო, როცა გასხვისება ხდება ფაქტობრივ მფლობელობით, მაშინ აუცილებელია სხვისი პრეტენზიის არ არსებობის მოწმობა.

ამის შემდეგ ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ სწავლობს იმას, თუ როგორ გამოიხატა ზემოაღნიშნული სანოტარო დებულების 168 მუხლში, რომელიც მიზნად ისახავს არა ცალკეული, არამედ მთელი რიგი ერთობლივი შემთხვევების რეგულირებას. ამ მუხლის პირველ ნაწილში ლაპარაკია: იმისათვის, რომ ნოტარიუსი დარწმუნდეს ქონების კუთვნილებაში, იგი ვალდებულია შეკრიბოს ცნობები სიმტკიცის წიგნში. ეჭვს არ იწვევს, რომ კანონის ეს მითითება ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა სიმტკიცის აქტებით განმტკიცებული უძრავი ქონების გასხვისება ან დაგირავება ხდება საკუთრების უფლებით, რადგანაც სიმტკიცის წიგნებში უძრავი ქონების თაობაზე სხვა არაფერია ნათქვამი გარდა საკუთრების უფლებისა. 168 მუხლის მეორე ნაწილში კი ნათქვამია: იმისათვის, რომ

[1] И. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 56.).

ნოტარიუსი დარწმუნდეს კუთვნილებაში, იგი ვალდებულია მოითხოვოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით დადგენილი კუთვნილების დამამტკიცებელი სხვა დოკუმენტები. რადგანაც აქ ლაპარაკია სხვა დოკუმენტებზე, მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კანონმდებელს მხედველობაში აქვს არა ის დოკუმენტები, რომლებიც მითითებულია პირველ ნაწილში და, მაშასადამე, აქედან მხოლოდ ის გამოდის, რომ ის საგანი, რომლის სამართლებრივი მდგომარეობა უნდა შეამოწმოს ნოტარიუსმა უძრავი ქონების აქტის შესრულებისას, შეიძლება იყოს ფაქტობრივი მფლობელობის, კუთვნილების ფაქტიც, რადგან მისი საგანი რომ ყოფილიყო მარტო საკუთრების უფლება, მაშინ იგი, როგორც უფლება, შეუძლებელი იქნებოდა სხვა რაიმეთი დამტკიცებულიყო, გარდა სიმტკიცის აქტისა, მაშინ, როცა ფაქტობრივი მფლობელობა საკუთრებისა, კუთვნილების სახით, შეიძლება დამტკიცდეს გარდა სიმტკიცის აქტისა, სხვა მტკიცებულებებით, როგორც ეს ნათლად ჩანს X ტომის პირველი ნაწილის ზემოაღნიშნული მუხლებიდან.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ისევე, როგორც ეს გამოყენებულია 779, 780, 781 და სხვა მუხლებში აღნიშნული შემთხვევების მიმართ, ასევე ნათლადაა გათვალისწინებული უძრავი ქონების გასხვისების ან დაგირავების შემთხვევები იმავე ორი პირობის მიხედვით 1389 მუხლშიც. ეს პირობებია: პირველი, როცა მამული იმყოფება ფაქტობრივ მფლობელობაში და, მეორე, როცა მამული არსებობს საკუთრების უფლებით. განა ცხადი არ არის, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, რომ სანოტარო დებულების 168 მუხლიც ამ ორი პირობის მიხედვით მოითხოვს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კანონმდებლობის X ტომის პირველი ნაწილის 779, 780, 781, 782 და ა. შ. მუხლებში ცალკეული შემთხვევებისათვის. ეს ორი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტი გასაოცარი სიზუსტით ემთხვევა ერთმანეთს შინაარსის მიხედვით ამ ნაწილში.

ი. ჭავჭავაძე არ კმაყოფილდება ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტების შედეგად მიღებული დასკვნებით და ცდილობს ყოველგვარი ეჭვი ამ დასკვნის ჭეშმარიტების თაობაზე გაფანტოს ახსნა-განმარტების იმ ხერხების გამოყენებით, რომლებიც იურიდიულ მეცნიერებაში ცნობილია გრამატიკული, ლოგიკური და სისტემატური ახსნა-განმარტებების სახელწოდებით. იგი მიუთითებს, რომ ჩვენი ზემოაღნიშნული დასკვნის სისწორეში შეიძლება ეჭვი შეიტანონ და გვითხრან, რომ სიტყვებში „სხვა მტკიცებულებანი“ შეიძლება ვიგულისხმოთ სამიჯნო აქტებიც, რომლებიც კანონმდებლობაში მითითებულია, როგორც საკუთრების უფლების უმთავრესი მტკიცებულებები და ამიტომ ისინი არ განეკუთვნება სიმტკიცის აქტებს და უნდა მიეკუთვნოს სამიჯნო აქტებს. ასეთ შემთხვევაში, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, ჩვენ გვისაყვედურებენ, რომ

ჩვენი დასკვნა იმის შესახებ, რომ საგანი, რომლის თაობაზე უნდა დარწმუნდეს ნოტარიუსი აქტის შესრულებისას, არ შეიძლება იყოს ნამდვილი მფლობელობის ფაქტი კუთვნილების ფაქტის აზრით. ამ საყვედურის თავიდან ასაცილებლად, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, საჭიროა კანონის ახსნა-განმარტების გზით დავამტკიცოთ, რომ სიტყვები „სხვა მტკიცებულებანი“ 168 მუხლში გაგებული უნდა იქნას ყველა წერილობით დამამტკიცებელ საბუთებად გარდა სიმტკიცისა და სამიჯნო აქტებისა.

ამ მოსაზრების დასამტკიცებლად ი. ჭავჭავაძე ახდენს სანოტარო დებულების 167 და 168 მუხლების ახსნა-განმარტებას.

167 მუხლში ნათქვამია, რომ ამონაწერის დამტკიცების დროს უფროსი ნოტარიუსი ვალდებულია დარწმუნდეს იმაში, რომ პირველყოვლისა სამოქალაქო კანონები (X ტომი, I ნაწილი) არ კრძალავენ აქტების შესრულებასა და დამტკიცებას და გარდა ამისა, წარმოდგენილ ამონაწერში ქონება ნამდვილად ეკუთვნის მხარეს, რომელიც ასხვისებს მას ანდა თანახმაა საკუთრების უფლების შეზღუდვაზე. მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში თუ როგორ უნდა დარწმუნდეს ნოტარიუსი ამაში, ეს ჩანს 168 მუხლიდან, რომელშიც ნათქვამია: იმ მხარეთა ქონების კუთვნილების დასარწმუნებლად, რომლებიც ასხვისებს მას, უფროსი ნოტარიუსი ვალდებულია მიმართოს სიმტკიცის, ამკრძალველ ან ნებისდამრთველ წიგნებს, აგრეთვე სიმტკიცის რეესტრის საქმეებს და ამ წიგნებისა და რეესტრების საძიებლებს, ანდა მოითხოვოს სხვა მტკიცებულებების წარმოდგენა სამოქალაქო კანონებით დადგენილი წესების თანახმად.

ი. ჭავჭავაძე ამ ნორმების შეპირისპირების შედეგად მიუთითებს, რომ კანონმდებლის შეხედულებების ლოგიკური ახსნა-განმარტების შედეგად, ცხადია, რომ 168 მუხლის პირველ და მეორე ნაწილში კანონმდებელი ნათლად მიუთითებს, რომ სიტყვები „სხვა მტკიცებულებები“ მეორე ნაწილში გამოყენებულია იმ მტკიცებულებებისაგან განსასხვავებლად, რომელზეც ლაპარაკია პირველ ნაწილში, კერძოდ, პირველ ნაწილში მითითებულია მხოლოდ სიმტკიცის აქტებზე, რადგანაც სიმტკიცის წიგნებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა აქტები არ შეიძლება იყოს. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ აზრის ლოგიკური კავშირებისა და აგრეთვე სიტყვების გრამატიკული ფორმის მიხედვით, სიტყვები „სამოქალაქო კანონებით დადგენილი წესების თანახმად“ მთლიანად განეკუთვნება სიტყვას „მოითხოვოს“ და არა სიტყვას „მტკიცებულობები“, ხოლო სიტყვა „სამოქალაქო კანონებით დადგენილი“ განეკუთვნება სიტყვას „წესები“ და არა ისევ სიტყვას „მტკიცებულებები“.

ამრიგად, ასკვნის ი. ჭავჭავაძე, ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ როცა შეუძლებელია სიმტკიცის წიგნებით გავიგოთ 168 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად ქონების კუთვნილება და ეს შეიძლება მოხდეს იმ

გამონაკლის შემთხვევაში. როცა სიმტკიცის აქტი მასზე არ არსებობს, რამდენადაც ყოველგვარი სიმტკიცის აქტი იმიტომ იწოდება სიმტკიცის აქტად. რომ იგი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შეტანილი სიმტკიცის წიგნში. მაშინ ნოტარიუსი ვალდებულია სამოქალაქო კანონებით დადგენილი წესების თანახმად მოითხოვოს ქონების კუთვნილების თაობაზე სხვა მტკიცებულებების წარმოდგენა. აქედან ცხადია, როგორ უნდა გავიგოთ 168 მუხლის მეორე ნაწილი, კერძოდ, ამ ნაწილში გამოყენებული სიტყვა „სხვა მტკიცებულებები" გაგებული უნდა იქნას სიმტკიცის აქტებისაგან განსხვავებული აზრით, რაზეც ამ მუხლის პირველ ნაწილშია ლაპარაკი.

ი. ჭავჭავაძე კანონის ამ ახსნა-განმარტების სისწორის დასამტკიცებლად არავითარი ეჭვისათვის ადგილს არ ტოვებს და მიუთითებს, რომ შეიძლება გვისაყვედურონ, რომ არსებობენ სამიჯნო აქტები, რომელთა ძალა და მნიშვნელობა ამ შემთხვევისათვის არაა უარყოფილი თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ და რომლებიც არც უნდა იყოს აღნიშნული ნოტარიუსის სიმტკიცის წიგნებში. მაგრამ, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე. სიტყვები „სხვა მტკიცებულებები", რომლებიც გამოყენებულია 168 მუხლში, ნიშნავს მართლაც სხვას და არა სიმტკიცისა და სამიჯნო აქტებში მოცემულ მტკიცებულებებს, რაც ნათლად ჩანს სანოტარო დებულების 156 მუხლის მესამე ნაწილიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ სხვადასხვა ცნობების (მიწის რაოდენობა, ხარისხი და ა. შ.) მისაღებად ნოტარიუსი უშუალო კავშირს ამყარებს სათანადო დაწესებულებებთან.

ამრიგად, მრავალი სახის ახსნა-განმარტებების გამოყენების საფუძველზე ი. ჭავჭავაძე ადგენს 168 მუხლში გადმოცემული ნორმის ჭეშმარიტ შინაარსს კანონმდებლის ნების შესაბამისად და აკეთებს შემდეგ დასკვნებს: პირველი, სანოტარო დებულების 167 და 168 მუხლების მიხედვით ნოტარიუსისათვის საკმარისია დარწმუნდეს მხოლოდ ქონების ფაქტობრივ კუთვნილებაში (ფაქტობრივი მფლობელობის აზრით), იმისათვის რომ შეასრულოს და დაამტკიცოს ქონების გასხვისების ან მასზე უფლების შეზღუდვის აქტი; მეორე, ამავე მუხლების აზრით, ნოტარიუსი რომ ამაში დარწმუნდეს, ამისათვის საკმარისია მარტო სიმტკიცის და სამიჯნო აქტები და სხვა წერილობითი მტკიცებულობანი, რომლებსაც კანონი დასაშვებად თვლის ნამდვილი მფლობელობის ფაქტის დასადასტურებლად; მესამე, ნოტარიუსის მოქმედების არსი როგორც ზოგადად, ასევე კერძოდ, ამ დადასტურებისას მდგომარეობს ამ მოქმედების საცნობარო და არა სარეგისტრაციო (უფლების სასამართლო შემოწმების გაგებით) ხასიათში. ამიტომაც, არც სასამართლოს, და კერძოდ, არც ნოტარიუსს ქონებაზე დაუდასტურებელი უფლების საბაბით, არ შეუძლიათ იმსჯელონ ამა თუ იმ მხარის მიერ დადებული გირავნობის ან ყიდვა-გაყიდვის სამოქალაქო გარიგების სარგებლიანობის ან არა-

სარგებლიანობის შესახებ. სხვანაირად ეს იქნებოდა ხელყოფა სამოქალაქო გარიგების საერთო-სამართლებრივი თავისუფლების საწყისებისა, რომლის ძალითაც თითოეულს ენიჭება უფლება და შესაძლებლობა ყოველ შემთხვევაში თვითონ განსაზღვროს ესა თუ ის გარიგება რამდენად შეესაბამება მის ინტერესებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა იქნებოდა ხელისუფლების მიერ თავისი კომპეტენციის საზღვრების გადამეტება, მოქალაქეთა უფლებებში შეჭრა, რაც არ შეიძლება არა თუ მოწონებული, არამედ მოსათმენი იყოს კანონისათვის.

ამრიგად, სამართლის ნორმის შეფარდების ყველა სტადიაზე აუცილებელია კანონის ახსნა-განმარტება, რომელიც მიზნად ისახავს კანონში გადმოცემული კანონმდებლის აზრის დადგენას. სამართლის ნორმის შინაარსი შეიძლება დადგინდეს კანონის ახსნა-განმარტების როგორც ცალკეული ხერხების, ასევე ყველა ხერხის ერთობლივად გამოყენების შედეგად. ი. ჭავჭავაძე შესანიშნავად იცნობს კანონის ახსნა-განმარტების თეორიას და როგორც ზემოთ დავინახეთ, გვაძლევს მრავალი სადავო პრობლემის გადაჭრის ცდას.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მას შემდეგ, რაც სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების გზით დადგინდება კანონში გადმოცემული კანონმდებლის ნება და მთელი სისრულით ნათელი გახდება შესაფარდებლად შერჩეული სამართლის ნორმის შინაარსი, სამართლის შემფარდებელი არსებითად იხილავს სამართლებრივ ზემოქმედებას დაქვემდებარებულ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. იმ თანამდებობის პირებიდან, რომლებიც უფლებამოსილი არიან შეუფარდონ სამართლის ნორმა, ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსამართლეებს. რომლებიც განახორციელებენ მართლმსაჯულებას და საქმეების განხილვისას ხელმძღვანელობენ „განსამართლების" წესებით. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, მართლმსაჯულების განხორციელების წესები მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესოდ, ამ წესებს მხოლოდ მაშინ შეუძლიათ შეასრულონ დადებითი როლი საქმის განხილვისას, როცა ისინი მეცნიერებისა და ცივილიზაციის მიღწევებს ემყარებიან. ამ მხრივ რუსეთი ყველაზე დაწინაურებული ქვეყანაა, რომელშიც კანონმდებლობის სხვა დარგებისაგან განსხვავებით, „განსამართლების" წესი რუსეთისა უფრო მოსაწონია, ვიდრე დასაწუნი, და ამაზედ უფრო მოსაწონია მომრიგებელ მოსამართლობის დაწყობილობა, გარდა ზოგიერთის ნაკლისა, რომელიც შეჰყოლია წესს სხვადასხვა გარემოებისა გამო. ეს სიკეთე რუსეთის განსამართლების წესისა და კანონმდებელთა ღვაწლისა აღიარებულია რუსეთის უკეთესთა კაცთაგან და ევროპიელ მეცნიერთაგანაც"[1].

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ 72.

სამართლის სრული რეალიზაციისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო წარმოების წესებს, „განსამართლების წესებს“, რადგანაც ადვილი შესაძლებელია ყველაზე საუკეთესო სამართალი საზოგადოებრივ ცხოვრებაში განუხორციელებელი და უმოქმედო გახდეს, თუ არ იქნა შემუშავებული მისი რეალიზაციის მოსერხებული და მეცნიერულად გააზრებული ფორმები. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ი. ჭავჭავაძე ხალხთან ყველაზე ახლოს მყოფ სასამართლოს, კერძოდ, მომრიგებელი სასამართლოების ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპების გონივრულ დადგენას. მისი მტკიცებით, „უფრო მომეტებულ ხალხს სახელმწიფოისას იმისთანა სამართალი უჭირს, — 1. რომელიც მახლობლად უნდა იყოს ხალხზედ, ასე რომ ყველამ ყოველს ჟამს, რაც უნდა პატარა გაჭირვება ჰქონდეს, მიჰმართოს ხოლმე და დაუყოვნებლივ სწრაფად განსამართლდეს; 2. რომელსაც ისეთი მარტივი წესი წარმოებისა ჰქონდეს, რომ უცოდინარმა კაცმაც თავისი საქმე აწარმოოს; 3. რომელსაც, რამოდენადაც შესაძლოა, ფორმალობა არ უშლიდეს, რომ ნამდვილი სიმართლე აღმოაჩინოს; 4. რომელსაც წინ უნდა მიუძღოდეს ადგილობრივის ვითარების ცოდნა, ცოდნა ხალხის ზნისა, ხალხის ჩვეულებისა და ერთმანეთზედ დამოკიდებულებისა; 5. სამართალი უნდა იყოს იმისთანა კაცის ხელში, რომელსაც ხალხი იცნობს, ხალხი ენდობა და ხალხი პატივს სცემს, და რომელსაც, როგორც ადგილობრივს მოხელეს და მცხოვრებს, თითონაც გული უნდა შესტკიოდეს, რომ უწესობა, ურიგობა არ იყოს მის სახელოში; მშვიდობიანობა, უშიშროება არ იქმნას დარღვეული; ყველა დარწმუნებული იყოს, რომ დანაშაულობა, ბრალი, დაუსჯელად არ ჩაივლის, წანახედი, ზიანი უზღველად არ დარჩება“[1].

/ სამართლის ნორმას უფარდებენ და სასამართლო საქმეებს იხილავენ მოსამართლეები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებას კანონმდებლის ნების შესაბამისად, მათ საქმიანობაში ხორცს ისხამსა და ახალ სიცოცხლეს იწყებს კანონები. სახელმწიფოს და ხალხის კეთილდღეობას უნდა ისახავდეს მიზნად სასამართლო, როგორც სახელმწიფოს განსაკუთრებული დაწესებულება. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, „მოსამართლე ხელმწიფის ყურია“[2]. მაგრამ სასამართლოების საქმიანობაში ფართოდ უნდა იქნას ჩაბმული საზოგადოება, რათა სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონი არ გადაიქცეს ჩინოვნიკების სამართლად. სასამართლოების საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობის მნიშვნელოვან ფორმად ი. ჭავჭავაძეს მიაჩნია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება და ადვოკატის მიერ მხარეთა კანონიერი ინტერესების დაცვა. მისი მტკიცე-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 78—79.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 331.

ბით, ყველა სასამართლოში „საცა ბრალმდებელია, იქ მფარველიც უნდა იყოს, მარტო ამ ორკეცად გასინჯულ საქმეს მოსდევს მართალი და ჭეშმარიტი. კაცობრიობას დღეს — აქამომდე სხვა გზა არ აღმოუჩენია ჭეშმარიტის და მართლის მოსაპოვებლად“[1].

რაც შეეხება ნაფიც მსაჯულებს, სასამართლო საქმეების განხილვაში მათ მონაწილეობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ისინი ხალხის რჩეულები არიან და ახორციელებენ ერის სინდისს: „მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე. ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელის ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ გაწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზედ დაყენებული“[2].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ადვილი შესაძლებელია სახელმწიფოში არსებობდეს „განსამართლების“ შესანიშნავი წესები, კერძოდ, კანონით დადგენილი იყოს სასამართლო წარმოების ზემოაღნიშნული პრინციპები და მოთხოვნები, მაგრამ მრავალეროვან ქვეყანაში სასამართლოების მიერ საქმეების განხილვა ვერ გასცდეს ჩინოვნიკური სამართლის სფეროს. მრავალეროვან სახელმწიფოში მთელი სასამართლო აპარატი და მისი საქმიანობა უნდა ემყარებოდეს ეროვნულ საწყისებს, კერძოდ, სასამართლოების სამუშაო ენა უნდა იყოს ის ენა, რომელზეც მოცემული ქვეყნის ხალხი ლაპარაკობს: „აბა ერთი მიბრძანეთ, მოსამართლენი აქაურის ენის მცოდნენი, რომ არ იყვნენ, რომ ადვოკატებმა და ბრალმდებელმა მჭევრმეტყველების ყაბახი გამართონ სასამართლოში რუსულად, ქართველმა ნაფიცმა მსაჯულმა მარტო ბუზები მოიგერიოს, თუ რა ქნას. და თუ ნაფიც მსაჯულებს კანონად დაუდებთ რუსულის ენის ცოდნას, და თუ სახეში მივიღებთ — რომ მარტო მოხელეობამ (ჩინოვნიკობამ) იცის ჩვენში რუსული, მაშინ სამართალი ხომ მაინც ჩინოვნიკის სამართალი იქნება და არა ერისა“[3].

სასამართლო საქმეების განხილვისას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შემოწმდეს ყველა გარემოება და, რაც მთავარია, ბრალდება წაყენებული სამართალდამრღვევის მიმართ, ნათელი და დასაბუთებული უნდა იყოს. პირველყოვლისა, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმის განხილვისას სამართალდამრღვევისათვის ცხადი იყოს წაყენებული ბრალდების შინაარსი და ამასთან ერთად, ბრალდება გამაგრებული უნდა იყოს მტკიცებულებებით. შეუძლებელია პირის პასუხისგებაში მიცემა მტკიცებულებებით დასაბუთებული ბრალდების წარდგენის გარეშე. სამართალდარღვევის თაობაზე ბრალდებულს პასუხი შეიძლება მოეთხოვოს

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 91.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 338.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 134—135.

მხოლოდ ბრალმდებლის მიერ ბრალდების ნათლად ჩამოყალიბებისა და მისი სათანადო მტკიცებულებებით დასაბუთების შემდეგ. ამ უმთავრესი წესის დარღვევა ხელყოფს კანონიერებას, იწვევს ძალადობასა და თვითნებობას სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში: „პირველდაწყებითი კანონი და მოძღვრება მთელის განათლებულის თუ გაუნათლებელი კაცობრიობისა ის არის, რომ ჯერ ბრალმდებელს უნდა დაასაბუთებინოთ ბრალდება იმოდენად, რომ დასაჯერი მაინც იყოს, და მას მერმეთ, დიალ, მხოლოდ და მხოლოდ მას მერმეთ მოეკითხოს ბრალდებულს პასუხი. უამისოდ ბრალდებულთა სკამზე დასმა ადამიანის პასუხის საგებლად წაწყმედაა, მიწასთან გასწორებაა, პირქვე დამხობაა იმ საკაცობრიო სამართლისა, მართლმსაჯულებისა, რომელზედაც აშენებულია მთელი ადამიანური ურთიერთობა, მთელი ადამიანური ყოფა-ცხოვრება“[1].

სამართალდამრღვევის მიმართ წაყენებული ბრალდება უნდა იყოს კონკრეტული და თავისი შინაარსით იმდენად სანდო, დასაბუთებული და მტკიცებებით გამაგრებული, რომ შესაძლებელი იყოს მასზე ბრალდებულის მიერ პასუხის გაცემა. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ადვილი შესაძლებელია საზოგადოებაში პირის სახელის გატეხის მიზნით ბრალმდებელმა ტყუილი შეთხზას, ბრალი დადოს მას და იგი იმით დაასაბუთოს, რომ ყველაფერი ეს მიამბო რომელიღაც მესამე პირმაო და მოითხოვოს ბრალდებულისაგან, თუ ეს ტყუილია, დე ბრალდებულმა დამტკიცოს, რომ იგი შეთხზული და ტყუილია. ი. ჭავჭავაძე წერს, რომ თვითონ მე გაზეთ „მოგზაურის“ კორესპონდენტმა „სამარცხვინო საქციელები დამწამა და საბუთად ის მოიყვანა, რომ ასე მიამბო ერთს შემთხვევაში ერთმა გლეხმაო, მეორეში — მეორემაო, ზოგან თავისიც მოაპორა და ცალიერის სიტყვის მეტი სხვა არა გვანიშნა-რა. მართლა უამბო თუ არა ან ერთმა, ან მეორე გლეხმა, — ეგ მაღლა ღმერთმა იცოდეს და დაბლა თითონ ავტორის სინიდისმა. ხოლო ნუთუ მბობა ვისიმე საერთოდ და გლეხისა ცალკე საბუთია, რომ შეუმოწმებლად კაცმა კაცი გასწიროს, ზნეობითად ჯვარს აცვას, ან შამფურზე ააგოს და სირცხვილის ნაღვერდალზე შესწვას“[2]. ტყუილი თავისი ბუნებით ისეთია, რომ ყველა ტყუილის საწინააღმდეგოს დამტკიცება შეუძლებელია. შეიძლება ისეთი ტყუილი ითქვას, რომ პატიოსან კაცს მისი მხოლოდ ცარიელი უარყოფა შეეძლოს, მაგრამ დამტკიცება კი არა. მაგრამ პატიოსანი კაცის მიერ ტყუილის უარყოფა მოსამართლემ უნდა განასხვაოს აშკარა ქურდობის თაობაზე ქურდის მიერ წაყენებული ბრალდების უარყოფაზე. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბევრი ისეთი შემთხვევა გვხვდება, როცა ტყუილის საწინააღმდეგოს დამტკიცება შეუ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 272.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 275.

ძლებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამართლის ნორმის შემფარდებელმა მაინც უნდა შესძლოს პატიოსანი ადამიანისა და დამნაშავის ერთმანეთისაგან გარჩევა სხვა გარემოებების გათვალისწინების შედეგად: „განა აქ ტყუილის დამტკიცება შესაძლებელია? რით და რა გზით? სად არის გეში, სად არის საბუთი, რომ კაცმა ან ასე გახიოს, ან ისე გაფხრიწოს? აქ ცარიელ უარყოფის მეტი ხომ სხვა გზა და ღონე არ არის. რაკი დამტკიცებაზე მიდგა საქმე, უარყოფა განა დამტკიცებაა ბრალდების ტყუილისა? უარყოფა პატიოსან კაცისა და ჰაშას კვრა ქურდისა ერთმანეთისაგან როგორ უნდა გაირჩეს ამისთანა შემთხვევაში“[1]. ყველა ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ბრალდება უნდა დასაბუთდეს მტკიცებულებებით და არა შეუმოწმებელი ტყუილებით. შეუძლებელია პირის პასუხისგებაში მიცემა თუ ბრალდება არ არის დასაბუთებული, არავის არ ეპატიება ადამიანის ხელშეუხებლობის ბუნებითი უფლების დარღვევა, აშკარა თვითნებობა იქნება ვინმემ „კაცი პასუხის საგებლად მოედანზე გამოსჭიმოს, ვიდრე ბრალმდებს თავისი არ დაუსაბუთებია იმოდენად მაინც, რომ პირველ შეხედვით საბუთი — საბუთს ჰგვანდეს და არა ტყუილების გუდას“[2].

( სამართლის ნორმის შეფარდების დამამთავრებელ სტადიას წარმოადგენს სამართლის შემფარდებლის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა, მისი აღსრულება. როგორც წესი, სამართლის ნორმის შემფარდებელს გადაწყვეტილება გამოაქვს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ე. ი. საქმეს წყვეტს და სანქციებს უფარდებს მხოლოდ მოქმედი სამართლის სისტემიდან შერჩეული კანონების მიხედვით. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ჭეშმარიტი მოსამართლე ისაა, ვინც ხელმძღვანელობს პრინციპით: „საცა მართალია, იქ... სხვა არა არის-რა მართლის მეტი; არც ნათესაობა, არც მეგობრობა, არც თხოვნა-ვედრება არა სჭრის-რა, ერთხელ მის მიერ აღიარებულ მართლის მეტი“[3], ასეთ შემთხვევაში ყველა პატივს სცემს სამართალს და სჯერათ, რომ „მართალს მოსარჩლე ეყოლება და სამართლის სასწორს — მფარველი განაჩენის დადგენის დროსაო“[4]. სამართლის ნორმის შემფარდებელი საქმეს წყვეტს მოქმედ კანონზე დამყარებული საკუთარი შინაგანი რწმენის მიხედვით, მაგრამ, პირველყოვლისა, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მოსამართლეს არ შეუძლია მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ააგოს მხოლოდ ვარაუდსა და ეჭვზე, მოსამართლე მხოლოდ იურიდიული ნიშნებით განსაზღვრულ ფაქტებსა და კანონს ემყარება და მას არ შეიძლება გულთმისნობა მოვსთხოვოთ, მოსამართლეს არ შეიძლება საქმის განხილვისას დაეკისროს პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მან გულთმისნობა ვერ

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 274.
2 ი ქ ვ ე, გვ. 274—275.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 243.
4 ი ქ ვ ე.

გამოიჩინა და ეპვებს ანგარიში არ გაუწია: „კანონი ვერ იკისრებს დაჰსაჯოს კაცი, იმიტომ რომ გულთმისანი არა ხარო“[1].

ძალიან ხშირად დაბალი ინსტანციის სასამართლოებში, რომელთაც უშუალოდ დაწერილი კანონის უცოდინარ მდაბიო ხალხთან უხდება ურთიერთობა, საქმე დაუწერელი კანონებით, ადათებითაც უნდა გადაწყდეს. რადგან მშრომელი ხალხისათვის, რომელიც დაუფლებული არ არის წერა-კითხვას, უცხოა სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონები და მას ურჩევნია სასამართლომ საქმე გადასჭრას ადათებით, იმ ქცევის წესებით, რომლებითაც სარგებლობდნენ მამა-პაპანი. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ „ჯერ ეხლაც, ხალხმა დაწერილის კანონისა არა იცის-რა და სასოფლო სასამართლოში რომ მიხვიდეთ, შეიტყობთ, რომ სოფლის მსაჯულები ადათითა და ჩვეულებით ხელმძღვანელობენ საქმის გადაწყვეტის დროს“[2]. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მოქმედი კანონმდებლობაც დასაშვებად მიიჩნევს დაბალი ინსტანციის სასამართლოებში საქმე გადაწყდეს მხოლოდ ისეთი ადათებით, რომლებიც ხალხის სინდისს გამოხატავს და წინაპრებს მის მიერ დადგენილი ქცევის წესები სამართლიანად მიაჩნდათ. ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ მოსამართლეს კანონი ნებას რთავს „საქმე გადასწყვიტოს ჩვეულების ძალითაცა, ესე იგი იმ სიმართლით, რაც ხალხის სინიდისს შეეფერება, რაც ხალხს მამა-პაპით სიმართლედ უცვნია და დღესაც სიმართლედა სწამს“[3]. კანონმდებლობის ეს ჭეშმარიტი და სამართლიანი დადგენილება ფაქტობრივად საქართველოში ვერ ხორციელდება არა იმიტომ, რომ ჩვენში ჩვეულებები არ არსებობენ, ანდა ამ ჩვეულებების გამოყენება ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება, არამედ, პირიქით, საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა, რომელშიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და იხვეწებოდა ადათ-წესები და ჩვეულებები, რომლებიც მშრომელი ხალხის სინდისსა და მოთხოვნებს გამოხატავენ: „ოთხი წლის отчетები გვქონდა ხელში და არც ერთში ჩვეულების ხსენებაც არ არის. ცხადია, რომ აქ ჩვეულება არაფრად მიაჩნიათ მომრიგებელ მოსამართლობისათვის და, მაშასადამე, თითონ მაგ მოსამართლობის არსებითი თვისებაც ცნობილი არა ჰქონიათ“[4]. ამის მიზეზად ი. ჭავჭავაძეს საესებით სამართლიანად მიაჩნია საქართველოში მომრიგებელი სასამართლოების დაკომპლექტების მიუღებელი და კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკა. კანონის თანახმად, მომრიგებელი მოსამართლე ადგილობრივი ადათ-წესების, ჩვეულებების და ენის მცოდნე უნდა იყოს, მაგრამ „ჩვენში-კი ეგ აზრი პირველ დღიდანვე უარყოფილია და დღეს მომრიგებელ მოსამართლეთა

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 234.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 192.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 93.
4 ი ქ ვ ე, გვ. 97.

შორის უფროს — ერთი ჩვენთვის სრულიად უცხო კაცია, ხშირად არამცთუ ჩვენის ყოფა-ცხოვრების მცოდნე, არამედ ხალხის ენის უცოდინარიც არის, და მოდით, იმისთანა კაცს დაავალეთ, რომ ხალხის ჩვეულება ზედმიწევნით იცოდეს და საქმეში გამოიყენოს. ტყუილი დავალება იქნება"[1]. ჩვეულება არის ბუნებითი სამართლის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი, „დედაბოძი ბუნებრივის სამართლისა"[2], სახალხო სამართალი, ერის სინდისი, რომელიც მრავალეროვან ცენტრალიზებულ ქვეყანაში ადვილი შესაძლებელია თავისი მოთხოვნებით ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფორმალურ სამართალს. როცა სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფორმალურ სამართალსა და ბუნებით, სახალხო, ჩვეულებებისაგან შემდგარ სამართალს შორის წინააღმდეგობაა ან ფორმალური სამართალი ზოგჯერ არასრულად არეგულირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მაშინ აუცილებელია სამართლის ნორმის შემფარდებელმა იხელმძღვანელოს ჩვეულებებით, სახალხო სამართლით. განსაკუთრებით ეს ითქმის სამოქალაქო, ქონებრივ ურთიერთობებზე, რომლებიც თავიანთი ბუნებით იმდენად მრავალფეროვანია, რომ ძალიან ხშირად შეუძლებელი ხდება მთელი სისრულით სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლით მოწესრიგება. ასეთ შემთხვევებში წამოჭრილ დავათა გადაწყვეტისას, მოსამართლემ უნდა გამოიყენოს ჩვეულებები, ბუნებითი სამართალი, სინდისიერი სამართალი. ი. ჭავჭავაძე წერილში — „ავლაბრელების საქმე" — ცხადყოფს, რომ სამართლის ნორმის შემფარდებელმა ორგანომ, თბილისის საბჭოს გამგეობამ 1887 წლის 24 აპრილს არასწორი გადაწყვეტილება გამოიტანა, სინდისიერი სამართლის საწინააღმდეგოდ ავლაბრელთა უპრიანი მამულნი იჯარით სამ კერძო პირს, ახნაზაროვებსა და ქიშმიშოვს გადასცა. ამ წერილში ი. ჭავჭავაძე შემდეგნაირად ადგენს საქმის ფაქტობრივ მდგომარეობას: შამქორის ლაშქრობიდან დაბრუნებულ ერეკლე მეორეს არა ქართული წარმოშობის რამდენიმე კომლი დაუსახლებია ავლაბარში და სხვა ავლაბრელებთან ერთად, მათთვისაც უბოძებია ავლაბრის გარშემო მდებარე მამული სახნავ-სათესად და საძოვრად. ავლაბრის მამულები თავდაპირველად დედოფალ დარიას საკუთრება ყოფილა, ხოლო შემდეგ კი ეს მამულები გადასულა ხაზინის ხელში, რომელსაც ავლაბრელები უხდიდნენ გადასახადს. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ვიღაც შაღუბათოვს დაუწყია დავა ამ მამულების დასაპატრონებლად, საქმე მისულა სენატამდე, რომელსაც 1837 წელს ეს სადავო მამულები დაუმტკიცებია ავლაბრელებისათვის და ამ უკანასკნელთ დიდი ხარჯი გაუღიათ მამულების კეთილმოწყობისათვის. 1869 წელს ამ მამულებს ქალაქი დაპატრონებია, მაგრამ მას იჯარით კვლავ ავლაბრელები სარ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 96.
[2] იქვე.

გებლობდნენ საძოვრად და სანახირედ, რისთვისაც ქალაქის საბჭოს გამგეობას ისინი გადასახადს უხდიდნენ. 1887 წლის 16 მარტს ქალაქის საბჭოს გამგეობას ეს მამულები ავლაბრელებისათვის ჩამოურთმევია და საჯარო ვაჭრობის წესით იჯარით გადაუცია ახნაზაროვებისა და ქიშმიშოვისათვის წელიწადში ორას თუმნად. თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანს მ. მაჩაბელს, რომელსაც მიუჩნევია, რომ ქალაქის საბჭოს გამგეობა უსამართლოდ მოქცევია რამდენიმე ათეული კომლისაგან შემდგარ ავლაბრელებს, შეუტანია წინადადება, რათა გაუქმდეს საჯარო ხელშეკრულება ახნაზაროვებისა და ქიშმიშოვისათვის მამულების გადაცემის თაობაზე და იგი ისევ ავლაბრელებს დაუტოვონ იჯარით. ქალაქის საბჭომ ხმის უმნიშვნელო უმრავლესობით უარყო ხმოსან მ. მაჩაბლის სამართლიანი მოთხოვნა, მაგრამ ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ „ამით გზა არ შეეკვრის კაცს — ეძიოს, მართალი რომელს მხარეს არის"[1].

ი. ჭავჭავაძე ავლაბრელების საქმეს იკვლევს არა ფორმალური სამართლის, არამედ სახალხო სამართლის ანუ სინდისიერი სამართლის მიხედვით და მიუთითებს, რომ ავლაბრელებისა და ქალაქის საბჭოს გამგეობას შორის დავაში ბევრი ისეთი მომენტია გადასაწყვეტი, რომელზეც პასუხს ვერ მოგვცემს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფორმალური სამართალი, არამედ იგი მხოლოდ სინდისიერი სამართლით შეიძლება გადაწყვეტილი იქნას.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ როგორც საქმიდან ჩანს 332 ავლაბრელს, რომლებიც 56 კომლს შეადგენს, დაარსებული ჰქონიათ სამეურნეო საზოგადოება აღმასრულებელი მოხელეებით (ნაცვალი, გზირი), მის უმაღლეს ორგანოს კი საერთო კრება წარმოადგენდა. საზოგადოების საერთო სიმდიდრეს შეადგენდა: 758 მსხვილფეხა მუშა საქონელი, 82 ცხენი, 42 სახედარი, 80 ღორი და 7126 ცხვარი, რომელთა საძოვრად აღებული მამულებისათვის საზოგადოება ქალაქის საბჭოს უხდის წელიწადში 2420 მანეთს. 1869 წლიდან დაწყებული, მას შემდეგ, რაც ეს მამულები ქალაქის საბჭოს განკარგულებაში გადავიდა, დაიწყო ავლაბრელთა შევიწროება და „რამოდენადაც დრო გადიოდა, იმოდენად თავდაპირველი სამართლიანი მზრუნველობა ავლაბრელთა საზოგადოების მიმართ კლებულობდა და გამორჩომის სურვილი საქალაქოდ ჰმატულობდა. ბოლოსდაბოლოს გამორჩომის სურვილმა სულ გააბათილა წინანდელი აზრი ქალაქის მმართველობისა... და ავლაბრელებსაც მამულზედ ხელი დაებანინა და მთელი 332 სული გასწირა... და ავლაბრელების საზოგადოებასაც მათხოვარის გუდა-ნაბადი აჰკიდეს და იმათი სვე-ბედი, წყარო ცხოვრებისა, ორს-სამს კაცს ჩაუგდეს ხელში"[2]. ქალაქის საბჭოს გამგეობის მიერ ავლაბრელთა უფლებების უკანონოდ შეზღუდვა იმით

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 31.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 37.

დაიწყო, რომ გამგეობამ, რომელიც საბჭოს ქვემდებარე ორგანოა, უარყო საბჭოს 1879 წლის დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „თუ ავლაბრელები აიღებდნენ იჯარით ხსენებულ მამულა, მათ ფული არ უნდა გამოერთოს იჯარის ფულის საღად შემოტანის საიმედოდ, არამედ უნდა ჩამოერთვას მარტო ურთიერთობის თავდებობა"[1]. მაგრამ 1880 წელს, როცა ეს მამულები საჯარო ვაჭრობით ისევ ავლაბრელებს დარჩა, გამგეობამ თვითნებურად დაარღვია საბჭოს დადგენილება და „თავდებობის მაგიერ... ორმოცდაათი თუმანი შემოატანინა წინდრად"[2].

შემდეგშიც ავლაბრელებს მიეღიათ ზემოაღნიშნული მამულები სარგებლობის უფლებით საჯარო ვაჭრობის საფუძველზე, საიჯარო ხელშეკრულების ვადა 1886 წლის 1 იანვარს გადიოდა, მაგრამ გამგეობამ ახალი საჯარო ვაჭრობა დანიშნა 1885 წლის 30 ნოემბერს და მიუხედავად იმისა, რომ საიჯარო ვადა გასული არ იყო, გამგეობამ ვადაზე ადრე ჩამოართვა ავლაბრელებს მამულებით სარგებლობის უფლება იმ მიზეზით, რომ ავლაბრელებს საიჯარო ქირის შემოტანა დაგვიანებიათ. გამგეობის მიერ დანიშნული ახალი საჯარო ვაჭრობა ჩატარდა აშკარად ავლაბრელთა საზიანოდ და აგრეთვე, რაც მთავარია, კანონის საწინააღმდეგოდ. ჯერ იყო და საჯარო ვაჭრობაზე გამოცხადდა ი. ქიშმიშოვი, ყ. და ა. ახნაზაროვები და ცამეტი ავლაბრელი, რომლებმაც, ე. ი. 16 კაცმა განაცხადეს, რომ მათ ერთად უნდა მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში და საწინდრად წარმოადგინეს ასი თუმანი. გამგეობამ დანიშნა საჯარო ვაჭრობა, მაგრამ ყველაფერი ეს ისე მოხდა, რომ მოცილე, რაც აუცილებელია საჯარო ვაჭრობაში, აღარ ჰყოლიათ და ამ თექვსმეტ კაცს საიჯარო ქირა თვითონ განუსაზღვრავთ ორასი თუმნის რაოდენობით და მამულებიც მათ დარჩენიათ. გამგეობას კი „ეს ლოღიკისა და კანონის წინააღმდეგი ვაჭრობა ვაჭრობად შეურაცხავს"[3]. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ გამგეობის კანონსაწინააღმდეგო მოქმედება ამით არ დამთავრებულა, საიჯარო მამულები თექვსმეტმა კაცმა აიღო, მაგრამ აქედან სამმა, ახნაზაროვებმა და ქიშმიშოვმა მოილაპარაკეს, რომ თუ დანარჩენი ცამეტი თანამოიჯარადრე ვერ გადაიხდის იმ ასი თუმნის წილს, რომელიც მათ საწინდრად შეიტანეს, მაშინ საიჯარო ხელშეკრულებაც მხოლოდ მათზე უნდა გაფორმდეს. ი. ჭავჭავაძე, რომელსაც გამგეობის უყურადღებობა დანაშაულად მიაჩნია, წერს: „გაიგეთ!... ყველანი საერთოდ, საამხანაგოდ ჰვაჭრობენ, საამხანაგოდვე შემოაქვთ საწინდრავი ფული, და მათში სამი კაცი რარიგ ატრიალებს საქმესა და გამგეობაც ამაზედ ყურს იყრუებს! საჯარო ვაჭრობის წესი კი ის არის, რომ ყოველი პირობა წინათ გამოცხადებული უნდა იყოს საყოველთაოდ

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 38.
2 ი ქ ვ ე.
3 ი ქ ვ ე, გვ. 40.

რომელისამე თქმითა. აქ სულ უეცარი პირობა იყო შეწყნარებული, მერე ვისი? გამგეობისა? საბჭოსი? არა: ახნაზაროვებისა და ქიშმიშოვისა. ამ სახით გამოდის, რომ საქალაქო საჯარო ვაჭრობის პირობების მდებელი საბჭო და გამგეობა კი არა ყოფილა, არამედ ახნაზაროვები და ქიშმიშოვი"[1].

ქალაქის საბჭოს გამგეობის უკანონო მოქმედება მშრომელი ავლაბრელი ხალხის საზიანოდ ამით არ დამთავრებულა. წარსული წლების საჯარო ქირიდან ავლაბრელებს გადასახდელი ჰქონდათ 370 მანეთი, რაც ახალმა მოჯარადრეებმა, კერძოდ, ახნაზაროვებმა და ქიშმიშოვმა შეიტანეს საქალაქო ხაზინაში. სამაგიეროდ, საჯარო ხელშეკრულების დარღვევისათვის 50 თუმანი, რომელიც ავლაბრელებს უნდა გადაეხადათ. გამგეობამ საგანგებო რწმუნებით ქიშმიშოვს მიანდო, რომ აიღოს ავლაბრელებისაგან. ამ 50 თუმნიდან ქიშმიშოვს დაეკისრა 129 მანეთი და 75 კაპიკი მისცეს გამგეობას, ხოლო დანარჩენი თანხა ქიშმიშოვმა მიიღოს იმ 370 მანეთის სანაცვლოდ, რომელიც იჯარადრეებმა შეიტანეს ავლაბრელების მაგიერ. ი. ჭავჭავაძე გმობს ქალაქის საბჭოს გამგეობის ამ გადაწყვეტილებას, რომელიც ავლაბრელების საზიანოა და წერს: „როგორ მოგწონთ განკარგულება! საქალაქო მმართველობას, რომელსაც წლიური ჯამაგირით თავისი საკუთარი ვექილი ჰყავს, აუღია და თავისი სადავო საქმე გადაუცია გარეშე კაცისათვის, მერე ვისთვის? იჯარადრისათვის, რომელიც უამისოდ მეხსა და სეტყვასავით თავზე უნდა დასცემოდა ავლაბრელებს, რადგანაც მათი უპრიანი მამული და ერთადერთი სახსარი ცხოვრებისა იმავ კაცის ხელში ჩააგდო გამგეობამ. დიაღ. გულმტკივნეულმა გამგეობამ, ტფილელთა მკვიდრთა კეთილდღეობის მონაღვლემა და მზრუნველმა, ერთი მიზეზი 332 სულის დაწიოკებისა კიდევ ხელთ მისცა გარეშე კაცსა!.. მოდით და ამის იქით სთქვით, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობა არა ჰზრუნავს და არა ჰნაღვლობს მკვიდრთა სიკეთისათვის!.."[2]

გამგეობის ამ უკანონო მოქმედებათა თაობაზე ქალაქის საბჭომ 1887 წლის 16 მარტს განიხილა ავლაბრის საზოგადოების საჩივარი. ავლაბრელები უჩიოდნენ გამგეობას იმის თაობაზე, რომ მან მამულები იჯარით კერძო პირებს მისცა, ხოლო მთელი საზოგადოება, რომელიც უძველესი დროიდან ამ მიწებით სარგებლობდნენ, უმამულოდ დატოვა. ქალაქის საბჭომ მოისმინა გამგეობის პასუხები ავლაბრელთა საჩივარზე. გამგეობამ განაცხადა, რომ იგი ავლაბრელთა არავითარ საზოგადოებას არ ცნობს, რადგან ასეთი იურიდიული პირი მისთვის სრულიად უცნობია. გარდა ამისა, ავლაბრელებმა თავის დროზე არ შემოიტანეს საჯარო ქირა, ხოლო ახალმა მოჯარადრეებმა (ახნაზაროვები და ქიშმიშო-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 40.
2 ი ქ ვ ე, გვ. 41.

ვი) გადაიხადეს ის ქირაც, რაც აელაბრელებს არ ჰქონდათ გადახდილი. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საბჭოზე კამათში ნათლად გაირკვა, რომ აელაბრელების მხრივ საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანება გამოწვეული იყო თვით გამგეობის მიზეზით. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთ ახალ მოიჯარადრეს, სახელდობრ ახნაზაროვს თავისი პირუტყვი უძოვებია აელაბრელთა საიჯარო მამულში, მაგრამ ქალაქის გამგეობას თავისი განკარგულებით გაუნთავისუფლებია ახნაზაროვი 60 თუმნის აელაბრელთა სასარგებლოდ გადახდისაგან და ამის გამო, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, ცხადია, აელაბრელები თავის დროზე ვერ გადაუხდიდნენ გამგეობას საიჯარო ქირას. ასევე დაუსაბუთებელი იყო გამგეობის მტკიცება, თითქოს აელაბრელთა საზოგადოება მოქალაქეთა უბრალო კრებულია, რადგან მასში სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის (ვაჭარი, მოხელე, დალაქი და ა. შ.) ხალხია გაერთიანებული.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საბჭოს სხდომაზე კამათმა ცხადყო, რომ სიმართლე აელაბრელთა მხარეზე იყო და საკვირველი ისაა, რომ ქალაქის საბჭოს ვერც ერთმა ხმოსანმა აელაბრელთა მოთხოვნის საწინააღმდეგო ვერ დაამტკიცა, ყველამ სიტყვით ერთხმად აღიარა მათი სიმართლე, მაგრამ აელაბრელთა სასარგებლოდ მ. მაჩაბლის წინადადება საბჭოზე არ იქნა მიღებული. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს: „ჩვენა გვგონია, რომ ამისთანას ამბავს სხვა მეორე მაგალითი არ მოეპოვება მთელს ისტორიაში. არ ვიცით, გაუგონია ვისმე, რომ კრებული სწყვეტდეს რომელსამე საქმეს, არც ერთს კაცს კრებულისას წინადადების წინააღმდეგობა არ გამოეცხადებინოს, პირიქით, ვისაც კი ელაპარაკნოს, სულ წინადადების სასარგებლოდ, და წინადადება კი მაინც გაუქმებულიყოს და უარყოფილიყოს!“[1].

აფასებს რა აელაბრელების წინააღმდეგ გამგეობის მიერ წამოყენებულ საბუთებს, ი. ჭავჭავაძე ცხადყოფს, რომ ყველა ზემოაღნიშნული საბუთი უსაფუძვლოა, კერძოდ: პირველი, აელაბრელთა სამეურნეო საზოგადოების არსებობა ფაქტია, მისი უარყოფა შეუძლებელია ამ საზოგადოების შემადგენლობის სოციალური მდგომარეობით, საზოგადოების არსებობის უარსაყოფად არ გამოდგება მისი წევრი დალაქია თუ ყასაბი; მეორე, ქალაქის გამგეობისა და საბჭოს უმთავრესი დანიშნულებაა ქალაქის მკვიდრთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მაგრამ ქალაქის მმართველობის მესვეურებმა 332 სულისაგან შემდგარ საზოგადოებაზე მაღლა 3 კაცის, კერძოდ, ახნაზაროვებისა და ქიშმიშოვის ინტერესები დააყენეს, მაშინ, როცა ორივენი ერთი და იგივე პირობითა და ფასით მოითხოვდნენ მამულების იჯარით აღებას. ეს მამულები ქალაქის საბჭოს გამოანგარიშებით 4.500 მანეთ შემოსავალს იძლევა ყოველწლიუ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 46.

რად. საჯარო ქირა ორასი თუმანია. ე. ი. მოიჯარადრეები 250 თუმანს იგებენ. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ განა ქალაქის საბჭოსათვის უფრო სასახელო არ უნდა ყოფილიყო, რომ ეს მოგება 332 სულისაგან შემდგარ ავლაბრელთა საზოგადოებას შეხვედროდა და იგი მარტო სამი კაცის კერძი არ გამხდარიყო. მხოლოდ ეს გარემოება საკმარისი იყო, რომ საქმე ავლაბრელთა სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. ამრიგად, ასკვნის ი. ჭავჭავაძე. ფორმალური სამართალი დარღვეული იქნა, მეტიც, სინდისიერი სამართლის მიხედვითაც მამულები ავლაბრელებს უნდა დარჩენოდათ. ქალაქის საბჭოს ამ დადგენილებაზე „მარტო ეს ითქმის, რომ არსებითად, თუ სინდისიერ სიმართლით, თუ ეკონომიკურის მხრით, თუ მკვიდრთა რიცხვის მიხედვით ქალაქის საბჭოს ეგ ახნაზაროვების და ქიშმიშოვის იჯარა უნდა გაეუქმებინა... და პირიქით კი ყოველივე რიგი და წესი, ჩვენის ფიქრით, დარღვეულ იქმნა, რომ ეგ იჯარა ახნაზაროვებს და ქიშმიშოვს შერჩენოდა. ფორმა, წესი და რიგი დაირღვას იმისათვის, რომ არსებითად მართალმა საქმემ თავი არ გაიტანოს, ეგ იშვიათი ამბავია იმ სამმართველოსათვის, რომელიც საზოგადოების არჩევანით მოწოდებულია საზოგადო საქმეთა გასაძღოლად, ქალაქის მკვიდრთა საფარველად, მეოხედ და საკეთილდღეოდ“[1].

(სამართლის ნორმის შეფარდება მთავრდება სამართლის ნორმის შემფარდებელი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების აღსრულებით. სახელმწიფოს მიერ სამართალში გადმოცემული ბრძანებების საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალიზაცია, მათი მოთხოვნილების მიხედვით საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, მხოლოდ მას შემდეგ იწყება, როცა სამართალშეფარდებით ორგანოებს სამართლის ნორმისადმი კონკრეტული შემთხვევის მისადაგების შემდეგ გამოაქვს დასკვნა გადაწყვეტილების, განაჩენის ფორმით.) სამართალშეფარდებითი ორგანოების გადაწყვეტილებანი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სიმართლეს, მაგრამ სიმართლე ზოგჯერ უმრავლესობის შეხედულებებია, ზოგჯერ კი უმცირესობაც შეიძლება იყოს მართალი და უმრავლესობა ცდებოდეს, ამიტომაც სამართალშეფარდებითი ორგანოების გადაწყვეტილებებში ის, რაც მათ სიმართლედ მიაჩნია და რის მიხედვითაც გადასწყვიტა საქმე, დასაბუთებული უნდა იქნას, სხვანაირად რომ ვთქვათ, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სამართალშეფარდებითი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ძალა და სამართლიანობა მათ დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობაში მდგომარეობს. არც ერთ სასამართლოს არ შეუძლია განაჩენი გამოიტანოს დაუსაბუთებლად, სათანადო საბუთების შეგროვებისა და გაანალიზების გარეშე, სასამართლო ყველა „შემთხვევაში თავისს უტყუარს განაჩენს დასდებს,

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 52.

როცა საამისოდ საკმაო საბუთი ხელთ მოუგროვდება"[1]. სამართალშემფარდებლის ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს, არასწორია. ეხება რა თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ სანოტარო დებულების 168 მუხლის შეფარდებას, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილ „დასკვნას არა აქვს არავითარი კანონიერი საფუძველი და ამიტომ იგი არასწორია"[2]. სასამართლოების მიერ გამოტანილი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები კანონის სულის საწინააღმდეგო სამართლებრივი დოკუმენტებია და ისინი, როგორც იურიდიული აქტები საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ახდენენ კანონმდებლის ნების საწინააღმდეგო ზემოქმედებას. ამის მაგალითად, ი. ჭავჭავაძე ასახელებს მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით სახასო გლეხების მამულების გაყიდვის შემთხვევებს. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ სახასო გლეხთა ვენახები მომრიგებელმა მოსამართლეებმა ვაჭრობის საგნად აქციეს და დაიწყეს ზვრების გლეხთა ვალებში გაყიდვა. სახელმწიფოს ზოგადი კანონების მიხედვით, რომლებიც საქართველოზეც ვრცელდება, მომრიგებელ მოსამართლეთა ამგვარი მოქმედება სამართალსაწინააღმდეგოა. საქმე ისაა, რომ კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფო მიწებზე გაშენებული ვენახების გაყიდვა შეიძლება გლეხის ნების ან მისი ნება-სურვილის გარეშე, თუ მყიდველი, ჯერ ერთი, თვითონ სახელმწიფო გლეხია და ამასთან ერთად, იმ სოფლიდან ან საზოგადოებიდანაა, რომელსაც თვითონ ვენახის პატრონი ეკუთვნის. მაგრამ კანონის ეს მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა მდიდარ ვაჭართა მისწრაფებებს, რომლებიც მიმართული იყო ვენახების ხელში ჩაგდებისაკენ. მომრიგებელმა მოსამართლეებმა მდიდარ ვაჭართა ინტერესების სასარგებლოდ კანონის გასამრუდებლად სასაცილო ხერხი გამოიყენეს, კერძოდ, მათ მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში შესაძლოდაა მიჩნეული სახასო გლეხების ვენახების გაყიდვა ისე, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე არ გახდეს მყიდველი, არამედ ამ უკანასკნელმა დაისაკუთროს მხოლოდ ვაზი და ყოველივე ის, რაც არის მიწის ნაკვეთზე. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მომრიგებელი მოსამართლეების ეს გადაწყვეტილებანი დაუსაბუთებელი და უსამართლოა, რადგან ვენახი არ არსებობს ვაზისა და მიწის ერთობლიობის გარეშე. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს: „ნეტა ვიცოდეთ: როგორ გაუძღვებოდა სამართალი, რომ ეხლა კაცმა უთხრას ამ ვენახების მსყიდველებს: თქვენ, თქვენის ნასყიდობის სიგელის ძალით, გიყიდნიათ მარტო ვაზები ვენახისა და მიწა-კი არა; მაშ ამოთხარეთ თქვენი ვაზები და საიდამაც მოსულხართ, იქ წაბრძანდითო, მიწასთან ხელი არა გაქვთო? მეტად საყუ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 67.

[2] И. Ч а в ч а в а д з е, 168 статья нотариального положения и применение ее Тифлисским окружным судом (газ. «Кавказ», 1875, № 55).

რადღებო საქმე იქმნებოდა, რომ ერთმა ვინმემ, ან თვითონ სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ, მოიწადინოს ამ გზით წამოაყენოს ეს დავიწყებული საქმე და ხერხით გამრუდებული კანონი სამართალს გაასწორებინოს"[1].

სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებს, განაჩენებს, კანონის ძალა აქვს, ანუ სხვანაირად, მათი აღსრულება სავალდებულოა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ყველა სასამართლოს ან სხვა სამართალშეფარდებითი ორგანოს გადაწყვეტილება ან განაჩენი უნდა აღსრულდეს ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში არ მოხდეს მისი ვეშმარიტების შემოწმება ზემდგომი ინსტანციის სამართალშეფარდებითი ორგანოს მიერ. მოქმედი კანონმდებლობა მხარეებს უნდა აძლევდეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას ამ გადაწყვეტილებათა სისწორის შესამოწმებლად. ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს რა თვითმმართველობის წესდებას, მიუთითებს, რომ იგი უგულებელყოფს გლეხკაცობასა და მის ინტერესებს. კერძოდ, სოფლის სასამართლოს კომპეტენციაში შედის დავის განხილვა ისეთ საქმეებზე, რომელთა ღირებულება არ აღემატება ათ თუმანს, მაგრამ „ამ საზღვრამდე იგი ყოველს საქმეს საბოლოოდ სწყვეტს, ასე რომ უკმაყოფილო გლეხს ნება არა აქვს სადმე საჩივარი შეიტანოს სოფლის სასამართლოს გადაწყვეტილებაზედ. ეს მეტად მძიმე რამ არის გლეხკაცისათვის. ხშირად გლეხკაცს სულ ერთიანად მოუშლის ხოლმე ბინას, არამც თუ ათის თუმნის ზღვევინება, არამედ ნაკლებისაც, და რატომ არ უნდა ჰქონდეს ნება, რომ გადაწყვეტილება, რომელიც უმართლოდ მიაჩნია და რომელსაც ამოდენი ვნება შეუძლიან მიაყენოს, ხელ-ახლად გაასინჯოს უმაღლესს მოსამართლეს? ამას არა წოდების კაცი მოკლებული არ არის, გლეხის მეტი"[2].

ი. ჭავჭავაძის აზრით, კანონმდებლობაში ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები და განაჩენები რომელია საბოლოო და რომელი ექვემდებარება ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებას. კრიტიკებს რა სათემო სასამართლოს პროექტს, ი. ჭავჭავაძე ერთმანეთისაგან ანსხვავებს სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის საქმეებს. მისი მტკიცებით, სისხლის სამართლის საქმეების გარდა, ყველა საქმეზე, რომელზეც დავა არ აღემატება ხუთ მანეთს, სათემო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო უნდა იყოს და იგი ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასამართლებას არ უნდა ექვემდებარებოდეს. მაგრამ, რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, განურჩევლად მათი ხასიათისა, სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები „არა-კმაყოფილთაგან ყოველ შემთხვევაში გადა-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 230.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 69.

ტანილ უნდა იქმნას უმაღლესს სასამართლოში, იმიტომ, რომ ამისთანა-ებში ადამიანის ღირსებას ზნეობითად ჩირქიც ეცხება, გარდა იმისა, რომ ხორცეულად ისჯება. რადგანაც ღირსება და პატივი ადამიანისათვის ძვირფასი რამ არის, კანონი უნდა ფრთხილობდეს უმართლო განაჩენმა არავის შეუბღალოს ადამიანური ღირსება და ადამიანური პატივი განზრახ თუ განუზრახველად"[1].

ი. ჭავჭავაძე მართლმსაჯულების აუცილებელ მოვალეობად მიიჩნევს უკანონო განაჩენების, გადასინჯვას და უდანაშაულოდ დასჯილ პირთა განთავისუფლებას. ეხება რა საფრანგეთის რეაქციულ-მილიტარისტული წრეების მიერ შეთხზულ დრეიფუსის საქმეს და მის თაობაზე სასამართლოს მიერ გამოტანილ უკანონო განაჩენს, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „თუ უდანაშაულოდ დასჯილია დრეიფუსი, ამის გამო ხელახლად გადასინჯვა მისის საქმისა მართლმსაჯულების მოვალეობაა"[2]. დრეიფუსის საქმის გამო საფრანგეთის საზოგადოების გაცხოველებული ინტერესი, მართლმსაჯულების ორგანოებს აიძულებს ყველა საშუალება გამოიყენოს ჭეშმარიტების დასადგენად. მართლმსაჯულების საჯარობა, საზოგადოების მონაწილეობა სამართალშეფარდებითი ორგანოების საქმიანობაში, კანონიერების განმტკიცების გარანტიაა, რადგან ცნობილია, რომ „საჯარო კრებაზედ ყოველთვის ძნელია სამართლის გამრუდება"[3].

სამართლის რეალიზაცია ნიშნავს კანონმდებლის მიერ კანონებში ხალხისათვის აღთქმული სიკეთის განხორციელებას, სახელმწიფო თავისი ხელისუფლებით ზრუნავს იმისათვის, რომ მთელი საზოგადოებისა და მისი ცალკეული წევრის საკეთილდღეოდ სამართლის ყველა სუბიექტისათვის მინიჭებული უფლებები და მოვალეობები განუხრელად სრულდებოდეს. მაგრამ ყველა სოციალური ფენომენისაგან განსხვავებით, სამართალი იმით ხასიათდება, რომ სამართალში კანონმდებლის მიერ ხალხისათვის აღთქმული სიკეთის რეალიზაცია უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებით, სამართლის ნორმების შეუსრულებლობა ან მათი დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას.

## § 5. სამართალი და პასუხისმგებლობა

ი. ჭავჭავაძის შეხედულებები სამართალდარღვევასა და მისგან წარმომდგარ იურიდიულ პასუხისმგებლობაზე მთლიანად ეთიკურ საფუძვლებს ემყარება, კერძოდ, როგორც განმანათლებელი და ჰუმანისტი, იგი სამართალდარღვევას, როგორც მადლისაგან განსხვავებულ და დაპირისპირებულ ცოდვას უკავშირებს მხოლოდ სათნოებას და ამ უკა-

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 222.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 9, გვ. 167.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 197.

ნასკნელის საწინააღმდეგო ფენომენად აცხადებს. სიკეთე (მადლი) და ბოროტება (ცოდვა), ორი ურთიერთდაპირისპირებული სოციალური მოვლენა, დამოუკიდებელ სახეს ღებულობს სათნოებასთან ურთიერთობაში. კერძოდ, სიკეთე (მადლი) სათნოების ზეიმია, ბოროტება (ცოდვა) სათნოების უარყოფაა ანუ სხვანაირად, ცოდვის სფერო სათნოების საწინააღმდეგო და მასთან დაპირისპირებული ქცევებისაგან შედგება, მადლი კი — მხოლოდ სათნოებითი ქცევებია. სიკეთე (მადლი) და ბოროტება (ცოდვა) ყველა სუბიექტის სახელთან არაა დაკავშირებული, არამედ, მათი არსებობა მხოლოდ ადამიანის მოქმედებაში იჩენს თავს. სიკეთეც და ბოროტებაც დაკარგავდა თავის მნიშვნელობას ადამიანებს რომ არ ახასიათებდეს მოვლენათა შეფასების უნარი, სიტყვისა და საქმის ჭეშმარიტი ბუნების კრიტიკული აღქმის შესაძლებლობანი. ერთი სიტყვით, ბუნებასა და საზოგადოებაში ადამიანის გარდა, არც ერთ სხვა არსებას არ შეუძლია მოვლენებს მისცეს ბოროტებისა და სიკეთის შეფასება: „ვიდრე ქვეყანაზე კაცია, ბოროტიც არის, და ბოროტი ესრეთ იმითია მარტო სულდგმული, რომ თქმა ერთი აქვს და ქმნა სხვა“[1].

ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია საზოგადოების გარეშე, იზოლირებული ადამიანი მოკლებულია ადამიანურობის თვისებებს, მხოლოდ ადამიანთა ერთად ცხოვრება, რომელიც საზოგადოების არსებობის უმთავრესი ფორმაა, ავლენს ადამიანის ყველა ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს. ბოროტება (ცოდვა) და სიკეთე (მადლი) ადამიანთა არსებობასთან არის დაკავშირებული, მაგრამ საზოგადოება ადამიანისაგან, როგორც მისი შემადგენელი წევრისაგან, მოითხოვს მთელი საზოგადოების არსებობის ინტერესთა შესაბამისად განსაზღვრულ ქცევებს. ი. ჭავჭავაძე წერს: „რამდენადაც თვითეული ადამიანი მონაწილეა საზოგადოების საქმეებისა, რამოდენად იგი ავად თუ კარგად, მოქმედი და მოღვაწეა ამგვარს შინაობაში, იმოდენად იგი განსასჯელია და განსაკითხავი საყოველთაოდ და საქვეყნოდ“[2]. მაგრამ ი. ჭავჭავაძის განსაკუთრებული ინტერესის საგანს შეადგენს საკითხი იმის შესახებ თუ რა უნდა იყოს ადამიანთა, როგორც საზოგადოების წევრთა განკითხვის კრიტერიუმი, ანუ რის მიხედვით უნდა შეფასდეს ადამიანთა მოქმედებანი.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, ურთიერთობა უხდება არა მარტო მთელ საზოგადოებასთან, არამედ ცალკეულ ინდივიდებთან, თავის საკუთარ თანაწევრებთან, ამიტომაც ადამიანის მოქმედებათა შეფასების სფერო შედარებით ფართოა.

ჭავჭავაძის აზრით, ადამიანთა საქმიანობის, მისი გარე სამყაროსთან დამოკიდებულების სფერო თავისი ხასიათის მიხედვით არაა ერთნაირი.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 265.
[2] იქვე, გვ. 245.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ჯერ ერთი, ადამიანის საქმიანობა განსჯილი უნდა იქნას საზოგადოების ინტერესების მიხედვით. გარდა ამისა, რადგანაც ადამიანებს ურთიერთობა უხდება თავის თანაწევრებთან, მათი მოქმედების ეს ნაწილიც განკითხვას ექვემდებარება: „რა თქმა უნდა, რომ ყოველივე დანაშაული კაცისა წინაშე კაცთა და საზოგადოებისა დასჯილ უნდა იქმნას"[1]. მაგრამ ყველაფერი ის, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ზემოაღნიშნულ სფეროებს გარეთ მდებარეობს, ადამიანის პირად ცხოვრებას განეკუთვნება. ამ სფეროს ფარგლებში ადამიანს თავისუფალი მოქმედების უფლებამოსილება გააჩნია და იგი განსჯას არ ექვემდებარება.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ადამიანთა მოქმედების შეფასება, განსჯა, განკითხვა. იმისდა მიხედვით თუ როგორია ამ მოქმედებების ბუნება, შეიძლება მოხდეს სხვადასხვა სოციალური ნორმებით (ადათი, მორალი, სამართალი და ა. შ.), მაგრამ ყველა შემთხვევაში ადამიანთა მოქმედების შეფასება აუცილებელია მხოლოდ მის შემდეგ, როცა კონკრეტული მოქმედების ფაქტობრივი შემადგენლობა დადგენილი და შესწავლილია: „ყველა გონიერი და პატიოსანი კაცი დამეთანხმება, რომ ვარაუდით განკითხვა ადამიანის სინდისისა და ჩირქის მოცხობა დიდი უკადრისობაა და, კიდევ ვიტყვით, ადამიანის პიროვნების უფლების სრული უარყოფაა. ეს არ უნდა ეპატიოს არავის, ვინც კი ამაში დამნაშავედ აღმოჩნდება"[2].

ი. ჭავჭავაძის მოსაზრებით საზოგადოებრივი ცხოვრების სიმტკიცისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანთა მოქმედებების შეფასება სამართლის ნორმებით, რადგანაც სამართლის ზემოქმედება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე დაკავშირებულია პასუხისმგებლობასთან. თავის ნაშრომში — „სამართალი და ზღვევა" — ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სამართლის მიხედვით საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებით ანუ ადამიანთა მოქმედებების განსჯითა და განკითხვით ყოველგვარი ხელყოფისაგან დაცულია „ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სოცოცხლე. ჩვენი სული და ხორცი, ერთი სიტყვით ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა"[3].

საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სამართლის ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება, რომლის თავისებურებათა გასარკვევად ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ სწავლობს დანაშაულისა და სასჯელის ზოგად თეორიულ პრობლემებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე დანაშაულის ცნების ში-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 337.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, გვ. 169.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 338.

ნაარსის განსაზღვრას უკავშირებს სათნოებას. ყველა ადამიანის მოქმედების შეფასების საერთო მასშტაბი არის სათნოება, რადგან ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობაში უნდა ხელმძღვანელობდნენ იმ ზოგადი სიკეთის მოთხოვნებით, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში საყოველთაო ბედნიერების წყარო და საფუძველია. სათნოების მოთხოვნები, რომლებიც ადამიანთა მოქმედებების შეფასების მასშტაბია, თავისი შინაარსით ერთგვაროვანი არ არის. ი. ჭავჭავაძე ერთმანეთისაგან ასხვავებს სათნოების მინიმუმს და სათნოების მაქსიმუმს, რომელთა მოთხოვნები მთლიანად განსაზღვრავს ადამიანთა ნორმალურ ცხოვრებას და ისინი მართალია სხვადასხვა ხარისხით, მაგრამ თავიანთი ბუნებითა და ხასიათით საერთოდ საზოგადოების ბედნიერ ცხოვრებას უზრუნველყოფენ. საზოგადოებრივი ცხოვრების ბედნიერებასთან სათნოების მინიმუმისა და მაქსიმუმის დამოკიდებულება ერთნაირი არ არის: სათნოების მინიმუმი მხოლოდ ის სიკეთეა, რომელიც აუცილებელია ადამიანთა საზოგადოებრივ კავშირად არსებობისათვის: „კაცთა საზოგადოება თავისის სიმკვიდრისა, შეურყეველობისა და არსებობისათვის ყოველ ცალკე ადამიანისაგან ითხოვს იმოდენა სათნოებას, რომ ნაკლები შეუძლებელიღაა კაცთა კრებულად ცხოვრებისათვის... ამ სახით კაცთა საზოგადოება, მოქალაქური ერთმანეთობა და ყოფა-ცხოვრება ჰკმარობს მარტო minimum-ს სათნოებისას"[1]. სათნოების მინიმუმით გათვალისწინებული სიკეთე ადამიანებისაგან მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრების არსებობის, სიმტკიცისა და ერთიანობისათვის აუცილებელ, მინიმალურ ოდენობას სათნოებისა, რომლის არ არსებობის შემთხვევაში ორგანიზებული საზოგადოების სახით ჩამოყალიბებულ კაცობრიობას აღსასრული ემუქრება. სათნოების მინიმუმისათვის აუცილებელი სიკეთე ადამიანებისაგან მოითხოვს განსაზღვრული ოდენობის სამართლიანობის გრძნობას, დაკისრებული მოვალეობის გულმოდგინედ და ერთგულად შესრულების უნარს, მოყვასისადმი თანაგრძნობასა და თანაზიარობას, საზოგადოებისათვის საჭირო საყოველთაო ტვირთის ზიდვისათვის მზადყოფნას და ა. შ.

საზოგადოებრივ კავშირად ადამიანთა არსებობას უზრუნველყოფს სათანადო მინიმუმი, როგორც ადამიანთა ბუნების, მისი მოღვაწეობის მასშტაბი, მაგრამ ი. ჭავჭავაძის ინტერესის საგანს შეადგენს ისიც, თუ რა შეფასებას იმსახურებს მინიმუმს ზეაცილებული და გადამეტებული სათნოების მქონე ადამიანთა მოღვაწეობა, ანუ სხვანაირად, სათნოების მინიმუმის მქონე საზოგადოების წევრებისაგან რით განსხვავდებიან ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელმძღვანელობენ სათნოების მაქსიმუმით. ამ საკითხზე სწორი პასუხი ი. ჭავჭავაძეს

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 224.

დაკავშირებული აქვს ისეთ სოციალურ ფენომენთან, როგორიც არის საზოგადოებრივი მოვალეობა. მისი მტკიცებით, სათნოების მინიმუმი საზოგადოების არსებობის საფუძველია, და ამდენად სათნოების მინიმუმის მოთხოვნებით ხელმძღვანელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა ადამიანის მოვალეობაა, რომელიც ადამიანებისაგან მოითხოვს ბოროტმოქმედებისა და ცოდვის ჩადენისაგან თავის შეკავებას.

რაც შეეხება ადამიანების მიერ სათნოების მაქსიმუმით ხელმძღვანელობას, იგი რა თქმა უნდა, საზოგადოებას აკეთილშობილებს და იდეალური წესრიგის შექმნის აუცილებელი პირობაა, მაგრამ მისი მოთხოვნებით ხელმძღვანელობა არ წარმოადგენს ადამიანთა მოვალეობას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფიზიკური და ინტელექტუალური სრულყოფის მიხედვით. ამიტომაც სათნოების მინიმუმთან „არ დაცილებას ითხოვს კაცისაგან საზოგადოება, ვითარცა მოვალეობას, და ზე-აცილებას კი თვითეულის ნებაზედ სტოვებს. იმიტომ რომ ყოველს კაცს სრული ნება აქვს, და შეუბღალველი ნებაც, ეს minimum-ი სათნოებისა იქონიოს და არა მეტი. ამ ხაზზედ ზე-აცილება, ესე იგი ამ ნაკლების სათნოების წარმატება, განდიდება, გაძლიერება, — მოვალეობა აღარ არის კაცისა: იგი ღვაწლია, გადამეტებული სამსახურია, მსხვერპლია, გმირობაა. ამ ღვაწლისათვის, ამ მსხვერპლისა და სამსახურისათვის მრავლის-მრავალი კაცი ულონოა"[1].

ის, ვინც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სათნოების მინიმუმით, მართალია, არ ჩადის ბოროტმოქმედებასა და ცოდვებს, მაგრამ მისი მოღვაწეობა შინაარსითა და ხარისხით არ შეირაცხება მადლად: „ბოროტის უქმნელობა კი არ იზიდავს, კი არ გამსჭვალავს ადამიანის გულს, არამედ ქმნა მადლისა. მარტო მადლის-მყოფელის წინაშე ადამიანი უნებლიეთ იხრის თავს, იყრის მუხლსა და განცვიფრებული მეტყველებს სიტყვით თუ უსიტყვოდ ქებასა და დიდებასა. ეგ იმიტომ, რომ ჭეშმარიტი კაცობა არ-ქონა ცოდვისა კი არ არის, არამედ ქონაა მადლისა"[2]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სათნოების მაქსიმუმით ხელმძღვანელობის შესაძლებლობა მხოლოდ გამოჩენილ, დიდბუნებოვან ადამიანებს შეუძლიათ, ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასრულებენ არა მარტო მოვალეობას, რაც სათნოების მინიმუმით არის განსაზღვრული, არამედ იღვწიან მადლის ქმნისათვის, ე. ი. თავისი საკუთარი ბედნიერება ვერ წარმოუდგენიათ სხვისი ბედნიერების გარეშე და მოყვასთა ბედნიერება საკუთარ ბედნიერებასთან აქვთ გაერთიანებული, მაგრამ „ეს ისეთი მძიმე და ეკლიანი გზაა, რომ თვითეული ბიჯი ღვაწლია და მსხვერ-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 225.
2 ი ქ ვ ე.

პლ. და რადგანაც ღვაწლია, რადგანაც მსხვერპლია, ამიტომაც მადლია, და რადგანაც მადლია, ამიტომაც გულთა მიმზიდველია, გამმსჭვალავია გაოცებამდე, გაკვირვებამდე. ამისთანა კაცი მზესა ჰგავს, რომელსაც პრმაც-კი ჰგრძნობს, თუმცა არა ჰხედავს"[1].

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის აზრით, სათნოების მინიმუმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება თითოეული ადამიანის მოვალეობაა, რაც შეეხება სათნოების მაქსიმუმს, მისი მოთხოვნებით ხელმძღვანელობა ყველას არ შეუძლია, მას „დიდი ღონე უნდა სულისა, დიდი შეძლება გულისა". სათნოების მაქსიმუმი დიდბუნებოვანი ადამიანების ხვედრია.

სათნოების ზემოაღნიშნული გაგება საფუძვლად უდევს ი. ჭავჭავაძის შეხედულებას დანაშაულზე. ი. ჭავჭავაძის აზრით, სათნოების მინიმუმისა და მაქსიმუმის მოთხოვნებით ხელმძღვანელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანთა საქმიანობის პოზიტიურად შეფასების საფუძველია. ადამიანთა მოქმედება, რომელიც არ სცილდება სათნოების მინიმუმისა და მაქსიმუმის საზღვრებს, წარმოადგენს მისაბაძს, დადებითს და იგი არ იმსახურებს გაკიცხვას. მაგრამ რაც შეეხება ადამიანთა მოქმედებას, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სათნოების მინიმუმს და მის დონემდე ვერ აღწევს, იგი თავისი ბუნებით ნეგატიურია, რადგანაც ამ შემთხვევაში ადამიანი არ ასრულებს საზოგადოების მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ამდენად იგი დასასჯადი მოქმედებაა, ვითარცა დანაშაული[2]. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სათნოების „minimum-ზედ, ამ ხაზზედ დგომა ყველასათვის სავალდებულოა. ხოლო შესაძლოა ადამიანი ამ ხაზს ძირსაც დასცილდეს და ზე ასცილდეს კიდეც. დამცირებული სცოდავს საზოგადოებას და ისჯება საზოგადოებისაგანვე, რადგანაც ამ შემთხვევაში დაცილება დანაშაულობაა"[3]. ამრიგად, ი. ჭავჭავაძის აზრით, სამართალდარღვევა, კერძოდ, დანაშაული სათნოების ელემენტარული მოთხოვნების, კერძოდ, სათნოების მინიმუმის შეუსრულებლობაა. სათნოება კი ისეთი სოციალური მოვლენაა, რომელიც მხოლოდ ადამიანთა შორის ურთიერთობაში ვლინდება, სათნოება ის მასშტაბია, რომლითაც ფასდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანთა მოქმედებანი, კერძოდ, ი. ჭავჭავაძის აზრით, სათნოება მხოლოდ ადამიანთა სახელთან და მათ არსებობასთან არის დაკავშირებული, ადამიანთა გარდა საზოგადოებრივი ცხოვრების მონაწილეთა ქცევა სათნოებას არ ექვემდებარება. სათნოების წესების დარღვევა ბოროტებაა, ადამიანის არსებისათვის დამახასიათებელია არა ბოროტის, არამედ მადლის ქმნა. მაგრამ რადგანაც სათნოება მხოლოდ ადამიანთა ბუნებისთვისაა დამახასია-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 226.
[2] ვ. ბ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, თბილისი, 1983, გვ. 10.
[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 225.

თებელი და ადამიანთა ზოგიერთი მოქმედება სათნოების მინიმუმის დონეს ვერ აღწევს, სხვა არსებებისაგან განსხვავებით დანაშაულადაც მხოლოდ ადამიანთა ზოგიერთი მოქმედება უნდა იქნას მიჩნეული: „ეიდრე ქვეყანაზე კაცია, ბოროტიც არის“[1].

საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური მოვლენები ადამიანთა ურთიერთობებში ყალიბდება და ამდენად მათი შეფასება სათნოების მოთხოვნებით ხდება. უმაღლესი სათნოება სახელმწიფოა, რომელიც მის მიერ დადგენილი კანონებით აწესრიგებს ადამიანთა ურთიერთობებში ჩამოყალიბებულ მოვლენებს. სათნოების მოთხოვნების მიხედვით შექმნილი სახელმწიფოს კანონები იმიტომაა საჭირო საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ ადამიანთა ურთიერთობებში ჩამოყალიბებული ყველა მოვლენა როდი გამორიცხავს ბოროტებას, რომელსაც დიდი ზიანი მოაქვს კაცობრიობისათვის. ლოგიკის ძალით ადამიანების ურთიერთობა სათნოების გარეშე წარმოუდგენელი უნდა იყოს, მაგრამ ფაქტობრივად ადამიანთა ურთიერთობებში ჩამოყალიბებული ბევრი მოვლენა სათნოებისაგან დაშორებულია: „ლოღიკა თითქო ბაჟს რასმე ემალებაო, სადღაც გაექცა, სადღაც დაეკარგა ადამიანსა. ღრმად დაკვირვება არ არის საჭირო, კაცმა დაინახოს, რომ ადამიანის ჭკუას რაღაც გაუტყდა, ბუნებური მართულები მოეშალა, რაღაც სალტე ან მოჰშვებია, ანუ უფრო მეტად წასკერია, რაღაც სოლი ამოვარდნია და ძირით თხემამდე თავი და ბოლო დაჰბნევია. კაცს ეხლანდელ დროში ვერა გაუგია რა, ვერა გამოურკვევია-რა. ხედვით ერთსა ჰხედავს, სმენით სულ სხვა ესმის. არის ერთი არეულობა. იპარავენ პატიოსნების სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად პატიოსნება და სად მპარაობა? აბეზღებენ და ცილსა სწამებენ გულმტკივნეულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ცილი და ბეზღი და სად გულმტკივნეულობა? ჰღალატობენ საქმეს, ჰღალატობენ ერთმანეთსა ერთგულობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად ღალატი და სად ერთგულობა? სხვის ნაკლს, სხვის უბედურობას თვის ღირსებად, თვის ბედნიერებად, თვის სიხარულად სთვლიან კაცთმოყვარეობის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: სად სხვის ნაკლის და უბედურობის გამო სიხარული და ცეკვა და სად კაცთმოყვარეობა? სტყუიან, ცრუობენ სამართლის სახელითა და არავინ ჰკითხულობს: „სად ტყუილი და სად სიმართლე?“[2].

ი. ჭავჭავაძე იკვლევს იმ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სათნოების მინიმუმს მიუღწეველი ადამიანთა მოქმედებების, ე. ი. დანაშაულის არსებობას. ამ პრობლემას მიუძღვნა ი. ჭავჭავაძემ სპეციალური გამოკვლევები: — „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიკური მიზეზები“, „კერძო და სათემო

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 265.
[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 264.

მიწათმფლობელობა"[1]. დანაშაულის მიზეზების შესწავლის ცდა მოცემულია აგრეთვე მის მხატვრულ ნაწარმოებებში — „სარჩობელაზედ", „ეკეკო ყაჩაღი" და ა. შ.

ი. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს დანაშაულის და სასჯელის პრობლემებისადმი,[2] ამ მიზნით საგანგებოდ სწავლობს სამართალდარღვევისადმი მიძღვნილ მეცნიერთა ნაშრომებს, რომლებშიც „ჰცდილობენ უპოვონ თავი და ბოლო... მწვავსა და შემაძრწუნებელს ვითარებას და წამალი რამ დასდონ, მაგრამ, რადგან ხელთ არა აქვთ არავითარი გამონაძიები და გამონარკვევი ამ მხრით, არავითარი ცნობა მისი, თუ სად და როგორ მოწყობილნი არიან მკვიდრნი საშინაოდ და საგარეოდ, რა აიძულებთ საავაზაკოდ და რა არა, რა აქეზებს და ხელს უწყობს ავაზაკობის თარეშობას, რომელი ადგილი და თესლი ერისა იძლევა ავაზაკსა და მძარცავ-მტაცებელს, — ყოველივე მეცადინეობა უქმად იხარჯება და როგორც მიზეზი, ისეც წამალი ავაზაკობისა გამოურკვეველი ჰრჩება"[2].

საქართველოში დანაშაულობათა არსებობის, ავკაცობისა და ავაზაკობის მიზეზად ზოგიერთები ასახელებენ ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთა უკულტურობასა და გაუნათლებლობას, ველურობასა და ბარბაროსობას, მაგრამ ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებულია. არავინ არ უარყოფს, რომ ამიერკავკასიის მოსახლეობამ ბევრი რამ უნდა შეიძინოს, რათა მოწინავე ხალხების განვითარების დონემდე ამაღლდნენ, მაგრამ დიდი შეცდომა იქნება ბარბაროსებად და ველურებად მათი გამოცხადება. მეტიც, საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობა მისდევს არა მარტო ხვნა-თესვასთან დაკავშირებული კულტურების მოყვანას, არამედ ვენახის მოვლა-პატრონობა, ყურძნიდან მაღალი ტექნოლოგიური წესების დაცვით ღვინის დაყენება და ა. შ., რომელთაც ქართველი ხალხი მისდევს, სხვა ხალხებთან შედარებით მას აყენებს „უფრო წინ წასულად გონებითად და აქედამ ზნეობითადაც... აქაური გლეხკაცი შეჰხარის ვენახს ჯერ როგორც თავისთავად ძვირად ღირებულს ქონებას და მერე როგორც მამა-პაპის ნაშრომ ნაღვაწის სახსოვარს და ნაშთსა. ეს ქონებრივი და ზნეობრივი ღირსება ვენახისა, ერთად შეერთებული, უეჭველია კარგად უნდა ზემოქმედებდეს აქაურ გლეხკაცობის ავკარგიანობაზე, მისის ხორცისა და სულის მოძრაობაზე. ამიტომაც გრძნობა საკუთრების დანდობისა და პატივდებისა აქ უფრო მეტს საზრდოებას უნდა ჰპოულობდეს, ვიდრე იქ, საცა უძრავი ქონება მოკლებულია ამ ორნაირ, ადამიანთა მიერ სამართლიანად პატივსაცემს, ღირსებას"[3].

არც ის მოსაზრებაა მართალი, რომლის მიხედვითაც საქართველოში

---

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 181—237.
[2] ვ. ე ქ ვ ა ნ ი ა, მართლმსაჯულებისა და პუბლიცისტიკის საკითხები... თბ., 1956.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 202.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 203.

დანაშაულსა და ავკაცობას თითქოს ციმბირში გადასახლებიდან გამოქცეული კატორღელები ჩადიოდნენ. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ შეიძლება დანაშაულის რიცხვი მართლაც იზრდებოდეს ამ კატეგორიის დამნაშავეთა მიერ ჩადენილი სამართალდარღვევებით, მაგრამ დანაშაულის მიზეზებზე იგი წარმოდგენას მაინც ვერ გვაძლევს, რადგან „მინამ იმათ კატორღაში თავს უკრავდნენ და მერე იქიდამ გამოიპარებოდნენ, მათი ავკაცობა ხომ აქვე უნდა გაჩენილიყო და არსებულიყო, უამისოდ კატორღაში რად ამოაყოფინებდნენ თავს. მაშასადამე მიზეზი ავაზაკობის აქ, ჩვენში, ფეხის ადგმისა, აქვე შინ უნდა მოიძებნოს, აქვე უნდა ჰბუდობდეს ის სენი, რომელიც აჩენს ჩვენში ავაზაკობას“[1].

ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, დანაშაულის არსებობის მიზეზები მრავალგვარია, რომლებიც თავიანთი ხასიათის მიხედვით სხვადასხვაგვარად ზემოქმედებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ერთნაირ შედეგებს არ იწვევენ[2]. ყველა იმ მიზეზს, რომლებიც დანაშაულს იწვევენ, ი. ჭავჭავაძე ორ ჯგუფად ყოფს: პირველი, საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრებიდან და ადამიანთა განსხვავებული ადათ-წესებისა და ზნეობიდან წარმომდგარი დანაშაულობანი; მეორე, მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ თავისი მოვალეობის შეუსრულებლობა. ი. ჭავჭავაძე ეხება რა დანაშაულის გამომწვევ პირველი კატეგორიის მიზეზებს, წერს: „არ არის იმისთანა ქვეყანა, თუნდაც ძლიერ დაწინაურებული სიმდიდრითა და განათლებითა, საცა... ავაზაკობა არა ჰბუდობდეს და არ იჩენდეს თავს. ამის ძირეულს მიზეზებს ფესვი მაგრა და ღრმად გადგმული აქვს, როგორც ჩვენში, ისეც სხვაგან, იმ ავკარგიანობაში, რომელსაც წარმოადგენს მეტნაკლებად საეკონომიო და საზნეო ვითარებისა. ამაშია მისი სათავე და ამ გზით ამოწურვა საქმისა საჭირო სავსებითა ბევრს ძიებას, ცოდნასა და შიგ-ჩახედულობას თხოულობს“[3]. ეხება რა დანაშაულის გამომწვევ მეორე ჯგუფის მიზეზებს, ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „მკვიდრთა უშიშარყოფა სიცოცხლისა და ქონების მხრივ ერთი უდიდესი, თუ არ უპირველესი, მოვალეობაა სახელმწიფოსი. უამისოდ არც წინსვლა ერისა, არც წარმატება რაშიმე შესაძლებელი არ არის“[4]. მაგრამ სახელმწიფო ხშირად არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, რაც დანაშაულს გზას უხსნის საზოგადოებაში: „თუ ეკონომიური უღონობაა მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა ჩვენში, არიან იმისთანა გარემოებანიც, რომელნიც აქეზებენ და ასაზრდოებენ ამნაირ ავკაცობასა...[5] „იმ მიზეზთა შორის, რომელიც აქეზებს, ათამამებს და ამხნევებს ჩვენში ქურდობასა და ავაზაკობას, უნდა ჩაირიცხოს დახანება

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 204—205.
2 ვ. ბ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, გვ. 10.
3 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 236.
4 ი ქ ვ ე, გვ. 226.
5 ი ქ ვ ე, გვ. 222.

საქმის გარჩევისა სამსაჯულოს მიერ...[1] იმედი არავინ გამომეკიდებაო"[2]. დანაშაულის ზემოაღნიშნულ ყველა მიზეზს შორის ი. ჭავჭავაძე ვადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკურ გარემოებებს, მისი აზრით, დანაშაულის არსებობის ძირითადი მიზეზია ეკონომიკური გაჭირვება: „თავი და ბოლო ავკაცობისა, რომლის შედეგი ძარცვა-მტაცებლობაა, ეკონომიკური ჭირბოროტი და გაჭირვება არის...[3] ზოგადი მიზეზი იმისთანა ავკაცობისა, რომელსაც სხვის ქონებაზე გული მიუდის, ყველგან და ყოველთვის ეკონომიკური უღონობა ყოფილა და იქნება კვლავაც"[4].

დანაშაულის ეკონომიკური მიზეზები ყველგან ძირითადი და გადამწყვეტია, მაგრამ ყველა ქვეყანაში ეკონომიკური მიზეზები ერთნაირად არ მოქმედებენ, არამედ ცხოვრების ადგილობრივი პირობები (გეოგრაფიული გარემო, ტრადიციები, შრომითი ურთიერთობების სპეციფიკური დარგები და ა. შ.) მნიშვნელოვნად განაპირობებენ ეკონომიკური ფაქტორის მოქმედების თავისებურებებს. ი. ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ ისეთი დანაშაულის მიზეზი, როგორიც არის ქურდობა, ყოველთვის ეკონომიკური გაჭირვებაა, მაგრამ „მაგ ეკონომიკურ უღონობას ჩვენში აქაური განსაკუთრებული გარემოება მკვიდრისა ჰქმნის და ამით არის შესანიშნავი"[5].

ი. ჭავჭავაძე დანაშაულის ძირითადი მიზეზის, კერძოდ, ეკონომიკური გაჭირვების ადგილობრივ განსაკუთრებულ გარემოებებს ყურადღებით სწავლობს და მათ სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებს დანაშაულის მიზეზთა შორის. სახელდობრ ეკონომიკურ ნაიადაგზე აღმოცენებული გარემოებებიდან ცალკე უნდა გამოიყოს ზოგადი მნიშვნელობის მიზეზი, რომელიც თითქმის ყველგან საერთო კანონზომიერებას ექვემდებარება და სპეციფიკური მიზეზი, რომელიც მხოლოდ მოცემული ხალხისთვისაა დამახასიათებელი. ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, საქართველოში დანაშაულობანი ყველაზე მეტად გავრცელებულია იქ, სადაც ხვნა-თესვას, კერძოდ, მარცვლეული კულტურების მოყვანას მისდევენ, ხოლო მევენახეობის რაიონებში დანაშაულობა იშვიათი შემთხვევაა. ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა ამ მოვლენას, წერს: „ამ ძირეულს და ზოგადს მიზეზს მიგვაგნებინა იმ გარემოებამ, რომ ჩვენში მარტო ხვნა-თესვის ადგილებიდამ გამოდის უფროს-ერთი ავაზაკი და საცა სხვა ხელობაა გავრცელებული, მაგალითებრ, მევენახეობა და ამისთანა რამ, იქიდამ ავაზაკად კაცის გავარდნა ან სულ არ არის, ან ძალიან იშვიათია. თუ ეს ასეა, ცხადია, რომ მეტნაკლებობას გამორჩენისას ხვნა-თესვისაგან და ამ ხელობის ავ-კარგად მოწყობილობას საშინაოდ და სა-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 227.
2 ი ქ ვ ე, გვ. 222.
3 ი ქ ვ ე, გვ. 204.
4 ი ქ ვ ე, გვ. 220.
5 ი ქ ვ ე.

ბაზროდ, თუ პირველი არა, დიდი ადგილი უნდა ეჭიროს ჩვენში ავაზაკობის მრავალგვარ მიზეზთა შორის"[1]. ი. ჭავჭავაძის ეს დასკვნა ემყარება შემდეგ გარემოებებს: ხვნა-თესვა და მარცვლეული კულტურების მოყვანა ძალიან ხშირად საქართველოში ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მტკიცე ეკონომიკურ მდგომარეობას. კერძოდ, 1891 წელს რუსეთში შიმშილობის არსებობის გამო აქაურ ხალხს აუკრძალეს სიმინდის, ხორბლისა და სხვა მარცვლეული კულტურებისაგან მიღებული ჭირნახულის საზღვარგარეთ გატანა, შინაურმა ბაზარმა კი ვერ დაიტია პროდუქცია და მასზე ფასი ისე დაეცა, რომ უმრავლესობამ ამ კულტურების მოყვანას სამრეწველო მიზნით თავი მიანება და ისინი მხოლოდ იმას აწარმოებენ, რაც მხოლოდ მათ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. მაგრამ ამას თან ერთვის სხვა მიზეზიც, მარცვლეულ კულტურებს თუნდაც რომ ფასი ჰქონდეს, უგზოუკვლობის გამო მწარმოებელს ბაზრამდე მისი მიტანა და გასაღება უჭირს. ამრიგად, მარცვლეულ კულტურებზე ფასის დაცემა და უგზოუკვლობის გამო მარცვლეულის მწარმოებელთა ბაზრიდან გამოთიშვა დიდ ეკონომიკურ გაჭირვებას უქმნის ხალხს, რომელიც ხვნა-თესვას მისდევს. მხვნელ-მთესველის „ჭირნახულს ფასი არა აქვს და მერე თუნდაც ფასი ჰქონდეს, ბაზრამდე ხელი არ მიუწვდება უგზოუკვლობის გამო. ამ ორი გარემოების გამო იგი კარგ გზებზე დაშორებულნი ადგილები, საცა მარტო ხვნა-თესვაა, იგი მკვიდრნი, რომელნიც მარტო ამ ხვნა-თესვას შეჰყურებენ, უნუგეშოდ და უილაჯოდ დარჩენილნი არიან და ფულის შოვნის გზა და კვალი დახშული აქვთ, ფული კი საჭიროა, თუნდაც მარტო იმისათვის, რომ სხვადასხვა ხარჯი და გადასახადი ყელში თოკს უჭირებს და სახლ-კარს უწიოკებს, თუ დროზე არ მოიხერხა. აი, ჩვენის ფიქრით, იგი გაჭირვების თორნე, რომელიც აცხობს ჩვენში ქურდობას და ავაზაკობას სხვის საკუთრებაზე მიმართულს. საზოგადოდ ქურდობის და ავკაცობის ძირეული და მუდამი ბუდე ეს გაჭირვებაა"[2]. ი. ჭავჭავაძე ამ მოსაზრებას ასაბუთებს იმ ხალხების მატერიალური ცხოვრების მაგალითზე, რომლებიც ხვნა-თესვას მისდევენ. კერძოდ, ოს ხალხს მხოლოდ მარცვლეული კულტურები მოჰყავს, რადგან „ცივი ჰავა მთისა, სიმწირე მამულ-დედულისა უილაჯოდ ჰქმნის მთელს ოსს სარჩო-საბადებლის შესაძენად. მიწა და ჰავა არას იძლევა ქერის მეტსა და იქაური ოსი მარტო ქერის ხვნა-თესვაზეა მინაბარებული[3]... ყოველ ამას ზედ დაუმატეთ უგზო-უკვლობა, რომლის გამოც გამოტანა რისამე მთიელ ოსს უფრო ძვირად უჯდება, ვიდრე გამოტანილი ჰღირს, და მაშინ სრული სურათი მთიელ ოსის უილაჯობისა თვალწინ წარმოგიდგებათ მთელის თავისის უძლეველის სა-

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 210.
2 ი ქ ვ ე, გვ. 209—210.
3 ი ქ ვ ე, გვ. 206.

ხითა"[1]. ეს მიზეზები ოს ხალხში ქურდობასა და ავკაცობას იწვევს. ამ ფაქტორის მოქმედებაზე წარმოდგენას გვაძლევს აგრეთვე ქუთაისის გუბერნიაში მომხდარი ცვლილებანი. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ქუთაისის გუბერნიაში გავრცელებულმა ვაზისა და ბამბის ავადმყოფობამ, აბრეშუმის ჭირმა და ა. შ., ადგილობრივ მცხოვრებლებს ხელი ააღებინა ზემოაღნიშნულ დარგებში მუშაობაზე და აიძულა ისინი ხვნა-თესვისათვის მოეკიდა ხელი. ამის გამო ქუთაისის გუბერნიაში „ავაზაკობამ თავი იჩინა უფრო მას მერმეთ, რაკი ვაზის სნეულებამ, ბამბისა და აბრეშუმის ჭირმა და ვაგლახმა ხელი ააღებინა იქაურ მკვიდრთ ამაების მუშაობაზე და მიაჩემა მარტო იმას, რაც ხვნასა და თესვას მოაქვს და რაც ფულის გამორჩენისათვის და ერთობ ხეირისა და სარფისათვის პირველებზე მეტად შორს არის, ან სრულიად უილაჯოა"[2]. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მის მიერ აღნიშნული კანონზომიერება მარტო ოსებსა და აგრეთვე ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებლებზე არ ვრცელდება. ამ კანონზომიერებიდან გამომდინარე დასკვნის ჭეშმარიტებას ცხადყოფს სამართალდარღვევები კახეთის იმ რაიონებში, სადაც მეევნახეობას მისდევენ და საქართველოს იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ თათრებში დანაშაულობათა ზრდა, სადაც მეევნახეობა არ არის განვითარებული.

ი. ჭავჭავაძე შორს დგას იმ აზრისაგან, თითქოს მხვნელ-მთესველის შრომა დასაძრახისია, ანდა ხვნა-თესვა ისეთი საქმიანობაა, რომელსაც აუცილებლად შედეგად მოჰყვება დანაშაულობანი. პირიქით, მხვნელ-მთესველთა შრომა უაღრესად საპატიო და სასარგებლოა, იგი მშვიდობიან ცხოვრებას აჩვევს ადამიანს, და მაშასადამე, ხელს უშლის დანაშაულობათა ზრდას. მაგრამ ყველაფერი ეს ხდება მხოლოდ იქ, სადაც ხვნა-თესვა მშრომელებს უზრუნველყოფს ბედნიერი ცხოვრებით, საქართველოში კი ჯერჯერობით მხვნელ-მთესველს არ შეუძლია იცხოვროს გაუჭირვებლად: „ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, ვითომც ხვნა-თესვა იმისთანა მოქმედება იყოს, რომელიც აქეზებდეს კაცს საქურდლად და საავაზაკოდ. პირიქით, მხვნელ-მთესველი ერი უფრო მშვიდობიანი, საკუთრების პატივისმცემელი, უფრო მორიდებულია და თავდაჭერილი. ხოლო ეგ იქ არის ესე, საცა ხვნა-თესვის ნაამაგევს ან შინა აქვს ბაზარი, ან გარეთ, და გზაც იეფი და კარგი აქვს საპალნის საზიდავად. ჩვენში სულ სხვაა. ჩვენში მხვნელ-მთესველს არც შინა აქვს ბაზარი, არც გარეთ, არც გზა აქვს და არც კვალი, რომ ნაამაგევმა გზის ხარჯს გაუძლოს. ჩვენში დღეს მარტო ხვნა-თესვა კაცს ვერ აცხოვრებს გაუჭირვებლად"[3].

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 207.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 210.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 220—221.

(დანაშაულის მიზეზების შესწავლისას ი. ჭავჭავაძე ყურადღებას აქცევს აგრეთვე ამა თუ იმ ხალხში გავრცელებულ ადათ-წესებს და ტრადიციებს[1], ეროვნულ თავისებურებებს, ფსიქიკურ წყობას და ა. შ. მაგალითად, ოსები მხოლოდ ხვნა-თესვას მისდევენ, პირუტყვიცა ჰყავთ, მაგრამ იმდენად მცირე, რომ იგი ანგარიშში ჩასაგდები არ არის, მათი შემოსავალი მეტისმეტად მცირეა და ის ხარჯები, რომლებიც ოსის ოჯახს აქვს კისერზე, აიძულებს მას იქურდოს.) სახელმწიფო გადასახადების გარდა „კაცმა მარტო ის, რომ წარმოიდგინოს, რა უჯდება ოსს მკვდრის სამღვთოს გაუთავებელი წეს-რიგი, რომელსაც უძლეველი მამაპაპური ჩვეულება მისგან ჰთხოულობს და რომელსაც ოსი ვერ უღალატებ, უიმისოდ, რომ სამარცხვინოდ თითი საჩვენებელი არ გახდეს სოფელში, — ვამბობთ, მარტო ეს მკვდრის სულის დაურვებისათვის ხარჯი კაცმა რომ წარმოიდგინოს, გაუკვირდება, რითღა ცოცხლობს ოსი და მისი სახლობა“[2]. გარდა ამისა, იშვიათი შემთხვევა ოსებმა ჯგუფურად იქურდონ, რადგან ოსის შინაგანი ბუნებისათვის უცხოა დისციპლინა, რომელიც აუცილებელია დამნაშავეთა ჯგუფად შეკავშირებისათვის და გარდა ამისა, „გაცემა და ღალატი ოსს ძალიან ეადვილება, თუ მოხერხებული კაცი შეუჩინეს, პატიობა აღუთქვეს, ან ფულით დაახარბეს. თუნდ ესეც არ იყოს, ადვილად იცის ამხანაგთან ჩხუბის ატეხა დავლანაძარცვის გაყოფაში, ჩხუბს წყენა მოსდევს და ზოგჯერ წყენას გაცემა და ღალატი. ოსი შურისმაძიებელია და თუ კაცმა აწყენინა რამ, ძნელად ივიწყებს და როცა იქნება კლანჭს გამოჰკრავს, თუნდ თითონაც ზედ გადაეგოს“[3].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ თათრებშიც ეკონომიკური გაჭირვება და წელმოუმაგრობა მთავარი მიზეზია სამართალდარღვევისა, მაგრამ ეროვნული თავისებურებები, თათრებში გავრცელებული ადათ-წესები და ტრადიციები და ა. შ. დიდად განაპირობებს ძირითადი მიზეზის, კერძოდ, ეკონომიკური გაჭირვების მოქმედების ხასიათს. თათარი ბინამოუკიდებელია, იგი შეუჩვეველია მკვიდრ ცხოვრებას და „ბოგანოდ სიარული, რა თქმა უნდა, ვერ გამოუნასკვავს ადამიანს იმისთანა ხასიათს, რომ დამჯდარი, დაუდგრომელი და მუდმივი მუშაკაცი გამოვიდეს... იგი მძიმე საქმის მუშაკაცი არ არის. ხანგრძლივსა და გაუწყვეტელს გარჯას, შრომას გაურბის, არც უყვარს... ყოველივე მისი ჩვეულება, მიდრეკილება, ავი და კარგი საზნეო, თუ საეკონომიო, სულ ამ ეულობაზეა აგებული და დამყარებული, სულ აქედამ არის წარმომდინარი“[4]. გარდა ამისა, თათარი თუ ვინმეს მიენდო

---

1 ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, გვ. 57.
2 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 206.
3 იქვე.
4 იქვე, გვ. 211.

ძნელად უღალატებს, ეს თვისება თათრისა კი განაპირობებს იმას, რომ თათარი ძალიან ხშირად „კრებულად ავაზაკობს“.

(ამრიგად, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, სამართალდარღვევის ძირითადი მიზეზი ყველგან ხალხის ეკონომიკურ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ, მაგრამ დანაშაულის ამ ძირითადი ფაქტორის მოქმედების ფორმებს დიდად განაპირობებს „განსაკუთრებული მდგომარეობა მკვიდრისა“, რომელსაც იგი „შინაგან მიზეზს“ უწოდებს. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ „ჩვენ... ვაჩვენეთ, — რა შინაგანი მიზეზი მოქმედებს, ჩვენი აზრით, რომ ოსი და თათარი გამოდის საქურდლად და საავაზაკოდ. ეს ის მიზეზია, რომ ოსს და თათარს შინ სამუშაო და გასამრჯელო იმისთანა არა აქვს-რა, რომ თავი ირჩინოს და დღევანდელ ცხოვრების ჭირბოროტს გაუძღვეს“[1]. ზემოაღნიშნულ მიზეზებს ი. ჭავჭავაძე უწოდებს „საეკონომიო და საზნეოს“, როგორც გადამწყვეტსა და ძირითად ფაქტორს სამართალდარღვევისა. ეს მიზეზები ყველა ქვეყანაში მოქმედებს და მათი შესწავლა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს: „არ არის იმისთანა ქვეყანა, თუნდაც ძლიერ დაწინაურებული სიმდიდრითა და განათლებითა, საცა... ავაზაკობა არა ჰბუდობდეს და არ იჩენდეს თავს. ამ ძირეულს მიზეზებს ფესვი მაგრა და ღრმად გადგმული აქვს, როგორც ჩვენში, ისეც სხვაგან, იმ ავკარგიანობაში, რომელსაც წარმოადგენს მეტნაკლებობა საეკონომიო და საზნეო ვითარებისა. ამაშია მისი სათავე და ამ გზით ამოწურვა საქმისა საჭირო სავსებითა ბევრს ძიებას, ცოდნასა და შეგჩახედულობას თხოულობდეს“[2].

(ამ ძირითად მიზეზთა გარდა, ი. ჭავჭავაძის აზრით, სამართალდარღვევის მიზეზები წარმოსდგება აგრეთვე სახელმწიფოს მიერ იმ ვალდებულებების შეუსრულებლობიდან, რომლებიც მას აქვს დაკისრებული. ყველა სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა და აგრეთვე მოვალეობა არის ქვეშევრდომთა უშიშროების დაცვა და მოქალაქეთა მშვიდი ცხოვრების უზრუნველყოფა:) „მკვიდრთა უშიშარყოფა სიცოცხლისა და ქონების მხრივ ერთი უდიდესი, თუ არ უპირველესი, მოვალეობაა სახელმწიფოსი. უამისოდ არც წინსვლა ერისა, არც წარმატება რაშიმე შესაძლებელი არ არის. ამიტომაც ბევრმა რამ სხვამ ამ უშიშარყოფას თავისი უპირატესობა და ადგილი უნდა დაუთმოს, თუ სხვა ღონე არ არის“[3].

(მკვიდრთა უშიშარყოფის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მიერ დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა აქეზებს სამართალდამრღვევს. პირველყოვლისა, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები ვალდებულია დროულად, საქმის გაუჭიანურებლად გამოიძიოს და განიხილოს სამართალდარღვევის შემთხვევები, მაგრამ ი. ჭავჭავაძე მიუთი-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 220.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 236.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 226—227.

თებს, რომ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები დიდი დაგვიანებით ახდენენ რეაგირებას სამართალდარღვევებზე, რაც ათამამებს ბოროტმოქმედებს და მათ იმედს აძლევს, რომ სამართლის დარღვევისას შეიძლება დაუსჯელი გადარჩეს. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მოუქნელი მუშაობის შედეგად სამართალდარღვევიდან მისი გამოძიებისა და სასამართლო განხილვამდე ისე დიდი დრო გადის, რომ მოწმეებს ბევრი რამ საქმისათვის არსებითი ავიწყდებათ, იშლება და იკარგება დანაშაულის გეში და კვალი. ბევრი სამართალდარღვევა თავისი ხასიათით ისეთია, რომ „გამოძიება და სამართალი ერთსა და იმავე მოსწრებულ დროს უნდა მოხდეს. ეს აზრია კანონმდებლისა, რომელსაც საჭიროდ დაუნახავს მომრიგებელი მოსამართლე ერთსა და იმავე დროს გამომძიებელიც იყოს და მსჯავრის დამდებიცა, რომ გამოძიებამ მსჯავრის დადება არ დაახანოს და მსჯავრის დადებას არ დაუსუსტდეს ცხადმყოფელი საბუთი[1]. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ მოქმედი კანონმდებლობით ამ ამოცანების გადასაწყვეტად შეიქმნა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი, მაგრამ სამწუხაროდ „ჩვენში კანცელიარულმა მსელელობამ საქმისამ მთლად დაიმორჩილა მომრიგებელი მოსამართლეობა, რომლის პირველი და უკანასკნელი ღირსება საცხოველმყოფლო მოქმედებაა, სწრაფი საქმიანობა, დაუხანებელი სარჩლი მართლისა და დაზიანებულისა. ჩვენში გაქურდული გლეხკაცი, თუ სხვა ვინმე, მიდის მომრიგებელ მოსამართლესთან და შესჩივის თავის გულის სატკივარს; მომრიგებელი მოსამართლე, იმის მაგიერ, რომ მაშინვე საჩივარს გამოუდგეს და ხელი ჩაჰკიდოს,... ვინ იცის როდის ჰნიშნავს საქმეს გასარჩევად"[2].

(საგამომძიებლო და სასამართლო დაწესებულებებში ბიუროკრატიზმის გარდა სამართალდარღვევების არსებობას ხელს უწყობს ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობა განიარაღებულია, ხოლო ბოროტმოქმედნი კი შეიარაღებული, მოსახლეობას შესაძლებლობა არა აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს ქურდსა და მძარცველს, რომელიც დარწმუნებული არის, რომ ხალხს იარაღი აღარ აქვს და თავისუფლად ეწევიან ძარცვა-გლეჯას). „ერთი დიდ-მნიშვნელოვანი მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა მკვიდრთა უიარაღობაა. ქურდი, ავაზაკი თავიდამ ფეხამდე გამოწყობილია თოფ-იარაღით მაშინ, როდესაც ძნელად-ღა ჰნახავთ ჩვენში სოფელს, რომ თოფი მოიპოვებოდეს. ხალხი იარაღაყრილია და, მაშასადამე, ყოვლად უღონოა, რომ თავი გამოიდოს ავაზაკის მოსაგერიებლად და დასახვედრად, და რის შიშიღა აქვს ავაზაკსა და ქურდსა? ამიტომაც ასე სასაცილოდ აგდებული ჰყავთ ავაზაკებს სოფელიც და მისი მკვიდრნიც"[3]

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 228.
2 ი ქ ვ ე.
3 ი ქ ვ ე, გვ. 223—224.

მთავრობა რომ ხალხს იარაღს ართმევს, თითქოს იმით ხელმძღვანელობს, რომ უბრალო ჩხუბისა და ერთმანეთთან წაკიდებისაგან რაიმე დიდი დანაშაული არ მოხდეს იარაღის გამოყენების საშუალებით, მაგრამ „თუ უიარაღობა პირველგვარ დანაშაულობას უშლის ხელს, ავაზაკობას ხომ ხელს უწყობს, რადგანაც უშიშარჰყოფს და მით ათამამებს... ჩვენა გვგონია, რომ ეს შეუფერებელი მდგომარეობაა, ადამიანის ყოფა-ცხოვრების თვალით რომ დავაკვირდეთ, და საჭიროა ასეთის უხერხულ მდგომარეობისაგან გამოყვანა აქაურ მკვიდრისა"[1].

საყოველთაო უშიშროების გარდა სახელმწიფოს მოვალეობას შეადგენს მოქალაქეთა ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფა, სოციალური უთანასწორობის მოსპობა, ურომლისოდაც შეუძლებელია სამართალდარღვევათა აღმოფხვრა. ი. ჭავჭავაძეს სწამს, რომ კერძო საკუთრება საზოგადოების არსებობის საფუძველია და კერძო საკუთრების არსებობის პირობებში შესაძლებელია სოციალური უთანასწორობის ლიკვიდაცია, რაც დანაშაულობათა მოსპობის წინაპირობაა. ამრიგად, ი. ჭავჭავაძე საზოგადოებაში არსებულ სოციალურ უთანასწორობა კერძო საკუთრების ბატონობას კი არ უკავშირებს, არამედ სოციალური უთანასწორობა, მისი მტკიცებით, შედეგია სახელმწიფოს მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისა. საზოგადოება, რომელიც სოციალურ უთანასწორობაზეა დამყარებული, თვითონაა მიზეზი სამართალდარღვევების არსებობისა, დამნაშავენი არ იბადებიან, არამედ საზოგადოებაში სოციალურ უთანასწორობასა და ძალადობაზე აღმოცენებული ცხოვრების პირობები ადამიანებს დამნაშავეებად ხდის. სოციალური უთანასწორობა არის ყველა უბედურების მიზეზი, იგი გვიკარნახებს „ჩვენს მოძმეს გზა გადავუღობოთ, ორმო გავუთხაროთ და კლდეზედ გადავჩეხოთ სადმე. შური, ერთმანეთის მტრობა, გაუტანლობა, ბეზღობა, ენამტანიობა, ერთმანეთის ლანძღვა და თრევა, ადამიანის ღირსების უარყოფა — ამისთანა თვისების პატრონებს რა საქმეები უნდა მოეკითხოს? რა საქმეები უნდა გამოუვიდეს ხელიდამ? ცხოვრება, რომელსაც ამისთანა ჭირი ჰღრღნის, ამისთანა ჭია შესჯდომია და ძირს უთხრის, რის მომავლინებელი უნდა იყოს, თუ არ იმისა, რომლის არამცთუ დანახვა, წარმოდგენაც კი საზიზღარია და შესაჩვენებელი[2]. ადამიანი საზოგადოების წევრია, იგი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს სიკეთით და მხოლოდ ამ მასშტაბით აფასებდეს მის ყველა საქმეს. ცალკეული ადამიანის საქმიანობას, მის ურთიერთობას სხვებთან საზოგადოებაში არსებული სოციალური წყობილება განსაზღვრავს, ამიტომაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძის

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 233—234.
2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 8, გვ. 242.

აზრით, საბოლოოდ აქ ცალკე კაცის ღონის ნაცვლად ბრძანებლობით შემოქმედობს თვითონ ზნე საზოგადოებისა.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმითაა შეფასებული ი. ჭავჭავაძის მიერ მისი მხატვრული ნაწარმოებების გმირთა საქმიანობა. ამ მასშტაბით ადამიანთა შორის ურთიერთობები ყველაზე ნათლად განსაზღვრული ი. ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებებში — „სარჩობელაზედ“ და „გლახის ნაამბობი“.

მოთხრობაში — „სარჩობელაზედ“ — ი. ჭავჭავაძე აღწერს ორი ახალგაზრდის, ბეჟანისა და მისი ძმის ტრაგედიას, კერძოდ, საზოგადოების უსულგულო დამოკიდებულებას მათდამი, რამაც ისინი დამნაშავეებად აქცია და მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის უფროსი ძმა ჩამოახრჩეს. დაობლებულ ახალგაზრდებს ყველა, ვისთანაც ცხოვრებამ ისინი დააკავშირა, სცემდა და ავიწროებდა, არავინ არ იბრალებდა. ცხოვრებამ ისინი დამნაშავეებად აქცია. წერილში, რომელიც მეურმე პეტრეს შეაჩეჩეს ხელში, ბეჟანი წერს: „გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედამიწაზედ უპუროდ, უფულოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის... გაბოროტებულნი, მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი, გადავემტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა და კარგსა, შენა და სხვასა. პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა — რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ, არავინ არ გამოგვესარჩლა, არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ. თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ ყველას გადვუხდი და როცა აღარ ვიქნები, იქ, ღმერთს გავცეთ ყველამ პასუხი... სულ ყველანი იქ მივალთ და იქ დაეუდგებით ერთმანეთს პირისპირ. ვნახოთ, ვინ გამოვა მართალი, ვინ მტყუანი. ღმერთი გულს უფრო სინჯავს, მინამ საქმეს: იქ სამართალი არ გაბრუნდება“[1].

საზოგადოებამ აქცია ეს ახალგაზრდები დამნაშავეებად, მამინაცვალმა აიძულა ისინი ბოროტმოქმედნი გამხდარიყვნენ, მთელი საზოგადოება, მისი ყველა წევრი ბეჟანის უფროსი ძმის ჩამოხრჩობას ესწრებოდა, მაგრამ სიკვდილმისჯილს არავინ გაუწოდა დახმარების ხელი. სწორედ ამით მთავრდებოდა პეტრესათვის გადაცემული წერილი: „განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვალისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!..

— მე რა შუაში ვარო! — დაიძახა კვნესით და თრთოლვით შეშინებულმა.პეტრემ. პეტრე მთლად ცახცახებდა. მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...“[2]

---

1 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 2, გვ. 239.
2 ი ქ ვ ე, გვ. 241.

ნაწარმოებიდან ნათლად ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძის აზრით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საზოგადოება, რომელშიც ცხოვრების პირობები ისეთია, რომ ადამიანი იძულებულია იქურდოს, დამნაშავეა, ქურდი კი შეცოდებას იმსახურებს. აქედან დასკვნა: სახელმწიფო და საზოგადოება უნდა ზრუნავდეს თითოეულ ადამიანზე, რათა იგი ააცდინოს დამნაშავეობის სამყაროს. ადამიანი მართალია გონივრულად უნდა აფასებდეს თავის მოქმედებას და თავის მოქმედების განკითხვა უნდა შეეძლოს, მაგრამ „თავის-თავის განკითხვას შესაფერი ღონე უნდა სულისა, და საცა ეს ცალკე კაცს არა აქვს, ბევრში თითონ საზოგადოება არის დამნაშავე"[1].

ამრიგად, ი. ჭავჭავაძე იცნობს დანაშაულის მრავალ მიზეზს, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვადასხვა ფორმით ვლინდება და თავისი ხასიათის მიხედვით დანაშაულის ყველა მიზეზი ერთგვაროვანი არ არის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის მიერ განხილული (დანაშაულის მიზეზები ი. ჭავჭავაძეს პირობითად დაყოფილი აქვს ორ კატეგორიად: პირველი, ძირითადი მიზეზები, და მეორე, არა ძირითადი მიზეზები. ძირითადს განეკუთვნება „საეკონომიო და საზნეო" მიზეზები, არაძირითადს კი — სახელმწიფოს მოვალეობის შეუსრულებლობისაგან წარმომდგარი მიზეზები.)

სამართალდარღვევები ხელს უშლის ნორმალურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ამიტომაც საზოგადოება დაინტერესებულია ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობაში ხელმძღვანელობდნენ სიმართლით, რომელიც საფუძვლად უდევს ყველა სოციალურ ნორმას, კერძოდ, როგორც სამართლებრივს, ასევე არა სამართლებრივს (მორალი, ადათი და ა. შ.).

საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა სამართლიანობის მიხედვით, პირველყოვლისა მოითხოვს სამართალდარღვევების, კერძოდ, დანაშაულობათა აღმოფხვრას.( ი. ჭავჭავაძის ნაშრომებში სამართალდარღვევათა ლიკვიდაციის საშუალებები შემდეგ სამ კატეგორიად არის დაყოფილი: პირველი, დანაშაულის მიზეზების აღმოფხვრა; მეორე, სახელმწიფოს მიერ სამართალდამრღვევთა მიმართ იძულებითი ღონისძიებების (სანქციების) გამოყენება; მესამე, აშკარა და უხეში მოძალადის მიმართ, უკეთუ იგი სახელმწიფოს მხრივ რეაგირების გარეშე რჩება, დაზარალებულის მიერ უშუალო ძალადობის გამოყენება.)საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად, ი. ჭავჭავაძის მტკიცებით, ზემოაღნიშნულ საშუალებათა შორის ყველაზე ეფექტურს წარმოადგენს დანაშაულის წარმომშობი ყველა სახის მიზეზების მოსპობა. რაც შეეხება აშკარა და უხეში მოძალადისადმი დაზარალებულის მხრივ ძალადობის გამოყენებას, როგორც დანაშაულობათა აღმოფხვრის

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 4, გვ. 229.

საშუალებას, ი. ჭავჭავაძეს იგი მიაჩნია როგორც გამონაკლისი ღონისძიება, რომელიც დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს მიერ დადგენილი პოზიტიური სამართლის ბრძანებები ეწინააღმდეგება უმაღლეს სამართლიანობას, რაც მოცემულია მარადიულ, უმაღლეს, ბუნებით (ღვთაებრივ) სამართალში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, (სამართალდარღვევათა აღმოფხვრის ყველაზე ეფექტიან საშუალებას, ი. ჭავჭავაძის აზრით, წარმოადგენს იმ მიზეზების მოსპობა, რომლებიც აიძულებს პირს დაარღვიოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლებრივი ნორმები.) ჩვენ ზემოთ მივუთითეთ, რომ ი. ჭავჭავაძის ნაშრომებში სამართალდარღვევათა გამომწვევად დასახელებულია „საეკონომიო და საზნეო მიზეზები", როგორც ძირითადი მიზეზები და სახელმწიფოს მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობიდან წარმომდგარი მიზეზები (არა ძირითადი მიზეზები). ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ „თითონ ეს მიზეზი პირდაპირ გვანიშნებს რა გზით და ღონისძიებით შესაძლოა ცოტად თუ ბევრად ამოიკვეთოს ჩვენში... ბოროტმოქმედება და ავკაცობა"[1]. ეკონომიკური გაჭირვება და მატერიალური ცხოვრების პირობებიდან წარმომდგარი უარყოფითი ზნეობრივი თვისებები სამართალდარღვევის გამომწვევი მიზეზებია, ამიტომაც, ბუნებრივია, ადამიანთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი ზნეობრივი ამაღლება მოსპობს ბოროტმოქმედებას და თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვანწილად მაინც ხელს შეუწყობს სამართალდარღვევათა აღმოფხვრას. ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ადამიანებს, რომლებიც „საეკონომიო და საზნეო მიზეზების" გამო არღვევენ კანონს „გამოუცვალეთ... იგი გარემოებანი, რომელიც... ჰხუთავს, მიეცით... იმისთანა გასამრჯელო, რომელიც კაცს დღეს ხელს აძლევს სარჩო-საბადებლის საშოვარად, ასწავლეთ და თვალი აუხილეთ ქვეყნიერობაზე ცოტად თუ ბევრად, გაუკეთეთ გზები, ხიდები. ხელი შეუწყეთ ყოველს ახალს ცდასა, ახლის რასმის შემოღებას და მოყვანას, და სხვა ამისთანას, — და ქურდობა და ავაზაკობა, სულ თუ არ ამოიკვეთება, დიდს კლებაში კი შევა"[2]. საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა, ადამიანთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ზნეობრივი აღმავლობა ერთბაშად შეუძლებელია, რადგან „ძნელია კაცმა ერთის შეტევით და წინდაუხედავად შიგნეული გადმოუბრუნოს უკვე დამყარებულ ცხოვრების ავკარგიანობას"[3], მაგრამ მიუხედავად ამისა, ეკონომიკური და ზნეობრივი ამაღლებისათვის სისტემატური ბრძოლა საზოგადოებრივი პროგრესის საწინდარია. ი. ჭავ-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, 6, გვ. 223.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 222.
[3] ი ქ ვ ე.

ჭავაძემ კარგად იცის [illegible]ამ ს[illegible]ითალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა „საეკონომიო და საზ[illegible]ი მიზ[illegible]ების“ აღმოფხვრის გზით დიდ დროსა და მონდომებას მოითხოვს ს[illegible]ოგადოებისაგან, მაგრამ მას ღრმად სწამს, რომ იგი აუცილებლად მოიტანს თავის კეთილისმყოფელ შედეგებს: „ეს ღონისძიება ძალიან გვიან გამოიღებს თავისს ნაყოფს და მარტო შორეული მერმისი ჰნახავს მის კეთილ შედეგსა“[1].

სამართალდარღვევათა აღმოსაფხვრელად მარტო „საეკონომიო და საზნეო მიზეზების“ მოსპობა არაა საკმარისი, არამედ სახელმწიფო განუხრელად უნდა ახორციელებდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. სახელმწიფო იმიტომ შექმნეს ადამიანებმა, რომ საზოგადოებაში უზრუნველყოფილი იქნეს საყოველთაო უშიშროება, რის გარეშე „არც წინსვლა ერისა, არც წარმატება რაშიმე შესაძლებელი არ არის“[2]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოს მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა, კერძოდ, სამართალდარღვევათა მიმართ სახელმწიფო მოხელეების უსულგულო დამოკიდებულება, სამართალდარღვევის ფაქტების გამოძიებისა და სასამართლო განხილვის გაჭიანურება, სახელმწიფოს მიერ ქვეშევრდომთა განიარაღება აქეზებსა და ათამამებს ქურდებსა და ავაზაკებს, ხელს უწყობს ბოროტმოქმედებათა ზრდას. ი. ჭავჭავაძის აზრით, სამართალდარღვევათა გამომწვევი ეს გარემოებანი მოითხოვს სახელმწიფო აპარატის მუშაობის გარდაქმნას. მოხელეთა უსულგულობა და ბოროტმოქმედებისადმი მათი ფორმალური დამოკიდებულება რომ აღმოიფხვრას, „აი, ჩვენის ფიქრით, ამისათვის რა არის საჭირო: წესად დაიდოს, რომ მაზრის უფროსმა, თუ მის არემარეში ავაზაკობა ან ქურდობა რამ მოხდა, სულ ერთია თხა მოიპარეს, თუ დიდი რამ საუნჯე — მაშინვე დაუყოვნებლივ აუწყოს გუბერნატორს, სად და როდის რა მოხდა, რა ღონისძიება იქმნა მიღებული ბოროტმოქმედების აღმოსაჩენად, რაგვარ მოიქცნენ მაზრის უფროსნი და მისნი ხელქვეითნი ავკაცობის გამომჟღავნების პირველ ხანებში, სად რა გზაა და კვალი მიტანილი, ვისზედ არის გუმანი აღებული და სხვა ამგვარი, რაც ცხადად ჰყოფს საქმიანს მოქმედებას მოხელისას. ვიდრე საქმე ან ისე, ან ასე გათავდებოდეს, ყოველი ახალი ვითარება მისი უნდა ეუწყოს გუბერნატორს. ამ გზით უმაღლესს მოხელეობას თვალი ეჭირება, ზედამხედველობა ექმნება, ვინ და სად როგორ ირჯება. როგორ ასრულებს თავისს მოვალეობას, როგორ გულმოდგინებას და მოჩერხებას იჩენს და ყოველ ამის შესაფერად მოექცევა მოხელეს. ყოველივე უქმობა, ყოველივე დაგვიანება, ყოველივე მოუხერხებლობა ამისთანა შემთხვევაში უნდა სასტიკად მოეკითხოს ხელქვეითსა და ეს შესაძლოა

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 6, გვ. 222.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 226.

გამომცემლობის რედაქტორი ზ. ძ[illegible]ბია
მხატვრული რედაქტორი თ. გ[illegible]ლ[illegible]ლი
გარეკანის მხატვარი ნ. ლ[illegible]ფ[illegible]ნ[illegible]
ტექნიკური რედაქტორი ნ. ძ[illegible]ნ[illegible]ლ[illegible]ძე
უფროსი კორექტორი მ. [illegible]ებ[illegible]ლ[illegible]ძე
კორექტორი მ. ბ[illegible]ნ[illegible]შ[illegible]ვ[illegible]ლ[illegible]
გამომშვები ხ[illegible]ც[illegible]შ[illegible]ვ[illegible]ლ[illegible]

ИБ № 3363

გადაეცა ასაწყობად 10.09.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 09.03.87. ქაღალდის ზომა 60×90. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ვენა. ბეჭდვა მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 26,25. პირ. საღებავგატარება 26,25. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 25,57

უე № 10206. ტირაჟი 2 000. შეკვ. № 923

ფასი 2 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.
1987

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.